გრიგოლ ორბელიანი

წერილები

ტომი პირველი
1832–1850

აკაკი გაწერელიას
redaqciiT da SeniSvnebiT
koste gorgeladZis
wina sityvaobiT

1936

saxelmwifo
gamomcemloba

მხატვრები: ლ. ჟუთათელაძე და ლ. გრიგოლია

ა—1

92
ო—74 წ.

რედაქტორი — კ. გ ო რ დ ე ლ ა ძ ე
ტექრედაქტორი — ვ. გ ო რ გ ა ძ ე
გამომშვები — ალ. ს ი გ ვ ა
კორექტორი — ალ. ლ ო რ დ ე ლ ი

გადაეცა წარმოებას 15/III 35 წ.
ხელმოწერილია დასაბ. 29/VI 35 წ.
მთავლიტის რწმუნ. № 2283
ზომა 6×10, ტირაჟი 5.000 შეკ. № 435

სახელგამის მე-2 სტამბა, ორჯონიკიძის, 50.



ზრიგოლ ორბელიანი

გრ. ორბელიანის წერილები

გრიგოლ ორბელიანის წერილები მის ახლობელ ნათესავ-მეგობრებთან, მიუხედავად მათი კერძო ხასიათისა, საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მნიშვნელობას მოკლებული არ არის, შეტადრე თანამედროვე მკითხველისათვის. ეს კერძო წერილები იძლევა მდიდარ ისტორიულ მასალას არა მხოლოდ მწერლის პირადი ცხოვრებისა და მისი იდეური განწყობილების შესასწავლად, არამედ ამავე დროს ისინი შეიცავენ საუკეთესო ისტორიულ წყაროს იმ ეპოქის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ვითარების გაცნობისათვის.

გარდა ამისა, ამ წერილების გამოქვეყნებით საბოლოოდ გამოირკვა საკითხი გრიგოლ ორბელიანის ლიტერატურული შემოქმედების ხასიათის შესახებ. ერთხელ კიდევ დასაბუთებული იქნება ის გარემოება, რომ გ. ორბელიანის შემოქმედებაში ადგილი არ ჰქონია არავითარ გაორებას, როგორც ამას ზოგიერთი კრიტიკოსი ამტკიცებს.

ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ გრიგოლ ორბელიანის კერძო წერილები იძლევა მდიდარ მასალას იმ თავგანწირული და გმირული ბრძოლის ისტორიის შესწავლისათვის, რომელსაც 30 წლის განმავლობაში აწარმოებდენ მთიულები, თავისუფლების შენარჩუნების მიზნით, გმირი მეამბოხის დიდი შამილის მეთაურობით რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

სწორი არ არის ზოგიერთ ლიტერატურულ მკვლევარის აზრი, თითქოს გ. ორბელიანს ქართულ ლიტერატურაში არავითარი კვალი არ დაეტოვებინოს. რასაკვირველია, ასეთი შეხედულება წარმოადგენს ერთგვარ რეაქციას მეორე უკიდურესობის მიმართ, რომელსაც გ. ორბელიანი შეტის მეტად დიდ სიმაღლეზე აჰყავდა. სხვა რომ არა იყოს გ. ორბელიანი ავტორია: „მუშა ბოქულაძის", „მუხამბაზის", „სადღეგრძელოს", „კინტოს ლიმღერის" და სხვ., ამასთან ერთად ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ გ. ორბელიანი მე-19 საუკუნის მანძილზე „მამათა" ლიტერატურულ-პოლიტიკურ მიმართულების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. ამიტომ, რასაკვირველია, მან ქართულ მწერლობაში სათანადო კვალი დასტოვა, რომელსაც ჩვენის მხრივ სწორი გაშუქება, მისგან უარყოფითი მოტივების უკუგდება და კრიტიკული ათვისება ესაჭიროება.

როგორც აღვნიშნეთ, გ. ორბელიანის კერძო წერილები ეროვნულგვარ ნიადაგს აცლიან მისი პიროვნების გაორების თეორიას. ამ თეორიის წარ-

მომადგენლები არიან: კიტა აბაშიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი და სხვ. გ. ორბელიანის ლექსების კრებულის წინასიტყვაობაში ვახტანგ კოტეტიშვილი სწერს: ...„გრიგოლ ორბელიანი გაბზარული სახით გამოიყურება, უფრო მეტიც, ის ორად არის განკვეთილი, ორი მეობა არის მასში დასადგურებული ახალგაზრდობიდან დაწყებული სიბერემდე". ამ დებულებას მისი ავტორი იმითაც ასაბუთებს, რომ კ. ორბელიანი 1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებით დატუსაღებული იყო, რომ მან ლიტერატურული მოღვაწეობის დასაწყისში სთარგმნა რილეევის აკრძალული ლექსი „ნალივაიკოს აღსარება" და სხვ.

გამოდის რა ამ შემცდარ დებულებიდან, იგი ჰყოფს გ. ორბელიანის ლიტერატურულ შემოქმედებას ორ, ერთიმეორის საწინააღმდეგო, პერიოდად. პირველ პერიოდს სთვლის პროგრესიულად, მეორეს—რეგრესიულად. ასე მაგალითად, ვ. კოტეტიშვილი სწერს: „გ. ორბელიანის ცხოვრებიდან ჩვენ ორი მომენტი აღვნიშნეთ. პირველი — პროგრესიული, მეორე — რეგრესიული. პირველ პერიოდში ის პროტესტანტული სულით იყო აღვსილი, მეორეში კი იმათ ამალას შეუერთდა, ვის წინააღმდეგაც ოდესღაც მხედრდებოდა. გრიგოლ ორბელიანის პოეზიაშიც ორი მომენტი არის აღსანიშნავი: ეროტიკა და მოქალაქეობრივობა".

რასაკვირველია, სწორი არ იქნებოდა გვეთქვა, რომ 50 წლის მანძილზე გ. ორბელიანის ლიტერატურული შემოქმედება აბსოლუტურ იგივეობას წარმოადგენდა, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ თითქოს მისი ლიტერატურული შემოქმედება ასე მკაფიოდ იყოფებოდა ერთიმეორისაგან დიამეტრულ მოწინააღმდეგე პერიოდებად — პროგრესიულად და რეგრესიულად. ეს შემცდარი შეხედულება იმის ნაყოფიც არის რომ 1832 წლის შეთქმულების კლასიურ-პოლიტიკური ხასიათი სწორად არ არის გაგებული. ეს შეთქმულება არ ყოფილა ხალხური, მასიური, დემოკრატიული მოძრაობა რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ. მონაწილეთა კლასიური შემადგენლობით და მათი პოლიტიკური მიზნების მიხედვით 1832 წლის მოძრაობა იყო წმინდა წყლის მონარქიული და ამიტომ რეაქციული მოძრაობა. მართალი არის ამხანაგი ფ. მახარაძე, რომელმაც თავის მოხსენებაში პირველ საკავშირო მარქსისტ-აგრარნიკების კონფერენციაზე აღნიშნა, რომ 1832 წლის შეთქმულება „იყო წმინდა მონარქისტული თავადაზნაურობის შეთქმულება, უკანასკნელი ცდა ქართველი მეფის დინასტიის სამეფო ტახტზე აღდგენისა".

რასაკვირველია, მარქსიზმ-ლენინიზმი მხარს უჭერს ჩაგრული ერების ნაციონალურ განმათავისუფლებელ მოძრაობას მჩაგვრელი ერების დიდმპყრობელურ პოლიტიკის წინააღმდეგ, მაგრამ ასეთი მოძრაობის ერთ-ერთ ძირითად პირობას, მშრომელი მასების, პირველ რიგში გლეხური მასიური მოძრაობა წარმოადგენს, რომელიც ერთ და იმავე დროს მიმართულია, როგორც უცხო ერის კოლონიურ ბატონობის წინააღმდეგ, ისე

საკუთარი ეროვნული მჩაგვრელების წინააღმდეგაც. ადვილი გასაგებია, რომ ასეთ მოძრაობასთან არაფერი საერთო არა აქვს 1832 წლის მსხვილი ფეოდალური არისტოკრატიის, ქართველი მეფის საგვარეულოს, წარმომადგენლების შეთქმულებას. ის თავისი სოციალური ხასიათით განსხვავდება, როგორც შამილის მოძრაობისაგან, აგრეთვე იმ დემოკრატიულ მოძრაობისაგან, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. განსაკუთრებით 1832 წლის კახეთის აჯანყებას, 1819 — 20 წლის იმერეთის მოძრაობას, სამეგრელოს გლეხების აჯანყებას, გურიის გლეხობის 1841 წლის აჯანყებას და სხვ.

სწორედ 1832 წლის შეთქმულების კლასიურ ხასიათს და მის პოლიტიკურ მოტივებს ივიწყებენ ისინიც, ვინც მას ქართულ „დეკაბრიზმად" აღიარებენ. მაგალითად, დ. გოზალიშვილი „1832 წლის შეთქმულების" მასალების კრებულის შესავალში ამბობს: „წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ეს მოძრაობა განმეორება თუ არა, უეჭველი გამოძახილია მაინც საერთოდ იმ დროის ევროპაში გავრცელებული ლიბერალური იდეებისა, კერძოდ კი რუსეთის დეკაბრისტების მოძრაობის უახლოესი შედეგია". ასეთ დებულებას იცავს ის მიუხედავად იმისა, რომ მის სასარგებლოდ არც ერთი საბუთი ხსენებულ კრებულში არ ლაპარაკობს.

რასაკვირველია, 1832 წლის შეთქმულების ამათუიმ მონაწილეს შეიძლება ჰქონდა ლიბერალური მიდრეკილება, მაგალითად, სოლომონ დოდაშვილს და სხვ., მაგრამ მოძრაობის საერთო მიმართულება კი წმინდა რეაქციული იყო. ქართველი გლეხისათვის არავითარ პრინციპიალურ განსხვავებას არ წარმოადგენდა, თუ ვინ „გააძრობდა მას ტყავს", ქართველი შემამულე, თუ ცარიზმის მოხელე.

იმ შემთხვევაშიც, რომ 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის მიღება იძლეოდეს გ. ორბელიანის შეფასების საკითხში ზემოთ აღნიშნულ დასკვნების რაიმე საბუთს, როგორც ვ. კოტეტიშვილი და სხვები აღიარებენ, ეს მაინც შეუძლებელი იქნებოდა გაგვეკვრცელებია გ. ორბელიანზე. ის იმდენად პასიურ ელემენტს წარმოადგენდა ამ მოძრაობაში, იმდენად დაშორებული იყო მისგან, რომ უდიდეს გაუგებრობად სთვლიდა მის დროებით, რამდენიმე თვით პატიმრობას ამ შეთქმულებასთან დაკავშირებით.

გ. ორბელიანს თვითმპყრობელობის მიმართ არც ერთი გრამი საყვედურისა არ გამოჰყოლია საპყრობილიდან. აი რას სწერს იგი თავის ძმას— ზაქარია ორბელიანს ციხიდან გასვლისას: „საშინელისა უბედურებისაგან, რის გამო ვიყავ ამდენხან შეპყრობილ, თუმცა გავთავისუფლდი. მარამა მთავარმართებლის ბრძანებით ლინიაზე უდა წავიდე რომელსამე პოლკში პრიკომანდიროვად დრომდის. — მთავარმართებელი ფრიად კეთილი და მზრუნველია საქართველოსათვის" (11 სექტემბერი 1833 წელი). ასე მსჯელობდა მთავარმართებლის შესახებ „რევოლუციონერი" გ. ორბელიანი.

აქედან ის დასკვნა უნდა მივიღოთ, რომ გ. ორბელიანის ლიტერატუ-

რულ შემოქმედებაში არავითარ გაორებას ადგილი არ ჰქონებია, ის მთლიანი პიროვნებაა და მისი ლიტერატურული შემოქმედების მთლიანობა წარმოადგენს მის კლასიურ და პოლიტიკურ მდგომარეობის ანარეკლს. მისი პოეზიის სოციალური მოტივი არის ფეოდალური საქართველო ე. ი. თავად-აზნაურობა. მისი ბატონობა, მისი დაცვისა და მარადიულობისათვის იგი მზად არის იბრძოლოს არა მხოლოდ პოეზიის საშუალებით, არამედ ხმლის საშუალებითაც. გ. ორბელიანი, როგორც მწერალი და სარდალი ერთ მთლიანობას წარმოადგენს.

მისთვის ქართველი ხალხის ბედნიერება ქართველ თავად-აზნაურობის ბედნიერებას უდრის, თავად-აზნაურობას აღიარებს საქართველოს ისტორიის ქვაკუთხედად, მისი გადაგვარება, ან მოსპობა ქართველი ხალხის და ქართული კულტურის მოსპობად მიაჩნია. ერთს თავის კერძო წერილში ლორის-მელიქოვისადმი სწერს: „ჰქრება ის სახელოვანი თავად-აზნაურობა, რომელიცა ათასის წლის განმავლობაში მამაცობით ებრძოდა მთელს აზიასა ქრისტეს სარწმუნოებისა და მამულის დასაცველადა. საქართველო ჭრაველჯერ გაოხრებულა, მონღოლთაგან, სპარსთაგან, თურქთაგან, ლანგთემურ-შაჰაბაზისაგან, მაგრამ დაემორჩილა მხოლოდ რუსთ ხელმწიფესა იმ იმედით, რომ მისს შფარველობის ქვეშე ეღირსება მშვიდობიანად და კეთილდღეობით ცხოვრებასა. ახლა რასა ვხედავ? ესე დაცემული სულითა არ ყოფილა არაოდეს: გაუძლებელი სიგლახაკე და უიმედობა გვიბნელებს გონებასა, შეგვიპყრა სასოწარკვეთილებამ, მოველით რა დღე-დღე, რომ გამოგურეკენ სახლიდან, მამულიდან: გულზე გუაწევს სიმძიმე ვაებისა, მწუხარებისა და ესრეთი უნუგეშო მდგომარეობა რამდენსამე ათასის სულისა, მგონია არ იყოს კარგი თვთ ხელმწიფესათვისაცა. ღრაფო, მოგვეშველეთ. შეგვეწიეთ, მოიხმარეთ, რაც ძალი და ღონე გაქუს, გამოიხსენით ესენი პრიკაზის ტყვეობისაგან, თქუენის სახელის სადიდებლად, რომ მთელი საქართველო საუკუნოდ იყოს მლოცველი და მაკურთხებელი თქუენი, და საქართველო გამოიხსნას ისევ საქართველოს შვილმავე და სხუარა ვისმე ნუ მიეცემა ესა დიდება“.

გ. ორბელიანი ვერ ურიგდება იმ გარემოებას, რომ ქართველი თავადაზნაურობა ჰკარგავს თავის პოლიტიკურ ბატონობის ეკონომიურ საფუძველს. ის გოდებით დასტირის ქართველ თავად-აზნაურობის წარსულ დიდებას. იგი ოცნებობს მხოლოდ იმაზე, თუ როგორ შეაჩეროს ამ რღვევის პროცესი თუ მთელი კლასის მიმართ არა, ყოველ შემთხვევაში თავის საკუთარი ოჯახის მიმართ მაინც. ამიტომ იგი „პრიკაზის“ ვალების გადახდევინებას არ ივიწყებს თავისუფლებისათვის მებრძოლ მთიულების, ლეკების და სხვ. აოხრების მომენტშიაც კი. 1849 წელს თავის ძმას ილიას სწერდა: „მაგ წყეულს პრიკაზში კიდევ გამოვგზავნე დღეს ფოშტით 430 რუბლ. სიქა მანათი, ამას წინათაც 500. რომელიცა იქმს ჯამი 930. — ახლა ჩემო ილიკო, შენ უნდა მიხვიდე და გამოართვა კვიტანცია და გამოიხსნა ჩვენი ყმა და მამული. თობაა, თობაა, რომ ვალის სახსენებელი უნდა გაწყდეს ჩვენთვის“. ასე ებლაუჭებოდა გ. ორბელიანი თავის ფეოდა-

ლურ მფლობელობას, რადგან მას საერთოდ აღიარებდა საქართველოს ბედნიერების ქვაკუთხედად.

ამიტომ ადვილი გასაგებია მისი მტრული განწყობილება გლეხთა „განთავისუფლებისადმი". იგი იმდენად რეაქციონერი იყო თავის შეხედულებით, რომ 60-იან წლების გლეხური რეფორმებიც მისთვის ძალღებელი იყო. მათ იგი უდიდეს რევოლუციურ მოვლენად აღიარებდა. ამავე დრო ის ხედავს, რომ გლეხობის უკმაყოფილება ყოველგვარ საზღვარს სცილდება და სცდილობს წალეკოს ფეოდალების ბატონობა. ამიტომ გრიგოლ ორბელიანი მზად ჰქონია „შეამსუბუქოს" გლეხების მდგომარეობა, ოღონდ არ იფიქრონ ბატონყმობისაგან განთავისუფლება. როდესაც მან გაიგო, რომ ფეოდალების ინტერესების დამცველი თვითმპყრობელობა თავად-აზნაურობას აძლევს გლეხობის „განთავისუფლების" საკომპენსაციოდ განსაზღვრულ თანხას, იგი მზად არის ეს თანხა მოახმაროს „საწყალ" გლეხობას, რათა ისინი კვლავ დარჩენ ბატონების ყურმოჭრილ მონებად. ამ რეფორმასთან დაკავშირებით გ. ორბელიანი სწერდა თავის ძმას ილიას 1843 წელში: „ჩემი აზრი იქნება, რომ ამ ფულებიდან გლეხკაცთა დაურიგონ და ისე შეიჯერონ, რომ საწყლები უბრალოდ არ ღალღუპნენ, და ამგვარ მდგომარეობამ არ აჩიელოს განთავისუფლებისათვის".

ამავე დროს იგი სწერდა თავის ძმას შეიძინოს ყმები და აუშენოს ახალი სოფელი, რომ ამით აღადგინოს თავისი ფეოდალური გვარეულობის, თავისი ფეოდალური ოჯახის შელახული ავტორიტეტი. 1847 წელში თავის ძმას ილიას იგი სწერდა: „ილიკო, არ იქნება, რომ ელისავეტოპოლიდამ, ანუ ყაზახიდამ გადმოასახლო ხალხი და ერთი კარგი სოფელი საკუთრივ აიშენო — მგონია, მაშინ უფრო შეიძლო, როდესაც გამოხვალ მაგ თანამდებობისაგან, რომ აღარა სთქვან, რომ ნაჩალნიკი იყო და ხალხით დააკარიელა უეზდიო — ჰაა, რას იტყვი".

ამის შემდეგ ადვილი გასაგებია ის სიმკაცრე, რომელსაც გრიგოლ ორბელიანი ერთნაირად იჩენდა. როგორც რუსეთის თვითმპყრობელობის ნიმართ აჯანყებულ მთიულების დასამორჩილებლად, ისე ქართველ თავადაზნაურობის ბატონობის წინააღმდეგ აჯანყებულ ქართველ გლეხების მიმართ ზოგიერთები ფიქრობენ, რომ გ. ორბელიანმა ასეთი არა ადამიანური სიმკაცრე აჯანყებულ ლეკების მიმართ იმიტომ გამოიჩინა, რომ ამით ცდილობდა „სისხლი აეღო" ლეკებისაგან კახეთის შეევიწროვების გამო. რასაკვირველია, ამ შემცდარი მოტივითაც შეიძლება ხელმძღვანელობდა გრიგოლ ორბელიანი, მაგრამ ეს არ იქნებოდა მთავარი, იგი ამ მოტივის გარეშეც ისევე სიმკაცრეს გამოიჩენდა, რადგანაც მას ამოძრავებდა პირველ ყოვლისა თვითმპყრობელობის, თავად-აზნაურობის და ფეოდალური ურთიერთობის არსებობის დაცვის ინტერესები. ეს სიცხადით შტკიცდება მისი მოქმედებით, რაც გამოიხატა ტფილისის ხელოსანთა და წერილ ვაჭართა აჯანყების ჩაქრობაში.

ამრიგად გ. ორბელიანი ბოლომდის ფეოდალი იყო, და თანამიმდევრობით იცავდა ფეოდალურ ურთიერთობის ხელუხლებელ არსებობას, არა მხოლოდ ეკონომიკის დარგში, არამედ პოლიტიკის და კულტურის მსრივაც. გ. ორბელიანი შეესისხლხორცა რუსეთის ცარიზმს, რუსეთის თვითმპყრობელობას ისე, როგორც მთლიანად მას შეეხორცა ქართველი თავადაზნაურობა. რუსეთის მეფისა და მისი წარმომადგენლის საქართველოში მოღვაწეობა მას საქართველოს ბედნიერებად მიაჩნია. სხვანაირად თუ კიტყვით, სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის ერთადერთ ფორმად ის თვითმპყრობელობას აღიარებს. მისი ეროვნული პატრიოტობა ძეტის მეტად საეჭვო გამოდგა, მან იგი სრულებით დაივიწყა და არაფერს არ ზოგავდა რუსეთის მეფისადმი ერთგულების დამტკიცებისათვის. ამით აიხსნება, რომ მან დროებით მთავარმართებლის თანამდებობაც კი მიიღო, რაც უსათუოდ მეფისაგან უდიდესი ნდობის გამოცხადებას ნიშნავდა. გ. ორბელიანი იყო პირველი ქართველი მთავარმართებლის როლის ამსრულებელი. იგი სრულიან ნდობით ეპყრობოდა მთავარმართებლებს, მეფის მოხელეების მოღვაწეობას უკავშირებდა ქართველი ხალხის ბედნიერებას. 1842 წელში თავის ძმას ზაქარიას სწერს: „საქართველო დიდი ბედნიერი არის, რომ ხელმწიფემ ინება გამოგზავნა ამ კაცებისა, ესე იგი ჩერნიშოვისა და პოზენისა, რომელთაცა გულით სურთ კეთილდღეობა ამ მხარისა — ღმერთმა ადღეგრძელოს ხელმწიფე, და მას უკან ესენი“.

ასეთივე კონსერვატორი არის გ. ორბელიანი კულტურის დარგშიც. იგი ვერ ითმენს ენის, ლიტერატურის ახალ სახეებს. იგი ყოველგვარი „ნოვატორობის“ წინააღმდეგი არის. იგი იმდენად განწყობილია ყოველგვარი ახალი მოვლენის წინააღმდეგ, რომ თითქოს იბრძვის ქართული ენის სიწმინდისათვის, რომელსაც მისი აზრით ემუქრებიან „თერგ-დალეულები“, მაგრამ ვერ ამჩნევს, თუ რამდენად ქართული ენა სწორედ თავისი სიწმინდისათვის საჭიროებდა განთავისუფლებას „რუსიციზმიდან“, რომლითაც ასე დატვირთული იყო მისი ქართული ენაც. „თერგ-დალეულთა“ ფრთაშეკვეცილი ლიბერალიზმიც კი გ. ორბელიანისათვის იყო მიუღებელი. მისთვის, როგორც კონსერვატორისათვის, „თერგ-დალეულთა“ მოძრაობა რევოლუციას უდრიდა საზოგადოებრივ ურთიერთობისა და კულტურის სფეროში. ნამდვილად კი „თერგ-დალეულები“ გ. ორბელიანიდან განსხვავდებიან ჩოდენ მხოლოდ იმით, რომ მათ ალღო აუღეს ისტორიულ განვითარების ობიექტურ პროცესს, სწორად იცნეს ფეოდალიზმის არსებული უმსგავსო ფორმების შეცვლის აუცილებლობა უკეთესი უფრო კულტურული ფორმებით, რომ მათ დალუპვისაგან გადაერჩინათ თავისი საკუთარი კლასი. მათ პოლიტიკურ იდეალს ფეოდალიზმის მშვიდობიანი ევოლუცია წარმოადგენდა კაპიტალიზმის განვითარების გზით. სხვანაირად თუ ვიტყვით, „თერგ-დალეულები“ იყვნენ ფეოდალური კლასის იმ ნაწილის წარმომადგენლები, რომელნიც ისტორიული განვითარების ზეგავლენით კაპიტა-

ლიზმის „გაბურჟუაზიების“ გზას დაადგენ. „თერგ-დალეულები“ იყვნენ ევოლუციონისტები, ლიბერალები და არა ბურჟუაზიული რევოლუციონერები.

მიუხედავად ამისა გ. ორბელიანისათვის ისინი მაინც ძიუღებელი იყვნენ სწორედ იმიტომ, რომ, როგორც აღვნიშნეთ, იგი ვერ ეგუებოდა ვერავითარ ცვლილებებს, ფეოდალიზმის არსებული ფორმების ვერავითარ ევოლუციას, მიუხედავად იმისა, რომ ეს ცვლილებები არ გულისხმობდენ თავისთავად ფეოდალიზმის პრინციპიალურ უარყოფას, მის აუცილებელ მოსპობას. „თერგ-დალეულებმა“ თავის უახლოესი სოციალ-პოლიტიკური ამოცანა გადაჭრილად აღიარეს 60-იან წლების გლეხური რეფორმების გატარების შემდეგ და ბევრმა მათგანმა 60-იან წლების ფრთაშეჭრილ ლიბერალიზმზედაც უარი განაცხადა და კონსერვატიზმში გადავიდა. ეს გასაგებიც არის, რადგან მათ პოლიტიკურ იდეალს შეადგენდა ფეოდალიზმის მშვიდობიანი ევოლუცია კაპიტალიზმის გზით, რომლის პირობებს 60-იანი წლების რეფორმები ნაწილობრივად ყოველ შემთხვევაში მაინც ჰქმნიდენ.

გ. ორბელიანი კი 70-იან წლებში სევდით ივსება, მისი ჰანგი ნაღვლიანი ხდება, ის დასტირის წარსულ ფეოდალურ დიდებას, აღშფოთებას გამოსთქვამს იმ ცვლილებების გამო, რომელიც 60-იანი წლების გლეხურმა რეფორმებმა გამოიწვია საზოგადოებრივ ურთიერთობაში, კერძოდ კი ქართველ ფეოდალურ თავად-აზნაურთა ეკონომიურ ვითარებაში. ამიტომ ის წინააღმდეგი არის, როგორც 60-იანი წლების რეფორმის ისე „თერგ-დალეულთა“ მოძღვრების და მათი მოძრაობის. ის ვერ ითმენს იმ გარემოებას, რომ გლეხობამ ფორმალური თავისუფლება მოიპოვა 60-იან წლების რეფორმებიდან. წერილში **ლორისმელიქოვისადმი**, ის სწერს: „16-ro апр. 1881 წ. პეტერბურღს. თქუენო ბრწყინვალებავ ღრაფ მიხეილ ტარიელიჩ — ლორის-მელიქოვსა... რა ნახეს საქართველოში როცა პირველად მოვიდნენ რუსნი. იყო მეფე მომაკუდავი; იყო თავადობა; იყო პატრიარხ-ეპისკოპოზობა. ამ სამთა სოსლოვიემა — რუსულად ვამბობ — ეჭირათ საქართველო; ესენი იყუნენ სარდლები; ესენი შეადგენდენ მეფის კრებასა; ესენი უყუნენ მდივანბეგები, ანუ მსაჯულნი, ჰსჯულის დამაწესებელნი; უამათოთ ვერარა განკარგულება მოხდებოდა მეფისაგან საძეფოში; ესენივე შეადგენენ ჯარსა—გარდაიცუალა მეფე; გაჩნდა მანიფესტი იმპერატორისა, რომლითა საქართველო შეერთდა რუსეთსა და გამოეცხადა სხუათა და სხუათა მოწყალებათა შორის, ესეცა, რომ ყოველივე საკუთრება შეუხებელია. მერე გავიდა ათი თუთხმეტი წელიწადი და გამოვიდა უქაზი, რომ მღუდელნი, ვითარცა ღ-თის მსახურნი უნდა უყუნენ თავისუფალნი თავადებისაგან. განთავისუფლდენ მღუდელნი,—თუმცა კი მაშინაც ისევ ისე იყუნენ, როგორცა ეხლა, — მაგრამ მღუდლებთან წაიღეს და დაჰსდეს საეკლესიოდ თავადებისა ის ყმები და მამულები, რომელთა

შემოსავლიდამ თავადები ინახავდენ მღუდელთა, მგალობელთა, დიაკუნებსა. ჯუარსა, ხატებსა და სხუათა და სხუათა, ათასი საჩივარი წავიდა ამაზე სენატში, მაგრამ პასუხიც არ აღირსეს. გავიდა კიდევ ათი თუთხმეტი წელიწადი და გამოვიდა უქაზი „როგორ იქნება რომ თავადთა ჰყუანდეს აზნაურნი". მეფე თავადსა უწყალობებდა მის დიდ ნამსახურებისათვის აზნაურსა მამულით. განთავისუფლდენ აზნაურნი და თან წაიღეს, არა თუ მამული, მეფისაგან აზნაურთან ნაწყალობევი, არამედ ისიცა, რაცა თავადს ჰიეცა თავისი მხრით აზნაურისათვის — ამაზედაც იყო დიდი ჩივილი, მაგრამ ესეცა დარჩა უპასუხოდ. გავიდა კიდევ ათი თუთხმეტი წელიწადი და გამოვიდა უქაზი: ყოველი გლეხი არის თავისუფალი და უნდა თავადებისაგან მიეცეთ მათ მიწა და აღსრულდა ესეცა. და აბა, ახლა წარმოიდგინე, რაღა უნდა დარჩენოდათ თავადებსა და რაც დარჩათ, სულ აქა-იქ ნაწყვეტ-ნაწყვეტი მიწა. ასეთ რომ დიახ იშვიათსა აქუს ასი დესეტინა ერთ ალაგსა. პირუელი მიზეზი ჩუენისა საზოგადო დაცემისა, ამასთანა იყო სამოცი წელიწადი ბრძოლა. და ამ ბრძოლაში ყოველთჳს მსახურობდენ თავად-აზნაურნი თავ-განწირულები, რომელი ოჯახი არის, რომ არ ჰყუანდეს რამდენიმე დაჭრილ, დახოცილნი ომში და რასაკურველია ყოველთვის პასოდობაში ყოფნა მოითხოვდა დიდს ხარჯსა. ახლა ამასთანა შეიცუალა ცხოვრებაცა, და ჩუენც ახლისა ცხოვრებისათჳს, არ ვიყავით შემზადებულნი, ესე იგი არა გუქონდა ფული: ვიღებდით ვალსა 40 კაპეიკად; კახეთში ოლონდა ფული ესესხათ. თავადიშვილი ას თუმანში ფეშქაშად აძლევდა ერთს ურემს ღვინოს სარგებლის გარდა.

აი ჩემო ბატონო, საიდამ დაიწყო ჩუენმა გალარიბებამ, ჩუენმა აწინდელმა მდგომარეობამ, რომელშიაცა მწუხარების მეტი აღარა სუფევსრა. ახლა თუ მოჰთუალოთ სუდები, ადვოკატები, მეექვანიე, აჰ:ელაციები, ძალიან შორს წავა".

გ. ორბელიანი გაკვირვებას გამოსთქვამს იმ „მარცხის" გამო, რომელიც თავად-აზნაურობამ განიცადა, რადგან მას არ ესმის ამ მარცხის მიზეზი. მას არ ესმის იმ „უჩინარი" ძალის მოქმედება, რომელსაც კაპიტალი ეწოდება და რომელიც ძირს უთხრის ფეოდალურ ურთიერთობის არსებობას, როგორც სარდალი და მეომარი იგი თავის თავს გრძნობს უდიდეს ძალის წარმომადგენელად. იგი იხსენიებს საქართველოს წარსულ ისტორიიდან მრავალ შემთხვევებს, როდესაც საქართველო გადაურჩა მონღოლების, ირანელების, თურქების და სხვ. შემოსევას და გაოცებას ეძლევა, როდესაც ქართველ თავად-აზნაურობას ეკონომიურ გაღატაკების და გაჩანაგების გზაზე შემდგარს ჰხედავს. ხოლო რადგან ამისი ნამდვილი მიზეზი მისთვის გამოუცნობელი იყო, ამიტომ მთელი გესლი გადაჰქონდა გლეხობაზე. რომელსაც იგი აღიარებდა ამის მიზეზად. ამიტომ ის მზად იყო აჯანყებულ გლეხთა სისხლიც კი დაელია.

ამავე მიზეზის გამო ის ვერ ითმენდა „თერგ-დალეულებს" მიუხედავად იმისა, რომ ისინიც მისი კლასიდან გამოსულები იყვნენ. გ. ორბე-

ლიანი თავის ლექსში „პასუხი შვილთა“, ასე მიმართავდა „თერგ-დალეულებს“. და მის მამამთავარს ილია ჭავჭავაძეს:

... ოსმალ-სპარსები,
დალისტნის მთები,
ქებით გეტყვიან დიდთა მათ საქმეთ,
მათ დაიფარეს,
სისხლით დაიცვეს,
სისხლ შემოსილი მამული თვისი,
და სასო ღვთისა,
მცველი ერისა,
ენა, საყდარი, სარწმუნოება....

... მოვიდნენ... და რა!
სულ ჩაგვამწარა
ვაი ჩვენს იმედს!.. ვაი თქვენს მოსვლას!...

... სტამბით მოჰფინონ სწავლა მამულსა,
აღრნდენ მწერლები,
ჟურნალისტები,
ვაი საბრალოს!.. ვაი ჩვენს ენას!
მათ უსწავლელთა,
ცრუ რუსთაველთა,
სულ წაგვიბილწეს ენა მდიდარი....

... ჰე, სასურველო,
გმირთა მამულო,
ნუ თუ შენ მართლად ესე დამცირდი,
რომ შენსა ბედსა,
შენსა იმედსა
დაეხელმწიფენ ცრუ პოეტები
ცრუ ლიბერალნი,
პატრიოტები,
მეხი, მეველე,
მელიქ-აღები...

ასეთი იყო გ. ორბელიანი, როგორც სარდალი და პოეტი. ცხადია რომ არავითარ გაორებას აქ ადგილი არ ჰქონია. გ. ორბელიანი მისი შემოქმედებით ფეოდალური კლასის ღვიძლი შვილია. იგი თავიდან ბოლომდე კონსერვატორი და რეაქციონერია. ამის შემდეგ ადვილი გასაგებია მისი ისეთი „დემოკრატიული“ ლექსების ხასიათი, როგორიც არის „მუშა ბოქულაძე“ და სხვ., „მუშა ბოქულაძეს“ ჩვენ არ უარვყოფთ, როგორც იმდროინდელი მუშის საზოგადოებრივი ვითარების ნაწილობრივად ამსახველ ლექსს, მაგრამ ეს კიდევ არ ხი'ზხავს, თითქოს ამ ლექსის დაწერით გ. ორბელიანი თავისი შემოქმედებით დემოკრატიული ხალხური მიმართულების ყოფილიყოს. ამ ლექსში მან დაგვიხატა იმდროინდელი მუშის მდგომარეობა

მისი საკუთარი ვაგებით და დამახასიათებელია, რომ მუშა ბოქულაძეს არ აქვს შეგნებული მისი კლასიური მდგომარეობა, იგი მოკლებულია ბრძოლის უნარს იმ პირობების მოსასპობად, რომელთა ზეგავლენით იგი ასეთ მდგომარეობაში იმყოფება. ეს გასაგებიც არის, რადგან გ. ორ-ბელიანს არ ჰქონია მხედველობაში „მუშა ბოქულაძის“ სახით მოეცა მშრომელი ხალხის რევოლუციური ბრძოლის სურათი. ის აღწერს „მუშა ბოქულაძის“ უმწეო და უნუგეშო მდგომარეობას, მხოლოდ იმისათვის რომ ამით გადაგვარების გზაზე შემდგარ თავის კლასს აჩვენოს, რა მოელის მას იმ შემთხვევაში, თუ იგი არ იბრძოლებს მისი წარსული დიდების უკან აღდგენისა და დაბრუნებისათვის.

ამრიგად, გ. ორბელიანის მსოფლმხედველობა სრულებით სხვა იყო, ვინემ არა პირდაპირ ეს მოცემული არის ამ ლექსში, მაგრამ თვით რეალური სინამდვილის ზეგავლენით მან არა სრულად, მაგრამ საწილობრივად მაინც იმდროინდელი მუშის ვითარება გადმოგვცა. სოციალისტური რეალიზმი სწორედ მოითხოვს მას, რომ მექანიკურად არ იქმნეს გაგებული მწერლის მსოფლმხედველობის და რეალური სინამდვილის დიალექტიკური ურთიერთობა. იგივე სოციალისტური რეალიზმი ჩვენ გვიკარნახებს შევისწავლოთ ისეთი კონსერვატორული მწერლის კერძო წერილებიც კი. როგორიც გ. ორბელიანი იყო.

როგორც აღვნიშნეთ, გ. ორბელიანის კერძო წერილებს დიდი მნიშვნელობა აქვს და დარწმუნებული ვართ, მისი გამოცემა სავსებით იქნება გამართლებული. ეს წერილები არის ერთ-ერთი საუკეთესო წყარო ყველა ისტორიკოსის და ლიტერატურულ მკვლევარისათვის მე-19 საუკუნის საზოგადოებრივი ურთიერთობის შესწავლის საქმეში.

ჯ. გოგრდელაძე.

გრიგოლ ორბელიანის „წერილები“, როგორც ბიოგრაფიული მასალა

1

ბევრი საყურადღებო ფაქტი გრ. ორბელიანის ბიოგრაფიიდან ჯერ კიდევ არ არის ცნობილი მკითხველთა ფართო მასისათვის. დღემდე გამოუქვეყნებელ წერილებსა და ოფიციალურ ჩვენებებს დაუცავთ მრავალი საინტერესო ცნობა, რომელიც მდიდარ მასალას შეიცავს პოეტის პიროვნებისა და მოღვაწეობის დასახასიათებლად. წერილების სრული კრებულის გამოცემით ჩვენ ვფიქრობთ ეს მასალა ყველასათვის ხელმისაწვდომი გავხადოთ.

განსაკუთრებით მცირე რაᲘ ვიცოდით ჩვენ გრ. ორბელიანის სამხედრო წარსულის შესახებ. პოეტის ბიოგრაფი, იონა მეუნარგია გაკვრით გადმოგვცემს გრ. ორბელიანის ცხოვრების ამ პერიოდს და იქვე აღნიშნავს: „დაწვლილებით აღწერა მისის ხანგრძლივის სამხედრო სამსახურისა ჩვენ არც გვქონია აქ სახეში და არც შეგვეძლო იმ მცირე მასალების საშუალებით, რომელიც ჩვენს ხელთ იყო“ („ცხოვრება და ღვაწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა.“ ტფილისი. 1905. გვ. 73). ბიოგრაფი იქვე დასძენდა: „ჩვენ შეგვეძლო მოგვეყვანა არა ერთი განკარგულება და დარიგება ორბელიანისა, როგორც სარდლისა, რომელიც დაგვანახვებდა მის გონიერებას. მაგრამ მოვერიდეთ დეტალების მოყვანას, რომ ტყუილუბრალოდ არ დაგვემძიმებინა საზოგადო ცხოვრების აღწერა პოეტისა“-ო (იქვე); როგორც ამონაწერიდან ჩანს, „მასალების სიმცირეს“ და მონოგრაფიის საერთო გეგმას გამოუწვევია ის სიმკრთალე, რომელიც ი. მეუნარგიას მონოგრაფიაში ორბელიანი-სარდლის პორტრეტს ახასიათებს. საინტერესო ეპიზოდებით სავსე ცხოვრება მოთხრობილია გაკვრით, მეტწილად თვითონ პოეტის ბარათებით. ბიოგრაფი ვრცლად არ აღწერს კავკასიის ომს, რომლის მონაწილეც გრ. ორბელიანი იყო. „ცხოვრებაში“ მოყვანილი ამონაწერები (პოეტის ბარათებიდან) საჭიროებენ ისტორიული ფონის გათვალისწინებას, ხოლო კავკასიურ ომზე არსებულ ლიტერატურაში გვხვდება ბევრი საყურადღებო ცნობა, რომელთა შესახებ გრ. ორბელიანის კერძო წერილებში არაფერია თქმული.

გრ. ორბელიანის წერილები, ისტორიულად გაშიფრული, გვაცნობებ ცნობილი ქართველი პოეტისა და გენერლის ცხოვრების საინტერესო ეპიზოდებს.

2

გრ. ორბელიანის ცხოვრება შეიძლება გაიყოს სამ პერიოდად. პირველი პერიოდი შეიცავს ყრმობისა და სიჭაბუკის წლებს, სამხედრო კარიერის დასაწყისსა და 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის ხანას (1800 — 1832). მეორე პერიოდი შეიცავს პოლონეთში სამსახურისა, საქართველოში დაბრუნებისა და მთიელთა ომში მონაწილეობის წლებს (1834—1857). მესამე პერიოდი გრ. ორბელიანის ცხოვრებაში წარმოადგენს ადმინისტრატიული მოღვაწეობისა და კერძო მოქალაქის სიცოცხლის უკანასკნელ ხანას (1858—1883).

პირველი პერიოდის დასასრული ხვდება გასული საუკუნის 30-იან წლებს, მეორე პერიოდისა — 60-იან წლებს, ხოლო მესამე პერიოდისა — 80-იან წლებს.

„წერილები"-ს სამი ტომი მდიდარ მასალას იძლევა განსაკუთრებით მეორე და მესამე პერიოდის ვრცლად დახასიათებისათვის (1832 წლამდე ნაწერ ბარათებს ჩვენამდე არ მოუღწევია). პოეტის ცხოვრების პირველი პერიოდის მიმოხილვა აქ მაინც საჭიროა.

3

გრიგოლ ორბელიანი წარმოშობით ეკუთვნოდა იმ საგვარეულო შტოს, რომლის გენეალოგიური ხაზი ორბელ ბარათაშვილის (ცხ. მე-16 საუკ.) სახელამდე აღწევს. ორბელიშვილის გვარს ეკუთვნოდა დიდი ყაფლან ორბელიანი, ცნობილი ქართველი მწერლის, სულხან-საბა ორბელიანის პაპა, მე-17 საუკუნის ერთერთი უძლიერესი და გავლენიანი ფეოდალი. გრ. ორბელიანი სიამაყით მოიხსენიებს თავისი გვარის დიდი წარმომადგენლის სახელს. ამიტომ უწოდებდა ის თავისთავს „ყაფლანიშვილს".

გრ. ორბელიანის დედა ხორეშანი მეფე ერეკლე მეორის ქალი, ელენეს, ასული იყო. ამრიგად გრ. ორბელიანი დედის მხრით ბაგრატიონთა გვარს ენათესავებოდა. პოეტის ქედმაღლობა, საკუთარი გვარის აპოლოგია და შემდეგ სევდა, გამოწვეული ამ გვარის გადაშენებისაგან, აიხსნება მისი არისტოკრატიული წარმოშობითა და მსოფლმხედველობით.

გრ. ორბელიანის სიჭაბუკის წლებმა საქართველოში რუსული მართებლობის დამკვიდრების პერიოდში განვლეს. მისი სამხედრო კარიერის დასაწყისი (1816 წ.) ხვდება „საქართველოს პირველი პროკონსულის" ა. პ. ერმოლოვის მთავარმართებლობის წლებს (1816—1827). როგორც ირკვევა, ერმოლოვს კარგი ურთიერთობა ჰქონია „პ ო რ ტ ი ე ბ ი ს გ რ ი ბ-

კ ა ს თ ა ნ" (იხ. გრ. ორბელიანის წერილი ა. ჰ. ერმოლოვისადმი, საქ. არქივის № 174) *). გრ. ორბელიანი მონაწილეობას იღებდა მრისხანე გენერლის მთელ რიგ სამხედრო ექსპედიციებში. 1822 წელს ის მონაწილეა ჭარელ ლეკების დამარცხებისა ალაზანთან. 1826 წელს მონაწილეობას იღებს ბრძოლაში ირანელების წინააღმდეგ შამქორთან. გრ. ორბელიანი მონაწილე იყო აგრეთვე პასკევიჩის მიერ ირანელთა არაერთხელ დამარცხებისა და ქალაქების აღებისა 1827 წელს. ოფიცრის მკაცრი გამოცდა ორბელიანმა კარგად ჩააბარა.

გრ. ორბელიანის პირველი პერიოდის ლირიკულ ლექსებში გაერთიანებულია „მუხამბაზური კილო" (ვახტანგ ორბელიანის გამოთქმა) და მწიგნობრული, არქაული მეტყველება. საიათნოვასა და ბესიკის ხმის გამოძახილთან ერთად გრ. ორბელიანის ლირიკაში პატრიოტული თემატიკა რომანტიული სკოლისათვის დამახასიათებელი სტილიური ხერხებით არის ღამუშავებული.

გრ. ორბელიანს თავისი ლექსების უმეტესი ნაწილი პირველ პერიოდში უწერია. 1832 წლის „შეთქმულების მასალებში აღმოჩნდა მისი ლირიკის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი. ის შეიცავს რილეევის ლექსს „ნალივაიკოს" თარგმანს და ორიგინალურ პოეტურ ფრაგმენტებს. ეს ლექსები, რიცხვით 30-დე, უმთავრესად 1832 წელს არის დაწერილი. უკვე ნობილ ლექსებს შორის 1827—1835 წლების ლექსების რიცხვი 20-დე აღწევს. ამ რიგად, ჩვენამდე ძოლწეულა 50-დე პოეტური ნაწარმოები პირველი პერიოდისა.

პირველ პერიოდს ეკუთვნის აგრეთვე პოემა „სადღეგრძელო"-ს დამუშავება, თარგმანები ჟუკოვსკიდან, კრილოვიდან და სხვ. **პირველი პერიოდი წარმოადგენს ნაყოფიერ ხანას პოეტის მხატვრულ ევოლუციაში.**

1832 წლის შეთქმულებაში გრ. ორბელიანი მონაწილეობას იღებს. არა როგორც აქტიური წევრი, არამედ როგორც შეთქმულთა პოლიტიკური პროგრამის მიმდევარი და როგორც პოეტი-აგიტატორი (ლექსები: „თავისუფლებას". „ნალივაიკოს აღსარება" და სხ.).

1832 წლის შეთქმულების დამარცხებას მოჰყვა ცნობილი „ყაზარმობა", შემდეგ კი სამხედრო სასახური პოლონეთში. მისი მეგობრებიც გადაასახლეს რუსეთს. სხვადასხვა ადგილას.

---

*) ა. ჰ. ერმოლოვის კარგი დამოკიდებულების შესახებ გრ. ორბელიანისადმი ლაპარაკობს აგრეთვე ერთი დოკუმენტი. 1855 წლის 6 ოქტომბრის თარიღით ერმოლოვი სწერს გენ. ვ. ო. ბებუთოვს ბარათს და სთხოვს—გრ. ორბელიანის მეშვეობით მიაწოდოს ფული მის (ერმოლოვის) უკანონო შვილებს, კლავდისა და სოფიოს, რომელნიც ბაშინ დაღისტანში ცხოვრობდენ: „Прикажите отослать их и написать генералу-лейтенанту князю Орбелиани, чтобы доставил Софии 300 р., а 200 руб. матери. Я сам буду писать ему, если только дойдет писмо. Я любил этого вожця, знавши его в полку у покойного брата Петра Николаевича подпоручиком под именем Гриши. Затрудительно сношение с ним и потому решился вас без окоить" (იხ. Ад. Берже: Алексей Петрович Ермолов. Русская Старина, 1872, ტ. V. გვ. 455).

მეორე პერიოდი.

გრ. ორბელიანი საქართველოში ჩამოდის 1838 წელს. ის უკვე საკმაოდ გამოცვლილი, პირობებს შეგუებული და ფრთხილი კარიერისტია. არც ერთი სიტყვა იმ გატაცებაზე. რომელმაც მას ყაზარმის კედლებში ყოფნა არგუნა წილად, არც ერთი საყვედური რუსული მართებლობის მიმართ გადასახლებულ შეთქმულთა ბედის გამო, მოსკოვსა და პეტერბურგს უქმად მსხდომ, მისთვის საყვარელ ბატონიშვილების პატივსაცემად თქმული.

გრ. ორბელიანი შედის საქართველოს გრენად. პოლკში და პოლკ. მ. არღუთინსკის ხელქვევით 1841 წელს ტყვიით უსწორდება გურიის აჯანყებულ გლეხობას. 1843 წელს ინიშნება ავარიის (დაღისტანი) მმართველად და ენერგიულად ატარებს მონარქისტულ-კოლონიალურ პოლიტიკას თავისუფლებისათვის მებრძოლ მთიელებში.

გრ. ორბელიანი იბრძოდა დაღისტანში 15 წლის განმავლობაში და წარმოადგენდა ე. წ. კავკასიის ომის ერთერთს გამოჩენილს მონაწილეს.

ჯერ კიდევ ერმოლოვის მთავარმართებლობისას (1816—1827) დაიწყო გამოფხიზლება მთიელთა ტომებისა. ამათ ენერგიულად მოჰკიდეს ხელი იარაღს და მიმართეს ის რუსული მილიტარიზმის წინააღმდეგ. მკაცრი სარდლის სამხედრო ეკსპედიციებმა ნაყოფი არ გამოიღო: რუსის ჯარის ბატალიონების მიერ დატოვებულ პროვინციებში განადგურებული აულები ახალ ამბოხებებს აწყობდენ, — მთა არ სთმობდა თავის დამოუკიდებლობას!

ამავე ხანებში დაიწყო დაღისტანში რელიგიურ-ნაციონალური ხასიათის მოძრაობა, რომელიც **მურიდიზმის** სახელწოდებით არის ცნობილი. დამპყრობთა მიმართ სიძულვილს მუსლიმანებით დასახლებულ მთაში აძლიერებდა რელიგიური ფანატიზმი და „ბრძოლა ურწმუნოთა წინააღმდეგ“ (ჰაზავატი) გადაიქცა დაღისტნისა და ჩეჩნეთის ხალხის საბრძოლო ლოზუნგად.

ამ მიზეზებმა მოამზადეს ნიადაგი ძლიერი ნაციონალური მოძრაობისათვის დაღისტანში. უფრო გვიან კი ბრძოლისათვის გამაერთიანებელი პროგრამა მთიელებს მისცეს იმამებმა (სამხედრო და სამოქალაქო მეთაურები ფანატიკოსი მუსლიმანებისა): ყ ა ზ ი-მ ო ლ ა მ (მოჰკლეს 1832 წელს). ჰამზად-ბეგმა (მოჰკლეს 1834 წელს) და შ ა მ ი ლ მ ა (გარდ. 1871 წ. მეჭაში). ესენი იყვნენ აჯანყებულ მთიელების მეთაურნი, რომელნიც განსაცვიფრებელი სიმამაცით ებრძოდენ მეფის რუსეთის ბატალიონებს.

გრ. ორბელიანი დაღისტანში ჩავიდა იმ დროს, როცა აჯანყებულ მთიელებს მეთაურობდა ცნობილი იმამი შამილი (1798—1871). მისი დიდი სამხედრო კარიერა დაღისტანში გაიშალა. აღვნიშნოთ მთავარი დატები

(დაწვრ. იხ. „გრ. ორბელიანის ცხოვრების ქრონოლოგიური კანვა“ მე-3 ტომში):

როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, გრ. ორბელიანი ავარიის მმართველად დანიშნეს 1843 წელს. იმავე წლის აგვისტოში მოხდა გრანდიოზული ამბოხება მთელს დაღისტანსა და ჩეჩნეთში, რის შედეგადაც რუსის ჯარმა დაჰკარგა ავარია და კავკასიის მართებლობა იძულებული გახდა დაღისტნის შიდა ტერიტორიები ძლიერი იმამისათვის დაეთმო. რუსის ჯარი დაბანაკდა განაპირა ადგილებში. გრ. ორბელიანი ინიშნება დაღისტნის ერთერთი ასეთი მხარის, მეხთულის სახანოს, გამგებლად (1844 — 1848 წლები).

1843—1848 წლების ბარათებში გრ. ორბელიანი გადმოგვცემს საინტერესო ეპიზოდებს თავისი ბიოგრაფიიდან. ასე მაგ. ჩვენ დღემდე არაფერი ვიცოდით შამილის ნაიბის, ჰაჯი-მურადისა და გრ. ორბელიანის ურთიერთობის შესახებ, ნაიბ აბაქარ-დებირთან შეტაკებაზე და მრ. სხვ.

1845—1847 წლებში ჯარების სარდლად დაღისტანში ითვლებოდა გენ.-ლეიტენანტი ვ. ო. ბებუთოვი, რომლის ხელქვეითმა, გრ. ორბელიანმა მონაწილეობა მიიღო ბევრ მნიშვნელოვან ბრძოლაში მთიელებთან. 1846 წლის 15 ოქტომბერს აულ ქუთიშაში (მეხთულა) შამილის დამარცხებისას ის სარდლობდა ნიჟეგოროდის დრაგუნების 1 და 2 ესკადრონს, რომელთაც პირველად ჩაიგდეს ხელში აული. აულს სხვა ნაიბებთან ერთად იცავდა ჰაჯი-მურადიც, რომლის სიმამაცემ, ვორონცოვის თქმით, „საზღვრები არ იცოდა“.

1846 წელს ჰაჯი-მურადმა მისი რეზიდენციიდან გაიტაცა მეხთულის სახანოს ყოფილი გამგებლის, ახმედ-ხანის ქვრივი ნოხ-ბიქე. გრ. ორბელიანი „სერთუკის ამარა“ გასდევნებია ნაიბს ლამით. ეს საკმაოდ ცნობილი ეპიზოდი კავკასიის ომის მატიანეებს მრავალჯერ აქვთ მოხსენებული (გრ. ორბელიანის ბიოგრაფებს კი ეს საგულისხმო დეტალი ყურადღებიდან გამორჩათ).

1848 წელს გენ. მ. არღუთინსკიმ აიღო შამილის მიერ გამაგრებული აული გერგებილი, რომელიც მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა შიდა დაღისტანში. ამ აულზე იერიშით მისვლამდე გრ. ორბელიანმა დაიკავა გერგებილის მიდამოები და ბაღები, რისთვისაც ებოძა გენ.-მაიორის ხარისხი.

1850 წელს გრ. ორბელიანი დანიშნა „ლეკის ხაზის“ უფროსად.

1851 წელს ჰაჯი-მურადთან ერთად ნადირობდა ზაქათალის ტყეებში; 1853 წელს ებრძვის შამილს კავკასიონის ვიწროებში და მთიელების მოზღვავებული ძალების მოგერიებისათვის მას იმავე წელს მისცეს გენ.-ლეიტენატის ხარისხი.

1854 წელს გრ. ორბელიანი დანიშნეს ყასპიის მხარეთა დროებით გამგებლად და დაღისტნის ჯარების სარდლის მოვალეობათა ამსრულებ-

ლად. 1855 წელს, მ. არღუთინსკის სიკვდილის გამო, ის დაამტკიცეს ამ თანამდებობაზე.

1854 წელს შამილი დაეცა კახეთს. მთიელებმა მისი შვილის, ნაიბ უაზი-მაჰმადის მეთაურობით, წინანდლიდან გაიტაცეს პოლკ. დავით ალექ.-ძე ჭავჭავაძის მეუღლე ანა მცირეწლოვანი შვილებით და გრ. ორბელიანის რძალი (ილია ორბელიანის ქვრივი) ბარბარე პატარა ვაჟით. გაიმართა მოლაპარაკება იმამასა და გრ. ორბელიანს შორის. 1854—1855 წლების ბარათები ამ ეპიზოდს ვრცლად გადმოგვცემს.

1855 წელს გრ. ორბელიანმა გადასწვა ტაბასარანი და ყაითაღი (აღ). დაღისტანი), ხოლო 1857 წელს აიღო შამილის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტები სალათავიაში (დაღ.,): ძველი და ახალი ბურთუნაი. სალათავიის დაპყრობა კავკასიური ომის ისტორიაში ითვლება შამილის ძლიერების განადგურებისათვის გადადგმულ ნაბიჯად *). ამ ეპიზოდს გრ. ორბელიანი დაწვრილებით გადმოგვცემს 1857 წლის ბარათებში და კავკასიის სამხედრო ისტორიისათვის უაღრესად საინტერესო მასალას შეიცავს. ამავე წელს გრ. ორბელიანს ებოძა გენ.-ადიუტანტის ხარისხი. სამხედრო იერარქიის უმაღლეს საფეხურზე ასვლით დამთავრდა მისი სამხედრო კარიერაც: 1858 წლის დასაწყისში გრ. ორბელიანი დაღისტნიდან გადმოიყვანეს ტფილისს სამოქალაქო სამსახურში.

„წერილები"-ს პირველი და მეორე ტომი იძლევა მრავალ ძვირფას ცნობას გრ. ორბელიანის მოღვაწეობის სამხედრო პერიოდის აღსადგენად. ბარათების მხიარული სტრიქონების უკან მოსჩანს მკაცრი გენერალი, რომელსაც არც ერთხელ არ წასცდენია სიბრალულის მამხილებელი სიტყვა და რომელიც თავის ამ სასტიკ მოქმედებას მთიელებისადმი ქართული პატრიოტიზმით ამართლებდა:

მამანი თქვენი
თავის დროს ძენი

---

*) სალათავიის აღებამ გავლენა იქონია ომის შემდგომ მსვლელობაზე. რომ გადაჭარბებულად არ ეჩვენოს მკითხველს ეს ახრი, მოვიყვანთ მოკლე ამონაწერს შამილის ხახინადარის, ჰაჯი-ალის მოგონებიდან: „Народ говорил, что этот год принадлежит князю Орбелиани, а потому нет пользы сражаться с ним. Потеря в Кишен-Аухе и Буртунае простиралась до 300 убитими и 450 ранеными. Убито три храбрых наиба: Гитинау, наиб Гидатля, Шамхал, наиб Тиндалала и Богалала, и Исмаил, наиб Технуцала. Ни в каком походе не было убито столько наибов. С постройкою крепости Буртуная, дела Шамиля начали клониться к упадку. Русские никогда не, могли-бы придти в Ведено, если-бы не построили предварительно укрепления в Буртунае. После построики русскими укрепления в Буртунае, Шамиля можно было уподобить овце, схваченной волком за шею и потерявшей всякую надежду на спасение" (იხ. Сказание очевидца о Шамиле, Гаджи-Али, перевод с арабского. „Сб. свед. о Кавказских горцах, ტფ. 1873, VII, გვ. 51). რუსი სამხედრო ისტორიკოსებიც ერთხმად აღიარებენ სალათავიის დაპყრობის უდიდეს მნიშვნელობას კავკასიური ომის ისტორიაში (დაწვრ. იხ. II ტომის კომენტარიებში).

თავის დროს იყუნენ სახელოვანნი,
ოსმალ სპარსები,
დაღისტნის მთები
ქებით გეტყვიან დიდთა მათ საქმეთ!

ასე უპასუხებდა გრ. ორბელიანი „შვილებს“, რომელნიც ცუდ დამსახურებად უთვლიდენ „მამებს“ სამხედრო დამსახურებას რუსეთის იმპერატორის წინაშე.

5

გრ. ორბელიანის შემოქმედების ევოლუციაზე უთუოდ მოახდინა გავლენა მისმა ბიოგრაფიამ: მეორე პერიოდი მისი მოღვაწეობისა ლიტერატურული სიჩუმით ხასიათდება.

აი წლები და ლექსები:

1839 წ. — „ჩემი ეპიტაფია“, „№-ს“; 1840 წ. — „ალბომში ლრ... ოპ...“, „№-ს“; 1841 — 2 წ. წ. — ა რ უ წ ე რ ი ა; 1843 წ. — „ჰეი გონებავ“, უთარიღო „იმედს“; 1844—1846 წ. — ა რ უ წ ე რ ი ა; 1847 წ. — „სიცოცხლევ ფუჭო“. 1848 — 50 წ. წ. — ა რ უ წ ე რ ი ა; 1851 წ. — „მოგონება“.

სამხედრო და სამოქალაქო საქმეებით გართული სარდალი ნაკლებად იცლის პოეზიისათვის!

სამაგიეროდ გრ. ორბელიანი იმპერიაში ცნობილი გენერალი იყო. 1859 წელს მან ინახულა იმპერატორი ალექსანდრე მე-2 პეტერბურგში და 1832 წლის შეთქმულების ყოფილი მონაწილე, რომელიც ოდესლაც ბაგრატიონთა ღერბის აღდგენაზე ოცნებობდა, შინაურად გრძნობს თავს რუსეთის მონარქის კარზე. იმავე წელს გაიცნო მან პეტერბურგში შამილი და გაოცებული დარჩა მისი „სიდარბაისლით“. ორი ცნობილი მოქიშპე პეტერბურგში გამოეცნაურენ ერთმანეთს, როგორც რუსეთის ქვეშევრდომნი.

გრ. ორბელიანი უფრო ადრე სრულიად არა რომანტიულად უცქეროდა შამილს. მის წერილებში არა ერთხელ ირონიულადაა მოხსენებული გენიალური მთიელი. შესაძლოა ეს გასაგებიც იყოს, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ორბელიანი მონაწილე იყო კავკასიის ომისა და არ შეეძლო გაზვიადებული წარმოდგენა ჰქონოდა თავის მოპირდაპირეზე. მაგრამ არც ეს არის საკმარისი:

ერთერთ წერილში ვორონცოვისადმი ა. ი. ბარიატინსკი (კავკასიის მთავარმართებელი, რომელმაც დაატყვევა შამილი გუნიბში 1859 წელს) შამილს უწოდებს „ს ა ა მ ა ყ ო მ ტ ე რ ს“. მთელი ევროპული პრესა აღფრთოვანებული იყო „უდიდესი იმამის“ ბრძოლით, რომელმაც შესძლო 25 წელი გამაგრებოდა დიდი რუსეთის ბატალიონებს. სკეპტიკოსი პლა-

ტონ იოსელიანი, რომელსაც არც გრ. ორბელიანი დასწამებდა რუსული ძძართებლობისადმი ორგულობას, ასე აფასებდა კავკასიურ ომს და ამ ომონაწილეებს:

„Очен жаль, если не соберутся великие имена свободы Дагестанской, свободы Галлов до Кесаря, свободы азиатской Швейцарии для потомства и истории. Желательно, чтоб героям горной войны Кавказской Илиады в продолжение многих десятков лет, была бы отдана должая честь"*).

ყოველივე ამის შემდეგ ცხადია, რომ თავისი ცხოვრების მეორე პერიოდში გრ. ორბელიანი შეგნებულ მონარქისტად გვევლინება. საძხედრო ოპერაციების დროს ის მისდევს თავისი ძასწავლებლისა და გამწვრთნელის, გენერალ მოსე არღუთინსკის, ბრძოლის სტილს: გათენებისას ანთებს ჩირაღდნებს დაღისტნის ხეობებში და იერიშზე მიჰყავს თავისი პოლკი. ხარბაზნის ქუხილის შეწყვეტის უმალ ის უბრძანებს მაგიდას და სწერს მოკითხვის ბარათებს, სადაც მეტწილად მოთხრობილია მთიელთა ამოხოცვისა, ათასწლოვან ტყეების გაკაფვისა და თოვლით დაფარულ ბილიკებზე ჯარით გადასვლის ეპიზოდები.

„წერილები"-ს პირველი და მეორე ტომი ახასიათებენ მისი მოღვაწეობის სამხედრო პერიოდს.

6

მესამე პერიოდი.

1858 წლის დასაწყისში გრ. ორბელიანი დაღისტნიდან გადმოიყვანეს ტფილისში. ჟურნ. „ცისკარი" მას მიესალმება რედაქტორის, ივ. კერესელიძის ლექსით, სადაც, სხვათა შორის, ასეთი სტროფი გვხვდება:

მომესმა მოსვლა ტფილისს ქალაქსა თქვენი გრიგორი!
გაბშორდი კავკასს, მისთა საფრთხეთა სად გმირთ ესწორი,
მუსრე შამილის მწყობრი და რახმი, მთანი და გორი,
სიმართლით ვიტყვი ამათ ყოველ-თა არ არის ეგორი**).

1859 წელს პოეტი ორი თვით ასრულებდა კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობას. ამის შემდეგ მას ტფილისის გუბერნატორის თანამდებობა ეჭირა. 1861 წელს მისცეს ინფანტერიის გენერლის ხარისხი. 1860—1862 წლებში მეორედ ასრულებდა მეფის-ნაცვალის მოვალეობას. 1871 წელს გადაიხადეს მისი სამხედრო-ადმინისტრაციული მოღვაწეობის იუბილე. ალექსანდრე მეორემ მიულოცა მას ოფიცრის ბრწყინვალე კარიერის ეს დღესასწაული და უბოძა ანდრია პირველწოდებულის ორდენი — უმაღლესი ჯილდო იმპერიაში.

*) Пл. Иоселиани: Путевые записки по Дагестану в 1861 году. ტფილისი, 1862 გვ. 63.

**) იხ. ცისკარი, 1858 წ მაისი. გვ. 3—4.

60-ან წლებში იწყება ე. წ. „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლა ქართულ ლიტერატურაში. გრ. ორბელიანი ამ ბრძოლაში უკიდურესი არქაისტების პლეადას მეთაურობს. 70-ანი წლებიდან იწყება მისი ლიტერატურული გამოფხიზლება.

არქაისტული პოეტიკის დაცვამ მისი 80-ანი წლების ბარათების ენაზედაც იქონია გავლენა: ამ ბარათებში გართულებულია როგორც სინტაქსი, ისე ორთოგრაფიაც (50-ანი წლების ბარათები გაცილებით უფრო მარტივი ენით არის ნაწერი).

გრ. ორბელიანმა თავისი ცხოვრების მესამე პერიოდში იგრძნო განსაკუთრებით ყაფლანიანთა გვარის აგონია. 70-ნი და 80-ანი წლების ბარათები სავსეა გოდებით ქართული არისტოკრატიის დაკარგულ დიდებაზე. მის გადაგვარებასა და ტფილისის იერის შეცვლაზე. ქართულ ლიტერატურაში არ მოიპოვება მეორე მწერალი, რომელსაც ასეთი სიმძაფრით ეგრძნოს მოახლოებული კატასტროფა და რომელსაც ასეთი მოუსვენრობით მოეთხროს ამ კატასტროფით გამოწვეულ შიშის შესახებ.

ტაბახმელის გამშვირვალე ჰაერი მხოლოდ ნაწილობრივ თუ აწყნარებს მას:

> „გუშინ და დღეს გამოიდარა, ჯამბრწყინდა მზე, ჯათბა ჰაერი შეიქმნა მშვენიერი, გრილი, რბილი, ნებიერი, გამაცოცხლებელი, და მეცა დავეხეტები მარტო მინდორში და ფიქრები ჰრბიან ისევ წასულთ წელიწადებისაკენ, როცა გვიხაროდა სიცოცხლე და მოველოდით მჯხთალ სოფლისაგან, ვინ იცის რეებსა“ (საქ. არქ. № 175. ბარათი ისაკ თუმანიშვილისადმი 1878 წ. თარ.).

მისი მეგობრებიდან — „ზოგნი სამუდამო ძილს მისცემიან დაღისტნის ვიწროებში“, ზოგნი ღრმა მოხუცებულობაში სწერენ მას ბარათებს რუსეთის სხვადასხვა ადგილებიდან: კავკასია. ეს „ეებერთელა დრაკონი“, გაუნძრევლად წევს და მას უკვირს — ძინავს თუ მართლა მომკვდარა. დაღისტნის ხეობებში ბილიკების ნაცვლად ფართო გზები გაუყვანიათ, „გუნიბს ეტლები მიჰქრიან“! ყველაფერი ეს ზმანება უფრო იყო ოფიცრისათვის, ვიდრე სინამდვილე. მოგონებანი. რომელნიც გრ. ორბელიანს შამილთან ბრძოლიდან გამოჰყვა, ძველი გენერლისათვის გასაგებ ერუანტელს ჰგვრიდენ მას სიცოცხლის უკანასკნელ წლებში.

1877 წელს გრ. ორბელიანი სწერდა გენერ. ნიკო ჭავჭავაძეს თავისი შთაბეჭდილების შესახებ ერთი ნადიმის გამო:

> „ნეტავ ეს ლეკური მაინც დარჩეს ჩუენის საბრალო ქართველობისგან, რომელიც ასე ადვილად და დაუდევნელად იცვლის თავის ლამაზსა ფერსა“ (იქვე).

1878 წელს გარდაეცვალა მას სიყრმის მეგობარი ყაფლან ორბელიანი. ამ მწუხარების გამო იმავე წლის 24 აგვისტოს ის სწერდა ძალუა სოფიოს:

> „ჩუენს ქუჩაში, ჩემის ბიძაშვილების მაგიერ ჩამოეთესლენ პოლოხოვები აბონიანცები; ფიტარეთი, ჩუენის მამაპაპების სასაფლაო, უფალს თაიროვს გაუხდია

ცხოვრების ფარეხად!! ჩემის სიბერის უკანასკნელთა დღეთა მიმწარებს ესე ვინ-
�ელი ფიქრი ჩუენის ოჯახისათვის.

ჰეი სოფელო დაუნდობელო,
შენში კეთილი სად არს ფერ-უცულელ!
დიდება ჩუენი
ცად სხივ-მიმფენი
ნუ თუ ესღა გუაქუს, ვჰხედავ რასაცა!.." (საქ. არქ. 175).

გრ. ორბელიანმა მწვავედ იგრძნო ის მძიმე ხეედრი, რომელიც მონარქიული რუსეთის ბატონობამ შექმნა კავკასიაში. ეს მართლაც ბედის ირონია იყო: ორბელიანმა თითქმის მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა იმ პოლიტიკური სისტემის დამკვიდრებას, რომლის ანალიზმა მას 1880 წელს ასეთი დასკვნა გამოიტანია:

„Мы погибнем, но пусть знают, что нас не заменят, ни татарские беки, ни пришлые Персо-Турецкие Армяне, наполнившие Грузию и здесь разбогатевшие, ни даже Русское Чиновничество, неподражаемое в умении вселять к себе ненависть народов" (წერილი ნიკო ჭავჭავაძისადმი ტაბახმელიდან, Q 155 /B).

ამაზე უფრო მკაცრი განაჩენი არავის გამოუტანია საკუთარი გვარისა და თავის დროის შესახებ გასული საუკუნის მეორე ნახევარში.

გრიგოლ ორბელიანი გარდაიცვალა 1883 წლის 21 მარტს. მისი დასაფლავება კარგად აქვს აღწერილი იონა მეუნარგიას თავის მონოგრაფიაში.

7

გრ. ორბელიანის წერილები უფრო ცხოვრების დოკუმენტებია, ვიდრე პროფესიონალი მწერლის ბარათები. გრ. ორბელიანს ალბათ არც წარმოედგინა თუ ისინი ოდესმე დაიბეჭდებოდა. ამიტომ სტილის სისუფთავისათვის ყურადღება არ მიუქცევია, ბარათები სავსეა ლექსიკური რუსიციზმებით, ზოგჯერ ვულგარული გამოთქმებითაც კი. ცხადია, ეს ბარათები, სტილის მხრით, ვერ შეედრება ეპისტოლარული ლიტერატურის ისეთ შედევრებს, როგორიცაა მაგალ. ფლობერის წერილები. კერძოდ ლიტერატურა გრ. ორბელიანის მოკითხვის ბარათებიდან სავსებით განდევნილია.

მაგრამ გრ. ორბელიანის წერილებს აქვს უეჭველი ღირსებებიც, ძაგ ჰუმორი,—ბარათები ამყოვანებენ ავტორის გონება-მახვილობას, რომელიც ასე ცნობილი ყოფილა მის მახლობლებში.

წერილები უმთავრესად საინტერესოა მით, რომ ააშკარავებს უალრესად საინტერესო ეპიზოდებით მდიდარ ცხოვრებას. გრ. ორბელიანის ბიოგრაფიაში ბევრია ისეთი შტრიხი, რომელსაც პირველად გადმოგვცემს

მისი წერილები და რომელსაც შეუძლია გაამდიდროს პოეტის მომავალი ?ოგრაფის ან კავკასიური ომის ისტორიის მასალებზე მოუშავე მწერლის ნაშრომები.

აკ. გაწერელია

რადგანაც პირველსა და მეორე ტომში შემავალი წერილები, შინაარსის მხრით, ერთსადაიმავე ისტორიულ-გეოგრაფიულ არეშია მოქცეული, ჩვენ ვარჩიეთ ორივე ტომისათვის საერთო საძიებლები გავაკეთებინოთ მომავალში (საძიებლები დაიბეჭდება მეორე ტომში, იქვე იქნება მოთავსებული დაღისტნის ისტორ. რუკა, რომელიც ამ წიგნში უნდა დაბეჭდილიყო).

ამ ტექნიკური სამუშაოს შეუსრულებლობა გამოიწვია აგრეთვე პირველი ტომის დაბეჭდვის ძალზე დაგვიანებამ.

გულითად მადლობას მოვახსენებ იმ პირთ, რომლებმაც ხელი შემიწყეს წერილების გამოქვეყნების საქმეში: პოეტ **ნ. მიწიშვილს, ლ. გასვიანს, კ. გორდელაძეს** და **შ. რადიანს**, საქ. მუზ. თანამშრომელს **გ. ბოჭორიძეს** და ჩემს მეგობარს **ალ. ლორდელს**, რომელსაც განსაკუთრებით დიდი შრომა აქვს გაწეული ამ წიგნზე.

ა. ბ.

წერილები

1832—1850

1832

1. მარიამ დედოფლისადმი (1)

უმაღლესო დედოფალო

უმოწყალესო ხელმწიფავ!

მოგილოცავთ მომავალს დღესასწაულს, უფალმან მრავალი ესრეთ განგატარებინოსთ სიმთელით და თქვენის სურვილის აღსრულებასა შ"ა.

ვიცი რომ ჩემი მწყალობელი ბრძანდებით; ამისთვის ჩემს ანბავს გაგიბედავთ მოსახსენებლად. — ამ ზამთარსაც აქ დამაშთინეს, არ გამისტუმრეს საქართველოში. ჩემს ღენერალს (2) ასე ეგონა, რომ მთელი ზამთარი დავრჩებოდი პეტერბურღში, ამის მიზეზით ვიდრე მე აქ მოვიდოდი სხუა აფიცრები დაენიშნათ გასაგზავნად. — ძალიან შეჰვსწუხდი, მაგრამ რაღას უშველოდი. — ეს უფრო მაწუხებს, რომ ვგრძნობ თუ ვითარ აქაური ჰაერი ჩემთვის მავნებელ-არს. — რაც აქ გიახელ სულ ავათ გახლავართ გულისტკივილით, და ხველებით, ამასწინათ სისხლიც გამომიშვეს, და ახლა ღ"თის მოწყალებით უკეთ გახლავარ.—

ამასწინათ ჩემი ძმის (3) წერ.ილი მომივიდა, რომელშიაცა უმდაბლესი თაყვანისცემა მოგახსენათ, ტბილისში ჩასულა ოტპუსკში და არზაც მიურთმევია საქართველოს ჯარში გადასვლისათვის.

სხვებრ გთხოვთ უმაღლესო დედოფალო! რათა მიიღოთ უმდაბლესი თაყუანისცემა ჩემი და წერილითა თქუენითა ოდესმე გამაბედნიერებდეთ.

2. გიორგი ავალიშვილისადმი

თქვენო ბრწყინვალებავ!

უმოწყალესო ხელმწიფევ

კნიაზო გიორგი იოანესძევ! (1)

ფრიად ვგრძნობ, თუ რაოდენ ვარ წინაშე თქვენსა ბრალეულ, რომელ ესოდენსა დროსა მხოლოდ პირველი წერილი არის ესე თქუენდა ჩემმ"რ მორთმეული, მაშინ ოდესცა ვიცი მამობრივი თქვენი ჩემდა სიყუარული.—

ნულარ შემრისხავთ, სინდისი ჩემი საკმაოდ მტანჯავს, და სრულიად დარწმუნებულ ვარ, რომელ არცა გული და არცა ჰაზრი თქვენი ჩემზედა არა შეიცვლების მოუწერლობითა ჩემითა, რომელიცა წინააღმდეგ ქეშ: ჩემის პატ.

პეტერბურღსა შ-ა დაჰვყავ ოთხი თვე. დროსა ამას ვმეცადინებდი ხილვასა ყოვლისა რაჲცა იყო ღირსახილველ. ვიყავ ნათლისღებას სასახლეში დროსა დიდებულებითის ცერემონიით გამოსვლასა ხელმწიფისა. ვნახე უძვირფასესნი გორნის კორპუსნი (2) და კუნცკამორა (3), მარამა აღარ დამცალდა ხილვა ერმიტაჟისა (4), თუმცა სასახლის მასკარადის დროს შეიძლებოდა; მარამ ფ-დ ერის სიმრავლესა ვეღარ გავახწიე. უმეტეს ორმოცათასისა იყუნენ შეკრებილნი; იმპერატორიცა მას ღამეს იყო მორთული რუსულის სარაფინით და თავზე ძვირფასის კოკოშნიკით, რომელიცა ცეცხლებრ ეგზნებოდა. — მრავალჯერ ვიყავ თეატრშიც, მარამა მოსკოვის თეატრი არს უმჯობეს ძვირფასის შენობითა და სიდიდითა (5). კაზანსკის სობორო (6), სადაცა ხ'ზირად ვიდოდი წირვაზე, არს ერთი უდიდებულესთა შენობათაგანი, რომელნიცა შეამკობენ პეტერბურღს. ყოველივე აღწერა ქალაქისა ამის იქმნების სუ'ტ და მას ვისაცა არა უხილავს ვერა მიჰსცემს სრულიადსა ცნობასა მის მშვენიერებისა და დაწყობილებისასა.

მარიამ დედოფალმან და ბატონიშვილმა (7) მიმიღეს სიყუარულით. ღ-თმან აცოცხლოსთ.

გარეშე პეტერბულისა კორანიენბაუმს, სტრელნის, პეტერღოფს, ცარსკის სელოს, სადაც სასახლე საყდარითურთ არის ფ-დ უდიდებულესი და მეორე შ-დ ზიმნი დვორეცისა (8). — მარამა ყოველივე ესე ვიხილე ზამთარში ოდესცა ლარებელნი (sic) და თოვლი ჰფარვიდა თვალთაგან ლამაზთა ადგილებსთა, მდებარეობათა. — ვის არ უქიენ პეტერბურღი, მარამა საშინელი ყინვა, მარად მოღურბლული ცა, მზისა დაკარგვა და სიმოკლე დღისა, იყუნენ ფრიად შემაწუხებელ ჩემთვის. — აქა ბუნება არის მკუდარ, მარამ ხელოვნებითა განდივიძებულად *).

[რადგანაც ღვარდიას მოელოდნენ, ამისთვის ჩუენი პოლკი ესე იგი ობრაზცოვის პეხოტნისა თებერვალში გამოვიდა პეტერბუღით და რამბოვით (?) და აწ ვდგევართ ნოვღოროდის სიახლოეს].

ხელმწიფეს (9) ფრიად მოეწონა ჩუნნი **) სალდათნი და გვიბრძანა დიდი მადლობა აფიცართა და დაგუნიშნა ობრაზცოვის პეხოტნის პოლკში, რომელიცა იდგა პეტერბულის გარეშე სიახლოესა, — სადაცა აწ ვიმყოფებით.

[გზიდამ წაველ ღრაფ არაკჩეევის (10) სოფლის ღრუზდინოს სახილველად და მის სასახლისა. — ღრაფი იყო შინ და მოგუცა ნება ხილვად. — საყდარი, ბიბლიოტეკა და ბოლნიცა არის ფრიად მდიდრად შემკობილი. ერთის სიტყვით მოგახსენებ, რომ ხელმწიფურად ჰსცხოვრებს.

*) ჭნდა იყოს „ჯანღვიძებულად". **) უნდა იყოს „ჩუენნი".

ბევრჯელ ვინატრე, ნეტავი მეც ასე ვიყო გაგდებულ. — საყდარში არის შენახული ალექსანდრე ხელმწიფის მუნდირი. — მდინარის სიახლოეს არს განგებ გამოქვაბული კედელი, სადაცა ძევს მცირედი დაძველებული ნავი ნიჩბებით.—კედელზე არს მიკრული თუჯის ფიცარი ოქროს ასოებით დაწერილი, რომ თვით ალექსანდრე ხელმწიფემ პ˙ლს მოსვლაზე ამა სოფელში, ამ ნავით მდინარეს ფიალზოვსა (?), ღრაფ არაკჩეევი და ღოფმარშალი ღრაფ ტოლსტოი. ვინცა შემუსროს ნავი ესე იყოს წყეულ! —] *).

3. ბატონიშვილისადმი (?) (1)

უგანათლებულესო მეფის ასულო

უმოწყალესო ხელმწიფავ!

მოგილოცავთ მომავალს დღესასწაულს. ღ˙თმან მრავალი ესრეთი განგატარებინოსთ ბედნიერებით და სიამოვნებით. ვიცი, მიწყრებით, რომ კიდევ ვერ აღვასრულე ჩემი აღთქმა მალე თქუენდა წერილის მორთმევისა; მარამა თუ კი ჰსცნობთ მიზეზსა, მაშინ კი აღარ შემრისხავთ. — აქ რომ გიახელ, იმედი მქონდა, რომ საქართველოში გამისტუმრებდენ, მაგრამა მანამ აქ (2) მოვიდოდი, უკუე სხუა აფიცრები დაენიშნა ღენერალს (3), რომელსაცა ეგონა, რომ მთელი ზამთარი დავრჩებოდი პეტერბურღში. — ამ ამბავმა ასე შემაწუხა, რომ მესამეს დღესვე ავათ გავხდი, დამაწყებინა საშინლად გშენა და ხველა, რომელმანცა კინაღამ დამახრჩო. — ღენერალმა გამომიგზავნა ნათესავი თვისი დოხტორი, გამომიშვეს სისხლი, გულზე დამაკრეს კიდევ პლასტერი და ეხლა ღ˙თის მოწყალებით მოვსულიერდი, თუმცა ქშენა ცოტად კიდევ მაქუს. — თუმცა მწყინს ძალიან აქ დაშთენა, მარამა რა ვჰქნა, უნდა მოთმინებითა ვჰსძლიო ბედი ჩემი, და ჩემს თავს ამით ვჰსცემ ნუგეშსა, რომ გაზაფხულზე და ან უფრო ადრე მეღირსება ხილვა თქუენი. — ახ ბატონისშვილო, რად გიცანით, რადა ხართ კეთილნი გულითა და ესრეთ ჩემი მწყალობელნი. — როგორ არ მომაგონდეს ოხვრითა, მარამა ამპარტავნებითა, თუ ვითარ ბატონები თავმდაბლობით მობრძანდებოდენ ჩემ სანახავად ავათმყოფობის დროს. — რამდეჯერ გაფიქრებული გიმზერდითრა ვამბობდი ჩემს გულში: თქვენ ვინ? მე ვინ და ჩვენი ყოფნა სად? —

ამასწინად შინიდამ წიგნი მომივიდა მარამა დიდისხნისა იყო!—ჩემი ძმა ზაქარიაც (4) იქ მისულა ოტპუსკში. ერთბაშად ბევრნი შეიყარნენ ტბილისში განათლებულნი; ამ სახელით უწოდებენ პეტერბულიდამ მისულსა. — ახალს ანბავს არაფერს მწერენ. — ბატონებს დედაჩემი (5) უმდაბლესად თაყვანისცემას მოახსენებს.

*) ფრჩხილებში ჩასმული აბზაცები ავტორს მჭრალი ფანქრით გადაუსაზავს. თვითონ ბარათიც ფანქრით არის ნაწერი.

აქაურს ანბავს მოიხსენებთ, დიდი ბალეგია ნოვგოროდში. მეც დაპატიჟებული ვიყავ ნიკოლოზობას მარამა ავათმყოფისაგამო *) ვერ წაველ. — ოცდაათამდის ქალები ყოფილან, და კაცები კი სულ ვოენნები. — ამას განგებ გწერთ, ამიტომ რომ ამ ბაიყუშს ადგილს სხვა არა ისმისრა. — თქუენს მხარეს რა ისმის ბრძოლისათვის, სულთავმხუთავები როგორ არიან, ან ინგლისები; ხომ არ მორიგებულან როგორმე (6).—

მარტოობა და უქმობა მკლვენ. თუ გახლდესთ, მიბოძეთ წასაკითხავად წიგნები. ამა წერილის მომტანს გამოატანეთ. —

სხვებრ გთხოვთ უმორჩილესად რომ წერილითა თქუენითა ხანდახან გამაბედნიერებდეთ.

---

*) უ. ი. „ავადმყოფობისა გამო“.

გრიგოლ ორბელიანის ფაქსიმილე (1833 წ.).

1833

4. ზაქარია ორბელიანისადმი

თბილისი 11-სა სექტემბრის 1833 წელს (1).

საყუარელო ძმაო ჩემო ზაქარიავ!

ღმერთსა ენება მოვლენა თავსაზედა ჩუენსა უბედურებისა, რომლისაცა მიძნელდება მოწერა (2). თვალნი მევსებიან ცრემლითა, მარამა დამალვაცა შენგან შეუძლებელია. — დედა ჩუენი არღა არს ამა სოფელსა. — ღ~თი და გონება შენი იყოს შენდა ნუგეშისმცემელად.—

საშინელისა უბედურებისაგან, რომლისა გამო ვიყავ აქამომდის შეპყრობილ, თუმცა განვთავისუფლდი, მარამა მთავარმართებლის (3) ბრძანებით ლინიაზე უნდა წავიდე რომელსამე პოლკში პრიკომანდიროვად დრომდის (4). — მთავარმართებელი ფრიად კეთილი და მზრუნველია საქართველოსათვის. — მან მიბრძანა შენი აქ გადმოყვანა მალე, და მეც მაძლევს რამდენსამე დროს აქ ყოფნისას, ვიდრე სახლის საქმეთ გავარიგებდე. — ეგრეთვე ნაჩალნიკმაც შტაბისამ (5) მითხრა ესრეთი ნება მთავარმართებლისა, და თუ როგორმე დაგვიანდა შენი გადმოყვანა, შენ ადვილად შეგიძლიან, რომ ვოლხოვსკის (6) მოჰსწერო და მოაგონო და აქაც მრავალნი არიან მცდელნი შენის აქ გადმოყვანისა, თუმცა ესენი თითქმის საჭირონიც არ არიან. ასე რიგათ იმედიანათ მიბრძანა მთავარმართებელმა.

ჩუენის სახლისას მოიხსენებ. საწყალს დედა ჩვენს აუღია ხაზინიდამ სამასი თუმანი და ვალებში დაურიგებია და ეგრეთვე გირაოების გამოსახსნელად, და ეგრეთვე მამაძაღლის ოთარისა (7) დარჩომილა ას თუმნამდის. — ვალი ჩვენი ესოდენია. — ხაზინაში არის შეტანილი ცხრაასის

თუმნის ზალოღა სამ წლობით, მარამა შემდეგაც შეიძლება ადვილად ვადის მოთხოვნა. რვაასის თუმნის ზალოღაც შანშიევისთვის (ᵒ) მიუცია, რომელმანცა უნდა წელიწადში ოცდა ხუთი თუმანი შეიტანოს ჩუენ მაგიერ ხაზინაში, ეგრეთვე სამწლობით. —

ჩემი რჩევა ეს არის, რომ თუ კი კარგს ფასს მოგვცემენ ჯოხაძეები გავყიდოთ, და ოთარ მოვიშოროთ, და რაც დაჰშთება სარგებლით გაიცეს, და მის სარგებელი ხაზინაში შევიდეს, ასე რომ რამდენსამე წელს უკან ხაზინის ვალი სრულიად გადაწყდება და ის ფულიც ჩვენვე დაგვრჩება. — მარამა თუ ღ˜თი ინებებს შენს მალე აქ მოსელას, შენ თვით რაც მოიმჯობინო, ისე განაგე. — თუ შეიძლება გაუყიდავად რისამე, ვალის გადაწყვეტა უმჯობესი იქმნება, და თუ არა, რაც მალე ხელს მივჰყოფთ ვალის მოშორებას ის უკეთესი იქმნება. —

რაც რამ დაჰშთა შ˜დ დედის სიკვდილისა, სულ ანუსხულია ჩემგან და აქ დარჩომილი. —

სხვებრ იყავ მშვიდობით და ნუ შეჰსწუხდები ფრიად, ღ˜თი მოწყალეა. ყოველივე კეთილად შეიცვლება, გარდა დედის ჩვენის სიკვდილისა. — დავშთები.

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი.

ილიამ (ᵘ) მოკითხვა მოგახსენა.—

1 8 3 4

5. ზაქარია ორბელიანისადმი

უსაყუარლესო ძმაო ზაქარიავ!

წუხელის მოველ კაზანსკის სტანიცაში (1) დიდის წვალებით. გზა არის საძაგელი, ცხენები დახოცილნი. იფიქრე, თოთხმეტი დღეა, რა სტავროპოლიდამ (2) გამოველ და ჯერ ყაზახების მამული არ გამივლია. — დიდს განსაცდელს გადურჩი დონზე (3) გამოსვლის დროს, ხარებობის წინა ღამეს, თერთმეტი ვერსი წყლით ვიარე. საზარელმა ქარმა მოგვასწრო შუა წყალზე და რა მოვახლოვდით აქსაის (4), ნავი გადმოგვიბრუნდა, იმდროს შემოცურდენ ყაზახები ნავებით, და გამოგვიყვანეს ცოცხალნი. — ვმადლობ ღ-თსა ჩუენის დახსნისათვის და არა ვჩივი შინლისა, ერთის ზანდუკისა ტანისამოსით და ხმლისა დაკარგვასა. — ჩემი პატარა ნინიკა (5) არ ვიცი როგორ მორჩა. — ცხადად ვხედავ, რომ უხილავი ძალა მფარავს მარჯვენითა თვისითა ყოველთა განსაცდელთაგან. — გეთაყვანე პირიღ-თისას ანჩხატში აუნთე სანთელი შენა, და ეფემიამ (6) სიონის ღ-თის მშობელსა. — სასაცილო ფიქრი მომივიდა იმდროს, როცა ვიხრჩობოდი, — ვამბობდი ჩემს გულში, სადარის ყაფლან (7), რომ ჰუტნაღაღით ეხლა დაჰყვეს მეთქი. მიკვირს რა დროს ეს ფიქრი იყო. — მელიტონ (8) და ეფემია თავის შვილებით დამიკოცნე. ილიკოს (9) სიყვარულით ვაკოცებ. — ბიძიები და ძალუები მომიკითხე. — მომწერე პირდაპირ ლიფლანდიაში ქალაქს ვ ე ნ დ ე ნ ს (10), ნევსკის მორსკის პოლკში, და ნუ მოიცდი ჩემს იქ მისვლას, შენ ახლავე გაგზავნე იქ წერილი. — მშვიდობით ჩემო ზაქარიავჯან!

შენი გ რ ი გ ო ლ ორ ბ ე ლ ი ა ნ ი

2-სა აპრილსა ყ ა ზ ა ნ ს კ ი ს სტ ა ნ ი ც ა

ძალუები ანნა ([11]) და მანანა ([12]), მამიდა ელისაბედ ([13]), ელენა ([14]) და მაიკოები ([15]) მომიკითხე სიყუარულით. — ვეშურები მოწერას. — არ ვიცი სტავროპოლიდამ მოგვივიდა, თუ არა ჩემი წიგნი. —

დედა ([16]) დედაშვილურად მომიკითხე. ეგრეთვე გეუა ([17]) და ჩუენი მოსამსახურები ([18]).

(. . . . .) იქნება არ დამიჯერებთ, რომ 15 მანათის მეტი არა მაქუს. — არა და შენ იცი. —

6. ილია ორბელიანისადმი

ჩემო საყუარელო ილიკო! რა წამოველ შენგან ერთის მეტი წერილი არ მომსვლია. მიზეზი შენის სიზარმაცეს მეტი, არა არისრა. — თუმცა ზაქარია ([1]) მწერდა შენს ანბავსაც, მაგრამ მე შენი წერილი მიამება. — შემატყობინე როგორა გაქუს ფეხი, მოგირჩა თუ არა, და ან ხომ არა კოჭლობ. — ილიკოჯან! ჰსწავლაზედ ხომ ხელი არაიღე. — შენმა გაზდამ, რომ ნემენცურის ენის უცოდნობა ძალიან ბევრს მაკლებს მე, და ეხლა სიბერის დროს მინდა მისი ჰსწავლა, მაგრამ ვჰგრძნობ რომ ჰსწავლის დრო წასულა. — შენის ბედნიერებისათვის არ უნდა დაჰკარგო არცა ერთი დღე, არცა ერთი ჟამი უსწავლოდ, თორემ ვეღარ მოეწევი მასუკან. — ნუ მიხედავ მათ, რომელნიცა უსწავლელნი არიან ბედნიერებაში. — შენ, ილიკო! რადგანაც ხარ სამსახურში, ამისთვის მიაპყარ გონება მათემატიკას, (თუმცა შენ ხარ მტერი მისი) და ისტორიას ღეოღრაფიითურთ. — იკითხე გონების მიდევნით жизнь великих людей и полководцев как древных так и новейших времен ([2]). — მაგრამ კითხუასაც თაფაუთი აქუს. — უმეტესი ნაწილი ყმაწვილკაცთა კითხულობს დროს გატარებისათვის. ეს არის ცუდი. — ნურაოდეს ნუ იკითხავ ზემოხსენებულთა წიგნთა დროს გასატარებლად. — მაშინ იქნება კითხვა სასარგებლოდ, როდესაც ჰკითხავ შენს თავსა, წაიკითხავრა რამდენსამე ფურცელსა, ანუ ერთსა ფავსა, თუ რაჲ წაიკითხე? — ერთის სიტყვით როდესაც უზამ ეგზამენს შენსა თავსა იმაში, რაც წაგიკითხავს, მაშინ კითხვა იქნება სასარგებლოდ და წაკითხულიც დაგრჩება გონებაში. — После сих книг позволяется читать романы, но только со времен Вальтера Скота ([3]) т: е: историческия; а до него всё вздор и редкий из них достоин чтения. — Занимайся рисованьем, а более историею, которая необходима для военного человека. — თუ გინდა ბედნიერება თავისა შენისა უნდა ასე მოიქცე და მაშინ ეჰვი ნუ გაქუს, რომ მართლად ბედნიერი იქნები, ამიტომ რომ გეცოდინება მაშინ შენ შენი ხელობა. — ყოველს წერილში ამისთანაებს იმიტომ გწერ, რომ მიყუარხარ შენმა გაზდამ, და შენი ბედნიერება მიმაჩნია ჩემად საკუთრად. — თითქმის ყოველნი ყმაწვილკაცნი გამოვლენრა შკო-

ილია ოტაბელიანი

ლიდამ დაუტევებენ ყოველსავე ჰსწავლასა .და არიციან, რომ სწორე და ეეშ-მარიტი ჰსწავლა მაშინ დაიწყება მათთვის, როდესაც.გამოვლენ შკოლიდამ. მშვიდობით ილიკოჯან. თუ მოგეწყინოს ამის წაკითხვა, გაუშვი და ნუ დახევკი. — შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი.

ფინთი ყაფლან (4) მომიკითხე — უთხარ ჰარამი იყოს შენზე ჩემი ჰამაგითქო, რომ დამივიწყეთქო. —

ტატიკოს (5) ჩემმაგიერ აკოკე, უთხარ რომ წერილი მოიწეროს და თავისი ანბავი შემატყობინოს. —

რამაზს (6) სიყუარულით მოვიკითხავ.

16-го Мая, Г. Валка (7)

ჩემი საყუარელი და ეფემია (8) და მელიტონ (9) სიყუარულით მომიკითხე, და იმათი შვილები დამიკოცნე. — ვერ მოვასწარ ეხლა მათთან მოწერა ცალკე.

7. ზაქარია ორბელიანისადმი

Г. Валька 22-го Мая дня

უსაყუარლესო ძმაო ჩემო ზაქარიავ!

ძლივს მოვახწიე ჩემს პოლკამდის, მარამა აქედამაც მალე ვაპირებთ წასვლას ლაგირათ რ ი გ ა შ ი (1) და იქიდამ ვილნოს (2). არ იქნა ვერ შევისვენე, პოლკის კამანდირმა მიმიღო კარგათ და მაძლევს როტას. — საზოგადოობა აფიცრებისა დიახ კარგია ამ პოლკში, და უმეტესი ნაწილი ნემენცები არიან, სულ აქაურნი მცხოვრებნი. — ვნახე ვენდენის ჩინებული ციხეცა (замок), რომელიცა აწ ეკუთვნის ღრაფ ს ი ვ ე რ ს ს ა. — ვენდენი ძალიან პატარა ქალაქია და შორიდამ საამურია სანახავად. — დაძველებულნი და ჩამონგრეულნი ციხის კოშკები მრისხანედ დაჰყურებენ ლამაზთა ფაქიზთა ახალთა ქალაქის შენობათა, როგორც გაანჩხლებული ბებერი აბელ მიმბაში (3) თავის შვილი შვილებს. ყოველს საღამოს ავდიოდი ერთს ჯერ აქამდის მთელად დაშთომილს კოშკზე, რომლიდამაც ჰსჩანდა შორს გარეშე მშვენიერი მდებარეობა, მარამა ერთის კვირისმეტი არ დამცალდა იქა და წამოველ ამ ქალაქში.

ბევრჯერ მოგწერე გზიდამ და უკანასკნელი წერილი რ ი გ ი დ ა მ გამოგიგზავნე და არ ვიცი მოგდის თუ არა, რა დაგემართა, მალე მომწერე, ხომ იცი სადაცა ჰსდგას ჩემი პოლკი, პირდაპირ იქ გამოგზავნილი ჩემს სახელზე და აქამდის მომივიდოდა კიდეცა. —

მამაძაღლებმა პისრებმა ორჯელ წამიხდინეს დოვერენნოსტი და ექუსი რუბლი უბრალოდ დამიკარგეს, და ეხლა ესე მე დავსწერე და არ ვი-

ციკი ასრედ უნდა, თუ არა. აქ სასამართლო ნემენცურია და რუსული კანონები არ იციან, რომ ფორმა გამომერთმევინა. —

რას ჰშვრები ზაქარიავ,ჯან! როგორ აკონკებ შინაურს საქმეებს, გადგიყუანეს მაგ კორპუსში (4), თუ არა. მე დიდი ხანია ინვალიდები (5) არ წამიკითხავს. — ჯოხაძეების (6) საქმე როგორ არის და ან ვინ იშოვნე ვაჭარი. — ახ! როდის იქნება გამახარო ვალების გადაწყვეტითა. — აღთქმას დავსდებ, რომ ის დღე ყოველს წელს ვიდღესასწაულო.

გეთაყვა ზაქარიავ! ნულარ მაწვალებ, მომწერე მალე შენი ანბავი დაწვრილებით. ბიძია ასლანს (7), იაკობს (8), სამარაღდონს (9) უმდაბლესად მოკითხვას მოვახსენებ, ეგრეთვე ძალუებს ერთობრივ. — მშვიდობით ძმაო!

შენი გ რ ი გ ო ლ ი

დედას დედაშვილურად მოვიკითხავ; ეგრეთვე ყველა ჩუენთა მოსამსახურეთა. — ჩემა პატარა ნინიკამ მუხლს გაკოცა და ყველანი მოიკითხა. —

კინალამ დამავიწყდა. — ვენდენში კვარტირა მქონდა ბარონ შტორხის სახლში. — ჩემს გვერდით იდგა იმათი ნათესავი ერთი ლამაზი ქალი. — ახ! ზაქარიავ, იმისი ფორტოპიანოს დაკურვა და სიმღერა გამაგიჟებდა აქამდის, თუ ცოტა ბებერი არ ვყოფილვიყავ. — მოკლედ გავიცან. ერთი დაკეტილი კარები იყო ჩუენშიც, მაგრამ [. . . . .]*)

როდესაც მომწერო წიგნი, ჩემს სახელზე გამოგზავნე რ ი ლ ა შ ი ლიფლიანდიის ღუბერნიაში.

აქაურს გლეხიკაცებს ჩვენებური ქალამნები აცვიათ. მიკვირს ესრეთი მიმზგავსება ესრეთს დაშორებულთ ადგილთ ურთიერთისაგან. — საყდრებზე ჯუარის მაგიერ მამალი ზის. ვერავინ ვერ ამიხსნა აქამდის იგავი ესე; მარამა მგონია, რომ პეტრე მოციქულმა რომ ქრისტე უარსჰყო სამჯერ მამლისყივლამდის, ეს ის იყოს. —

[მინაწერი პირველი გვერდის (წერილი შეუბრუნებია) ბოლოა აშიაზე]:

კინალამ დამავიწყდა. — რასწამს მოველ არც კი დამაცალეს და მაშინვე როტა მომაბარეს; მაგრამ ძალიან უსწავლელია და არ ვიციკი სმოტრებში როგორ იქნება. —

(მინაწერი პირველი გვერდის აშიაზე, მარჯვენით):

ეს წიგნი ოთხისდღის დაწერილი იყო. — დღეს გავიცან სტარიკა ბარონ ვ რ ა ნ გ ე ლ (10). — ნეტავი გენახა, თუ რა ნემენცია — წიგნებში და ქაღალდებში იყო ჩაფლული, რომ შეველ იმის კაბინეტში. თვითონ პატივცემული კაცია და ერთი ლამაზი ქალიცა ჰყავს. —

---

*) დედანში უცენზურო სიტყვებია.

8. მარიამ დედოფლისადმი

უმაღლესო დედოფალო

უმოწყალესო ხელმწიფავ (1).

ჩემს მოწყალეს ხელს უმდაბლესად გაკოცებთ, და თქუენს მშვიდობით სუფევას უფალსა ვჰსთხოვ. — ნუ გამიწყრებით უმაღლესო დედოფალო! რომ აქამომდის წერილი ვერ მოგართვით. ამით ნუ შემრიცხავთ უგრძნობელად თქუენის ჩემდამი მოწყალებისადმი. ჭეშმარიტად მოგახსენებთ, რომ მრავალთა დიახ მძიმეთა მიზეზთა, რ~ლთა აწერა ფ~დ განგრძელდებოდა, დამაბრკოლეს და მომაკლეს ბედნიერება თქუენდამი აქამომდის წერილის მორთმევისა. — აწ გახლავარ ნევსკის მორსკის პოლკში, რომელიცა ჰსდგას ლიფლიანდიის ღუბერნიაში ქალაქის რიღის სიახლოეს და მალეცა წავა იქ ლაგირათ. —

ჯერ ღ~თის მოწყალებით ახალთა ჩემთა ნაჩალნიკთა მიმიღეს კარგათ, და მომაბარეს როტაცა, და იმედი მაქუს, რომ შემდეგცა არ შეიქმნენ ჩემზე უმადურად. —

ცრემლითა აღესილი მოგახსენებთ დედის ჩემის სიკუდილსა, რომლითა დამემწარა სრულებით სიცოცხლე ჩემი, უბედუ[რე]ბა უბედურებასაზედა დამერთო. — ნეტავ მღირსებოდა მაინც უკანასკენელი ხილვა მისი. ბედმან ჩემმან ნუგეშიცა [ე]სე მომაკლო. —

ბარონ როზენმან საქართველოს მთავარმართებელმან აღმითქო ჩემის ძის ზაქარიას იქ გარდაყუანა და არვიციკი ჯერ აღასრულა [თ]უ არა, აღთქმა თვისი. — თუ გადიყუანეს იგი ამითი დიდს შემწეობას მიჰსცემს თითქმის სრულებით გაოხრებულსა სახლსა ჩემსა. —

სხუებრ გთხოვთ დედოფალო! რომელ კუალად მიმიღოთ თქუენს მფარველობასა და მოწყალებასა ქვეშე, და უკეთუ ღირსმყოფთ წერილისა თქუენისა ბოძებასა, ინებეთ წარმოგზავნა მისი ქალაქს რიღას, ლიფლანდიის ღუბერნიაში, ნევსკის მორსკის პოლკში ჩემს სახელზე. — დავჰშთები უღრმესითა პატივისცემითა

მამა იონას (2) მარჯვენას ვეამბორები. ქალაქი ვალკა

9. ზაქარია ორბელიანისადმი

ქალაქი ვილნო 20 ივლისსა.

ზაქარიავ ძმაო! გუშინ მოვედით ვილნოს და ვდგევართ ლაგირათ, სადაცა ვიქმნებით სეკდემბრამდის. წიგნი აქ მომწერე. —

შენი წერილი 28-ის მაისისა მივიღე გუშინ წინ გზაზე განთიადის დროს; მაშინ როდესაც ვეუბნებოდი ერთს ჩემს ამხანაგს как ты счаст-

ლив, что можешь часто получать письма из дому, თითქოს ჯადობაზობით ფერიებმა მანდედამ გადმოფრენით მომიტანეს. — მიამა, რა მიამა, ბიძიასაკით შუბლზე ხელი დავიდე და ვსთქვი ი ნ შ ა ჰ ლ ლ ა!

ძალიან მიხარიან შენი მანდ გარდაყუანა. — მწერ ჩუენის სახლის მიხწევნას до крапност. ვიცი შენმაგაზდამ, და ეგ ჰაზრი არის ჩემი დამტანჯველი მარად დღეს, მარად ჟამს. — შენ იცი ძმაო, როგორც უშველი და არ დაჰსცემ ძირს საძირკულამდის. — ამ სოფელში ყველასა აქუს დასასრული ფილოსოფიის მიხედვით; იმედი მაქუს, რომ ღ ́თისაგან ექნება ამ ჩვენს ვაივაგლახურს ცხოვრებასაც დაბოლოება, და ესე ჰაზრი მანუგეშებს ხოლმე.

ჯოხაძეებისა ასე ჰქმენ: იანგარიშე, თუ რამდენს მოგცემს ხაზინა; მე მგონია რომ ხაზინამ უმეტეს 3000 руб: მოგცეს თუ ვერსად ვერ იშოვნე ენდრონიკაანთ მეტი მსყიდველნი; მაშინ მგონია, რომ ჯოხაძეებმა დაიხსნან თვითეე თავი თვისი სამას თუმნათ на зло Андрониковим.—Впрочем предоставляю все твоему благоразумию и для того я уже послал к тебе из Г. В е н д е н а доверенность.—

ეხლა შენი ცოლისა — შვიდასი თუმანი, სწორედ გითხრა, კარგი ფულია; но нельзяли еще чтоб прибавилибы — მარამა ეგ კი ძნელია, რომ გაუცნობად, უნახავად შეირთო (1). — ეგ დროები წავიდა და მათთან უწინდელნი ჩვეულებაებიცა, რომ პატარძალი დედამთილთან ხმას არ ამოიღებდა მანამ არ დაორსულდებოდა, ან ერთი წელიწადი არ გავიდოდა.— Мне кажется что для твоего счастия нужно сколько нибудь и Европейской образованности или сколько нибудь ума без скучных грузинских ужимок; სხვებრ შენ ირთავ შენთვის ცოლსა, შენს საბედნიეროდ უნდა დაეკითხო შენს გულსა და შენს გონებას. — შენი ცოლი ვინც უნდა იყოს ჩემი საყუარელი რძალი იქნება. — И мне говорили насщет её, მარამ არ დამცალდა. — სად არის Н... (2) და ან როცა ნახე და ან როგორ იყო თქუენი შეყრა, დაწვრილებით მომწერე. Незнаю что мне сказать о твоей любви, ибо я смотрю на её, как на слабость человеческого сердца, более потому позволительную, что от нее выходит очень редко дурные следствия; ибо она скорее всех других слабостей проходит и оставляет по себе приятные воспоминания; потому приятныя, что он суть дела или шалости юных лет.— შე გიჟო! რათ მიგდის სიცოცხლე — მე თვით ვიცი, რომ Н. (3) არის ჭკვიანი, უმეტეს ლამაზი და უფრო კეთილი; მარამა მერწმუნე, მე გამოცდილებით გეუბნები, რომ არცა ერთი დედაკაცი მრთელს ქვეყანაზე არა ღირს, რომ ნახევარ ნეკი მოიკრას მისთვის, და შენკი სიცოცხლე მიგდის. Как ты слаб! впрочем желал бы тебе такую жену. — Очень, очень жаль, что нельзя тебе на нее жениться. — და სხვარიგათ ვერას გახდები.

აქ ვილნოს არის თეატრი და ძალიან აქებენ აქაურს ორღანოს საუ-. დარში; მარამ ჯერ არც ერთში არა ვყოფილვარ. —

ახლა კიდევ ჩემი ამბავი. — მე ვაპირებდი სეკდემბერში არზის მირთმევას ოსტავკაში; ამიტომ რომ როგორ უნდა ვიცხოვრო თუთხმეტის თუმნით წელიწადში, შენმაგაზდამ ქვეითის სიყარულით მოვკუდი, ხუთასს ვერსტზე მეტი გამოვლე ქვეითად. — ჩემთ აქაურთ მეგობართა მირჩიეს რომ თუ ასე მალე მიჰსცემ ასტავკაშიო, უფრო საქმეს წაახდენო; ამისთვის თუ ღ-თი მაცოცხლებს, ვნახავ როგორ მოხდება ჩემი საქმე ამ ერთს წელს შემდეგ. — Пора, пора отдохнуть под тенью домашняго орешника.

20-го Июля

ჩემს საყუარელს დას ეფემიას და მელიტონს სიყუარულით მოვიკითხავ, იმათ შვილებს დავკოცნი.

10. ანტონ ორბელიანისადმი (1)

საყუარელო ძმაო ჩემო ანტონ! ეს არის პ-ლი ჩემი წერილი, რა გამოველ ქალაქიდამ. ღ-თმა შეგვარცხვინოს ჩ-ნ ორნივე. — სად არის სიყუარული ჩუენი? სად დაიკარგა ძმობა და მეგობრობა ჩუენი სიყრმითგან დამტკიცებული ბომბებითა და საყვხრითა *). — არ მოველოდით, რომ ბედსა ბაიყუშს დავეშორებინეთ ურთიერთი; მაგრამ ნათქვამია როგორც თვალი შორსაო, ისე გული შორსაო. — შენი კერპობა კარგათ ვიცი, ამისთვის აღარ გავაგრძელებ და თავითგან მოგიყვები ჩემს ანბავს. — თქვენის თბილისიდამ გამომაცილა ყაფლანმა (2) და მით დამიმტკიცა რაც შეეძლო გრძნობა თვისი. — გადმოვიარე იალბუზი და ოხრვით შევხედე იმ მთასა, სადაც მოგვივიდა ჩხუბი ყორლანაშვილთან (3). — ვნახე ეკატერინოგრადს (4) უწინდელი გოგოები, მაგრამ ველარ მიცნეს. — ასე დრომ და გარემოებამ შემცვალეს. იმ ზამთარს ძალიან ავათ ვიყავ ლინიაზე, ასე რომ ჩემი საქმე წასულიყო; ჯერ კარგათ არ მოვსულიერებულვიყავ, რომ მომივიდა ბრძანება წასვლისა ნევსკის პოლკში. — გზაზე დიდი ვაივაგლახი გამოვლე სიცივისაგამო და უბიკობისა, და ამასთანაც დონშიაც ნავი გადამიბრუნდა, საიდამაც მე და ჩემი პატარა ბიჭი ცოცხალმკუდარი გამოგვიტანეს. — ამასაც გადურჩი, მარამ მამაპაპეული ხმალი ზაქარია მოურავისეული (5) კი დაიღუპა და მასთან რაგინდა რაღაებიცა, არ ეჩივი იმათთვის. — გზაზე ორლოკუსკის ღუბერნიაში ვნახე ერთბაშათ დ ე ხ ა ნ ო ვ ი, უწინდელი ჩვენი ხაზინადარი; იფიქრე ჩუენი გაოცება. — აღდგომა დღეს მოველ ქალაქს რ ი გ ა ს, სადაცა ვნახე დივიზიონნის და ბრიღადნის ნაჩალნიკები, რომელთაც ღ-თის შემწეობით მიმიღეს ძალიან კარგად და აქამომდისაც მწყალობენ და ამასიქით ღ-თმა იცის. — იქიდან მოველ ქალაქს ე ნ დ ე ნ ს, სადაცა იდგა ჩუენი პოლკი, არ გავიდა ერთი კვირა, რომ როტაც მომაბარეს. — გზაუფხულზე მოვედით ისევ რ ი გ ა ს ლაგირათ, სადაც გაგვში-

*) უ. ი. „საყვირითა".

ნჯა კორპუსის კამანდირმა ლენერალადუტანტმა ნ ე ი დ ღ ა რ ტ მ ა (6), იქი-
დან მოვედით აქ ვ ი ლ ნ ი ს ა, სადაც არის შეკრებილი მრთელი კორპუსი
ლაგირად. — ამ დღეებში მოველით პასკევიჩს (7) პეტრებურღითგან და გაგ-
ვშინჯავს აქა და გვექნება მანევრებიცა. — ეს არის ჩემი ცხოვრების ის-
ტორია, თუ არშიყობის აქა იქ კინკლაობასაც მიუმატებ. — ცუდია უეშ-
ყოდ ცხოვრება, ესრეთი კაცი ემსგავსება ფუტუროს ხესა. — ვ ა ლ კ ი ს
ქალაქში ს ო ფ ი ო კ რ უ ზ ე და აქ პ ე ტ რ ო ნ ე ლ ლ ა, ამ უკანასკნელი-
სა, რადგანაც ვარ აზიატეცი, მომწონს ლოყაზე ხალი, და იმასაც უხარიან
ესრეთი ქება; ამიტომ რომ ხომ იცი ევროპაში ხალის ქება არ იციან, გემო-
არა აქუსთ. —.

სხუა რაღა მოგწერო ჩემო ანტონ! ეს არის ჩემი ანბავი — ახლა შენა-
გკითხავ. — სადა ხარ, როგორა ხარ, ჩინი ხომ არ მოგსლვია, ან როგორა
ხარ ახალ პოლკის კამანდირთან ხამუტსკისთან (8). — ოჰ სწორედ გითხრა
ხამუტია. ზაქარიამ (9) მომწერა, ვითომც გრუზინსკის პოლკის შტაბკვარ-
ტირა გორს გადაჰქონდესთ, მართალია თუ არა. — ოფიცრები ვინ დარ-
ჩნენ, ისევ კარგი საზოგადობა არის დარდიმანდული, თუ დრუსტ უნიფ-
ხოშვილები. — შენ რა ხარ, ისევ ჩლენი კამისიისა თუ ზაკონებზე ხელი-
აიღე. — სარანდოვი (10) მომიკითხე სიყუარულით თუ ნახო. — Почтеннейшему Николаю Ивановичу Чубинскому (11) из'явите мое глубокое уважение. — [. . .] мим Федору и Дмитрию [. . .]
ем (12), Николаю Антоновичу (13), Павлу Андреевичу (14) мое усердное почтение. — რაღა გეხვეწო ანტონ! ხომ ვიცი გრძნობა გაქუს, თუ რა-
რიგათ მიამება შენი წიგნი, გეთაყვა რას წამს ეს წიგნი მოგივიდეს მაშინვე
მომწერე საცა უნდა იყო; ამას ნუ იტყვი ხვალ მივწერ, სადილს უკან და-
ვწერ, აბანოდამ რომ მოვალ მაშინ მივწერ; ამაში დღეები გავა, დაგვიან-
დება და მასუკან იტყვი, ეჰ რაღა მივსწერო. — ვირი ყაფლან ხომ არ გი-
ნახავს, კამპანიას გიკეთებს, თუ არა. — მშვიდობით ჩემო ძმაო ღ ̄თი იყოს
მფარველი შენი და მანვე გვაღირსოს ხილვა ურთიერთისა. — შენი ძმა
გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი.

თუ ვისმე ჩუმად ეარშიყებ, ისიც მომწერე. — Адрес. — Невского Морского Полка Господину Поручику და ჩემი სახ [ელი და გვარი] დაგა-
ვიწუდა აქამდინ. — В Г. Вильно, виленской губернии.

(მეოთხე გვერდზე დაწერილია მისამართი):

Его Сиятельству
Милостивому Государю
Князю А н т о н у Ягориевичу
О р б е л и а н и

საცა უნდა იყოს, იქ
მივიდეს ეს წიგნი.

(წერილის მე-4 გვერდი დახიანებულია. ორბელიანს ბარათი უკანნერტოდ გაუგზავნია. წერილს შერჩენია ლუქის ბეჭედი).

11. მანანა ორბელიანისადმი

უსაყვარლესო ძალუა.ე მანანავ! (1)

აჰა განვიდა უკუე ერთი წელიწადი, რა დაგშორდით (2). — ვითარ შსწრაფლა.დ განირბინა ამა წელიწადმან ცხოვრებისათვის, და ვითარ ნელად, ნელად ვიდოდა იგი გულისათვის. — წავიდეს და აღარ მოვიდეს ესრეთი წელიწადი არცა ჩემთვის და არცა თქუენთვის. — თვითოეულთა დღეთა .მისთა მოჰქონდათ სხუადასხუაგუარნი მწუხარებანი ჩემ მოსაკულელად. — ძნელ-იყო მოსათმენად პ˘ლ კვეთება მათი; მარამ შემდეგ შევეჩვიე ანუ გავქვავდი გულითა და ვითარცა ფილოსოფოსი ანუ დავრიში, არღა ვჰგრძნობდი ძალასა მათსა — აწ მომავალსა წელსა ეუმზერ იმედის თვალითა და ენახოთ, თუ რასა მოავლენს ჩემდამი ღ˘თი მარად მფარველი ჩემი.

ამას წინათ მოგწერეთ ვილნოდამ და აღგიწერეთ მოკლეთ ქალაქი ესე, სადაცა უკუე დაიშალა ლაგირი და მეცა ჩემის როტით მოველ მესტეჩკოს კვეტკის, სადაცა ერთი კსიონზნი ანუ პოლშის მღუდელი, ერთი კარჩა, ანუ დუქანი, ერთი მეუდელი და მე ვართ ამ სოფლის მცხოვრებნი. — აღგიწერთ ჩემს მოკლე მგზავრობასაც. — იყო ხუთშაბათი, საშინელი წვიმა კისერში ჩამდიოდა და ტალახში მეფლებოდა ფეხები (უნდა იცოდე, რომ მე დიდი კნიაზი ქვეითად დავეხეტები) როდესაც გამოვედით ვილნოდამ. — თვითვე იფიქრეთ, თუ რა გააფთრებული მოველ შუადღისას ერთს სოფელში; მარამა პ˘ლ შესვლაშივე სახლში დამიმშვიდდა გული, ვიხილე რა ჩვიდმეტისწლის სახლის პატრონის ქალი, ლამაზი, როგორც ვაშლი (აქაურს ქალებს ნუ შუადარებთ ნუცა ვარდსა და ნუცა ზამბახს), მყისვე ბოროტნი ჰაზრნი, ვ˘ა ეშმაკსა ბელზებელსა, აღმიჩნდენ ჩემს თავში. — ნაზად, წყნარად, თავის დაკრვით მომიტანა რძე; მითომ უცებრ მივსწვდი მის ხელსსა (ოფიციალურად, მოუთმენელად და საბრალოცა შეკრთა. — დაღალულობა დამავიწყდა. ანთებულის თვალებით ქორსავით უყურებდი კუთხეში მიმჯდარს და ხანდახან სიტყვებით ვეხუმრებოდი; მარამა, ვერა ვათქმევინერა ჰო და არას მეტი. — დავწექ და ფიქრში დავაწყე მრავალგვარნი მირზაჯანასაგან (3) ნასწავლნი პლანები მის გასაბმელად. მახეში, მარამ ამ პლანების დაწყობაში ჩამეძინა და მეორეს დღეს მეთერთმეტე საათზე გამაღვიძა ჩემა პატარა ბიჭმა. — ასე ჩაიფუშებიან ყოველნი ბოროტნი კაცისა განზრახვანი. — მომიტანეს ზაპისკა ერთის ჩემის ამხანაგისაგან, რომლისა ხოზაიკამ პომეშჩიკის ცოლმა დამპატიჟა სადილათ, სადაცა წაველ მაშინვე. — იფიქრე მანანავ! რომ შვიდ ქალებში ჩვენ ორნი ვიყავით კაცნი. — უნდა იცოდე, თუ პოლშის ქალები რა თამამნი არიან ყოფაქცევაში, რა ოხუნჯნი, მოლაპარაკენი და არშიყობის მოყუარენი, მარამა თვინიერ ცუდისა განზრახვისა. — საკურვლად ჰგუანდა ერთი მარია ივანოვნას (4), კინაღამ ქართულად დაველაპარაკე. — ახ! რა რიგათ უკრავს ფორტოპიანოს! ცნობა მ˘ბეტაცა; მარამ სიმღერაკი ვერ შეედრებოდა დაკვ-

რას. სახელი მისი იყო კ ო ნ ს ტ ა ნ ც ი ა. საღამომდის ყიამათათ გავატა-
რეთ დრო. ჩაის შემდეგ ლოტო მოიტანეს და უცებრ გამეცინა მომაგონ-
დითრა თქუენ ბაიყუშები. — ვახშამზე სადღეგრძელოები დავლიეთ ვის-
ვინ უყვარდეს. და იმ ღამესა იქ დავრჩი. — მეორეს დღეს გამოვეესალ-
მე და გზაზე ვამბობდი: როდის იქნება ჩუენც ასე ვიცხოვროთ კაცურად. —
განა ზოგიერთს ჩუენში შეძლება არა აქუს. — მარამა ჯერ უშკოლონი და
უბიბლიოტეკონი ვართ. — მანანავ! მამა გიცხონდა, შენს ქალს (ᲮᲐ) კარგი
ზრდილობა მიეც. — ვიცი ბევრნი დაგძრახვენ, რომ შენმა ქალმა სიმღერა
ისწავლოს, მარამ ნურას დასდევ. წავიდა ის დრო, როდესაც ჩუმათ ყოფნა
და კნავილით ლაპარაკი დიდ ზრდილობათ მიაჩნდათ. —

ამ წიგნის წერაში ვზივარ მარტო დაყრუებულს ოთახში ღამე და
ჩემს სიახლოესა დარეკეს საყდარი, მისაღებელად ახლად მიცვალებულისა
აქაურისა პომეშჩიკის ქალისა. — უნებლიეთ აღმოუტევე ოხრვა მწუხარე-
ბისა! ვაითუ მალე ჩემთვისაც ასე დარეკონ და საფლავი ჩემი გასთხარონ
მხარესა უცხოს; შორს ყოველთა ჩემთა გულისა საყუარელთაგან და
არცა ერთი ცრემლი არა დაეცეს მიწასა, საუკუნოდ ჩემს დამფარველ-
სა. — თუმცა სიკუდილი ყველგან სიკუდილია, მარამ გულსკი ჰსურს, რო-
მელ უკანასკნელი ოხრვა ესმას მისთა მახლობელთა; რომელ თვალთა მი-
მოიხედონ რა უკანასკნელ იხილონ მოყუასნი თვისნი, და არა უცხონ-
გულგრილნი დაუდევნელის სახითა. —

1 8 3 5

12. მარიამ დედოფლისადმი

უმაღლესო დედოფალო

უმოწყალესო ხელმწიფავ.

მოგილოცავთ წარსრულთა დღესასწაულთა. უფალმან მრავალნი ესრეთნი განგატარებინოსთ კეთილ-სუფევითა და სიხარულითა.

ნუ გამიწყრებით დედოფალო! ჩემს იშვიათად წერილის მოურთმევლობისათვის. ჭეშმარიტად, მოგახსენებთ, რომელ მეშინის, ვაითუ ხშირის მოწერითა შეგაწყინოთ. სხვებრ თქუენ უნდა დარწმუნებული ბრძანდებოდეთ თქუენდამი ჩემსა უღრმესსა პატივისცემასაზედა ვინაითგან მოწყალებანი თქუენნი ღრმად არიან აღბეჭდილ გულსაზედაჩემსა, [და დღეცა არს ჩემთვის მარადის სასიამო მოსაგონებლად ოდესცა მეღირსა ხილვა თქვენი დედოფალო!] ღ-შან გაკურთხათ თქვენ კეთილის გულის მონიჭებითა (1).

ამის უწინარეს მოგართვით ვალკის ქალაქით წერილი, და აწცა გავბედე მოწერად უმორჩილესად თხოვნად, რომელ რადგანაც ამა ლეკარმან, გვარად პონომარევმან თითქმის მკვდრეთით აღმადგინა მე ავათმყოფი ვილნოში; ამისთვის მოვალეევარ, რათა შეევედრო უმაღლესობასა თქუენსა, რომელ ლეკარსა ამას მისცეთ შემწეობა. — ამასა ჰსურს სამოქალაქო სამსახურში ლეკრადვე გარდასვლა. თუ შეიძლებოდეს ნუ მოაკლებთ მფარველობასა თქუენსა. კაცი ესე არის ფრიად მსწავლული და დიახ გამოცდილი ექიმობაში; მარამ არავინ ჰყავს მფარველ. თქუენისა სახლობისათვისაც ფ-დ გამოსადეგი იქნება.

ვიცი არ გეწყინებათ ჩემის ძის ზაქარიას ანბავი, ამისთვის მოგახსენებთ, რომ მას მოუვიდა პოდპორუჩიკობა და ჩემის თხოვნით ბარონ როზენმა გადიყვანა საქართველოს არტილლერიაში, სადაცა აწ იმყოფება ბრიღადნის ხაზინადრად. მარამა სამი თვე არის, იმისგან არ მომსვლია წერილი.

სხვებრ გთხოვთ, უმდაბლესად, რათა სიშორემან არა შეჰსცვალოს მოწყალებრივი გული თქუენი ჩემდამი და კუალადცა ვიმყოფებოდე მფარველობასა ქვეშე თქუენსა.

რიღა იანვარის 12-ს 1835 წელს. —

13. სალომე ჯავჯავაძისადმი

23-го Марта. М. Биржи

უმოწყალესო და უსაყუარლესო დაო სალომე! (¹)

მოულოდნელად მივიღე წერილი თქუენი, რომლისათვის ჭეშმარიტად არვიცი, თუ ვითარ მოგახსენოთ ანუ მადლობა, და ანუ სიამოვნება ჩემი.— სადაც გრძნობანი არიან აღუვსილი სიხარულითა, — აქ ენა მდუმარებს; მარამა თქუენდამი ჩემს უღრმესს პატივისცემაზე და სიყუარულზე უნდაკი ბრძანდებოდეთ დარწმუნებულ, და სადაცა გინა ბედმა გადამაგდოს მაინც თქუენდამი გრძნობა ესე თანაწარმყვების; და რადგანაც. თქუენ გახსოვარ, მაშა არავარ ჯერ სრულებით უბედურ.

რა განგშორდით ბევრი ბუკი დაიკრა ჩემს თავზე, რომლისა აღწერა არის უსიამოვნოცა და გრძელიცა; ამისთვის მოკლედ მოგახსენებთ ჩემს ცხოვრებასა. ვიყავ კავკასიის ლინიაზე. იქიდამ მოველ ლიფლანდიაში, რომელიცა ძალიან ჰგავს მდებარეობითა საქართველოს; ვიხილე ჩინებული ციხე ფალავნებისა დანგრეული ვენდენში, ვნახე რიღა ჩინებული ქალაქი, სადაც ჩემმა დივიზიონმა და ბრიღადნის ნაჩალნიკმა მიმიღეს ფრრიად კარგათ და გამაცნეს ზოგიერთს სახლებში. — აქ არის რამდენიმე კლუბები, რომელთა უპირველესნი არიან სახელად მუსი და ეფონი და არის თეატრიცა, თუმცა არა შეედრება პეტრებულისა და მოსკოვის თეატრებსა.— აქაური მცხოვრებნი არიან ნემენცნი; მაშასადამე განათლება, სიფაქიზე და ანგარიში შეადგენს მათსა თვისებასა; და ამისათვის რაღა თქმა უნდა, რომ აქაურნი ქალები თუმცა სილამაზით ვერ შეედრებიან ჩუენს ქალებს; მაგრამ ზრდილობით, სწავლით, განათლებით ოხრ რა შორსა ჰსდგანან მათგან; თქუენს ქალებს გარდა, რომელნიცა არ არიან მათ რიცხვში.— მშვენიერია სანახავად რიღა ზაფხულის საღამოზე, როდესაც მზისა სხივნი გარდაჰსცემენ მდინარესა ოქროსფრად. და მასზედა მიმოჰსცურავენ ხომალდნი და ათასგუარნი ნავნი ქალებით, კაცებით სიმღერით აქაიქ.—

აწ გახლავარ ვილენსკის ღუბერნიაში, ესე იგი პოლიაკებში, რომელნიცა არიან ჩვენებურად მოლხინენი და პურადნი. მათი ქალები არიან ძალიან თამამნი ყოფაქცევაში, არშიყობის მოყუარენი და კოკეტკები. აქაც გავიცან რამდენნიმე პომეშჩიკები, რომელთანაც ხშირად ვარ მიწვეული და დროცა მხიარულად მიდის მათთან.

ეს მესამე დღეა, რა მოველ რიღიდამ აქა, სადაცა დამხვდა წერილი თქუენი, რომელშიაც მწერთ მესამე ქალის ყოლას, ესე იგი მესამე გრაციას (2). — მოგილოცავთ, მაგრამ, რა გინდა სალომეე! აქამდის ორი ქალი გყუანდა და თითქმის პეტრებუღითგან ისპაანამდის გაგიყებულნი იყვნენ ხალხნი, ახლა ეგ მესამეც. — ნუ გამიწყრები კი სალომეე! და მგონია ეჭვი იყოს ანგარიშში მაგ ახალ შობილზე ბეჟანამ მკერვალმა (3) რაღაც მითხრა ყურში, რომლისა თქმა არ შემიძლიან; ამიტომ რომ საიდუმლოა და ამისთვის ეს ლექსი ბეჟანასაგან ნათქვამი ახალს სოფიკოს (4) ძეობისათვის მომირთმეია. — სახელი დიახ კარგი დაგირქმეეთ. ყველა სოფიები რამდენსაც ვიცნობ ლამაზნი არიან. — ახ! ჩემი სოფიკო! (5) სად არის ნეტავ ვახსოვარ თუ, შარშანდელს თოვლსავით არღა ვჰმყოფობ იმისთვის. — ბედს უყურეთ, შევარ დასავლეთს, ის აღმოსავლეთს; როდისღა უნდა შეეიყარნეთ! — ძალიან არ ვიცი, რომ ნინო (6) ეხლა პატარა სოფიკოს გამდელი შეიქნება, და დაუწყებს თანადეენას (?). თქუენი სიყუარულიც იმისკენ იქნება, რადგან ნაბოლარი არის, ამაში საბრალო ეკატერინა, ანუ კატინა (7), არა კეკელა, არის მართლად შესაბრალისი, რომ კიდევ დარჩება დიდმამის უსიყუარულოდ, აქამდის დავით (8) იყო თაიგულად, ახლა სოფიკო გაუჩნდა! — ეი! მეხიკი დაეცა, რა მოუწერია, ვიცი იტყვის.

ნეტავ ღ̄თი როდის მაღირსებს კ̄დ თქვენს ხილვას, უწინდელის თქუენის მხიარულის გულით და ბედნიერებით. — დღენი თქუენთანა განტარებულნი არიან უნეტარესნი ჩემს სიცოცხლეში. — ყოველთვის ახალს სიამოვნებით ვიგონებ დღესა მას, როდესაც ეკატერინა ქუდჩაკეცილი დაღისტნელ ლეკსავით ლეკურს თამაშობდა, და იმღერიდა ბ რ ო ლ ი ს ფ ი ც ა რ ი, ა ფ ი ც ა რ ი, გ უ ლ ს დ ა გ ე კ ო ნ ო ს.

შევიტყე კნიაზი (9) ჩემთვის თურმე ჰსდილობს პეტერბუღში. ღ̄თმა მიჰსცეს ნაცვლადი სიკეთისათვის, და მე მადლობის თქმის მეტი რა შემიძლიან სხუა.

ჩემს საყუარელს ძმას [?] სიყუარულით მოვიკითხავ. შევიტყე, რომ მაგ საბრალოსაც კლეოპატრა გაუთხოვდა. — ეგეც ჩემსავით ბაიყუში.

14. ნინო ანდრონიკაშვილი-ერისთავისადმი (?)

11-го
Апреля
Бржи

უსაყვარლესო დაო ჩემო ნინავ! (1)

მოულოდნელად მიეიღე წერილი შენი. — მოულოდნელად განიხსნა უწინდელები გული ჩემი სიხარულისათვის, რომელიცა იყო დაკარგულ ჩემთვის ესდენ ხანი თუმცა მარადის მრწამდა სიყუარული შენი, მარამა არ მოველოდი რომ ესრეთ განშორებულს მომიგონებდი წერილითა, რომელსაცა ჰვჰკითხულობ ყოველდღე ახლისა სიამოვნებითა. — მაგონდებიან ბედნიერნი დღენი შენთანა განტარებულნი, და ვამბობ ოხრვითა. — ახ! ნეტარ კიდევ როდის მეღირსების. — მოუწერლობითა ჩემითა ნუ ასწონ შენდამი სიყუარულსა ჩემსა, რომელსაცა ვერ განაქრობს ვერცა დრო და ვერცა სიშორე.

შენმაგაზდამ ნინავ! დიახ კარგათ გიქმნია, რომ პანსიონში მიგიცია შენი შვილი სასწავლებლად. — დრო შეიცვალა, და ახლა ჰსწავლა არის ისე საჭიროდ კაცისათვის, როგორც თოფის სროლა და ქორის მოტევა. — ღთ˙მან მიჰცეს ხალისი და ბუნებითი ჭკუა, ნახავ რაც შეიქმნება შენი შვილი; მაგრამ თუკი მიეხედავთ გვაროვნობას, მგონია კი არ უნდა გამოვიდეს ფილოსოფოსი; ამიტომ რომ ვინ ყოფილა ესრეთი ერისთავი. ანთში და ანუ ენდრონიკიანთში. — არ გაჯავრდე გეხუმრები.

ახლა ჩემს ანბავს მოგახსენებ. — მე გახლავარ ვილენსკის ღუბერნიაში, ესე იგი პოლიაკების ქვეყანაში. — გავიცან მრავალნი აქაურნი კეთილშობილნი, რომელნიცა არიან სტუმართმოყუარენი და ჰსცხოვრებენ დიახ კარგათ. — აქაურნი ქალნი, თუმცა არ არიან, ჩუენ ქალებსავით, ძალიან ლამაზნი, მაგრამ არიან ძალიან გაზდილნი, და მსწავლულნი და ამასთანა დიახ თამამნი ყოფაქცევაში და არშიყობის მოყუარენი თვინიერ ცუდისა განზრახვებისა. — დავიარები ხშირად მათთან და დროცა მიდის მხიარულად ფორტოპიანოს დაკრვაში, ტანციობაში, სიმღერაში, სეირნობაში და მრავალგუარ შექცევაში. — ამას წინათ ვი[ყავ] რიღის ქალაქში, სადაცა არის თეატრი, მაგრამ პეტერბურღის და მოსკოვის თეა[ტრებსა] ვერ შეედრება.

თუმცა ასე ვატარებ დროსა, მაგრამ მომეწყინა ამდენ ხანი ტანტალი შორს ყოველთა ჩემთა ნათესავთა და გულისა საყუარელთაგან, და მოუთმენლობითა ჩოველი დღესა მას, როდესაც ღ˙თი მაღირსებს შინითკენ წამოსვლას. —

ამასწინათ ძალიან ავათ ვიყავ, ასე რომ ვეღარ ავიღე ჩემს თავზე. ყოველს ზამთარს გულისტკივილი დამჩემდა; და ახლა ღ˙თის მოწყალებით, თუმცა კარგათა ვარ, მაგრამ ჯერ არ გამოვდივარ გარეთ, იფიქრე აქ ჯერ

ისევ ზამთარია, მაშინ როდესაც თქუენში ეხლა ამწვანებულ და აყვავებულია სამოთხესავით. — მაგრამ რათ მიკვირს ესე, საცა შენა ხარ, იქვეყ არის გაზაფხული თავის ყვავილებით და ვარდებით.

რაღა გეხვეწო საყუარელო დაო! ერთხელ კიდევ გამახარე შენის წერილით და შენის ამბით, რომლის საამურს მოლოდინებაში დავშთებიმარადის პატივისმცემელი

ძმა შენი გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

ჩემთ მწყალობელთ კნიაზთ ივანეს (2) და დავითს (3) კნეინებითურთუმდაბლესად მოკითხვას მოვახსენებ.

რასა იქს შენი დიდთავა ლეკ[ი] (4) შენთვის მკუდარი.

15. ზაძაგრია ოლბელიანისადმი

11-სა აპრილს М. Биржи Виленской губернии.

ქ ე აღსდგა

უსაყუარლესო ძმაო ჩემო ზაქარიავ! წერილი შენი 18-ის თებერვლისა მივიღე აღდგომის დღეს,— მასშინა ვსცან შენი დაქრწინება (1).— ღ ̄თნ მოავლინოს შენზედა და შენს მეუღლეზედ კურთხევა თვისი და მადლი. — სიყუარული და სიხარული იქმნენ განუშორებელ თანამავალად გზასაზედა თქუენისა ცხოვრებისასა.— ჩემნო საყუარელნო! მოისმინეთ რჩევა სტარიკისა.—იყუენით მარადის გულწრფელად და ნურარაჲ იქნებების თქუენ შორის საიდუმლოდ, უკეთუ გჰსურსთ ბედნიერად ცხოვრება.— განჰხსენით გული თქუენი და მასზედა წაიკითხეთ ხასიათისა ურთიერთისა. — იყუენით ურთიერთისა პატივისამცემელნი; ვინაჲთგან საცა არაარს პატივისაცემა, არცა არს სიყუარული. — არ დაგავიწყდესთ ნემენცური ანგარიში, ესე იგი, რომ ხარჯი არ გარდამატებდეს შემოსავალსა. ამა კანონის დარღვევა ჰყოფს ესოდენ მრავალთა უბედურად. — მეუღლეობითს ცხოვრებასა შ ̄ა, ოდესმე უმცირესი მიზეზი ჰშობს უსიამოვნებასა; ამისთვის ერიდენით და ძალიან ერიდენით, რომ არცა შეგობარი, არცა ნათესავი და თვით ძმაცა თქუენი არ იყუნენ მოწამედ თქუენშორის უსიამოვნებისა, რომელიცა უიმისოდაც განჰქრების მსწრაფლვე. — დაიცევით ესე დამერწმუნეთ, რომ ცხოვრება თქუენი განჰვლის ბედნიერად. და ღ ̄თცა მადლითა თვისითა გაკურთხებსთ თქუენ. — ახ! როდის მეღირსება ხილვა თქუენი საყუარელნო ძმაო და ძალუავ!

დიახ კარგი იქმნება, თუ დაინიშნები შტაბში, რომლითა იქმნებიახლოს შენს სახლზედა და მმართებლობაზედაცა. — თუ იასემ (2) ჯოხაძეებშიმოგცეს 4500 — მიეც, რაუყოთ მეტს არავინ იძლევა, მაგრამ კიდევ ეჩანჩლე, ეგების 5000-მდის ავიდეს. —

მელიტონის (3) უიმედოდ ავათმყოფობამ ძალიან შემაწუხა.— მთელი ლამე მწუხარებისაგან თვალი არ მოვიხუჭავს. —რა უნდა ჰქმნას საბრალო ეფემიამ (4), თუ მართლად ეს უბედურება მიადგა! რით უნდა შეინახოს თავისი წვრილი შვილები და ანუ რით გადიხადოს ვალები, რომელიცა უეჭველად ბევრი დარჩება. — ღ-თმან დაიფაროს ამა უბედურებისაგან; მაგრამ შენ ასეთ რიგათა მწერ, რომ მგონია საწყალი მელიტონი კიდეც მომკუდარა. — ცრემლნი მდიან თვალთაგან ამ წერაში. — საწყალს მელიტონს უყუარდით ჩუენ ძალიან და იყო ჩუენი კვთილის მსურველიცა.— იმედი მაქუს, რომ თუ ბარონ როზინი (5) მანდ არის ნიკოლაი იოსებიჩისა (6) და მეხრანის ბატონის (7) შემწეობით პენციაზე წარადგინოს ეფემია. — ეს ერთი ღონისძიება არის საბრალო ეფემიასათვის სანუგეშოდ. — ჩუენც ასეთს სიღარიბეში ვართ, რომ შემწეობა მაგთენი არა შეგვიძლიან რა.— ახ! ღ-თო, რა უბედური ოჯახი შეიქმნა სახლი ჩუენი. — ოხ! რა ძნელია მოსათმენად, რომ კაცი ჰხედავდეს ესრეთ გულის საყუარელს დას უკანასკნელ განწირულებაში, და არა შეეძლოს შემწეობა. — მომწერე, გეთაყვა ზაქარიავ, ყოველივე ეფემიას საქმე დაწვრილებით, ნურას დამიშალავ ჩემს სანუგეშოდ. — Нельзя ли её поместить в нашем доме как нибудь до времени. —

19-ს ამ თვეს წავა ჩუენი პოლკი რიღისა და მიტავის (8) საშუალ გზისა გასაკეთებლად; მაგრამ მაინც შენ დააწერე ადრესზე через город Бауск в местечко Биржи Виленской губернии. —

შენმა გაზდამ მეც ძალიან ავათ ვიყავ. ეხლაც ჯერ კიდევ შინადამ გარეთ არ გამომიხედავს წყალკურთხევას აქეთ, იფიქრეთ, ჩემი მოთმინება. — აქ ჯერ ისევ თოვლი მოდის. —

ეს ორი თვე იქმნება, რა ჩემი ფორმულარი ორი ეგზემპლარი მოითხოვეს დივიზიონნის ნაჩალნიკმა, და არ ვიცი რა მიზეზი უნდა იყოს; არც პოლკოვნიკმა იცის, თორე მეტყოდა. — ვოზდუშნის ზამკები მომდის გოგრაში და მით ვანუგეშებ ჩემს თავსა. — მშვიდობით ჩემო საყუარელო ძმაო! შენს ცოლს ჩემმაგიერ პროშტი უყავ. — По древнему обычаю нашей фамилии, я должен принести деревню сямтрелдо пиріисьнаваяд. — მშვიდობით

შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი.

შენმაგაზდამ ზაქარიავ! დედოფალს მიჰსწერე შენი დაქორწინება ყოვლის კომპლიმენტებით. — ვიცი ძალიან იამება. — წარსრულს პოჩტაში მივწერე მე და ჯერ პასუხი არ მომსვლია.—

ჩემს საყუარელს ძმას ილიკოს სიყუარულით ვაკოცებ. — გაჯავრებული ვიყავ აქამდის იმის მოუწერლობაზე და ახლა დავმშვიდდი იმის წერილით. — ცალკე უნდა მომეწერა ილიკოსთან, მაგრამ ეხლა ვეღარ მოვასწარ. —

დედას (9) დედაშვილურად მოვიკითხავ. — გეთაყვანე მომწერე შენს ქორწილში რას შვრებოდა. — ვიცი ბევრი წუწუნი ექნებოდა სიხარულისაგან. — ჩვენი მოსამსახურენი მომიკითხე. —

ჩემმა პატარა ბიჭმა (10) მუხლს გაკოცათ. —

16. მარიამ დედოფლისადმი

25-го Апреля Биржи

უმაღლესო დედოფალო

უმოწყალესო ხელმწიფავ!

ბრწყინვალესა დღესასწაულსა მოგილოცავთ. უფალმან მრავალგზის განგატარებინოსთ ესრეთი კეთილსუფევითა და სიხარულითა.

ამის უწინარეს თქუენდამი გამოვატანე წერილი ჩუენს დოქტორს, მარამა უბედურებისა ჩემისა გამო, ეჰსცან რომ იგი გზაზედ გამხდარიყოავათ; და ვგონებ, რომ აქამომდის არ მოგრთმევიათ წერილი იგი; და ამისათვის იშვიადითა მოწერითა ნუ აჰსწონთ უღრმესსა თქვენდამი პატივისცემასა ჩემსა; ჩემდამი ესრეთ მფარველობასა და მოწყალებასა თქუენსა დავივიწყებ მაშინ, ოდესცა განქრების სიცოცხლე ჩემი. —

ჩემს ანბავს ინებებთ, ღ˜თის მოწყალებით გახლავარ მშვიდობითა. — პოლკი ჩუენი (1) მალე წავალს გზისა გასაკეთებლად საშუალ რიღისა და მიტავისა, და აგვისტოს თვეში ლაგირად ვიდგებით ვილნოს. — ჩემნი ნაჩალნიკებნი მწყალობენ და იმედიც მაქუს, რომ შემდეგცა არა შეჰსცვალონ მათ კეთილი ჰაზრი თვისი ჩემზედა. — ვიცი გიამებათ, ჩემს ძმას ზაქარიას მოუვიდა პოდპორუჩიკობა და დიდიხანია გადაიყვანეს საქართველოს არტილლერიაში.

ღ˜თმან გაკურთხოთ თქუენ დედოფალო! კეთილის გულის მონიშებითა; ამისთვის გთხოვთ რათა სიშორემან არა შეჰსცვალოს მოწყალებრივი გული თქუენი ჩემდამი და კუალადცა ვიყოფოდე (sic) მფარველობასაქვეშე თქუენისა, ამა საამურისა იმედითა და ჭეშმარიტითა პატივისცემითა. დავშთები *).

17. დავით ჟორჟანაშვილისადმი (1)

ჩემო საყუარელო დავითჯან! შენი დიდი თაბახი წიგნი დიდმარხვის ორშაბათს დაწერილი, მომივიდა სწორედ აღდგომა დღეს. — შენ თვით

*) წერილი იბეჭდება შავად ნაწერი დედნის მიხედვით. გრ. ღრპელიანს ის ალაგ-ალაგ შეუსწორებია.

ფიქრე, თუ რა მხიარულად წარვიდა ჩემთვის დღე იგი. — Это удовольствия растаял мозг мой на очереди радости, поджигаемой огнем дружбы. იმის ეშხით სამჯერ ვაკოცე (Христос воскрес) პისერსა კუპრიან ულვაშებში; შენის წიგნის მომტანსა, რომელიცა შუბლზე მივიდე და ტყუილს ყიზილბაშურს ენაზე ლოცუები ვჰსთქვი. — ახ! დავითჯან, რამდენს სიამოვნებასა მაძლევენ შენნი წიგნები მარილიანად დაწერილები, რომელიცა ყოველთვის ჩვეულებათა მაქუს, რომ უნდა უბეში მედოს და ვკითხულობ ხშირხშირად, მანამ მამივა ახალი, მაშინ ძველს приобщаю по прежним твоим письмам, და ახალსა ვატარებ უბეში შეორე წიგნის მიღებამდის. — იმედი მაქუს, რომ შენს წიგნებს აღარ გასჩხრეკენ უწინდელსავით... ნეტავი ღ-თმან მაღირსოს შენი ხილვა, რომ გაჩვენო შენი წიგნები სადაცა ნახავ თუ ვითარ განგიტარებია დრო.

ახლა ჩემს ანბავს გეტყვი. — წყალკურთხევას აქეთ სულ ავათ ვიყავ. თუმცა ახლა ღ-თის მოწყალებით უკეთავარ, მაგრამ მაინც ჯერ გარეთ არ გამოვდივარ; აქ ისევ ზამთარია, თოვლი მოდის. — შენ იფიქრე თუ რა ვირის მოთმინება უნდა მქონდეს ამდენ ხანის შინ ჯდომისათვის. — ლეკარი ამბობს, რომ ჩეხოტკა არისო выдыхательном периоде—[. . . .] ამ ერთს კვირას უკან მივდივართ გზის გასაკეთებლად რიღისა და მიტავის საშუალ. — იქიდამ წავალთ ვილნოში ლაგირათ აგვისტოში, სადაც იქნება ხელმწიფემაც ინებოს ჩუენი გასინჯვა. — მაგრამ მაინც კიდევ შენ ადრესზე დააწერე: чрез Г. Бауск в Местечко Биржи Виленской губерний, თუ პოლკი დაგვიწყებია: Невского Морского Полка.— ჩემი ლუბოსტი Панна Александра დიდი ხანია აღარ მინახავს ავათმყოფობისაგამო. — ამასწინათ გამოეგზავნა ჩემთვის სპალნის ბაშმაკები ფერადებით მოქსოვილი. —

(წერილის გაგრძელება):

ეს ორი თვე არის, რა ჩემი ფორმულარი მოითხოვეს ორი ეგზემპლიარი დივიზიონნის ნაჩალნიკმა. — არ ვიცი რა მიზეზი უნდა იყოს, არც პოლკოვნიკმა იცის თორემ მეტყოდა. — ვოზდუშნის ზამკები მომდის გოგრაში და მით მანამ ვანუგეშებ ჩემს თავსა, ესეც კარგია. — იმედი თუმცა ხშირად გვატყუილებს, მაგრამ ძნელია ვისაც არ აქუს იმედი. —

შენმა ქორწილებში ლხინებმა მართლა საღერღელი ამიშალა; ბიჭეგ ხომ გაცოფებულხარ მეტის ლხინისაგან. ოცი ღამე რა ამბავია.— ახ! ნეტავი როდის ვიქნები მეც თქუენთან! — მირზაჯანა, იაგორ სტეფანიჩ (²) სიყუარულით მომიკითხე, რატომ გერასიმას (³) ამბავს არა მწერ, დაღისტნიდამ არ დაბრუნებულა ჯერა? — ჩემს პლემიაშას შაშინკას (¹) და მისს ცოლს ჩემს რძალს სიყუარულით ჩავპროშტაკ. — პეტრებუღისას რას ამბობს, თხუთმეტი ათასი ხომალდები და ბომბები. — ეჰ დავით! ალბათ ქიბელა ოლურ, ჩუენი უმცროსი ძმები დაქორწილდენ და ჩუენკი რიყეზე

დავრჩით. — აქა იქ თმაში ჭაღარაც გამომდის, მაგრამ ვაგინებ და ვიგ-ლეჯ. — სოლომონ ექიმოვი (5) მომიკითხე, ეგრეთვე ნიკოლაი ივანიჩ ჩუბინ-სკი. — გახსოვს ვერაზე რომ გვეუბნებოდა Заидем ко мне чай пить, კლდის უბანში. —

დავითჯან! თქვენში მრდა არ არის ციგარის მოწევა; მინდა ჰავანსკის ციგარები გამოგიგზავნო. —

18. ზაქარია ორბელიანისადმი

ჩემო საყუარელო ძმაო ზაქარიავ! შენი წერილი მარტის 12-ისა შივიღე პირველს მაისს და აქამდის მერწმუნე რომ ვერ მოვიცალე მოწე-რილათვის უჩენიებისა და სმოტრებისაგამო, თუმცა ცოტა სიზარმაცესაც შიეწერება ესე. — ახლა ღ-თის მოწყალებით კარგათ შევიქენ; მაგრამ გამ-ხდარი ვარ; ვსვავ თხის რძესა და ჩაის მაგიერ ჯეჯილსა. — დასწყეველოს წლევანდელი აქაური გაზაფხული, იფიქრე მაისში, (რომელიცა არის უმშვენიერესი დრო წელიწადში,) საშინელი სიცივე და თოვლი იყო. — მიკ-ვირს აქაურს ლექსებში რათ აქებენ მაისის ვარდსა. —

მელიტონის კარგათ მყოფობამ მეც კარგათ გამხადა. — ღ-თმა ნუ გამაგონოს მაგის უბედურება. ჩემს საყუარელს ეფემიას თავის შვილებით დავჰკოცნი. —

ახლა ჩემო ზაქარიავ! ვინძლო პირველადვე ვაჟი გააკეთო, რომელ-საც უნდა დაარქვა სახელი ლიპარიტ родоначальника нашей фа-милии, და უნდა მე გავზარდო, თუ ღმერთი მაღირსებს თქვენს ხილვას.— Я уверен, что ты должен быть щастлив с своей женою; ибо драгоценные правила кротость, смиренность, доброта души, которые украшают женщин, без всякого сомнения внушены ей с младен-чества воспитанием; и помни, что от тебя только зависит удержать её в сих правилах, без коих нет щастия и супружества и отвлечь от всех пустых женских желаний и заблуждений.

ბიჭო! ვინ გითხრა, რომ მე ვკუდებოდი Н. — შენმაგაზდამ სიცრუეა.— ჰო, მაგრამ ელისაბედ (1) რომ მანდ არის უთოოდ ის გეტყოდა. — Хо-тя она достойна [. .], но по моему мнению никакая женщина не стоит и одного вздоха нашей любви.— ახლა მგონია დაბერდებოდა, გასქელდებოდა. — შენსგაზდას მომწერე пообстоятельно, თუ საიდამ გაქუს იმედი პენციისა. ბარონ როზინმა თუ აღგითქვა წასვლის დროს იქნება აღსრულდეს; ამიტომ რომ ძალიან კარგათ არის მიღებული ხელმწიფისაგან (2). — ჩემის მანდ გადმოყვანისა რაღა რჩევა გინდა, თუ შე-გიძლიან რამე ეცადე ბარონთან, რომელიცა მგონია წამოვიდა პეტერ-ბურღითგან. —

ამასწინათ გაზეთებში წავიკითხე за отличия противу Грузии в 1832 году Манор Баратов (3) награждается, непомню (?) Станислава, или Анной. — ჩვენი მელიტონის მეტი ვინ არის მაიორი. მიულოცე ჩემმაგიერ სიხარულით და უთხარ, რომ მურთუზალიშვილს (4) რომ ხმალი შემოჰკარ ყბაში თქო, იმისთვის მოგვიდა награждения თქო. —

ბიძიებს და ძალუებს სიყვარულით მოვიკითხავ. ჩემმაგიერ სალოსეს (?) და ნინოს მიულოცე კატუას (5) დანიშვნა. — რა გამოვიდა ერთხელ ვერავის ქორწილში ვერ დავესწარ. — რამდენჯერაც მოვალ შინ, იმდენჯერ უნდა ტირილი და ვაივაგლახი დამხვდეს. —

ნუ დიმიძვირებ ჩემო ზაქარიავ! შენს წიგნს და ანბავს. — ძალუას (6) ჩემმაგიერ აკოცე. — ბიკო პირსანახავი უნდა გამოუგზავნო და, ერთი ფული არა მაქვს. — ჩემს საყუარელს ძმას ილიკოს სიყვარულით ვაკოცებ. —

4-го Июня Г. Рига

19. სალომე ბავშვაძისადმი

25-го Июля Рижский гошпиталь

[უმოწყალესო დაო სალომევ!] (1)

[წერილი თქვენი მაისის 22-ის მივიღე ხუთს ივლისს].

რიღის ქალაქით ჩვიდმეტ ვერსზე არის სოფელი ესე იგი ერთად ერთი სახლი სახელად სკრონდებუდე, სადაც არის კვარტირა ჩემი. იქ ხუთს ივლისს ვიჯექ მარტო და დაფიქრებით გავყურებდი ფანჯარაში მიმომსვლელთ დილიჟანებთ, სახლის პატრონის თხებს, ქათმებს და ამგვარ სოფლის შესაქცევ კარტინებს, ამ დროს მოვიდა ჩვენი ადუტანტი და მომიტანა ორი პაკეთი, ერთი ჩემის ძმისა (2) და ერთი კი ვერ ვიცან, თუმცა დიდიხან დავყურე პაკეთსა [და ვფიქრობდი ახ! ღ˜თო ვისგან უნდა იყოს...] ვაი ჩემს გამოსულელებას, რომ ნინოს (3) ხელი ადრესზე ვერ ვიცან, მაგრამ როგორ მოვიგონე˜დი ამ ბედნიერებას. მაშინვე სიხარულით დავაძახებინე პესენნიკებს (ანუ მომღერალთ სალდათებს) და საღამომდის ვაღრიალე. ამათი ხმა რიგაში ისმოდა. ეს რუსული ლხინი გახლავსთ. — ეხლა თქვენი წერილი ნაწილებსავით უბეში მაქუს და ყოველდღე დაუჯდომელის (4) მაგიერ ვკითხულობ. — ვმადლობ ღ˜თსა თქვენის მშვიდობისათვის.

ჩემს ამბავს მოიხსენებთ, მშვიდობით გახლავარ, დილით უჩენიე, საღამოდ უჩენიე და როცა მოცლილი ვარ ხან და ხან მივაჭენებ რიღისკენ ჩემს ნაცნობებთან ნემენცებთან, მაგრამ ამათი ბუტერ ბროტ და ანუ პური და კარაქი: ჩიბუხით, ციგრებით მომეწყინა. — ამას წინათ ჩვენმა პოლკოვნიკმა ბალი გააკეთა ბაღში, სახელად ვეიზინღობს, სადაცა იყვნენ

მიწვეულნი პ˘ლნი ჩინებულნი რიგის მცხოვრებთაგანნი, რომელთა შორის იყო აქაური პირველი კრასავიცა რიღის კამენდანტის ღენერალ დრიზენის ქალი, რომლისა მშვენიერება არის განთქმული. — მერწმუნეთ თქუენი დარეჯანა (5) და თალალა (6) უმჯობესნი არიან. — დასწყევლოს აქაურობის კრასავიცების სახები, შემწვარს კართოფილებს ჰგვანან. — დიდი ბაასი მქონდა იმ ქალზე, რომ არ ვაქე სხუათ მსგავსად, ვინც არ ყოფილა საქართველოში, იმან არ იცის თუ რა არის კრასავიცა. — ზოგნი ერთნი არიან აქ ლამაზნი, მაგრამ ვერ შეედრებიან ჩვენს ქალებს სილამაზითა.

ამას წინათ გაიარეს ღვარდიის კავალერიამ, რომელიცა არის დანიშნული მანევრისათვის კალიჩში (7), სადაცა შეიყრებიან სამნი უპირველესნი ხელმწიფენი ევროპისანი: რუსეთისა, ავსტრიისა და პრუსიისა (8), თქუენ თვითონ იფიქრეთ, თუ რა ყოფა იქმნება იქა. ამ კავალერიას ჰკამანდობდა პოლკოვნიკი ბაგრატიონი იმერეთინსკი (9). — ცხენები, კუჩრები, კარეტები, ხელმწიფის და სხუათა კარის კაცთა ყოველდღე მიდიან, დღესაც გაიარეს ჩერქეზებმა თავისის ნაბდებით და ქუდებით, თავისებურათ ყიჟინით, ქენებით და სწორედ მოგახსენებთ, რომ მიამა მათი ხილვა. — ამას წინათ ვნახე ღენერალ ლეიტენანტი ბარონ როზენი (10), რ˘ლიცა იყო დივიზიონნის კამანდირად საქართველოში, დიახ კარგათ მიმიღო, გაუხარდა ჩემი მასთან მისვლა. — მიამბო თქვენი ანბავი, კნიაზისა (11), რომელიცა ენახა პეტრებურღში და ბატონისშვილის თეკლის (12) მოსვლა საქართველოში.— მე აქ შევიტყე, მითომც საქართველოში უნდა იყოს სენატი, და არიან დანიშნულნი სენატორად სხუათა შორის კნიაზი ერისთავი (13) და თქვენი კნიაზი (14). — მომწერეთ გეთაყვანე სალომე ეს მართალია თუ არა.— ეს კი ვიცი, რომ კნიაზი ძალიან კარგათ არის მიღებული პეტერბურღში. — მრწამს, რომ ღ˘თი არ მომკლავს, მანამ ჩემთ მტერთა თვალებს არ დაუბრმავებ. ეს არის რომ დაშორება მაწუხებს, თორემ მე აქ უფრო გამოჩენილათა ვარ ვიდრე ვიყავ საქართველოში. — რა უყოთ, ლოცვა და მოთმინება, როგორც ამბობს მამა იონა (15). — ეს ღექსები, რომელიც არის მიწერილი ჩემს დასთან (16), მომირთმევია თქვენთვის, სადაცა არის აღწერილი ჩემი საპყრობილეში ყოფნა. — წაიკითხეთ ყურადღებით და მომწერეთ სწორე თქვენი ჰაზრი. — სალომეე! ნუ დამივიწყებთ თქვენს ქეშმარიტად პატივისმცემელს და სიკვდილამდის ერთგული გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი*).

10 ი ვ ნ ი ს ს

რ ი გ ი ს ღ ო შ პ ი ტ ა ლ ი

უსაყვარლესო დაო ნინაე! (17)

გმადლობთ და კიდევ ჩვიდმეტი ურემი დაბარგებული მადლობითა მომირთმევია თქვენთვის. — ქეშმარიტად არ მოველოდი თქვენგან მოწერასა და მით უფრო სიხარული ჩემი იყო უმეტეს რაოდენცა მოულოდნელ. ეს

*) გრამატიკული შეცდომები ავტორისაა.

Გ. ᲒᲠ. ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ. „ წერილები.

წიგნი აქამდის რომ დავწერე ასე შევიქენ ავათ რომ ვეღარ შევიძელ შესრულება ამისი და წაველ ღოშპიტალში, სადაცა აქამდის გახლავარ ბიამანითუსავით თეთრის ხალათით, თეთრის კალფაკით, თეთრის ჩულქებით.— რაღაც გულის ტკივილი დამჩემდა, და ახლა ღ˜თის მოწყალებით გახლავარ კარგა. — ჩვიდმეტი ურემი დაბარგული მადლობითა მომირთმევია მოწერისა და ჩემის დაუვიწყებლობისათვის. — უნდა ჩემსავით იყუნეთ დაშორებულ ყოველთა გულის საყუარელთაგან, რომ ჰსცნათ სიხარული ჩემი ამსა წერილის მიღებისასა. მყვედრით, რომ წერილი ჩემი იყო პირველად, მართალია, მაგრამ პატივისცემა ჩემი და სიყუარული არაოდეს არ შემცირდების გინა სადა ვიყო. — ფრიად გმადლობთ ზაქარიას დაქორწინების მოლოცვისათვის. — Дай Бог ему щастья сколько я его люблю и довольно. — По моему мнению всякий выбор хорош, лишьбы основан был на согласии и любвы супругов, а там, какая надобность до суждений посторонных, когда я счастлив. А я уверен, что Захарий будет счастлив с своею женою, ибо она будучи воспитапа в страхе божием должна иметь все свойства доброй жены. — взглянем вокруг себя, на ком можно жениться, неужели па тех, кои подражая вам, отдались в пансион, где выучив несколько французских слов и променяв ქოშები на башмаки воображает, что кончила курс воспитания. — Полурусские-полуфранцуженки, полугрузинки, неужели они могут быть добрыми женами? Между тем, как каждая из них непначе хочет выдти замуж, как за Грибоедова [18] или покрайней мере за флигельад'ютанта. Боже избавь от них. გიჟი მანანა [19] უფრო გაგიგიჟებიათ. გადამკიდების [....] მითარგმნეო. მე მგონია რომ თქუენ ერთხელ დამპირდით ქისა. აღთქმას აღსრულება უნდა. — უწინდელი თქუენი, ქისა სულ ლუკმა ლუკმა დაიგლიჯა, მაგრამ ასეთი ბედნიერი იყო, რომ ფული არ გამომლეია. — პატარა თქუენს დას [20] ვაკოცებ შუბლზე.— მშვიდობით.

ღ˜თი იყოს მფარველი თქვენდა, ნუ დაივიწყებთ თქვენს მორჩილს ძმას გ რ ი გ ო ლ ი.

წინანდლის ვარდო
სახით ცისკარო
სულითა მტრედო

ჩემო საყუარელო დაო კუკელავ [21]! შენს ხასიათის გამოცვლასა მწერ და არა მწერ მიზეზსა. — Будь откровенна со мною, ей Богу никому не скажу. это я сам угадаю, признайся не влюблена ли? — Какой злодей осмелился произвесть (?) такую перемену в характере, столь преложном, скажите слово и я его убью, зарою в могилу. ახ! ჩემი სო-

ფიკო[22]) მომაგონდა, სად არის? როდის უნდა ვნახო და ხილვის დროს ბიცნობს თუ ლორნეტით შემომხედავს ვითარცა უცნობსა. გეთაყვანეთ მომწერეთ რასა გწერს და უფრო უმჯობესი იქნება, რომ გამომიგზავნოთ იმის წიგნი. — ძალიან მიხარიან, რომ გაიცანით ჩემი დედიდაშვილი ნინო[23]; ამას წინათ მივწერე და არ ვიცი მოუვიდა თუ არა. ამა წიგნის წერაში შემოვიდა გიჟი მაიორი[24]), დიდი კასკასით. — და აი რას ლაპარაკობს, — Я очень рад, что вы пишете; — я сам писал в бомбардирском полку ха, ха, ха (გაიცინა). Вот экстерни (თავის ჩიბუხი მაჩვენა) в Данциге, в Крыму большие огурцы продают; в бомбардировском полку ужасно: граф Кутаисов[25]), я убил семерых, а полковник Нежданов[26]) в Сибирь, ха, ха, ха, на кра-ул, на пле-чо. — საწყალი ძალიან შემებრალა, — ასეთი ლამაზი შვილები ჰყავს საბრალოს. დღეს ამასთან იყვნენ და საკურულად უალერსა იმათ.

(წერილს ამის შემდეგ მიჰყვება ლექსი: „წ ი ნ ა ნ დ ლ ი ს ვ ა რ დ ო“. იხ. ლექსები 1928. გვ. 6)

20. მარიამ დედოფლისადმი

16-го Августа

р и г и с ქ а ლ а ქ ი თ

უმაღლესო დედოფალო

უმოწყალესო ხელმწიფ(ა)!

უღრმეს პატივისცემასა ჩემსა უმდაბლესად მოგახსენებთ, და უფალსა ვჰსთხოვ კეთილის სუფევას თქუენსა და სიხარულსა; და მაქუსცა იმედი, რომელ ამა დღე ყოველ ლოცვასა ჩემსა არა უგულებელსჰყოფს ღ˜თი. —

თუმცა რამდენჯერმე მომირთმევია წერილი, მარამა არა უნდა შემრისხოთ იშვიადისა მოწერისათვის, რადგანაც ვერიდები რომელ არ შეგაწყინოთ ხშირად მოწერითა. — ჩემს ანბავს მოიხსენებთ, ღ˜თის მოწყალებით გახლავარ მშვიდობით. — ვიცი გიამებათ ჩემის ძმის ზაქარიას ანბავი, ამისთვის მოგახსენებთ, რომ იმან ჯვარი დაიწერა ანჩხატის დეკანოზის ქალზე, სახელად ქეთევან. — ზაქარია თავის ჩემდამ წერილში ძალიან აქებს იმის სილამაზეს, გონებას და ყოფაქცევას, მზითევიც მიუციათ ხუთასი თუმანი სხუადასხუა ნივთებთ გარდა. — საქართველოში ესე არცა ბევრია, არცა ცოტაა. — მე კი დედოფალო! (როგორც ნათქვამია) რიყეზე დავრჩი, — ჩემი სოფიკო თავრიზშია, მე რიღაში, როდის უნდა შევხდეთ, თმებიც ყოველ˜დღე მითეთრდება უმეტეს და უმეტეს. ვაი! ვაი! ესე არა მცირედ მაწუხებს. — ძნელია დედოფალო სახით და გულით უდროოდ დაბერება. — და ამისათვისა მეშინიან ვა˜თუ ბოლოს ქოქოლა მომაყაროს და მითხრას მეხი კი დაგექცაო.

შმაღლესო დედოფალო! მოწყალებანი თქუენნი ჩემდამი ღრმადარიან. გთხოვთ უმორჩილესად, რომელ რათა კუალადცა იყოთ აღბეჭდილ გულსა ჩემსა ზედა და მაქუს იმედი, რომელ არა დავშთები თვინიერ მფარველობისა თქუენისა; ამა ჰაზრითა აღვსილი დავშთები უღრმესითა თქუენდამი პატივისცემითა ჩემითა.

21. ილია ოტრბელიანისადმი

ჩემო უსაყუარლესო ძმაო ილიკო! ამასწინათ ზაქარიამ მაცნობა შენი წასვლა პოლკში, რომელიცა არის ეხლა, [.....] აფხაზეთში და შენკი არც ერთხელ არა მწერ შენს ცხოვრებას, მაშინ როდესაც იცი ჩემი შენდ[ამი] სიყუარული, იცი, რომ შენი ანბავი მინდა შენგანვე შევიტყო (1). დიდი სირცხვილია შენთვის, თუ იგრძნობ; ჩემს ესრეთს დავიწყებას არ მოველოდი შენგან. ვიცი ბევრს დამაბრკოლებელს მიზეზებს მომწერ, მაგრამ ადრევე გეტყვი, რომ სულ არ დაგიჯერებ; მიტომ რომ აფხაზეთი ესე არ არის დაშორებული ქუთაისზე, რომ ფოჩტა არ იყოს მათშორის, и может ли отряд стоять без всякого сообщения с корпусом? ежели есть сообщения то [что же] помешало писать ко мне? — ზაქარია მწერს, რომ მითომ თქუენ მოგსვლიათ ომი, რომლისათვის ხარ აფიცრად წარდგენილი, მიამა ძალიან, თუ მართლად, თუ მართლად აღსრულდებაკი (2). — მომწერე ვის როტაში ხარ და ან ვინ არის ბატალლიონის კამანდერი და პოლკისა; როგორა ხარ მიღებული საზოგადოობისაგან; ვინძლო ჩემო ილიკოჯან! რომ ჭკვიანურის ყოფაქცევითა მოიპოვო პატივისცემა და სიყუარული აფიცრებთაგან; რადგანაც აღირჩიე სამხედრო სამსახური, ამისათვის უნდა ეცადო ყოვლის შენის ძალითა და გონებითა, რომ ჰსცნა სრულებით ხელობა შენი. — გააკეთე პახოდნის ჟურნალი, რომელშიაც ჩაწერე ყოველდღე ცხოვრება შენი; როგორ გაატარე დღე იგი, რა ილაპარაკე, რა გააკეთე, რა გაიგონე, в отношении военными. სად იდგა თქუენი პოლკი ანუ ოტრიადი, და როგორის წესით, და აღწერე იგი ადგილი с описанием обычая, нрава жителей тамошных, сколько дозволяет твой [.....] события (?). თუ მიდიხართ გზაზე, სად იყო პრივალი, როგორი გზაა, რამდენი ვერსი განვლეთ და ამგუარად ყოველივე დაწერილებით ჩასწერე ხოლმე. — ესე შენთვის დიახ სასარგებლო და საასიამოვნო იქნება შემდეგ, პირველად რომ გონება შენი უმეტეს და უმეტეს განიხსნება და შეეჩვევა განმსჯელობასა, და მეორედ რომ რამდენსამე წელს უკან შენი წარსრული დღეები ცხადად წინ წარმოგიდგება და მით ჰსცნობ, თუ რაოდენნი დღენი უბრალოდ ფუჭად განგიტარებია. — მე არაოდეს არ დაგიშლი მხიარულად დროს გატარებასა, მაგრამ უნდა იცოდე, რომ მხიარულება არა მდგომარეობს არცა ლოთობაში და არცა ქალალ—

დის თამაშობაში, ეს წყეულნი ენებანი ესრეთ ძლიერ არიან მიმზიდ-ველნი ყმაწვილის კაცისა, რომ თუ ძალიან მაგრად არ წინააღუდგა მათ, სრულებით წურბლებსავით ჩაეკვრებიან გულში და დაღუპვენ საუკუნოდ; მე ამიტომ გწერ ილიკო, რომ სამსახურში მრავალთაშორის პირველი ამხანაგობა არის ლოთობა და ქაღალდის თამაშობა, ერიდე, ერიდე მანამ ყმაწვილი ხარ და როდესაც ჩემი ხნისა შეიქმნები, მაშინ თუნდ ქვევრი დასცალო არ შეიცვლები ხასიათით, რომელიცა ეხლა შენს ხანში არის რბილ, ჩვილ წმინდა სანთელსავით, რომლისა ზედა ის გამოისახება, რასაც დაასმ ბეჭედად.

შენგან მოველი გრძელს წიგნსა, როგორ წახვედ შინითგან პოლკში, რა ნახე იმერეთში, ქუთაისში ვინ გაიცან თავადიშვილებთაგანი და ან რა არის მასში ღირსსახილველი, მათი ჩვეულება და ხასიათი в отношении историческом развалины, древние монастыри, их архитектура и тому подобные, где хранятся много старинных книг грузинских. — ერთის სიტყვით ყოველივე წვრილად და წვრილად. — სამხედრო სამსახური ამით არის კარგი, რომ საცა არ გგონია იქ მიხვალ, ამისათვის ყოველივე უნდა ყურადღებით გასინჯო, გამოიკითხო და დასახსომლებლად ჩასწერო ჟურ-ნალში.

ვინძლო ილიკო! რომ ნემენცური ან ფრანციცული რაც კი გისწავ-ლია არ დაივიწყო და კიდევ შენის მეცადინეობით უმეტეს და უმეტეს ისწავლო, თუ გინდ სლოვარით, ეკ ორი ენა არის ფ˙დ განათლებულის და მსწავლულის ხალხისა და არის ძალიან ხმარებულ რუსეთში საზოგადოო-ბისაგან. ნუ გგონია, რომ მარადის ტბილისში იყო და იმერეთში, ჩემსა-ვით აქეთ მხარესაც ნახავ და მაშინ ბევრს შეიწანებ, რომ არ დაიჯერე სიტყუანი ჩემნი; ეხლა ხარ თვრამეტის წლისა, რომ დაიწყო ერთის რომ-ლისამე ენის სწავლა, მანამ გახდები ოცის წლისა კარგათ გეცოდინება, აქედან შენ იფიქრე, თუ რა ისეთ ყმაწვილს გეცოდინება (sic) ვინძლო არ გაგიძნელ˙დეს ესე. — სლოვარს რომ ისწავლი, პირველს შემთხვევაშივე გაგი-ადვილდება ლაპარაკი. — თუ გინდა გამოგიგზავნი ნემენცურს სლოვარს.

22. ანა ორბელიანისადმი

უსაყუარლესო ძალუავ ანნავ! (1) მწუხარებითა აღვსილმან ვჰსცან სიმ-წარითა გარდაცვალება საყუარელის ძმისა ლუარსაბისა (2), და მით დამერთო უბედურებას ზედა უბედურება. აწ მე ვარ მართლად შესაბრალისი, რომ მწუხარება უნდა დავმარხო ღრმად გულსა შ˙ა ჩემს; მხარეს უცხოს ვინა იგრძნოს მწუხარება ჩემი? ვინა მიიღოს მასშინა მონაწილეობა? ვზივარ მარტო დაყრუებულ ოთახში და გარდამეტებულის სიმწარით მდიან თვალთაგან ცრემლნი, რომელნიცა არა ნუგეშს ჰფენენ გულსა.

უბედურება ესე არის სრულიადი უბედურება ჩუენის გუარისა და განსაკუთრებით ჩემი, რომელმანცა განვატარე ესრეთი სიხარულით სიყმაწვილე ჩემი საყუარელთა ლუარსაბთან და დავითთან (3). ახ! ნეტავი მღირსებოდა მაინც უკანასკნელი ხილვა იმის! წყეულმან ბედმან ჩემმან ნუგეშიცა ესე მომაკლო.

საყუარელო ძალუავ! უბედურება ესე არის მოვლინებულ ზეგარდმო. ამისთვის არ უნდა მიეცეთ სასოწარკვეთილებასა... აკურთხეთ სახელი ღ~თის, და ევედრეთ, რათა მოგანიკო[თ] მან სიმტკიცე სულისა მოსათმენად ამა უბედურებისა.

23. მანანა ორგელიანისადმი

ჩემო საყუარელო და უბედურო ძალუავ მანანავ! შუაღამიდამ ორი საათია გასული და მე მწუხარება არ მაძინებს. რამდენიმე საათია ვცდილობ შენდა მოწერას და ვერა მომიგონია სათქმელად. — ვერც შენდა ნუგეშის, ვერც ჩემის მწუხარების. ესრეთ სიმწარემან სრულებით განაბნია გონება ჩემი და ჰშთამფლო მოუთმენელსა მოუსვენლობაში; მარამა შენ იგრძნობ ჩემს მწუხარებასა, იგრძნობ როდესაც მოიგონებ, რომ უბედნიერესნი ჩემნი დღენი წარვიდნენ თქუენს ოჯახში საყუარელს დავითთან და ლუარსაბთან, რომელთა სიკუდილით დამემწარა სრულებით სიცოცხლე და გამოცხადდა ჩ~ნს გვარზე რისხუა ღ~თისა. — მანანავ! ვინძლო უბედურებამან არ გძლიოს შენ, არა დაეცე სულითა. — გარდამეტებული მწუხარება არის წინააღმდეგ ღ~თისა. მიჰხედე შენ წვრილშვილებს, რომელთაცა მფარველად დაჰშთი მხოლოდ შენ ამ სოფელში. მათთვის უნდა იცოცხლო, მათთვის უნდა მოითმინო ყოველგვარი უსიამოვნება და ტანჯვა; თვითეული ჟამი, თვითეული დღე შენისა სიცოცხლისა უნდა უმსხვერპლო მათ. — ეს არის დიდი ვალი შენი, ვალი დედისა. — ამა მიზეზთა გამო განმხნევდი სულითა, შეძლებისაებრ განაგდე ყოველივე მწუხარება და მედგრად შეუდეგ და აღასრულე ვალი შენი. — ყოველისა შენის ფიქრის საგანად უნდა იყუნენ შენნი შვილნი და მათი ბედნიერება. — მანანავ! მე ეხლა გამოშტერებული ვარ, მრავალთა სამწუხაროთა ფიქრთაგან, რომელნიცა ირევიან ჩემს გონებაში. ამისთვის შევამოკლებ ამა წერილსა უბედურებისა. — ძალუავ გეხვეწები დაწვრილებით მომწერე ყოველივე გარემოება თქუენის სახლისა, მიზეზი უბედურის სიკუდილისა, და აწინდელი თქუენი მდგომარეობა, და ან როგორი პლანები გაქვსთ თქუენის ცხოვრებისათვის. თუ ღ~თი გრწამს ნურას დამიმალავ, ხომ იცი ჩემი სიყუარული და ერთგულობა თქვენის ოჯახისა, ამისათვის მინდა ყოველივე ვიცოდე.

მანანა ოგანელიანი

1836

24. ილია ორბელიანისადმი

16-ს სეკდემბერს ლაგირი კოვნო (1).

ჩემო უსაყუარლესო ილიკო! წუხელის შუალამისას მოვიტანეს შენი წერილი, ვჰმადლობ ღ˜თს შენის მშვიდობიანობისათვის. — ძალიან, ძალიან მიამა შენი წარდგენა და ცოდნა სამსახურისა. აგრე უნდა შენმაგაზდამ (2). კაცმა რა გზაც აღირჩიოს თავის ცხოვრებისათვის უნდა მედგრად ვიდოდეს მასზედ. ყველა ხელოვნება, ყველა ცოდნა კარგია და სასარგებლო კაცისათვის, მაგრამ ერთი უნდა ამოირჩიოს главною целью, всё прочее, так сказать, должны быть средствами вспомогательными; ამისთვის, აღმოირჩიერა სამხედრო სამსახური, უნდა სრულებით იცოდე ესე, და სხვანი რაც გეცოდინება ჰსწავლები, ანუ ენები, ესე შენი უმთავრესი საგანი უნდა შეამკონ მათ. — ასე ჩემო ილიკო! დარწმუნებული ვარ, რომ лицом в грязь не ударишь, და ყოველთვის გახსოვდეს ესე, რომ როცა საქართველოში ღ˜თი გაღირსებს ხილვას, პირნათლად მიხვიდე.

დღეს დილაზე მივედი დეიტრიხსთან (3), მაგრამ ვერ ვნახე, წასულიყო სმოტრში, წერილი შეთან დაუგდე იმას კვარტირაში. — ამ წერილის მომტანი არის ჩუენი აფიცარი პოდპორუჩიკი შტაკელბერღი, დიახ კარგი ყმაწვილი კაცი. — ხვალ ჩუენი ლაგირიც იშლება, ჩუენი ბატალიონი ჰრჩება აქა 30-ს ამ თვისას, რეკრუტების გასაცილებლად დინაბურღადმის (4), რომელნიც მოდიან პოლშიდამ. — ამ ზამთარში ვიდგებით მესტეჩკოს ბირეის სიახლოეს ვილენსკის ღუბერნიაში, პონევეჟის უეზდში, მაგრამ წიგნი კი მაინც მოიწერე რიღაში.

ეს წიგნი ალექსანდრეს (5) გაუგზავნე საჩქაროთ და შემატყობინე რომელს პოლკში ემსახურება. —

ვასილი ყორღანოვი(6) ჩემ მაგიერ სიყვარულით მოიკითხე, მიულოცე მაიორობა, აქამდის არ ვიცოდი. —

ფელდმარშალმა(7) გაგუშინჯა 14-ს და 15-ს ამთვისას და ძალიან მადლობა გვითხრა, მაგრამ პირველს დღეს საზარელი დარი იყო. წვიმა კისერში ჩაგვდიოდა, მაგრამ ცერემონიალნის მარშიკი საუცხოოთ იყო. კნიაზ ლობანოვ-როსტოვსკი(8) ღენერალ ადუტანტი იყო გამოგზავნილი ხელმწიფისაგან, და ძალიანაც აქებდა. —

არზა ოტპუსკისა მივეც. დღეს დეეურნოს შტაბ აფიცარსაც უთხარ, მაგრამ იმან მიპასუხა, რომ არ ვიცი გაგიშვებენ თუ არაო; მეც ვჰსთქვი რომ ვჰსცდი მეთქი, თუ გამიშვეს კარგია და თუ არა თავს არ გამიტეხენ მეთქი. — ვინც უმეტესნი დამნაშავენი იყუნენ, ისინი ზოგნი ეხლა შინ სხედან. —

მშვიდობით ჩემო საყუარელო ილიკოჯან! ჩემი მიხაკო(9) სიყუარულით მომიკითხე, შემატყობინე ვინ არის შენი პოლკის კამანდერი და ან ბრიღადნი.

შენი გრიგოლ ორბელიანი.

როცა მოიწერო აი ადრესა.
ჯერ ჩემი სახელი

მერე Невского Морского Полка Г. Поручику и Кавалеру в Г. Ригу.

25. ᲬᲐᲮᲬᲝ

დინაბურღი 28 Ноября

ჩემო საყუარელო ილიკო! სიხარულით წავიკითხე დღეს სრულებით ანაზდეულად ინვალიდში შენი და მიხაკოს(1) აფიცრობა. — ღ˙თმან ნუ მოგაკლოს ხელმწიფისა წყალობა. — ვინძლო ილიკოჯან, რომ შენის გონებითა და კეთილის ყოფაქცევით ღირსიყო მარადის ესრეთის წყალობისა.— ვჰწუხვარ, ძალიან ვჰწუხვარ შენმაგაზდამ, რომ ამ წერილთან არ შემიძლიან გამოგზავნა ფულისა, რ˙ლიცა ახლა შენთვის, ვიცი ძალიან, ძალიან საჭირო არის. რა უყო, ამავე სიღარიბემ დამაბრკოლა, რომ ვერ წამოველ კოვნოდამ შენ სახილველად, იფიქრე რა ახლოს ვიყავით, მხოლოდ სამასი ვერსი, და ურთიერთი ვერა ვნახეთ. — ეხლა ვარ დინაბურღსკის ღოშპიტალში, ავათ ვიყავ და ღ˙თის მოწყალებით ეხლა კარგათა ვარ და მალეც ვაპირებ პოლკში წასულას, და თუ იქ როგორმე მოვახერხე, იმედი მაქუს, ცოტა რამ ფული გამოგიგზავნო. — მე ოტპუსკში მივეც არზა ერთის წლობით და მგონია რომ დეკემბერში გამომივიდეს და თუ არ დამითხოვეს (თუმცა მიზეზი არა არისრა დაბრკოლებისა),

მაშინ ან თქუენ აქ ჩემთან გადმოგიყუანთ ერთად სამსახურისათვის, და ან მე მანდ გადმოვალ თქუენთან, თუ თქუენში ისე კარგია სამსახური და საზოგადოობა, როგორც ჩემს პოლკში. — შემატყობინე საჩქაროდ სადა ჰსდგას-კოლივანსკის პოლკი (2), რომელშიაცა ხარ გარდაყუანილი, რომ მოგწერო, და რომელს პოლკშია ალექსანდრე (3). გუშინ მომივიდა ზაქარიას წერილი, ძალიან ჰსწუხს და გემდურის, რომ არა ჰსწერ, შენი ანბავი სრულებით არა იცისრა. — ზაქარიას ცოლს ვაჟი ეყოლა, და შენ უყურე ეხლა-იმის გაბერვა და პრანჭვა (4). — ზაქარია დაჰსნტანჯავს ყმაწვილსა, როცა-ფეხს აიდგამს. — ეფემიას (5) პეტარა ვაჟი მოუკვდა, ძალიან ნუ შეჰსწუ-ხდები. ამაზე — მამუკა (6) ლინიაზე ძალიან დაუჭრიათ. — ელენა (7) ზაქ-რია ერისთავმა (8) წეირთო და ეხლა ორსულად არის. — ივანე მუხრანს-კის (9) შეურთამს ცოლად ლევან დადიანის (10) ქალი. — მგონია აქამდის ჩემს შტაბსკაპიტანობას შეიტყობდი, ძლივს ჩხირი კედელს.

მომწერე ჩემო ილიკო! ყოველივე ფერი შენის ცხოვრებისა, სამსა-ხურისა, გაცნობისა ყველა და ყველა. — აი ადრესი.

чрезъ Г. Бауск, в местечко Биржи Виленской губернии.

მიხაკოს სიყუარულით მოვიკითხავ! — ვინძლო, რომ ერთმანეთი გიყუ-არდესთ გულწრფელად, ესრეთ, როგორც მე და ტატოს გვიყუარდა-ურთიერთი. — მშვიდობით ძმებო! ღ˜ი იყოს მფარველი თქუენდა. —

შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი

კოვნოდამ გამოგიგზავნე ორი წერილი, ერთი დიტრიხს გამოვა-ტანე და მეორე ჩუენს აფიცარს შტაკელბერღს, რომელიცა მოვიდა-მანდ კამანდით ფехтования, არ ვიცი მიიღე თუ არა?

1 8 3 7

26. ზაქარია ოტბელიანისადმი

14-სა იანვრის 1837 წელსა პონედელ. (1)

ჩემო საყუარელო ძმაო ზაქარავ! ყოველივე ჩემი საქმე ჯანჯალია. არზა ოტპუსკისა დამიბრუნეს ამის მიზეზით, რომ რადგანაც არზაში ვჰსწერიეარ პორუჩიკობით და ეხლა მე ვარ შტაბსკაპატანი, ამისთვის უნდა არზა გამოიცვალოსო, მამაძაღლებმა ოთხი თვე გავიდა და ეხლა დამიბრუნეს. ჯავრით აღარა ვარ. როტაც მივაბარე, ვიყავ ჩემთვის თავისუფლად, под предлогом болезни, და ყოველს ფოჩტაში მოველოდი ოტპუსკსა. ეხლა, რა უყო, ოთხი და ხუთი თვე კიდევ მომიგვიანდება, მანამ გამოვა разрешение. უნდა ხელმეორედ მივიბარო როტა და მისთანა ჯანჯალი საქმეები.—ახ! რა რიგათ ჩამეშხამა სიამოვნით განტარებულნი დღენი ამ დღესასწაულებში ამბითა ამით. ყოველდღე აქეთ და იქით მისებში პომეშჩიკებთან, რომელნიცა გავიცან მრავალნი, მივაქენებდით სანებსა — ტაწციობა და არშიყობა, რაღა თქმა უნდა, ხომ იცი პოლშის ქალები, რა რომანტისკები არიან. — ერთი ქალი საკურველად ჰგავს ელენას (2), მარჯუენა ლოყაზედაც ხალი აქუს, азиатский вкус. მე პირველმა შემოვიტანე ამათში ხალის ქება, რომელსაც დავარქვი престорл любви. — მაგრამ ისეთი ბაიყუში ქმარი ჰყავს, რომ რაღა გითხრა. ახლა ჩემო ზაქარიავ! ერთი სიკეთე უნდა მიყო. ერთი წყვილი, ან თუ შეიძლებოდეს ბევრი, აბრეშუმის წინდები გამომიგზავნე. შეჰსძარ ყოველივე შენი დები, ძალუები, ბებიები, და ყველას თითო წყვილი გამოართვი ჩემთვის.— შენც ჩემო ზაქარიავჯან! ერთი პატარა დარდიმანდულად ხავერდით შემკობილი ხაჯალი უნდა გამომიგზავნო, როგორც იყოს.



გრიგოლ ორბელიანის ფაქსიმილე (1837 წ.).

ხვალ მივდივარ ბირჟაში (3), ესე იგი პოლკის შტაბში, არზის მისართმევად ხელმეორედ. ეხლა შევიტყე, რომ კოვნოს ლაგირისათვის, რომლისათვისცა ვიყავ მე წარდგენილი, არაფერი არა მოგვივა. ბაიყუშის ეტლზედა ვარ დაბადებული. — ამბობენ, ვითომც აგვისტოში ხელმწიფე (4) უთოოდ გაშინჯავს ჩუენს კორპუსს კოვნოსთან და იქნება უფრო ადრეც. — მე ღ˜თის მოწყალებით კარგათა ვარ. ილიკოს (5) წერილი ორჯერ გაუგზავნე, მაგრამ პასუხი არ მომსვლია. ეხლა აფიცრად არის, იანვრიდამ სტარშინსტოვო 2, ღ˜მთმან ნუ მოაკლოს მფარველობა თვისი. კოლოვანსკის პეხოტნის პოლკშია, მაგრამ არ ვიცი კი სად არის მათი კვარტირა. — აქ ამბობენ დარწმუნებით, რომ პოლკის კამანდირათ იქმნებიან ლენარლები, და ბატალიონებსა მიიღებენ на законном основании პოლკოვნიკები. — ბრიღანდის კამანდირები აღარ იქმნებიან. — შვიდობით ჩემო საყუარელო ძმაო! ღ˜თმან გვაღირსოს ხილვა ურთერთისა მშვიდობიანობით. შენი გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი.

ჩემს უსაყუარლეს ძალუას (6) სიყუარულით მოკითხვას მოვახსენებ. — შენი შვილი ჩამიპროშტე. — ბარაქალლა, მოლოდეცი. ყოფილხარ.

რადგანაც მე რამდენიმე ხანჯალი მინდა, ამისთვის ვჰსთხოვ სხუა და სხუათა.—შენ იასაულად დაადეგ ყაფლანს (7), რომ უთოოდ გამომიგზავნოს.

Сейчас получили от начальника дивизий уведомление, что Государь Император изволит смотреть наш корпус в маие м˜це.— სანამდის ოტპუსკი ძლივს გამომივა, მინდა სმოტრამდის მოვიცალო, ეგებ გავხდე რასმე.

ბიძიები და ძალუები მომიკითხე ერთობრივ.

დედას დედაშვილურად მოვიკითხავ, ეგრეთვე ჩუენთ მოსამსახურეთ. ჩემა პატარა ბიჭმა მუხლს გაკოცა, თავის დედმამა მოიკითხა.

Уведомь пожалуста, неужели нет надежды в возвращении имения, занимаемого до сих пор немцами, также и в горах переселившимися из Турции Греками. За чем упускаете такое время, когда Барон Корпусным (8), а Палавандов Губернатором (9). — Долголи безпечность будет убивать нашу фамилию, впрочем Захарий! незабудь, что другим нашим родственникам нечего уж терять, потому что у них ничего не осталось, — подумаем, хоть для себя собственно.— Поговори с Палавандовым.

1 8 3 9

27. ილია ორბელიანისადმი

11-ს მარტისა. გორით (1)

ჩემო საყვარელო ილიკო! შენი წერილი გუშინწინ მომიტანა პისარმა. მწერ შაშკისა და ცხენის გამოგზავნას. პირველს გამოგიგზავნი თუ ვნახე ვინმე მგზავრი, და ცხენს კი ვერა, ამიტომ რომ მე მესამე ბატალიონში გადმიყვანეს და მომცეს მერვე როტა, უნდა წავიდე მალე ცხინვალსა, იქიდამ პახოდში, მაშ უცხენობა არ შეიძლება. —

ილიკო! პახოდისათვის ცხენები მოგვინდება. ეგების როგორმე თათრებში მოახერხო ორი ან ერთი ცხენი, ჩამოაყვანინე და ქერზე და�ბი, თორემ ხომ იცი თათრებისაგან ცხენების შენახვა. გეუას (2) უბრძანე, რომ чтоб была лошадь, да и только! თუ გეუა ზაქარიასთან (3) იყოს, ან აბრამა (4) და ან სხვა ვინმე გაგზავნე სოფლებში ცხენებისათვის. — ოღონდ ცხენები იშოვნე და ფულს, ღმერთი მოწყალეა, — ღრაფს (5) გამოვართმევ. — ვინძლო ილიკო უზრუნველობაზე ხელი აიღო და ეს აღასრულო, თუმცა მე თვითონ არ ვიცი, რომ ძნელია, მაგრამ თუ ეცდები გულსმოდგინედ, შეიძლება. — ერთი წიგნიც მისწერე იასეს ენდრონიკოვს (6), და ჰსთხოვე ერთი იაბო, და ან ბარგის ცხენი, ის არასდროს არ დაგიჭერს, ესეც ერთი ღონისძიება არის. — თორემ ქვეითად დავრჩებით. — დაიბარე კაკალა (7), თუ მანდ იყოს, უბრძანე რომ სადაც იყოს ერთი ლეკური იაბო გიშოვნოს და იმის მაგიერ როცა დავბრუნდებით, დილიბოზის ჯოგიდამ მივსცემ კარგსა ცხენსა, თორემ ნუ მისცემ ამ წიგნსა განთავისუფლებისას. — ესეც ერთი ღონისძიება არის. — ეცადე, ეგების ამ სამიდამ ერთი მოახერხო. —

ჩემს ანბავს იკითხავ, ვარ აი ასე. — ხშირად დავიარები ღრაფთან და ძალიან კარგათა ვართ ერთმანერთთან. — ღრაფინასთან ვისტსა ვთამაშობ, ღრაფთან ბილიარდსა, სიმბორსკისთან (8) არდინარცები დამყავს; ამდენი ვჰქენ, რომ очень изрядно ვათქმევინე. ეს ძალიან დიდი ქება არის სიმბორსკისაგან. —

კნიაზს (9), კნეინას სალომეს (10), ნინას (11), ეკატერინას (12) უმდაბლესად მოკითხვა მოახსენე. — დადიანი დავით (13) და გრიგოლ წერეთელი (14) აქ ვნახე ანაზდეულად ქალაქიდამ მომავალნი. — მოახსენე ჩემმაგიერ, რომ მე პუშკინის წიგნები არა წამიღიარა ჭეშმარიტად, და არცარა სხვა წიგნები, თორემ რად დაემალავდი.

გულით, სულით მომიკითხე ზაქარია ელენეთურთ (15), ეგრეთვე ანნა (16) და მანანა (17).

ახ! რა რიგათ ვსწუხვარ საბრალო ძალუა ნინოსათვის (18). ეგ ერთი იყო ყოვლისფერით შესაფერი ჩვენის ოჯახისა. ეგეც დამიწდა უდროოთ — ორჯელ დავსწერე ყაფლანთან (19) წიგნი, და ორჯელვე არ გამოუგზავნე, დავხიე. ყაფლანს უნდა საძმიმარი მოვსწერო. —
ამასაც მოვესწარ . .

. . . . . .

შენი ჭირიმე ილიკოჯან! ჩადი ნათლუხს კამისიონერსტვოში, იქ ნახე ჩემი ჯამაგირის მოწერა პოლკიდგან. იქ არის კ ო ჩ ე რ ღ ი ნ, იმას უნდა შეეხვეწო, რომ როგორც პოლკიდამ მოუწერიათ, ისე მომცენ ჯამაგირი, ესეიგი с 6-го Июня 1838 года, მის დღეიდგან, როდესაც გამითავდა ყავლი ოტპუსკისა, თუ გინდა იქ დაჰპირდი რასმე ან სეკრეტარსა და ან ვისზედაც დამოკიდებული იყოს.

28. ᲬᲐᲮᲕᲔ

გორი 23 დეკემბერს 1839 წელსა.

ჩემო სიცოცხლევ ძმაო ილიკო! რა წასულხარ არ მომსვლია შენი წერილი და სრულებით არ ვიცი შენი ამბავი, არც ივანე მუხრანის ბატონი იწერება შენთვის, ქალაქშიაც შენის სიკუდილის ხმა დააგდეს. თუ ღმერთი

გრწამს ნულარ დამიგვიანებ შენს წერილს ყოვლის დაწვრილებით შენის ცხოვრებისა და იმედებისა. მეც აქამდის ამიტომ ვერ მოგწერე, რომ პაბოდში ვიყავ და შემდეგ ნ უ ხ ს (1) საშინლად ავათ ვიყავ ზაფრის ცხელებით, თუ კოსტანტინე თარხანოვი (2) იქ არ შემსწრებოდა, ეხლა ეს წერილი საიქიოდამ მოგვიდოდა. ეს ორი კვირა არის რა მოველ გორსა პოლკში.

ზაქარიამ (3) დიდი საქმე ჰქმნა: დედი ჩვენის პენცია 450 რუბლი თეთრი მოგვეცა იმ დღიდან, რა გარდაიცვალა. ეს ცოტა ფეხზე დაგვადგენს, და როგორც იქნება დროზედ ვალებიდამ გამოვალთ; მაგრამ შენსგაზრდას საჩქაროდ გამოგზავნე დოვერენნოსტი ზაქარიას სახელზე, რომ არ იძლევიან ხაზინიდამ, მეკი მივეც პრიკაზში შესატანად.

ზაქარია ეხლა კაპიტანია, ვიცი შეიტყობდ აქამდის ტ ვარშავის ცუკერნიებში მოროჟინის ჭამით, ინვალიდში (4) წაიკითხავდი. მეც მოველი, მაგრამ არ იქნა არა გამეწყო რა, ან კაპიტნობა მომივა და ან ყელზე სტანისლავა. საწყალი ვ ა ლ ო ვ ი (5), გ რ ე ნ გ ა ბ ე რ (6), ვ ა შ კ ლ ე ვ ი ჩ ი (7) მოგვიკლეს, ტ ი ზ ე ნ ღ ა უ ზ ე ნ (8) პოდპოლკოვნიკი მოკუდა, .საზარელს მთებში, საზარელი ომი გუქონდა ექუსი დღე და ღამე მოუწყვეტლივ (9).

შენი ნათესავები სუყველანი ცოცხლები არიან. ეხლა შევიტყე, რომ სამარაღლონის (10) ქალი ბაბალე (11) დანიშნულა ალექსანდრე საგინოვზე (12), რ ი ხ ტ ე რ მ ა (13) შეირთო ა რ ლ ო ვ ი ს (14) ცოლის და. — ზაქარია ერისთვისშვილს მოუვიდა პირდაპირ პორუჩიკობა по армии, შენ უყურე ელენეს ანბავი. ვ ა ს ი ლ ი ყორღანოვი (15) დიდი კაცი შეიქმნა, დაღისტნის ხანია სწორედ. ცხვირსა ჰსჭრის, თავს აგდებინებს, ასი კაცი ჰყავს ჰანალად სულ დედის ძუძუს მომჭრელნი, თითონაც ყიამათად უელის ხალხსა, და მთავარმართებელიც (16) ძალიან ჰსწყალობს. — უწინდელსავით ბალები, ვეჩერები, კამედიანტები და სხუანი ამ გვარნი, არშიყობა, ტ . . . — მეც გადამკიდებიან ცოლის შერთვასა, ისკი არ იციან, რომ ეს ო ... ალარ დ.....ა.

გრაფ ოპერმანი (17) უწინდელსავით მწყალობელი და მეგობარია ჩემი, უჩენის კამანდა მაბარია პოლკში და ვარ ასრე. დილით უჩენიე, საღილაო ღრაფთან, საღამოზედაც ან იქვე და ან აქეთ იქით. დავათ თარხანოვი (18), საწყალი ბერი კაცი გადაიცვალა ამიერით. — ჩვენი მელიტონ (19) ისევ ისეა, ანჩხლი, ეყივანა, მყვირალა, თავის სახლის დამამწარებელი. — დავით ყორღანოვი (20) ისევ სამხედრო სამსახურში შევიდა, ნეტავი ნახო მენგრელის პოლკის მუნდრით, იაგორ სტეფანიჩთან (21) არის ერევანში по особенным поручениям.

აფიცრები შემოვიდნენ ჩემთან, დაიწყეს ყალმაყალი, არ მაცლიან წერასა. — ჩვენი ალექსანდრეს (22) ანბავი მაცნობე წვრილად, ეგრეთვე პორუჩიკის მ ი ხ ა კ ო ს ი (23). — ჩვენი მუნდერი გალამაზდა, პეტლიცები მოგვეიდა.

ბრაუ რონიკერმა (24) დამიწყო ლაპარაკი შენს ვალზე, მე აბა რას შევცემ, თითონაც მოდის მანდეთკენ ატსტავკაში.

ილიკო! ჩემი ჰიმამები რომ წაიღე, მაგის ნაცვლად აბა რას მიგზავნი, ისევ კარგი ჰიმამები გამომიგზავნე და მასუკან ღმერთი მოწყალეა, ფულს ფოჩტით მიიღებ. — რასა იქს შენი ჯიბეები, ისევ, სუსტად არიან თუ გამძიმებენ? თუ ღმერთი გრწამს და ჩემი ძმობა ნუ ითამაშებ ქალალდსა, იკახპავე, ტრახტირებში ირბინე თუ არ დაგიშლია, და ქალალდზე კი თობა, თობა ჰქენ. ვინძლო ამით გამახარო. მანდ უმაწვილკაცისათვის ბიასი საგანი არის შესაქცევიცა, და ამასთანა სასარგებლოცა გონების გახსნისათვის. ვინძლო რა საგნისათვისაც წახველ ის აღასრულო. ჯერ უმაწვილი ხარ, წინ ბევრი წელიწადები გიძევს საცხოვრებლად, იანგარიშე, ჰსძლიე სიძნელეთა, სიზარმაცესა და სხუათა დამაბრკოლებელთა, და თუ ვერ შეიძლებ, მაშინ მოდი ძმაო ისევ ჩვენთან, როგორც გვიწერავს, ისე ეჰსწიროთ. —

შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი.

ასეთი მყვირალა და ცელქი ბიჭი ჰყავს ზაქარიას (25), რომ რაღა გითხრა, არ დადგება ერთს წამს ცელქობისაგან.

ჩვენი უაფლან ჯერ ისევ ქვრივათ არის ყარიბულად. — ეკატერინა დადიანისა ორსულად ბრძანდება. დედოფალი დადიანისა მიიცვალა (26). ბარიამ ბატონის რძალიც (27) მოკუდა, და ეხლა შეიქნა დიდი დავა სასახლეზე მუხრანიანთა და რამაზ ენდრონიკოვის (28) შორის. რამაზ ეხლა თურმე შიგ დგას ლამაზათ. უნდა ნახო დავით მუხრანის ბატონის (29) ქუეყანელი და იმისი ჰართიფურთები, ეხლა აქ ჩემთან იყო გორსა. სიმართლით მუხრანიანთია სახლები (sic).

დოვერენნოსტი ასე მოსწერე:

По случаю нахождения моего на службу там то . . . не могу быть в Г: Тифлисе для получения Высочайше пожалованной нам Пенсии со дня смерти матери нашей Княгини Хорешани Орбел:, а потому доверяю вам Милостивый Государь принять на себя труд — на мою часть доставшейся пенсии получить из Тифлисского уездного Казначейства сколько причтется, и что вы по сему делу учините то я спорить и прекословить небуду.

и проч.

1 8 4 2

29. ზაძარია ორბელიანისადმი

მაისის 20, ქუთაისით (1)

ჩემო სიცოცხლე ზაქარიავ! გუშინ კნიაზ ფალავანდოვისაგან (2) მომივიდა შენი წიგნი, მიწერილ[ი] იესესთან (3). ვჰმადლობ ღმერთსა შენის მშვიდობიანად გადარჩენისათვის იმ საშინელის ომისაგან (4). — გული[თ], სულით მიხარიან შენი ესრეთი გამარჯვება. ღმერთმა არა სრულებით წაახდინა გუარი ჩუენი და უწინდელი წმინდა მამაპაპის სისხლი შენში აღმოჩნდა. ახ! რატომ მეც მანდ არავარ, რომ ერთი მაგათი სისხლი დავლიო, და შეუბრალებლად ვტანჯვიდე ცოცხალთა. — ჩვენის პოლკიდამაც (5) მწერ[ენ] შენს გამარჯვებას; ახლა მე და იაკინთე (6) ვჰკითხულობთ შენს წიგნსა და ვიგონებთ საბრალოს ილიკოს (7)! რა ვჰქნათ, რა ღონისძიებით უნდა გამოიხსნას იგი? ღმერთი თუ მოგვხედავს მოწყალებითა! —

ქალაქის ანბავი ეს არის, რომ მინისტრი (8) მიიღეს ხალხმა ისე, როგორც ხელმწიფე, ბანები, ქუჩები სავსე ი[ყო] თურმე ხალხითა, ასე რომ ძლივს ადგილი ჰქონდა მინისტრსა გავლისა. — გაშინჯა ჯარი ხუ[თი] ბატალიონი არტილლერიით დიდუბეში და ძალიანაც მადლობა უთხრა. სიმბორსკისა (9) დიდი მადრიე[ლი] დარჩა და ახლა შენ უყურე იმის გაბერვა, ვინღა მორჩება იმის ჩახჩანსა. სწორედ გითხრა, სა[ქარ]თველო დიდი ბენდიერი არის, რომ ხელმწიფემ ინება გამოგზავნა ამ კაცებისა, ესე იგი ჩერ[ნი]შოვისა (10) და პოზენისა (11), რომელთაცა გულით ჰსურსთ კეთილდღეობა ამა მხარისა. — ღმერთმა ადღეგრძელოს ხელმწიფე, და მასუკან ესენი. — მთავარმართებელისაც (12) ჯერ დიდი მადლობელია; ნეტავი არ გამოგვიცვალონ ჯერ მაინც. — მინისტრი ახლა თქუენკენ წამოვა და ახლა თქუენ იცით, როგორ ეჩუენებით. —

ევ. ალ. ზოლოტარევი

კავკასიის მთავარმართებელი 1837 — 1842 წ. წ.

კორღანოვი (12) და მაღალოვი (14) ჩამიკოცნე თვალებში. ახლა უფრო შემიყუარდნენ ეგენი ძმასავით მაგათ მამაცობისათვის. — ღღეს დაიხურეს მაგათ ქუდი; მაგრამ ერთი მწე [. . .] ნეტავი გამოქცეულის მილიციისათვის ნახევარ წვერულვაში დაგეპარსვინებინა და ისე გაგეყარა, ცემისმაგიერ. — თუ გიყვარვარ ამას იქით, პირველი ვინც გამოგეგცეს ნახევარ წვერულვაში გადააპარსვინე. — შენ ნახავ რა რიგათ იომებენ შიშითა და სირცხვილითა. სადღა და ვის ეჩვენება ნახევარ ულვაშიანი თათარი выше наказания для них не может быть. — თორემ ცემატყეპით ვერას გააწყობ. —

ქუთაისში მინისტრის ბრძანებით განათავისუფლეს გურულები, ბუნტისათვის დაპერილნი (15), უნდა გენახა ამათი ტირილი და სიხარული, პირჯვრის წერა და დალოცვა. — მხოლოდ ერთი გაგზავნეს ციმბირში შალიკაშვილი, რომელიც უწინდელს ბუნტებშიაც ერია.—

ქალაქის ბალებში პირველ კრასავიცად გამოჩენილია ივან ოსებიჩის ყორღანოვის (16) ქალი. ესეც მიულოცე იოსებს: ძმა მამაცი, და — კრასავიცა. — ეგ ხლმითა ჰხოცს, ეს სილამაზით. ახრ ქვეყანას ხომ ვერ აიკლებენ.—

ძალუა ქეთევან (17) და სანდრიკო (18) მშვიდობით და კარგად არიან. მალე მეღირსება მათი ხილვა ღ˜თით. — ილიას ანბავი თუ იცოდე რამე მალე მომწერე ზაქარიავ და ეგრეთვე მანდაური და შენი ანბავი დაწვრილებით. კნიაზ არღუთინსკი (19) ჯერ ვერ მოვიდა თქუენთან? —

მშვიდობით ჩემო საყუარელო ზაქარიავ! ღ˜თი იყოს მფარველი შენი მარადის შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი

ერთი რომ ვესროლეთ, და მეორ[ე]ც რომ ზედ დავაყოლეთ, და კიდევ რომ ზედ დავაყოლეთ, და კიდევ რომ ზედ დავატანეთ და მივაყოლეთ. — შენს წიგნში ამას რომ ვჰკითხულობდი, ჩუენი აბრამა მაგონდე[ბოდა] სიცილით.

30. ᲖᲐᲮᲕᲔ

ჩემო საყუარელო ძმაო ზაქარიავ! ამას წინად ორჯელ მოგწერე და შენგან პასუხი არ მომსვლია. ვიცი მიზეზი არის თქუენი აყრა დაყრა. ღმერთმა დაგიფაროს განსაცდელებისაგან, და მოუწერლობა არაფერია. ეს ორი დღეა რა მოველ ქუთაისიდამ, ძალუა და სანდრიკო ძალიან კარგად არიან, მეტადრე სანდრიკო. აღარ არის ილაჯი ამის ცელქობისაგან.— მთავარმართებელმა შითხრა დიდი მადლობა შენზე და შენის გამარჯვებისათვის, ეხლა კაზლაინოვიც (1) იძახის, რომ მე დიდი ხანია ურჩევდიო ზაქარიას გაგზავნასო. გუშინწინ ვეჩერებში მთავარმართებლის ცოლმა უთხრა ბევრი კომპლიმენტები ძალუა ქეთევანს შენზედა, და უჩვენაცა ბაირაღები შენგან წართმეულნი. — მთელი ქალაქია და კნიაზ მოსე ზახარიჩის (2) სახელი-

ჩუენ ვდიდგულობთ მაგის გონიერის განკარგულებით და ზოგნი ჩრდილოელთაგანი ვერ მალავენ შურსა თვისსა. ღ~თით მაგის საქმენი დაადუმებენ შურსაცა; მეტადრე წუხელის მთავარმართებელი გახარებული იყო მაგის მოწერილობით და ახლის გამარჯვებით. —

[საყვარელო ზაქარიავჯან. მოველ გრიგოლთან, ამ წიგნის წერას მოუსწარ და რადგანაც გუშინ მთელი ქალაქი იყო და მოსეი ზახარიჩის გამარჯვების ამბავი, ასე რომ საყდრებში ბებერი ქურივებიც ლაპარაკობენ, ამისათვის სასიამოვნო ვალად ვრაცხე, რომ გთხოვო რათა მიულოცო კნიაზს მოსეი ზახარიჩს ესრეთი სახელი და სომხების სახელის განათლება, რა ენაღვლებოდათ რომ ეგ ადრევე გაეგზავნათ დაღისტანში. ჩვენ აქ მაგის გამარჯვების გამო დიდი გული მოგვეცა, ასე რომ ვინც კუზიანი სომეხი იპოებოდა სულ შესწორდნენ. შენი უერთგულესი დ. ყორღანოვი —] (3).

მე ხვალ ვაპირებ წასვლას ალექსანდროპოლში (4), სადაც უნდა მივიღო მესამე ბატალიონი ჩვენის პოლკისა; სწორედ გითხრა ბევრი ვეხვეწე სიმბორსკისა, რომ არ გამგზავნოს, მაგრამ არა ჰქნა. ღმერთო, როდის იქნება, რომ ერთი ბინადრად ვიყოთ ჩვენს ოჯახში. — ილიკოს ანბავი, ახ! ილიკოს ანბავი შემატყობინე, აქ ძალიან ცუდი ხმები ისმის, მითომ ხაროში ჰყუანდეთ. მაგისმა მწუხარებამ სრულებით დამაბერა. მთავარმართებელმა წარადგინა ხელმწიფესთან მაგის გამოხსნა შვილის მიცემით (5), და არ ვიცი, და არცა მაქუს იმედი, რომ ეთანხმნენ ამ წარდგენას. ისე (6) სიყუარულით მომიკითხე, მაგის ძალიან ქება მოვიდა. მთავარმართებელი (7) ფეხზე აღარა დგას სიამოვნებით თქუენ გამარჯვებაზე. ასე ამბობს в 7-м лет ничего подобного не сделано нами. კ ლ უ კ ი ს (8) ძალიან ჰკიცხვენ რატომ არ მიეშველა არღუთინსკის მეორეს მხრიდამაო. ეს ასე, ღმერთმა ბევრჯელ გაგამარჯვებინოსთ უფრო უმეტესად. —

აქაური ანბავი: აქ მინისტრის (9) დროს დიდი ბალები და ვეჩერები ყოფილა, და ძალიანაც მოსწონებია აქაური საზოგადოობა. ერთს საღამოს ღენარალ ერისთავთანაც (10) იყო და ძალიან მხიარულად განატარა. ეხლა კიდევ მოელიან, და მთავარმართებელს ექნება ბალი, და საზოგადოობის სადილი შუშხუნებითა და ჩირაღდნებითა. — სიმბორსკის მალე გააგდებენ სხვადასხვა ;საჩიერებზედ, და უფრო ერთს უნტერაფიცარის გამო, რომელმანცა ღოშპიტალში არზა მიართო, რომ სიმბორსკიმ მე ცოლი წამართოო და მე ამ გიეების ოთახში ვითარცა გიეი, ჩამსვესო. აქაზე ძალიან გაწყრა მინისტრი. — მე ოსებისათვის სტანისლავა ყელზე მომივიდა (11). ამის იმედი სრულებით არა მქონდა, ახლა თუ გურიისათვისაც (12) გამოვიდა ზედ დატანებით, ძალიან კარგი იქნება. — შენი პირიმე ილიას

ვ. ზ. არდუთინსკი - დოლგოროუკოვი

კასპიის მზარეთა გამგებელი და ჯარების სარდალი დაღისტანში 1847 — 1854 წ. წ.

ანბავი მაცნობე, როგორ არის, მართლა ხაროში გდია საბრალო? — წიგნი მომწერე ალექსანდროპოლში. — მაცნობე რა ღონისძიებაებია მანდა ილიას გამოხსნისათვის, თუ ხელმწიფემ არ ინება შამილას (18) შვილის გაცვლა? — სხვებრ მშვიდობით ჩემო საყვარელო ძმაო ზაქარიავ, ღმერთი იყოს მფარველი შენდა მარადის.

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი

11 ივნისს. თ ბ ი ლ ი ს ი თ.

შეიძლება, რომ ილიას მივსწერო არაბულად წიგნი, და შენ მანდედამ გაუგზავნო როგორმე. — ეს დიდი ნუგეში იქნება იმისათვის.

31. მოსე არღუთინსკი - დოლგორუკოვისადმი

ბრწყინვალეო კნიაზო,

მოსე ზახარისძე!(1)

სიხარულისაგან გულით, სულით აღტაცებული მომილოცავს ახალი გამარჯვება, რომლითაც ვჰხარობთ მთელი თბილისი (2). მთავარმართებელი (3) სიამოვნებით ფეხზე აღარა დგას; ვინც შეხვდება, ყველას ამას ეუბნება: в 7-м лет ничего подобного не сделано нами. ერთის სიტყვით მთელი ქალაქია და თქვენი სახელი და თქვენი გამარჯვება. სადღეგრძელოებიც დალიეს თქვენი. ღმერთმა მრავალჯერ მომალოცვებინოს თქვენთვის ამ გვარი ძლევა; მაგრამ სულით ვჰსწუხვარ, რომ მეკი დაშორებული ვარ თქვენგან. — ღენერალ კლუკის (4) ძალიან ჰყვედრიან, რომ თორმეტის ბატალიონით არ მოგეშველათ მეორეს მხრიდამ. ამით უფრო სასიამოვნო არის, რომ ზედიზედ გამარჯვებაები მცირე ჯარით მოხდა მინისტრის აქ ყოფნაში, და ახლა თქვენის სახელით ჩუენც ვდიდგულობთ და აქეთ იქით ამაყურად ვიყურებით. —

აქაურს ანბავს მოიხსენებთ: მინისტრი ძალიან მადრიელი დარჩა ჩუენის ხალხისა და საზოგადოობისა; ჰსურს ბედნიერება ამა მხარისათვის, და რა საკურველია, რომ კიდეც მოუვლენს. — ვჰსწუხვარ სიმბორსკისათვის, რომ რაოდენიცა პირველ შეყრაზე მინისტრი იყო მისი მადრიელი, ეგოდენ ეხლა გამწყრალია თურმე. — ბეზობრაზოვიცა (5) სრულიად მოულოდნელად გადააბძანეს პოლკიდამ. — ჩილაევი (6) პოდსუდში მისცეს, და ამის საქმე უნდა უთოოდ გადაწყდეს მინისტრისა დაბრუნებამდის. კოცებუც (7) მოვიდა თავის ცოლით, რომლისა მისაგებებლად იყო წასული ელა-

დიკავკაზსა (9). პოზენი წავიდა მეკავე წყალზე (9), სადაც მოუცდის მინისტრსა, და იქ დააწყობენ საქართველოს პრეობრაზოვანიეს. — ჩემს ქუთაისს ყოფნაში განათავისუფლეს გურულები დიდის ცერემონიით, რაც ისინი თქუენ გლოცვიდენ ცრემლებით; მხოლოდ შალიკაშვილი გაგზავნეს ციმბირში. — ვიცი, კნიაზო, გიამებათ: მე ყელზე სტანისლავა მომცეს ოსებისათვის, და თუ გურიისთვისაც გამომიტყვრა რამე, მაშინ გევედრებით, კნიაზო, ნუ დამაგდებთ ამ გარნიზონებში, რა უნდა გავაკეთო ალექსანდროპოლში, სადაცა მაძლევენ ბატალიონსა? ოღონდ წამიყვანეთ თქუენთან, და გინდ სალდათის მაგიერ მამსახურეთ. —

შენი ჭირიმე კნიაზო! ცრემლებით გეხვეწებით ჩემის ძმის (10) გამოხსნისათვის; მე გამყიდეთ, მე დამატყვევეთ, ოღონდ იმ საბრალოს უშველეთ რამე. ის თურმე ხაროში გდია. მთავარმართებელმა მისწერა ხელმწიფესა გამოხსნა მათი შამილას შვილის მიცემით, მაგრამ მე იმედი არა მაქუს, რომ მოსცემენ. — ჩემი იმედი, ჩემი ნუგეში ღმერთი და თქუენა ხართ (11).

სხუებრ უღრმესითა პატივისცემითა ჩემითა
ვეგები მარადის
თქუენისა ბრწყინვალებისა
უმოწყალისა ხელმწიფისა
უერთგულესი მოსამსახურე გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

11-ს ივნისს
თ ბ ი ლ ი ს ი თ

Почтеннейшему Дмитрию Кузмичу (12) приношу мое искренное и усердное пожелание.

ზალივკინს (13) ძალიან მოახვედრეს ცხვირში. — კნიაზო ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ ყოველსავე თქუენსა მოწერილობას მთავარმართებელთან, თუ გინდ ოფიციალნოე, თუ გინდ ისრე, მაშინვე მინისტრთან ჰგზავნიან.

32. ზაძარია ორბელიანისადმი

ჩემო საყვარელო ძმაო ზაქარიავ! მომილოცავს პოდპოლკოვნიკობა (1), ღმერთმა მრავალჯერ მომალოცვინოს გამარჯვება და წყალობა ხელმწიფისა, და მაღირსოს შენი დაილიას ნახვა ერთად მშვიდობიანობით. მაშინ ვიქმნები მე ჭეშმარიტად ბედნიერი და უდარდელი ორს ლომს ძმებს შუა. — მაგრამ შენგან დიდიხანია წერილი არ მომსვლია და არ ვიცი ჩემი მოგდის თუ არა? თემირხანშურაში (2) გწერ, ვაითუ მაგ არეულობაში იკარგებოდეს!

ეს ორი კვირა არის რა აქა ვარ ალექსანდროპოლში. ძალუა და სანდრიკო მშვიდობიანად იყუნენ და აპირებდა კახეთს წასულას. სანდრიკო

საკვირველი ბიჭია, ცელქი, დაუდგრომელი და დიდგულა, რომ იმის ბა-ტონობისგან ილაჯი არ არის. —

აქაური ანბავი სხუა აღარა არისრა ღრაბეს (8) დამარცხების მეტი. ესკი ჭეშმარიტად საკურველია, როცა შენ, და ანუ კნ: არღუთინსკი თავის პა-ტარა ოტრიადით, რომელიცა მთავარმართებელს ეგონა სრულებით და-ღუპილად, ისე გამარჯვებით გამოხვედით, მაშინ თითქმის იმავე დროს ისე საშინლად როგორ დამარცხდა ის დიდი ოტრიადი? აი წინ დაუხედა-ობა! რა ვაჟკაცობაა, ან რა სარდლობა, შეიყვანოს ჯარი იქა, სადაც ორი-კაცი ერთად ვერ გაივლის? — რა დაემართა მაგ უბედურს ღენერალს, რაზე-აჟლეტინებს ამ საბრალო სალდათებსა ცხვრებსავით (4). — მამწონს კნიაზი არღუთინსკი თავის შორსმხედველობით და სიფრთხილით. — ახლა აქედამ აგროებენ აფიცრებსა, ღრაბეს ატრიადისათვის, მარტო ჩვენის პოლკიდამ წამოვიდა ოთხი. ამის გარდა 260-ს არტილლერიის ცხენს ჰგზავნიან. ეს-რა ამბავია შენი ჭირიმე. ასე ამბობენ: მთლად აბოზი აუკლიათ და დაუ-წვავთ. აბა რა საკურველია გადიდგულდებიან მთის ხალხნი. საწყალი დი-მიტრი ერისთვისშვილი (5) ხომ არ მოუკლავთ? ისიც, მგონია, იქ იყო თავის ზარბაზნებით, ან მამა[ც]ოვი (6)? შენს გაზდას მომწერე მაქაური ან-ბები, ნუ დაიზარებ, და ყოვლის დაწვრილებით. —

ჩვენი იასეს (7) ანბავი მოიტანეს, თურმე ხმალდახმალ მისულა ელისოს სულთანთან (8) ერთად. ეგ თავის ფარსებს არ დაიშლის.—ახლა შენი საკუთარი ადგილი სად არის. ან რას ჰშვრები, ან როგორ მოდის შენი საქმე, მორ-ჩილდება მანდაური ხალხი, თუ თვალი შამილასკენ უჭირავსთ. — შენი-ჭირიმე სუყველა შენი ანბავი მომწერე. შენი რეზიდენცია სადარის? — ამის გარდა სწორად შემატყობინე ილიას ანბავი, მართლა ხაროში ჰყავსთ ჩაგ-დებული მაგ ურჯულო მამაძაღლთა? — მთავარმართებელმა მისწერა ხელ-მწიფესა, და ვნახოთ ღმერთი რას ინებებს, მისცემენ შვილსა შამილას თუ არა? მეკი სწორედ გითხრა იმედი არა მაქუს! — მაშ თუ ეს არ იქნა, რა-ვჰქნათ ძმაო იმ საბრალოს ყმაწვილისათვის, შეიძლება ფულით გამოხ-სნა? — ან რომელს სოფელში ჰყავს შენახული? —

ქალაქის ანბავი აქ არავიცირა, მხოლოდ ამის მეტი, რომ მინისტრი (9) მობრძანდა, და უნდა ბალები ყოფილიყო: ერთი ღოლოვინისას (10), და შეორე კეთილშობილებისაგან ბაღში მთავარმართებლისას. — მგონია მალე წავა მეავე წყალ[ზე; . . . . პოზენი] და იქ ორნი ერთად დააწყობენ [. . .] პრეობრაზოვანიის პროეკტსა საქართველოსათვის.

წლეულს, ღ˜თით, როგორც გეუამ (11) მარწმუნა, ძალიან ბევრი მოსა-ვალი უნდა მოგვივიდეს და ვნახოთ სამოცს კოდსა გადაამეტებს, თუ არა?

მთავარმართებელი ხშირად გაქებს და შენსა და კნიაზ არღუთინსკის სადღეგრძელოებს სვამს. ძალიან გახარებული იყო თქვენის ზედიზედ გა-მარჯვებით, მაგრამ ღრაბეს ამბავმა მგონია ჩაამწარა. — საკურველი იყო, რომ მანამ სწორე ამბავი მოვიდოდა, მთელი ქალაქი ყვიროდა, რომ ღრაბე

ოტრიადით დაიკარგაო. — ამ ამბავმა მიაღწია ნაჩალნიკ შტაბამდის ([12]), რომელმანცა ჯერ არა იცოდარა. —

ძალიან ვსწუხვარ აქ ყოფნით, მე ძალიან მინდოდა კნიაზ არღუთინსკის ატრიადში ყოფნა, მაგრამ არ გამომიშვეს ამ წყეულთა; და ახლა ვარ აქა, თითქმის მარტო პოხონდრიით სავსე. — აქაური კამენდანტი სიბერისაგან გადაყრუებულია, გერგერის ([13]) სიახლოესაც ჭირი გაჩნდა, მოდი და აქ გასძელ. — არიქნა არ მოვიდა გურიისათვის მაიორობა, რომელზედაც წარდგენილი ვარ за отличие по службе; მაგრამ არც ერთი არ გამოდის ჯერ. სტანისლავაკი ყელზე გძლად მკიდია.

კოდასა და [. .] იყოფდნენ ჩვენიანები და მამუკა ([14]), მაგრამ არ ვიცი დაასრულეს, თუ არა!

სხვებრ მშვიდობით ჩემო საყვარელო ძმაო, ღ˜თი იყოს მფარველი შენი და შენის ოჯახისა.

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი

გიორგი საგინოვის ([15]) ანბავი მომწერე. ყორღანოვს ([16]) მიულოცე სტანისლავა ყელზე.

ივლის 4-ს.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ო პ ო ლ ი თ.

მინისტრი უნდა გასულიყო 2-ს ამ თვეს ქალაქიდამ მეავე წყალზე და ქალაქიდამ პეტერბულს.

1 8 4 3

33. ზაქარია ორბელიანისადმი

აბა ჩემო ძმაო ზაქარიავჯან! მოველ ეხლა ყუბას (1), სადაც შევიტყე, რომ მელოდი და მელოდი. — ახლა ეს არის, რომ მე ზეგ აქედამ წამოვალ ხაზრას (2) და შენც უნდა იქ მოხვიდე. ჩემი თხოვნა ეს არის, რომ ცხენები მინდა, შენის იმედით წამოვსულვარ ჰა, შენის იმედით. რა მექნა, პირდაპირ ახტაზე (3) ვერ გამოვგზავნე, რადგან ჯერ გზა არ არის მთაზე და თან ვერ წამოვიყვანე ცხენები. — ახლა შენ იცი. ჩვენი კაკალაც (4) თან მომყავს. — ჰა, ზაქარიავჯან ცხენები მინდა, და მასუკან მე ვიცი.

შენი ძმა გრიგოლი

20 აპრილს ანუ სამშაბათი,
ყუბით.

34. ილია ორბელიანისადმი

ჩემო საყვარელო ძმაო ილიკოვ! ეს არის მივდივარ ზაქარიასთან ხაზრას, და იქიდამ გავწევ ღ˙თით და შენის დოვლათით თემირხანშურისკენ (1). აქ ყუბას ვნახე რეინკამპფ (2), რომელმანცა გიკითხა შენა და შენი ანბები. ზალიკინმა (3) და არლოვმა (4) მითხრეს, რომ ის გიყვანს შენ ოსობენნის პორუჩენიითა, როგორც მოეწერათ ადრევე შენთვის. — ვნახე იბრაიმ ბეგ (5) და ჯაფარყული აღაცა (6), ამათ დიდი ლოცვა და სალამი შემოგითვალეს. ზაქარიასი ძალიან მადრიელია ღენერალიცა და ხალხიცა. — გზაზე ვნახე უსუფ ბეგი (7) რომელსაც მოეკლა კაცი, მიჰყუანდა ჩუენის ლევანის (8) ძმას

შაქოსა ნაობახტში. კაკალამ იტირა იმის ნახვაზე, чувствительность! ახლა ჩემო ღ˜თისწყალობავ ძმაო ბატონო ილიკოვ! ლევან კარგად და კარგად ჩამიპროშტე. უთხარ, რომ რაც დამაბარა თავის ძმასთან ყველა მე უთხარ და ურჩიე კიდეც რომ ზასედატლობაზე ხელი აიღოს. იმანაც უარი არ მითხრა. მერე ტატო (9) ჩამიპროშტე, მერე ელენე (10), მერე ეკატერინე (11) თავის ბაჭყალებითა. — მშვიდობით შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი

ღ˜თმა შენის ბოსტნის დუთმები მაჭამოს.

ძალუა ქეთევან (12) და სანდრიკო (13) ჩამიკოცნე. ეგრეთვე ეფემია (14) და მელიტონ (15).

ჰო დამავიწყდა: კლუკის (16) აღდგომა დღეს კაჩელიდამ ქალი გადმოუვარდა და მოუკვდა. — ავარიაში (17) ჯერ მშვიდობიანობა არის; მაგრამ დიდი დავიდარაბა აქუსთ ახმედხანის (18) ძმას, რომელიცა ჰსთხოვს მართებლობას, რომ გაჰყაროს თავის ძმისწულებსა, სულთანეთთა (19) ედავება შამხალსა (20), ეგრეთვე ცოლი ახმედ ხანისაც (21) რაღაცასაც თხოულობს. ამათ გასარჩევად მიდის ღენერალ რეინკამპფი.

ჩემს საყვარელს ძმას ალექსანდრეს (22), ყაფლანს, იაკობს (23), კონსტანტინეს (24) მოვიკითხავ, ეგრეთვე სოლომონს და ალექსანდრე ონიოვთ (25).

22 აპრილს

ყ უ ბ ი თ.

35. მ ა ხ ვ ე

ჩემო ღ˜თისწყალობავ ძმაო ილიკო! ამთვის ორსა მოველ ჩემს სატახტო ქალაქსა ხუნძახს (1). რვა ვერსზე მომეგებენ ყადიები, ბეგაულები და სხუანი ამათში ჩინებულნი ისე იგი ყაფლანიანნი, ციციანნი, მეითარი, მელიქი და მიკირტუმა ნაცვალი. ორისავ მხრით დიდი მისალმება. ამაობაში ცხენდაცხენ ერთი დიდად გრძელი речи ვჰსთქვით მაღლის ხმით, აღარ გავათავე, შევიქენ სწორედ ჩვენი აბრამა (2). ვიცი რომ მთის ხალხი პატივს ჰსცემს მოლაპარაკეს; ამდროს მერომ აქ ვლაპარაკობ, ხუნძახში ერთი ვიღაც ხანის ნოქართაგანი გამოსულა და ლაპარაკობს, რომ ჩვენ ორბელიანი არ გვინდაო, ჩვენ ჩვენი ხანი ალისულთან (3) გვინდაო, რუსებო! რა გინდათ ჩვენგანაო, განა ავარია (4) იმიტომ მოგეცითო, რომ ფეხქვეშ გ˜გვსრისოთო? ამ დროს, სწორედ ამ დროს მე ჩემის დასტით შემოველ, უკანაც კარტეჩით გატენილი ზარბაზანი როტითა მომდევს. იმ ნოქარს ენა მუცელში ჩაუვარდა, გაერია სხუა ხალხში და მოვიდა ჩემთან სალამში: ტყლჩ ინწჭლ ტლიჰუ ამჭკყწსელთლიუ; ესე იგი: ჩვენ სუყველანი შენი ერთგული ნოქრები ვართო, როგორც უწინ ხანისა ვიყავითო

ფ. კ. კლუკი — ფონ-კლუგენაუ

ჯარების სარდალი ჩრდ. და მთიან დაღისტანში 1841 — 1844 წ. წ.

ერთის სიტყვით ის სწორედ ჩვენი სულმოკლე ყაფლან (5) გახდა. მეც რა-საკურველია ბევრს დავპირდი. კამენდანტი მომეგება ორს ვერსზე, სახ-ლთანაც პაჩოტნის ყარაული იყო გამართული, რაღა გავაგრძელო ისე კარგად ფორმით შევედი, და ახლა ენახოთ, ღმერთმა იცის, როგორც გა-მოვალ აქედამ. — ესყველაფერი კლუკიმ (6) მოახდინა, მეც ძალიან კარგად მიმიღო, ყოველს დღეს სადილად ვიყავ მიწვეული იმასთან, და იმის გა-სიებული ცოლიც ნარნარად მეკანკლედებოდა. აი ტყუილი ქართული.

ახლა თავიდამ დავიწყო: ქერაქჩაის (7) სტანციაში მომეწია პოდპოლ-კოვნიკი ვ ე ს ე ლ ი ც კ ი (8), უწინდელი ჩემი ბატალიონის კამანდირი, და ერთად დავიწყეთ სიარული. შამახიას (9) ვიყავ ერთი ღამე კოსტან-ტინესთან (10), და მეორეს დღეს სადილს უკან წამოვედით. ყუბაში (11) ვნახე აქიმოვი (12), კარაევი (13), არლოვი (14), რენენკამფი (15), იბმრეიმბეგ (16), აბასყულის ძმა (17), იქიდამ მე და ზალიკინი (18) წამოვედით ერთად ღუსარ-ზე (19), ეს აქ დავტოვე და მე, კარაევი ერთად მოვედით ხაზრას (20), სადაც მეორეს დღეს მოვიდა ზაქარიაცა (21). აქ შემიგვიანდა ორი ღამე. აქედამ სადილსუკან დავჭკარით მე და კაკალამ (22) მათრახი და დერბენდს (23) სალამოზე თავი დაუკარით. მეორე დილაზე ვნახე ბუჭყიევი (24), მაჩვენა თავის ქალი, შენი დანიშნული, მეც შუბლზე ეკოცე და ძალიანაც მომე-წონა, ახლა შენ იცი და შენმა ტაბიკმა. გამოვიარეთ ამალათბეგის (25) სოფელი და აწ ვზივარ სულთანეთთის (26) ოთახში. აჰა მოდი და ნუ იტ-ყვი „სოფელო ცრორრუ“. — გავიცან პრაპორშიკი აბელ (27), მოზროხელი (?) მირზააღა (28), შენი ნესტორიცა (29), აღლინცოვიცა (30), ერთი ვიღაც პრაპორშიკი იბრეიმა (31) — ესენი ყველანი კარგად გიცნობენ.

ახლა ჩემო სიცოცხლევ! მე თქვენ მოგახსენებ, რომ ორის დღით წინ ჩემს მოსვლამდის, ბელაქნის (32) ხეობაში ექუსი კაცი მოკლეს და დას-ჭრეს, ა რ ა ხ თ ა ი უ ზ ე ერთს როტას დაუხვდნენ და ძალიან სროლა ჰქონდათ; მაგრამ არაფერი, მასუკან ზედდატანებით ს ი უ ხ ი ს (33) სო-ფელთან შემოვიდა ჰაჯიმურად (34) ათასის კაცით, ზოგი ამბობს ორი ათასითა, ექუსი საათი ჰქონდათ ომი და ვერცა რა მაშინ წაიღეს. ახლა დიდი ამბები მოდის ჯარების შეყრისა: ყ ა ზ ი ო ვ ი (35), ღ ა ლ ვ ა ც დ ი-ბ ი რ ა (36), ჟ ი ბ ი ტ მ ა ჰ მ ა დ (37), ა ბ დ ულ რ ა ხ მ ა ნ დ ი ბ ი რ (38) ესენი სულ კორპუსის კამანდირები არიან ამათ მამას აქუთ ცხონება. ჯარებსა ჰყრიან. ესენი სულ ავარიის გარშემო ძაღლებსავით შემოჰყეფენ, და სწორე გითხრა ძალიან გაძლებაკი უნდა წლეულს ამ ავარიაში, რო-მელშიაც მხოლოდ ექუსი როტა არის. — აი ახალი ამბავი ნემსიდამ ამო-ღებული ეს არის აქა; მაგრამ მანდა საიდუმლოდ გქონდეს დრომდის.

ჩემო ილიკო! ამასთანავე ერთად გამომიგზავნია კომისიაში რაპორ-ტი № 3, რომლითაც ეჰსთხოვ ჩემს პრაგონსა ქალაქიდამ თემირხანშურამ-დის, რომ მოგცენ შენა. — ჩადი, ჩაიტანე პარკი და თუ გინდა პრიკაზში მიეც, და თუ გინდ შეინახე, მანამ ზაქარია მოვიდეს. ჩემი ცხენი გა-

მოგზავნე ზაქარიასთან, და ის მე გამომიგზავნის, თუ აბრაამს ენდა ჩემთან მოსვლა, ამას გამოაყოლე ცხენი, მე ძალიან სიხარულით მივიღებ აბრამას. მაშინ ადგილიც არ მქონდა რომ თან წამომეყვანა.— ცხენი ძალიან, ძალიან საჭიროა ჩემთვისა, და აქ კარგათაც შევინახამ.

მანანა (39) ტასიკოთი და ივანეთი (40) ძალიან მომიკითხე. ჰა ძალიან უთხარ მანანას, რომ არც ახალუხი მომსვლია, არც ბუმაენიკი, არც ხელსახოცი, არც ქამარი — ივანეს (41) უთხარ, თუ დავითსარდლის (42) ხმალს არ მომცემს, მე სხვა არ ბინდათქო. — ელენე (43) ჯერ კარგად მომიკითხე და მასუკან უთხარ, რომ ქისა არ მომსვლიათქო, ეგრეთვე ორსავ მარიამს (44) უთხარ რომ ქუდები არ მომსვლია. რა არის სულ მტყუანები შეყრილან. — ბიძია იაკობ (45), ძალუა ნინო (46), ალექსანდრე (47), და კ"დ ალექსანდრე (48) ბაბალეთი (49) და ელისაბედითა (50), ეგრეთვე ყაფლან თავის ქულფათეინან—კეკელა თავის ბაჟყალებითა მომიკითხე ღრმად.

ახლა მოვიდეთ ჩვენს ზაქარიასთან (51), ეგ მე ვიცი წიგნს არ მომწერს, ქართველია. ლევან (52) უფრო კარის კაცია და დამპირდა კიდეცა, უარი არ უნდა ჰთქვას, ჩვენი ტატო პოეტია (53), და პოეტების ხასიათი ხომ ვიცი, ოღონდ ყური დაუგდო თორემ აღარ გაათავებენ, მაგისი ი

კნიაზს ალექსანდრეს (62) და სალომეს (63). უმდაბლესად მოკითხვა მოახსენე, ეგრეთვე დავითსაცა (64) *).

36. ზაქარია ორბელიანისადმი

ჩემო ღ~თისწყალობავ ძმაო ზაქარიავ! ამთვის ორსა მოვედი ჩემს სატახტო ქალაქში ხუნძახს მშვიდობიანად. რვა ვერსზე წინ მომეგებნენ აქაურნი ყადიები და გამოჩენილნი კაცები. მეც ცხენდაცხენ ამათ ერთი კარგი შესხმა უთხარ, მოვჰყეე ერთს გრძელს ლაპარაკს, Закидал, забросал их словами, ერთის სიტყვით აბრამა გავხდი. მე ვიცი რომ მოლაპარაკე კაცსა ძალიან პატივი აქუს მთაში. მაგრამ მანამ მე მოვიდოდი ხუნძახსა, აქ შეყრილიყუნენ ხანის ნოქრები, რომელთაც უნდათ ახმედხანის ძმა, და ამბობდენ რომ არ გვინდაო რუსი; და რომ მნახეს დასტით შემოსული, მაშინ თვითონვე მოვიდნენ ჩემთან, და მთხოვეს რომ შენთან ვიქნებით ისე, როგორც ხანთანაო. — ესკი დამავიწყდა რომ სამს ვერსზე კამენდანტი მომეგება, სახლშიც პაჩოტნიი ყარაული, ერთის სიტყვით კლუკინ (1) ძალიან საქმე მიყო. Это возвысило меня в глазах народа. მეორე დღეს პასსეკმა (2) — ხვიტის პოდპოლკოვნიკი გამოგზავნიდა ციხეების გასასინჯავად — მოახლინა ტრეეოღა, ჰაი ცხენოსანი, ჰაი პეხოტა წავიდა ჭენებით ბარახთოუსა (3), გადმოვარდა ცხენიდამ ასე ძალიან, რომ სისხლი ანთხია პირიდამ, და ახლა ავათმყოფი წევს. სულკი ტყუილი იყო, არაფერი ანბავი. — შამილასი ეს ისმის, რომ თითონ მოსულა კიხა [.....] ტლსა (4) და ჰაჯიმურად ანსატლსა (5) ჰსდგას. შამილას გაუგზავნია ასი ხარი ზარბაზნების მოსატანად დარღოდამ (6) ანდის (7). მაგრამ ჯერ ეს ამბავი არარის სწორე. ამბობენ სამი ზარბაზანი აქუს თურმე. — ზაქარიავჯან! ცხენები მომაშველე, ძალიან, ძალიან საჭიროა ჩემთვის. და როგორც ამასწინად მოგწერე, ცხენები გამოუგზავნე თემირხანშურას კუპეცს ხუგაზ ხუგაზოვსა.

ვდგევარ ხანისსახლში (8) ციხესთან ახლოს, მაგრამ რკინისთავიკი უნდა, რომ ამათს გაპტყელებულს ლაპარაკს გაუძლოს. ავარია წლეულს დიდს შიშშია, სამისმხრითვე შემორტყმულია მტერი, და ექუსის როტის მეტი ჯარი არ არის, და არცა გზავნიან, ამიტომ რომ 1841 წელში უფრო ცოტა იყოო. აი კარგი მიზეზი! მეკი მაგდონად თავს არ გავიხეთქ; მაგრამ არაფერი ანგარიშია. — სწორედ ამ მინუტში მომივიდა ანბავი, რომ ექუსს ადგილს იყრებიან ჯარები: 1) ანდელები და მეხელტა (9) ღაზიოვის ხელქვეით, კარატა (10) და ტინდი (11) ღალვაც-დიბირის ხელქვე; აქედამაც ყიბიტ მაჰმად და ჰაჯი მურად, ყარახელელებსა (12) და ყელელებსა (13) ჰყრის აბდულ რახმან დიბირ — აი რამდენი კორპუსი იყრება,

*) უკანასკნელი აბზაცი დაწერილია პირველი გვერდის აშიაზე, მარცხნით.

და მგონია სულ ავარიას მოაწვეს. — დღესვე ამასთან ერთად ვგზავნი ფოშ-ტით კომისიაში რაპორტსა, რომ ჩემი პრაგონები მისცენ ილიას, რადგანაც შენ ჯერ გვიან მიხვალ. — მშვიდობით ჩემო ღ-თის წყალობავ ძმაო ზაქარიავ!

კნიაზი მოსე ზახარიჩ (14) ჩემმაგიერ მოიკითხე მდაბლად.

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი

6-ს მაისს
ხ უ ნ ძ ა ხ ს.

შამილს დღეს მოელიან в Гоготль (15).

37. ᲛᲐᲡᲛᲔ

ჩემო ღ-თის წყალობავ ძმაო ზაქარიავ! შტაბიდამ გამოგზავნილს ქვეშეელების საქმეებზედ (1) ქალალდს გიგზავნი, ცოტა დაგვიანდა, მაგრამ რავქნა ვერ მოვიცალე. ეხლაც ცხენზე ვჯდები და მივდივარ სოფლებში. ჯერ ღ-თით კარგად მოდის ჩემი საქმე: სოფლებში ვქადაგობ ზორბის ხმით, რაც შემიძლიან ვამშვიდებ; მაგრამ კაცის კვლა მეტად ადვილად ჰსცოდნიათ. დღესაც შვილმა მოკლა თავის მამა და გაიქცა. მოდი და ზემსკის პოლიცია გამართე აქა. — მეტად გაჰხმარი ქვეყანა არის, უშეშო, უბალო, უტყეო. აქაური ანბავი ეს არის, რომ შამილას ჯარი გაუგზავნია ჰაჯიმურადითა ბ უ თ რ ა ს ა (2), და სთხოვს რომ დააქციონ ციხე კოშკები და თითო კომლმა მოსცეს თითო ლიტრა სპილენძი ზარბაზნების ჩამოსასხმელად. ჯერ სამი ჩამოუსხამს, მაგრმ ორი გამსქდარა გასროლის დროს (3). — ბუთრელებმა უარი უთხრეს, მოსვლიათ ომი, მაგრამ ჰაჯიმურადს ვერა გაუწყვიარა და დაბრუნებულა. შამილა ანდში იმყოფება. — ყიბიტმაჰმად წამოვიდა თქვენკენ, შეერთდა აბდულრახმანსა, და ორნივე დაესხნენ ჭ უ ხ ს ა (4), რომელიცა არ დამორჩილდა, ძალიანაც ეომა, იქიდამ გამოქცეულმა კაცმა მიამბო გუშინ, რომ ოთხმოცამდის დაგვიჭრეს და დაგეხოცეს ჭუხელებმაო. ჭუხელს ჰინყა აჯიას, ანუ ყრუ ჰაჯიას (5), მიუწვევია ყიბიტმაჰმად, რომ ესენი რუსების მხარეს იქერენო, თუ მოხვალ მეც შიგნიდამ შეგეწევი და აგალებინებ ჭუხსაო, და რადგანაც ვერა გახდენრა, ის ჰინყა აჯია, გამოქცეულა რულოჯაბს (6). ჯერ ჯარები იქეთკენ დაშლილია და ვნახოთ ამასიქით რა იქნება ან საით წავა შამილა. ხმები კი არის, რომ უთოოდ მოვლენ ავარიაზე და ძალიანაც მოვლენ. — ძალიან ეშინიანთ, რომ რუსებმა ჭ უ ხ შ ი ციხე არ გააკეთონო; აქ ხმა დაუგდიათ მანდ ციხის აშენებისა; და თუ ეგ აგრე მოხდა, ბევრი სოფლები აპირებენ დამორჩილებას, ოლონდაკი მანდ რუსი მოახლოვდეს. თითქმის მთლად ა ნ დ ა ლ ა ლ ი (7) და ყ უ ი ა ღ ა (8) მზათ არიან, მაგრამ რა უყოს ამ ობორონიტელნის სისტემას (9). — კნიაზ მოსე

ზახარიჩი (10) ძალიან საქმესა იქს თუ პატარა წინ წამოდგა აქეთ. — მშვიდობით ჩემო ძმაო, ღ˘თმა მაღირსოს შენი ხილვა მშვიდობიანად და ბედნიერად.

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი

12-ს მაისს
ხ უ ნ ძ ა ხ ი თ

კნიაზ მოსე ზახარიჩს ჩემ მაგიერ ულრმესი პატივისცემა მოახსენე, დიმიტრი კუზმიჩიცა (11) მომიკითხე. კაკალამ მოკითხვა მოგახსენა. ჯერ ცხენები არ მომსვლია და ვერ ასე.

38. ᲛᲐᲮᲐᲕᲔ

ჩემო ღ˘თისწყალობავ ძმაო ზაქარიავ! შენმა ნოქრებმა ფალავან ყაიფმან ოღლიმ მომგვარა შენგან გამოგზავნილი ორი ცხენი, რომელთაც სულზე მომასწრეს. აქამდის სულ ვ ა ს ი ლ ი ც კ ი ს (1) ცხენებით დავდიოდი, სყიდვა არ შემიძლიან, ჯერ კუტრათა ვარ, ძალიან მადრიელი ვარ რომ რაღა ვთქვა, მაგრამ კაკალაკი (2) არა. ამას თვალში არ მოუვიდა თავის ცხენი, და ამასთანა ორი ცხენი საკმაო არ არის.

აქაურს ანბავს იკითხავ: ამას წინად სულ გარეჩემო*) ჯარები იყრებოდა შამილის ბრძანებით, და ერთბაშად ისევ დაიშალა. სწორე მიზეზი მარტო შამილამ იცის; და როგორც მე ამბავი მომიტანეს გამოქცეულთ მურუდთა (3), ციდამ ქვა ჩამოვარდნილა სოფელს ზ ი ლ ლ უ ს (4), და ჯამალოდინის (5) აღხსნით ამ თვეში ჯარით არ წაისვლება, ასე ბრძანებს ქითაბიო (6), რომელიც არის დაწერილი სოფლის დაბადების წინ. მოდი და ნუ დაუჯერებ. ხალხს კი ჰსჯერა და შენ რაც გინდა ჰსთქვი. — ამაობაში მე ძალიან კარგი მიწერმოწერა გავმართე ჰაჯიმურადთან, რომლისგან პასუხიც მომივიდა და ხვეწნა, რომ უშუამდგომლო სარდალთან (7). მე ეს წიგნი გაუგზავნე კ ლ უ კ ი ს (8). გუშინწინაც კიდევ კაცი მომიგზავნა, რომ მხოლოდ საქონელს ველიო ანსალტიდამ (9), და მაშინ გამოვიქცევიო, მე შეუთვალე, რომ თუ მართლის გულით მეუბნება, საქონელს თავი დაანებოს და გამოვიდეს თავის ცოლით — და მე ირაკლის ხანის შვილი (10) ჰაქიმხან ემირ ავარ სიტყუას ვაძლევ, რომ ვაპატიებინო ხელმწიფეს და რასაც იქ გაუშვებს დანაკარგსა, აქ ერთი ორად ვაშოვნინო. — ირაკლი ხანის შვილობა ძალიან ჰსწამთ აქა. ჩვენ კი იმისი გვარი მთას იქით გადავაცილეთ და ამათ რა რჯით.

მე და ავარელები ერთმანეთს ნელნელა ვეჩვევით და მგონია კი ახლა მოვწონდე იმათაც, რომელნიცა იყუნენ ლოთის, სულელის ალისულთნის

*) უნდა იყოს „გარეშემო“.

პარტიისანი. დიდი მიწერმოწერა გვაქუს მე, სალთანეთთას და ახმედხანის ცოლსა (11), რომელსაცა თითქმის უბუნტეს ჯუნგუთაელებმა მილიციის გამოგზავნაზე ავარიაში კლუკის ბრძანებით. ავარიაში არ წავალთო, ამაზე აიყარა ხალხი და ყაზანიჯის (12) მთაში ავიდა; ბოლოს ისევ დაუშოშმანებია, მგონია პოლკოვნიკს პასსეკს (13), განგებ იქ გაგზავნილს. მილიციაც ალარ გამოართვეს. — ამ საქმეს შამხალს (14) აბრალებენ; ასე მითხრა ახმედ ხანის ცოლის კაცმა, რომელმანცა მომიტანა წერილი, რომ ამან არია ხალხიო (15). —

ავარიაში ღ"თით ჯერ მშვიდობიანობაა, და მაქუს იმედიცა, რომ თუ-გინდ შამილაც შემოვიდეს, არ მიუდგებიან იმას. — მე რაც შემიძლიან, დავდივარ სოფელსოფელ და ვქადაგობ, ესე იგი, ვყბედობ სწორედ ჩუენ აბრამასავით; მაგრამ ზაქარიავ ღმერთს გეფიცები, რომ სწორედ გამატყავეს; თითო ჩემი გასულა სოფელში თხუთმეტი მანეთი მიჯდება. მამაძაღლმა შაგირდებმა გამაკუტრეს: მომართმევენ შესხმას და მეკი ფულები უნდა მივსცე, რომ უფრო ხალისით ისწავლონ ყურანის წაკითხვა. არა, მე რა ჰიმამი (16) ვარ! — ხვალა სტუმრობა მაქუს, მთლად ავარიის ბეგაულები და პირველი კაცები დამიპატიჟნია. ამათი შექცევა გაძღომა არის და სპირტის სმა. სხუა არაფერი. შენი ნუქერი ამათში სწორედ ანგლიის ჯენტლმენია ზრდილობითა.

ასლან ყადის (17) წიგნი მომივიდა შენ კაცებთან ერთად. ამას მივეც სამი მანათი და შენს კაცებს ათი. ახ, ზაქარიავ ეს ერთი ცხენის ფასი ხომ ეხლავ გავიდა. — ეს არაფერი, მაგრამ გამოქცეულები მტრის სოფლებიდან ილაჯს მიწყვეტენ; ვნახოთ მოვა, ხან! მე რუსის ყულუბში (18) ვარ და შალვარიკი არ მაცვია. ნეტავი ერთი ჰკითხო, თუ რას ემსახურება რუსებსა? და ან მე რა მოვალე ვარ ამათი. ეს მამაძაღლები არ იყუნენ, რომ კოდაზე კინაღამ დავით სარდალი (19) არ მოკლეს? — მაგრამ მაშ რა ვჰქნა, მე ხომ სჯულიერი არა ვარ მემკვიდრე, რომელთანაც ხალხი არის დაკავშირებული ბუნებითვე; მე, მხოლოდ ერთი გზა მაქუს ხალხის შეძინებისა — მოწყალება. — მასუკან სიმართლე და ამათ ჩვეულებისამებრ ქცევა და სამართალი. —

შენი წიგნი 10-ის მაისისა მომივიდა პირველს ივნისს. ძალიან შორს მეგონებოდი თუ შენი კაცები ოთხს დღეზედ არ მოსულიყვნენ ჩემთან (20).— გალლერეისას მწერ, მერწმუნე ზაქარიავ, რომ რაკი ცოტას სულს მოვიბრუნებ, პირველი ფიქრი ეგ იქნება ჩემი. — შამილას ალყუშისაკენ (21) წამოსვლა, და ან ყაზიყუმუხზე (22) ტყუილია. ვაჲ, ის კაცი მე აქ ჯიბეში მიზის და თქვენ არვიციკი საიდამ მოგაქუსთ ეგ ამბავი, ჰა? (23) ჯერ შენ შენთვის ფაღარათად იყავ შენს კარავში, რომელიცა დაგიცია ლამაზად ბაღში. თუ შამილა წლეულს წავა სადმე, უთოოდ ავარიაზედ მოვა. — ჩემა შპიონებმა მომიტანეს ამბავი კნიაზ მოსე ზახარიჩის (24) მოსვლა ცოტა ხანს ჭ უ ხ შ ი . — ერთი ჩემმაკიერ უთხარ, რომ თუ არა აქუს

აღკრძალული, წინ წამოდგეს ჯარით ეუხისკენ, რომ მთლად ანდალალი წინ მიეგებება, იქნება ნახევარი რუღჯაბიკი (25) შემოებას, ისიც ისრე ტყუილად, რომ ბოლოს თავი გაიმართლონ, ვინიცობაა შამილამ როდისმე მოჰკითხოს. მერწმუნე ყუიადა, ყოროდა ხუნძახამდის მაგისი იქნება ერთს მოსვლაზე, ასე ბეზარს არიან მოსულნი ყიბიტმაჰმადისგან და მურუდებისგან აქაურნი ხალხნი. — თითქმის ყოველ კვირას მიგზავნიან კაცსა, რომ ერთი ახლოს მაინც მოდითო, რომ ჩვენ მაშინვე მოგეგებნეთო. — რა ვჰქნა, ვსწერ და ვსწერ, არა მეშველარა. ამ ობორონიტელის სისტემას რა უყო ამისთანა შემთხვევაში, რომ ანდიის ყოისუმდის (26) წლეულს ადვილად თითქმის თოფ გაუსროლეთ ჩვენი იქნებოდა. მემრის ღმერთმა იცის როგორ იქნება, და ან როგორ ადვილად დაგვიჯდება ამათი აღება. ეხლა თვით იხვეწებიან, და მაშინ იქნება ჩუენ ვეხვეწებოდეთ დიდროანის პროკლამაციებით. — დიდი მიზეზი ჯარების შეყენებისა შტაბკვარტირის აშენებაა, მაგრამ მე რომ ვხედავ ჯერ წლეულს არსად გაუთხრიათ საძირკველიცა.

მე და კლუკი (27) ჯერ კარგათა ვართ, ვნახოთ ამას იქით როგორ ვიქნებით. კეთილი კაცია, ყველას მალე უჯერებს, ფიცხია და სვიტის აფიცრები, უფრო თფილისიდამ მოსულნი, სრულებით ჰფლობენ. ეი ასეთია ჩემი ნაჩალნიკი, რომელიცა არის თვით ვაკკაცი, და ჰცნობს აქაურს ხალხსა კარგად და ეგრეთვე მდებარეობასაცა.

რა გამოველ შინიდამ, წიგნი არავისგან მომსვლია. ჩვენი ბატონი ძმა ილია (28) არ მოიწერება, ბოსტნებში კითრები და ხახვი აჰყვავებია, არა სცალიან; და თუ მოიწერება, ისიც ორს სიტყუას, კობრჩხილებს დასვამს — და გამოგზავნის. —

ეს რა ქვეყანა არის, არვისგან ფეშქაშები კი არ მომდის? ახრ სულ ფულით როგორ უნდა ვიყიდო. მშვიდობით ჩემო ზაქარიავ, ღმერთმა მშვიდობიანად და ბედნიერად მაჩვენოს შენი თავი შენს ქულფათში (29).

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი

3-ს ივნისს.
ხ უ ნ ძ ა ხ ი თ.

39. ილია ოჯაბელიანისადმი

ჩემო ღ-თის წყალობავ ძმაო ილიკო! ახრ ეგ იყო შენი პირობა, რომ ყოველს ფოშტაში წიგნს არ დაგაკლებო? ტ ლ ი ფ უ ყ ვ ე რ ი ა წ ყ ლ ი (1) როგორც ლეკები ამბობენ, სწორედ მართალია. — ეს მაინც შემატყობინე სადახარ? ქალაქში თუ შენს ბოსტანში; ან ჩემი წიგნები მოგდის; ან რა-

პორტი რომ მოვსწერე კამისიაში ფული გამოართვი; ან კაბა რომ გთხოვე შალვრით გამომიგზავნე; ან ოტპუსკი, ან ფული გამოგვიდა; ან... ახრ ერთის სიტყვით მაინც სადა ხარ ამ დროში? არ მოიწერები არაფერს? ახა ღმერთო ჩემო!

აქაური ანბავი აი ეს არის. ატილლას კრესლაზე ვზივარ ძალიან მაგრად, ძალიან. შამილა უნდა იყოს, რომ წამართოს ეს კრესლა (2). ხალხსა, ღ"თით, უყვარვარ და ძალიანაც შემეჩვივნენ. მეფე ირაკლის შვილი ვარ და ამით დიდი პატივი მაქვს. ჩვენკი კავკასიის იმიერ გადავრეკეთ და ბმათ რა რჯით. — ორმოცდაათი ნოქერიც მომცეს ჯამაგირით, თვეში პურითა და ფულითა თითქმის შვიდმანეთამდის თითოსა. ეს ძალიან კარგი მიყო კლუკიმ (3), რომელიცა ჯერ კარგად არის ჩემთან, თუმცა პირველად ჩემი დანიშვნა ჰსწყენოდა, რადგანაც ამას სხუა უნდოდა, ესეიგი ევდაკიმოვი (4). — აჯიმურადთან ხშირად მაქვს ლაპარაკი, და იმედია რომ გამოვიყვანო. — ეხლა თვითონ მიგზავნის კაცსა ჩუმათ რომ შეიტყონ ჩემი სწორე ჰაზრი; კისერზე ავიღებ იმის პატიობას თუ დავახრჩობინებ. — ჯერ გარეშემო მტრის სოფლები არიან თავისთვის ფაღარათად; მხოლოდ ეს ოთხი დღე იქნება, რომ ყიბიტმაჰმადი მოვიდა ორიოთასამდის ჯარით კ ი კ უ - ნ ა ზ ე (5), მაგრამ ვერა უყო რა, სამოცი ცხვარიკი მოიტაცა, ეს იყო იმის დიდი საქმე. ავარია კარგად გაჩარხული მყავს, სწორედ გითხრა, რომ ძნელად თვით შამილა შემოვა без наказанно, როგორც არღუთაშვილი (6) ამბობს; მაგრამ ეს არის რომ ფული ძალიან ბევრი მიდის, ჯერ სულ მიდის და მიდის. — პ ა ს ს ე კ ი (7) აქ იყო ორჯელ, კარგი ბიჭია, მაგრამ მეტისმეტი ფანფარონი და თავმომწონი. ამის დარდი ეს არის, რომ ეგებ მოახდინოს სროლა რამე, რომ რელაცია კარგად დაწეროს, ჩამოვიდეს ქალაქში, ილაქლაქოს ბევრი და მოუვიდეს პოლკოვნიკობა. ამ აზრით ხან აქ მიეჩრება ჯარითა, და ხან იქ. კლუკიც ხელში ჰყავს და რასაც უნდა, იმას შვრება; ასე არ მოვა რომ აქაურობა არ არიოს. დამპირდა, გაგირიგებო, რომ ორმოცდაათი თუმანი, რომელიც მომცეს წამოსვლის დროს არ გამოგირიცხონო ჯამაგირიდამ, ძალიან საქმეს მიზაზს. მეც რასაკურველია უარი არ უთხარ. —

ილიაჯან! უთოფობა აქ არ იქნება, შენი ბრალია, რომ არ მითხარ, ახლა თუ ზაქარიას ნოქრები მოვიდნენ მანდა, უნდა უთუოდ გამოატანო ზაქარიას პატარა თოფი, და იქიდამ მე მომიეა.

ზაქარიამ გამომიგზავნა ორი ცხენი, ერთი ჩემთვის, ერთი კაკალასთვის. ჩემი ცხენი ძალიან კარგია; მაგრამ ერთი არ მეყოფა. ჩემო ილიკოჯან, მოსწერე უსუმბეგსა (8), შენ რომ ცხენი დამპირდი, გამომიგზავნოს; თუ არა ჩემი დიდი ცხენი მამაშველე საჩქაროდ. ესეიგი ზაქარიას ნოქრების ხელით.

მე, სულთანეთთამ (9) და ნუხბიქამ (10) დიდი მიწერმოწერა გავმართეთ; მაგრამა ჯერ ცარიელი სიტყვებია ორისავ მხრით. Сухая ложка

рот дерёт, ნათქვამია. — ხალხი მთხოვს, ასე გაშინჯე დედაკაცებიცა, რომ ქართული ჩაიცვიო. შე ულმერთო ერთი მომაშველო ეგ კაბა.

ილიაჯან! ავათ ხომ არა ხარ, რომ არა მწერ? რა ვჰქნა, მაშ სხუა რა ვიფიქრო! ან ტატოს (11) რა დაემართა, რომ ერთხელ არც ის მოიწერა ჩემთან. ზაქარიაც გემდურის მოუწერლობისათვის. —

ტატო და ლევან (12) მომიკითხე, ეგრეთვე ზაქარია ერისთავი, მითომ ეგენი კარისკაცები არიან და ამბებს მატყობინებენ. უზრუნველნი ქართველნი, და თვით შენცა ძმაო ილიავ იმათთანა ხარ. —

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი

18-ს ივნისს
ხ უ ნ ძ ა ხ ი თ.

ზედ უთუოდ დააწერეთ წიგნსა Правителю Аварии, თორემ არ მივიღებ.

ძალუა ქეთევანს (13) და სანდრიკოს (14) სიყუარულით ჩავკოცნიბიძია იაკობ (15) და ნინო (16) სიყუარულით მომიკითხე. ეგრეთვე ყაჟულან (17) და კოსტანტინე (18) ალექსანდრეთი (19). —

ჩემმაგიერ აბრამა (20) ისე კარგად მომიკითხე. ვინძლო ჩემო ილია რომ მაგის მოხუცებულობას პატივი სცე და ალარ ექცეოდე ისე ცუდად როგორც ადრე.

შენი ბოსტნების ამბავი მომწერე. ზაქარიას ძალიან ეშინიან, რომ იმდენმა ფულმა და ჯაფამ ტყუილად არ ჩაიაროს. — პრიკაზის ამბავიც მომწერე (21).

კაკალამ ძალუასა და შენა უმდაბლესად მოკითხვა მოგახსენათ.

40. ზაქარია ორბელიანისადმი

ჩემო ღ-თის წყალობავ ძმაო ზაქარიავ! ამას წინად გთხოვე ცხენის სყიდვა კაკალასათვის და ეხლაც განგიმეორებ ჩემს თხოვნას. შენი ცხენი დღედადღე უფრო მომწონს, შეეჩვია მთებსა და ახლა ლაზათს მაჩვენებს ხოლმე. — ღენერალი რეინკამფი (1), რომელმანცა გაშინჯა აქაური როტები, წამოვიდა გუშინ, მგონია ჩემგან მადრიელი მიღებისათვის და მიგებებისა ორასის ცხენოსნის კაცითა არახთაუზე. მაგრამ, ზაქარიავჯან, მეტად სუსტია სულითაც, სხეულითაც. ამან როგორ უნდა იბატონოს დაღისტანში? — გუშინ მომიტანეს ანბავი, რომ მითომ შამილა მოუკლავთ თათბუთრელებს (2). ეს ხაბარი ჯერ არა მჯერა, მაგრამ კლ უკისთანაც მიუტანიათ (3), დღესვე გავგზავნე გარდანქეშანი, ვნახოთ რას მოიტანს და მალეც შეგატყობინებ. ძალიან ანბავი იქნება თუ ეს გამართლდა. — ორი ამისთანა

კაცების სიკვდილი, როგორც ახვერდი მაჰმადი (4) და შამილა ამისთანა მოკლეს ხანში დიდი დანაკლისია ამ მხარეს. —

რა გამოვსულვარ ქალაქიდამ არა ვიცირა ილიასი. თუ ღმერთი გრწამს შემატყობინე, რა დამართვია, რომ ერთხელ პასუხი არ მომწერა. —

ლევანის წიგნი მომივიდა. მთავარმართებელი (5) წასულა 8 ივნისს გორს, გასწყრომია სიმბორსკის (6), კაპიოვს (7), გოროდნიჩი ჩაუსვამს ნაობახტში. უეზდნის ნაჩალნიკი ძალლის ნ. . ში გაუძვრენია. — ჩვენი გიორგი ერისთავი (8) გამოსძღომია საზოგადოობასა და ნეიდღარდისათვის მადლობა მოუხსენებია მ ა მ ა ც ო ვ ი ს (9) სუდიად დანიშვნისათვის. იქიდამ მთავარმართებელი წასულა ქუთაისს, და აფხაზეთს, და ჯერ იქიდამ არ იციან ანბავი. — ქალაქიდან ჩვენი ქალები აყრილან და წასულან სოფლებში: ელენე ატენსა, მანანა ლოუბანსა, მარიამ (10) ტაბახმელას, ქეთევან (11) ვაშლოვანს, ბარბარე (12) და კონა (13) ბორბალოს, ალექსანდრე საგინოვის ცოლი (14) კოდასა, იაკობის ცოლი (15) თავის ქალებთან კ ა პ კ ა ი ს (ბაკლანას (16) სიტყვა არის). —

აქაური ანბავი არა არისრა ჯერა. მე ღ˜თით კარგათა ვარ ჩემის კაკალათი, რომელმაცა ხელზე გაკოცა. — გეთაყვანე ზაქარიავ, მალმალ მომწერე ხოლმე შენი ანბავი. — კნიაზი მოსე ზახარიაჩი მწერს შენს მშვიდობით ყოფნას ქურახში (17), და მადრიელობას ახტის (18) მოვლისათვის. — სხვებრ მშვიდობით ჩემო ძმაო! ღმერთმა მაღირსოს ხილვა შენი ბედნიერებით.

შენი გ რ ი გ ო ლ (ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი)

14-ს ივლისს.

ხ უ ნ ძ ა ხ ი თ.

როცა ცხენი ისყიდო შემატყობინე, ნოქარს გამოვგზავნი და ფულსაც გამოვატან. მერწმუნე ფულსაც გამოვატან ჰაა.

41. მოსე არღუთინსკი-დოლგორუკოვისადმი

თქუენო ბრწყინვალებავ

კნიაზო მოსე ზაქარიას ძევ!

ჩემი უბედურებისა გამო ვერც მეღირსა ხილვა თქვენი გილლარს (1), რომ გაძოუცდელსა მიმეღო თქვენგან რჩუა ახალს ჩემს თანამდებობაში; და ვერც აქამომდის მოგართვით წერილი მადლობისა, რომ თქვენის წყალობით შევიქენ ახლა ჰ ა ქ ი მ ხ ა ნ ა ვ ა რ, მაგრამ თქვენი ბრწყინვალება მიცნობს, რომ ყოველთვის და ყოველს ადგილს ვარ თქვენი ერთგული და გულით პატივისმცემელი. — ვიცი არ გეწყინებათ ჩემი ყბედვა. მოგახსენებთ ჩემს ანბავს თავიდამ.

ჩემს მოსვლის დროს შურაში ავარია იყო ძალიან არეული სხუადასხუა პარტიებითა: ზოგი თხოულობდენ ავარიის ნასლედნიკს (²), ზოგნი ალისულთანს, და ზოგნი შამხალსაც. ამ არეულობაში ორჯელ ჰაჯიმურადცა შემოვიდა ჯარითა, ერთხელ დახუდა როტას არახთაუზე, და მეორედ სოფელს სიუხთან. — მე კი არავის უნდოდი. ესრეთი იყო მდგომარეობა ავარიისა, როდესაც მოველ სოფელს ტ ა ნ უ ს ს ხუნძახის სიახლოეს. აქ დამხვდნენ კლუკის ბრძანებით პირველნი კაცები: ყადიები და ბეგაულები. ცხენდაცხენ უთხარ მე ამათ კარგი ძლიერი შესხმა, განგებ მაღლის ხმით, რომ ვაშკაცობა მეჩვენებინა — ხანდახან იასეს ფარსებიც კარგია — საღამოზე მოველ ხუნძახს სწორედ იმ დროს, როდესაც ერთს ნოქარს შეეყარა ხალხი და უქადაგებდა, რომ ნუ გვინდა გურჯი გიაური ხანადაო; მაგრამ რომ დამინახა შემოსული მძიმედ პირველის კაცებით, ისიც დაჩუმდა. — იმ დღესვე მეჯლიში გავმართე, ესე იგი, ბევრი სპირტი და ბევრი ხორცი. ამ თ ცოტა გული დაუამდათ. მერე მივჰყავ ხელი პარტიებსა: მივიმხრე ნასლედნიკის ერთგულნი, რომლისა სახელით და ქებით დავიწყე ხანობა. დურაკი შამხალი და ალისულთანი, რომელნიცა აქაურებთან ჰგზავნიდენ ფეშქაშებს, რიყეზე დარჩნენ. — დამრჩა შამილა, რომლისა პარტია იყო და არისცა უხილავი, და ამით უფრო არის საშიში, რომ სარწმუნოებაც აქუსთ ერთი. მართლად პირველს დღეებშივე ვნახე რაც სიფრთხილე მმართებს მე ამისგან: პირველს კვირაშივე გამექცნენ ობოდის (³) სოფლიდამ ცამეტი კომლი კაცი. ამან ძალიან შემაშინა, მაგრამ ძალიანაც გამამხნევა. იმ სოფელს კომლზე თითო ამანათი გამოვართვი, პირველი იმათნი კაცნი დიდროანის ხუნდებით ჩავყარე ნაობატში, და გამოუცხადე ხალხსა, რომ ამათ სუყველას დავახრჩობ. შეიყარნენ ყადიები, ბეგაულები, მუხლმოდრეკით მთხოვეს პატიება, მეც რასაკურველია მიამა ესე, და ამათ პატივისცემითისინი დავიხსენ სიკუდილისაგან; მაგრამ ერთი თვე შევინახე ტუსაღხანაში. — დავიწყე სოფლებში სიარული და ქადაგობა — ქადაგობა ძალიან საქმესა შვრება აქა — და ახლა, მეოწმუნეთ კნიაზო, ასე რიგად გამიჩარხავს ხალხი, რომ მარტო მე აქაურებით შევებმი შამილას. — ამაობაში გავმართე მიწერმოწერა ჰაჯიმურადთანაც, რომელიცა მაძლევს გამოსვლის იმედსა, თუ არ მატყუებს.

თქუენმა ეუხში მოსვლამ დიდი შიში და არეულობა მოახდინა ყიბიტმაჰმადის სოფლებში. თქუენი ძალიან ეშინიანთ, და ბევრსაც გაგინებენ შარშანდელის ომებისათვის (¹). მომიტევეთ კნიაზო ამ მოხსენებისათვის. —

აქაურის მტრის სოფლების მდგომარეობა ეს არის: კუიადა (⁵), ყოროდა (⁶) და ახვახი (⁷) მზათ არიან რუსების სიხაროულით მისალებად. ყოველს კვირას მიგზავნიან კაცებსა, რომ ოღონდ წინ წამოდექითო, ჩვენ თვითონ შევებმით შამილასაო. — მხოლოდ ანდალალში როლჯაბი შემოგებმით თქვენა, სხუანი სიხაოულით მოგეგებებიან. — ახვერდიმაჰმადის სიკუდილს, რა საკურველია, შეიტყობდით. ასე ამბობენ, რომ ღ ა ლ ღ ა-

ელ ე ბ მ ა (7) დაამარცხეს ძალიან და ომში დასჭრეს, დაჭრილობით მოკუდა და დამარხეს შ ო ბ ო ტ ა შ ი (8). — მაგრამ ვერ შევიტყე სწორედ, რა ხალხია ლ ა ლ ღ ა, თუში თუ ქისტი? —

შამილა თავისთვის არის დარღოში და არსად მიდის ჯერა, თუმცა ტყუილი ხმებიკი ბევრია, მაგრამ ჩემის ანგარიშით ის არ მოვა ყაზიკუმუხს, სადაც შარშან ცუდათ უმასპინძლეთ, და არცა ავარიაში, სადაც ხალხსა არ უნდა იმისი მოსვლა. ესეც იცის, რომ თუ წამოვიდა აქეთ, რუსებიც შეიყრებიან, და თუ დამარცხდა კიდეც, ბევრი სოფლები ჩამოეცლება ხელიდამ. ამ ანგარიშით, მგონია არ წამოვიდეს აქეთ, თუ ხალხმა ძალათ არ წამოიყვანა.

ღენერალ რეინკამპფი (10) იყო აქა და გუშინ წავიდა. — კნიაზო! ნუ გამიწყრებით, და ეს ვერც სულით, ვერც სხეულით ვერ გამოდგება აქა. მეტად სუსტია ორივეში. —

დღეს მებოძა თქვენი წერილი. მრცხვენიან, რომ თქვენ დამასწარით. შამილას ანბავი გებრძანებინათ, ეს არის ახალი, რომ დღეს მითხრეს ლაზუთჩიკებმა (11), მითომ შამილა მოუკლავთ თათბუთრელებს. ეს ხმა ყველგან ისმის; მაგრამ ჯერ არა მჯერა და დღესვე გავგზავნე ამის შესატყობლად, და რაც იქმნება მაშინვე მოგახსენებთ. — ჩაჩნიდამ (12) ეს ისმის, რომ ძალიან ქურდობა, და ანდრიიდამაც (13) სამასი ძროხა მოიტაცეს. სხუთა ამბებთაშორის ესეც არის, რომ შამილა ძალიან სცდილობს ზარბაზნების ჩამოსხმას, და ორიც გაუკეთებია.

მე ეხლა არა მიჭირსრა ავარიაში; ხალხი, მგონია, იყოს ჩემი მადრიელი, და მგონია მოვსწონდე კიდეცა. — ეს არის ჩემი ფიქრი დღე ყოველ, რომ როცა მეღირსოს თქვენი ხილვა, პირნათლად დაგუხდეთ. ეს ჰაზრი, მერწმუნეთ კნიაზო! არის განუყრელი და მიზეზიცა ჩემის მეცადინეობისა, რომა არა წახდეს რა ჩემგან აქა, და არ მითხრათ შერცხვენა.

სხუებრ უღრმესითა პატივისცემითა ჩემითა ვეგეპი მარადის

თქუენისა ბრწყინვალებისა

უმორჩილესი მოსამსახურე

გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

14-ს ივლისს
ტ უ ნ ძ ა ხ ი თ.

დიმიტრი კუზმიჩსა (14) სიყვარულით მოვიკითხავ, ეგრეთვე ვრონკინსა (15), რომელიცა მგონია თქვენთან იმყოფება ეხლა.

42. ილია ორბელიანისადმი

მე ჰაქიმხან ემირ ავარ — სხუა რიგად აღარ შემიძლიან წიგნის დაწყობა — ანუ როგორც წერია ჩემს ბეჭედზედ: მ უ თ ა ვ ა ქ ა ლ ლ უ ლ ლ ქ ი ნ ი ა ზ ხ ა ნ ო რ ბ ი ლ ი ა ნ ე მ ი რ ა ვ ა რ (1) შუბლზე ვაკოცებ ჩემს ღ-თის წყალობას ძმას ილიას, და ღმერთსა ვჰსთხოვ პირველად შენს სიცოცხლეს და მერმე ხურჯინებს ოქროებით სავსეს. ეს ასე.

ახლა მინდა დაგიწყო ლანძღვა, შე წვერ ძაღლო, რატომ ერთხელ არ მომწერე აქამდის? იტყვი, ავათ ვიყავ! ეგ სულ არაფერი. მე ოთხი წელიწადი რუსეთში სულ ავათ ვიყავ, წიგნიკი არ დამიკლია; მაგრამ მიზეზი მე ვიცი რაც არის. ჩვენი ქუჩა (2), რომელიც სამგზის ასჯერ დასწყეველოს ღმერთმა! ვერც ჟირმა დააკლია; ვერც ხოლერამ ამოწყვიტა; მიწის ძვრამ ეგ გაუშო და ლისსაბონი ჩაყლაპა. — ეგ არის მიზეზი შენის ზანტობისა, შენის სულითა და ხორცით მოშვებისა, და ბოლოს შენის კუტრობისაცა. მაგ ქუჩის გარეთ სადაც ყოფილხარ, ყველგან ფულიცა გქონია, ჭკუაცა და გამოჩენაცა. მე ვიცი, შენ მაგ ქუჩიდამ ველარსად გახვალ, მანამ ძალად არ გაგაგდებენ. აბა თუ მაგ ქუჩამ ჭკუა არ გამოგილია — ავათმყოფობას ნუ აბრალებ — რატომ ჩემის წიგნების პასუხსა არა მწერ? 1) შენი ზაპისკები რატომ არ გამომიგზავნე, 2) რა ხარ ეხლა: ოტპუსკში ხარ თუ ისრე, და ეს ი ს რ ე რა არის? მე არ მესმის. — ამის გარდა 3) რატომ არამწერ რა აღგითქვეს? ჩინი, ჯვარი, ფული თუ არაფერი (3)? 4) ახლა შენი ფიქრი რა არის, ვისთან ანუ სად, სამსახურისა? არ შეიძლება, რომ როგორმე კარისკაცად გახდე მთავარმართებელთან (4)? შენ პოლკში აღარ შეგიძლიან ყოფნა. და დასასრულ 5) შენის ბოსტნის ამბავი, რა ჰქენ, გაყიდე თუ არა არისრა სეტყვისაგან; ან წისქვილისას რატომ არა სწერ ზაქარიას, რომელიცა გულით ჰსწუხს მაგდონის ფულების უბრალოდ დაფანტვისათვის. — ერთის სიტყვით, რატომ არა მწერ რას ჰშვრები და რას ფიქრობ, ტ...ის გარდა. — ესეც ასრე.

ახლა მოვიდეთ ავარიაში. აქ ჯერ მშვიდობიანობა არის, და ეს ჩაფაულობა ქურდობა, აქა იქ კაცის მოპარვაც, მოკვლაც ხან ჩვენითგან, ხან იმათგან, ეს სათქმელი არკაკი არის. მაგრამა დიდი ჩაფაულობა ყიბიტ-მაჰმადმა ჰქმნა ჩვენის ჭარის (5) მთებში, საიდამაც მოიტაცა, როგორც ამბობენ ათიათასსზე მეტი ცხუარი. ამასწინათაც близ магометова моста ყიზლარის (6) გზაზე მოსტაცეს ნოღებს შვიდიათასამდე ცხუარი და სხუა საქონელი; მ ე ტ ლ ი ს (7) სიახლოეს მოიპარეს ეკეესი ჩარვადარი თავრიზელები. ბევრს არ იტყოდენ: მან სანი ნოქარიამ, მან სანი აშპაბიამ (8). — ერთხელ მეც შემომეპარა ჰაჯიმურად ასამდის ცხენოსანით, და მოიტაცა სამასი ცხუარი ჰოცცო სოფლიდამ. შეიქნა ჰაი ჰარაი! გაცვინდნენ მდევრად ტონუსიდამ (9), მოეხიდამ (10), ოქლოდამ (11), ავარელები; მეორე მხრიდამაც პოდპოლკოვნიკი ვესელიცკი თავისის როტებით ამოიკრა არახ-

თაუზე. სადაც მოჰსწვდნენ ჰაჯიმურადს და სულ კუდითქვა ასროლინეს, ცხვრებიც წაართვეს და ხუთი ექუსი კაციც მოუკლეს. — ახლა იმ ადგილს, რომელსაც ჰქვიან **мокрая балка** არახთაუსთან, კოშკი უნდა გააკეთონ ოცდაათის კაცისათვის. შამილა დარღშია, არის თავისთვის, ნაიბები (12) ჩაფაულსა შვრებიან, ისკი თავის ნაწილს იღებს უკრავ უგინებლად. — ახვერდიმაჰმადი მოკლეს ღალღელებმა, მაგრამ ეს ღალღელები რა ხალხია, ქისტი, თუ. თუში, ვერ გავიგე. შობოტაში დამარხეს. ახლა შვაიბ მოლლა (13) არის იმის მაგიერ ჩაჩანში. შამილა ზარბაზნებს აკეთებს, მაგრამ უსქდება; ორის მეტი ვერ გაუკეთებია. მე და ჰაჯიმურად ლაპარაკში ვართ. იმედებს მაძლევს, თუ არ მატყუებს (14).

რეინკამფი იყო აქ ჯარების ინსპეკტორად. ორასის კაცით არახთაუზე მივეგებე ისე დიდკაცურად, ჰაა ხანურად. მეორეს დღეს დავპატიჟე სადილად ჩემს დივანხანაში, რომელიცა ჯერ უფანჯარო, უკარო და უმინო გახლავსთ. ახლა ვაკეთებ აქ სახლებსა. შენ ჩემს საქმეს უყურე, კოდა (15) გამიშვია და აქ შენობას ვაგებ.

ზაქარიამ ერთი ცხენი გამომიგზავნა, რომელიც ლაზათს მაწევინებს ამ საშინელს მთებში. დანიილსულთნის (16) ნაჩუქები ცხენია, პატარაა, მაგრამ ლამაზი და ღონიერი. ოქროს ფერი, სწორედ ყაფლანის (17) მურვარსა ჰგავს. აი შეარცხვინა ეგ მირზაშვილი ყაფლან! ახლაც არ მოვა ჩემთან, რომ კაცი გავხადო. ერთი ყანა ჰქონდა, ინშაჰლლა (18), ისიც ხომ დაუსეტყვამს. — ჰო დამავიწყდა ილიავ! ზაქარიას პატარა თოფი გამოატანე, როცა ნოქარი მოვიდეს იმისგან, რომ ძალიან საჭიროა ჩემთვის. ხანის ნოქართა თუ თოფი არ ჰკიდია ერთს მათგანსა, არ იქნება. და მე ხომ იცი არა მაქუს თოფი, და ეგა სწორედ ხანისა არის. — ამისგარდა ერთი დ ა ვ ი თ ნ ი (19) გამომიგზავნე და ერთიც ვეფხისტყაოსანი პატარა დაბეჭდილი. — ჯერ კაკალა არ გამიგზავნია არსაით, თორემ ხანჯლებს მალე გამოგიგზავნიდი. — არა, ეგ ჩინჩხვრის კაცები ტატო (20) და ვანო (21), რომელთაც ჰგონიათ თავიანთი თავი ლომებად, რატომ არასა მწერენ? პირობა აგრე გვქონდა?

აქაურისა ხალხისა რა გითხრა. შინ ზარმაცნი, ზანტნი, დიდრონ ტყაპუჭებში დათვების მსგავსნი ჰყრიან ამ დღით გარეთა. აბა ესენივე ნახე მაშინ, როცა დაიძახებენ ჰარაის! იმ წამს საიდამ ეძლევათ ის სიმარდე, ის სიმკვირცხლე, დაუღალაობა სირბილში? აბა გაასწარ ცხენით. — აბა იმ დროსვე წადი შენც მდევარზე, რამდენს დედაკაცს ნახავ მოწინაურედ წასულს! — ე უ ხ შ ი ამ ზოფხულს, ყიბიტმაჰმადის ჯარსა პირველად ორმოცმა ყმაწვილთ დედაკაცებმა და გოგოებმა ხანჯლებით შეუტიეს; მასუკან, რა უნდა ექმნათ, კაცებიც გამოვიდნენ სოფლიდამ და მისდიეს უკან თავის ცოლებსა და ქალებსა. აი სად გამართლდება ისტორია ამაზონკებისა, რომელთაცა ახრ ბოლოს მაინც კი . . . . სათვის დაუტეეს მამაცობა:

იაგორ სტეფანიჩი (22) სიყვარულით მომიკითხე. მე რათ მიჯავრდება, რომ იმის ფანჯარის საქმე გამოშკარავდა. განა მაგან არ იცის, რომ

ჯერ არავის ...ბა არ ყოფილა საიდუმლოდ; მაგისიც გამოცხადდა, მე რავჰქნა! — გერასიმას (23) უთხარ, რომ ჭუხელმა იბრაიმამ (24) ძალიან გულით მოგიკითხათქო, მაგის სახელი აქ ეპოხად არის სუმბათოვინ ზამინდან (sic) ულავაშებს ვიგრეხდიო, წელიწადისა არ ვიციო. —

ილიკო, ერთი შემიტყე. შამხალი (25) მანდ რას აკეთებს, რისთვის ჩამოვიდა, ვიცი სულთანეთთას საქმეზედ (26) არის, რომ არა მისცესრა. — მე აქ გავერიე მაგათ ინტრიღებში. ჩუმად სულთანეთთას მხარე მიჭირავს. აქ რეინკამფს, რომელსაც აქუს მინდობილი მაგათი საქმე გადასაწყვეტად, დაუმტკიცე, რომ მმართებლობამ უნდა შემწეობა მისცეს სულთანახმედ-ხანის (27) ქალსა, როგორც საქართველოს მეფის ქალებსა, ანუ როგორც ყუტყაშინსკის (28) ცოლსა. ესენები ძალიან შეუვიდა გოგრაში, ახლა ენახოთ რა გამოვა. — მართლა საბრალოს არც მამიდამ აძლევენ, არც ქმრიდამ. გდია ერთს უბრალო ქოხში ჯუნგუთაისსა (29) სამადლოდ. —

მომიკითხე მელიტონ (30), ეფემია (31), კატო (32), და სხუანი.

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი

გერასიმა და შამხალ ერთმანეთს შეხვდნენ, თუ იბუტებიან.

სოლომონ ონიკოვს (33) ჰკითხე ჩემი წიგნი არ მოუვიდა? ალექსანდრე (34) სიყვარულით მომიკითხე.

ჩემი კოსტანტინე (35) და ალექსანდრე (36) მომიკითხე გულით. რას შვრება კოსტანტინე? ცხრიანს კიკო არ გამოშორდა?

ეს სისხლით ნაშოვნი ბეჭედი უნდა ჩემს ნასლედ-ნიკებს დაუტევო საუნჯედ

ბეჭდის ადგილი

(მინაწერი პირველი გვერდის აშიაზე, მარცხნით):

ძალუა ქეთევანს სიყვარულით მოვიკითხავ, ეგრეთვე სანდრიკო ჩამიკოცნე. შენი წიგნი მომივიდა, ეს იმის პასუხია.

43. ზაქარია ორბელიანისადმი

ჩემო ღ˜თის წყალობავ ძმაო ზაქარიავ! შენი წიგნი და ილიასი მომივიდა. ღმერთმა შენი მტერი შეაწუხოს ისე, როგორც მე შევწუხდი ჩვენის მამულებისგამო (1). სიყრმითგან სიბერემდის ასე უნდა ვიწოდეთ

ერთი ლუკმა პურისათვის, რომლისა მოსაპოებლად ძალლებსავით უნდა ვეყარნეთ გარეთ, შორს ჩვენის სახლკარისაგან. მადლობა ღმერთსა! იმას მივანდოთ თავი ჩვენი, და ვიმოქმედოთ რაც შეგვიძლიან. — ყმაწვილსავით ვტირი. ახრ, როდემდის უნდა ამგვარ სიგლახაკეში ვიხრუკებოდეთ? — ხვალვე ვგზავნი კამისიაში რაპორტსა, რომ ილიას მისცენ ჩემი ჯამაგირი მაისის ტრეტისა. რომელიცა აღარ მახსოვს, მგონია ოცდაშვიდთუმნამდის იყოს. წავიდეს ესეც იმ უფსკრულში, რომელიდამაც ჩვენ მხოლოდ სიკუდილი გამოგვიყვანს და მოგვარჩენს ამდენს დავიდარაბას და უბრალოდ ზრუნვას და მწუხარებას. — თუ ცოცხალი დავრჩი, იმმომავლის ტრეტებისაც იქვე წავიდეს და ჩაიღუპოს ჯანაბაში. — ესა მკლავს ჯავრით, რომ ეგ პოლკის ჯამაგირი მინდოდა ჩვენის სახლებისათვის მომეხმარებინა. ვაი გალლერეავ, გალლერეავ! მაგრამ ზაქარიავ, თუ ღმერთი გრწამს, ნულარ დააწყობ პლანებსა მომავლისათვის. რომ ღმერთს არ უნდა? აბა რასა იქ. — დეე მომავალმა თვითვე მოიტანოს სიკეთე, თუ აქუს რამე ჩვენთვის დარჩომილი. — ილიამ თუ სამასს თუმნად დაინარჩუნა, კარგია. და თუ ვერა, ჩემი ჰაზრი ეს არის, რომ ამ ფულებიდამ გლეხთ კაცთა დაურიგონ და ისე შეიჯერიონ; რომ საწყლები უბრალოდ არ დაიღუპნენ, და ამგვარ მდგომარეობამ არ აჩივლოს განთავისუფლებისათვის.

სხუა რა მოგწერო. აქ არა არისრა ომიანობისა, შამილა ისევ დარღშია. ჯარები არსად იყრება, ამასწინათკი მოიტაცეს ას ცხვრამდის ჩემი ერთის პაპირის სოფლიდამ.

შენგან გამოგზავნილი ახალი ლურჯი ცხენი ძალიან ლონიერი უნდა იყოს, ეტყობა; მაგრამ უკანა ფეხი კი დაუსივდა, მგონია წყალი ჩასდგომია. — ოოფისათვის ძალიან, ძალიან მადლობელი ვარ. ჩემა ნოქერმა მიამბო, ზაქარიაბეგმა დამატარა სულ მაჩვენაო, ციხე, ი ლ ხ ი (²), ეს ილხი საიდამა გყავს ვერ მიმხვდარვარ? ჩაიც დამალევინაო, ბეშ მანათ და ფულვერდი (³), ერთის სიტყვით დიდი ქება მოიტანა შენი. —

ვის უთქვამს, რომ მითოვ ხუნძახიდამ 25 კომლი გაქცეულიყოს? სიცრუეა. — პირველს მოსვლაზე, მართალია ობოდა სოფლიდამ გაიქცნენ ცხრანი, ისიც იმიტომ, რომ ძალიან არეული იყო ხალხი ალისულთანისაგან, შამხალისაგან, ნასლედნიკისაგან, და ჰაჯიმურად შამილითურთ ცალკე. ის გაქცეულებიც ზოგნი ისევ დაბრუნდენ. ახლა თავიანთთვის მოსვენებით არიან. რა საკურველია არიან ისეთნიცა, რომელთაც ჩუმად მიაქუსთ ამბავი ჰაჯიმურადთან; ამგვარ კაცთა რაც შემიძლიან ვიჭერ, ვჰსჯი. — მე აქაური არა მიკვირსრა, ისრე როგორც დედაკაცნი, რომელნიცა მდევარზე გადიან ხანჯლებით, კეტებით, ორთითებით. Вот Азия! — ჭუხში ორმოცმა დედაკაცმა შეუტიეს პირველად ყიბიტმაჰმადის ჯარსა. — ესეც შენი ამაზონკები, რომლის ისტორიას მოდი და ნუ დაიჯერებ.

ეს ერთი კვირა არის დღედაღამ მოუწყვეტლივ მოდის წვიმა. გული შიშუხდება ამ საშინელის ღრუბლებისაგან, რომელნიც მდევებსავით ადიან, ჩადიან.

მშვიდობით, ღმერთი იყოს შენი მფარველი.

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი

12-ს აგვისტოს.
ხ უ ნ ძ ა ხ ი თ

ჭუხელს იბრეიმას გამოვატანე წიგნი, მაგრამ დღეს შევიტყე, რომ ჯერ ისევ ჭუწათლში (4) ლოთობს. ერთი თუმანიც იმან გამღლიტა.

კაკალამ მდაბლად მოგიკითხა. Иван Павлович (5) მომიკითხე სიყუარულით.

ბეჭდის ადგილი

ცუდათ დაიბეჭდა. ეს უნდა დარჩეს საუნჯეთ მომავალთა ჩემთა. მ უ თ ა ვ ა ქ ა ლ ლ უ ლ ლ ა.

(მინაწერი პირველი გვერდის მარცხნით, აშიაზე):

კაკალას არ თვით უნდა წასვლა და ვერც მე ეშორდები.

44. ილია ორბელიანისადმი

28-ს ა გ ვ ი ს ტ ო ს. ხ უ ნ ძ ა ხ ი თ

ჩემო ღ-თის წყალობავ ძმაო ილიკო! ამ შენს წიგნს ისევ უკანვე ვიგზავნი. მე ამისთანას არა ვკითხულობ. ახლა შენ თვით წაიკითხე და გაშინჯე: გაიგზავნება ათასს ვერსზე ამისთანა წიგნი ძმასთან, რომელიც მოელის შენგან ან შენს საკუთარს ანბავს, ან თავის სახლკარისას და ან ქალაქისას? მაშინ, როდესაც ოთხს დღეს წინათ ზაქარიას ჰსწერ ჩვენის ყმისა და მამულის გაყიდვას? ამ ოთხს დღეში აგრე როგორ გაარიგე ეგ საქმე, რომ ამისთანა წიგნსა მწერ? — ჰაა? — ამ წიგნით ვსცნობ, რომ სწორედ ყაფლანისშვილი (1) ხარ, სავსე უზრუნველობით და დაუდევნელობით. —

რატომ შენს ანბავს არა მწერ დაწვრილებით?

რატომ შენს ზაპისკებს არ მიგზავნი?

მთავარმართებელი (2) მოდის თუ არა, რატომ არა მწერ?

შამხალი რათ იყო მანდა, რატომ არ მატყობინებ? შენმა ბოსტანმა რა მოგცა?

ამის გარდა საჩქაროდ გამომიგზავნე ოთხი წყვილი მილიციონერის ეპოლეტები, ესე იგი თეთრი, ჩემის აფიცრებისათვის. შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი

(მესამე გვერდზე მიწერილია):

ძალუა ქეთევან სიყვარულით მომიკითხე, სანდრიკო ჩამიკოცნე.

(მეოთხე გვერდზე მიწერილია):

უნდა ჰსცხვენოდეს ტატოს რომ ერთხელ არ მომწერა.

45. ზაქარია ორბელიანისადმი

ჩემო ღ˜თის წყალობავ ძმაო ზაქარიავ! ილიას წიგნი მომივიდა, რომელიცა ისევ უკან გაუგზავნე, ამიტომ, რომ ერთი თაბახი დაბღარჯული სულ ცარიელი ხოხოროს და ბოხოროს იყო, მოდნის სიტყვები გახლავსთ ქალაქშია. თითქოს არც სახლი გვქონდეს, არც საქმეები, რომლისაც შეტყობა ჩემთვის საჭირო არ იყოს. რა უყო! ქართული ანდაზაა ხ ე ვ რ ე და ხ ე ვ რ ე.

შენგან ნასყიდი ცხენი სულ წამხდარი ყოფილა. ოთხივ ფეხი რუმბებსავით გაუხდა. ჩარვადრებს დავადაღვინე, მაგრამ არაფერი ეშველა. ერთი კარგი ცხენი საჭიროა კიდევ ჩემთვის. ეგების მანდ გეგულებოდეს, მაგრამკი უფულოდ, და ჯერ ფულს ნუმთხოვ.

აქაური ამბავი სრულიად არაფერია, ამის გარდა, რომ ახლად გაკეთებული ხიდი, დიახ ლამაზი ავარიის ყოისუზე (1) ზირანასთან (2) წყალმა წაიღო. ამა მიზეზით ჩვენ ავარელები დავრჩით ათს დღემდის რიყეზე, ესე იგი, без сообщения, მანამ პირობას გამართამდნენ. ახლა ხიდს აკონკებენ, ეგებ ნეიდგარდის მოსვლამდის, შეასრულონ.

ჯერ აქამდის დიდი მშვიდობიანობა არის. არსაით ისმის დიდის ჯარების ყრილობა, და ენახოთ ამ ერთს თვეს უკან რა იქნება, როცა პურს მომკიან, და საქმე აღარა ექნებათრა. გუშინ ვიყავი თ ა ლ ა ყ ო რ ი ს (3) მთაზე, საიდამაც ახლოს ვნახე ორასამდის ცხენოსანი, ჩემი წინაკაცები და ისინი ერთმანეთს აგინებდენ. ამით მორჩა ჩვენი დავიდარაბა. ამაღამ გავგზავნე კაცი დასაზვერავად, თუ ისევ იქ არიან, წავალ და დავეცემი თავსა.— ჩემი ავარელები, ღ˜თით და შენის დოვლათით, ჯერ ძალიან კარგათ მყვანან. შამილა ისევ დარღში ბრძანდება. — მგონია, ამ ჩვენი ობორონიტელნის სისტემით ის უფრო განძლიერდება და გაიდგამს მაგრად ფეხსა.

მთავარმართებლის ბოსვლისა ხომ არა იცირა, შემატყობინე, რომ მეც ცოტაოდენი მოვემზადო.— დურაკ ალისულთანს აუბუნტდა სოფელი, როდესაც მოვიდა ყაზიყუმუხიდამ. ცოლშვილით ჩამოიტრა შურაში (4), კლუკიმ გაგზავნა რამდენიმე როტა, და დაამშვიდა. ზაქარიავ ასეთი

ШШვენიერი ცოლი ჰყავს მაგ ლოთსა, რომ რაღა გითხრა იმის ქება.— ასე გაშინჯე მეცკი ...ება რომ ვნახო.

კაკალამ მდაბლად მოგიკითხა. სარანდოვი სიყვარულით მომიკითხე. — მშვიდობით, ღმერთმა მაღირსოს შენი ხილვა ბედნიერად.

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი

28 ა გ ვ ი ს ტ ო ხ უ ნ ძ ა ხ ი თ

46. ჭოსე არღუთინსკი - დოლგოგრუკოვისადმი

თქუენო ბრწყინვალებავ,

კნიაზო მოსე ზახარიჩ!

ი კარგი და ახალი ამბავი მომიხსენებია თ ქუენთვის: უ ნ ც უ ქ უ ლ ი (1) გარეშემორტყმულია მურუდებისაგან მესამე დღეა. ყიბიტშაჰმად, ჰაჯიმურად და თვით შამილაცა მანდ არიან დიდის ჯარით, მაგრამ ჯერ ვერ შესულან სოფელშია. ჩვენი ჯარი ორი როტა გუშინ ჩაეშვა ხ ა რ ა ჭ ი ს (2) სოფლიდამ უნცუქულისკენ, რომ სხუა გზა არსაით არის მისასვლელი. ბ ე ტ ლ ე ტ ი ს (3) გზა, რომლიდამაც ადვილად მიისვლებოდა, უქირავსთ მურუდებსა; გ ი მ რ ი დ ა მ ა ც (4) არ შეიძლება მისვლა. ერთი ხარაჭი დაგვრჩომია, როგორც მოგახსენეთ, და იქიდამაც ზარბაზნები არ ჩაიტანება. გუშინ თოფის სროლა ჰქონდათ რუსებთან; დღეს უკანასკნელი სამი როტა ორის ზარბაზნით წავიდა აქედამ, ავარიიდამ, მისაშველებლად. — დავრჩი მე მარტო, მაგრამ არამიშავსრა; ხალხს უყვარვარ, და ჯერ აქ სოფლებში მშვიდობიანად არიან. ხვალ თუ დავატყე, რომ მურუდის ჯარი არსად არის ჩემს მხარეს, ხუთასის კაცით მეც წავალ, და ან გავგზავნი მისაშველებლად (5). კლუკისა (6) ჯერ აქამომდის ვერა შეეტყერა, სად არის.

ასე ჩემო მოწყალეო ხელმწიფევ! ობორონიტელნის სისტემა დიახ კარგი ყოფილა; მაგრამ ყოისუბუ როგორ უნდა დაიფაროს ორის როტითა, და ანუ ავარია სამითა? მოდი და დაა[ჯერე] მთის ხალხი, რომ რუსეთი ძლიერია, თვალით ვერას ხედავს? — ეხლაც კლუკიმ ბევრი, ბევრი რომ შეჰყაროს, ოთხს ბატალიონს ვერ გადააცილებს. ვნახოთ როგორ დაბოლოვდება ეს ამბავი, რომლისაგამო მეშინიან, რომ აქაურმა ხალხმაც არ გაილვიძოს. რაც შემიძლიან ჰარაქათსა ვსწევ; სწორედ მოგახსენოთ ხუთასის კაცის გაგზავნა უფრო იმიტომ მინდა, რომ ისე ვეღარ გაიჩუჩუნებენ.— თქვენის მხრისაკენ არიან დარჩომილნი მხოლოდ ყოროდა (7), ყუიადა (8), როღჯაბი (9); და სხუანიკი სულ აქეთ არიან მომდგარნი. — ვნახოთ, რო-

გორ დაბოლოვდება, და თუ მე ცოცხალი დავრჩი, მალე მოგართმევთ კიდევ წერილსა აქაურის ამბებით.

სხუებრ ვეგები ულრმესითა და ჭეშმარიტითა პატივისცემითა ჩემითა

თქუენისა ბრწყინვალებისა,

უმოწყალესისა ხელმწიფისა,

უმორჩილესი მოსამსახურე გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

29 აგვისტოსა.

ხ უ ნ ძ ა ხ ი თ.

ამ წამში მომივიდა ამბავი, რომ საწყალი ვ ე ზ ე ლ ი ც კ ი ჩასულა ორის როტით, რომ უნდა გაეპო მურუდის ჯარი და შესულიყო უნცუქულში; მაგრამ სრულიად ამოუწყვეტიათ და ვგონებ ისიც მოუკლამთ.— ახ, კნიაზო ნეტავი ორი ბატალიონი მოგვაშველოთ უზარბაზნოდ. აქ მესამეს დღეს მოვლენ ადვილად, და განწირულებისაგან გამოგვიყვანენ. კლუკის, როგორც მოგახსენეთ, ნეტავი ოთხ ბატალიონამდი [ს, ინ] ჰყვანდეს.

(მინაწერი ასეევის ხელით):

Ваше Сиятельство,

Князь Захарий Дмитриевич ([10]).

Князь Моисей Захарьевич в торопях расчитав ваше письмо — и затем поручив мне препроводить для вашего сведения и свое письмо. Князь просил, чтобы Ваше Сиятельство поторопились к нам сюда.

весь Ваш

Д. А(ссеев) ([11])

31 Августа 1843.

К у м у х ([12]).

1 8 4 4

47. ზაქარია ორბელიანი ხადმი

ჩემო ღ'თის წყალობავ ძმაო ზაქარიავ! წარსულს კვირაში გამოგიგზავნე წიგნი, და გთხოვე ცხენების გამოგზავნა 29-ს ამ თვისას, როდესაც იქმნება აკაზია დერბენდიდამ. — ახლა იმ დროს თუ ვერ მოასწარ, მაშა უმჯობესია, რომ ამის მომტანს გამოატანო, რომელიცა არის ჰ ო ხ ე ლ ი პრაპორშჩიკი გვარად — ვაიმე დამავიწყდა, ფუ ეშმაკო, აბა როგორ დამავიწყდა. ამის სახელი — ერთის სიტყვით შენც კარგად იცნობ, ეს დამპირდა, რომ როგორც იქნება უთოოდ მოვიყვანო; მაგრამ კაცი კი უნდა გამოატანო. —

ახალი ამბავი აქ სრულებით არა არისრა მის მეტი, რომელიცა მოგწერე წარსულსა წერილში. მე და შამხალი ჯერ ძალიან Cyxo ვართ; მაგრამ მე და ახმედხანის ცოლიკი (1) კარგადა ერთმანეთთან. დიახ პატიოსანი და ჭკვიანი დედაკაცია. ჯუნგუთაელებს (2) რა ვიცი, ჯერ კი უხარიათ ჩემი დანიშვნა (3), და ვნახოთ ამას იქით, როგორ იქმნებიან. ჰსცდილობენ, რაც შეუძლიათ, რომ გამოაჩინონ თავიანთი თავი ერთგულებაში. თვითონ სოფელი არის დიდი, გაშლილს მინდორზე და თვალთათვის მშვენიერი. ეს არის ახლანდელი ჩემი რეზიდენცია.

ქალაქიდამ ჯერ წიგნი არ მომსვლია, და არც მომივა. ილიას არ ეცალება, ერთი ჰკითხე, რას აკეთებს? თუ მოიწერება ისიც დაბლარჯულს სისწრაფითა, არ ვიცი თუ რას ეშურება?

ვცდილობ, რომ მაისში არ გაგიმტყუნდე პირობაზე; მაგრამ ფეშქაშად კარგი ცხენი უნდაკი მომერთოს შენგან. ჰაა გესმის კარგი ბედაური!

მართალია, ხუნძახი მთლად გაოხრეს (4) და ხალხი აქა იქ სოფლებში დაფანტეს. ჯარების შეყრისა ამ ხელად არა ისმისრა. მხოლოდ ასლან ყა-

დი (6) ჰსცდილობს და არის შამილასთან, რომ ეგებ წამოიყვანოს ჯარებით ყაზიყუმუხისაკენ, რომ მით კიდევ აშალოს აჰყოშა და წუდახარი (8), რომელთაცა ჰსურსთ შერიგება.

კაკალამ მდაბლად მოკითხვა შემოგითვალა. რა დაგემართა, ერთხელ როგორ ვერ მოიწერე ჩემთან; კნიაზ არლუთინსკის დეეურსტოვდამ ყოველთვის მომივა უკრავ უგინებლად.

ჰუსუმბეგი (7) ჰარუმათი (8) თუ ნახო მომიკითხე.

მშვიდობით ჩემო ზაქარიავ, ღ~თი იყოს შენი მფარველი.

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი

მ ა რ ტ ი ს 23-ს თ ე მ ი რ ხ ა ნ შ ურ ი თ.

ალარ მახსოვს მოგწერე თუ არა: ხელმწიფე იმპერატორმან, რა წაიკითხა დონესენიე პასსეკისა (9) ხუნძახიდამ გამოსვლისა და ზირანაში ყოფნისათვის, ბრძანა 150 წმინდი გიორგის ჯვარი სალდათებსა, თითოს სამი მანათი თეთრი, ბატალიონის კამანდირებს ჩინები, და პასსეკისათვის შ ეადგინონ დ უ ო ა წმინდი გიორგის ჯვარისათვის. —

48. მ ა ს ვ ე

ახრ ჩემო ძმაო ზაქარიავ! სადახარ. რათ დამიძვირე წიგნი? არც ამბავი, არც ცხენი, არც ჯორები. ერთერთი მაინც აღასრულე. — სრულიად უცხენოდა ვარ; ერისთვისშვილს (1) გაუგზავნე ფული, და ერთი რაღაც კატა გამოუგზავნია, რა უყო, ისიც უზრუნველი ქართველია. თუ შეიძლებოდეს მანდ მიყიდე მაგარი ცხენი, მერწმუნე ფულს გამოგიგზავნი. დერბენტიდამ აკაზიები ხშირია. —

აქაური ამბავი ეს არის: ანდრეევსკისთან (2) ომი მოუხდათ, ერთი სოფელი იმათ დასწვეს, და ფრეიტალმაკი ისინი კარგად დაამარცხა. შამილა შინ არის. ჰაჯიმურად და ყარიტმაჰმად აჰყოშაში იყვნენ ამანათების მოსაკრეფად და ღღეს მომივიდა ამბავი, მითომ დაბრუნებულან წუდახრისაკენ, ზოგნი ამბობენ ყარაყაითახისაკენ (8).

მთავარმართებელი (4) მოსულა ჩერვლონაში; იმისი ადუტანტი ღლებოვი (5) მოვიდა შურაში, მაგრამ ჯერ არ მინახავს, აქაურობა ჯერ ვერ გამიშვია ყიბიტმაჰმადის გამო. — ამ ხუთის დღის წინად გამოვგზავნე შენთან წიგნი ჩადებული კნიაზის (6) პაკეთში, არ ვიცი მოგვიდა თუ არა. აჰყოშაზე წამოვიდა ის კაცი პირდაპირ ყაზიყუმუხს. ჯარები აქ სულ მზათ არის; ცოტაოდენი სუხარი აკლიათ. — ზორბა ჯარები არის, თუ კეთილად მოიხმარეს (7).

ჩემის ძმის ილიასი არა ვიცირა აქამდის. იმოდენა მონახა თავიდამ კეთილი არა გამოვა რა.

ალ. ივ. ნიდზარატი

კავკასიის მთავარმართებელი 1842—1844 წ. წ.

იოსებს (8) სიყვარულით მოვიკითხავ, მე ვიცი ეგ გაგაბამდა ქალალ-
დის თამაშობაში და სულ დაგწვამდა. — ჩემი საყვარელი გიორგი საგი-
ნოვი რასა იქს! ჩემ მაგიერ უთხარ, თვალი დაგიდგათქო. აღარავინ
გიგონებს ქალაქშიათქო.

ჰუსუმ ბეგს ჩემ მაგიერ დიდი სალამი უთხარ.

მშვიდობით ჩემო საყვარელო ზაქარიავ! ღ˜თი იყოს მფარველი შენი.

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი

4-ს მაისს
ჯ უ ნ გ უ თ ა ი თ.

ხვალ თელეთობა არის; კაკალა ფლავს ამზადებს
ბატკნის დუმითა. — დიდი ფრანცუზის კუხნა-
გონია.

მახლაზ ოლონდ კარგი მაგარი იყოს ცხენი და თუ გინდ იაბო, რა-
უყო ამოდენა ზორბა კაკალასთვის ცხენი ვერ მიშოვნია. ფულს მაშინვე გა-
მოგიგზავნი.

(მისამართი, დაწერილი მეთხე გვერდზე):

Его Сиятельтсву
Князю Захарию Дмитриевичу
Орбелиани.
Г: Подполковнику и кавалеру.

49. ᲐᲮᲐᲚᲘ

ჩემო საყვარელო ზაქარიავ! გუშინ კნიაზ ბებუთოვი (1), რომლისა-
თანა შტაბის ნაჩალნიკად არის პასსეკი — წავიდა ოტრიადით ჩერქეის-
კენ (2); მე დავრჩი აქა ათის როტით, რომლითა უნდა შევინახო და დავი-
ცვა შურა (3) მტრისაგან, ვატარო პურის ტრანსპორტები პეტროვსკიდამ (4)
ჩერქეის, ვგზავნო აკაზიები შურიდამ ყიზლარს, ვაძლიო პრიკრიტიე ფურა-
ჟირებსა და შეშაზე მსვლელთა, და ამასთანა თავის რიგობაზე ყარაულე-
ბიცა ნაღობახტებში. — მთელი ზაფხული უნდა ვიტანჯო, დავიქანცო და
აბა ერთი მითხარ რისთვის? შინაური სამსახური ვის მიუღია სამსა-
ხურად? —

ახლა შენი ამბავი და თქვენის ოტრიადისა მიამბე, წამოხვედით წინ-
თუ ისევ ჩირაღში (5) დგეხართ ან რა იმედი გაქუსთ წლეულს? — დანიელ
სულთანი (6) თავის ცოლშვილით გამოსულა ყარახსა (7), რას ჰშვრება და ან
რას ჰართი ფურთობს? ანუ მტერი სად არის თქვენ მოპირდაპირედ შეუ-
რილი? ჩემის ჭკუით, თუ ტელეტლო (8) აიღეთ მთლად აჯარიის ყოისუმდის
მოსწყდება და დაგმორჩილდებათ; თვით ხოხოლოტლოცა (9), ამიტომ რომ

ნახნავი მიწები თქვენს მხარესა აქუს; მაშინ, მგონია, ავარიაც მოგიდგესთ. — ავარელები ბევრნი გყვანან მანდა, შეუშვით მძევრებსავით და ნახავთ როგორც ხალხს აშლიან; მაგრამ ტელეტლოკი უნდა აიღოთ, უმაგისობა არ იქნება

აყოშასათვის ილაპარაკეს, რომ წარდგენა უნდა მოხდესო, მაგრამ წავიდნენ პახოდში და მგონია ცარიელის ლაპარაკით დაბოლოვდა ესე (10).

მშვიდობით ჩემო ზაქარიავ, ღ~თი იყოს შენი მფარველი; თუ გიყვარვარ ცხენი გამომიგზავნე.

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი

ისმის, მითომ შამილ ავათ არისო ძალიან.

1 ი ვ ნ ი ს ს თემირხანშურით. გუშინ მომიტანეს ამბავი, რომ კნიაზ [მოსე ზახარაჩის] ოტრიადი მოსულა დუმოჩიდაღსა (?) (11)

50. ᲛᲐᲜᲘ

ჩემო ღ~თის წყალობავ, ძმაო ზაქარიავ! ცხენი არ მომივიდა, მაგრამ ეს იცოდე, რომ ქვეყანასთან ვჩივი შენზე, ცხენი და ჯორი, ანუ სულ ერთია, ჯორი და ცხენი. ჩემის მხრიდამაც, კარგად იცი ვდგევარ ემს სიტყვაზე და რა წამს კამისიიდამ მომივა, დიდის სიხარულით გამოგიგზავნი. ეს ასე.

ახლა მოისმინე საკვირველება: 3-ს ამ თვეს ღენერალ პასეკმა შვიცის როტით, სამასის ყაზახით და ორის ზარბაზნით დაამარცხა საშინლად ასლან ყადი, ყიბიტმაჰმად, მაჰმადყადი (1) და სხუანი ერთად შეერთებულნი ყანყაშურის (2) ბოლოზე, უმეტეს თხუთმეტი ათასისა. 24 ბაირაღი, 213 მკვდარი დარჩა მტერსა ადგილობრივ (3). — ამ გამარჯვებამ დაამშვიდა ეს მხარე, შეშინებული, დამზადებული ასაშლელად; და მგონია მეც ამწევდენ ჯუნგუთაისს მარტო, უჯაროდ მყოფი. — ჩვენის მხრით მოკლეს 1 შტაბ-აფიცი: 1 ღვარდიის არტილლერიისა ტრემბიცკი და ოცამდის სალდათი; დასჭრეს 5 აფიცარი, რომელთა რიცხვში არის საბრალო ვ რ ა ნ კ ი ნ (4), რომელიცა იმჟამად ჰკამანდობდა აფშერონკის ბატალიონსა, მოხვდა კისერში და პირში გამოვარდა, რამდენიმე კბილი, ცოტა ენის ნაწილი, და ქვეითის ტუყისაცა (sic) წაიღო. — არაფრად დაშვენდება თუმცა მორჩება. ამასგარდა 137 სალდათი. დაიჭრა. მტერი შეშინებული აბრძანდა მთაზე და იქ სანგრებს აკეთებს. — აჰყოშის საქმე ამით დაბოლოვდებოდა, მაგრამ ვდგევართ და ვდგევართ, ზაფხული გადის და არ იქნა. ნეიდღარდი (5) წამოვიდა ზორბა, ჯარით ანდრეევისკენ (6) და ანგარიშით, ან ხვალ, ან ზეგ, უნდა ხ უ ბ ა რ ა ს (7) მოვიდეს სალათაუზე (8) ასასვლელად; მაშინ

ეს ჯარიც დაიძვრება. — მანამდის ჩვენ სიახლოეს ჩერქეელები ნავარდობენ კარგად: ტრანსპორტი წაახდინეს, ყაფჩულაის (9) სიახლოეს 120 ხარი მოიტაცეს, ოცდაათამდის კაცი მოკლეს; გუშინწინაც შამხალ ანგიურთის (10) დიდი საქონელი მოიტაცეს.

ცხენი და ჯორი ჩემო ზაქარიავ! ეს დასტალული გახლავს ჩემის წიგნებისა

შენი ძმა გრიგოლი

8-ს ივნისს
თემირხანშურით

(მისამართი, დაწერილი მეოთხე გვერდზე):

Его Сиятельству
Князю Захарию Дмитриевичу
Орбелиани.
В Ахты

51. ᲛᲐᲬᲘᲜ

ჩემო ძმაო ზაქარიავ! რომელიც რომ ამ ნიშნით, ზაქარია ერისთავიცა (1) აქ მიზის და ამას მაწერინებს შენთან თავ მოპარსული და ნემენცურის სიგარით ხელში, ასე რომ საქართველოში რაც ოხერი, სასიკვდილო, გასაფუჭებელი, ამოსავარდნელი, იმერელი, თათარი, თირონჯი, ჯაინჯუის ქვეყნიდამ, ასე გაშინჯე ოორამ თარხნისშვილი (2) და ზარაფოვიც (3) აქ არიან შამილას დასაჭერად. — ჩვენი ილია (4) ამათი ნაჩალნიკია. ბაკლანა (5), გეუა ოჰანაშვილი იმის პომოშნიკი აქ არიან; სხვა ვინ გინდა? დავით ჭავჭავაძე სიღნაღისა (6), ლევან მელიქოვი თუშებისა (7), ზაქარია ერისთავი ქართლისა მეტიეეების დრუჟინებისა ნაჩალნიკებად არიან. მიხეილ საგინოვიც (8) დიდრონის ზაბუსაკები (?) მილიციას მიაკერეს, ერთის სიტყვით თელეთობაა. — მთავარმართებელი (9) ძალიან ჰსწყალობს ამათ ვაკაცობისათვის და მზადყოფნისათვის სისხლის დასანთხევად.

ლიდერსი (10) წამოვიდა აჰყოშისაკენ, ღურკო (11) ჰსდგას სალათაუზე ბურთუნაის (12) სიახლოეს, სადაცა ამას წინად იდგა შამილა. — ფრეიტაღი (13) მალე წავა ზირანას (14); მომწერე მალმალ, თუ ღ˜თი გწამს შენი და მანდაური ამბები, მეტადრე იმ მამაძაღლის სულთნისა (15). თარხნისშვილი ილია (16) მაშურებს მოწერას, და ვერ მომისწვრია წერილადთქმა აქაურის ამბებისა. — ღ˜თი იყოს შენი მფარველი.

შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი.

23-ს ივნისს
შურით.

(სხვა პირების მიერ მინაწერი):

Захарий! Здравствуй и прощай.

ზაქარია რუსულად ოხუნჯობს. [. . . . .]

ყველანი აქ ვართ პლატონ ჩაჩავევი (17), იაკინთე და შენი სიმამრის (18) შეტი. ლ ე ვ ა ნ (19).—

მეც დამსწრე და მოწამე ამ წერილისა პატივისცემით მოგიკითხავ. ალ. ონიკ [. .] *)

ვამტკიცებ ამ წერილს ამ ნიშნით რომ ჩვენი შტაბის ნაჩალნიკი ალენიჩი (20) აქ არის. — მ. საგინაშვილი (21).

(გრიგოლ ორბელიანის მინაწერი):

ალექსანდრე ბატონისშვილის შვილი ირაკლი (22) აქ არის.

(წერილი უკონვერტოდ გაუგზავნია. მეოთხე გვერდზე დაწერილია მისამართი):

Его Сиятельству
Князю Захарию Дмитриевичу
Орбеляну
в Ахты

52. მ ა ს ვ ე

ჩემო ძმაო ზაქარიავ! ვჰგზავნი ახმედხანის ცოლის კაცსა წიგნით შენთან და ჰარუმბეგთან, რომ ეგებ, როგორმე იმის შვილი იბრეიმხანი იმ მამაძაღლის სულთნის ხელიდამ გამოიხსნათ (1). — როგორ რაღა გეხვეწო ჩემო ზაქარიავ, რომ ჰარაქათი გასწიო.

მეც კარგადა ვარ და ილიაცა. ჩვენი მილიცია გაჰყვა გენერალ ლურკოს ზირანაში გიშინ წინ, სადაც გასდებენ ხიდსა და შეხვდებიან ლიდერსის ოტრიადსა — ვეშურები წერასა, ახლავ მივალ ნეიდღარდთან, არ ვიცი, რისთვის დაუბარებივარ. —

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი.

8-ს ი ვ ლ ი ს ს ყ ა ზ ა ნ ი შ ჩ ი (2)

53. ილია ორბელიანისადმი

ილიკო! ფოშტაში შენს სახელზე კონვერტები იყო, ფულისაკი არ შომცეს და ეს რისყოფით გამოვართვი; მაგრამ რა გავხსენ, შევინანე, და ეს любопитство ორ აბაზად დამიჯდა, რომ ხელმეორედ უნდა გამოვგზავნო შენთან. —

*) ონიკოვი (?).

ახლა ეს არის, რომ თქვენ უთოოდ, როგორც ისმის, გაგიშვებენ საქრისტიანოში (1); ამას ამიტომ გწერ, რომ თუ შეგიძლიან, და საჭირო არ იყოს შენთვის, გამომიგზავნო ქურანი ცხენი, თუ იაბო არ გიყიდნია ჩემთვისა მთავარმართებლისაგან. — თუ გამოგზავნი ცხენსა, ყიზლარში გაუგზავნე ი ა გ ო რ ა ვ დ ე ი ჩ ს მ ა ნ უ ე ლ ო ვ ს (2) და ის მე მომაწოდებს.

ამ მინუტში სიცხე მომცა, ჩვენი ჯარები სდგას ჩერქვისა (3) ციხის სამუშაოდ ხიდთან, ჰსდგას ყაზანაისთან (4) თიკის სათიბლად, და ერთი ბატალიონი ორის ზარბაზნით ყ ა დ ა რ ს ა (5). — ვართ ასე და ველით თქვენგან ამბებსა. — ზაქარია ერისთავს უთხარი, რომ, რომელიც რომ ხარ შენ ჩემი ბატონითქო ხანჯლები დაგპირდი, მოვა თავის დროზედა. — ომისი არ იყოს დადიანი (6) და გურიელი (7) სიყვარულით მომიკითხე. ლევან (8) უცხოდ დაშვენდებოდა ს უ ლ ა ღ ი ს (9) პირებზე.

მშვიდობით ღ˙თი იყოს შენი მფარველი
შენი გ რ ი გ ო ლ

6-ს აგვისტოს. 1844 წელსა
ყაზანიშჩი.

დღეს კლუკის ცოლმა დამპატიჟა სადილად შურაში, მაგრამ მოვცდი, ცოტა უქეიფოდ შევიქენ. ერთი გერასიმეს (10) მისწერე შე დურაკო, ღირს ფოჩტის ფულის ფასად მაგისთანა დურაკული წიგნი, რომელსაც ათასს ვერსზე ჰგზავნითქო. —

(მარჯვნით, აშიაზე მინაწერი):

ჩემს მოწყალეს კნიაზს დიპიტრის (11) უმდაბლესად მოკითხვას მოვახსენებ.

(წერილი მოუბრუნებია და ბოლოს მიუწერია).

დიდი, დ ი დ ი სკუჩნობა და ოხრობა არის.
ლიდერსიც წამოვიდა, მენდი (12) ჯერ ისევ აქ არის და ესეც მალე გამოსწევს.

(მეორე გვერდზე მიწერილი):

ფულის იმედი ვისგანაც მქონდა სუყველანი წავიდნენ აქედამ, იაკობას (13) უშველეთ რამე, მოუგროვეთ და მალე გამომიგზავნეთ.

54. ᲛᲐᲜᲘᲔ

19 აგვისტოს თ. ხ. შურით

რა არის აგრეთი გაკერპება, ძმაო ილიავ! შემატყობინეთ მაინც სადა ხართ, რომ ხანდახან მე მოვიწერებოდე. ზოგნი ამბობენ მილიცია (1) დაითხოვესო, ზოგნი ამბობენ გურკომ წაიყვანა ჩაჩანშიო. ახრ, ყოველთვის ცარიელი მძოვრობა ხომ არ უნდა, ზოგჯერ კაცისთვის მღვიძარებაც გაუჩენია ღმერთსა, და ამ ღ˜თის ნიჭსა რათა ჰფლავთ მიწაში, იმისი არ იყოს.— ზაქარია ერისთავს უთხარ, თუ არ მომწერს, მერწმუნე ხანჯლებს არ გაუგზავნი, რომელსაც მალე შეასრულებენ.

და თუ მართლა ჩაჩანში ხართ, ძალიან ვსწუხვარ. ცუდი ადგილებია, სუყველგან მილიციას გაგზავნიან და არ ენაღვლებათ, თუ დახოცეს სადმე ოხერს ადგილს. ამასთანა, ამდენი ყმაწვილკაცები, გამოუცდელნი, არსად არ წააწყდნენ უბრალოდ.— თუ ღმერთი გრწამს მოიწერე სადა ხართ და ან რას შვრებით (2).

ზაქარიას წიგნი მომივიდა. მწერს ვალებისათვის არა ფიქრობთო?— ილიამ ორმოცდაათი თუმანი გამიფლანგაო.— ახლა ჩემო ილიავ, რაღა გეხვეწო, რომ ეგების ეცადო და რაც ღ˜თმა შეგაძლებინოს, გაგზავნო პრიკაზში, თუ შეიძლებოდეს ზოგიერთი ნაწილი პახოდიდამვე გაგზავნე, რომ ეგების სული მოვიბრუნოთ. — იფიქრე ამაზე და მაცნობე.

მე ვჰსთხოვ ალექსანდრეს ონიკოვს, რომ ის ოცი თუმანი ჩემმაგიერ შეიტანოს პრიკაზში, ამის გარდა შალიკოვს (3) ვსთხოვე ვალად. ოცს თუმანს შევიტან, თუ ღ˜მა შემაძლებინა. და თუ შენცა გამომაბამ მხარსა, ძალიან კარგად მოვა ჩვენი საქმე. — ეს მე ზაქარიასაც მივსწერე.

ამით მესამე წიგნსა გწერ: ერთი ყაზიურთში (4) მოგწერე რ˜ლითაც გთხოვე მთავარმართებლის იაბოს სყიდვა; მეორედ ჩერვლონაში (5); ახლაც ეს არის, მეკი დავიღალე, და შენ კი გძინამს.

ლიდერსიცა და მენდიც წამოვიდნენ. ხვალ კლუგენაუც მიდის წყალზე; დარჩა სარდლობა ბებუთოვს. აქ ამასწინად ერთი აფიცარი ჟიტომირსკის პოლკის ჩერქეისთან დაიჭირეს ტყვედ; ოზენიდამ (6) პოდოლსკის პოლკის ცხენები მოიტაცეს; აღაჩყალასთან (7) ექუსი სალდათები დაგვიხოცეს; და ამ შეტევით ვატარებთ დროსა.— ჩვენც გავაჩინეთ ახოტნიკები, მტრის მიბაძვით. ამათი სამსახური ეს არის, რომ ღამე გზები უნდა შეკრან და მომავალნი საქურდლად და საავაზაკოდ მურუდნი დახოცონ. — ჯერ შინაურებზე გამოიღეს ხელი: ერთი ჩვენივე ჩარვადარი მოკლეს, და სამი შამხლის კაცები.— ვნახოთ ამას იქით რასა იქმონენ.

მე ეს ორი კვირა არის ცოტად მაცხელებს. ამისთვის გადმოვედი აქ შურაში დრომდის.

კნიაზ დიმიტრის (8) უმდაბლესად მოკითხვას მოვახსენებ. მომიკითხე ლევანცა და იმისი არ იყოს დადიანი და გურიელიცა. მშვიდობით, ღ˘თი იყოს შენი მფარველი.

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი

დანიელ სულთნისათვის ჩაუბარებია˘ მთლად ავარია და ყიბიტმაჰმადის სანაიბო (9).

(იქვე მობრუნებულად):

აკოფას გამოხსნა უფულოდ არ შეიძლება, და მე ფული ვერ მიშოვნია; ჩემი კამისიონერი ნაცნობი გამოცვალეს და მიდის ქალაქში.— ტყვე არა გვყავს, რომ გამოვცვალოთ. და არის ის საბრალო ასე დარჩომილი.

55. ძეთევან ორბელიანისადმი

საყვარელო ძალუავ ქეთევან! აი ეს ორი წიგნი ზედიზედ გამომიგზავნია, მაგრამ მაინც თქვენი გულით საკუთარი ილიკო არის. მე მშვიდობითა ვარ, ზაქარიაც და ილიაცა, რომელიც ამას წინად მილიციითა გამოჰყვა მთავარმართებელს (1), და მგონია მალეცა წამოვიდეს ქალაქისკენა.— ბაბაეუა ყაფლანის საქმე როგორ არის, ისევ ქულფათში ნაცარქექიაობს? —

გერასიმეს უთხარით ჩემმაგიერ, რომ მაგის წიგნი ეხლა ამ საათში მომცეს, ველარ მოვასწარ პასუხი. მოწმობა, რომელიცა ეთხოვნა, დიდი ჩანია გამოუგზავნე, მაგრამ ფეშქაშებს კი არ მიგზავნის და? ახრ, მე ხანი ვარ, ცარიელის წიგნების მოწერა რათ მინდა მაგისგან? — ამისგარდა მანდაურს ჭორებსა რატომ არა მწერს, რათ მინდა ცარიელი მ შ ვ ი დ ო ბ ი თ ა ვ ა რ. უთხარით ჩემმაგიერ, რომ მეფეროს, თორემ ჩქარა მაგის პოლკის კამანდირი შევიქნები ანგარიშით. — ღენერალ ლიდერსი წავიდა ავადმყოფი თბილს წყალზე (2), დაღისტანი კნიაზ ბებუთოვსა და კლუკის დარჩათ. ესეც შეატყობინეთ გერასიმასა. ჩემი დისწული ტატო მომიკითხე დიდის ყვედრებითა და სამდურავითა მოუწერლობისათვის, ეგრეთვე ფეფო და მელიტონ. —

მანანას, თუ მანდ იყოს, გამოუცხადეთ, რომ თქვენი გულით საყვარელნი ნათესავები და მეგობრები სულ. მეავე წყალზე წაბრძანდნენთქო, რომელთაცა ყოველს ფოშტაში წიგნებსა სწერდითქო. — დურაკ ვანოს (3) უთხარით ჩემმაგიერ, რომ გულით ვსწუხვარ შენთვისა და დამპალის ყაფლანისათვისათქო, რომ ჩემთ ნათესავებად ხართ დაბადებულნითქო. — აქაური ანბავი ეს არის, რომ აჰყოშისა და წუდახარის დამორჩილების შემდეგ

ჯარიანობა შედგა ამ ხელად დრომდისა (4). — სანდრიკო ჩამიკოცნე. — მშვიდობით, ღ̆რთი იყოს თქვენი მფარველი.

შენი მორჩილი   გ რ ი გ ო ლ ი

[ ] აგვისტოს (5)
[თ ე მ ი] რ ხ ა ნ შ.ურ ი თ.

ბაბალე, ალექსანდრე და ჩემი საკუთარი ძალუა ელისაბედ სიყვარულით მომიკითხე.

(მეოთხე გვერდზე, რომლის ნაწილი დაზიანებულია):

ძალუა ამ წიგნს ე რ მ ო ლ ო ვ ს ა (6) ვატან, გთხოვთ მიიღოთ პატივისცემით, მაგრამ ერთხელ ჰაااااა. — ძალუა [.] შეშურდება; თუ გინდ დაუ [. .]

56. ზაქარია ორბელიანისადმი

ჩემო პოლკოვნიკო ძმაო ზაქარიავ! ზურაბიანნი წავიდნენ წინა — ყაფლანის სიტყუა — მომილოცავს ხელმწიფეს, წყალობა. ღმერთმა კიდევ და კიდევ მომალოცვინოს. ეს კარგად დაგვ~~ითა~~ ბედმა; მე სულ იმედი არა მქონდა, ასე მეგონა ჯვარს მოგცემდენ ყელზე. მეც წარდგენილი ვარ და ვნახოთ რას ინებებს ღმერთი. ინვალიდში (1) ახლა ილიას რიგია.

ილიას წიგნი მომივიდა ყიზლარიდამ. ცხენები ხუთი დახოცია რაღაც ბალახისაგან. ერთი ძალიან კარგი ულაყი ცხენი იყო, ბედაური შენი მოწონებული. ამის გამო ძალიან მწუხარებას იწერება და ჰწყევლის თავის ბედსა. მილიციიდამ რაც ავათმყოფები და უვარგო ხალხი ყოფილა, გაუსტუმრებიათ საქართველოში, დანაშთენიკი წაუყვანიათ გურკოს ატრიადში.

ჩვენი ჯარები მალე დაიძვრებიან ყოვლის მხრით მთისკენ: შვარცი (2) კახეთიდამ, კ ნ ი ა ზ ა რ ღ უ თ ი ნ ს კ ი მანდედამ, პ ა ს ს ე კ ი აქედამ გუმბეთზე (3) და ანდიაზე. პოლკოვნიკი კოვალევსკი (4) ა უ ხ ზ ე (5) და გურკო თავისის ჯარით' ეგრეთვე დარღისკენ (6). ეს კარგი პლანია, და თუ ღმერთმა ინება, იქნება წლეულს ჩვენმა ჯარმა შედგას ფეხი ანდიაში. ძალიან ომები კი მოხდება ორგან, სამგან, და მგონიაცა, რომ შამილა პ ა ს ს ე კ ს შეხვდეს. — წავიდა პასსეკი წინა; შენ უყურე რამდენნი ამაზე სტარშნი ღენარლები დარჩნენ ქუჩაში, და ეს კი გახადეს ოტრიადნის ნაჩალნიკად (7). სწორედ გითხრა, ეს კარგი ამორჩევა მოუხდათ. —

ამას წინად მოგწერე ვალებისათვის, რომ ოცი თუმანი მივე ონიკოვს ალექსანდრეს, რომელიც მიდიოდა წყალზე, და ვსთხოვ რომ შეიტანოს პრიკაზში, ოცდაათი თუმანიც ვსთხოვე შალიკოვს (8), რომ პრიკაზშიეე

შეიტანოს. — ზაქარიავ, მერწმუნე რომ ამაზე მეტი არ შემიძლიან ეხლა, ამხელად. საშინელი ხარჯი მაქუს; რა მოვსულვარ ქალაქიდამ ასორმოცი თუმანი დამიხარჯავს, ასე რომ ერთი ჩირქესკა შევიკერე და ერთი ტმალის ქარქაში გავაკეთებინე. პური, ქერი, თივა, ბზე, საქმელი, სასმელი სულ სასყიდელი მაქუს, მოდი და ვალები გადაწყვიტე. — თუ ჩემი დანაკარგი ავარიაში, ხუნძახის გამოსვლის დროს, — მომცეს, მაშინ ფეხზე დაგვაყენებს, $\frac{150}{\text{თუმა}}$ და 4 მანათია, ამასა ვჰსთხოვ და ვნახოთ.

პოლკოვნიკ ჭილაევს (9) ყელზე ვლადიმირი, უსუფ ბეგს კაპიტნობა, ჯაფარყული აღას პოლკოვნიკობა, აღალარ ბეგს (10) აღარ მახსოვს ვეჭობ. კაპიტნობა. — კიდევ ბევრნი არიან, სულ რუღჯისა (11) და სურჰისათვის (12). — კნიაზ არღუთინსკის, მგონია შეიტყობდი — ანნაზე კარონა, ბრილიანტის შპაღა და $\frac{300}{\text{თუმანი}}$ მოუვიდა. — ასე ჩემო ბატონო ·პოლკოვნიკო! — ცხენი კი არ გამომიგზავნე და მშვიდობით, ღ˙თი იყოს შენი მფარველი.

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ

26-ს აგვისტოს
თემირხანშურით.

ავათ ვიყავ ცხელებით, და ახლა კარგად შევიქენ ღ˙თის მოწყალებით.

გუშინწინ 14 ყაზახი მოგვიკლეს ყაბჩულაისთან (13).

57. ძეთევან ოგბელიანისადმი

პოლკოვნიკის ცოლო ძალუავ ქეთევან! ეხლა რაღა გინდარა, ზაქარია პოლკოვნიკია (1). ელისაბედზედ ხუთის სკამით ზეით უნდა დასჯდე. დიდკაცობაა მაშ რა არის? (2)

ზაქარია კარგად არის, ამას წინად წიგნი მომივიდა, ეგრეთვე ილიაცა მწერს ყიზლარიდამ, და ეხლა კი იქმნება ჩაჩანში. თუ წიგნის მიწერა გინდოდეს ილიასთან — ვიცი გენდომება, ამიტომ რომ შენი საკუთარი მაზლი ის არის — მისწერე ს ტ ა ნ ი ც ა ჩ ე რ ვ ლ ო ნ ა შ ი, იქიდამ სადაც იქნება მიუვა წიგნი. — ილია ძალიან გაჯავრებულია თავის ბედზე: ხუთი ცხენი ერთად დაეხოცა მოწამლულის ბალახით, ერთი ძალიან კარგი ცხენი იყო. კინაღამ გერასიმეს ჯორებიც არ მოუკვდა. იწერება ოობის ღაღადისი დამემართაო. — ჩვენი ჯარები დაიძრა მთისაკენ, და თუ ლშერთიც შეგვეწია, ძალიან ძალიან, მიანგრევენ ლეკის სოფლებსა.

დიდი ხანია აღარ მომსვლია შენგან წიგნი; იქნება კოდაზე ხაზიაოკობდე და საბძელკალოს უვლიდე. შენსგაზდას მომწერე რა გამოსავალია

წლეულსა ილიას ხოდაბუნებიდამ. — ზაქარია მწერს, რომ ხოდაბუნებიც ბოსტანსავით წამხდარაო, მართალია? — კნიაზ არლუთინსკის მოუვიდა ანნაზე კ ა რ ო ნ ა, ბ რ ი ლ ი ა ნ ტ ი ს შ პ ა ლ ა, და სამასი თუმანი თეთრი ფული საჩუქარი (3). ურიგო არ არის ესა.

გერასიმას უთხარით ჩემ მაგიერ, რომ შენი საბრალო აკოფა ჭ ი რ ყ ა ტ შ ი ა.თ ქ ო (4), ოცდაათს თუმანს ითხოვენ იმის თავის დასახსნელად. მე ფული არა მაქუს, კარგად მოეხსენება ესა, ტყვეც ლეკისა აქ არავინ არა გვყავს, რომ გაუცვალოთ; თუ ამის მადლი უნდა, მანამ ის ბიჭი შორს არ წაუყვანიათ, ფული გამომიგზავნოს, რომ დავიხსნა; სხვა ღონისძიება სრულებით არ არის. ამას წინად აკოფას წიგნი მოეწერა ილიასთან, საცოდაობით აგვავსო. იმ მამაძაღლს ლეკებსაც აკოფა თავადიშვილი ჰგონიათ.

ყაფლანისათვის ძალიან ვსწუხვარ, რომ არ მოვიდა ჩემთან წლეულსა რამდენისამე თვითა. ახ, რა რიგი შემთხვევაები მქონდა მაგის გასაბედნიერებლად. — რა არის, როგორ ვერ მოშორებია თავის სახლობას ორს სამს თვესა, ხარჯისა ნუ ეშინიან, ოღონდ აქ მოახწიოს. ღმერთა რჯული ჯამაგირს მოუტანინებ. ერთი იანგარიშოს კარგად და შემატყობინოს; თუ არა და ძაღლმა ჩ . . . ოს მაგის გორხანაში, ეგდოს შინა.

ელისაბედ, ბაბალე, ალექსანდრე სიყვარულით მომიკითხე.

მელიტონ, ეფემია როგორ არიან, ტატო რატომ წიგნსა არა მწერს? ან კატოს ქორწილი იყო, თუ არა? შემატყობინეთ, არას იწერებით კი და! (5)

იაკინთეს დიდის, დ ი დ ი ს სიყვარულით მოვიკითხავ. ჩემმაგიერ უთხარ, რომ ქართვლის მილიციას შენ და სარაჯოვი (6) აკლდითთქო.

მართლა ივან კარლიჩი (7) მომკვდარა, საწყალი? — ერთს სურიელს უხაროდეს, კარგი ქვრივია?

მშვიდობით, ღმერთმა მაღირსოს შენი ხილვა ბედნიერებით.

შენი მორჩილი გ რ ი გ ო ლ ი

სანდრიკო ჩამიკოცნე.

27 აგვისტოს.

თ ე მ ი რ ხ ა ნ შ უ რ ი თ.

58. ილია ორბელიანისადმი

ჩემო ილიკო! გწერ და გწერ, სადა ხარ, ერთხელ როგორ არ მოიცალე? აქ მომიტანეს ამბავი, რომ მითომ მილიციის რამდენიმე სოტნა კავალევსკისთან დაუნიშნავთ, და დანარჩენი გურკოსთანა. შენ ახლა სად გერგო? აქ მოიტანეს ამბავი, მითომ ქართველებს სადღაც გზავნიდენ, და

თურმე უარი უთხრეს მოვალარმართებელსა, ეს როგორ იყო თუ მართალია? — მაგრამ არა მჯერა. არლუთინსკი შევიდა უკრავ უგინებლად ს ო ლ რ ა ტ ლ შ ი (1) და ახლა მგონია მთლად ანდალალი დამორჩილდეს; და თუ წინ წამოდგა ყ უ ი ა დ ა ც უარს არ იტყვის. ახ, ნეტავ ტელეტლი ჩიამსხვრიოს, რომ მთლად ის მხარე ავარიის ყოისუმდის დამორჩილ-დება, და სწორე სამზღვარიც ის არის ჩვენი. ამისგარდა ღენერალ შვარ-�იც გადმოსულა მთებსა და არის არლუთინსკისზედა.

თქვენ რას შვრებით მანდა, როგორ არა გრცხვენიანთ რომ ამისთანა დროსა აგრე უზრუნველადა ხართ და არასა მწერთ? ყოველთვის ხომ არ უნდა აგრეთი სიზარმაცე? რა არის, ორი ტრიქონი მიეც დეეურსვოტოში, საიდა-მაც ხშირად მოდის აქ ნ ა რ ო ჩ ნ ი. —

პასსეკი ჯერ ისევ ჰსდგას ი ბ რ ა ი მ დ ა დ ა ს თ ა ნ (2) და ამ დღე-ებში უნდა წადგეს წინა; ვნახოთ რასა იქს ესა? ძალიან ავდრები კი და-ეუდგა; სულ წვიმებია მოუწყვეტლივ; და უკარვო ჯარისა შემოდგომაზე სა-ლათაუზე დგომა დიახ არაფერი შესაქცევია. —

თუ ღმერთი გრწამს მომწერე შენი და მანდაური ამბები.

შ ე ნ ი გ რ ი გ ო ლ ი

ᲗᲑ-ᲨᲘ სეკდემბერს
თ ე მ ი რ ხ ა ნ შ უ რ ი თ.

აკოფა ისევ ჭირყატშია; საიდამაც ეხლა გამოიხსნეს ერთი აფიცარი 14-ის დივიზიისა ორმოც თუმნად; ამან მიამბო იმის ამბავი. ახლა იმის გა-შოხსნა შენზე ჰკიდია. თუ მოაგროებ მანდ ფულსა, ოცდაათს თუმანსა. სა-ბრალოს შენი ბიკობა დაურქმევია და იმიტომ ასე ძვირად აფასებენ.

(მეორე ფურცლის ნახევარი მოხეულია).

59. ზაქარია ორბელიანისადმი

ჩემო ღ˘თისწყალობავ ძმაო ზაქარიავ! შენი წიგნი მომივიდა, ვმად-ლობ ღ˘თსა შენის უვნებლობისათვის. — პოლკისათვის უნდა ვეცადნეთ ეი ასე ჩემო ძმაო: პირველად ღენერალნის შტაბში უნდა მოვძებნოთ და მივეიზიდოთ. იქა გვყვანან ჩვენი კარგი ნაცნობები და კეთილის მსურ-ველნი ს ტ ი შ ი ნ ს კ ი (1), პოდპოლკო: ბ ი ბ ი კ ო ვ ი (2), დიდი მეგო-ბარი ჩემი და მეტადრე ილიასი, ერთადა ფ...ენ. აქეთ მხარეს მე პასსე-კსა, ფრეიტაღსა, ბებუთოვს, არლუთინსკის. შენც ქალაქში მოძებნე ვინმე კიდევ ჰავჭ: (3) ერისთავი (4), ჩილაევი (5), ამას ბევრი ჰყავს მცნობნი, რომელთაშორის კაზლაინოვიც (6) არის. — და ვნახოთ ღმერთი რას ინე-ტებს. — ბიბიკოვი დიდი მეგობარია შტაბის ნაჩალნიკისა (7). — მახლაზ უნდა

ვეცადნეთ. — თუ პოლკი არ ჩაიგდე, შიმშილით მოვკვდებით ან სილარიბეში სული ამოგვი[ვ]ა. — ეხლა შინ აპირებ წასვლას, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, მაგრამ აბა რა უნდა ჰქმნა? — შენ იმდენი კაპიტალი არა გაქუს, რომ ცოტა სული მოიბრუნო, და გაეწყო პირველადა სოფელში მაინც, ჯჯამაგიროდაც ვერ იცხოვრებ, არ ვიცი როგორ დაბოლოვდება ეგ საქმე; რა საკურველია ძნელია შენი ამდენი ხანი მანდ ყოფნა, მაგრამ რა ვქნათ. რამდენსაც ვფიქრობ ჩვენს მდგომარეობისათვის, იმდენი გულის სიმწარით ვხედავ, რომ შეკრულნი ვართ ლ ო რ დ ი ე ვ ი ს უზლით. შენი შვილი თუ გახსნის ამ დახლანჯულს მდგომარეობასა ჩვენსა, თორემ მე ვერ მოვესწრობი. — იანგარიშე და ისე ჰქმენ, და ღმერთი იყოს შენი შემწე და მფარველი.

მე ვიცოდი, რომ ჯერ ალექსანდრე ონიკოვი წყალზე იქმნებოდა, ამისათვის ვსთხოვე სოლომონ ონიკოვს, რომ იმას შეეტენა პრიკაზში ფული.— ეს რა არის, რომ ძალუა არა მწერს არც ერთს პასუხს ჩემის წიგნებისას, ვსთხოვე, რომ შემატყობინოს: შეიტანეს ფული თუ არა ონიკოვმა (8) და შალიკოვმა (9), მეკი პასუხს არა მწერს და შენთან იწერება. სწორედ ილიას რძალია. — ილია ხომ სრულებით არასა მწერს, რა წასულა აქედამ. вот народ! — წიპრუა ჩვენი დისწული (10) ხომ არ კადრულობს. Мошенники!

მშვიდობით შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი

8-ს ოკდომბერს.

ჯ უ ნ გ უ თ ი თ

შენი მუეიკი ჯერ არ მომსვლია, ოჰ ra რა რიგად შევინახავ.

60. ᲛᲐᲮᲐᲜ

ჩემო ზაქარიავ! ამ ცოტა ხანში ბევრი ცვლილება მოხდება: ფრეიტალს აძლევენ 20-ის დივიზიასა, პასსეკი დაუნიშნავთ ბრიოლადნის კამანდირათ 20-ის დივიზიაში, პალტინინიცა (1) ეგრეთვე ბრიოლადნის კამან:, მაშასადამე ორის პოლკის ვაკანცია არის. მე აქ ვსთხოვე პასსეკსა შენთვის ქომაგად, რადგანაც ამ დღეებში მიდის ქალაქსა, რომ იქ ორიოდ სიტყვა დახარჯოს შენთვის; ახლა შენც დაადევნე ერთი წიგნი კნიაზ ქავქავაძესთან (2), ერისთავთან (3), ეგეგ გახდე რამე და თუ არ მოხდება, ესეც კარგი იქნება, რომ მთავარმართებელს (4) კანდიდატად ეგონები, თუ ეხლა მოხსენდება ფიქრში მაინც ეყოლები. კნიაზ არღუთინსკისაც მისწერე, რომ ეხლა მიდის ქალაქში, მეც ამასთანავე ვსწერ იმას, ვნახოთ ღ"თი რას ინებებს. —

ილიას და ძალუას (6) წიგნი მომივიდა, მშვიდობით არიან. შენი სანდრიკოც ჰსწავლობს ან ბანას. —

მიკვირს ვინ უნდა იყოს შენი მტერი ქალაქში? თუ მოსე ზახარიჩმა არ მოინდომა ვინც უნდა გიმტროს, რას გიზმენ? пусти, მაგაზე სულ ნუ ინაღვლი, სხვასავით ხომ პირშავად არ ჩავალ სარდალთან; და თუ გამოგცვალეს, მერწმუნე უკეთეს მოგცემენ ადგილსა, თვითონვე მოგძებნიან. შენ ქუდი გვერდზე დაიხურე, და იყავ ისე როგორც აქამდისინ ჰყოფილხარ.—

ყოველს ფოშტაში ესწერ ილიასა, რომ მისცეს პრიკაზში ფული რაოდენიცა აქუს; მაგრამ ვერა შევასმინერა: ყოველთვის მწერს აბა 500 მანათი მაქუს, თქვენც გამომიგზავნეთ. მე ვიცი ისიც შემოეხარჯება, თუ მართლა აქუს, ამდენს მიწერმოწერაში. —

მე ამ ორ კვირას უკან, ღ˙თით გავგზავნი ოცთუმანს, ესე იგი ორას მანათს; ვნახოთ თუ შევიძელ, იქნება კიდევ დაუმატო. ჩინისა და ჯვრისათვის ბევრს გამორიცხვენ ჯამაგირიდამ; ესა მკლამეს. —

კნიაზ არღუთინსკი წავიდა თუ არა — ან რამდენის ხნითა? ქალაქიდამ ეს ისმის, რომ კატინა (6) მინგრელიიდამ და ნინო (7) ოდესსიდამ მოსულან. — დადიან საწყლები აქეთ იქით ...ს საძებნელად. — როგორ მოხდენია ნინოს ოდესსა, რატომ არა ჰკითხავ? — ბებუთოვის ცოლი (8) დამდგარა მანანას სახლებში, ილიას დაუპატიჟნია და დიდი დიდი მეჯლიში გაუმართავს, აღასათთარითა, დუდუკებითა, ჭიანურებითა. —

მთაში მშვიდობიანობა არის, ჩაჩნები ბევრნი მოდიან, ურიგდებიან და სახლდებიან ჩაღგირეის (9) სიახლოესა. შამილამ ჯარები გაგზავნა ამანათების მოსაკრებად, მაგრამ ჩაჩნებმა არ დაანებეს. — შენი წიგნი გაუგზავნე ესტატესა (10), რ˙ლიცა იმყოფება სულთან ანგიურთსა.

მშვიდობით, ღ˙თი იყოს შენი მფარველი და მან გვაღირსოს ურთიერთის ხილვა ბედნიერებით.

შენი ძმა გ რ ი ბ ო ლ ი

4-ს დეკემბერს
ჯ უ ნ გ უ თ ი თ

ჯამობეგსა (11) გამოეგზავნა კაცები შამხლისათვის (12) მთხოვნელად ახმედ ხანის ცოლისა (13) შესართავად. რადგანაც წვრილი ხუთი შვილები დაჭრჩებიან ოხრად, ობლად და ყოველს ქონებას ეს ქალი [წაიღებს] თანა ამისათვის მე ამდონი ვეცადე, რომ ეს საქმე ამ [ხელად] ჩავშალე; და საქმე წავიდა სარდალთან გადასაწყვეტად.

61. ᲛᲐᲮᲛᲝ

ჩემო ძმაო ზაქარიავ! ჭუხელმა ჰაჯი ომარმა მომიტანა შენი წიგნი ბუინაღში (1), სადაცა ვიყავ შაჰვალის (2) ქორწილში — შამხლის ძმაა — რომელმანცა შეირთო ჯამობეგის და სალთანეთთა, ადრევე ორს შამ-

ხლის ძმასთან ნამყოფი ცოლად, ეხლა გახდა მესამის ძმის ცოლი; სახით დიახ არაფერი, და ხნითაც ქმარზე უფროსი.

ჩვენის ურთერთთის ხილვისათვის ამას მოგწერ: კნიაზ ბებუთოვი წამოვა დერბენდსა, მეც თან გამოვჰყვები და იქ ვნახოთ ერთმანეთი, შენთვისაც ახლოს არის.

ახლა ჩვენის ვალისათვის: ილია მწერს რომ $\frac{30}{\text{თუ:}}$ მოსვლია შალიკოვიდამ (3), $\frac{20}{\text{თუ:}}$ ხომ ონიკოვს (4) აქუს, ყოველთვის ვეხვეწები რომ მალე შეიტანოს, და არ ვიცი რა ჰქმნა. — ამის გარდა ჩემი დოკლადნის ზაპისკა წავიდა, რომლითაც ვითხოვ ჩემის ავარიაში დანაკარგის მობრუნებასა, კნიაზ ბებუთოვიც შემეწია ძილიან ამაში; და თუ ღმერთმა მომხედა და გამომივიდა $\frac{150}{\text{თუ:}}$ და 4 მანათი, თავის ჩანჩალა, მაშინ ფეხზე დავდგებით, ავსწევ ამასაც ხურჯინით და მივარომევ ონიკოვსა. ვნახოთ ღ˜თი რას ინებებს. — ჰაა ზაქარიავ, კარგი ბიჭი არ ვიქნები მაშინ? — ჰაა ჯორი მოვა? — და თუ ღ˜თი გამიწყრა და არა მომცესრა, მაშინ ძმაო, ღმერთმა სიხარულში და ბედნიერებაში მოგახმაროს ეგ ყმა და ეგ მამული, რომელიცა სიმართლით შენ გეკუთვნის, დაიხსენ შენ და ჰალალი იყოს შენთვისა და შენის შვილისათვისა. —

აქაური ამბავი: ჩაჩანი თითქმის მთლათ გადაუდგა შამილასა, ამისგამო ძალიან შიშობს დარღში დგომასა; და ახლა ამბობენ, მითომ თავის ცოლშვილი და ქონება გამოუგზავნია კარატასა (5). სხუაგან მთაშიკი მშვიდობიანობა არის.

რეინკამჩი აქ შურაში არის, სმოტრი აქუს.

ილიკო მწერს მითომ მთავარმართებლად დაუნიშნავთ ვიღაცა ღ ე რ ნ შ ტ ე ნ ც ვ ე ი ბ, მოდი და დაიხსომე ეს სახელი (6). —

აქ იყო გრიგოლ შანშიევი (7), რომელიცა წავიდა ქალაქში. ამან ძალიან ალმითქვა, რომ ივანე შანშიევსა და თქვენ მოგარიგებო. მე გადაწყვეტილი ეს უთხარ, რომ ან ონიკოვის ვალი˙იკისროს და ის შეიპიროს, და ანუ მოგვცეს ორასის თუმნის თამასუქი. ამაზე დავასკვენით ჩვენ, და დიდი იმედებიც მომცა. — ეს ილიასაც მივსწერე, რომ იქ ეცადოს და ამაში შემწედ მოიხმაროს მარშალი (8) და სხუანი ვინმე; ეგებ რასმე გავხდეთ.

სხვებრ ღ˜თი იყოს შენი შემწე, და მან მაღირსოს შენი ხილვა მშვიდობიანად და ბედნიერად ჩვენს ქულფათში.

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი.

24-დეკემბერს.

ჯ უ ნ გ უ თ ა ი თ.

ალენიჩის წიგნები მომდის ხშირად, საწყალი წუდახარას გზაზე ჩამოვარდნილა ცხენიდამ და ფეხი ულრძია, და ფეხის ცერიც მოუტეხია.

1 8 4 5

62. ზაქარია ორბელიანისადმი

ჩემო უსაყვარლესო ძმაო ზაქარიავ! შენი წიგნი 4-ის იანვრიდამ კნიაზ ვასილი ოსებიჩმა (1) მომცა გუშინ, და მასში ძალუას (2) წიგნიცა. — იწერები 2.350 რუბლის გაგზავნას სახლების დასახსნელად. — ზაქარიავ, ბევრი ღვაწლი გაქუს შენ ჩვენს ოჯახზე, რომელიცა, დღეს თუ ისევ ქვა ქვაზე ჰსდგას, შენის კაცობით არის; და ჩვენც მოვალენი ვართ, რომ, თუ ღ˙თმა შეგვაძლებინა, ყოველივე შენი არა თუ დანახარჯი მარტოდ მოგიბრუნოთ თავის სარგებლითა, არამედ უმეტესიცა, ვ˙ა ოჯახის დამყენებელსა; და თუ ვერ შევძელით, მე ჩემის მხრით ყოველივე შენთვის მომიცია, ღ˙თია ამის მოწამე, რომ ყოვლის გულწრფელობით გეუბნები ამას. შენ წაიღო სხვის წაღებას, ის არ მირჩევნია. — რა უყოთ ძმაო, სიღარიბეში ვართ დაბადებულნი და გაზრდილნი. იმდენი დღეგრძელობა ღ˙თმა მოგცეს, რამდენი ნაკლულოვანება მე მომეთმინოს და ვითმენდე კიდეც ეხლა! დავეჩვიე სიყმითგან სიღარიბეს, იმიტომ ვეღარა ვკრძნობ იმის სიმწარესა, თორემ ვინ მოითმენდა ამ'ენს ხანს, და იქმნება სიკვდილამდისაც გასწიოს ესრეთმა ცხოვრებამ. გასწიოს, ჯანი გავარდეს, ოღონდ სანდრიკოს დარჩეს ერთი ლუკმა პური; თორემ განა მე არა მაქუს სტრასტები!

ამას წინადაც მოგწერე, და არ ვიცი რატომ არ მოგსვლია, რომ $\frac{30}{\text{თუ:}}$ შალიკოვს გაუგზავნია ილიასათვის, $\frac{20}{\text{თუ:}}$ ონიკოვსა აქუს ჩემი; ვსთხოვე ილიას რომ შეიტანოს პრიკაზში, მაგრამ აქამდის ვერა გავიგერა სწორე. — ამისგარდა ჩემი დოკლადნის ზაპისკა, რომლითაც ვითხოვ ჩემს ავარიაში დანაკარგსა $\frac{150}{\text{თუ:}}$, წავიდა მთავარმართებელთან (3); და თუ ღ˙თი ინებებს, და ჩემის უბედურებისაგამო უარს არ მეტყვიან, რომ ძალიან

კარგად მოვა ჩვენი საქმე. ამასაც ავსწევ და იქ შევიტან, იმ უძირო ორმოში, რომელიცა არ იქნა ვერ აიმსო ჩვენის წყევით და გინებით. კიდევ ამისგარდა გრიგოლ შანშიევი დამპირდა, რომ ვეცდები ივანე შანშიევთან მოგარიგოთო. მე ვსთხოვე ორასის თუმნის თამასუქი, რომ ამით მოვრჩეთ ჩვენცა და იმის რძალიცა (4), — თუ ეს მოხდა ასე შენც უარს ნუ იტყვი. — ვნახოთ ღ˙თმა ან აქედამ, ან იქიდამ მოგვხედოს და დაგვიხსნას ამდენის წლის ტყვეობისაგან.

აქაური ამბავი ეს არის რომ ა რ ა კ ა ნ ი (5) გადუდგა მურუდებსა, რომელნიცა ამის გამო მოუხდნენ ჯარითა, სამი დღე ჰქონდათ ომი, და ამით გადაწყდა რომ ვერ შეუვიდნენ, მაგრამ ამანათებიკი გამოართვეს.— ჩვენც ბევჯერ გვთხოვეს შემწეობისათვის, მაგრამ ყური არავინ ათხოვა. ახლა მითომ შამილას შემოუთვლია, რომ ამანათები საპირო არ არისო, არაკანი უნდა სრულებით გააოხროთო; ამის გამო ჯარები იმათი ხან იყრება, ხან ისევ იშლება; არაკანელებიც კიდევ გვეხვეწებიან შემწეობისათვის, მაგრამ არა ვშვრებით, и напрасно.

ჩაჩანი თითქმის გადუდგა შამილასა, და ისევ თავისუფლად მოდიან რუსის ჯარში, ვაპრობენ, სახლდებიან, მითომ სრულებით არაფერი ყოფილა იმათში.

დღეს გაუგზავნე შალიკოვს $\frac{15}{\text{თუ:}}$, გული დამეწო. მშვიდობით ღ˙თი იყოს შენი მფარველი და მან მაღირსოს შენი ხილვა მშვიდობიანად.

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი

7-ს იანვარს
თ ე მ ი რ ხ ა ნ შ უ რ ი თ.

63. ᲛᲐᲮᲐᲚᲔ

ჩემო საყვარელო ძმაო ზაქარიავ! ილიასაგან მომივიდა წიგნი, რომელშიაც მაცნობებს მელიტონის დამბლობასა. შენი მტერი შეწუხდეს ისე, როგორც მე, ამ ამბითა, რა უნდა ჰქმნას სიყრმითვე ეფემიამ, რით შეინახოს ესოდენი წვრილი შვილები, სრულიად ღატაკად დაშთომილნი, ტატოც ნახჩევანში (1) წასულა ლევანთან ერთად (2). — ამდენს ჩვენის თავის ვაი ვაგლახს ესლა გვაკლდა; რა უყოთ რითა ან როგორ შევეწიენეთ უსახლკაროსა, უპუროსა, უტანისამოსოს ჩვენს დასა? ეს ფიქრი მაგიჟებს სრულიად, ნეტავი მოვკუდე და ამდენს სიგლახაკეს მოვრჩე.

აქაური ამბავი არა არისრა, მშვიდობიანობა არის მთაშიაცა და ბარშიაც. ამბობენ მხოლოდ ასლანყადის მძიმედ დაპრილობასა ჩაჩანში, სადაც შეხვედრია აკაზიასა და ძალიანაც მიუმსხვრევიათ ჩვენებს ისინი (3).

ვასილი ბებუთოვი მშვიდობით არის.

ამ წიგნის მომტანი არის ჩემი პისმოვოდიტელი პრაპორშიკი გასპაროვ ყარაბაღელი, მიდის ეხლა თავის სახლში. განგებ მოდის შენთანსალამის მოსაცემად.

შენ ჯერ ფაღარათად იყავ შენის ჯარითა, ჯერ სულ ტყუილი ხმებია თქვენზე მოსვლისა მურუდებისაგან.

სხვებრ მომწერე როგორა ხარ გილლარში, მოიკითხე უსუფბეგი და ჰარუმბეგი, თუ მანდ იყვნენ.

მშვიდობით ჩემო ძმაო, ღ˜თი იყოს შენი მფარველი და მან მაღირსოს შენი ხილვა ბედნიერებით.

შენი ძმა გრიგოლი.

19-ს იანვარს
ჯუნგუნით.

64. მ ა ხ ვ ი

ჩემო საყვარელო ძმაო ზაქარიავ! ეს ბებუთოვის წიგნი შენთან მოწერილი შეცთომით ჩემთან მოიტანეს და მეც მხოლოდ ეხლა შევიტყე, რომ შენთანა ყოფილა. — ახლა ამ ორსავე შენთანა ვჰგზავნი.

აქაური ამბავი არა არისრა, მხოლოდ ალენიჩი ებრძვის ჭუხთან (1) მურუდებსა და ჩვენი ჯარიც მზად არის შურიდამ გამოსასვლელად ხოჯალმაქისაკენ (2), და თუ გარემოებამ მოიოხოვა სხუაკენაცა. —

შენ სადა ხარ მოგწერე შენის ჯარითა? სწორე გითხრა, ეხლა თუ მოდიხარ ჭუხის მოსაშველებლად, არაფერი ხუმრობაა ყაზიყუმუხის მთებზედ სეირნობა ზამთარში.

შინადამ ეს მეორე ფოჩტაა წიგნი არ მომდის.

შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი.

22 თებერვალს
ჯუნგუნიდან

Писано в 1845 году *)

65. ილია ორბელიანისადმი

ჩემო ილიკო! ამ ნიშნით, რომ დღეს კვირა არის და 11-ი ამ თვისა, მოველ აჰყოშიდამ ჩემს სატახტოში ჯუნგუთაისა. — აი რისთვის ვიყავ: დანიილ სულთან, ყიბიტ მაჰმად, ჰაჯი მურად, ღალვაცდიბირ, ასლანყადი და სხვანი ძაღლები, შენნი ნაცნობნი — შემოადგნენ ჭუხსა და შ˜დ ორის კვი-

*) შემდეგი დროის მინაწერი. — ხელი გრ. ორბელიანი?ა (შედარებულია მისრუსულ ხელწერასთან).

რისა აიღეს. აჰყოშა თუმცა მიეშვილა $\frac{12}{\text{ათასი}}$ კაცით, მაგრამ, ხომ იცი, რომ ესენი რაგინდ ძლიერნი იყვნენ, არ შეებმიან მურუდებსა გულსმოდგინედ. და ამა მიზეზისგამო მუხანათობით გამოიქცნენ, ასე რომ საბრალო ალენიჩი, წასული აბდულრახმანხანთან (1) სამასლაათოდ თურჩადაღსა (2) დარჩა იქ მარტო და შემდეგ მოვიდა აჰყოშაში. — ჭუხელებმა საკურვლად იომეს, მეტი ქება აღარ იქმნება, მეტადრე დედაკაცებმა, რომელთაგან უმეტეს 25-ის არიან დახოცილნი ომში — ჰაა. — იქნება მტერი ვერც კი შესლოდა, თუ აჰყოშელნი არ ყოფილიყვნენ ქომაგათ, მაგრამ რაკი ეს ამოდენი ჯარი ნახეს დამარცხებულად უომოდ, სრულიად უომოდ — ესენიც შეშინდნენ, ბევრნი გაიქცნენ, შეიშალნენ, აღარ ჰქონდათ ნიზამი (3) და წახდა სოფელი; მაგრამ ჩვენი ყადიაკი (4) — შაბაშ იმის ვაქკაციისა — დარჩა სოფელში შემწყვდეული ერთს სახლში, გამოვიდა, ხმალდახმალ შემოუტია მურუდების ჯარსა, გააპო შუა და გამოვიდა თავის ცოლით და ასის კაცით ყაზიყუმუხსა. — ჭუხი აიღეს და ზედდატანებაზედვე მაჰმად ყადის (5) შვილმა ისამ მოჰკლა ალენიჩი აჰყოშაში. — შეკრთა ხალხი, აირია მთლად ეს მხარე, მაგრამ წუდახარიკი შედგა ყორაღად, შეჰფიცეს ერთმანეთსა მურუდების მტრობაში და ამით თუმცა ბევრი ეცადა მტერმა და მაჰმად ყადიმაცა, მაგრამ აჰყოშაში ვერ შევიდნენ. — ამა საქმეთა და ალენიჩის სიკვდილმა განავრცეს შიში და არეულობა მთლად სამეხთულოში (6), ასე რომ ცოტაღას უკლდა, კენწერაზედ ეკიდა შარშანდელი აშლა მთლად ხალხისა. — კინაღამ ბუზმა არაჰშობა სპილო. — ოჰ რა შიშში ვიყავ! ხალხის გულის გასამაგრებლად ყბედად გადავიქეც დღისით; და ღამე წერით თვალები აღარ მქონდა, ძლივ დავძარ შურიდამ ჯარი. — კნიაზ კუდაშევი (7) ხუთის ბატალიონით, მე ჩემის მილიციით, ვახსენეთ ღ˙თი და წავედით. — რა ნახეს ოლი (8), ყულიცმან (9) ჩვენი ჯარი, გული დაუშვიდდათ, გავსწიეთ ლავაშას (10), პროკლამაციები გინდოდა, რომ ჩემგან მიდიოდა არაბულს ენაზედ, რაღ› გავაგრძელო, როგორც იყო მოვიყვანეთ ჩვენთან პირველი აჰყოშის კაცები, დავახასრიჯამეთ, რომ ჩვენ სამტროდ არ მოვდივართ, არამედ შესაწევნელად პირისპირ მურუდებისა, როელთაცა ეპირათ სალტა (11) და ქუდალი (12). — 2-ს მარტსა იქით მხრიდამ ზაქარია მეოთხეს დღეს მოიპრა ჯარით სამურიდამ ყაზიყუმუხსა; აქედამ მარტო კავალერიით მოვიდა ჩვენთან; ჰარუმბეგ, უსუფბეგ, ჯიბრეილბეგ (13), აბდულლაბეგ (14) თანა ჰყვანდა. — და ორნი ზურაბის შვილები შევიყარენით დაღისტნის საქმეების დასაწყობლად, ნახე ღ˙თის განგება! ახლა რაღას იტყვის ყაფლან, ეგ ბაბაჭუა ყაფლან? ჰაააა?

მაჰმად ყადია იყო დახიზნული სურჰისაკენ, ესეც მოვიყვანეთ; ორი დღე და ღამე ერთად ვიყავით მე და ზაქარია, ბოლოს — ქვეყანაზე ყველასფერს ბოლო ჰქონია — დავშორდით, ზაქარია წავიდა და თან წაიყვანა მაჰმადყადი და მეც დავბრუნდი ჩვენს ჯართან და მოველ დღეს აქა. —

ყადის მაგიერ დავსვით ზ უ ხ უ მ (15). ეს ყადია არ გეგონოს — სხვა ზუხუმ არის — დიდის თოხუმის კაცი. ალენიჩი რომ მოკლეს, ეს თავისის გვარით, მგონია 50-ის მამაკაცით გამოვიდა ჩვენთან; და მხოლოდ შარიათისათვის (16), რადგანაც ეს უშკოლო არის, დავსვით ბაჰანასავით, რაღაც სახელია, კარგად არ მახსოვს. — ესეც ბებერი ბაჰანყადი (17) ნუ გგონია, სხვა არის. — ჯერ კი მშვიდობიანობა და მყუდრობა ჩამოვაგდეთ და ამასიქით რაც იქნება, ის ღ˜თმა იცის. —

საბრალო ალენიჩის საფლავი ენახე, მეჩითის პირდაპირ არის, კარგს ალაგსა და კარგად დამარხული — დიდი ნუგეშია — სამი მუჭა მიწა ქრისტიანულის ლოცვით დავაყარე.

მე და ზაქარიას სულ შენზე გვქონდა ლაპარაკი, ორმოცდაათი თუმანი ბოსტნისა ჯერაც არ დავიწყებია. —

ჩემო ილიკო! ავათ ხომ არ ხარ, რატომ არასა მწერ; ეს ორი თვეა შენი ამბავი სრულიად არა ვიცი რა; არცარას ძალუა მწერს, ახრ რა არის მიზეზი. არ მეტყვით?

ამის გარდა რამდენჯერაც გთხოვე, არ მაცნობე, შეიტანე თუ არა პრიკაზში ფული, ანუ რაოდენობა არის ჩვენი ვალი დარჩომილი? ნუხარ. აგრეთი უზრუნველი შენის ოჯახისათვის, თუ ღ˜თი გრწამს.

ხანჯლები შენ და ზაქარია ერისთავს მოგვიდათ თუ არა? ეს კერპული მოუწერლობა რა არის? ეგრეთვე არ ვიცი მიიღე თუ არა ხუთი თუმანი გამოგზავნილი ჩემგან ეფემიასათვის?

ძალუას სიყვარულით მოვიკითხავ, თუმცა ვიცი, რომ მაგის საკუთარი შენახარ და შენი გამოისობით შარშან მწერდა, მაგრამ ახრ მეც ერთი სიტყვა არ მერგება? — ელისაბედ მართალს მეუბნებოდა.

ბაბალე სიყვარულით მომიკითხე, ხელსახოციკი არ მომივიდა და? ჩემი ყაფლან რასა იქს, არ მოდის პახოდში წლეულსაც? ღ˜თო, რა უგუნურია, რათა ჰკარგავს შემთხვევასა.

მშვიდობით ჩემო ილიკო, ღ˜თი იყოს შენი მფარველი.

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

ჩემი დისწული ნიკოლაი, ანუ ტატო,
ხომ არ მოსულა? (18)

11-მარტს

ჯ უ ნ გ უ თ ა ი თ

66. ზაქარია ორბელიანისადმი

ჩემო ზაქარიავ! რა ის ფულები გამოგიგზავნე, მოსვენება აღარა მაქუს; ახრ იმდენის ფულის ერთად გაგზავნა იქნება? არ შეიძლება, ჩემო ზაქარიავ, რომ ნახევარი მაინც უკანვე გამომიგზავნო?

შენი პოლკის ამბავმა ძალიან გამახარა, ღ˜თმან ჰქმნას, რომ მალე აღსრულდეს ესე აღთქმა სარდლისა (1). მაშინ ყაფლანის წინასწარმეტყველება აღსრულდება „ზურაბიანნი წინ წავიდნენო“ (2) — მაგრამ მანდვე მოძებნე ღრუშინსკის პოლკში კარგი აფიცარი საკაზნაჩეოთ; ჩვენს სვიმონ შალიკოვს ჰკითხე; ამის გარდა მანდვე ადრეევ გამოიკითხე ძველის პოლკის კამანდირებისაგინ тайну პოლკის მიღებისა. ამაშიაც კარგად შეგეწევა სვიმონ შალიკოვი, რომელიცა ოთხი წელიწადია ხაზინადრად არის პოლკში. — ოლონდკი დაგნიშნონ, თორემ ნუ გეშინიან, მალე მიხვდები ყოველსავე, რაჲცა შეეხების პოლკის კამანდობასა (3). — შენი ეპოლეტები, ვიცი, მაშინ მომივა, როცა ძალუა ქეთევან ახალუხს შემიკერავს. ეჯ ყიზილბაშობა საიდამ ისწავლეთ ორთავე.

აქ მთაში, ესე იგი ხ ა რ ა ჩ ი ს სიახლოეს, ციდამ ჩამოკიდა ერთი კაცი დიდროანის ბორკილით ფეხებში გაყრილი, და იკითხა შამილა სადა ჰსდგას გზა მასწავლეთო. — ეს სასწაული შენ რომ არ დაიჯერო, აქკი ჰსჯერათ და! სუფან ალლა, სუფან ალლა! ღ˜თი, ყოვლად შემძლებელი, ერთის კაცის გამოგზავნას ციდამ როგორ ვერ შეიძლებს, რა არის აქ დაუჯერებელი? მხოლოდ გიაურები არ დაიჯერებენ, ამიტომ, რომ ღ˜თი არა ჰსწამთ. — მოდი და ელაპარაკე ამათ.

ილიკოს ამბავი მომწერე როგორ არის თავის ახალს თანამდებობაში, ძალიან მეშინიან, ვაითუ ისე ვერ მოუვიდეს საქმე, როგორც ჰსურს სარდალსა, ამიტომ რომ ესოდენის წელიწადების წახდენილი საქმე აგრე მალე ვერ გასწორდება (4).

ძალუა ქეთევან მომიკითხე, სანდრიკო ჩავკოცნე.

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი

18 მარტი
თ ე მ ი რ ხ ა ნ შ უ რ ი თ.

ალექსანდრეს და ბაბალეს სიყვარულით მოვიკითხავ. — ჩემი საყვარელი, საკუთარი ყაფლან რასა იქს, როგორ არის და ან სად იმყოფება.

67. მ ა ხ ვ ე

ჩემო საყვარელო ზაქარიავ! შენი წიგნი მომიტანა დღეს ღრაფ ვორონცოვის (1) ადუტანტმა მასლოვმა (2). — ეეეე კიდევ მოხვედი ახტასა. შენ რა გიჭირს, ბედნიერი ხარ ყოვლისფრით: წლეულსაც მგონია ექსპედიციაში დაესწრო და მე კი დავრჩი კიდევ ასე შარშანდელსავით (3). — ესა მკლავს ჯავრით, რომ ახრ ეს სამსახური აქა სამსახურად არ მიაჩნიათ და? — მომაბარეს შურაში დანარჩომი ოტრიადი, დიდი წყალობაა! ჰა? —

ჩემის დანაკარგისა და რაციონის საქმეს რომ აქედამ იქა ჰგზავნიან და იქიდამ აქა, ეს ნიშნავს, რომ ბოლოს უნდა უარი ჰყონ, სხვა არაფერი. — ჩემი ბედი ყოველთვის ასე ყოფილა ჯანჯალი და ჯანჯალი. — არა ეს დალოცვილიც კნიაზ ვასილი ოსებიჩი, რათა ჰსწერს სარდალსა იმ საქმისათვის, რომლისა გადაწყვეტა თვითონ შეუძლიან რჯულითა და დებულებითა? — ეჰ რა უყო! (4)

ჩემს ნოქრებსა ეგზავნი ამასთანავე კნიაზ მოსე ზახარიჩთან, გეთაყვანე ამათ ყური უგდე და შემწე ეყავ, არავინ დაჩაგროს. თუ შენ ჯარში არ წახვიდე, ალექსანდრეს (5) ჩააბარე და ჰსთხოვე ჩემმაგიერ, რომ შარშანდელსავით იყოს ამათი მფარველი. — ესენი თითო თითო სულ ლომები არიან, მერწმუნე ზაქარიავ. —

კნიაზ მოსე ზახარიჩი რომ მე კუტრს მეძახის, რატომ შენ არ გწურთნის კუწურაკობისაგან? ყოველივე ხანები მეჰთიყული ხანიდამ (6) ჩემამდის უფულონი ვართ, ამიტომ რომ უხვნი ვართ და გამცემნი. — შენ აბა რა? — ერთი ცხენი დამპირდი, ისიც არ გამომიგზავნე, რაღაებსაც კრუჩკებს აბამ. — გამომიგზავნე, ჩემო ზაქარიავ, და გულით მომასვენე რაღა!.

მე ილიაზე ძალიან გაჯავრებული ვიყავ და ვარცა; შენის წიგნით ვხედავკი რომ უთოოდ შენთან თავი გაუმართლებია. Ты, кажется, доволен ими остался. — დიდი კანალიაა, როდესაც შენ უჯავრდები მე მეკედლება, როდესაც მე შევტუქსამ შენთან მოდის და გელაქუცინება; ყაფლანის ჯარად გამოსვლა მოგეწერა ჩემთვის, არა მგონია თუ ვლადიკავკაზამდის მოახწია, აი ნახე თუ დუშეთიდამ არ დაბრუნდეს. —

მთიდამ არაფერი ამბავი არა არისრა.

მშვიდობით, ღ˙თი იყოს შენი მფარველი..

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი

23 მაისს

ჯ უ ნ გ უ თ ა ი თ

შენს გაზდას, ზაქარიავ, გაუსამართლე ამ ჩემს ნოქრებს კარატელებსა (7), რომელნიცა თხოულობენ, რომ ვიღაც კარატელი მომკვდარა ახტაში და იმის ნივთებს ესენი ეპატრონებიან .ადათითა. — ახლა შენ იცი.

68. კონსტანტინე თარხნიშვილისადმი

ჩემო გულით საყვარელო ძმაო კოსტანტინე! (1)

თუმკა არა გწერ, მაგრამ იმედი მაქუს, რომ გულდაჯერებული ხარ ჩემს შენდამი ჭეშმარიტს მეგობრობაზედ და ძმობრივს სიყვარულზედ, და შერწმუნე, კოსტანტინე, რომ ეს გრძნობა არ ოდეს არ გამშორდების, თუ გინდ სულ არ მოგწერო. მეც თვით არ ვიცი, რატომ არა გწერ; მგონია ეს ჰსწარ-

მოებდეს ქართველურის ხასიათისაგან, სხვა მიზეზი ვერ მიპოვია. — შენი ყუბაში მოსვლა შევიტყე, ღ˜თმან უმეტეს ხარისხზედ აღგიყვანოს. აქაური ამბავი ეს გახლავს: ნამესტნიკი (2) მობრძანდა 12-ს ამ თვისას, დიდი მიგებება იყო ხალხისაგან, გაშინჯა ჩერქეის ციხე და ახალი ხიდი გადებული ყოისუზე (3) კოშკებითა და ძალიან მოეწონა; შურაში გაუკეთეთ საზოგადოობამ სადილი, და ძალიან კარგადაც დავხვდით სადღეგრძელოებითა, ზარბაზნების სროლითა, ურათი, ჩირაღდნითა. 16-ს ისევ დაბრუნდა უკან და წავიდა ვ ნ ე ზ ა ვ ნ ი ს ა კ ე ნ (4) და აქედამ ტაშკიჩუსა (5). — ჯარები ამ თვის გასულს დაიძვრება და თვით ღრაფ ვორონცოვიც იქმნება პახოდში (6). ღ˜თმან ხელი მოუმართოს, თავისის მოთმინებითა, რომლითაც ყოვლის კაცის დარდსა ისმენს ყურადღებითა, თავისის მშვიდობიანობითის ქცევითა და მეტადრე თავმდაბლობითა, უნებლიეთ მიმზიდველობს ყოველსა, ვინც კი ჰხედავს. — საკურველი კაცია, ღ˜თმან დიდი ხანი დაამკვიდროს საკეთილღეოდ ჩვენის მხარისა.

მთაში ჯერ არაფერი არა არის რა ყრილობა, უყურებენ საით მიაწვება ჩვენი ჯარი, რომლისაგან დიდად შიშობენ წლეულსა. — კნიაზ ვასილი ბებუთოვი იქმნება ნაჩალნიკად დაღისტნის ოტრიადისა; მე აქ დამაგდეს ოტრიადის ნაჩალნიკად და ამ მხარეს მოსავლელად; ბევრი ვიჩხავლე მაგრამ არა გამეწყორა. — სარდალმა ასეთის პატივით მიმიღო, რომ ახლა მართლად ჩემი თავი დიდკაცად მგონია; სამჯერ მარტოდ მე დამპატიჟა სადილათ.

სხვებრ აქა ჩემი ცხოვრება არის ძაღლური ამ ბრიყვსა და უგუნურს გაუთლელს ხალხში; ერთი კაცი არავინ არის ამ ჩემს მეჰხთულის სახანოში, რომ მასთან შეიძლებოდეს მცირედის ხანის გაძლება; მაგრამ რა უყო, ვითმენ, მაშ თუ არ მოვითმინო, ერთი მითხარ რა ვჰქნა, აბა სად გავიქცე?

ქართველების მილიცია მოდის 1700 ქვეითი და ცხენოსანი; სარდალთან დანიშნულან 50-ნი თავად აზნაურნი პაჩოტნის კანვოიად. დიმიტრი მარშალი (7) მოსდევს ნაჩალნიკად მილიციასა.

ვიცი გიამება, დავით დადიანს (8) მოუვიდა ღენარლობა, მიხეილ შარვაშიძეს (9) ღენერალ ლეიტენანტობა.

ქალაქიდამ ეს ისმის: ეკატერინა (10) წავიდა მენგრელიაში, ნინა (11) ბორჯომში, ელენე (12) ატენსა, ელიზბარ ერისთავმა (13) ჯვარი დაიწერა შალვას (14) უფროს ქალზე, რომელიცა, შე ულმერთო, შენთვის მინდოდა, და საკურველი მშვენიერი და კვეიანი *) ქალიც არის. — მინდა გიმაჯანკლო, ერთი მითხარ გინდა ცოლი, თუ ჩემსავით, უგემურად უნდა დაბერდე? — მითხარ მანამ კარგები არ გათხოვილან, შენი შესაფერები, ვიცი არი რამდენნიმე. ჰაააა!

---

*) უნდა იყოს „კვეიანი".

Ი. Ბ. ᲐᲠᲐᲠᲐᲢᲝᲜᲘᲐᲜᲘ
ᲨᲔᲛᲘᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲙᲐᲪᲘᲡᲐᲨᲘ 1845 — 1854 Წ.Წ.

Ი. ᲒᲠ. ᲗᲐᲠᲮᲜᲘᲐᲜᲘ. ᲬᲘᲗᲔᲚᲘ.

ახლა შენი ამბავი მომწერე, ჩემო კოსტანტინე, თუ ღ'თი გრწამს.— როგორა ხარ ახალს ადგილს და თანამდებობაში; ხალხი როგორ არის შენთან; შამახაკი ([16]), ვიცი, უკან მოგტირის.

ღ'თი იყოს შენი მფარველი, დი ნუ დამაკლებ შენს წერილს და ნუცა დამივიწყებ შენს ჟეშმარიტად მოყვარეს.

გრიგოლ ორბელიანი

18-ს მაისს.

თემირხანშურით.

ამას წინად სტეფანე ამიროვის ([16]) წიგნი მომივიდა, კნიაზ არღუთინსკისთან იმყოფება; დავით ყორღანოვ ხომ არ ნახე, და ანუ უწინდელი პლაცმაიორობის დროები ხომ არ მოაგონე? —

რატიშვილი იოსებ ([17]) მოვიდა აქა და დაინიშნა ჩერქეის მაღაზინის სმოტრიტლად; ენახოთ რას მოიგებს, სოლომონ სარაჯოვი ([18]), ყარამან არღუთინსკი ([19]) და აფენდიევი ([20]) მოვიდნენ აქა; ამათ აუღიათ პოდრადათ

120 ათასი ჩეთვერი პური, რომელიცა უნდა მოზიდონ ზღვის პირიდამ შურას და ჩერქეის სამაბაზუზალთუნათ ჩეთვერტ; მგონია მაგდენი ვერა მოიგონ რა. — დამავიწყდა, სარაჯოვი ჩარვადრებით არის, პურში არ ურევია.

69. ილია თარხნიშვილისა და ზაქარია ერისთავისადმი ([1])

კნიაზო ილიავ! ზაქარიას წიგნი გამოვატანე ადუტანტსა მასლოვსა; მაგრამ ერთი ანდაზა უნდა ვსჰსთქვა: ანტონ კათალიკოზი ([2]) სადღაცა ჰსწერს „ვსწუხვარ, რომ რუსთველი ესრეთ დაშვრა ცუდად" ([3]) — იმისი არ იყოს, რომ საბრალო ზაქარიას ([4]) გაუჭირელებია ერთი დიდი თაბახი შენთან და გთხოვს საქმის აღსრულებასა. რით ვერ გიცნა!

კნიაზო ზაქარია ერისთავო! ჩემის ანგარიშით ახლა უნდა იყვნეთ ჩაჩანში, ყაფლანის გამოსვლაც შევიტყე, მაგრამ მგონია დუშეთიდამ დაბრუნებულა. გოლიათი ლევანც ([5]) მანდ არის, მაშ არა გიჭირსთრა, კარგად შეყრილხაოთ. — აქაური ამბავი ეს არის, რომ ემზადებიან'ღა დამზადებულან საბრძოლაოდ ჩვენი ოტრიადი, რომელთა რიცხვში მე კი არა ვარ: მე დამაგდეს командовать остающимися войсками в Шуре, ბებუთოვის მაგიერ. — რათ მინდოდა, მაგრამ ღრაფ ვორონცოვის ბრძანებას გადავსულიყავ?—ჰოო უნდა გითხრა, რომ მთავარმართებელმა აქა'ასეთის პატივით მიმიღო, ასეთის განსხვავებით პატივითა, რომ მერწმუნე არცერთი ღენერალი არ იყო ისე მიჩნეული. — მე ამას განგებ გწერ, რომ თათრისშვილი ყაფლან დაჩუმდეს ჩემწინ და არ იდიდგულოს. — ნეტავი ერთი წლეულსაც მოხვიდეთ აქა ზურნა ნაღარითა, ერთი კიდევ გნახოთ და მასუკან ჯანი გავარდესთ.

ამედი მაქუს, ჩემო ზაქარიავ, რომ როცა შემთხვევა მოგცემს, მომწერ შენსა და მანდაურს ამბებს დაწვრილებით. — კნიაზ დიმიტრის (6) უმდაბლესად მოკითხვას მოვახსენებ. — გამაეიც (7) წამოგიყვანიათ, თუ ხმალი ჩააგო? — ირაკლი (8), თუ თქვენთან ჯარში იყოს, მომიკითხე სიყვარულით. — მომწერე შენ და ალექსანდრე (9) შერიგდით, თუ ისევ ღუდღებითა და მოციქულებითა ლაპარაკობთ? — კნიაზს ილიასაცა (10) ვსთხოვდი მოწერასა, მაგრამ ვიცი არა ჰსცალიან დიდროანის საქმეებისაგამო. მშვიდობით, ღ˜თმან დაგიფაროსთ.

შენი მორჩილი გ რ ი გ ო ლ ორ ბ ე ლ ი ა ნ ი

25 მაია.

თ ე მ ი რ ხ ა ნ შ უ რ ი თ.

იქნება არ შეგიტყვიათ და არც შეიტყობდით, ამიტომ რომ პირველად ხართ ქართველები, და მეორედ ყოჸარბაზობაში გართულნი: დ ა ვ ი თ დ ა დ ი ა ნ ს მოუვიდა ღენარლობა, მ ი ხ ე ი ლ შ ე რ ვ ა შ ი ძ ს ღენერალ ლეიტენანტობა და ჩვენს მ ა მ უ კ ა ს (11) პოდპოლკოვნიკობა.

ვინძლო ჩემო ზაქარიავ მომწერო და ჰსთქვა ფუ ეშმაკო ჩხირი კედელსა.

70. ილია ორბელიანისადმი

ჩემო საყვარელო ილიკო, ჩემი შვილი ხარ! ვმადლობ ღ˜თსა შენის განთავისუფლებისათვის იმ საშინელის ომებისაგან (1). შიშით შენი ამბავი ვერავისთვის მეკითხნა. ზაქარია ერისთავისა შევიტყე მკლავში დაჭრილობა, შემატყობინე როგორ არის ახლა, ანდრეევსკიმ (2) მითხრა, უნდა მომეპრა მკლავიო. ძალიან შევსწუხდი მაგის დაჭრილობისათვის; გეთაყვანე მალე მომწერე მაგის ამბავი, ხომ იცი ძალიან მიყვარს.

შენი დიდი მაქებარია ლრაფ ვორონცოვი და გურკოცა (3), ასე რომ მეტი თქმა აღარ იქნება, პირველს დღეს სადილზე სულ შენს ვაჟკაცობას მიამბობდა ლრაფი, ერთის სიტყვით შენი სახელი გამოვიდა მეიდანზედ (4).

ლრაფსა აქ მე დავუხდი ისე როგორც შვენოდა ყაფლანისშვილსა და ვორონცოვსა დიდკაცურად: წინ ცხენოსნის ჯარის მიგებებითა, შურაში ხალხის დახვედრითა და ურათი, შინ ჩინებულის სადილითა მუზიკებითა ორს ხორად და სადღეგრძელოებითა გამარჯვებაებისათვის, ღამე ჩირაღდნითა. —

გუშინ მოვიდა აქ კ ი რ კ ი დ ა მ (5) კნიაზ ბებუთოვი თავის დაღისტნის ოტრიადითა, ოში არა ჰქონია. ეს ოტრიადი დაიფანტება აქეთ იქით, და ჩემთვისაც შეადგენენ ორს სამს ბატალიონს თავისის ცხენოსნითა და ზარბაზნებითა, რომლითაც უნდა დავიცვა ზემო მეხთულის სოფლები და არაკანი (6), რომელიცა შევვირიგდა ჩემის მეცადინეობითა. — ამით დასრულდა დაღისტნის ოტრიადის წლევანდელი ექსპედიცია.

კნიაზ არღუთინსკი გარეადგა ტელეტლოსა, იქიდამ წავიდა ხ ი დ ა ტ - ლ ი ს (7), იქიდამ კიდევ დადგა ტელეტლოსთან, აქედამაც უკან წამოვიდა, მტერი დიდი ძალით დაედევნა, ამანაც ეშმაკობით გამაიტყუა, ბოლოს დაუბრუნდა, შეუტია და შენი მტერი, რომ ისინი დაამარცხა, ორასი მეტი მკუდარი გაუშვეს ადგილობრივ, 30 მეტი ტყვედ დაიჭირეს; ჰაჯიმურად და სხვა ნაიბნი შეცვინდნენ გუნიბის (8) მთაზე და იქ გადარჩნენ. ჩვენის მხრით მოკლეს საბრალო კაპიტანი ლ ე ვ ი ნ და სალდათნი ორმოცამდის დაჭრილი და მკვდარი. — ასე შეშინდა მტერი რომ სულ ახლოს აღარ უდგებოდა ჩვენს ლაგირსა, რომელიცა იდგა რუღჯისა და ტელეტლის შუა. — ეს ომი იყო 24-ს ივლისსა. — აქედამაც დაბრუნდა გუშინ წინ თ ურ ჯ ი - დ ა ღ ს ა (9) მშვიდობიანად ასე, რომ ერთი კაცი არ გამოუდგა უკან. — ეს საკურველია. — ამ არღუთინსკის ატრიადის საქმეც წლეულს ასე დაბოლოვდა. ვნახოთ ამას იქით რა იქნება.

აქ შურაში იყვნენ ქართველების ურმები ქირაზე, პური მოჰქონდათ პეტროვსკიდამ შურასა, ამას წინად გზაზე დაესხა მტერი და თითქმის მთლად წაახდინა ეს საწყლები: 6 მოკლეს, 43 წაიყვანეს ტყვედ და მთლად ასის ურმის ხარები; ამათ რიცხვში ჩვენი კოდელებიც დაიტუპნენ. — ახლა ეს საწყლები ვინც გადარჩნენ, მოვიდნენ ჩემთან და მითხრეს: შენი ჰირიმე ბატონო გვიშველე რამე, მთლად ქვეყანა დაიცა, და დაიღუპაო. ვსწუხვარ გულით, არ ვიცი როგორ უშველო ამდენს ტყვესა. — ეგების მანდ როგორმე მოაგროებინო სამადლოდ ფული, რამდონიც შეიძლო და გამოგზავნო, რომ რამდენიმე გამოვიხსნა.

სარდალი (10) ჩემთან ძალიან წყალობით არის. ყოველთაგან დიდის გარჩევით მექცევა. — ყოველღამე ხომ უჩემოდ არ ექმნება პროფერანსი. —

ძალიან მინდა შენი ნახვა; სწორედ მითხარ ყაფლან როგორ იყო

. . . . . .

. . . . . .

. .[სი] ყვარულით მოვიკითხავ, *)

მშვიდობით შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი.

ვინძლო მომწერო ხშირად.

1845 წელს
6-ს აგვისტოს
თემირხანშურით.

[მინაწერი ბოლო გვერდზე სხვისი ხელით და სხვა მელნით. მიაგავს ილია ორბელიანის ხელს (შედარებულია ილია ორბელიანის წერილებთან)]:

საათები
კუჩერის ტანისამოსი
ესე იგი შლაპა, კუშაკი, პერ-
ჩატკი და კაფტანი. —
ერთი კარგი ბეკედი.

*) წერილის ოთხი სტრიქონი დახიანებულია.

71. ᲛᲐᲡᲛᲔ

ჩემო ილიკო! არ ვიცი რა უნდა ვჰქნა მე, რომ ხანდახან შენი წიგნი მომივიდეს? სწორედ გითხრა ვერა მომიფიქრებია რა მე ასეთი, რომელმანცა ძალად აგაღებინოს კალამი ჩემდა მოსაწერად. — აღარა გყვედრი ამისათვის, და აღარცა ვწუხვარ შენის ჩემდამი უზრუნველობისათვის; მაგრამ დროსა მოაქუს ესრეთი შემთხვევა, რომლისა ცნობა ჩემთვის საჭირო არის ისე, როგორც შენთვის; მაგალითებრ — ოჯახის მდგომარეობის ცნობას დავეხსნათ, თავის დღეში არ მოგიწერია — ტატოს ამბავი, ჩემი გულით საყვარელის ტატოს ამბავი მომწერე, ცოცხალია თუ მკვდარი? — უცნობლობა მკლავს; შენ მიხაკოსთვის (1) მოგეწერა ტატოს უიმედოდ ავათმყოფობა, ამანაც წიგნი არ მაჩვენა, ისე ზეპირათ მითხრა, მაგრამ ასე მითხრა, რომ თითქმის მკვდარი უნდა იყოს. — ახრ ეს დამალვა რა არის? — თუ მიხაკოს ჰსწერ, მე რაღა ვარ? — აქაურმა ცხოვრებამ, ძაღლის ცხოვრებამ და ამ უცნობლობამ ტატოსათვის მე ავათ გამხადეს; ეს ექუსი დღეა ვწევარ გარიაჩკითა მიხაკოსთან. — თუ ხატი გრწამს მომწერე ტატოს ამბავი სიწრფოებით და მასუკან — რადგანაც შენთვის დიდი შრომაა — ნულარ მოიწერები, იყავ შენთვის მშვიდობიანად (2). —

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი

12-ს ნოემბერს

თ ე მ ი რ ხ ა ნ შ უ რ ი თ.

1 8 4 6

72. მანანა ორბელიანისადმი

ჩემო საყვარელო ძალუავ მანანავ! ამ სოფელში არა არისრა განსაკვირველი, არცა იგი, რომელ ასე მწარედ დამივიწყეთ მე. მიდის დრო, და თანა — მიაქეს მას ყოველივე ჩუენგან, და რაჲცა მიაქუს, აღარ ბრუნდება ჩვენდა. ოღონდ ბრძანდებოდეთ თქვენ უვნებლად, და მე არა მიშავსრა, ჩემთვის ესეც საკმაოა, რომ შორით მიხარის თქვენი მშვიდობიანობა, თქვენი განცხრომითი ცხოვრება დიდად მხიარულებით, მაშასადამე, ბედნიერებითაც: თქვენი განბრწყინვალებული სალონი სავსეა ანგლიჩნებით, ფრანცუზებით, ჰინდოელებით; ვეშმარიტად მშურს მათი ბედნიერება და ვამბობ, ნეტავი მათ რიცხვში მეც ვიყო. — მაგრამ ცარიელის ნატვრით რა გამოვა და თუ გინდ ესეც აღმისრულდეს, ვინ იცის, ვიქნები თქვენგან, მათ მსგავსად, ყურადღებით მიღებულ? არა მგონია! ამიტომ რომ ამბობენ, მითომ ყოველს შვიდს წელიწადში კაცი ერთხელ იცვლება სახით, ჩვეულებით, ფიქრით, გულით; მაშასადამე თქვენცა და ნინაცა (1), ჩემის ანგარიშით, შეცვლილი ხართ ჯერ ექუსჯერ, და ამა მიხედვით თქვენ ახლა ის აღარ უნდა იყოთ, რაც იყავით პირველს პერიოდებში თქვენის სიცოცხლისა. რა საკურველია, მეც აღარ მექნება თქვენთან ის ადგილი, რომელიც ახლა შეუპყრიათ უცხო ქვეყნელთა. — მაგრამ ეს არ მაწუხებს ისე, როგორც ფიქრი, რომ თქვენ და ნინო ჰშთაფლულხართ ამ სოფლის წარმავალს სიამოვნებაში, და არა ჰფიქრობთ სულისათვის, საუკუნო ცხოვრებისათვის, რომელიცა მიგვეღის ჩვენ და რომელიცა ესრეთ მწარედ დაგივიწყებიათ. დროა, დროა, გეყოფათ! ორმოცი წელიწადი გირაკუნებსთ კარსა! აბა მომხედეთ მე. წინ მიძევს დავითნი და ყოველ დილით თითო კანონს ვჰკითხულობ ცრემლითა და შენანებითა, რომ ესოდენი წელიწადნი ჩემნი

წასულან ამაოდ, უფიქროდ, უსარგებლოდ სულისათვის ჩემისა, და არცა მოყვასთა ჩემთათვის საკეთილოდ. ღღეს დადგა დიდმარხვა, ვაი თქვენდა შეუნანელთა; ვაი ნინოს და მანანას, რომელთა გამოფხიზლება ამაო ცხოვრებისაგან იქმნების საზარელ, რომელთა აღარას უშველის არცა კბილთა ღრჭენა, არცა სასოწარკვეთილება! თუ დამიჯერებთ მოიქეცით თქვენ და ნინო გზასაზედა ეშმარიტებისასა, დაუტევეთ ეშმაკი, რომელიცა წინაგიძღვისთ თქვენ სულისა თქვენისა წარსაწყმედელად. და თუ არ დაშიჯერებთ, მაშ დავეხსნათ ამას და მოვიდეთ თქვენს ჩინებულს, ბრწყინვალეს შვილთან (2). მაგის ამბავი სულ წვრილად ვიცი: ეგ გამხდარა აკტრისების ლომი — მგონიაკი მოყვანილობით, სილამაზით არა ჰგვანდეს ლომსა — ესე იგი ჩვენს, ენაზედ აკტრისები არიან გვრიტნი, და ეგე მწყაზარი ქორი, ანუ შავარდენი, სადაც შეუტევს ბრეს გაადენს. სწორედ მოგახსენოთ კარგი გზა აურჩევია სადიდებელად თავის გვარისა და საკეთილდღეოდ თავის ოჯახისა. ოჰ რა გული მიღრინავს მაგაზედ, ოჰ ერთი ჩამივარდეს ეგ ხელში რომ ცხარის ცრემლით ვაწყევლინო სიცოცხლე! მიხაკო ტყუილად კი არ ამბობს „ვანო (3) ჩვენი ყვიციანი სულით ხორცით ჩიხიბიხო“. არა ეგ საძაგელი რატომ არას ფიქრობს თავის ოჯახისათვის, რას უგდია და ივარცხნის წვერსა? აგრე უნდა გაიაროს მაგის სიცოცხლემ? — პაპიები რომ ჩაუცვამს, მითომ ვინ უნდა გააგიჟოს? ამირეჯიბიანთა სულ პაპიები აცვიათ. გიჟსავით ამოუჩემებია ყოველ დილაზე ფრჩხილების წმენდა, დიახ, მითომ პასკევიჩია (4). აბა რა კაცი უნდა იყოს, რომელიცა ჰბაძავს სიარულში და ფეხების გრეხაში დურაკებს ჩერქეზთა. — დიახ მაგის მამაპაპანიც სულ იმათ ჰბაძავდნენ; ნეტავი იმათ, რომ მაგისთანა დიდებული, ჩინებული, პატივცემული შვილისშვილი გამოუვიდათ, რომლისა სახელი გარდამატებს მათ სახელთა. — ვწუხვარ სულით, და არ ვიცი როგორ გამოვიფხიზლო ვანო ესრეთის უზრუნველობისაგან, ესრეთის ცხოვრებისაგან, რომელიცა არ დასრულდება მაგისთვის კეთილად. ვიცი გამლანძღავს, თავისი ნებაა. მაგრამ მაგის დევიზი კი მანამ ეს არის: ჩვენო ვანო,

ყვიციანო,
სულით, ხორცით, ჩიხიბიხო!

ახლა მოვიდეთ ჩემს საყვარელს ტასიკოსთან (5), რატომ არ მიგზავნის ქისას, ანუ რათ დაავიწყდათ მაგას, ელენეს (6) და მარიამს (7) საბნის პირი, რომლისა მოქსოვა აღმითქვეს? ეგეც დედასავით ზარმაცია და ძმასავით უზრუნველი. თქვენი ახალუხიც ხომ არ მომივიდა; მაგრამ ან რათ ველი თქვენგან რასმეს? ახლა სხუანი არიან თქვენი სანებიერონი, ღმერთმან გიცოცხლოსთ ისინი სასიხარულოდ თქვენდა. ეეეეეეე მანანავ, აგრე არ უნდა!

სხვებრ ღ˜თი იყოს თქვენი მფარველი, და მე თუ გინდ დამივიწყეთ სრულიად.

თქვენი მორჩილი მოსამსახურე

გრიგოლ ორბელიანი.

თემირხანშურით 1846 წელს
თებერვლის 18 დღესა.

ღ˜თსა ვჰსთხოვ, რომ თქვენ და ნინო ამ დიდმარხვის მადლმან მაინც მოგარჯულოსთ.

73. ზაქარია ორბელიანისადმი

ჩემო საყვარელო ძმაო ზაქარიავ!

დიდის სიხარულით და მოუთმენელობით მოგელოდი შურაში მთავარ-მართებელთანა (1), და არ იქნა არ აღსრულდა სურვილი ესე ჩემი. გუშინ კნიაზ ბებუთოვმა მაცნობა, რომ სარდალი დაბრუნებულა შამახიიდამ; ძალიან, მეწყინა, როგორც საკუთრივ ჩემთვის, ეგრეცა ამა მხარისათვის, ამა ხალხისათვის, რომელიცა მოელოდა, მესსიასავით, მისს მოსვლასა. თავის თვალით იხილვიდა ადგილის მდებარეობასა, [illegible] მოისმენდა..მათ დარდსა, და მოსცემდაცა წამალსა. ხუმრობა არ არის ესოდენი ნაწილი დაღისტნისა: წუდახარა, აჰყოშა, ყაზიყუმუხი, ყაითაღი, დაშთენილია უჯაროდ, უნაჩალნიკოდ, ვინ არის მათი პატრონი? მათი ზედამხედველი, ანუ მმართველი? ტყუილად ნუ ჰგონია ნურავის, რომ ეს ხალხი ურუსის ჯაროდ შეებას, წინააღუდგეს შამილასა. და თუ ერთხელ, როგორმე მურუდებმა შემოყვეს თავი წუდახარაში, მაშინ ირწმუნე, რომ კორპუსები მოუნდებათ ამა მხრისა დასამშვიდებლად, რომელიცა ეხლა იხეეწება ჩვენსა მფარველობასა და შემწეობასა. — მარტო ეს ხალხი მისცემს ჯარად შამილასა ოცდაათი ათასს კაცსა ადვილად. — აი ესეები უნდა ენახა თავის თვალით სარდალსა. — ჩემის ანგარიშით არცა ჩაჩანი, არცა ყაბართო (2), არ არის ისე სავნებელი ჩვენთვის, როგორც ეს მხარე, ამიტომ რომ ზედ-ებმის ერთიერთმანეთზე სხუა და სხუა ხალხი, უეზდები, სულ თათრის სარწმუნოებისა, თითქმის ჩვენ კოდამდის. — იქით მხარეს საზღუარი არის თერგი(3), აქეთ-კენკი ჩვენი თბილისის აბანოები. — ძალიან, ძალიან მეშინიან მე; და მთავარმართებლის დაბრუნება მიმაჩნია ამა ხალხის უბედურებად.— მთლად მთაცა და ჩვენცა უყურებთ, თუ ვითარ დასრულდება შამილას შესვლა დიდს ყაბართოში; სწორე ამბები იქ ომებისა ჯერ არ მოგვსლია (4).

ჩვენის საბრალოს მიხაკოს (5) სიკვდილსა, მგონია, ჩემის წერილით აქამდის შეიტყობდი; მაცნობე, ქაიხოსრომ (6) შეიტყო თუ არა; ბებუთოვმა კი მისწერა.

ილიამ გამომიგზავნა კოპიები წერილებისა, რომელნიცა მისვლია მთავარმართებლისაგან. — მარტო ეს წიგნები არის საკმაოდ ილიას გასახელებისა და დიდებისათვის (7).

დიდი ხანია შენი წიგნი აღარ მომსვლია. შე კუწურაკო, ფულები, იმდენი ფულები დამტყუე, და ეხლა პასუხსაც არ მაღირსებ, ჰაა? ეხლაც ოცდაათის თუმნის ზარალი მომეცა თქვენის აქ მოუსვლელობისაგამო.

შენის პოლკის კამანდირობასა აქ ქვეყანა ჰყვიროდა, თვით კლუღენაუმაც მითხრა, ეგრეთვე კავალევსკიმაცა (8), მაგრამ ახრ როგორ დაბოლოვდა, ერთი მაცნობე და (9)?

ილია სად არის, სად მივსწერო, ისევ ელიზავეტოპოლში (10) იმყოფება, თუ როგორც მაცნობა, ლევანს მელიქოვს მიაბარა უეზდი?

სანდრიკო და ძალუა ჩამიკოცნე. ყაფლანმა რათ დამივიწყა.

ღ˙თი იყოს შენი მფარველი, და მან მაღირსოს შენი ხილვა მშვიდობიანად.

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

29-ს აპრილსა. 1846 წელსა.

ჯ უ ნ გ უ თ ა ი თ

ჩემი გასპაროვი (11) გთხოვს, რომ თუ შეიძლო, მოსცე შემწეობა: აი ამის საქმე: ამან ჰსთხოვა შარშან არზით სარდალსა თავის ძმების მიღება სახელმწიფოდ თბილისის ღიმნაზიაში; წარსრულსვე დეკემბერში ს ა ფ ო ნ ო ვ მ ა (12) მოსთხოვა доподнительные сведения, მას აქეთ დარჩა ეს საქმე ასე. — ახლა მე შენ გთხოვ, ზაქარიავ, რომ თუ შენ იცნობდე საფონოვს, ანუ სხვითგან როგორმე შეიძლო, ჰსთხოვო ამ საქმეში მოჰსცეს ამ საბრალოს ოჯახს მფარველობა თვისი და განაწესონ ამის ორნი ძმანი ღიმნაზიაში თბილისს სახელმწიფოს ხარჯზედ. —

ამის პასუხი მაცნობე.

74. ილია ორბელიანისადმი

ჩემო საყვარელო ძმაო ილიკო! დიდი ხანია, რა მომივიდა შენი წიგნი რომლისათანაცა გამოგეგზავნა კოპიები კნიაზ ვორონცოვისაგან შენდა მოწერილობათა. ირწმუნე ილიკო, რომ მეტად ვერაჯერით გამახარებდი, და ასგზის უმეტეს შემიყვარდი, მით უფრო რომ მეგონა, ელისავეტოპოლის უეზდის საქმენი, დიდი ხნის წამხდარნი, ვერ აღსრულდებოდენ ისე, როგორც ღ˙თის შეწევნით შენ დააბოლოვე. ახლა ყოჩაღათ დასდეგ მაგ გზაზედ და იარე მეტგრად, ფეხშეუბრკველად; მიანდე თავი შენი ღ˙თსა და იგი არასადა დაგიტევებს შენ.

მრავალთა სხუათა და სხუათა მიზეზთაგამო აქამდის ვერ მოგწერე პასუხი: ჯერ დავმარხე საბრალო ჩვენი მიხაკო, რომელიცა აღდგომას დღეს გადმოვარდა ცხენითგან და მაშინვე მოკუდა; და შენმა წიგნმა ვეღარ მოუსწრო ამას. მერმე წაველ მთაში ჯარით ო ღ ლ ი ს ა (1); მერმე ვიყავით მზადებაში სარდლის მოსვლისათვის და დავრჩი აქამომდის ასე. — ახლა სარდალიც იყო აქა, ზაქარიაც იყო ჩემთან ყონაღათ ჯუნგუთაისა, გავაცილეთ აჰყოშამდის და იქ გამოვესალმე. — ამან მიამბო შენი დახვედრა განჯას ზურნით, ნაღარით, შუშხუნებით; მიამბო ჩვენი ქალების კოკეტკობა, ეგრეთვე ესეცა, რომ ამას აღარ უყურებენ, და ამით შევატყე, რომ ზაქარია გულდამწვარია იმათგან. ზოგიერთთან წიგნებიც გამომართვა შესარიგებლად. —

კნიაზ ვარანცოვმა აღუთქვა ზაქარიას პოლკი აპშერონსკისა. ყაფლანმა ჰსთქვა წინასწარმეტყველსავით „წავიდნენ ზურაბიანნი წინ“ — ერთი მაგის ამბავი მომწერე, როგორ ზასედატლობს (2)? მეშინიან, ბოლოს პოდსუდში არ მისცენ. ერთი წიგნი მოაწერინე ჩემთან, ხომ იცის უმაგისოდ ვერ გამიძლია.

აქაური ამბავი ჯერ ახალი არა არისრა. შამილა ყაბართოში იყო შაიტყობდი რა საკურველია; თუმცა სრულებით ვერა გაარიგა რა, მაგრამ ესა ჰსთქვი, რატომ სრულებით იქ არ დაილუპა? ფონი ჩვენს ხელში, ყოვლის მხრით ჩვენი ჯარები, მაგრამ ეჰ რა გაეწყობა, ხელიდან გაუშვეს, ძალიან ჰსწყინს სარდალსა, რომელიცა თუ მოსწრებოდა იქა დროზე, მაშინ იქნებოდა შამილას აღსასრული, მაგრამ არ იქნა (3). — ღ ი თო, რა დაულალავი კაცი ყოფილა. ოცდაოთხის აპრილიდამ გამოსული შამახიით, ოცდარვას მიიპრა ვლადიკავკაზსა! ახლა აქ, ამ მთებზე ამ საძაგელს გზებზე, ცხენით მიდის, რა ²იდის, რომ მეტი თქმა აღარ იქნება! შენ ხომ იცი გზები აჰყოშიდამ წუდახარაზე ყაზიყუმიხსა, იქიდამ ჩირაღი, ქურაღი, ახტა, ხაზრა და ყუბა; აი მარშრუტი. შენ გაშინჯე ამით ამისი ღონე და გაძლება. ეს დიდი ბედნიერება იყო ამა მხარესათვის, რომ თვით იხილა ხალხიცა და ადგილის მდებარეობაცა.

გულით მიხარიან რომ ზაქარია ასე შეჰყვარებია სარდალსა. — ერთი შენ მომწერე წვრილად, როგორ დახვდი კნეინას ვარანცოვსა (4) და ან ვინ იყვნენ მასთან ქალთაგანნი. — ეგრეთვე რამდენი ხანი უნდა დაჰყო შენ მანდა, ანუ ვინ იქნება შენს მოადგილედ?

კაკალა ბრძანდება ეილაღზე ა რ ქ ა ზ ს ა (5), მაგრამ დალპა წვიმისაგან; მეც ვაპირებ იქ ასვლას ველი მხოლოდ გამოდარებასა.

სამურსკის პოლკსა აყენებენ აჰყოშაში მ ი ჯ ა ხ ა ს (6) სოფელთან; მაგრამ ამითაც არა გახდება რა; ჩვენი ციხე, კარგი დიდი ციხე, ექუსის ბატალიონით მანამ არ დადგება ო უ ღ ჯ ა ს ა, მანამდის ამ მხარეს არა ეშველება რა; ერთი ბატალიონიც გერგებილში (7), რომ ამით მოჰსწყდება დიდი ნაწილი დაღისტნისა ავარიის ყოისუმდის — რომელიცა უნდა იყოს უთოოდ

ᲡᲐᲛᲮᲚᲕᲐᲠᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲝᲡᲕᲚᲐᲛᲓᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲡᲬᲧᲓᲔᲑᲐ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲠᲔᲖᲣᲚᲢᲐᲢᲘᲪ ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘᲪ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲖᲔᲓ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲮᲢᲘᲡ ᲒᲖᲐ, ᲔᲡᲔᲪ ᲒᲐᲙᲔᲗᲓᲔᲑᲐ, ᲨᲔᲜ ᲘᲤᲘᲥᲠᲔ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲠᲐ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲔᲝᲠᲔᲡ ᲓᲦᲔ ᲠᲣᲦᲯᲘᲓᲐᲛ ᲙᲐᲮᲔᲗᲡ ᲩᲐᲛᲝᲕᲐ ᲙᲐᲪᲘ — ᲕᲐᲛᲑᲝᲑ, ᲕᲐᲛᲑᲝᲑ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲔᲡᲛᲘᲡ! ᲗᲣ ᲣᲜᲓᲐᲗ ᲓᲐᲦᲘᲡᲢᲜᲘᲡ ᲨᲔᲠᲙᲣᲠᲝᲑᲐ, ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲚᲐᲜᲘ, ᲡᲮᲣᲐ ᲡᲣᲚ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ. — ᲗᲝᲠᲔᲛ ᲡᲣᲚ ᲮᲝᲛ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜ, ᲔᲠᲗᲮᲔᲚᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ, ᲛᲢᲔᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲫᲕᲠᲔᲑᲐ ᲬᲣᲓᲐᲮᲐᲠᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲜᲐᲮᲐᲕ ᲡᲐᲓᲐᲛᲓᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲔᲕᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲡᲬᲔᲕᲡ ᲐᲠᲔᲣᲚᲝᲑᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐ. — ᲐᲑᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲗᲕᲐᲚᲘ ᲐᲓᲔᲕᲔᲜᲔ, ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲔᲝᲠᲔᲡ ᲛᲝᲔᲑᲛᲘᲐᲜ ᲯᲐᲭᲣᲡᲐᲕᲘᲗ ᲡᲣᲚ ᲛᲐᲭᲛᲐᲓᲘᲡ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲔᲑᲘᲡᲐᲜᲘ! ᲠᲐᲡ ᲩᲐᲐᲪᲘᲕᲓᲔᲜ ᲩᲐᲩᲐᲜᲡᲐ? ᲩᲐᲩᲐᲜᲘ ᲠᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲘᲠᲘᲝᲡ ᲗᲔᲠᲒᲡ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲕᲐ: ᲠᲣᲡᲔᲑᲡ ᲮᲝᲛ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲐᲛᲣᲠᲣᲓᲔᲑᲡ (⁹)? ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲣ ᲔᲠᲗᲘ ᲤᲔᲮᲘ ᲬᲐᲒᲕᲘᲡᲚᲢᲐ ᲓᲦᲘᲡᲢᲐᲜᲨᲘ, ᲛᲐᲨᲘᲜᲙᲘ ᲐᲑᲐᲜᲝᲔᲑᲐᲛᲓᲘᲡ ᲓᲐᲘᲫᲐᲮᲔᲑᲔᲜ ᲚᲐᲘᲚᲐᲘᲡᲐ. — ᲛᲔ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲒᲘᲗᲮᲠᲐ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲔᲨᲘᲜᲘᲐᲜ.

ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲨᲔᲜᲘ ᲜᲐᲮᲐᲕ; ᲛᲔ ᲓᲐ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐ ᲡᲣᲚ ᲨᲔᲜᲖᲔᲓ ᲕᲚᲐᲥᲚᲐᲥᲝᲑᲓᲘᲗ. ᲨᲔᲛᲝᲛᲩᲘᲕᲚᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲨᲔᲜᲖᲔ, ᲠᲝᲛ ᲝᲯᲐᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲡ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡᲐ, ᲤᲣᲚᲔᲑᲘ ᲡᲣᲚ ᲬᲐᲐᲒᲔᲑᲘᲜᲐᲝ.—ᲗᲣ ᲦᲗᲛᲐ ᲘᲜᲔᲑᲐ, ᲛᲘᲜᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲛᲓᲒᲝᲛᲐᲖᲔᲓ ᲛᲝᲕᲘᲓᲔ ᲨᲘᲜ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲝᲛᲔᲬᲧᲘᲜᲐ ᲐᲥ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ, ᲓᲐ ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐ, ᲠᲐ ᲣᲧᲝ, ᲯᲘᲑᲔᲨᲘ ᲙᲘ ᲐᲠᲐ ᲛᲠᲩᲔᲑᲐ ᲠᲐ ᲓᲐ? ᲨᲔᲜ ᲘᲪᲘ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲬᲠᲔᲚᲔᲑᲣᲚᲡ ᲬᲘᲒᲜᲡ ᲛᲝᲘᲬᲔᲠᲔᲑᲘ ᲩᲔᲛᲗᲐᲜ. ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲗ ᲩᲔᲛᲝ ᲘᲚᲘᲙᲝ, ᲦᲗᲘ ᲘᲧᲝᲡ ᲨᲔᲜᲘ ᲛᲤᲐᲠᲕᲔᲚᲘ

ᲨᲔᲜᲘ ᲫᲛᲐ ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ

27 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ 1846
ᲯᲣᲜᲒᲣᲗᲐᲘᲗ.

ᲙᲘᲙᲝ ᲢᲣᲚᲐᲔᲕᲡ (⁹) ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲗ ᲛᲝᲕᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕ.

75. ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐ ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ᲩᲔᲛᲝ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲝ ᲫᲛᲐᲝ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐᲕ! ᲨᲔᲜ ᲠᲝᲛ ᲬᲐᲮᲕᲔᲚ ᲐᲥᲔᲓᲐᲛ, ᲐᲘ ᲠᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲗᲔᲛᲘᲠᲮᲐᲜᲨᲣᲠᲐᲨᲘ: ᲦᲝᲨᲞᲘᲢᲚᲘᲡ ᲡᲛᲝᲢᲠᲘᲢᲔᲚᲛᲐ ᲛᲘᲯᲣᲚᲐᲜᲒᲐ ᲝᲠᲘᲐᲗᲐᲡ ᲝᲠᲐᲡᲘ ᲗᲣᲛᲐᲜᲘ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲤᲣᲚᲘ, ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡ �გᲐᲛᲝ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲞᲝᲓᲐᲠᲔᲡᲢᲨᲘ ᲙᲐᲛᲔᲜᲓᲐᲜᲢᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲠᲐᲚᲝ ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲔᲗᲘᲚᲨᲝᲑᲘᲚᲘ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ ᲦᲝᲚᲑᲚᲐᲢᲘ (¹), ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪᲐ ᲐᲣᲬᲔᲠᲔᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲥᲝᲜᲔᲑᲐ. — ᲐᲮᲚᲐ ᲒᲐᲘᲒᲝᲜᲔ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲦᲝᲚᲛᲑᲚᲐᲢᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲒᲔᲑ ᲨᲔᲘᲫᲚᲝ ᲕᲘᲡᲗᲐᲜᲛᲔ ᲨᲔᲛᲬᲧᲝᲛᲑᲐ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘᲗᲐ, ᲣᲤᲠᲝ ᲨᲭᲔᲠᲑᲘᲜᲘᲜᲗᲐᲜ (²), ᲐᲜᲣ ᲡᲮᲕᲐ ᲙᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲗᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪᲐ ᲐᲥᲣᲡᲗ ᲮᲛᲐ ᲠᲐᲓᲛᲔ.

ᲦᲝᲚᲛᲑᲚᲐᲢᲘ, ᲕᲘᲗᲐᲠᲪᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ, ᲘᲧᲝ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ ᲐᲥᲐ ᲒᲐᲜᲒᲔᲑ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲥᲐᲣᲠᲡ ᲦᲝᲨᲞᲘᲢᲐᲚᲨᲘ ᲨᲔᲐᲛᲪᲘᲠᲝᲡ ᲘᲡ ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲘ смертность, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪᲐ 1844 ᲘᲮᲝᲪᲔᲑᲝᲓᲔᲜ ᲗᲕᲔᲨᲘ ᲮᲣᲗᲐᲡᲘ ᲙᲐᲪᲘ. — ᲛᲐᲠ-

თლად, რა მოვიდა, თავისის მეცადინეობით, ცოდნით პირველს თვეშიევ ხუთასიდამ ჩამოვიდა ასორმოცამდის და შემდეგ შეამცირა უფრო და უფრო, და ასეთს მდგომარეობაში მოიყვანა ღოშპიტალი ყოვლის მხრით, რომ კნიაზ ვარანცოვმა კორპუსში მოსცა მადლობა და შემდეგ მოუტანინა ყელზედ ანნა. — ამ წლის 1-სა ღოშპიტლის სუმმა იყო მხოლოდ 250 მანათი, მაშასადამე სმოტრიტელი მაშინ მაგდენს ვერას მოიპარავდა. შემდეგს თებერვალში მოუვიდათ $\frac{3}{\text{ათასი}}$ თუმანი კამისიიდამ, სმოტრიტელი დაეთხოვა ბებუთოვსა ასტრახანში (³), და ფული იაშჩიკით დაბეჭდილი მიაბარა კამენდანტსა, რომელმანცა თავისის დაუდეგენლობით და უფრო მით რომ ენდობოდა, მიიღო ეს იაშჩიკი და არ გაშინჯა, თუ რა იყო, ანუ როდენი, და როდესაც ღოლმბატმა ჰკითხა კომისარსა ფულისათვის, ამან უთხრა, რომ რაც საჭირო არის ღოშპიტლისათვის, მე მაქუსო და დანარჩენი სუმმა იაშჩიკით კამენდანტმა ნაობახტში მიაბარაო. — ეს საბრალო დოხტორიც მარტში დაეთხოვა ქალაქსა, შემდეგ რა დაბრუნდა იქიდამ, გაერთო კიდევ ავათმყოფების მოვლაში, რადგანაც ბევრი შეგროვილიყვნენ ·ცინგოტნითა და თეალის ტკივილითა, რომელიცა ძალიან გახშირებული• იყო მაშინა, და სრულიად ფიქრში არ მოუვიდა შემოწმება სუმმისა ყოველს თვეს კანონისამებრ; და ამისგამო იღუპება სრულიად ეს ჩინებული, უანგარო, მსწავლული დოხტორი ღოლმბლატი თავისის ცოლშვილით. — ამას იხვეწება მხოლოდ რომ რაცა მაქუს, •გაყიდონო, დანარჩენი ჩემის ჯამაგირიდამ გამომირიცხონო, ოღონკი ეს მოწყალება მიიღოს სარდალმაო, რომ ჩემს ოცდა ორი წლის სამსახურსა ნუ გამიფუჭებენო; რა საკურველია დანაშაული მაქუსო, რომ არ შევამოწმე სუმმაო, — მაგრამ რა მომაფიქრებდაო, რომ სმოტრიტელი, რომელნიცა მდიდრდებიან ღოშპიტლებიდამ, ასე თავისთავსაც და ჩვენცა დაგვღუპავდაო; მე მხოლოდ იმაზე მეჭირა თვალყურიო, რომ ავათმყოფებ' არა დაჭკლებოდათრაო.

ახლა ჩემო ზაქარიავ ეგეგ შჩერბინინსა, ანუ სხვას ვისმე კარის კაცთაგანსა, ჩააგონო ამ საწყლის მდგომარეობა, რომ ამოდენის წლის სამსახური არ წაუხდეს ამ-ს

ილიას წიგნი მომიტანა დღეს ერთმა განჯის არხიმანდრიტის დისწულმა; მწერს, ეს გამომიგზავნია შენთანაო, რომ ნაგრადები მოუტანინოო. — ახრ, რა არის ახლა ამგვარი რალაებიცა იმისგან? — მე ჩემი თავი ვერ შემინახავს, ეს სად უნდა და ანუ რით შევინახო; ახლა ამას ხომ ცხენიც უნდა და აბა საიდამ მივცე? და ანუ ნაგრადები, განა ჯიბეში მიძევს?

მშვიდობით შენი ძმა გრიგოლი

1-ს •ივნისს
თემირხანშურით 1846.

ძალუას სიყვარულით მოვიკითხავ; როცა ილია აქ იყო ყოველს ფოშტაში ორს წიგნს სწერდა და მე კი ერთხელ არ მომიგონებს. სანდრიკოს ჩაუკოცნი.

წარსრულს კვირაში შ ე ო რ ი ს სიახლოვიდამ მოგვტაცეს საქონელი, ძროხა, ხარები, ცხენები, რომელნიცა ეკუთვნოდენ აფიცრებსა, პოლკებსა, სალდათებსა, სწორე რიცხვი არ ვიცი და მგონია ს ა მ ა ს ზ ე მეტი იყოს. კარგი დავლაა.

76. ილია ორბელიანისადმი

ახრ ჩემო ილიკო! მე არას გეტყვი, მაგრამ შენ კი უნდა გრცხვენოდეს, რომ ესოდენი ხანია არასა მწერ. შენ წასულხარ ქალაქსა, არ ვიცი ისევ იქა ხარ თუ დაბრუნდი განჯასა? შინიდამაც, შენსავით, არავინა მწერს. — მადლობის თქმის ძეტი მე აღარა მეთქმის რა, ამიტომ რომ ყველრებით ვერა გავაწყერა შენთანა.

შამილამ ჩამოუარა თავის სამზღუარსა, ჩვენის სარდლის მზგავსად იყო ტელეტლოს, ყარახსა, სოლრატლსა, რუღჯას, ზირანაში, და გიმრის. თანა ჰყვანდა მხოლოდ თავის მახლობელნი, დადიოდა და ჰსჩხრეკდა სიმაგრეებს და ხალხსა. — გიმრში მოუვიდა ამბავი სარდლის ჩაჩანში მოსვლისა, ამისათვის აქედამ გაეშურა მისაშველებლად, და ცხენოსანი ჯარიც მოითხოვა ყოისუბუდამ (1), სალათაუდამ და გუმბეთიდამ (2). — ამ ჟამად არვიცი თვით სად იმყოფება; წავიდა თუ არა ჩაჩანში.

არღუთინსკი ამოვიდა ჯარით ჯერ ყაზიყუმუხში. — ჩვენი შერის ოტრიადი წლეულს მუშაობაში არის გართული, თუ მტერმა მოასვენა. — დალისტნის პოლკი აშენებს შტაბკვარტირას იშკარტში (3), — მთლად სამეხთულო დაცლილია რუსის ჯარისაგან, და შენ იფიქრე რა მოსვენებაში უნდა ვიყო.

ბარბარე ოთარის ცოლის (4) წიგნი მომივიდა, რა საკურველია, ფულს ითხოვს. — მეც დიდის ოხვრით და სიმწარით გაუგზავნე ფოშტით ათი თუმანი სულ სიქა მანათი და შეუთვალე რომ მეტი აღარა მთხოვოს, მანამ არ გავმდიდრდე. — ეს ფული შენუმომიკვდები, ეფემიასთვის ძინდოდა, და ამ წყეულმა დედაკაცმა გამომტაცა ხელიდამ. — დავრჩი ამ ტრეტში ასე, რომ ეფემიას ვეღარ გაუგზავნი; ეგებ შენ, ჩემო ილიკო, ხუთის თუმნით მაინც შეეწიე. —

ყაფლანის ამბავი მომწერე, როგორ ზასედატლობს, უქაზები ხომ არა რჩება ყაზარას სამზარეულოში. — თუ გიყვარვარ მოაწერინე ჩემთან უთოოდ.

ქალაქის ამბავი მომწერე წვრილად, რად იყავ ამდენი ხანი, რა ნახე, როგორ დაბრუნდი, ნუ დაიზარებ ჩემო ილიკო.

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი

1-ს ივლისს 1846
ჯ უ ნ გ უ თ ა ი თ

ჩემო ყაფლან, ჩემო ო ხ რ ვ ი ს კ ვ ი პ ა რ ო ზ ო — ეს მეცარ ვიცი რას ნიშნავს — ერთი შენის წიგნით გამახარე და? როგორა ხარ შენს თანამდებობაში, ანუ როგორ ატარებ დროსა, ანუ რომელს სოფელში ხარ, ერთი მომწერე და?

შენი გ რ ი გ ო ლ ი.

ეს ბარათი ილიკომ მოხიოს და ჩემს თაიგულს გაუგზავნოს.

77. ᲛᲐᲡᲘᲓ

შენი წიგნი, ჩემო ილიკო, მომივიდა შენის კ ო ჩ ე ვ ი დ ა მ (1). ძლივს ჩხირი კედელს, რომ მოგაგონდი. — შენი მაიორობა ძალიან მიამა, ორი ნაბიჯილა გიკლია ჩემამდის (2). — გახსოვს უწინ შენი отчаяние, როდესაც იწყევლიდი ბედსა? აბა აგრე მოთმინებითა ყოველივე წარემატების კაცსა, რომელიცა მიანდობს თავსა თვისსა ღ-თსა. — შენის ბედნიერებისათვის მე ვხარობ გულითა.

ამ საათში, ნეტავი იცოდე, ვინ იყო ჩემთან. — ჩვენი სულეიმანხანი (3) ეს ოთხი დღეა არის ჩემთან ჯუნგუთაისში. — მოსულა ეს საბრალო ოცდაორის ნოქრებით თემირხანშურაში მთავარმართებლის ბრძანებით აქ სამსახურისათვის ეკსპედიციის ჟამსა, მაგრამ კნიაზ ბებუთოვსა კი არაფერი მოწერილობა არ მოსვლია ამის მოსვლისათვის და სამსახურისათვის და ახლა როგორც იცი, მისწერეს მთავარმართებელსა, მანამ იქიდამ მოვა პასუხი, ეს ზაფხულიც გავა და დარჩება ცარიელი, ეს ჩვენი შირვანშაჰ. — მაგრამ მე კი ძალიან მიამა ამის აქ ყოფნა, ვატარებთ დროსა, როგორც არის რაღა, ხშირად გიგონებთ, მეტადრე ყაფლანსა.

აქაური ამბავი: მგონია მოგწერე ამასწინად, რომ მეხი დაეცა ევგენიევსკის ციხეში (4) პორობოვის პოლრებზედ და ერთიანად აიფეთქა წამალმა, კედელი ყოისუს (5) მხრისკენ გადავარდა წყალში, დაიწო სუხარი მთლად 9 ათასი ჩეტვერტი, სახლები თითქმის ერთიანად; მაგრამ გარნიზონიკი და ზარბაზნები მორჩნენ, ასე რომ 1 აფიც. 4 სალდათი მოკვდა და ოცდაათამდის მსუბუქად დაიჭრნენ. — ეს ამბავი გავარდა მათში, რა საკურველია დიდის მომატებით, რომ სულ დაიღუპა თემირხანშურის ჯარი; ამის გამო

ჩერქეის ჯამალამ (6) ჰსთხოვა შამილას ჯარი, რომ მცირედღა დარჩომილი რუსის ჯარი ამოწყვიტოს; იმანაც მოსცა სამი ზარბაზანი და ჯარი; მოვიდენ ჩერქეის კოშკებთან ხიდთანა; იქიდამ ანაზდეულად გამოვარდა ზარბაზანი, დააყოლეს, და დააყოლეს, ჩერქეის ციხიდამაც — სადაცა მოიყვანეს ყოველივე რიგზედ — მისცეს ბანი ზარბაზნებიდამ; მურუდები დაფთხნენ და იმავე ღამეს გაიპარნენ. — ამ შემთხვევაში ძალიან კარგათ მოქცეულა — ბებუთოვი მწერს — ჩვენი მაიორი ბ უ ჭ ყ ი ე ვ ი (7), რომელიც ახლად დაინიშნა ამ ციხის კამენდანტად. — ვნახოთ, შამილა რას იტყვის. —

არლუთინსკი წავიდა ტენცლერუხისაკენ (8); ჩვენს აიმაკის (9) მთებზედ ისმოდა ხმა ზარბაზნებისა და ჯერ სწორედკი არ მომსვლია ამბავი.

ჩემო ილიკო, რაღა ჩემგან გინდა დარიგება, რომ ჩვენს საბრალოს ეფემიას უნდა შეეწიო ხოლმე შენის შეძლებისამებრ. — ჩვენის მეტი ვინღა ჰყავს საწყალსა ნუგეშად.

მე ვიმყოფები ამ ზაფხულსა მარტოდ მარტო ურუსის ჯაროდ ჯუნგუთაისში და ხანდახან ავდივარ კიდეც მთაში მარტო ჩემის ჯარით. — ძალიან, ძალიან მომწყინდა აქ ყოფნა, თავი მთლად გამითეთრდა. —

შენი ამბავი მომწერე, როდემდის უნდა იყო მანდა, დროებით ხარ დანიშნული, თუ დამტკიცებული. —

ანდრონიკოვი ივანე (10) მოვიდა აქ ყაზიყუმუხიდამ, დაჰყო ჩემთან შურაში ორი სამი დღე, და წავიდა ავათმყოფი ჩაჩანში, სადაც დაებარებინა სარდალსა; მაგრამ სარდალი ახლა იქ არ არის, და რა უნდა იყოს ივანე იმ ოტრიადში არ ვიცი, და არც ივანემ იცის. — ან ეს საწყალი რას დარბის, რატომ თავის სახლკარს არ უვლის, ამის სანაცვლოდ რა უნდა იპოვოს, მერმე ასე სნეულმა?

დიმიტრი ონიკოვი (11) მომიკითხე სიყვარულით, უთხარ რომ ალექსანდრეს (12) წიგნი ყოველთვის მომდის, აფიცრობაში ძალიან დაშვენებულა, მაგრამ უწინდელი მეგობრები კი აღარ ახსოვს. —

ღ ́თი იყოს შენი მფარველი ჩემო ილიკო.

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი

29-ს იელისს 1846
ჯ უ ნ გ უ თ ა[ი თ]*).

78. ბ ა ს ვ ე

ჩემო საყვარელო ილიკო! მრავალთა საქმეთაგამო დამიგვიანდა მომწერა შენთვის იმ საკვირველის გამარჯვების ამბავი, რომელიცა მოგვიხდა ამ თვის 15-ს სოფელს ქ უ თ ი შ ა ს ა (1), რომელიცა ძევს ლავაშის (2) სიახლოეს:

*), წერილი მცირედ დაზიანებულია.

ეს ორი წელიწადია ქადაგად გადვიქეცა, რომ აჰყოშასა და წუდახარს ნუ უშვებენ ასე უჯაროდ, შენც ბევრჯელ მოგწერე გულმტკივნეულმან, რომ აქ ყურს არავინ მიგდებდა, და აჰა წინასწარმეტყველება ჩემი აღსრულდა: შამილა მოვიდა ტელეტლოსა, ჯარები შეაგროვა ყოროდას (8) ხიდთან, სალტას, რუღჯას და ამ მაზრაში, ერთბაშად შემოუტია წუდახარას, და მანამ ჩვენი ოტრიადები შურისა და ყუმუხისა შეგროვდებოდენ და სუხარს დაურიგებდენ. მტერმა აიღო წუდახარიცა და ხოჯალმაქიცა. ახლა შენ იფიქრე რას მდგომარეობაში იქმნებოდა ეს მხარე! აჰყოშადამ პირველნი ჯაცნი მაშინვე გამოიქცნენ, ხალხი მაშინვე დამორჩილდა შამილასა, რომელმანცა აიკლო სრულებით წუდახარი, დასწვა, დასდაგა და გადმოვიდა ხოჯალმაქსა; ეს მშვენიერი სოფელიც განაცრდა. აქ მოუვიდა შამილასა ყოველის მხრით დეპუტატები, ყაითაღიდამ, სურჰიდამ, ტაბასარანიდამ (4), ბაშლიდამ (5) და ასეთი შიში და არეულობა მოხდა, რომ დერბენდის გზიდამ ფოშტები ასხნეს, თვით გუბდენიცკი (6) დამორჩილდა შამილასა. — ამ დროს აიმაკმაც შეუშვა მურუდები, როდესაც ჩვენი ოტრიადი იდგა ოღლისა; ენიაზ ბებუთოვიც მოვიდა შურიდამ, მეორეს დღეს ჩავედით აიმაკში და სრულებით გადავსწვით და დავანგრიეთ; მუსა ბელაქნელი (7) თავის ჯარით გაიქცა. იმავე დღეს დავბრუნდით ოღლისა, სადაცა მოგვივიდა ამბავი, რომ მურუდის ჯარი შემოსულა ქუთიშასა. — 14-ს ამ თვისას ჩვენი ოტრიადი (8) მივიდა ლავაშასა; შამილამ რა ჰსცნა ჩვენი იქ მისვლა, თვითონ ულლუაიდამ (9) გადმოვიდა ქუთიშაში, და ჰაჯიმურად დიდის ცხენოსნის და ქვეითის ჯარით დააყენა ყ ა ყ ა მ ა ქ ი ს (10), ამ განზრახვით, რომ ჩვენი ჯარი, რომელზედაც მივიდეს, ორს ცეცხლს შუა დარჩეს.— ჩვენი ოტრიადი იყო შედგენილი 6-ის ბატალიონით, 8-ის ზარბაზნით, 2-ის დივიზიონის დრაგუნით და მილიცია ხუთასამდის ჯაცი.

15-ს ამ თვისას წავედით ქუთიშისკენ ამ წესით: ცხენოსანი ჯარი ჩემხელქვეით ვიყავით წინა, კუდაშეკი (11) მომდევდა ბატალიონებით, და ზაქარია (12) არიერგარდითა. — რა მივახლოვდით სოფელსა, მე გავჰყავ კავალერია ორად, და შეუტიე ორის გორების ასაღებად, რომელნიცა ჰკამანდობდენ წინადამ სოფელსა. რა ავედი გორაზე, ენახე რომ საზარელი კავალერია მტრისა შეგროვდა ერთად და ირევა დაუწყობლად, უწესობით, მოუმზადებლობით; მაშინვე უკამანდე დრაგუნებს მარშ, მარშ! შევიეერით ცხენოსანნი სოფელში, დაფთხა ეს ამოდენი ჯარი მტრისა და დაუწყეთ ხმლით ჩეხა და კეფა. გიჟი ქართველი მაჩაბელი (13) მომდევდა ყოჩაღად თავის ესკადრონით; სახლებიდამ ასტეხეს თოფის სროლა ჩვენზედ, მაგრამ ვერც მტერი შედგა, ვერც ჩვენ შეგვაყენეს; ვიწრო ქუჩებში შეიქმნა ხმლის ტრიალი; ერთმა ხანჯალი მომიქნია ბარძაყში. მაგრამ ასეთი გავადე ხმალი გოგრაში, რომ მგონია საიქიოსაც მოაგონდეს, მეორესაც გაუსვი კისერში; ეს დრაგუნები ხომ რა მოგახსენო, საკურველი ვაჟკაცნი ყოფილან აფიცრებიც და სალდათებიც, მეტადრე მაჩაბელი. — ამ გვარად გავ-

რეკეთ მტერი სოფლიდამ, მოგვეშველა პეხოტაცა, ვდიეთ ორიოდ ვერსი ყულიბეგ ([14]) მთისკენ, საიდამაც ფეზე ([15]) ჩავიდა გერგებილსა, მაგრამ საშინელმა ნისლმა დაჰფარა გაქცეულნი. — ამ დროს ჰაჯიმურად, რომელმანც ჯერ არ იცოდა შამილის გაქცევა, მოუხდა დიდის კავალერიით არიერგარდსა; აქ დახვდა ზურაბის მეორე შვილი ზაქარია და სულ ბრე ადინა, კნიაზ კუდაშევიც მოსწვდა დანარჩენის დრაგუნებითა და ხოჯალმაქის ხეობამდის ჰსდიეს. — ასე ადვილად დაბოლოვდა ამ საკვირველის მაგარის სოფლის აღება, სადაცა იყო თვით შამილა თხუთმეტის პირველის გამოჩენილის ნაიბებითა. — ერთი ზარბაზანი გორნისა — ამის მეტი არა ჰქონდა — 23 ზარიადნის იაშჩიკი, მრავალი ბაირაღები, შამილას ბარაპანი და ცული, რომლითაც აპრევინებდა თავებსა, მისი ქულაჯა, ცხენი, ასამდის თუმანი, მოგროვებული მოვაჯირებისა და გაქცეულის სალდათების სახარჯოდ, ეს ფული რა საკურველია არ გამოჩნდა, ესენი სულ ჩვენ დაგვრჩა, — ყიბიტმაჰმადის ბეჰედიცა და მრავალი საქონელი და თოფიარაღი. — თვით შამილაცა ქვეითი ერთს სოლრატელს კაცს ძლივ რის ყოფით გაეთრია უკზო უკლოდ. — 300-მდის ტყვე დავიჭირეთ, და მგონია ათასამდის დაიხოცა იმათი; თვით მურიდები ანგარიშობენ დანაკარგსა 1200 კაცსა. ჩვენის მხრით დაიხოცა 1 აფიცარი, დაიჭრნენ, მგონია 5-ი, და სალდათები 15-ი მოკუდა და 60-ის დაიჭრა მილიციონერებით. — მგონია ამდონი იყოს, სწორედკი აო ვიცი ([16]).

ამ გამარჯვებამ დაამშვიდა ეს არეული, აშლილი მხარე; მაგრამ რა გამოვიდა, როდემდის უნდა ასეთს მდგომარეობაში იყოს ეს მხარე, მეტადრე ამას იქით, უწუდახაროდ, უხოჯალმაქოდ და უაიმაკოდ? ეხლა რომელს ნაიბსაც უნდა აპყოშას აიღებს, ასე წახდა ეს ხალხი.

დანიილ სულთანი არ იყო აქა; ეს თავის ჯარით ყაზიყუმუხისკენ იყო და რამდენიმე სამზღვარზედ სოფლებიც დაიმორჩილა, მაგრამ რა ესმა შამილის გაქცევა, თვითცა აიყარა და გაიქცა ყარახისკენ. —

კნიაზ არლუთინსკი იყო ყუმუხში და აგროვებდა თავის ოტრიადსა, რომელიცა ძლივ შეგროვდა ქუთაისის ომის შემდეგ.

ამთვის 22 ჩვენი ოტრიადი მოვიდა შურასა, სადაცა დაახვედრეს ბებუთოვსა ზარბაზნის შადლუხები. — ბებუთოვსა, სიბერის დროს, კარგი დუშეში მოუვიდა.

ჩემი ნინიკა კიდევ დაიჭრა; ტყვია მოხვდა ყურში, მაგრამ არაფერია, გაივლის. ექუსი ჩემი ნოქარი დაიჭრა სულ თავში ხმლითა.

ხშირადა ვნატრულობთ მე და ზაქარია შენს აქ ყოფნასა; ხშირად გიგონებთ შენ, ყაფლანსა და აბრამასა ([17]),

მე ვაპირებ ღ"თით მოსვლასა ქალაქში, მინდა ერთი სული მოვიბრუნო; მაგრამ ცხენები .ეი უნდა მიშოვნო, ბედაური საჩემო ცხენები; უარის თქმას არ მივიღებ და არცა კვიცებსა. მე კვიცების თავი არა მაქუს, და არცა მეკადრება კვიცებზე ჯდომა. —

დრაგუნების იერიში აულ ჯუთიშახე 1846 წ.

არ ვიცი მოგწერე თუ არა რომ ზაქარია მორჩა პოლკის მიღებასა,
63 / ათასი გამოართვა. ანგარიშით არც ბევრია, არც ცოტა.

შენი ამბავი დიდიხანია არ მომსვლია, მას აქეთ რა აჩლოიდამ (18) დაბრუნდი, ერთხელ ერთი დაწვრილებითი წიგნი არ მომივიდა შენგან, რომ სწორედ ვიცოდე შენი მდგომარეობა. — აი კაკალას ოჯახი დაიქცეს, რომ შენ გაგრძელა ზნეობით. —

რაზბოინიკების გაქცევა რომ მოგეწერა, შემატყობინე როგორ დააბოლოვე ეგ საქმე; ხომ კიდევ არ დაიწყეს ავაზაკობა?

შენი ბანდაყული დიმიტრი ონიკოვი მომიკითხე.
მშვიდობით, ღ'თი იყოს შენი მფარველი

შენი ძმა. გ რ ი გ ო ლ ი

25-ს ოკტომბერს 1846
თ ე მ ი რ ხ ა ნ შ უ რ ი თ.

79. ბ ა ხ ბ ი

ჩემო ილიკო, ამის მომტანი გახლავს განჯელი პ რ ო ტ ო პ ო პ ო ვ ი, რომლისა მამას ძალიან კარგად ვიცნობდი, განჯაში პრისტავად. — ესეც კარგი, საშენო ყმაწვილი კაცია, ესე იგი საკურველი ჩონგურის დამკვრელი, რომ შაქელი ოსებაც (1) არ შეედრება და ამასთანა კარგის გულისაც; სწორედ გითხრა მე მიყვარს, კარგია თუ ავია, მე მიყვარს. — ახრ ეს არის, რომ განჯის უეზდის სუდი იბარებს ამას ეს ორი წელიწადია რაღასაც საქმეზედ უწინდელის ვიღაცის ნაჩალნიკისათვის, რომელთანაც ეს ემსახურებოდა პერეკოდჩიკად; საქმე დაპლართულია, ესეც იმაში გაბმულია, მგონია, უფრო თავის გამოუცდელის სიყმაწვილობისაგამო და ამისთვის ახლა შენ უნდა რაც შეგეძლოს, ამას მოსცე შენი შემწეობა რითაც იყოს, და სადაც იყოს და ეს ღირსეული ყმაწვილი კაცი, კარგის ოჯახის შვილი გამოიხსნა სუდის ვაივაგლახობისაგან. — ეს არის.

მე მივეც არზა ოტპუსკისა 28-ის დღითა, ენიაზ ბებუთოვი მითხოვს 14-ის დღითა, მეტი არ შეუძლიან, „ქალაქში ჰსთხოვეო" ახლა ეს არის რომ თუ შენ მანდ გამოგიარე, ერთის დღის მეტს ვერ დავჰყოფ შენთან; არა ჰსჯობია, რომ ქალაქიდამ, დაბრუნების დროს, მოვიდე შენთან რამდენისამე დღით? როგორ ჰგონებ შენ ამ ანგარიშზედ? — აბა მითხარ.

აქაური ამბავი არა არისრა. აქამდის საშინელი ზამთარი იყო, მთაში დიდი თოვლი, ბარში დიდი ტალახი, რომ კაცი კარზედ ვერ გამოსულიყო, ზაქარიაკი ძალიან ანჩხლობდა ამაზედ. —

ზაქარიას პოლკის კამანდირობაში არა უკირს რა თუ ასე წავიდა კარგად გაეწყობა პოლკსაცა და სამსახურის ცოდნასაცა.

კარგი ცხენები — ცხენიკი არა, — ცხენები უნდა მომიმზადო, საჩემო, შესაფერი; კვიცების თავი არ ბაქუს, მზად ეხლავ შევჯდე, თავის უნაგირებით და ყაჯრებით.

ზაქარიას ნაქები ცხენი მოვიდა აქა; ჯერ ამის ჰუნარი არ ვიცი რა არის, გამხდარია და უკანა ცალი ფეხიც დიდად დასიებული რუმბსავით. — ერთი ცხენი მაჩუქა სულეიმან ხანმა, ლამაზია, მაგრამ მეტად ბოში, ორს ნაბიჯს ვერ წარსდგამს, თუ არ წაიბორძიკა, და ამასთანა მთებზე სულ ვერ დადის, აბა რა უყო ამისთანა ცხენსა. —

მინდა ძალიან გულით წამოსვლა, მაგრამ როცა ვიანგარიშებ ხოლმე ხარჯსა, მეტად თავი მეფხანება. —

ადრეეაც ორჯელ მოგწერე რომ დოვერენნოსტები მე და ზაქარიამ გამოვგზავნეთ ქეთევანთან, შენ იცი როგორც მოიქცევი ამ საქმეში ვალის გადასაწყვეტად. — ღ´ით იყოს შენი მფარველი.

შენი ძმა გრიგოლ (ორბელიანი)

3-ს დეკემბერს 1846
ჯუნგუთაით.

ბებუთოვმა ბევრი იცინა შენს წიგნზედ, რომელშიაც ეწერა, რომ ზაქარიამ ფული გამომიგზავნოს, რომ დავხარჯო და მუცელი გავახაროო.

შენი ბანდაყული დიმიტრი ონიკოვი მომიკითხე.

კაკალა გროშათ აღარა ღირს, სულ ფულების ანგარიშშია, დარდიმანდობა აღარ აქუს. — რამდენჯერაც ვასწავლი, რომ ხანდახან დილაზე რომ შემოხვიდე ჩემთან, ფეშქაში რამე მომართვი მეთქი, მაგრამ ვერ გავაგონე. სულ ანგარიშობს და არ ვიცი კი რა უნდა ჰქონდეს; მე, ხანსა რომ არა მაქუსრა, ამან სად რა იპოვნა?

80. ქეთევან ორბელიანისადმი

ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან! ჩემის ბაიყუშობისაგამო დავრჩი კიდევ ამ წლეულს დაღისტანში, ჩაიშალა ჩემი წამოსვლა. ამაზედ უფრო ვსწუხ, რომ სრულებით მზად ვიყავით მე და კნიაზ ვასილი ოსებიჩი დიდის პლანებით და სიხარულით, როგორც იტყვიან „ცხენები შეკაზმული გყუანდაო“ ერთბაშად ჯუნგუთაიდამ მომპარეს ახმადახნის ცოლი ნოხბიქა და წაიყვანეს მთაში; გამოუდეგ ჯარით, გადავირბინე დიდროანი მთები, სიცივით კინაღამ ფეხებიც არ დამაძრა, თუ ჩემს ნინიკას თავის წინდები არ მოეცა, მაგრამ ველარ მოვეწიე. — ღამე შემოიპარა მტერი სოფელში ასე, რომ უმეტესმა ნაწილმა ვერ გაიგო, და ვინც გაიგო შიშით კარზე ვერ გამოვიდნენ, მანამ მე უწინდოდ, ერთის შალის სერთუკით არ გამოვარდი ჩემის ნოკრებით და არ შეუტიე მტერსა. — თვით სასახლეშიაც ასე

ჰაჯი-მურადი

შამილის ნაიბი მოკ. 1852 წ.

წახდნენ შიშით, მოულოდნელობით, რომ თორმეტმა ვაჟიკაცმა ერთი თოფი არ ესროლა, და არცალა ყვირილით შეგვატყობინეს დროზედ. — ამ შემთხვევისაგამო დავრჩით მეცა და კნიაზ ვასილი ოსებიჩიცა; თუმცა ხალხი მაგდენს არა ჰსწუხს იმ ქალის დაკარგვისათვის და არის განსვენებით, მაგრამ მაინცკი უნდა დავრჩომილიყავ. — გუშინ მომივიდა ჩემგან გაგზავნილი ჯავშუში, რომელსაცა ენახა ეგ ქალი; დიდი ხვეწნა, დიდი ვედრება შემოეთვალა ჩემთვის, რომ ვეცადო მის განთავისუფლებისათვის. — სწორედ მოგახსენოთ, მეც ძალიან შევსწუხდი როგორც საკუთრივ ამ ქალისათვის, ეგრეცა მისთვის, რომ ეს საქმე მოხდა იმ სოფელში, სადაცა ვიყავ მე; მაგრამ რა გაეწყობა ამ მყრალსა, ორგულობით სავსესა და მხდალსა ხალხსა. — ჰაჯიმურადს ჰსდომებია ეს ქალი ცოლად, მაგრამ შამილას არ უქნია: ჩვენის ჰსჯულით ხანის ქალი არ ერგება უბრალოს უზდენსაო (1). ამა მიზეზით გამოუყვანიათ და ჩაუბარებიათ სხვა კაცისათვის, რომელიცა იყო ჩემი დიდი მეგობარი ავარიაში, რადგანაც ქართველის ჩამომავლობისა იყო და ამბობდა რომ ჭავჭავაძის გვარისა ვარო, მაშასადამე ნინოს (2) ბიძია ბრძანდება. — ახლა მოელიან დანიილ სულთანსა, რომელიც არის სიძე ამ ქალისა (3) და მაშინ გადასწყდება ამის გამოსვლა, როგორც უნდა მოხდეს (4).

ეს ორი კვირა იქნება, რა ზაქარია აღარ მინახავს. გირჩევ ძალუავ, მოეშველე ამ შენს კაცსა, თორემ საქმე ცუდად მოდის; აქაურნი ქალები მეტად ეპრანჭებიან.—

ჩემი საყვარელი ძალუა მომიკითხე დიდის პატივისცემით; ეგრეთვე ჩემი დედა ბაბალე თავის ალექსანდრეთი. — ეგ ბაიყუში ბაკლანა ღ˜თმა შეარცხვინოს.

სხვებრ შენ იცი ძალუავ რაებსაც მომწერ; ვინძლო არა დაგავიწყდესრა, ჩემის გულისათვის უნდა ყველგან თვალყური ადევნო. — მოვიდა პეტრებულიდამ ნინა ანუ რასა იქს ეკატერინა და კნეინა სალომე როდესაც ნახო ჩემ მაგიერ გთხოვ დიდი პატივისცემა განუცხადო იმათ; ეგრეთვე, თუ მიიღებს, კნეინა მანანასაცა.

ასე ჩემო ძალუავ, ჰოო დამავიწყდა: ხანჯალი მომიტანეს შენთვის გაკეთებული; შურაში რომ წავალ გამოგიგზავნი ფოშტით შენთვისა და ჩემის დისწულის კატოსათვის. ეს ორი ხანჯალი ძლივს გავაკეთებინე ნახევარწელიწადია, რადგანაც ქობაჩი (5) შორს არის და ამასთანა თითქმის გადამდგარი.

იაკინთე დიდის სიყვარულით მომიკითხე. დავჰშთები მარადის პატივისმცემელი და ერთგული მოსამსახურე.

გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

29-ს დ ე კ ე მ ბ ე რ ს 1846.

ჯ უ ნ გ უ თ ა ი თ.

ძალუავ გთხოვთ ეს წიგნი დაბეჭდოთ და გაუგზავნოთ ჩვენს მაიკოს (6).

81. ილია ორბელიანისადმი

ჩემო საყვარელო ძმაო ილიკო! ამასწინად, მგონია, მოგწერე ჰაჯიმურადისაგან ნოხბიქის მოპარვა, რომლისაგამო ჩაიშალა ჩემი წამოსვლა. — თუ არა ამ მყრალსა, ორგულს, მხდალს ხალხში სხვაგან სად მოხდება ამ გვარი შესარცხვინებელი საქმე? — ესა მკლავს ჯავრით, რომ ათს კაცს ხელი გამოეღო, ჰაჯიმურად თავის პარტიით მთლად დაგერჩებოდა ხელში. მაგრამ ეჰ, ჩივილით რაღა გეეწყობა.

ჩემი ჯავშუში მოვიდა გუშინ ავარიიდამ, რომელსაცა ენახა ნოხბიქე; ამან მიამბო, რომ ჰაჯიმურადს ჰსდომებია ცოლად შერთვა, მაგრამ შამილას დაუშლია შარიათის ძალით, რომ უბრალო უზდენსაო არ ერგება ბიქე; ამა მიზეზისაგამო უბრძანებია, რომ ეს ქალი დააშორონ ჰაჯიმურადსა. — ახლა ნოხბიქა გამოუყვანიათ ჰაჯიმურადის სოფლიდამ და მიუბარებიათ ახვერდის მაჰმადის (1) შამასთან, რომელსაცა მგონია იცნობ, და რომელიცა იყო ჩემი დიდი მეგობარი ხუნძახში. მოელიან დანიილ სულთანსა, რომელიც იმყოფება ჩაჩანში ჯარითა მოპირდაპირედ ჩვენისა ოტრიადისა ტყის საკაფავად დანიშნულისა. — რომ ნოხბიქის გამოხსნა, თუ არ გამოხსნა, გადასწყვიტონ ნაიბების კრებაში (2).

ამ ქალმა დიდი ხვეწნა და ვედრება, შემომითვალა იქიდამ გამოხსნისათვის. ენახოთ.

სარდალსა, მგონია, ძალიან ეწყინებოდა ეს ამბავი. ჰაჯიმურადმა შემომითვალა, რომ ეს საქმე ვჰქმენ განგებ შენ გასაჯავრებლად და შესაწუხებლადაო. მეც შეუთვალე. პაპა ჩემი ირაკლიხანი (3) არც დედაკაცებს ეომებოდა და არცა იპარავდა ცხვრებსა მეთქი, და არცა მე ვიქ მაგ გვარ შესარცხვენელს საქმესა მეთქი; მე როგორც კაცი, ისე შეგხვდები ხმალ ამოღებული აშკარად, დღისით, მეიდანზე, და მაგ თავს ჩალმიანად მოგგლეჯ, თუ არ გამექცევი, როგორც ბატლაიჩში, ზირანას, ხოჯალმაქის და ქუთიშაში მეთქი (4). — არა კარგი ქოვლუ არა ვარ? — მე და ჰაჯიმურადს დიდიხნის ანგარიშები გვაქუს, ვნახოთ როგორ გადაწყდება.

ეს ორი კვირა არის ზაქარია არ მიხილავს; ამ შემთხვევისაგამო ვზირვარ ჯუნგუთაისს, და ვწუხვარ, რომ ასე მოულოდნელად ჩემი განზრახვა ჩაიშალა; და აბა, ვინ იცის როდისღა განახავ. — სრულიად მზად ვიყავ, разрешение მომცა ბებუთოვმა, რომელთანა ერთად უნდა წამოსულიყავით, ის იყო ინსტრუკციას ვსწერდი მაიორისათვის (5), რომელიცა რჩებოდა ჩემ მაგიერ; და ყოველივე იქმნა ამაოდ. — დღეს ერთს ჩემს ნოქერს თოფი გაუვარდა ანაზდეულად და მოკლა თავის შვილი; ასე სთქვა „ნეთეიქ ალლა იაზღანდი“ (6) — მეც ეს უნდა ვჰსთქვა ამ შემთხვევაში და ამით ვინუგეშო თავი ჩემი. —

ახლა ჩემო ილიკოჯან! მომწერე შენი ამბავი; აქ ზაქარიამ მითხრა, რომ მითომ ყაზახის პოლკს გაძლევენ შენ; თუ ღ˜თი გრწამს, ნუ იქ მაგას; ამა ყაზახის პოლკი რა თანაშდებობაა, რა ადგილია? არ გაგიყდე. —

ღ˜თი იყოს შენი მფარველი, და მან მაღირსოს შენი ხილვა ბედნიერებით.

შენი ძმა. გ რ ი გ ო ლ ი

29-ს დეკენბერს 1846.
ჯ უ ნ გ უ თ ა ი თ.

პროტოპოპოვი მოვიდა? მომიკითხე.

1 8 4 7

82. ილია ორბელიანისადმი

13 Генв: 1847 Джунгут.

ჩემო საყვარელო ილიკო! ძალუა ქეთევანის წერილით ვჰსცან, რომ შენ ქალაქს მიდიხარ და იქნება იქ დარჩე კიდეც — სწორედ გითხრა შენი თბილისში ყოფნა არ იქნება ცუდი, თუ თვალყურს მიადევნებ მამულსა, ამასთანა მთავარმართებელთანაც იქნები განუშორებელი, და ესე, მგონია, საკმაო იყოს შენის უსაზღვრო პატივისმოყვარებისათვის; ამის გარდა ხაზინა ქაიხოსროს (1) ვალისათვის აპირებს ამ გაზაფხულზე მამულის გაყოფასა, და ითხოვს ჩვენგან, ანუ ჩვენს იქ დასწრებასა გაყოფის დროსა და ანუ პოვერნებისას. — ჩვენც ავიღეთ, დავიღეთ, ანგარიშში გავედით გამოვედით და ბოლოს მივანდეთ პოვერნობა ალექსანდრე საგინოვს (2), რადგანაც შენ არ გვეგულებოდი ქალაქში; და თუ შენ დაესწრები ხომ უკეთესი. — ზაქარია ერისთავი არ წავა სოფელში, თუგინდ ერთიანად წაიღონ მამულები სახელმწიფოდ, რადგანაც ჯერ ამ წლის ილლუსტრაცია (3) არ წაუკითხავს; არც მანანასშვილი (4) წავა. ვაი, ნეტავ ერთი მაგას ცხვირი დავუნაყო. — ამა მიზეზებისა გამო შენი ქალაქში ყოფნა ძალიან სასარგებლო იქმნებოდა ჩვენთვის, და საკუთრივ შენცა არ დაგეკარგებოდა სამსახური.

აქაური ამბავი რა გითხრა: საშინელი ყინვებია; ნოხბიქა არის ისევ ჯერ ხუნძახის სიახლოეს ახვერდის სახლში; შამილამ არ მისცა ნება ჰაჯიმურადს ცოლად შერთვისა; ახლა დანიილსულთანი და ჰაჯიმურადი შეიქმნენ დიდნი მტერნი ერთმანეთისა. — გუშინ მომივიდა ქაცი ავარიიდამ მოციქულად ამ ქალის გამოსახსნელად, და პირველად ითხოვენ მხოლოდ სამიათასს თუმანს თეთრს სიქა მანათს. — მე შეუთვალე ჰაჯი მურადს, რომ

მთელი დალისტანი თავის ჰიმამით, ნაიბებით, შამხლებით და ზედ რომ დერბენდიც დავადოთ, მაშინაც არ ეღირება ამის ნახევარ უასად მეთქი.— ჩემი უკანასკნელი სიტყვა სამასი თუმანია, თუ გინდა გამოუშვით, თუ გინდ შეეამეთ მეთქი ეგ ქალი ავადმყოფი მარადის, რომელიცა ან დღეს ან ხვალ მოგიკვდებათ და ეს ფულიც დაგეკარგებათ მეთქი; და დღეის იქით ამ საქმეზედ ნულარ მოვლენ ჩემთან მოციქულები მეთქი. — ხელმწიფე ფულს არავისთვის არ აძლევს ტყვის გამოსახსნელად, ოცდაათი აფიცარი იყო და არც ერთი არ გამოიხსნა მეთქი (5); და ამ ორს პატარა ყმაწვილებს რა აბადიათ, რომ მოგცენ მეთქი. — ახლა ვნახოთ როგორ დაბოლოვდება.—

ყაზიყუმუხის სოფელს ტ ურ ჩ ი მიუხდა ინყოჰაჯი (6) თავის პარტიით ანდალალებითა, და როგორც ალალარბეგ იწერება ოცდაათი მკვდარი გაუშვიათ და ისე გაქცეულან; მაგრამ არა მჯერა, რომ ყაზიყუმუხის ხალხმა ერთს ომში ოცდაათი მურუდი მოკლას (7).

ბაკლანა ალექსანდრე (4) იწერება, რომ მითომ ჩვენს ყაფლანზედ იყოს სლედსტვიე; გეთაყვანე შემატყობინე რა საქმეა, ანუ რა მიზეზია? სწორედ გითხრა ძალიან მეწყინა; ან მაგ ღ-თის რისხვა ყაფლანს რა დაემართა რომ ეგ უბრალო თანამდებობის აღსრულებაც ვერ შეუძლიან; მაშ რა კაცია? უჩასტოკის ზასედატლობას (8) რა დიდი მინისტრის ჭკუა უნდა? მაგრამ არ იქნება, ჩვენს ოჯახზე უბედურება ჰძევს ზეგარდამო, უნდა აღსრულდეს წერილი.

ზაქარია კარგად არის და კარგადაც უვლის პოლკსა, და ერთადვე ჰსწავლობს სამსახურსა ბეჯითად; კვირაში ერთხელ მთელი აფიცრები იყრებიან ამასთან და საფუძვლიანად проходят устав. და ახლა ასეიცის, რომ ბევრს ეს ჰსჯობია პოლკში.

მომიცდა წამოსვლა ქალაქში ამ კახპის მოპარვის გამო; სულ მზად ვიყავ ბებუთოვთან ერთად წამოსვლისათვის, მაგრამ არ მოხდა. — ერთის მხრით კარგია, რომ ეს შემთხვევა ჩემს აქ ყოფნაში მოხდა, თორემ ხალხი ერთიანად აირევოდა, ხომ იცი ამათი განუსჯელობა. —

მშვიდობით ჩემო ილიკო, ღ-თი იყოს შენი მფარველი

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი.

ილიკო, არ იქნება, რომ ელისავეტოპოლიდამ, ანუ ყაზახიდამ გადმოასახლო ხალხი და ერთი კარგი სოფელი საკუთრივ აიშენო? მგონია, მაშინ უფრო შეიძლო, როდესაც გამოხვალ მაგ თანამდებობისაგან, რომ აღარა ჰსთქვან, რომ ნაჩალნიკი იყო და ხალხით დააცარიელა უეზდიო. ჰაა, რას იტყვი?

აბა ერთი მითხარ ცხენს როგორ და ანუ როდის გამომიგზავნი? *)

---

*) უკანასკნელი აბზაცი მიწერილია ბარათის მე-3 გვერდზე (ბარათი მოუბრუნებია) და გადადის წერილის ბოლოში.

83. ძეთევან ორბელიანისადმი

ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან! შენი წერილი 25-ის დეკემბრისა შივიღე გუშინწინ ზაქარიასაგან თ: ხ: შ ურ ი თ; ვჰმადლობ ღ-თსა უვნებლობისათვის შენისა. — ჩვენც ღ-თით ვართ, რაღა, მშვიდობიანად; და ეს მიკვირს რატომ ჩვენი წიგნები არ მოგდისთ, რომელსაც თითქმის ყოველს ფოსტაში ვჰგზავნით.

ირწმუნე, ძალუავ, თემირხანშურაში დიდი შექცევები არის: სობრანიე, კლუბი, თეატრი, კავალკადები, ამასთანა მოემატა ახლა ჟანპოლიცა; და თუ იანგარიშებ, რომ ყოველივე ესეები უარშიყობოდ არ მოხდება, მაშინ შეიტყობ თემირხანშურის საამო ცხოვრებასა. დამიჯერეთ ქალაქსა ჰსჯობია თემირხანშურა, ამიტომ რომ აქ ტყუილის თვალების ტრიალებით და მიმოკანკლედო[ბით] თავს ვერავინ მოაწონებს, თუ არ ჭეშმარიტის მშვენიერებით, ანუ ჭკუითა; და ამასთანა აქ უფრო თავისუფლება არის ცხოვრებაში, და ამისგამო ყოველივე იმ სახით ჰსჩანს, რომელითაც ბუნებრის ბუნებითად დაბადებული. — მართალია, ზემოუბანში ახლად მოკაზმული გოსტინები და ბუდუარები ჰსჯობია აქაურს ოთახებსა, მაგრამ გულით შექცევა აქ უფრო არის. — კარგია, დავეხსნათ ამ შედარებას, როცა მოხვალ, მაშინ შეიტყობ. —

დიდიხანია აღარ მახსოვან ზემოუბნელები, ეხლაც როგორღაც ეშმაკმა მაცდინა და მომაგონა, თორემ დიდიხანია ჩალა გამიწყვეტია. — აბა რად ჰსივდებიან ეგენი მეტის სიამაყითა, რომ აღარ არიან რაც იყვნენ?

დავეხსნათ ზემოუბნელებსა, და მოყიდეთ ბაკლანა ალექსანდრესთან, რომელიცა დიდის სიხარულით იწერება, რომ ყაფლანი პოდსუდში მიუცია-ათო. დიახ კარგი; მაგრამ მაგას რა ერგო, რომ აგრე უხარიან? — ეგ ბოროტი, ეგ ყოვლის უკეთურებით სავსე, ეგ კოსტანტილეს (1) ბიძაშვილი, ჰა

კნეინა ბებუთოვისა (5) დიდის პატივისცემით ჩემ მაგიერ მომიკითხეთ. ჩემს დედას ბაბალეს და ალექსანდრეს სიყვარულით მოვიკითხავ. რასა იქს ჩემი საკუთარი ძალუა ელისაბედ (11), რათ დამივიწყა ასე მწარედ.

ნინო ხომ არ მოსულა რუსეთიდამ? სალომე და ეკატირინა როგორ იმყოფებიან? ახრ გამიკრელე თაბახი და?

84. ილია ოკრბელიანისადმი

ჩემო საყვარელო ილიკო! ჩემის ანგარიშით ეხლა შენ უნდა თბილისში იყო; ასე იწერებოდა ჩემთან ძალუა ქეთევანი, მაგრამ შენკი ძალიან დამიძვირე მოწერა — თუ ქალაქში იყო მართლად, აბა ვინძლო, მანდაური ამბები დიდი, პატარა, ყოველივე წერილად მომწერო. — აქაურს მე გეტყვი: ამ თვის 15-ს გუმბეთის ნაიბმა ა ბ ა ქ ა რ დ ი ბ ი რ მ ა სამასის დაწკეპილის ცხენოსნითა გამოჩხუპა მიატლისთან (1) სულაკსა (2), იმავე ღამეს დაეცა ურიის სოფელსა შიგ თარკოში (3), აიკლო, მოიტაცა ტყვეები და წამოვიდა თალგინის ტყეზე (4) არქაზისკენ (5); განთიადისას მოახწია ჯუნგუთაის სიახლოეს. — დაიძახეს მდევარი, შეცთომით ეგონათ, რომ ცხვარი მოიტაცესო. მოვახტი ჩემს ვასკა ტაიჩსა და ჩემის ნოქრებით, და ჯუნგუთაელებით გავსწიეთ არქაზის ვიწრო გზის შესაკრავად, და ეუბრძანე ბატალიონსაცა, რომ საჩქაროდ მოგვეშველოს. მტერმა შეგვასწრო არქაზის ვიწროებში, და იქვე მოვსწვდი იმის უკანა ჯარსა; ქვეით ჩვენს ჯარსა აღარ მოვუცადე, შორს იყო. — ერთი ყარამანისეულად შეეჰსძახე მტერსა „სადღა წახვალთ ჩემის ხელისაგან? — და მაშინვე უკრავ-უგინებლად ხმალდახმალ შევატეევინე შ ი ხ შ ა ბ ე გ ს ა (6) და ჩემს გ ა ს ჰ ა რ ო ვ ს ა (7), ლრაფ სტარკინსკიც (8) აქ იყო იმ დროს ჩემთან სტუმრად, ესეც ჩაერია იმათში მარდად; დაფთხა მტერი, გაიქცა და ჩვენც დავეცით ყიჟინა და მივდიეთ უკან, ჰაი დაიჟი, ჰაი მოკალ! ამყოფით გადავარბენიეთ არქაზის დიდი უზარმაზარი მთა, სწორედ შენშრეკამდის (9), რომელიცა არის ძალიან ახლოს არაკნიდამ (10). 17 დავიჭირეთ ტყვედ, 33 მკვდარი დარჩათ, დავაყრევინე მთლად დავლა და 8 დედაკაცი ურიებისა, 47 ცხენი და მრავალი თოფიარაღი დარჩა ჩვენს ცხენოსნებსა ნიშნად გამარჯვებისა; მაგრამ თუ მე ადრე მიმესწრო არქაზის ვიწროებში, მაშინ ერთიც აღარ წამივიდოდა მტერთაგანი. — ჩვენის მხრით დაიჭრა მხოლოდ ორი, რომელთაგან ერთი არის ეუხელი ჰაჯიომარის (11) უფროსი ძმა, მგონია იცნობდე, ვარშავაშიაც (12) იყო. —

ამ საქმემ ცოტად გული გაუხსნა იქაურს ხალხსა, რომელიცა იყო დიდს სირცხვილში და შიშში ნოხბიქეს მოტაცებისაგამო ჰაჯიმურადისაგან.

აბაქარდიბირმა მომწერა, რომ ღ˙თისაგან იყო ეს საქმეო, ახლა გთხოვ რომ მაკნობო რამდენი ტყვეები არიან შენს ხელშიო, რომ ეგოდენი მეც მოვაგროვო გასაცვლელადაო. — მე შეუთვალე, ნოხბიქის მოპარ-

ვაც ღ˜თის საქმე იყო, ამისთვის მე ამათ არა ვისზე გავსცელი, თუ არ ნოხბიქეზე; გინდა ათასი სალდათი მომცე, ამათგან ერთსაც არ გავსცელი; ამათი ფასი არის ნოხბიქე, და თუ არ იყაბულებთ, ესენი ერთიანად სიბირში წავლენ (13).—ამასთანა ერთს რჩევასაც მოგცემ მეთქი „დღეისიქით, საცა ეძინოს ლომსა, იქ სიფრთხილით გაიარე, რომ არ გამოაღვიძო, თორემ სულ აგრე წაგიხდება საქმე. — ქოვლი ქაქუცოპაა. — ეს ტყვეები სულ კარგის ოჯახისანი არიან გუმბეთში და სალათაუში.

ასე ჩემო ილიკო! მაგრამ როდემდის უნდა იყოს ეს მხარე ამისთანა მდგომარეობაში, რომ არც ჯარს აქუს მოსვენება და არცა ხალხსა, რომელმანცა არ იცის ვინ არის ამათი ბატონი, ჩვენ თუ შამილა? — ახრ სირცხვილია! — რა არის გერგებილში ერთი ბატალიონი დააყენონ? — ციხე საჭირო არ არის, სოფელი თვით ციხეა, რომლისა აღება შამილას პაპასაც არ შეუძლიან. — წავალ ჯარით, ავიღებ გერგებილსა, ხალხსა გამოვყრი სოფლიდამ, იმათ სახლებში დავაყენებ ერთს ბატალიონსა; მოჭკარ და მოუპირე. ეს ეკსპედიცია შესრულდება ოთხს ხუთს დღეზე; და ეს მხარე, და ეს საბრალო ჩვენი ჯარი მოისვენებს ამდონის უბრალო თრევისაგან.— არაკანიც მაშინვე ჩემი იქნება, დიდის სიხარულით დაგვმორჩილდება.— ამაზედ უკეთეს რას იქმონენ! ცალი ფეხი ავარიის ყანყრატოზე გვედგმის და ეს ჩვენი მხარე სრულებით განისვენებს; შესწყდება ესოდენი აბრეკობა, რომელიცა იკლებს, აღარიბებს ამ ქვეყანას, და საიდუმლო შამილის პარტიაც ნელნელა განქრება, რა ნახვენ, რომ მტერი ველარსიდამ შემოვა ამა მხარესა (14). — თუ ღ˜თი გრწამს, ეს простой პლანი, და ამისგამო ძალიან სასარგებლო რომ არის პროსტოი — უთხარ ნაჩალნიკს შტაბისას (15), აქ ვერავის შევასმინე. — თორემ ღმერთი, რჯული ოღლი, ყულიცმაც წაგვივა ხელიდამ, რადგანაც აიმაკი აღარ არის; და მაშასადამე ამათი საქონელი, ცხვარი ველარ სად გავა საძოვრად, მინდორში ველარ იმუშავებენ შიშისგამო; და თუ ეს სოფლები წაგვივიდა, მაშინ прямое сообщение с Акушею прекратится; ალი აღრეულობისა გადმოხეთქს აქ ვაკეზედაც; ეხლა მხოლოდ ერთი ციხე არის საჭირო, მაშინკი 30-იც ველარას უშველის, და შეიქნება ეს მხარეც მეორე ჩაჩახი, ამიტომ რომ სოფლებს — რომელიცა ჩაუარდებათ ხელში — გადაასახლებენ მაშინვე. — ერთი შეასმინე მანდ ვისმე — ქრისტიანები არავინ არიან? — ეს ჰსჯობია ჯერ ტელეტლოს აღებას, დამიჯერონ; თუ გინდ იანგარიშონ; ახრ მეტს ღრმა ფიქრებში ნუ წავლენ; ეს ერთი პროსტოი პლანი ჰსჯობს. —

ბრწყინკალე ჩვენი კნეინა მანანა როგორ ჰსუფევს? ჩემმაგიერ დიდი პატივისცემა მოახსენე, და ჰკითხე გოლლანდსკის პალატნო. რომ დამპირდა, მომიტანა ოდესიდამ? —

მშვიდობით ჩემო ილიკო, ღ˜თი იყოს შენი მფარველი.

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი

20-ის იანვარს 1847.

ჯ უ ნ გ უ თ ა ი თ.

ჩემი დედა ბაბალე, ალექსანდრე მომიკითხე; ეგრეთვე ჩემი საკუთარი ძალუა ელისაბედ *).

ჩემი ყაფლან, მთელი იყლიმის თვალი, რასა იქს? — ერთხელ რატომ არა მწერს, ძმობა აგრე უნდა? — **)

ჩემს საყვარელს ძალუა ქეთევანს მოვიკითხავ, ახლა რაღა უპირს, თავის სასურველი მაზლი ([16]) მოუვიდა, ჩვენ რაღათ მოვაგონდებით. — იაკინთე სიყვარულით მომიკითხე ***).

კნეინა სალომე, ეკატირინა როგორ არიან? ჩემმაგიერ დიდის პატივისცემით მომიკითხე, და მომწერე მაგათი ამბავი. — ნინო და დავით მოვიდნენ რუსეთიდამ? — ჩვენი ვანო ([17]) მომიკითხე, ძალიან ვჯავრობ მაგაზედ.

შამილა აპირებდა ჯარით წასვლას ჩაჩანში, სადაცა ჩვენები ჰკაფენ ტყესა, მაგრამ აღარ მოუხდა; ამბობენ. მითომ, შვილები გახდომია ავათ ყვავილითა, და ამისგამო დაუშლია ([18]).

85. ქეთევან ორბელიანისადმი

ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან! თქვენი წერილი ერთად ძალუა ელისაბედისა მივიღე გუშინ ზაქარიასაგან, ეგრეთვე ყაფლანის წიგნიც. ვჰმადლობ ღ˜თსა თქვენის უვნებელობისათვის; მაგრამ ილიკო რატომ არას იწერება? ჩვენ ღ˜თის მოწყალებით, ვიმყოფებით მშვიდობიანად; დადგა დიდმარხვა! ვაი თქვენი და ზემოუბნელების ბრალი, ბევრი წუწუნი და გულში ცემა გექმნებათ. ვაი რომ მე არა ვარ თქვენი მღუდელი, რომ ნიშნობლივ მეთქმევინებია თქვენი შეცოდებანი ნებსითნი და უნებლიეთნი. — მაგრამ რა გამოვიდა, მაგ საბრალო მღუდელს არას ეტყვიან განათლებულნი ზემოუბნელნი.

კოსტანტინეს ([1]) რა ქალი ჰყავს ეგრეთი, რომ ბალშიაც გაგყავთ, და ქვეყანასაც მოჰსწონს? — ახლა შევიტყე, რომ დიდიხანია დაღისტანში ვიმყოფები, და ბევრს ცვლილებასაც ვიხილავ, თუ მოვახწიე როდისმე თქვენამდის.

ილია ბატონისშვილის ქალზე ([2]) დავითის ([3]) დანიშვნა ძალიან მიამა. დიახ აქებენ ქალსა, ღ˜თმა ბედნიერება მისცეს. — ძალუა ელისაბედ მწერს, რომ ნინოც ([4]) დანიშნულა მოსკოვშიო, მართალია?

კნეინა სალომე როგორა ბრძანდება, ანუ ეკატერინა მშობიარობის შემდეგ ([5])? — აქ ხმა დავარდა ეკატერინას თითქმის სიკუდილზედ მიწურვა; ვმადლობ ღ˜თსა რომ უკეთ შექმნილა. — გთხოვ ძალუავ, როცა იხილო

*) მინაწერი წერილის ბოლოში.

**) მინაწერი მობრუნებულ ბარათის ბოლოს.

***) ეს და მიმყოლი აბზაცები მიწერილია ბარათის პირველი გვერდის აშიებზე.

დიდი, დიდი მოკითხვა განუცხადო ჩემმაგიერ ორთავესა, და მაგათი ამბავი მაცნობე. —

არა, რომ იწერები, თბილ წყალზე წასვლის დროს გამოგივლითო, მითომ თემირხანშურა რა იმის გზა არის, საიდამ სადა.

კნეინა ბებუთოვისა დიდის პატივისცემით მომიკითხეთ და უთხარით, რომ ერთი მობძანდეს შურაში, ერთი გვიქალბატონოს; ახრ აქაც ქვეყანაა, სულ თბილისი ხომ არ უნდა იყოს? —

იაკინთემ როგორ გაატარა ყველიერი და ვისთან? ისევ უწინდელს პარტიაშია, თუ სარაჯოვი (6) და დიმიტრი (7) შეჰსცვალა სხვა ახალ მეგობრებზედ, და ლანცკნეტი პროფერანსზედ?

ეგ ჩვენი კაკალა ძალიან გაფუქდა, სულ ფულის ანგარიშშია; და ხომ იცით ჩემი დოსტი არ იქნება ფულის მოყვარე. ამისმა ძმამ ერთხელ რაღაც შემიკერა, არცკი მახსოვს, დღესაკი მიანგარიშა მაშინდელი ვალი ათი თუმანი. აბა როგორი დარდიმანდია? —

ბარბარე ოთარის ცოლმაც კიდევ მაცთინა, ათი თუმანი კიდევ წაიღო, ვეუბნები, სული, გული შენთვის მომიცია, ფულს ნუ მთხოვ; მაგრამ ჰსჩანს რომ ამ სოფელში ფული უმჯობესი ყოფილა გულზედაც, სულზედაც. — ეფემია და მელიტონ როგორ იმყოფებიან; კატო (8) ქმართან არის, თუ ისევ ქალაქში; ანუ რა მიზეზია, რომ აგრე ავათმყოფობს?

ჩემი დედა ბაბალე სიყვარულით მომიკითხე თავის ალექსანდრეთი. — ძალუა ელისაბედს ხომ რაღა თქმა უნდა, ჩემი საკუთარია.

მშვიდობით, ღ'თსა ვჰსთხოვ თქვენს ხილვას მშვიდობიანობით. სანდრიკო ჩამიკოცნე.

თქვენი კეთილისმსურველი გ რ ი გ ო ლ' ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი.

10-ს თებერვალს 1847,

ჯ უ ნ გ უ თ ა ი თ.

მე და ზაქარიამ გამოუგზავნეთ დიდიხანია ალექსანდრე საგინოვსა დ ო ვ ე რ ე ნ ნ ო ს ტ ი მაჰულების გაზომისათვის ქაიხოსროს ვალისაგამო, მოუვიდა თუ არა?

86. ზაქარია ორბელიანისადმი

ჩემზე რას ამბობენ, ჩემო ზაქარიავ? — მგონია, სულ ჩემზედ ლაპარაკობენ შურაში; მაშ არ ილაპარაკებენ ამ წერილის შემდეგ? — ვაჲო, ეგ მამაოხრები მეუბნებიან რასა გწერსო? აბა რათ ვეტყვი; ეგ მე ვიცი და იმპერატორმან! — ახ, სად არის ახლა საწყალი მელიტონ, რომ მაშინვე მუხრანიანთში არ გაიქცეს ჩვენ სალანძღავად? ვიღაც გუშინდელი ბიჭები გამოსულან, თითქმის მთელი საქართველო ნ..ი აძოგვიტენონ" (1).

მართლად ხუმრობა გაუშვათ, და ესრეთი სარდლისაგან მამობრივი ჩვენზედ მოხედვა და სიყუარული, დიდი საქმეა ჩვენთვის და დიდი ბედნიერებაც. მით უმეტეს გვმართებს ზურაბის შვილებთა ღ˜თისადმი ლოცვა და მადლობის შეწირვა. — ჭეშმარიტად ცხადად ჰსჩანს ჩვენზედა მადლი და კურთხევა ღ˜თისა!

ახლა задача აქ არის: ჩემს დღეში ჩემზე დიდკაცთან არ მიმიწერია წიგნი; მინდა ერთი დარდიმანდული ოხუნჯობა დაუწყო; თუ ჩემსაავით დიდის გვარისა არის, ხომ მიხვდება. და ესეც უნდა ვჰსთქვათ, მაშ ვისთან უნდა ჰქონდეს მიწერმოწერა თუ არ ზურაბ სარდლის*) შვილებთან საქართველოში?

ჩაჩანში უთოოდ დიდი ამბავია, რომ აქედამ ნაიბები ჯარებითა წავიდნენ შამილისკენ, როგორც ისმის, იმისთვის რომ ჩაჩანი რუსებს ურიგდებაო (²). ჩემის ანგარიშითკი უთოოდ ფრეიტალი იქ ომობს კარგად. შამილა პატარა დარღოში ასულა, ესე იგი ა ბ დ უ ლ ლ ა ი ურ თ (³), რადგანაც რუსები თურმე დაახლოებულან.

საკურველია, რომ თორმეტი დღეა რა გამიგზავნია კაცები ნოხბიქესთან ყარაბში და ჯერ პასუხი არ მომსვლია; სამჯერ წავიდა ჩემგან კაცი და ჯერ ერთიც არ დაბრუნებულა. — ახლა გუშინ კიდევ წარვგზავნე ჯავშუში გერგებილსა და ხოცატლში (⁴), ეგებ იქ იყოს რამე ამ ქალის ამბავი.

ბატალიონისას რომ მწერ ბუგლენში (⁵) დაყენებას, ეგ დალოცვილი კუდაშვეიკი მწერს პრედპისანიით, რომ ყაყაშურას (⁶) დააყენეო; მაგრამ არც იქ იქნება, რადგანაც ეს სოფელი შეშას ჰზიდავს ყულიცმაში, თუ უნდა ან დორგელში დავაყენებ (⁷), და ანუ ბუგლენსა; ამას მე ვსწერ კუდაშვესა.

კაკალა რომ დურაჩკს თამაშობს, საწყალი იოსებ თათულაშვილი (⁸) რას იტყვის? — აკი გეუბნებოდი, რომ ეგ სრულებით დარდიმანდი თავის დღეში არ ყოფილა; დარდიმანდობა ხომ ცარიელი არ არის? — მირზაჯანამ (⁹) ერთხელ ერთს დუქანში იხილა ლამაზი ყმაწვილი ბიჭი, მაშინვე რაცკი ჰქონდა დუქანში გასასყიდი, ერთიანად იყიდა. — აი დარდიმანდობა! — რა დარდიმანდობაა დურაჩკის თამაშობა კახპასთან? ფუ შენს წვერს კაკალ! როცა მამშორდები, მაშინვე აგრე წახდები ხოლმე. შენს გაზდას გამოაგდე მალე˙ მანდედამ; ახრ სულ მარტოდ დამაგდო.

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი

27-ს фев: 1847.
Джунгута

---

*) ზურაბ სარდალი ჩემს დღეში არ გამიგონია, თუ არა მყვირალა ზურაბ (შენიშვნა, მიწერილი ვილაც პირის მიერ ფანქრით. ზურაბი გრიგოლის მამის სახელია. — (ბ. ბ.).

თეთრს ცხენს გამოუგზავნი კენდერჟინსკისა ([10]), სულკი გამყვლიფე და? ალარა შემარჩინერაკი და?

(მისამართი დაწერილი მეოთხე გვერდზე):

Его Сиятельству,
Князю Захарию Дмитриевичу
Орбелиани.
Г: Полковнику и кавалеру
В Т: Х: Шуру.

87. ᲖᲐᲮᲝ

ჩემო საყვარელო ზაქარიავ! ხვალ, ესე იგი კვირას, მივალ ყულიცმასა და ორშაბათს ავალ ჯარით აიმაკის მთაზედ, რომლისა სიახლოეს უნდა მოხდეს ნოხბიქეს გამოხსნა. ამ საქმეზედ მომივიდა წიგნი სულთნისა ([1]) და იმ ქალისაგან; ენახოთ, როგორ დაბოლოვდება.

კნიაზ ბებუთოვის წიგნი მომივიდა, უთარიღო, ხრიეებით სავსე „მყოობადისა დროჲსათვის“ და ამგვარი ფრაზები. — როგორც ჰსჩანს წერილში უთოოდ უნდა მოვიდეს, და ძალიანაც მიამება მისი მოსვლა. — კუდაშვილს მიუწერია, რომ ჩვენი ჯარი ცოტა რომ წინ წამდგარიყოო, არაითუ მარტო არაკანი დაგვმორჩილდებოდაო, „არამედ სამს ზარბაზანსაც წაართმევდენ, თვით არაკნელები, მურუდებსაო“. ამისთანა სიცრრრრრუე იქნება? — ეგეც ყალბი გამოდგა. — ამისგარდა არაკნელებმა სულ ამოხოცეს მურუდებიო. და სხვანი ვინც გადარჩნენ, გაიქცნენო; მაშასადამე ჩვენის ჯარის შენშრეკში ასელამაო წარმოადგინა ჩვენთვის ეს დიდი სარგებლობაო“. — კნიაზი მწერს, ეს მიკვირსო, რატომ შენკი არა მწერ ამ ამბებსაო? — მე რა ვიცოდი, რომ კუდაშვილი ტყუილებს მისწერდა? — აი ეს ქვეყანა თურმე სულ ასე ყოფილა.

კაკალა გამოაგდე შენს გაზდას, გავგიჟდი მარტოობით; და მას თანაც გამოატანე ერთი ბანკა კარგი მურაბა ფეშქაშად; უფროსი ძმა ვარ, პირს გავისველებ.

შენი ძმა გრიგოლი
8-ს მარტსა
ჯუნგუთით.

(მისამართი დაწერილი მეოთხე გვერდზე):

Его Сиятельству,
Князю Захарию
Орбелиани
В Шуру

88. ძეთევან ორბელიანისადმი

ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან! უმორჩილესად გთხოვ, ეს ჩემგან გამოგზავნილი ხ უ თ ი თ უ მ ა ნ ი წარუგზავნოთ ჩემს დას ეფემიას და ესე წერილიცა.

ჩვენ ღ˜თის მოწყალებით ვიმყოფებით მშვიდობიანად; მეცა ხვალ ვაპირებ მთაში ასვლას სოფელსა ყ უ ლ ი ც მ ა ს, რომლისა სიახლოეს უნდა მოიყვანონ ჩემი ქალბატონი (1), ტყვედ წაყვანილი, და იქ უნდა გავჰცვალო მასზედ თვრამეტი ტყვე, ამას წინად ჩემგანვე დაქერილი. — ვნახოთ როგორის ქალწულობით მობრძანდება. — თუ კნიაზ ვასილი იოსების ძე (2) ისევ მანდვე იმყოფებოდეს, გთხოვ ძალუავ, აცნობოთ ეს გარემოება ხანის ცოლის ნ ო ხ ბ ი ქ ე ს გამოხსნისა. — მე ახლა იმიტომ არ მოვსწერე, რომ დამარწმუნეს მაგისი ქალაქიდამ გამოსვლა.

გუშინ ზაქარიამ გამომიგზავნა ილიას წიგნი და თქვენიცა; ვმადლობ ღ˜თსა თქვენისა უვნებლობისათვის. ილია იწერება, რომ გაზაფხულზე სარდალს გამოეჰყვებიო, ნეტავიკი აღსრულდეს მაგის აქ მოსვლა.—ზაქარიაც იძახის მალე წავალ ქალაქშიო; თუ ცოტა მოიცადა, მეც იქნება თან გამოვყვე.

ჩემი საკუთარი ყაფლან, ნადირშაჰის (3) ჯილა, სიყვარულით მომიკითხე, ეგრეთვე ძალუა ელისაბედ, ჩემი დედა ბაბალე და ალექსანდრე. ერთი. შემატყობინეთ ისევ კაპიტანია (4)? ჩემს საყვარელს იაკინთეს დიდის პატიკისცემით მოვიკითხავ, მშვიდობით, ჩემო ძალუავ! ზემოუბნელთა გაიხსნილეს, თუ ისევ ოხრეთ გულში ცემა გაქუსთ?

თქვენი მორჩილი გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი.

8-ს მარტსა 1847,

ჯ უ ნ გ უ თ ა ი თ.

(ხ. ორბელიანის ხელით მინაწერი):

პირს გაკოცებ ჩემო ქეთევან! ფული არა მაქუს. თორემ მეც გამოგიგზავნიდით. — გრიგოლ ხანია, ბევრი აქუს, სანდრიკოს ვაკოცებ. — მე ვარ მშვიდობით.

შენი ზ ა ქ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი (5).

89. ილია ორბელიანისადმი

ჩემო საყვარელო ილიკო! ჩემი პლანი თბილისში ჩამოსვლისა და შენის ხილვისა, როგორც ადრე მოგწერე, ჩაიშალა; ახლაც გაზაფხულდა, სითბო შევა მთაში და მურუდებიც მატლებსავით აფუფუნდებიან; შეიუნება, წასრულს წელიწადებსავით, ომიანობა, რომლისაგამო უნდა დავრჩე აქ კიდევ

შემოდგომამდის მაინცა. მაგრამ ეს მანუგეშებს, რომ შენ აპირებ აქ მოსვლასა სარდალთანა; ნეტავი მოხვიდე! და კიდევ ვნახო შენი და ზაქარიასი ჭიდაობა განთიადის ჟამს. — ზაქარია კარგად უელის პოლკსა და კარგადაც მიხვდა სამსახურსა. —

მოვიდა გუშინწინ კნიაზ ბებუთოვი თავის ძმისწულით გრიგოლის შვილითა; რომელიცა ძალიან მომეწონა; არა ჰგავს უჯინშო მანანას შვილებსა (1).

მგონია მოგწერე ადრევე ნოხბიქეს გამოხსნა; ათს მარტსა მოვიყვანე ჯუნგუთაისს ცერემონიითა.

მე სწორედ გეტყვი, ჩემო ილიკო, რომ კავკასიის საქმე წასულია ჩვენის ხელიდამ; არავის ჰსჯერა, რომ ხუთის ბატალიონით, თუმცა შეიძლება მტრის დამარცხება, არ შეიძლებაკი დაღისტნის შეპყრობა. Грустно, რომ ესოდენის სისხლის ღვრა ყოველწლივ, ესოდენი შრომა და ღვაწლი მიდის ასე ამაოდ. —

აბა ჩემო ილიკო, ახლა ვნახავ, როგორს ცხენს მომიყვან ფეშქაშად, შენ იცი, მე არას ვიტყვი.

მშვიდობით, მომწერე შენს მაგიერად ვის ჰნიშვნენ. ღ˜თი იყოს შენი მფარველი.

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი.

31 მარტსა 1847
თ ე მ ი რ ხ ა ნ შ უ რ ი თ

90. ᲛᲐᲜᲘ

ჩემო საყვარელო ილიკო! წამოვიდა მანდეთკენ ჩემი ნაჩალნიკი შტაბისა გ ა ს პ ა რ ო ვ ი, რომელსაცა აქუს კეთილი განზრახვა თავის ძმების განწესებისა, ანუ თბილისის ღიმნაზიაში და ანუ კორპუსში რუსეთს. — გთხოვ, თუ შენ გქონდეს შემთხვევა, მიეც ამას შემწეობა; ეს თვით გიამბობს თავის საქმეს.

მე, ღ˜თით, კარგადა ვარ, ეგრეთვე ზაქარიაცა; ეს ამზადებს ბატალიონებს საპახოდოდ, რომელიცა მოგვიხდება მაისის დამდეგს, მგონია.— გრიგოლ შადინოვიც (1) მოვიდა; ღ˜თო, რით ვერ გაძღა ფულებითა ეს ხალხი? მაშინ რისთვის მოვიდა აქა, თუ არ ფულისათვის? — უანგარო სამსახურისათვის? დიახ, დიახ, მამატყუეს. — მურუდები ჯერ მიმალულნი არიან; ჯერ გვიყურებენ, საიდამ მივაწვეებით.—

იმისი არ იყოს, ერთი ყანაოზები მაინც გამომიგზავნე ფეშქაშებად; ძალიან მიყვარს ფეშქაშები. შენთვის სამი ხანჯალი მაქუს დამზადებული, სამნივე შენსიგრძე. ა მ დ ე ნ ე ბ ი არიან, კამბეჩს თავს გააგდებინებ.

შემატყობინე, შენს მაგიერ ვინ დაუნიშნავთ, ვინ უნდა ჰქონას ჯავათხანობა (2), თუ არ ილიამ?—ჩვენმა ესტატემ მაჩაბელმა (3) ერთი ძალიან

კარგად წიხლს ქვეშ გაბეჟა, გათელა თავიანთ პოლკის პოდპოლკოვნიკი ობუხოვი (4), დიახ, საძაგელი კაცი, რომელმანცა ბევრის აქა იქით უშვერის ლანძღვით მოთმინებისაგან გაიყვანა მაჩაბელი, და ამანაც ასე ქართველურად პასუხი უგო; მაგრამ რა უნდა ექნა? დუელში გაითხოვა, არ გავიდა, და ეს უპასუხა, რომ რადგანაც მე სტარში ვარო, მაშ გიჩივლიბო. — ამ სიტყვაზედ მაჩაბელმა გაავლო, და წაიგდო ფეხქვეშ. — მეორეს დღეს მართლად ობუხოვმა რაპორტით იჩივლა, რომ მაჩაბელი შემოვარდა ჯომარდიძის (5) სახლშიო, საცა მე ვიყავიო იმ ჟამად, უმიზეზოდ დამიწყო ბაასიო და ხელი წამკრაო, ტალკნულ. მოწმებმაც ისე უჩვენეს, რომ მოულოდნელად, ისე უნებლიეთ, ლაპარაკში ხელი მოახვედრა განუზრახველადაო; მაჩაბელმაც ესე ჰსთქვა. მე ესე არ მახსოვსო, და თუ როგორმე განუზრახველად ხელი მომეხვედრა უთოოდ ბოდიშსაც მოვიხდიდი, ვ'ა კეთილ ზრდილობიანი კაციო. — ახლა ეს საწყალი მაჩაბელი, მაინცკი არესტოვანი არის, ესკადრონიც ჩამოართვეს, ამაზე სლედსტვიეც წამოვიდა სარდალთან და სლედსტვიეშიაც ისეა გამოყვანილი, რომ რადგანაც არა ჰსჩანს განზრახვა მაჩაბლისა ხელის მოხდომაში, ამისთვის სასჯელად ეკმაოს არესტიო. — ახლა ჩემო ილიკო, თუ შემთხვევა მოგეცეს, შეეწიე ამ დიახ კარგს, ვაჟკაცს და ფრონტის აფიცარსა, რომ ამით გადასწყდეს ეს ხათა და ბალა ამისი.

სხვებრ მშვიდობით ჩემო ილიკო, ღ'თი იყოს შენი მფარველი.

შენი ძმა გრიგოლი

10-ს აპრილს 1847.
ჯუნგუთაითი.

91. ძეთევან ორბელიანისადმი

ჩემო საყვარელო ძალუაე ქეთევან! თქვენი ორი წიგნი მომიყიდა გუშინ ზაქარიასაგან. ქისები, რომელთათვისცა მწერთ გამოგზავნას, მე არ მომსვლია; უთოოდ ამასაც ზაქარია დამალამდა. ოჰ ეს შენი ქმარი რა გაუმაძღარი შეიქმნა ყოვლის ფერით, და ამასთანა უფრო უმეტესად გაკუწურაკდა: აღარა შემარჩინარა, სულ მთხოვს და მთხოვს. მეც, ხომ იცით ჩემი უხვი გული, ვაძლევ და ვაძლევ; მაგრამ აი, ნახეთ? ქისაცკი წაიღო. — ახლა ეს ამით მართლულობს თავსა, რომ ადრე ასე არ ვიყავო, ქეთევანმა მასწავლა კუწურაკობაო, იმან შემიცვალა ხასიათიო, შენ გაბრალებს, და თვითკი ჰშკაფსა ჰკეტავს მაგრად. — ხვალ მივდივარ განგებ ამისათვის, და თუ ქისები არ მომცა, სხვა არა დავაკლო რა, ფანჯრებს დაუმტვრევ, თეფშებს გაუტეხ. თეფშების გატეხა ძალიან ჰსწყინსო, ეს როგორი ჩემი ძმა არის!

მე ამას წინად ხანჯალი გამოგიგზავნე ზემოუბნელების მოდისა, არ ვიცი მოგვიყიდა თუ არა? კატუასთან (1) პირშავად დავრჩი; მაგის ხანჯა-

ლიც აქა მაქუს მზად და არ იქნა ვერ გამოუგზავნე; დღესაც ვერ მოვასწარ, ეს კი კაკალას ბრალია, რომ ყუთის გაკეთება დაავიწყდა. მომავალს ფოშტაში უთოოდ გამოუგზავნი. — უნდა იცოდეთ, რომ მაგ გვარს ხანჯლებს, დიდი ხანი გავა რომ ვეღარავინ გააკეთებინებს, რადგანაც ქობაჩი ეხლა გადამდგარია, და ქობაჩში ჰსცხოვრებს მაგის გამკეთებელი.

ჩემი ახალუხების შეკერვა მანდა არ იქნება; თუ მანანას შვილებზედ გამოსკრი, ეგენი ჭნაუები არიან და მე ლომსა ვჰგევარ. — თუ დარდიმანდობა გინდა იხმარო, ლაზათიანი ყანაოზები აქ გამომიგზავნე და თან გამოატანე ოქრომკედი დაგრეხილი შაეძაფთან, რომ ახალუხს შემოვაკლო. ლაზათიანი ყანაოზი, ყიზილბაშური, ძალიან მიყვარს. აი ასე. —

გათავდნენ თემირხანშურის ბალები და თეატრები, მოახლოვდა რა გაზაფხული. — აქაური საზოგადოება ახლა ბაღში სეირნობით ატარებს დროსა; საღამ საღამო ფერად ფერადად გამოჰაეროვნებენ აქაურნი მნათობნი თავის ლომებით. — მოდნის ქუჩაში ჰსდგეხარ, უნდა იცოდე რას ჰნიშნავს ლომი — მეკი თავაღებული დავდივარ, ბუზათ არავინ მიმაჩნია არცა მანდა. არცა აქა; მე აღარ მესმის ოხვრა, კვნესა, ტყუილი მამოკანკლედობაები; ჩემი ეხლა პროფერანსია, ღ˜თმა ადღეგრძელოს პროფერანსი და დოხტორი გულემბლატი! — აბა მე და ის ვკოზირობთ ჰაა, დღე და ღამ! — სულ ტყუილი ყოფილა პროფერანსის გარდა; ასე უთხარ ჩემმაგიერ თამარსაცა (²) და მანანასაცა.

დიდი ხანია, რა ბარბარე ოთარის ცოლს გამოუგზავნე ათი თუმანი, მოუვიდა თუ არა? ანუ ამ ჟამად სად იმყოფება? მაცნობეთ: არ იქნა ვერ გადავწყვიტე მაგის ვალი.

არ ვიცი რა დაემართა ამ ჩემს თმებსა, ძალიან შესუსტდნენ; მე აქაურს წყალს ვაბრალებ, და თუ თქვენ მანდ იცოდეთ რამე წამალი, მასწავლეთ. კაკალასაც წინა კბილი ჩავარდა, ესეც წყალს აბრალებს.

ბაბალეს უთხარ ჩემ მაგიერ, შვილობაში მე როგორ გამცვალე ამ კუწურაკ ზაქარიაზედა თქო? ძალუა ელისაბედ დიდის ყოფით და პატივით მომიკითხეთ; ალექსანდრეს მაიორობას მიულოცავ, ძლივს ჩხირი კედელს (³).

ჩემი ყაფლან სად არის, ჩემი ნადირშაჰის ჯილა, ჩვენი ბარამჯიბილი? რატომ არა მწერთ მაგის ამბავსა, ხომ იცით ჩემი თაიგულია?

ღ˜თსა ვჰსთხოვ თქვენს მშვიდობიანად ხილვას; სანდრიკო ჩამიკოცნეთ.

თქვენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი.

28-ს აპრილს 1847,

ჯუნგუთაით.

მაიკოს (⁴) შეუთვალეთ, რომ საბრალოს მიხაკოს (⁵) ორივე ბეჭედი — ქალალდების საბეჭდავი — ერთი გვაროვნობისა, და ერთი პატარა, რომელზედაც გამოჭრილია მისი სახელი, აქა მაქუს. — საბრალო მიხაკოს ბიჭი ჩერქეზა მოკუდა ჭლექობით, და დაიმარხა მიხაკოს საფლავთან.

92. ᲛᲐᲡᲛᲔ

რა მოგწერო ჩემო საყვარელო, ჩემო უბედურო ძალუავ ქეთევან, ან შენდა სანუგეშად. ან ჩემის გამწარების გამოსათქმელად? — ღ˙თმან დამსაჯა, დამსაჯა საზარლად; ჩემი ძმა თანაშეზრდილი, ჩემი ბედნიერების გვირგვინი, ზაქარია, განმაშორა საუკუნოდ. ჯერაც ვერ შეჰაჩვევია ჩემი ფიქრი, ჩემი გული ამა უბედურებასა. უკანასკნელი მისი ფიქრი იყო შენთვის და სანდრიკოსათვის. — ღ˙თი იყოს შენი ნუგეშისმცემელი, ჩემო ძალუავ, პირიღ˙თისამ მოგცეს შემსუბუქება შენის მწუხარებისა; მე უგუნური ვარ, უგუნურად ვჰსტირი, და არ ვიცი რასა ვსწერ (1). — მშვიდობით.

შენი უბედური ძმა გ რ ი გ ო ლ ი.

93. ᲘᲚᲘᲐ ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ჩემო სიცოცხლევ ილიკო! შენი წიგნი მომივიდა დღეს დიბირმაჰმადას (1) ხელით, მაშინ როდესაც ვუამბობდი სიზმარსა ივანეს (2), რომ შენ წითელის ჩექმებით გნახე; და ამისგამო მეშინოდა ვაი თუ დაგვრეს (3). ქალაქიდამ მოსულს წიგნებსა გიგზავნი, და ამასთან რუსულ წიგნსა, რომელიცა მივიღე დღესვე ს ლ ი ნ კ ო ს ი (4). ეს კაცი სიყრმითგან იყო. ჩემი ამხანაგი, მაშასადამე ვიცნობ ისე, როგორც ჩემს თავსა; ამის ნაკლულოვანება არის მიუკარებლობა, ფორმობა და დიდი უანგაარობა; ამ უანგაარობამ და მიუკარებლობამ დაღუპეს ეს პატიოსანი კაცი, რომელსაცა აბრალებენ თურმე სალიანის (5) აკლებასა, და რომელიცაკი, გარწმუნებ რომ გლახა არის ჩემსავით, შენსავით. იმიტომ დაიღუპა ესე, რომ სალიანის შემოსავალი მოუმატა ხაზინის სასარგებლოდ, და ავძაღლსავით, არც თვით ჰსჭამა და არც სხვას აჭამა; რა საკურველია ქვეყანა ამას აუმტერდებოდა.— გთხოვ, ჩემო ილიკო, ეს წიგნი კარგად გულსმოდგინეთ წაიკითხე და თუ შემთხვევა მოგეცეს, მოაგონე სარდალსა ამის დოკლადნის ზაპისკისათვის, რომელიცა მიურთმევია. — გარწმუნებ, რომ ეს საწყალი თაკიდამვე იყო განმზადებული, სავსე ერთგულებითა სამსახურისათვის. და წმინდა, უანგაარო. დიდი მადლია ღ˙თის წინაშე ამისთანა კაცისა შემწეობა; ღ˙თსა ვსთხოვ, რომ ამ საქმეში ხელი მოგემართოს; ახრ ცოდუა არ არის, რომ ამის ოცდაათის წლის სამსახური ასე უსამართლოდ წახდეს?

ნეტავ როდის გვეღირსება, რომ სალტის დანგრევა შეგვეტყოს და შენც მალე მენახე (6).

სოდოვის პარაშკები პატოკკისათვის (7) და ფურაჟკა ჯაფარყულიაღასთვის (8) მომირთმევია; და შენთვისაც ათი თუმანი სიქა მანათი.

გრიგოლ შადინოვი და მაჩაბელი აქ არიან, აწყობენ ყოველს დღეს ახალს პლ:ნებსა, მაგრამ ვერა გახდენრა; ივანე (9) წამოვა გერგებილის დროსა (10).

პატოცკი დიდად მომიკითხე. — ღ˜თი იყოს შენი მფარველი

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი

22-ს აგვისტოს 1847,
თ ე მ ი რ ხ ა ნ შ უ რ ი თ.

ეს სლინკოს წიგნი უკანვე გამომიგზავნე პასუხითა.

94. მ ა ხ ვ ე

ჩემო ილიკო! ამასწინად გამოგიგზავნე ათი თუმანი, ფურაშკა და სოდოვის პოროშკები, მოგვიდაა? გუშინ შევიტყეთ, რომ საბრალო ბიბანოვი (1) მოუკლამთ; გეთაყვანე ილიკო, მომწერდე ხოლმე დაწვრილებით მანდაურს ამბებსა; ხომ იცი რა რიგად სანატრელია ჩვენთვის ცნობა ბრძოლისა თქვენის ოტრიადისა.

ჩემის პოლკიდამ წამოიყვანეს კიდევ ერთი როტა, და ჯავრით აღარა ვარ. — ყოველივე მუშაობა, რომელიცა დავიწყეს, შედგა. — კაზარმებს ვინლა ჰსჩივის, პოლკოვის კანუშნები ასე დანგრეულნი არიან, რომ არ ვიცი სად დავაყენო ამ ზამთარს ცხენები; ამისგარდა ამ ზამთარს მომინდება შეშა უმეტეს სამასის საჟენისა; ვინ უნდა გამომიტანოს და ანუ როდის, რომ როტები სულ ასე დაფანტულნი არიან? ამ ზამთარში შეშის ზიდვით უნდა დავხოცო რაც ცხენები და ხარები მყავს. — აი პოლკიდამ სარგებლობა! არ მინდოდა ეს საძაგელი შტაბკვარტირა, მაგრამ რა უყო!

იყავ მშვიდობით, ღ˜თმა დაგიფაროს ყოველთა საშიშროებათაგან.— პატოცკი მომიკითხე სიყვარულით. ევდაკიმოვის მამა მოკუდა ხოლერით სტავროპოლში. — შემატყობინე, რას ჰშვრება მანდა კნიაზ კუდაშეევი, რომელიც ამბობს, რომ მე მომანდონო და სალტას ოთხს დღეზედ ავიღებო. — მშვიდობით

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი

25-ს აგვისტოს
თ ე მ ი რ ხ ა ნ შ უ რ [ი თ]

ივანე წამოვა ამ დღეებში.

95. ძეთევან ორბელიანისადმი

ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან! თქვენი წიგნი აღარ მომდის და ვწუხვარ; უბედურებაში მიანდეთ თავი თქვენი ღ˜თსა, რათა არ გძლიოს მწუხარებამ. — გაიმაგრეთ გული და იცოცხლეთ სანდრიკოსათვის.

ილია ამჟამად არის მთავარმართებელთან სალტაში, რომლისა ერთი მხარე უჭირავს თავის ჯარით და დღე ყოველ აქუს დიდი სროლა მტერთან, რომელთაცა არ უშვებს არცა ციხიდამ გარეთ, და არცა გარედამ ციხეში. ჯერ მტერი ჰყავთ ძალიან შემწყვდეულად და ვნახოთ ამას იქით ღ˜თი როგორ ინებებს.

ძალუავ, რაღა გევედრო, რომ თქვენი ამბავი და სანდრიკოსი ხშირად მაცნობოთ. — ჩემი ნუგეში თქვენა ხართ.

ღ˜თი იყოს თქვენი მფარველი.

თქვენი მორჩილი გრიგოლ ოობელიანი

8-ს სეკდემბერს 1847.
თემირხანშურით.

ჩემს საყვარელს ძმას ალექსანდრეს (1) მდაბლად მოკითხვას მოვახსენებ და ეგრეთვე დიდს მადლობას დაუვიწყებლობისათვის. — კნიაზ ბებუთოვმაც მოიკითხა და ძალიან იამა მაგისგან მოკითხვა, რომელიცა მე განუცხადე იმას. — ცალკე მინდოდ› მოშეწერა, მაგრამ ვერ მოვასწარ ფოშტასა. — მაგის წიგნები გაუგზავნე ილიასა სალტაში.

96. ილია ორბელიანისადმი

დიდება და მადლობა ღ˜თსა, რომელმანცა შეგმოსათ ძლევითა დაუძინებელთა ჩვენთა მტერთაზედა; მისის მადლითა დახსნილხარ კიდევ ერთხელ განსაცდელისაგან, ჩემო ილიკო! — ეს არის ამ მინუტში მთელი შურა ყვირის ურა! ურა! და ასე ვდღესასწაულობთ, რომ კაზარმებიდამ დავითხოვე მუშები, შევკრიბე მეიდანზედ მთლად შურა არყის სასმელად; ეს ჯერ ისე ხელად; და ხვალკი გაიმართება ცერემონიებით მოლეენა და სადილები სადღეგრძელოე ბითა სარდლისათვის და მთლად თქვენის ოტრიადისა (1). — ოჰ რა მიხარიან. ნეტავი ჩ,ემზედ უმეტეს უხარის თვით სარდალსა? — თქვენგან გამოგზავნილს ავარელს ყიბიტას, როგორც აღთქმა მქონდა, უწყალობე ერთი პოლუიმპერიალი და საჩოხედ მაუდი. — ივანეს გულით ვაკოცებ. პოტოცკის მიულოცე გულით გამარჯვება და გულითაც ჩაჰპროშტე. — ღ˜თი იყოს მარადის შენი მფარველი.

შენი ძმა გრიგოლი

16-ს სეკდემბერს.
თემირხანშურით.

გეთაყვანე, ილიკო, სალტა მოახვნეინე ნიშნად სრულიადის გაოხრებისა ძველებურის ქართველთ ჩვეულებისამებრ.

97. ძეთევან ორბელიანისადმი

ჩემო უსაყვარლესო ძალუავ ქეთევან! გუ'მინ მივიღე თქვენი წერილი 13-ის სეკდემბრისა; ვმადლობ ღ'თსა თქვენის უვნებელობისათვის.—ძალუავ, გული გაიმაგრეთ, არ უნდა მიეცეთ სამარადისოდ მწუხარებასა; თქვენ ახლა ეკუთვნით თქვენს შვილსა, მისთვის გმართებსთ სიცოცხლე. —

ჩვენ ღ'თით ვიმყოფებით ბ'შვიდობით; ილია იყო დიდს განსაცდელს ადგილსა; 'თითქმის ერთი თვე ყოველს მინუტს ბრძოლაში და განუსვენებლობაში; მაგრამ ღ'თმან მარჯვენითა თვისითა დაიფარა, და მაქუს იმედი ამ ახლოს ხანს მისის ხილვისა და მასთან ერთად ივანესიც, რომელიცა იყო იმ ბრძოლაშივე. — ორნივ მშვიდობიანად გადურჩნენ და მთავარმართებელთან ერთად მოვლენ აქ შურაში. — ილიას დაჭრილობა ტყუილად უთქვამთ მანდა; მართალიკი ეს არის, რომ მრავალი ჯარჩ მეურუდებისა დახოცა, ერთი ზარბაზანიც და ბაირაღი წაართო მტერსა; სოფელი სალტა, ძალიან გამაგრებული აიღეს ალავერდობის დღესა, და ქვა ქვაზედ აღარ გაუშვეს, და ამ სოფელთან ერთად აღხოცეს მიწისა პირით ქუდალიცა (1), კოღორიცა (2) და ყუპპაცა (3) .—კნიაზს მოსე არღუთინსკის მოხვდა ტყვია ლოყაში; მაგრამ, ღ'თის მოწყალებით კარგათ არის. მგონია ჩვენი ქალები იცნობენ ღრაფ ღაიდენს (4), ესეც დაჭრილია; და საწყალი ღლებოვი (5) ხომ ადრეევე მოკლეს. —

სანდრიკო ჩამიკოცნე, შევიტყე მითომ ვაშლოვანს იყო მამუკასთან (6) და ქეთევანთან (7); ღ'თმან სამაგიერო მიაგოსთ იმის მოვლისათვის. —

ჩემი საყვარელი ძმა იაკინთე მომიკითხეთ; გეთაყვანე ძალუავ, პარაკლისი ახდევინეთ ანჩისხატში პირმღთისასთან ილიას განთავისუფლებისათვის და ეგრეთვე ივანესათვის. —

მშვიდობით, ღ'თი იყოს თქვენი და თქვენის შვილის მფარველი

თქვენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი.

22 სეკდემბერს 1847
თემირხანშურით.

ჩემს საყვარელს ძმას ალექსანდრეს სიყვარულით მოვიკითხავ; ეგრეთვე ყაფლანსაც.

98. ილია ორბელიანისადმი

ჩემო საყვარელო ილიკო! ეხლა შინ უნდა მისული იყო; გთხოვ საჩქაროდ მომწერო ჩვენის ოჯახისა და ძალუას ამბავი. — ამასწინად ძალუას მოვსწერე სანდრიკოსთვის და ვჰსთხოვე მისი აქ გამოგზავნა სასწავლებლად. საწყალს ზაქარიასაც ეს ფიქრი ჰქონდა, რომ აქ აპირებდა მის მიბარებას კსიონზთან(1), რომელიცა არის დიახ კარგად ნასწავლი, და დიდის სიამოვნებითაც მიიღებს სანდრიკოსა. — ასწავლის რუსულსა, ლათინურსა და ფრანციცულსა; არიფმეტიკას, ალღებრას და ღეომეტრიასა, ამის გარდა ისტორიას, ღეოღრაფიას, და სლოვესტნოსტსა. — ეს მგონია კმაროდეს, მანამ უმაღლესს სასწავლებელში გადვიდოდეს სანდრიკო. ჩემი ფიქრი ეს არის, და თუ თქვენ მანდა უკეთესს ადგილს უშოვნით, მაცნობეთ.

რა თქვენ აქედამ წახველით, მთიდამ სრულებით არა ისმისრა; მტერი გაბრუებულია, გაყუჩებულია სალტას მინგრევითა. —

საბრალოს ჩვენის ძმის გვამსა ამ დღეებში გამოვგზავნი, და შეგატყობინებ რომელს რიცხვში მოასვენებენ თბილისს, რომ იცოდეთ ადრევე, და მის მიღებისათვის ადრევე ჰქმნათ თადარიკი (2). —

პატარა ვარანცოვის (3) ფლიგელადუტანტობა გულით მიამა; მაგისთანა ოჯახის შვილის ადგილი ხელმწიფის ტახტთან უნდა იყოს.

მშვიდობით ჩემო ილიკო. ღ̆თი იყოს შენი მფარველი.

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი

ძალუას სიყვარულით მოვიკითხავ; სანდრიკოს ჩავკოცნი.

19-ს ოკტომბერს 1847. —

ივანე (4) კარგად არის.

99. ბ ა ს ბ ე

ჩემო საყვარელო ძმაო ილიკო! კიდევ ანაზდეულად მოგვიხდა პახოდობა და ჩვენის ოტრიადით ვდგეევართ ა ყ ო შ ა ს (1) მეექუსე დღეა. მიზეზი ჩვენის ჯარიანობისა ეს იყო, რომ წუდახარას მოუხდა მტერი, რომელსაცა აქუნდა განზრახვად ამა ახლად აშენებულის სოფლისა გაოხრება, მაგრამ წუდახარელნი დადგნენ მედგრად, დაუწყეს თოფის სროლა და ისინიც დაბრუნდნენ უკან. ამათი ეს კინკლაობა გადაწყდა ორისავ მხრით რამდენიმე დაჭრილებითა. ამ დროს ყაზიყუმუხის სახანოშიაც შევიდა მურუდის ჯარი, რომელიცა მიიღეს უბრძოლელად მ ი ც ხ ი ს მაჰალმა (2) — მგონია ეს სახელი ჰქვიან — აღალარბეგი გამოვიდა მდევარზედ, ერთის სოფლიდამ გარეკა მტერი, მაგრამ მეორე სოფლებზედ მისვლაკი ვერ გაბედა. — ახლა ეს ისმის, რომ მტერსა სოფლებიდამ მოუკრეფია ამანათები და წასულა,

მხოლოდ აბრეკები დარჩენილან იმ სოფლებში მშვიდობიანად. ყაზიკუმუ-ხის ოტრიადიც გროვდება ყაზიყუმუხსა; ჩვენც, მგონია, ამ დღეებში მოგ-ვიხდება მიცხის მაჰალისკენ მისვლა, თუ სოფლელებმა თვითვე არ გარეკეს, ანუ აბრეკები თვითვე არ გაიქცნენ (3).

დარები, ღ˘თის მოწყალებით, დაგვიდგა მშვენიერი; თბილი, ნათელი დღეებია და სალდათების სიმღერებსა გააქუსთ გრიალი. საკურველია, ჯერ ერთი ავათმყოფი არა გუყავს. — კნიაზ არღუთინსკიც კარგად არის, თავისი იარა მოურჩა.

ჩემ გამოსვლის დროსა შურიდამ სუყველა დამზადებული იყო ჩემის ძმის გვამის წამოსაღებად, მაგრამ ჯერკი არ მომსვლია ამბავი, როდის, გაისტუმრეს შურიდამ.

ობშჩის პრედსტავლენიეში, მგონია, მეცა ვარ წარდგენილი, რადგანაც ჩემი ფორმულარიც მოითხოვეს; ილიკო, არ შეიძლება, რომ ა რ ე ნ დ ა ზ ე დ წარმადგინონ? — რათ მინდა ჯვრები?

ივანე ძალიან, ძალიან კარგად არის, ასე მოახსენე ძალუა მანანას, და ჩემ მაგიერადაც დიდი მოკითხვა. სტარიკა ოჰანაშვილი გეუაკი (4) სულით, ხორცით ქალაქშია, ძალიან ჰწუხს ქალაქისათვის, ნინდა გამოვგზა-ვნო, მებრალება. ძალუამ რომ ორი სიტყვა მოსწეროს, სწორედ გეტყვი, გააცოცხლებს. — ტასიკოს (5) შუბლზედ ვაკოცებ. —

ჩემს საყვარელს ძალუა ქეთევანს სიყვარულით მოვიკითხავ, სანდრიკო ჩამიკოცნე. მაცნობეთ, როგორ ჰსწავლობს პანსიონში და ან აქუს ხალისი თუ არა? მეკი მგონია, რომ აქ ერჩივნა ჰსწავლა. —

ჩემს საყვარელს ძმას ალექსანდრეს სიყვარულით მ ო ვ ი კ ი თ ხ ავ, ეგრე-თვე ყაფლანსაც,

მშვიდობით ჩემო ილიკო, ღ˘თი იყოს შენი მფარველი.

შ ე ნ ი ძ მ ა გ რ ი გ ო ლ ი.

20-ს ნოემბერს 1847.
ა ჰ ყ ო შ ი თ.

ჩემს მოწყალეს ხელმწიფეს კნიაზს ვასილი იოსების ძეს მოვახსე-ნებ უღრმესსა, ჭეშმარიტსა პატივისცემასა სულით, გულით.

100. მ ა ს ვ ე

ჩემო საყვარელო ილიკო! შენი წიგნი და ძალუასი 15-ის ნოემბრისა მივიღე გუშინწინ, როდესაც დავბრუნდი პახოდიდამ. — ჩემის საბრალოს ზაქარიას გვამი წამოიღეს 24 ნოემბერს, როცა მე ვიყავ პახოდში, და ანგარიშით მოიტანენ თბილისს 35 დღეზე, ესე იგი ახალწლის ორის დღით წინა; და თქვენც მის მიგებებისათვის ისე დაიჭირეთ ანგარიში. —

პახოდობა მოგვიხდა ანაზდეულად: მტერი მოუხდა წუდახარსა და იმავე დროს შემოვიდა მ ი ც ხ ი ს მაჰალში, რომლისა მცხოვრებთა მიიღეს უბრძოლელად; წუდახარელებმა კი გამოიღეს ხელი და დააბრუნეს მტერი. — ეს, მგონია, აჰყოშიდამაც მოგწერე. — მის შემდეგ წავედით მ ი ც ხ ი ს მაჰალში, საძაღლო ქვეყანას, უნჭეყათის (1) სოფელში იყვნენ ოთხას ხუთასამდის აბრეკები, რომელნიცა წინაღამესვე გაიპარნენ. — ორს დღეს უკან მე დამაბრუნა კნიაზ არღუთინსკიმ ორის ბატალიონითა, ოთხის ზარბაზნით და დრაგუნებითა, და თვით ისევ იქ დარჩა. მტრის ყრილობა არსაით ისმის, მხოლოდ ფრეიტალიკი შესულა ჩაჩანში. —

დღეს მოგვიყიდა შურაში საზარელი თოვლი. — ქაჩალი მაჩაბელიც გამოვიდა დ ერბენდიდამ ნშვიდობიანად; ივანეც კარგად არის. — ძალუას სიყვარულით მოვიკითხავ. სანდრიკო ჩამიკოცნე. — რადგანაც მანდ ვერ გიშოვნიათ ოსტატი, მაშ აქ გამოგზავნეთ და მაგის წამოსაყვანად გაზაფხულზედ გამოვგზავნი კაკალასა. — ღ˜თი იყოს შენი მფარველი.

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი

1-ს დიკემბერს 1847
შ უ რ ი თ.

101. ძეთევან ოჩიბელიანისადმი

ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან! თქვენი წიგნი 22-ის ნოემბრისა მივიღე; ვმადლობ ღ˜თსა თქვენის მშვიდობიანად ყოფნისათვის. — ილიას აგრე მალე განჯას წასვლა არ მიამა; იმასაც ვჰსწერ ამასთანავე ერთად. თუმცა ამასწინად მოგწერეთ, რომ საბრალოს ჩემის ძმის გვამსა მოასვენებენ ორის დღის წინ ახალწელიწადზედ, მაგრამ შეცდომა მომივიდა. — ამ მარშრუტსა გიგზავნით. საიდამაც ჭცნობთ დროსა მის მოსვენებისასა. ილიასაც წარუგზავნე, მაგრამ ამას კიდევ უნდა დაუამტოთ რვა ანუ ცხრა დღე, რომელიც მოუნდებათ ქვეითს სალდათებსა გზაზედ დასვენებისათვის; ამის ანგარიშით თბილისს მოასვენებენ, მგონია, თხუთმეტამდის იანვარსა. —

აფიცარსა, გვარად ე ა კ ო ვ ს კ ი ს ა (1), მივსწერე, რომ გაცნობოსთ თქვენცა და ილია[სა]ცა გზიდამ, რა დღესაც მოუხდება ქალაქში შემოსვლა რომ თქვენ ადრე იცოდეთ თქვენის თადარიკისათვის, მაგრამ მაინცკი თქვენ უნდა მოელოდეთ ხუთს იანვრიდამ· თხუტმეტამდის.

ილიკო მწერს, რომ არქიერს ვსთხოვე ზაქარია სიონში დასამარხავად. — მე თუ მკითხავთ, კუმისის ეკლესია უნდა გვერჩიენოს, იქ უნდა იყოს უკანასკნელი ჩვენი სადგური. — სარდალიც (2) სიონში მარხია, მაგრამ არცა ჰსჩანს, და არცა ვის აგონდება — დამიჯერეთ კუმისის სამებაში დაასვენეთ და მეც იქ დამმარხეთ; თორემ სიონსში, ორს წელიწადს უკან

ვერცკი იპოვნიან მისს საფლავსა. სიონი არის საქვეყნო სობორო, და არა ჩვენი საკუთრივ (3).

ყაფლან მომიკითხე სიყვარულით. მაგანაც დამივიწყა. სანდრიკო ჩამიკოცნეთ. — ღ"თი იყოს თქვენი მფარველი.

თქვენი ერთგული და კეთილის მსურველი მარადის მორჩილი გ რ ი-
გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი.

9-ს დეკემბერს 1847.
თემირხანშურით

მარშრუტი თემირხანშურიდამ.

24-ს	ნოემბერს	სოფელი ღილლი. .	. 26	ვერსი.
25 ს	„	ყარაბუდექენთი	14½	ვერსი.
26	„	ბუინაღი .	. 17½	„
27	„	ყაიაქენთი. .	. 31	„
28	„	ველიქენთი .	. 22½	
29-ს	„	ქალაქი დერბედი	. 26.	
30-ს	„	აქ შეისვენებენ		
დეკემბრის 1-ს		ღღესა დერბენდის ყულლარი. .	24	
2	დეკემბერს	იალამინსკისა . .	. 19½	
3.		ხუდათისა	. 18½	
4		ქალაქი ყუბა. .	19½	
5		სეიდლიარ .	. 21.	
6		დივიჩინ. . .	. 21½	
7	„	ყიზილბურუნ	15½.	
8	„	სიდირზინდი	. 15.	
9	„	ყილიაზი .	. 22.	
10	„	სუმღალთი .	. 27.	
11	„	არმატ	. 11½	
12.	„	ჯენღი	23½	
13.	„	ნაკიქორფი	16.	
14.	„	მარაზინსკი.	. 16.	
15.	„	ჰაჯიდარია .	12½	
16.	„	ქალაქი შემახა.	. 12½	
17-ს	დეკემბერს	მართამფსკისა .	. 13.	ვერსი
18	„	იახსუ	12	„
19-ს	„	ქულულინსკისა.	18½	„
20	„	ყარამარიანსკისა	. 15.	„
21	„	თოხჩაისკისა	18.	„
22	„	თურიანჩაისა.	. 21.	„

23.	დეკემბერს	არაბი.	. 17.
24.	„	ჩემახლი .	. 18.
25-ს	„	სუჩმიდალენ	. 26½
26-ს		ბაბარათლუ	. 28½
27		ქობურღი	. 16½
28		ალმალო	. 16½
29		მუღალნო	24
30		ყარააღაჩი	. 25.
31	„	ნუკრიანი	. 29½
1-ი	იანვარი	ლაკბე . .	. . 18
2	„	მუღალნო	13.
3	„	სართიჭალა	. 22-ს
4	„	მარტყოფი .	. 23½
5-ს	„	ქალაქი თბილისი	21*).

(წერილი დაზიანებულია. მეოთხე გვერდზე, მარჯვნით, აშიაზე, მიწერილია):

აფიცარსა რომელიცა მოსდევს ჩემის ძმის გვამსა, გამოვატანე კარავი ილიასათვის...

102. ილია ორბელიანისადმი

ჩემო სიცოცხლევ ძმაო ილიკო! ჩემის პოლკისა აფიცარი, გვარად ჟაკოვსკი, წამოვიდა კამანდით 24-ს ნოემბერსა, და გვამი საბრალოს ზაქარიასი მას მოაქუს თანა. — მარშრუტი ამასთანავე გამომიგზავნია შენთვის, რომლიდამაც ჰსცნობ დროსა მის თბილისში შესვლისასა, მაგრამ дневки არა ჰსწერია, რადგანაც ეს აფიცარი თავის მიხედვით შეისვენებს გზაზედ იქა, სადაც ამჯობინებს, მაინც ანგარიშითკი უნდა ათს ანუ თორმეტს იანვარს მივიდეს ქალაქში. — ამ აფიცარს მივსწერე, რომ შეგატყობინოს ელისავეტოპოლში, როდის მოვა შემახას, და ანუ იქიდამ როდის გამოვა, რომ ამ ანგარიშით უფრო მალე მიხვდები. ძალუასაც მივსწერე და გაუგზავნე ესევე მარშრუტი. არ ვიცი შენ, რადგანაც განჯაში ხარ, სად დაუხვდები მისაგებებლად გვამისა? —

ზაქარიასი სიონში დამარხვა მე არ მომწონს, ჩვენი კუმისის სამება ჰსჯობს ჩვენთვის, ამიტომ რომ ეს არის საკუთარი ჩვენი სასაფლაო, და სიონიკი საქ[ვეყნო] სობორო, რომელშიაცა სარდალიც მარხია, მაგრამ არცა ვინ იცის, და არცავის აგონდება. — ამა მიზეზით მინდა რომ ჩვენი სასაფლავო იყოს სამებაში, რომ ზოგჯერმე ნათესავმან მაინც გვნახოს და ჰსთქვას შენდობა მიცვალებულისათვის.—

*) იხილე ქარტა. აგრეთვე: „Пагирев: Алфавитный указатель к пятиверстной карте Кавказскаго края. ტფ. 1913“. დაღისტანსა და ტფილისს შორის მიმოსვლის მარშრუტები იბეჭდებოდა 50-ანი წლების „კავკასიის კალენდრებში“..

ილიკო! ამას წინად მაიორს კუტუზოვს (1) გამოვატანე შენთან წერილი და მთელი дело კამისარიატის კამისსიაში, რომელმანცა უნდა მისცეს ჩემს პოლკსა $\frac{10}{\text{ты:}}$ру: ასსიგ:; ამ საქმეზედ შურაშიაც დაგელაპარაკე შენცა და გრიგოლ შადინოვსაცა, და ორთავემ დიდი იმედები მომეცით;

ჩემის ანგარიშით მაიორი კუტუზოვი უნდა მოსულიყო შენს განჯაში წასვლამდის, მაგრამ მიკვირს, რომ არასა მწერ აქამდის ამ საქმეზედ. მაშ ჰსჩანს რომ კუტუზოვი არ გინახავს, და ამასაც უფრო ვჰკვირობ, რომ უნდა იმას ენახე უთოოდ. — სხვა არას მივაწერ, მხოლოდ ჩემს ბედსა, რომ სადაც ფულის საქმე იქმნება ჩემი, იქ უთოოდ უნდა დაბრკოლება აღმოჩნდეს. — ასტარხანში რკინისათვის გავგზავნე ასი თუმანი, ქარიშხალსა გემი გაუგდია ყიზილარის იქით, სადღაც უდაბურს ადგილსა; ვარანცოვკას (2) გავგზავნე ფქვილის სასყიდლად იაფობისათვის, ასეთი თოვლი მოსულა გზაზედ, რომ სრულებით გზა შეკრულა. — თამამშოვის (3) გემიკი ქარმა ატარა, ატარა და სწორედ პეტროვსკში მოიყვანა, სასაცილოა ეს ბედი!

ახლა ამასა გთხოვ, რომ მაგავე აფიცარსა გამოატანო ჩემთვის ცხენი, თუ გინდ ცხენები, შესაჯდომად; მაგისთანა აკაზიას ველარ იშოვნი. ჩემს ცხენსა დიდი ჰუნარი უდა ჰქონდეს. — მაგ აფიცარსა გამოვატანე შენი კარავი და მებელი; ჭაკი ცხენი კი ვერ გამოგიგზავნე, რადგანც ვიყავ პახოდში და დამავიწყდა.

მომწერე, ჩემო ილიკო, რად წახვედი ასე მალე განჯას, კიდევ ხომ არ ასტყდენ ავაზაკნი (4)?—

ღ᾽თი იყოს შენი მფარველი, მშვიდობით

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი.

9-ს დეკემბერს 1847.
თ ე მ ი რ ხ ა ნ შ უ რ ი თ.

103. ᲛᲐᲡᲘᲔ

ჩემო საყუარელო ილიკო! ამისწინად მოგწერე და გამოგიგზავნე მარშრუტი წამოსულისა აქედამ კამანდით აფიცრისა, რომელიცა მოსდევს საბრალოს ჩვენის ძმის გვამსა; ახლაც გაცნობებ, რომ ის აფიცარი თბილისს უნდა მივიდეს ხუთს იანვრიდამ თხუთმეტამდის, და ამ ანგარიშით უნდა თადარიკი ნახოთ.

რა შენ წახველ განჯას, აღარა ვიცირა შენი ამბავი. ნუ დამიგვიანებ ხოლმე შენს წერილსა.

ყაზიყუმუხის ოტრიადი დაიშალა, ზოგნი სამერზედ ჩავიდნენ და ზოგნი აქეთ მხარეს. ყაზიყუმუხს რაოდენიმე მურუდები იყვნენ, გაიქცნენ. —

ტლა ასეთი თოვლი მოვიდა აქა, რომ თავის დღეში მოხუცებულთა აქაურთა მცხოვრებთა არ უნახავსთ; შეიკრა სრულიად გზა, ორი კვირა არის რა ყიზლარის აკაზია ჰზის ყაზიურთში (1), და ეხოცებათ შიმშილით ცხენები; ამისთანა თოვლსა ზედდაერთო ყინვაცა, რომელიცა გუშინ იყო დილით 18-ი გრადუსი. შენ იფიქრე, რაოდენი ცხვარი გაუწყდებათ აქაურთ სოფლელთა ყოთნებში, სადაცა ნამცეცი საჭმელი აოა აქუსთ მომზადებული საზაძთროდ. — სანების მოყუარენი დასრიალებენ, დარბიან სანებითა და იძახიან ах, как здорово! — ამისთანა ყინვებისაგან მეც ცოტად უქეიფოდ შევიქენ, გარეთ გამოვდივარ მხოლოდ შუადღისას სანითა ხუთექუსს შინელში გახვეული. — დიდი, დიდი სობორო გაკეთდა თავისის სამრეკლოთი და მისცა შურას დიდი ლაზათი; ამის ზარების რეკა ისმის ერფელის (2). —

შენ რომ დამპირდი საპერანგეებსა სად არის, არ მოვიდა? მეც მაგის მოლოდინებაში აქ აღარა ვჰსყიდულობ. ახრ აგრე არ უნდა და? — საპერანგე უნდა იყოს ზოგი ნაწილი თეთრი, ზოგი შენ რომ გეცვა იმ გვარი. — ერთის სიტყვით რაც შენი вкуси იყოს, ისე ჰქმენ.

კნიაზ არლუთინსკი კარგად არის; ხშირად გკითხულობს, რასა გწერსო; მოიწერე მანდაური ამბები დაწვრილებით.

დიბირმაჰმადას ძმები კარგად არიან; უფალი ფიტინლოფი (3) ძალიან აიბუეს აქაურმა ხალხმა, არა ვინ პატიესა ჰსცემს, და არცა თვით ეს ვისმე იკარებს, არც ერთი ნოქერი არ დგება ამასთან. ეს ფიტინლოფი სრულებით სულელია, ცარიელი ფანფარონობის მეტი, არა ყოფილარა. ხალხსა ხომ სამართალს არ უშვრება, არის ისრე შეკეტილი ოთახში, გარეთ ყარაულები უდგანან და არავის უშვებენ აიათში (4). ვიღასაც ფიტინლოფის მაგიერ დაურქმევია ი т и н ф о т, ეს შეუტყვია და ძალიან ცხარობს. — ეს აქ დიდი ხანი ვერ გასძლებს, კნიაზ არლუთინსკი, მგონია, ამ მხარეს არ გაუშვებს ასე უპატრონოთ.

ქაჩალი მაჩაბელი მობრძანდა დერბენდიდამ, და ესე და ივანეც დადიან, აბა დადიან ჰა�ა!

დიმიტრი ონიკოვი სიყუარულით მომიკითხე. —

შადინოვმა მოგწერა დაწვრილებით კამისიის განკარგულება $\frac{10}{\text{ты:}}$ р. საქმისა, რომლისათვისცა მოგწერე და აქაც გითხარ — კამისიას წარუდგენია შტაბში, და იქიდამ გაუგზავნიათ ოპეკუნსკის სოვეტში სიმბორსკის ნასლედნიკებისათვის, და პოლკისათვის მიუციათ სანუგეშოდ право искать законным порядком (5). — ამაზედ ერთს ნაღლსა გეტყვი, რომელიც მოხდა ამ ახლოს ხანში: მე შევიტყე, რომ რკინა ასტარხანში იაფად ისყიდება, გავგზავნე ასი თუმანი; ის ნავი, რომელშიაც იდვა რკინა მოიტაცა ქარიშხალმა და ყიზლარს იქით გააგდო, და თამამშოვის გემებიკი ატარა, ატარა და პეტროვსკში კი მოიყვანა, სწორედ პრისტანში. ტყუილია, მე

ფულის ანგარიშში არ უნდა შევიდე. не надо идти противу своего назначения.

მშვიდობით, ჩემო ილიკო; ღ˜თი იყოს შენი მფარველი და მან მაღირსოს შენი ხილვა ბედნიერებით

შენი გ რ ი გ ო ლ ი

22-ს დეკემბერს 1847,
თ ე მ ი რ ხ ა ნ შ უ რ ი თ.

შენი კვიცების ამბავი მომწერე.

104. ძეთევან ორბელიანისადმი

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან! რა ილია წავიდა ელისავეტოპოლსა, აღარა ვიცი რა მისი ამბავი, ორჯელაც მივსწერე იქ წიგნი და პასუხი კი ჯერ არ მომსვლია.—აქ საშინელი, საზარელი ზამთარი დაგვიდგა; ორ ადლამდის თოვლი ძევს და ყინვა გუშინწინ ავიდა 18 გრადუსამდის. — ასეთი ზამთარი ამ მხარეს არავის ახსოვს, ყოველივე გზა შეიკრა, ფოშტაც ძლივ რის ტანჯვით მიეთრევა; ვართ ჯერ ამ ყოფაში.

ამასწინად გამოგიგზავნეთ წერილითა მ ა რ შ რ უ ტ ი გზისა, რომლიდამაც ჰსცნობდით იმ აფიცრის მოსვლასა, რომელიცა მოსდევს განსვენებულის ჩემის ძმის გვამსა; არ ვიცი მოგვიდათ თუ არა? — ილიასაც ეგრეთვე გავუგზავნე განჯასა, არც ისგან მომივიდა პასუხი. — სანდრიკო ჩამიკოცნეთ. ღ˜თსა ვჰსთხოვ თქვენს მშვიდობით ხილვასა. — ეფემიასი და მელიტონის აბბავი მომწერეთ; ეფემია თურმე ავათ ყოფილა, ახლა როგორ არის, მაცნობეთ, ეგრეთვე მისი შვილები.

იაკინთეს სიყუარულით მოვიკითხავ.

ივანემ (1) დიდი მოკითხვა და პატივისცემა მოგახსენათ. — არის თავისთჳის კარგად, მშვიდობიანად, არღუთინსკისაც უყუარს კარგად. — ძალუა მანანა მომიკითხეთ და უთხარით რომ ერთი წიგნი მოსწეროს კნიაზ არღუთინსკისა და ჩააბაროს თავისი შვილი.

სხვებრ მშვიდობით, ღ˜თი იყოს თქვენი მფარველი.—თქვენი მორჩილი ბოსამსახურე

გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

22-ს დ ე კ ე მ ბ ე რ ს 1847 წ ე ლ ს.
თემირხანშურით.

1 8 4 8

105. ილია ორბელიანისადმი

ჩემო სიცოცხლევ ძმაო ილიკო! შენი წერილი 19-ის დეკემბრისა მივიღე სწორედ ახალწლის დილით. ვჰმადლობ ღ˜თსა შენის მშვიდობიანად ყოფნისათვის; მაგრამ მიკვირს მე, რომ ჩემი წიგნები არ მოგსვლია, რომელთაცა თითქმის ყოველს ფოშტით გიგზავნი; იმედიკი მაქუს, რომ აქამომდის მიიღებდი. იმ წერილებში გაცნობე საბრალოს ჩვენის ძმის გვამის აქედამ წამოსვენება, ახლაც გწერ, რომ ჩემის ანგარიშით, როგორც მარშრუტში ეწერა შენთან წარმოგზავნილში, 15-ს იანვრამდის უნდა მიესვენოს თბილისს. — ვიცი დიდი ხარჯი მოგივა, მაგრამ რა ეჰქნათ ძმაო? — ღ˜თს გეფიცები და შენს სიცოცხლესა, რომ ამ ჟამად სრულებით არა მაქუსრა სახარჯოდ, და თუ ღ˜თი შემაძლებინებს, რაცკი შემიძლიან შეგეწევი სახლობისა და ოჯახის შენახვაში; განა არ ვიცი, როგორათაც ძნელია შენი ქალაქში ცხოვრება, მაგრამ მოთმინების მეტი რა გვაქუს სანუგეშოდ? — პოლკი მივიღე (1), მაგრამ ჯერ აქამომდის ხარჯის გარდა მე ხეირი არ მინახავს; ვნახოთ გაზაფხული რასა იქს, როცა ანგარიშება გასავალი და შემოსავალი. —

სანდრიკოს მიბარებას იწერები რაევსკისთან (2); მე სწორედ გითხრა არ ვიცი რაევსკის პანსიონის ღირსება და არცა ღ ა კ ს (3) ვიცნობ; და თუ კარგად ასწავლიან 250 руб: ად, იყოს მანდა; მე ვიკისრებ მაგ ფულის მიცემასა ტრეტობით. —

მაორი კუტუზოვი ჩემი პოლკიდამ გადადის ინსპექტორად თბილისის ღიმნაზიასა; ესე მთხოვს წერილითა, რომ სანდრიკო მას მივაბაროთ, ასე რომ სასწავლებლად ივლის ბლაღოროდნის პანსიონში და დგომით იქნება კუტუზოვთანა, რომელიც თავისუფალს დროს შინ ასწავლის ენებსა

ფრანციცულსა, ნემენცურსა და რუსულსა, რომელნიცა იცის ზედმიწევნით.— ეს კუტუზოვი თვით მეხვეწება მეგობრობისაგამო ჩემთან და საბრალოს ზაქარიასთან. — მე ახლა შენ გთხოვ, რომ საჩქაროდ დაელაპარაკო კუტუზოვსა, რომელსაცა ამასთანავე ვეჰსწერ, და რადგანაც მაგას არ შეუძლიან დაუკითხავად Семенова (4), რომელიცა არის მაგის ნაჩალნიკი, იყოლიოს თავისთან შაგირდი ვინმე, ამისთვის შენ უნდა დაიწყო კუტუზოვთან ერთად პლანი და ჰსთხოვო სემენოვსა, რომ ნება მისცეს სანდრიკოს თავისთან აყვანისათვის [სემენოვი, როგორც მწერს კუტუზოვი, მალე მიდის პეტრებულსა, მაშასადამე უნდა საჩქაროდვე დაელაპარაკო, რომ მის წასვლამდის, კუტუზოვსა ნება მისცეს სანდრიკოს .საქმისათვის]*). — სანდრიკო მასთან ყოფნითა ადვილად ისწავლის ენებსაცა და ყოფაქცევასაცა, და ამასთანა ხარჯიცა ეგოდენი არ მოუნდება ტანისამოსის გარდა, რადგანაც, რა საკურველია, კუტუზოვი არ გამოგართმევსთ ჯამაგირსა, თუმცაკი როდისმე ან ცხენი და ანუ სხვა რამე ფეშქაშიკი უნდა ჩვენგან მიეცეს.

მ ე ო რ ე პ ლ ა ნ ი სანდრიკოს სწავლისათვის, როგორც ადრე მოგწერე შენცა და ძალუასაცა, ეს არის, რომ აქ გამომიგზავნოთ გაზაფხულზე, მივაბარებ კ ს ი ო ნ ზ ს ა და ვასწავლებინებ ენებსა ფრანციცულსა, ნემენცურსა და რუსულსა, თუ გინდა არაბულსაცა. — ამასკი გთხოვთ რომ მალე გადაწყვიტოთ მაგ ყმაწვილის საქმე და ერთს გზაზედ დააყენოთ. — აქ ადვილად შემიძლიან უშოვნო მაგას ოსტატი, რომელიცა ასწავლის ღეოღრაფიას, ისტორიას, მათემატიკას და სხუათა. — იანგარიშეთ და ისე შემატყობინეთ მალე, რომელს ირჩევთ ამ სამს პლანში, რაევსკის პანსიონსა, კუტუზოვსა, თუ აქ გამოგზავნასა? —

აქ ახალი ამბავი არა არისრა საშინელის თოვლის მეტი. — ქაიხოსროს წიგნი მომიეიდა, რომლითაცა მთხოვს რომ მიხაკოს გვამი გამოვგზავნო ზაქარიასთან ერთად. — არ ვიცი ჭეშმარიტად როგორ უნდა აღვასრულო სურვილი მისი? პირველი ესა რომ ზაქარიას გვამი ერთი თვე მეტია, რა წარმოვგზავნე; მ ე ო რ ე, ეს საბრალო ყმაწვილი სამი წელიწადია მიწაში ძევს, და ერთი წელიწადი კიდევ უნდა დარჩეს, მანამ აქედამ წამოვა თბილისს კამანდა ანუ за приемкою вещей в полк, და ანუ უჩებნის ბატალიონში, რომ იმათ გამოვატანო, თორემ აბა ვის უნდა გამოვაყოლო ამ სიშორეს და ანუ ვის უნდა ჩავაბარო? და ანუ დამპალი კუბო, როგორ უნდა ამოიღონ საფლავიდამ? —

ძალუას სიყუარულით მოვიკითხავ, ეგრეთვე იაკინთეს; სანდრიკო ჩამიკოცნე. — ვინძლო, ილიკო, ჩემი საპერანგეები არ დაგავიწყდეს, ეგრეთვე საჩემო ცხენიცა, ჰაააა, საჩემო ცხენი! რომელიცა უნდა გამოატანო ჩემს აფიცარს Жаковский, რომელიცა მოსდევს ჩემის ძმის გვამსა, და ამასთანავე წამოვიდა პრიემშჩიკადაც.

---

*) ფრჩხილებში ჩასმული სტრიქონები გრ. ორბელიანს დაუწერია წერილის აშიაზე, როგორც გაგრძელება ფრჩხილების წინ მოთავსებულ აბზაცისა.

სხვებრ ღ˜თი იყოს შენი მფარველი და მან მაღირსოს შენი ხილვა. — ყაფლანს, ჩემს ყაფლანს, სიყუარულით მოვიკითხავ; ეგრეთვე დიმიტრი ონიკოვსა.

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი

3-ს იანვარსა 1848.
თ ე მ ი რ ხ ა ნ შ უ რ ი თ.

106. ᲛᲐᲜᲐᲕ

ჩემო საყვარელო ილიკო! კნიაზ ბებუთოვის პერევოდჩიკი პრაპორშიკი პრატაპოპოვი, განჯელი, რომელსაცა შენ კარგად იცნობ, აქედამ მოდის მანდა სამსახურისათვის по гражданской части; არზაც მიურთმევია, და კნიაზ ბებუთოვიც ჰსწყალობს; მე მთხოვა ამან, რომ თუ შენს უეზდში არის ვაკანცია რომლისამე თანამდებობისა, მოხედო ამას კეთილისა თვალით და განაწესებინო. იმედი მაქუს ამისგან, რომ პატიოსნად გამოგიჩენს თავის სამსახურსა.

სხვებრ ღ˜თი იყოს შენი მფარველი.

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი

5-ს ი ა ნ ვ ა რ ს ა 1848.
თემირხანშურით.

(მინაწერი პირველ გვერდზე):

ილიაჯან შენ გენაცვალოს მთელი ქვეყანა ამისთანა სკუჩნაობა იქნება მთელი დღე დავწრწი ვეჩნი ყიდიკით მაგრამ со скуки умираю. —

შენი ი ვ ა ნ ე (1)

(მინაწერი მეორე გვერდზე):

ილიაჯან! ის ერთი სურიელი წაგვივიდა მაგრამ სხვათ კი არაფერს ვაკლებ სულ რიგრიგით შევაქცევ ხოლმე, ეს ჩვენი ივანე კი ძალიან ტყუილათ რწის ქუჩაქუთა *) ჩრდილის აშოღლანი გახლავს, ერთი წაიყვანე და აქაური ქუჩები მოასვენეთ. მადლია. ერთი გაზაფხულზედ მოდი ეხლა თავისუფალი ვარ და რამდენს [მოგიმეცემ (?)] **)
იმ ერთს სურიელზედ უკეთეს [ობაზე] ***)
ლაფიც გამოვცვალე (sic)
სხვებრ იყავ ნშვიდობით და ბენიერათ (?) და დავშთები სრულიად შენი

ევ ს ტ ა ტ ი მ ა ჩ ა ბ ე ლ ი (2).

*) უნდა იყოს „ქუჩა-ქუჩა".
) და, *) ხელი გაურკვეველია.

107. ძეთევან ორბელიანისადმი

ჩემო საყვარელო ძალუაე ქეთევან! დიდიხანია რა თქვენი წიგნი აღარ მომსვლია, და არცა ილიასაგან; არ ვიცი როგორ მოიტანეს ჩემის ძმის გვამი და ან სად მიასვენეთ; ნეტავი სამებაში დაგემარხათ კუმისსა.

ქაიხოსროს წიგნი მომივიდა წარსრულს ფოშტაში, მწერს, რომ საწყალის მიხაკოს გვამი ერთად გამოვგზავნო ჩემს ძმასთან; აბა როგორ აღვასრულო მაგის სურვილი, არ ვიცი? პირველი ეს არის, რომ ჩემის ძმის გვამი გამოვგზავნე ორის თვით წინ; მეორედ, რომ მიხაკო ეს ვესამე წელიწადია დამარხულია მიწაში, და აბა როგორ უნდა ამოვიღო და ანუ რაღა დარჩებოდა? და ამასთანა ესეც უნდა ვჰსთქვა, რომ ვის გამოვატანო? — საშინელი, საზარელი ზამთარი დაგვიდგა აქა; ეს ორმოცი დღეა მოუწყვეტლივ მოდის თოვლი, ყოველს მხარეს შეიკრა გზა და აქაურთ სოფლელთა უწყდებათ ურიცხვი საქონელი.

ამასწინად მოგწერეთ თქვენ და ილიას სანდრიკოს სწავლისათვის, შეამატყობინეთ, როგორ გადაწყვიტეთ და ან ამ დროს ვისთან არის მიბარებული და ან როგორ ეხალისება სწავლა?

თუ ყაფლან მანდ იმყოფებოდეს სიყუარულით მომიკითხე, ეგრეთვე ჩემი საყუარელი ძმა ალექსანდრე, რომლის წიგნი დიდიხანია არ მომსვლია. — ილია თუ მოსული იყოს ქალაქში, უთხარით რომ მალე მომწეროს პასუხი წარსრულის ფოშტით ჩემგან წარმოგზავნილის წიგნებისა (1).

სხვებრ ღ-თი იყოს თქვენი მფარველი, და მან მაღირსოს თქვენი ხილვა.

თქვენი მორჩილი გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

12 იანვარს 1848.
თ ე მ ი რ ხ ა ნ შ უ რ ი თ.

108. ილია ორბელიანისადმი

ჩემო საყუარელო ილიკო! ამასწინად მოგწერე, რომ ისაკ თუმანოვთან (1) მისულიყო და გეთხოვნა ჩემის პოლკის ლაგირის საქმისათვის, რომელიცა აქამომდის ბრიგადნის კამანდირთან დარჩენილიყო და დღესკი წამოვიდა ფოშტით პირდაპირ ისაკის სახელზედა.

ბრიგადნის კამანდირი (2) для выйграния времени ჰსთხოვს პირდაპირ შტაბის ნაჩალნიკსა (3), რომ აფშერონისა და დაღისტნის პოლკების ლაგირი შეამოწმა და დაერწმუნა, რომ პახოდში ხმარებითა ნაწილი ლაგირისა пришла в негодность და აკტიც წარმოუდგინა ფორმით შემოწმებული; ამისგამო ითხოვს, როგორც წარსულთ წელიწადებში, შტაბმა მისწე-

როს სტავროპოლის კამისიასა მოსცეს პოლკსა ლაგირის მატერიალი, რომ-ლისა შეკერვასა ეხლავ უნდა დაეშურონ, თორემ ვეღარ მოესწრება გაზა-ფხულამდის. — ახლა ისაკმა ეს სიკეთე უნდა მიყოს, რომ ეს პრედპისანიე შალე გააგზავნინოს სტავროპოლის კამისიაში, მანამ ჩემი პრიემშიკი იქ იმყოფება, და მე მაცნობოს დრო პრედპისანიის გაგზავნისა, ან თუ შე-უძლიან, მე გამომიგზავნოს ის პრედპისანიე და მე უფრო მალე მოვახერხებ აქედამ იმ მატერიალის მიღებასა. — თუმცა ისაკი აღარ არის შტამბში, მაგრამაკი შეუძლიან, ვიცი ამის აღსრულება.

ხარების ფასი შემოგეთვალა, თუ აგრე მიყიდე, კარგი იქმნება, ფუ-ლებსაც მალე გამოგიგზავნი.

აქ ჯერ მშვიდობიანობა არის დიდი თოვლისა და სიცივეებისაგამო.— კნიაზ არღუთინსკი მოვიდა გუშინწინ დერბენდიდამ; და მალმალ გკითხუ-ლობს შენა; სულ ამას იძახის ილიკოს წიგნი ხომ არ მოგსვლია, რასა გწერს?—მონკალო უთხარ ჩემმაგიერ, რომ დიდის სიამოვნებით აღუსრულებ მის სურვილსა Юсупова (4) შვილის გადმოყვანისათვის, ოღონდ მომივიდეს მისი არზა.

კოკუმსაც (5) მოველი დღესა; ვნახოთ რა კვიცია. ძალუა ქეთევან მო-მიკითხე დიდის სიყვარულით, სანდრიკო ჩამიკოცნე, მაგის ამბავი მომწერ-რე, როგორ დააბოლოვეთ მაგის სწავლისათვის? —

შენ უნდა ერთი საქმე მიყო, როცა Жаковский წამოვიდეს, ერთი ურე-მი კარგი კახური ღვინო გამოატანო თან; მაგრამ ერთი ურემი ბევრია; ერთი საპალნეც მეყოფა. —

Прошу Г: Жаковского искупить для меня 150 туног харошого кахетинского вина и при возвращении своем с командою из Тифлиса привѐсть с собою; для перевозки вина купить быков и повозку. За что деньги будут возвращены мнѣю с благодарностью.

ეს წააკითხე მაგ ჟაკოვსკისა, მაგრამ უნდაკი შენ უყიდო, ან აჩვენო იმისთანა კაცი, რომელმანცა იცოდეს კარგი კახური ღვინო და მისი ფა-სი, თორემ რუსია, მოატყუებენ.

ძალუა მანანა მომიკითხე; ივანე კარგათ არის, ძალიან კარგად არის, ამის ფიქრი სრულებით ნუ აქუს. — ჩემი საკუთარი ყაფლან მომიკითხე, ეგრეთვე ჩემს საყუარელს ძმას ალექსანდრეს მოვიკითხავ, და ვთხოვ რომ ჩვეულებრივ წერილით მაამოს.

ღ᾽თი იყოს შენი მფარველი

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი.

9-ს თებერვალს 1848
თ ე მ ი რ ხ ა ნ შ უ რ ი თ.

109. ᲛᲐᲮᲡᲝ

ჩემო საყუარელო ძმაო ილიკო! უწინდელი კნიაზ ბებუთოვის პერეოდჩიკი პროტოპოპოვი მოგვართმევს ამ წერილსა თავის დიდის ვედრებითა, რომ მაგ მხარეს სადმე შემწეობითა შენითა მიიღოს თანამდებობა რაჲმე. ეს არის კარგი ბიჭი, რუსული და თათრულიც კარგად იცის; ამასთანა თვით კნიაზ ვასილი ოსებჩიც ძალიან ჰსწყალობს, მაშასადამე, მგონია, დიდი დაბრკოლება არა ნახოს ამან მანდა სამსახურში განწესებისათვის.

აქ ჯერ არა არისრა ახალი ამბავი; თოვლი, დიდრონი თოვლი, დნება და ახდენს გზებსა ნიალურებად გადაქცეული. ჩაჩნიდამ კარგი ამბავი მოდის: ფრეიტაღი ოტრიადით ჰსდგას და პატარა ჩეჩნა აპირებს შერიგებას; მითომც დეპუტატებიც მოსულიყუნენ ფრეიტაღთან, რომელსაცა უპასუხნია, რომ მაშინ შეგირიგდებით, როდესაც დიდი და პატარა ჩეჩნა ერთად დაგვმორჩილდებით და მოშორდებით შამილსაო. — ენახოთ როგორ გამართლდება ეს ამბები (1).

საბრალოს ჩვენის ძმის ქაშუეთში დასაფლავება კარგად მოხდა; მაგ ეკლესიაში ჰსჯობია, ვიდრე სიონშია, მაგრამ სწორედ გითხრა კუმისის სამებაში, მგონია, უმჯობესი ყოფილიყო.

შიოევი (2) მოვიდა ჩვენს პოლკში; დაარწმუნე მისი დედა ბარბარე, რომ მოვიხმარებ ყოველს ღონისძიებას ამ ყმაწვილის გასაბედნიერებლად. ამ ჟამად მივაბარე ესე უჩებნის კამანდაში, სადაცა ერთად ჰსწავლობენ სამსახურსა მელიქზადას (3) შვილიცა და ყუბელი ჰუსუმბეგიცა (4).

ძალიან სიყუარულით მოვიკითხავ, სანდრიკოს ჩავკოცნი. — მშვიდობით, ღ̄თი იყოს შენი მფარველი.

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი

24-ს თებერვალს 1848.
თ ე მ ი რ ხ ა ნ შ უ რ ი თ.

110. ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან! ჩემის დის ეფემიასათვის გამომიგზავნია ხ უ თ ი თ უ მ ა ნ ი, გთხოვთ გაუგზავნოთ ამავე წერილითა; საალ დგომოდ მოუნდება. ეგ საბრალო სრულებით არასა მწერს, თქვენ მაინც შემატყობინეთ მაგის ამბავი.

სანდრიკო ჩამიკოცნეთ, მაგის ამბავი მომწერეთ, როგორა ჰსწავლობს და ანუ როგორი ხალისი აქუს? არ შეუძლიან, რომ თვითონ მომწეროს წიგნი რუსულად, ან ქართულად? —

იქნება ილია მანდ არ იყოს, ამისთვის, თქვენა გთხოვთ რომ ქაიხოსროს შეატყობინოთ, რომ მიხაკოსი ორი თოფი და ერთი დაბანჩა გამოვატანე კნიაზ ბებუთოვის ბიჭსა არტემასა, რომელიცა ჩემის ანგარიშით უნდა მალე მოვიდეს თბილისს; გეუა ოხანაშვილიც იმას გამოვაყოლე. საკურველია ამ ჩვენის მსახურების ხასიათი, რომ უქალაქოდ ვერსად გაუძლიათ; ეს ვერ შემიტყვია ქალაქში რა ხაზინა უპოვნიათ და ანუ ვინა ჰყავთ ისეთი ძვირფასი, რომლის განშორება ვერ მოუთმენიათ? და ანუ თვით ეგენი რა არიან ქალაქში?

როგორც იყოს სანდრიკოს მოაწერინეთ ჩემთან. — ძალუას ელისაბედს და ბაბალეს სიყუარულით მოვიკითხავ. მშვიდობით ძალუავ, ღ˜თი იყოს თქვენი მფარველი.

თქვენი მორჩილი გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

15 მარტს 1848
თ ე მ ი რ ხ ა ნ შ უ რ ი თ

111. ᲛᲐᲡᲘᲐ

ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან! ამას წინად ილიას გამოუგზავნე ასი თუმანი სახელმწიფო ხარების სასყიდლად, და ვთხოვე, რომ დროდაუკარგავად ეს საქმე შემისრულოს. — შემდეგ მომივიდა ილიას წიგნი, რომ კამისია აღალარების საქმეებზე (1) მიდის უეზდებში და თვით ილიაც მისდევს მას კამისიას. — ახლა ძალიან მეშინიან, რომ ილიას, ვაითუ ვერ მოასწრო ქალაქში იმ გამოგზავნილმა ჩემგან ფულმან, და ისევ უკანვე დამიბრუნოს ფოშტამა, მაშინ ვეღარც ხარები შეისყიდება და კაზარმებიც დარჩება აუშენებლად. ამისათვის გთხოვთ ძალუავ, აცნობოთ ილიას სადაც იმყოფებოდეს ეს საქმე, რომ ფოშტიდამ მიაღებინოს ვისმე ეს ფული და მისყიდვინოს ხარები, თორემ ძალიან დამეხლართება საქმეები, გთხოვ ძალუავ საჩქაროდ შემატყობინოთ ეს საქმე. —

ილიას წიგნები ყოველთვის მომდის, და ეხლა იმიტომ არა ვსწერ პასუხსა, რომ არ ვიცი სად იქმნება.

ბაბალე და ელისაბედ სიყუარულით მომიკითხე. ეგრეთვე ალექსანდრე და ყაფლან; ალექსანდრე რატომ აღარასა მწერს? მშვიდობით—ღ˜თი იყოს თქვენი მფარველი; სანდრიკო ჩამიკოცნეთ.

თქვენი მოორჩილი გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

29-ს მარტსა 1848.
თ ე მ ი რ ხ ა ნ შ უ რ ი თ.

კხეინა ბარბარე ოთარის ცოლი ჩეჴგიერ *) მოკითხვა განუცხადეთ, და ჰსთხოვეთ, რომ რადგანაც უკანასკნელი ჩემი ვალი, მის წერილის ძალით, მივეც ივანეს მანანასშვილსა, ამისთვის ვსთხოვ გამომიგზავნოს თამასუქი, ანუ თქვენ მოგცესთ.—

ილიას მაინც კიდევ მივსწერე, გთხოვ ეს წიგნი საჩქაროდ გაუგზავნოთ, სადაც იმყოფებოდეს, რომ ძალიან საჭიროა.

112. ᲛᲐᲮᲕᲔ

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან! მოგილოცავ მომავალს დღესასწაულს ქრისტეაღდგესა; ღ˜თსა ვჰსთხოვ შენს ბედნირებით ცხოვრებასა შენის შვილით სანდრიკოთი და შენის ნათესავებითა. ილიკო სად არის? — მომწერეთ მაგის ამბავი. — იაკინთე სიყუარულით მომიკითხეთ.

მშვიდობით. შენი მორჩილი

ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ

5-ᲡᲐᲞᲠᲘᲚᲡ 1848,
ᲗᲔᲛᲘᲠᲮᲐᲜᲨᲣᲠᲘᲗ.

113. ᲛᲐᲮᲕᲔ

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან! ამას წინად მოგწერეთ რომ ასი თუმანი გამოუგზავნე ილიასა ხარების სასყიდლად ფოშტით ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲡᲐ. ეს შეცთომით მომივიდა, თბილისს კი არ გაუგზავნე, განჯას გავგზავნე.— გეთაყვანე ძალუავ, მალე აცნობე ილიკოსა ეს შეცთომა ჩემი, რომელშიაცა შემიყვანა ხაზინადარმა; ილიკოს ჰსთხოვე ჩემ მაგიერ რომ ჩქარა მიყიდოს და გამომიგზავნოს ხარები, თორემ ძალიან ცუდად მოვა ჩემი საქმე.

სანდრიკოს ჩავკოცნი. — ღ˜თსა ვჰსთხოვ თქვენს უვნებელად ხილვასა. მშვიდობით.

ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ.

შემატყობინეთ, მაიკოს რაც გამოუგზავნე მიხაკოს წიგნები და თოფები მოუვიდა თუ არა?

12 აპრილს 1848
თემირხანშურ.

---

*) უნდა იყოს „ჩემ მაგიერ“.

114. ᲛᲐᲜᲕᲔ

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან! დიდი ხანია რა თქვენი ამბავი არა ვიცირა, და არცა წერილი ილიასაგან მომსვლია; — გთხოვთ მაცნობოთ, თუ ილია ქალაქში არ იმყოფება — წამოვა წლეულს პახოდში თუ არა? — ანუ ჩემის ხარების სყიდვა დაასრულა, თუ, ქართველურის უზრუნველობით, დავიწყებია? —

მე ღᲜთით კარგად ვიმყოფები, ამბები არა არისრა ამ მხარეს ღირსი მოწერისა. — სანდრიკოს დავკოცნი, ღᲜთსა ვჰსთხოვ თქვენს მშვიდობით ხილვასა. — შემატყობინეთ მოუვიდა, თუ არა, მაიკოს ჩემგან გამოგზავნილი მიხაკოს თოფები, დაბანჩა და წიგნები? მშვიდობით, თქვენი მორჩილი

გრიგოლ ორბელიანი

19-ს აპრილს 1848 წელს
თემირხანშურით.

ყაფლანს, ბაბალეს, ელისაბედს სიყუარულით მოვიკითხავ.

115. ᲛᲐᲮᲕᲔ

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან! თუ ღᲜთი გრწამსთ შემატყობინეთ, რა მიზეზია, რომ ესოდენი ხანი აღარას იწერებით, არც თქვენს ამბავსა და არცა ილიასას? — მე ღᲜᲗის შეწევნით კარგად გახლავარ. ღᲜთსა ვსთხოვ თქვენს მშვიდობით ხილვას და ცხოვრებას —
ვეშურები წერასა.

თქვენი მორჩილი· გრიგოლ ორბელიანი.

26 აპრილს 1848 წელს
თემირხანშურ.

116. ილია ორბელიანისადმი

ჩემო საყვარელო ძმაო ილიკო! შენგან გამოგზავნილი ცხენი ფერითლურჯი, თავდიდა, თვითონ პატარა, მომივიდა; ჯერ არ გამომიცდია, რადგანაც გამხდარია და გავგზავნე ბალახზე, მაგრამ, ვინ იცის, იქნება გულიშიგნით ჰქონდეს, და შეხედულობა კი არას მოასწავებს. —

მიკვირს რატომ ხარებისას არასა მწერ? ფული ასი თუმანი გამოგიგზავნე ფოშტით დიდიხანია განჯასა.

კნიაზი ვარანცოვი მშვიდობიანად და მხიარულად მობრძანდა შურაში, სადაცა დაჰყო ექუსი დღე და 15-ს ამ თვეს წავიდა ჩ ი რ ი ე ურ თ ს ა (1). — როგორც უწინ, ისე ეხლაც, მექცეოდა დიდის ყურადღებით და მოწყალეს·

-თვალით; გაშინჯა ჩემგან აშენებული კაზარმები და დიდად მოეწონა, მეტადრე საუდარი, რომელსაცა შესწირა ხუთი თუმანი.

შეიყარნენ აქ ალექსანდრე მუხრანსკი (2), თუმანოვი (3), ლორის მელიქოვი (4), იოსებ ყორღანოვი (5), ამილახვარი (6), შენ იფიქრე რა ყოფა ექმნებათ.—

ჩემო ილიკოჯან, თუმცა ბევრი არზა მოგდის ჩემგან, მაგრამ მაინც კიდევ გთხოვ, უთოოდ უნდა საჩქაროდ ორი აღვირი და ორი სამკერდული ჰამადანისა (7) საჩქაროდ გამომიგზავნო, რომ აღვირები სულ არა მაქუს.

მშვიდობით ჩემო ილიკოჯან.

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი

17 მაისს 1848 წელ.
თემირხანშურით.

მტრის ყრილობა ჯერ არსად არის; ჩვენც ჰაა ვემზადებით, ვჰგზავნით პროვიანტსა და სნარიადებსა.

დიმიტრი ონიკოვი მოგიკითხე, უთხარ რომ მაგის ერთი შვილი შ ა დ ი ნ ო ვ ი (8) პატარა აქ იმყოფება მშვიდობიანად.

117. ძეთევან ორბელიანისადმი

[ჩ]ემო საყვარელო ძალუავ ქეთევან!

თქვენი წიგნი მაისის 5-ის — მივიღე; ვმადლობ ღ˘თსა თქვენის მშვიდობიანობისათვის.— ზაქარიას პორტრეთი აქ არავისა აქუს, თორემ მე მექმნებოდა, თუმცა მართალია დახატეს, მაგრამ სრულებით არა ჰგვანდა, ვილაც სალდათის სახე მომიტანეს; და მეც თავში ვახალე.

მთავარმართებელი იყო აქა ექუსი დღე და გუშინ წინ წაბძანდა ჩირიურთისკენ მშვიდობიანად და მხიარულად.—

ბევრნი ყმაწვილკაცები მოვიდნენ აქა: ალექსანდრე თუმანოვი, ალექსანდრე მუხრანსკი, ამილახვარი, ლორის მელიქოვი, იოსებ ყორღანოვი და თქვენ იფიქრეთ რა ყოფა ექმნებათ.

ჩემი დედიდაშვილი ნინა (1) დიდის სიყ[ვარულით] მომიკითხეთ და მადლობა განუცხადეთ დ[აუვიწყე]ბლობისათვის, და დაარწმუნეთ რომ სიყუარული ჩემი არცა]შეცვლილა, არცა შემცირებულა.

ჩემს საყუარელს ძმას ალექსანდრეს სიყუარულით მოვიკითხავ; სანდრიკოს ჩავკოცნი; აბა ვინძლო თავის ხელით წიგნი მომწეროს.

ეს წიგნი ილიკოს გაუგზავნეთ.

მშვიდობით — ღ˘თი იყოს თქვენი მფარველი.

თქვენი მორჩილი გ რ ი გ ო ლ ორ ბ ე ლ ი ა ნ ი

17 მაისს 1848 წელი
თ ე მ ი რ ხ ა ნ შ ურ.

118. ᲬᲐᲮᲬᲔ

ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან! ვემზადებით საპახოდოთ, ვიბარგებით კიდევ მთისკენ; ვნახოთ ღ˜თი რას ინებებს, მაგრამ მეკი ძალიან, ძალიან მომწყინდა ესოდენი თრევა მთებში. — ივანეც კარგად არის თავის წვერით და მოველით ილიასა, რომელიცა მწერს, რომ მაისის გასულს წამოვალ პახოდშიო. — ჩემს საყუარელს ძმას ალექსანდრეს დიდის სიყუარულით მოვიკითხავ და ვჰმადლობ, რომ ხანდახან მომწერს ხოლმე. ჩვენი ყაფლან სად იმყოფება ამ ჟამად? სანდრიკოს ჩავკოცნი, და ვჰსთხოვ რომ თავის ხელით წიგნი მომწეროს; შემატყობინეთ როგორა ჰსწავლობს და ან რა იცის ამ დროში? წამოვიყვანო აქა, როგორც ადრე გწერდით, თუ მანდ გაუშვებთ, ერთი სწორედ გადაწყვიტეთ ეს საქმე; ხუმრობა ხომ არ არის, დრო მიდის, ყმაწვილი იზდება, მეშინიან, არ დარჩეს უსწავლელი.

ძალუა ელისაბედს სიყუარულით მოვიკითხავ, და ვსთხოვ რომ მომწეროს წიგნი ამბებით სავსე. ბაბალეს და ალექსანდრეს დავკოცნი.

სხვებრ მშვიდობით, ღ˜თი იყოს თქვენი მფარველი.

შენი მორჩილი მარადის გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი.

31 მაისს 1848.

თ ე მ ი რ ხ ა ნ შ უ რ ი თ.

119. ᲬᲐᲮᲬᲔ

ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან! დღეს მოვედით ჩვენის დიდის ჯარით გ ე რ გ ე ბ ი ლ ი ს, რომლისა სიახლოეს კნიაზმა არღუთინსკიმ დაეყენა ჯარი; დიდროანი ზარბაზნები და მორტირებიც მოდიან ნელნელად ხოჯალმაქიდამ; მგონია ხვალ ანუ ზეგ, ესენიც შეერთდენ ჩვენთან აქა. მტერი ჰსდგას ᲧᲝᲘᲡᲣᲡ (1) გალმა მაღლა მთებზედ, და ჯერ უყურებთ მხოლოდ შორიდამ ურთიერთსა; და შემდეგ აღსრულდება ნება ღ˜თისა (2).

საკურველია; რა შესრულდა ერთი წელიწადი, მოველ ხოჯალმაქსა მას დღეს, როდესაც აქ გარდაიცვალა ჩემი ძმა ზაქარია.

ივანე კარგათ არის, ეგრეთვე მელანიას შვილი მიხაკო (3), ამილახვარი, ალექსანდრე მუხრანსკი, ალაქსანდრე თუმანისშვილი, ილია თარხნიშვილი და სხვანი, სულ კარგად იმყოფებიან ჯერ აქამდის.

ჩემის ძმის ილიას ამბავი ჯერ სწორად არ ვიცი მოდის, თუ არა?

ძალუა ელისაბედს ჰსთხოვეთ ჩემმაგიერ, რომ ერთი დიდი წიგნი მომწეროს. ბაბალეს, ყაფლანს, ალექსანდრეს სიყუარულით მოვიკითხავ — ᲧᲝᲡᲘᲙᲝ კონსტანტინეს შვილის (4) ამბავი მომწერეთ, წავიდა პეტრებულ-

ში? და ანუ რატომ არ გადმოდის აქ პოლკში, ღვარდიაში ხომ ვერ შეუძლიან ცხოვრება.

სანდრო ჩამიკოცნეთ; ერთი მომწეროს თავის ხელით წიგნი.

ღ˜თი იყოს თქვენი მფარველი.

თქვენი მორჩილი გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

13-ს დღეს ივნისს
1848 წელი,

ლ ა გ ე რ ი გ ე რ გ ე ბ ი ლ ს.

120. ᲛᲐᲜᲕᲔ

ჩემო საყვარელო ძალუაე ქეთევან! წუხელის მომივიდა წერილი თქვენი და ეფემიასი აქ გ ე რ გ ე ბ ი ლ ს ა, რომელსაცა შემოვადექით ჯარით. თიბათვის 13-სა. — გუაქუს ყოველდღე ომი, უფრო ზარბაზნებითა; თიბათვის 23-სა მოგვივიდა კარგი ომი ბაღებში, სადაცა ძალიან დამარცხდა მტერი, რომელსაცა ორი ბაირაღიც წაართო ჩვენმა ჯარმა; ამ ომში დაიჭრა მელანიას შვილი მიხაკო სუმბათოვი, ლავიწში მოხვდა ტყვია და ბეჭში გავარდა, მაგრამ არა უშავსრა, ძალიან კარგი ჰექიმი თათარი დავაყენეთ, და ამ სამს ოთხს დღეზედ გავისტუმრებ შურაში, და იმედიცა მაქუს, რომ სამს კვირაზედ სრულებით განთავისუფლდეს. — კნიაზ არღუთინსკი გადურჩა დიდს განსაცდელსა; ზარბაზნის ტყვია მოხვდა იმის ცხენის გავაში. სხვებრ ვინცა ვინ ქართველთაგანი იმყოფებიან, ჯერ მშვიდობიანად არიან. — გერგებილი შემოვზღუდეთ ყოვლის მხრით, და ახლა ვაკეთებთ დიდროანის ზარბაზნებისათვის ბეტარეასა, რომელიცა შესრულდება ამ სამს დღეზედ, და მაშინ დაუშენთ ციხესა. — ილიკოს წამოსვლა შევიტყე, მაგრამ სწორედ არ ვიცი სად არის. — რით ვერ შეიტყო ძალუა ელისაბედმა, რომ მაგის მეგობარი მე ვარ, და არა ნინო (1), რომელიცა ქვეყანას ემეგობრება, და განსაკუთრებითკი არავისა. — ბაბალეს და ალექსანდრეს სიყუარულით მოვიკითხავ. — სანდრიკო ჩამიკოცნეთ. — ეფემია თავის შვილებით მოჰიკითხეთ გულითად. —

სხვებრ ღ˜თსა ვჰსთხოვ თქვენს მშვიდობით სუფევასა და ხილვასა.

თქვენი მორჩილი გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

3 ივლისს 1848.
გ ე რ გ ე ბ ი ლ.



გრ. ორბელიანის ფაქსიმილე (1848 წ.).

121. ᲛᲐᲮᲐᲕᲔ

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან! ღ˜თის შეწევნითა ავიღეთ დღეს ᲒᲔᲠᲒᲔᲑᲘᲚᲘ. მტერი გამაგრებულიყო ამ დიახ მაგარს სოფელში, მაგრამ ველარ შესძლო მან ჩვენის ძლიერის ზარბაზნების სროლისაგან, და წუხელის დაუტევა ციხე, სოფელი, და გაიპარა; ჩვენი ჯარიც მოსწუდა უკან, და მრავალი დახოცა მტერთაგანი (1). — ამ საათში მოველ იქითგან ლაგირში განგებ მოსაწერად. — ივანე, ალექსანდრე თუმანოვი, ამილახვარი, თარხანოვი (2) და სულყველანი ქართველნი მშვიდობიანად არიან. — მელანიას შვილიც უკეთ არის. — სხვებრ მშვიდობით ჩემო ძალუავ. სანდრიკო ჩამიკოცნეთ.

თქვენი მორჩილი ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘ

7-ს იელისს 1848
ᲒᲔᲠᲒᲔᲑᲘᲚᲘᲗ.

122. ᲘᲚᲘᲐ ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ჩემო საყვარელო ძმაო ილიკო! დიდიხანია წიგნს არა გწერდი იმიტომ რომ მეგონე ოტრიადში მთავარმართებელთან (1); ახლა ვჰსცან ძალუას წერილით რომ ავათ ყოფილხარ ძალიან, და ამისგამო დარჩენილხარ ქალაქსა. ვჰმადლობ ღ˜თსა, რომ უკეთ შექმნილხარ.

ახლა მოიხსენე დაწვრილებით ამბავი ჩვენის ჯარის მოძრაობისა და გერგებილის აღებისა: ივნისის 5-ს გამოვედით შურიდამ; ოტრიადი შეიყარა ᲝᲚᲚᲘᲡ, საიდამაც დავიწყეთით რეკოლნოსცირეოვკა და ავედით კუდუხის მთაზე, იქ საიდამაც ახმედხანი (2) 1842 წელსა, ჩავიდა გერგებილს; ამ დროს ღენერალ ბრუმმერიც (3) თავის ჯარით მოვიდა ხოჯალმაქიდამ და დადგა ლაგირად გერგებილის წინ. აქედამ დავბრუნდით ჩვენ და ამოვედით ᲐᲘᲛᲐᲙᲘᲓᲐᲛ იმ მთასა, რომლიდამაც ფეზე (4) ჩაეშვა მასვე წელსა. მასუკან აქედამ ქუთიშაზედ და ხოჯალმაქზე გაველეთ და შევერთდით გერგებილთან ბრუმერსა. — მტერი ჩვეულებრივ იდგა ყოისუს გაღმა, მაგრამ ძალიან გაემაგრებინა პოზიცია, ბაღების პირდაპირი მთა, რომელზედაც ედგა ორი ზარბაზანი, მეორე მათი ბატარეა ერთის ზარბაზნით იყო ორს ყოისუს შუა, საცა შარშან ჩვენი ცხენოსანი იდგა; ხიდი წაებდინათ. — მესამე ბატარეა მუსა ბელაქნელისა (5) იდგა ყუდუხის მხარეს, მთაზე; ამ სამის მხრით ძალიან გვესროდნენ, მეტადრე წინა ჩვენს ჯარსა, რომელიცა აკეთებდა ბატარეასა შარშანდელსა ადგილსა, გორაზედ. — როცა ეს ბატარეა შევასრულეთ, მაშინ ყოისუზედ გავაკეთეთ თოკების ხიდი, მის ჰაზრით, რომ დაეეცეთ მტრის მეორე ბატარეასა ორს ყოისუსა შუა, და ამავე დროსა პოლკოვნიკი ევდაკიმოვი (6) ღამე ავიდა ჯარით ფეზეს

მთაზე, საიდამაც მოუარა აიმაკზე და ავიდა ყუდუხის მთასა (7); მუსა ბელაქნელმა რა ნახა რუსის ჯარი, მიმავალი მისკენ, აიყარა და დაუტევა თავისი პოზიცია, რომელზედაც დადგა ევდაკიმოვი; იმ ხიდის გაკეთებაც ასე შეაშინა მტერი, რომ თავისთავად აიყარა და გადვიდა ყარახყოისუს იქით. — 23-ს ივნისს კარგი ომი მოხდა ბაღებში; მეორეს დღეს მე წაველ და თითქმის უომოდ დავიჭირე ბაღები, სადაცა ავაშენეთ სამი რედუტი და მით შევერთდით ევდაკიმოვის პოზიციასა. მერე მოვყევით ბატარეების და ტრანშეების კეთებასა. — როცა ბრეშბატარეა დასდგეს და მისცეს და მისცეს ცეცხლი, კედლები და ბურჯები ინგრეოდა საშინლად, და ამავე დროს რვა მორტირით მიდიოდნენ ბომბები და სახლებსა ისროდნენ ცაში. ამ საშინელს ცეცხლსა მტერმა გაუძლო მხოლოდ ერთი დღე, და რა ნახეს მათ ციხის კედლები და ბურჯები, ასე ადვილად დანგრეულად, ღამე გაიპარნენ. — სოფელში ვიპოვნეთ ორი ზარბაზანი, არ ვიცით რომლისა ხალხისა ანუ არსენალისა, ერთი მორტირი, ერთი ფალკონეტი, სხვა არაფერი. — სოფელი ასე დავანგრიეთ, რომ საცა იყო გერგებილი, იქ ახლა დარჩა, მხოლოდ სალი კლდე; ბაღებიც გავკაფეთ, ნაწილი მათი დარჩა მხოლოდ ყოისუს პირზედ და კიკუნოს (8) ხიდისკენ, საიდამაც მტერი ისროდა ზარბაზანსა და თოფსა. — 15-ს ამ თვისასა დაებრუნდით გერგებილიდამ, როგორც იცი ლეკების ამბავი, ურუს ყარტი, გამოგვიდგნენ სიგიჟით, ერთს რედუტში, საცა იყო ჩაფლული წამალი, შეიყარნენ მრავალნი, აქეთ ხევის პირიდამ, посредством Галванизма, იქ ააფეთქეს წამალი, 64-ი კაცი და სამი ბაირაღი ასწია ზეცაში და იქიდამ ჩამოყარა ხევში; შენ იფიქრე იმათი შიში და განკვირვება! გერგებილის ნაიბი ჰუსეინ (9) პირდაპირ აფრინდა სამოთხეში, ამიტომ რომ იმის ნაფლეთები ველარსად უპოვნიათ, ეგრეთვე ერთიც სხვა ნაიბი მოკუდა იქა. — в удивительном порядке прикрывали это отступление 2-й и 3-й батал: Апшеронского полка. — ჩვენი დანაკლისი სწორედ არ მახსოვს, და მგონია იყოს 300-მდის დაჭრილი და მკუდარი; უმეტესი ნაწილი ზარბაზნის ტყვითა. ალექსანდრე მუხრანსკი ჩინებული არტილლერისტია (10).

ახლა აიმაკში ვაკეთებთ ციხესა. — ღ˜თმა მაღირსოს შენი ხილვა, მშვიდობით

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

21-ს ივლისს 1848.

ა ი მ ა კ ი.

(მინაწერი მეოთხე გვერდზე, ბოლოში. წერილი მოუბრუნებია):

ძალუას სიყუარულით მოვიკითხავ, სანდრიკოს ჩავკოცნი, მაგის წიგნი მომივიდა; ბარაქალლა ძალიან დაუწერია.

(მინაწერი პირველ გვერდზე, თავში, აშიაზე, მობრუნებით):

ალექსანდრე მომიკითხე სიყუარულით, ეხლა ვერ მოვასწარ მოწერა ცალკე.

๑๒๓๐๑๒๑๑๑

123. ᲛᲐᲜᲘᲔ

ჩემო საყუარელო ძმაო ილიკო! ძალუას წერილითა ვჰსცან შენი დიდად ავათმყოფობა და მისგამო შენი ძლიერ დასუსტება. — მოუსვენებლობით ვჰსწუხვარ, მანამ არ მომივა შენი წერილი.

შემდეგ გერგებილის აღებისა და მის სრულებით გაოხრებისა ჩვენი ოტრიადი ამოვიდა აიმაკსა, სადაცა პოლკოვნიკი ევდაკიმოვი დარჩა სამის ბატალიონით ციხის ასაშენებლად, და დანაშთენი ჯარი მოვიდა ქუთიშის მთასა, საიდამაც პირდაპირ ხოჯალმაქისკენ ვაკეთებდით გზასა, რომელზედაც ივლის полевое ზარბაზანი. აქედამ ამოვედით განთქმულს, არღუთინსკის საყუარელს მთაზე, ᲢᲣᲠᲩᲘᲓᲐᲚᲡ, რომელიცა მართლად კარგი მთა არის, მაგრამ ამის ღრუბელი, ნისლი, წვიმა, სწორედ გითხრა, შეაძულებს კაცსა. — რადგანაც ჩეჩნის მხრით მთავარმართებელი უნდა მოსულიყო ᲣᲠᲣᲡ ᲛᲐᲠᲗᲐᲜᲡ (¹) ჯარით ციხის ასაშენებლად, ამისთვის არღუთინსკი აქედამ ჯარით ჩავიდა სალტაში, რომ ამ მოძრაობით შეაყენოს ავარია და სხუა მთის ხალხი და ვეღარ მისცენ მათ შემწეობა ჩაჩანსა. ვიდექით ორი დღე სალტაში, სადაცა წვიმისაგან თეთრად გარეცხილი გროვა ქვები უჩვენებენ იმ ადგილს, სადაცა შარშან იდგა უმაგრესი სოფელი და მასში უფრო სოფელზე მაგარნი, მის მცველნი. აქა იქ ახლაცა ჰყრია გამხმარი გოკრები, რომელთაგან ერთი ვნახე ტყვით განხრეტილი. ვისი იყო? ყმაწვილკაცისა, დიდების სიყუარულით აღტაცებულისა, თუ ვისმე მოხუცისა, ამ სოფლით მობეზრებულისა? — ვიყავ შენს ბატარეაზედ, სადაცა ზოგიერთი ქოხები ისევ ისე სდგანან. — საშინელი გაოხრება: ᲡᲐᲚᲢᲐᲡ, ᲥᲣᲓᲐᲚᲐᲡ, ᲧᲣᲞᲐᲡ, ᲙᲝᲰᲝᲠᲡ იდგნენ ორი ათასი კომლი კაცი. მგონია უფრო მეტი; ახლა სად არიან, რა იქმნენ? — წღეუს გერგებილიც ამ გვარად გალეწეს; დარჩა მხოლოდ ცარიელი სალი კლდე. — მამავაცხონე, ეს სულ საქართველოს სისხლის ღაღადისია. — ხვალ აქედამ მივდივარ ჩემის ორის ბატალიონით და ერთის სამურსკისა კიდევ ქუთიშის მთაზედ, სადაცა დავასრულებ გზასა, და შემდეგ წავალ შურასა.

რა საკურველია შეიტყობდი, რომ კნიაზ არღუთინსკისა მოუვიდა ღენერალ ადუტანტობა; კნიაზ ვარანცოვსა გამოეგზავნა თავისი ეკსელბანდები (²). —

ხშირ ხშირად მკითხავს შენზედ, წიგნი ხომ არ მოგსვლია ილიასაგან? ახალს რასა გწერს? — შენსგაზდას მოსწერე წიგნი მოლოცვისა, ძალიან იამება შენგან. — სულ ამას ამბობს „у Ильи есть военный взгляд, чрезвычайно верный! რაც სოლრატის (³) ამბავი გზებისა მითხრაო, სულ მართალი გამოდგა შემდგომ ჩემის შემოწმებითაო, როცა იქ ვიყავო“ (⁴) — სწორედ გითხრა კნიაზ არღუთინსკის უყვარს ჩვენი გვარი. —

რალა გეხვეწო, ჩემო ილიკო, რომ საჩქაროდ მომწერო შენი ამბავი. —

ღ'თი იყოს შენი მფარველი. — ძალუას სიყვარულით მოვიკითხავ, სანდრიკოს ჩავკოცნი, და ალექსანდრე (5) დიდ'ი სიყვარულით და პატივისცემით მომიკითხე.

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი

16-ს აგვისტოს 1848.
ტ უ რ ჩ ი დ ა ლ ი.

ივანე კარგად არის, ძალუა მანანას უოჩარ, რომ შენი შვილი შალვარში ჩამჯდარი, ღიპგადმოგდებული, შავის წვერით, ჩიბუხიც, დიმიტრი ონიკოვსავით, პირში, დადის და შეექცევა; აღარავინ არ ახსოვხართთქო.

124. მ ა ხ ვ ე

ნუ გიკვირს, ჩემო ილიკო, რომ ამ წიგნსა გიგზავნი რ უ თ უ ლ ი დ ა მ (1); კავკაზია! ამ მხარისაც მელირსა ხილვა, და არა ვნანობ, თუმცა დიდი შრომა და წვალება გამოვსწიეთ დიდროანს მთებზედ გადმოსვლითა სიცივეში და თოვლში, უშეშოდ, უცეცხლოდ ღღე და ღამ სიარულით მოსაშველებლად ახტის (2) ციხისა, რომელსაცა გარეშეადგა შამილ დიდის ჯარითა, თავისის ნაიბებით სულთნითა, ჰაჯიმურადითა, მურთუზალითა (3), თოფჩიბაში ჰაჯიოვითა (4) და სხუანი..; ახტამ და რუთულმა თავისის სოფლებითა გვიღალატეს და მოუწოდეს შამილ ამ პირობით, რომ ოლონდ კი მოვიდეს თვით შამილ და ახტის ციხის აღება ამათ კისერზე იქნებაო. მოვიდა შამილ ჯარითა და ახტელებს უბრძანა ციხის აღება, და ამ უგუნურთაც რამდენჯერაც მიიტანეს იერიში, იმდენჯერ ჩვენმა კარტეჩმა ჰელიტა ახტელები, მაგრამ ციხეც კი მიიყუანეს განწირულებაში: ორი ბასტიონი დაანგრიეს, ერთი პ ო რ ო ხ ო ვ ი ს პ ო ლ რ ე ბ მ ა, რომელიცა აიფეთქა მტრის გრანატისაგან, და მეორე მ ი ნ ი თ დაანგრიეს; მიიტანეს იერიში კიდევ სამისავ მხრით, რაოდენნიმე შევიდნენ კიდეც ციხეში, მაგრამ გარნიზონმა შტიკებზედ ააგო და გადმოყარნა იგინი თხრილში. ერთს მურუდის კოლონნას მიუძღოდა ღრაფის პოლკისა გაქცეული სალდათი ბაირაღით, და როგორც ავიდა კედელზედ, იქვე ააგეს ორივე გვერდებით შტიკებზედ. ამ დროსა ჩვენმა ოტრიადმაც გამოჩხუპა ს ა მ ურ ს ა (5) და 21 სეკდემბერსა რა გამოვლო ტიფლისკის უკრეპლენიიდამ (6) რვა, ცხრა ვერსტი, ვნახეთ მათი ჯარი ჩასაფრებული იმ ალაგას, სადაცა სამურსა შეეყრება მცირე მდინარე ხეობიდამ. პოზიცია მტრისა იყო ძალიან მაგარი, და მთლად ნაიბები იქ უყუნენ, მხოლოდ შამილ იმყოფებოდა ახტის. ამ პოზიციის ასაღებად კნიაზ არღუთინსკიმ მიუშვა სამი ბატალიონი ღრაფის პოლკისა და ერთი აფშერონსკისა. ბატალიონები წავიდნენ ძალიან ვაჟკაცურად; მტერმაც მოსცა საშინელი ცეცხლი ნახევარ საათამდის მოუწ-

ყვეტელი, მაგრამ ვერ შეაყენა ჩვენი კალონნები; ბოლოს შეირყა მტერი და მიეცა გაქცევასა. ამ დროს ჩვენმა ცხენოსანმა, რომელიც იდგა სამურის გალმა რიყეზედ, გამოჩხუპა მდინარე და დაერია ხმალ და ხმალ გაქცეულს მურუდის ჯარსა. ვურ ჰა�ა, ვურ! ხოცეს და ხრცეს! ორასზე მეტი იქვე დარჩათ მკუდარი; ტყუე ჯერ ასზე მეტი გუუავს და სოფლელებს კიდევ მოჰყავთ. — ჩვენგანი არიან დაჭრილნი სამნი ღრაფის პოლკისა აფიცარნი ბ უ ხ ო ლ ც (7), ლ ა ზ ა რ ე ვ (8) და ერთი კიდევ ვილაცა, დამავიწყდა და ასამდის სალდათი, რომელთაგან მკუდარი არის თხუთმეტამდის. ასე იაფათ მოვრჩით. — შამილამ იმ ღამესვე ირბინა და განთიადისას იყო სამზღუარზედ. — ამ ომის რეზულტატი არის დიდი, ყუბა, ქურა, ყაზიყუმუხ, ტაბასარანი, ზღუამდის დამშვიდდა ხალხი, რომელსაცა, რა საკურველია, ვერა ვინ შეიკავებდა, თუ როგორმე მტერი ახტას ჩასცილებოდა (9).

ასე ღ-თის შეწევნითა შეიმოსა მკლავი კნიაზ არღუთინსკისა ახლისა გამარჯვებითა. — ხვალ მივდივარ შურისკენ და დროც არის, კაზარმები დამრჩა აუშენებელი და ზამთარმაკი მოატანა.

ძალუას სიყუარულით მოვიკითხავ, სანდრიკოს ჩავკოცნი. მშვიდობით ჩემო საყუარელო ილიკო, ღ-თი იყოს შენი მფარველი.

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

რუთულით 25-ს სეკდემბერს 1848.

(მისამართი, დაწერილი წერილის მეოთხე გვერდზე):

Его Сиятельству
Князю Илье Дмитриевичу
Орбелиани.

Г: Подполковнику и кавалеру
В Г: Тифлис

125. ბ ა ხ ვ ე

ჩემო საყვარელო ილიკო! დოვერენნოსტი, დამტკიცებული კნიაზ არღუთინსკისაგან ამასთანავე გამომიგზავნია. — შენი და ძალუას წიგნი მომივიდა; დიდად ვსწუხვარ სანდრიკოსათვის, რომ აგრე თურმე უსწავლელად ჰრჩება, და თუ მართლა აგრეა, რომ არასა ჰსწავლობს, მაშ რათ აძლევთ 25 თუმანს წელიწადში? — ერთი შემატყობინე, ჩემო ილკო, შენი ფიქრი მაგ ყმაწვილისათვის, როგორ უნდა და ანუ სადა, მისცე სასწავლებლად. — მე აქაც უშოვნიდი ოსტატებსა, რომელიცა მოამზადებდენ ასე რომ, თუ გინდ პრაოვოვედენიეში და თუგინდ სხუაგაგან სადმე მიიღებდენ, მაგრამ ძნელი ეს არის, რომ მე ახლა თვით არ ვიცი დავრჩები თუ არ; დიდი ხანი აქა? როგორც მარწმუნებს კნიაზ არღუთინსკი, მე 6-ს დეკემბერს

ღენარლობას მომცემენ, და არ ვიცი აქვე დავრჩები, თუ სხუაგან სადმე განმაწესებენ (¹)? — ეს მიზეზი მაბრკოლებს, თორემ აქ მოვიყვანდი. — არ შეგიძლიან, რომ გამოჰკითხო კარგად, აქეთ იქით. და შეიტყო, რომელი აოის კარგი სასწავლებელ ̆ პეტრებულს ანუ მოსკოვს, და ანუ სხვაგან, რომ იქ მივაბაროთ, თუ მანდ ვერა უსწავლიარა. — საკურველია, მაგოდენა თბილისში როგორ არ უნდა იყოს ერთი კარგი სასწავლებელი?

შენი მწუხარება ეგოდენის ხარჯისათვის ჩვენს ოჯახზედ, ირწმუნე, მე უფრო მაწუხებს; ცოტ› მოვითმინე, რითაც შემიძლიან, შეგიწევი.

გაუფრთხილდი შენს თავს, ჩემო ილიკო, შენღა და სანდრიკო ხართ ჩემთვის სანუგეშოდ ამ სოფელ̆ში.

ჩემის საყვარელის დავით ყორღანოვის სიკეთილი გუშინ შევიტყე; შენ მიხვდები, რა რიგად გულ̆ში ლახვრად მეცა ეს ამბავი (²).

მშვიდობით ჩემო ილიკო, ღ̆თი იყოს შენი მფარველი. — ძალუას სიყუარულით მოვიკითხავ, სანდრიკო ჩამიკოცნე. —

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი.

1848 წელს
ოკტომბრის 18 დღეს
თ ე მ ი რ ხ ა ნ შ უ რ ი თ.

126. ძეთევან ორბელიანისადმი

ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან! დიდიხანია, რა ილიას წიგნი არ მომსვლია, არ ვიცი სად არის? ერთი შემატყობინეთ, ეხლა განჯიდამ რომ გამოვიდა, მაგის ჰაზრი რა არის სამსახურისათვის, სად ექმნება, ანუ რა იმედი აქუს მომავალისათვის, ხომ სარდალს არა უთქვამსრა ამაზედ, მაცნობეთ?

კნიაზ არღუთინსკი მალე ჩამოვა ქალაქსა, და მეკი დავრჩი კიდევ ასე აქა. პირველი ტყვე დაღისტნისა მე შევიქენ; ვეღარ დავახწიე თავი. ძალიან ვსწუხვარ თქვენის უნახაობისა გამო, მაგრამ რა გაეწყობა.

ეფემია როგორ არის თავის შვილებით, მელიტონ კიდევ კივის? ყაჟლან სიყვარულით მომიკითხე; სანდრიკო ჩამიკოცნეთ, მომწ̆ეროს კიდევ წიგნი თავის ხელით. —

სხვებრ მშვიდობით, ღ̆თი იყოს თქვენი მფარველი.

თქვენი მორჩილი გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

2[illegible] ნოემბერს 1848.
თ ე მ ი რ ხ ა ნ შ უ რ ი თ.

127. ᲛᲐᲮᲐᲔ

ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან! თქვენი წიგნი მივიღე, რომელშიაც მყვედრით მოუწერლობისათვის; მიკვირს რატომ ჩემი წიგნები არ მოგდისთ? თითქმის ყოველ ფოშტაში გწერთ ან თქვენ, ან ილიასა.

სანდრიკოსათვის ძალიან ვსწუხვარ, რომ აგრე რჩება უსწავლელად; თუ მანდეე ვერსად მოგიხერხებიათ მაგის მომზადება, მაშ ჰსთხოვეთ კნიაზ ვარანცოვსა, რომ განაწესონ სახელმწიფოდ სადმე კარგს სასწავლებელში რუსეთსა, თუ გინდ პაჟესკის კორპუსში. — რავქნა მე აქ მოვიყვანდი და კარგადაც მოვამზადებდი მისაღებელად პრავოვედენიეში, მაგრამ სწორედ არ ვიცი, დავრჩები თუ არა აქა კიდეე ერთი წელიწადი. — ერთი ილიასაც დაელაპარაკეთ ამაზედ; შემიტყოს, თუ შეიძლება მთავარმართებლისაგან, რომ თუ მართლად ექუსს დეკემბერს მომცემენ ღენარლობასა, დავრჩები თუ არა პოლკის კამანდირად? — თუ დავრჩები, მაშინ მოვიყვან სანდრიკოსა აქ ჩემთან და კარგათაც ვასწავლებინებ. — და თუ აქ არ დავრჩი, მაშინ პაჟესკის კორპუსში მიაღებინეთ, კარგიც იქნება და მთავარმართებელიც შეგეწევათ ამ საქმეში უეჭველად. —

მართლად ნიკალაი ოსიფიჩ ფალავანდოვი (¹) წავიდა მოსკოვსა თავის მეუღლით? რატომ არასა მწერთ ამ გვარს ამბებსა? —

ალექსანდრე სიყვარულით მომიკითხეთ; ილია დაბრუნდა განჯიდამ თუ ჯერ არა? — ყაფლან სად არის თავის ქულფათით. —

ძალუა ელისაბედ, ჩემი ბაბალე თავის ქმრით (²) დიდის სიყვარულით მოვიკითხავ *). — სანდრიკო ჩამიკოცნეთ. — ღ˜თი იყოს თქვენი მფარველი. მშვიდობით

თქვენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

22 ნოემბერს 1848.
თემირხანშურით

128. ᲛᲐᲮᲐᲔ

ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან! მესამე ფოშტა არის, რა თქვენი წიგნი არ მიმიღია და არცა ილიასი; ნუ ხართ ორნივე აგრეთნი ზარმაცნი. ამასთანა ესეც მიკვირს, რომ არცა მანანა ჰსწერს თავის შვილსა ეს ორი თვე იქნება. პირობა ხომ არ შეგიკრავსთ?

ჩვენ ღ˜თით ვართ მშვიდობიანად.

ამასწინად ვჰსთხოვე ილიას ჰამადანის აღვირები ორი, სრულებით არა მაქუს, და აქა არა ჰყიდიან; მოაგონეთ, რომ გამომიგზავნოს, და მოიწერებოდეს მალმალ.

---

*) სინტაქსური შეცთომა ავტორისაა.

ყაფლანს უთხოვნია სოლომონ ყორღანოვისათვის (1) ხანჯალი, როგორ არა ჰსცხვენიან, რომ მე აქ ვიყო, და სხუასკი ეღიჯინებოდეს და მოწყალებასავით მოელოდეს ყორღანოვისაგან ერთს ხანჯალსა? მაგრამ ყოველთვის უჯინმო ყოფილა, რა ველაპარაკო. —

სანდრიკო ჩამიკოცნეთ; მომწეროს თავისი ხელით. — ელისაბედ და ბაბალე დიდის სიყვარულით მომიკირხეთ. ეგრეთვე ალექსანდრეცა (2).—

ილიავ ნუ ხარ ზარმაცი მომწერე, სადა ხარ, ანუ რას საქმეში იმყოფები. მშვიდობით ღ~თი იყოს თქვენი მფარველი.

თქვენი მორჩილი გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

მაიკო (3) სიყვარულით მომიკითხე.

21 დეკემბერს 1848
თემირხანშურით

129. ᲛᲐᲮᲕᲔ

ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან!

მოგილოცავთ ახალს წელიწადსა, ღ~თსა ვჰსთხოვ გულით რომ თქვენ და თქვენი შვილი მრავალჯერ შეესწრათ ბედნიერებით და მშვიდობიანობით.

დიდი ხანია რა თქვენი წიგნი აღარ მომსვლია; მიკვირს, არც ილიას ამბავი ვიცი ეს რაოდენიმე ფოშტაა. რა დაგემართათ ორი ტრიქონის შოწერა როგორ გეზარებათ?

სანდრიკო ჩამიკოცნეთ. — მშვიდობით.

თქვენი მორჩილი გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

28 დეკემბერს 1848.
თ ე მ ი რ ხ ა ნ შ უ რ ი თ. —

ამ წერილის მომრთმევი გახლავსთ ჩემის პოლკის აფიცარი ღ ა მ ა ზ ო ვ ი (1), დიახ კარგი ყმაწვილი კაცია; გრხოვთ მიიღოთ მოწყალებით.

1 8 4 9

130. ილია ოჩგელიანისადმი

ჩემო სიცოცხლევ ძმაო ილიკო! იარანალიც შევიქენ (1); მე და გადლევსკი (2) ერთმანეთს სულ ვაშე პრეესხოდიტელსვოს ვეძახით და გვაქუს დიდი ყოფა. — მოველი შენგან ეპოლეტებს, რომელიც უნდა იყოს პატარები, თორემ დიდროანი ჩემს გოლიათს ბეჭებს არ მოუხდება. მანამდის მე და გადლევსკიმ ავიკელით კნიაზ მოსე ზახარიჩის სალარო და გავიკეთეთ იმის ეპოლეტები. — ამ ფოშტითვე ვსწერ ჯაფარყული აღას (3) პრეედპისანიეს.—

მშვიდობით ჩემო ილიკო, ღ˜თი იყოს შენი მფარველი; სანდრიკოს ჩავკოცნი, ძალუას სიყვარულით მოვიკითხავ.

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი

3-ს იანვარს 1849.
თ ე მ ი რ ხ ა ნ შ უ რ ი თ.

131. ს ა ხ ვ ე

ჩემო სიცოცხლევ ილიკო! შენი წიგნი, რომლითაც ითხოვ ტარანტასსა, მივიღე. — ოღონდ ხშირად მომწერე და რასაც გინდა გაგიკეთებინებ. იმედი მაქუს ტარანტასი, მანამ მოხვიდე, მზად დაგახვედრო; ცხენებსაც მოგიმზადებ. — იბრეიმ ბეგი და ჯაფარყული აღა აქ მისხედან, გამოვიდნენ გუშინ შამხლის (1) ცოლის სატირლად, და ამდონს ყალმაყალობენ, რომ არცკი ვიცი რასა გწერ. — კნიაზ არღუთინსკი ხშირად გკითხულობს,

რას იწერება ილია?. ჩემმაგიერ ასე შეუთვალე, რომ შენი გამოგზავნილი ცხენი დიახ კარგი გამოვიდაო — და მართლად რომ ძალიან ლამაზდება. —

ჯაფარყულიაღას ვკლამ ჩემის ღენარლობით. ძალუას სიყვარულით მოვიკითხავ, სანდრიკოს ჩავკოცნი. —

მშვიდობით. შენი გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

21 თ ე ბ ე რ ვ ა ლ ს

132. ქეთევან ორბელიანისადმი

ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან! აქ ხმა დავარდა ვითომ საბრალო მაიკო (1) გარდაცვლილა, და ეგრეთვე ძალუა მანანაცა. თქვენ თვით იფიქრეთ რა მწუხარებაში ვიქმნები, ვიდრე სწორეს არ შევიტყობ. გთხოვ, ძალუავ, საჩქაროთ მომწეროთ და დაუმალავად; რა უყოთ, ყოველნივე ღ-თის ნებისქვეშე ვცხოვრებთ. და თუ მართლად, ესრეთი უბედურება მოსდგომია ჩვენს გვარსა, უნდა ვიცოდე სწორედ, რომ იცანე გამოვგზავნო თავის სახლის მოსავლელად, რომლისა უფროსი ეს დარჩა. — ეფემიაც, თურმე, ძალიან ავათ არის; ეს სწორედ იობის ღაღადისია ჩვენზედ მოვლენილი. —

საკურველია, ჩემი ძმა ილია, არაოდეს ჩემის წერილის პასუხსა არ მომწერს. რამდენჯერაც მოვწერე სანდრიკოს აღზრდისათვის, ეგოდენ არა მომწერარა. — ახლა ძალუავ, შენ და იაკინთემ არჩიეთ და ისე გადაწყვიტეთ, სად ანუ როგორ მიაბაროთ სასწავლებელში; და ანუ აქ გამომიგზავნით? გადაწყვეტით მომწერეთ, რომ დრო არ დაჰკარგოს სწავლისათვის.— გთხოვ ძალუავ, ყოვლისაევ დაწვრილებით მომწერო მანდაური ამბავი. — მშვიდობით.

თქვენი მორჩილი გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

7-ს მარტს 1849.

თ ე მ ი რ ხ ა ნ შ უ რ ი თ.

133. ფ ა ხ ვ ე

ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან! დიდიხანია თქვენი ამბავი აღარა ვიცირა, არ ვიცი რას მივაწერო; და ანუ თქვენგან რა არის ორის ტრიქონის მოწერა, როგორ გიძნელდებათ. აქ ხან ეფემიას სიკუდილს ამბობენ, ხან მანანასა, სწორეკი ვერავისგან გამიგია. თუ უბედურება რაჲმე მოგვეევლინა, მე რათ მიმალავთ? და ანუ როდემდის უნდა დამალოთ?

გთხოვთ ძალუავ ყოველივე დაწვრილებით მომწეროთ და შემატყობინოთ, მეტადრე სანდრიკოს აღზრდისათვის, რომლისაცა სწორე ვერც თქვენგან და ვერც ილიასაგან ვერა გამიგიარა.

ალექსანდრეს დიდის სიყუარულით მოვიკითხავ, მაგანაც დამიძვირა წერილი, და ბევრი ხანია აღარ მომიგონა თავის ლაზათიანის წერილითა. იაკინთე მომიკითხეთ გულით, სულით. —

ძალუა ელისაბედმა რად დამივიწყა ასე უწყალოდ, რომ ერთხელ წერილით აღარ გამიკითხა; ივანე ანდრონიკოვი (1) რომ სწორედ დანიშნული იყოს მაგაზედ, მაინც რად უნდა მე დამივიწყოს. —

იასეს ამბავი მომწერეთ, დაბოლოვდა თუ ჯერ არა მაგის საქმე (2), და ანუ სად არის ეხლა? —

ღ˜თი იყოს თქვენი მფარველი, მშვიდობით

თქვენი მორჩილი გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

მარტის 14-ს დღეს 1849,
თ ე მ ი რ ხ ა ნ შ უ რ ი თ.

134. მ ა ხ ვ ე

ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან! თქვენი წერილი მივიღე გუშინწინ, და ძალიან შევსწუხდი სანდრიკოს აგრე უსწავლელობისათვის აქამომდის. რა ვჰქნა არ ვიცი, რა წამალი უნდა მაგის გაზდასა. მე რომ სწორედ ვიცოდე რომ დიდი ხანი დავრჩები აქა, მაშინ მოვიყვანდი ჩემთან, და მოვამზადებდი ასე რომ მიეღოთ ანუ პრავოვედენიეში, ანუ ინჟენერის კორპუსში, ანუ არტილლერიის უჩილიშჩეში; მაგრამ ვაი თუ რომ მოვიყვანო და ერთბაშად გამომცვალონ აქედამ. ეს მაშინებს მაგის მოგვაყანაში *) . — თუ მანდ, მართლად, არავინ იპოება კარგი ოსტატი, მაშინ უნდა მთავარმართებელს ჰსთხოვოს ილიამა, რომ გაგზავნონ კორპუსში. — ერთი კარგად მოილაპარაკეთ ილიასთან ამ საქმეზედ, და როგორც დააბოლოებთ, ისე შემატყობინეთ. — ირწმუნეთ, ძალუავ, რომ მე სანდრიკოსათვის არას დავიშურებ, ოღონდკი კარგად გაიზარდოს და არ დარჩეს უსწავლელი.

ჩემს ძმას ზაქარიასა დარჩა სახლები, რომელიცა იმან მიიღო პოლკის ანგარიშში ოთხასს თუმნად. — თუ ღმერთმა მომიმართა ხელი და ჩავაბარე პოლკი კარგად, და ეს სახლები დავინარჩუნე, დიახ კეთილად იქმნება. — ეხლა ძალიან ძნელია თქმა, თუ როგორ დაბოლოვდება ჩაბარება. — პოლკის ჩაბარება სწორედ აღებმიცემა არის; ზოგი იგებს, ზოგიკი თავსაც ზედადებს. — ვნახოთ, ღ˜თი როგორ ინებებს (1). —

*) უნდა იყოს „მოყვანაში".

მწერთ, რომ მინდა შემოდგომაზედ სანდრიკო წავიყვანო რუსეთს სასწავლებელშიო. — თქვენ როგორ წაიყვანთ, და ანუ ვისთან წაიყვანთ, ეგ სრულებით შეუძლებელია. — ერთი სწორედ და კარგად მოილაპარაკეთ თქვენ და ილიამა და მაცნობეთ თქვენი პლანი სანდრიკოს აღზრდისათვის.

იაგორას მიზუას შვილი (2) იყო ჩემს პოლკში იუნკერად, ახლა გადიყვანეს ყარაბახში მენგრელის პოლკში; წამოსვლის დროს ისესხა ჩემგან ოცდახუთი მანათი, რადგანაც სრულებით არა ჰქონდარა, და ამისგამო ვერ გამოსულიყო აქედან. — გთხოვთ, ძალუავ, იაგორ მიზოევს გამოართვათ ეს ფული, მიცემული იმის შვილისათვის, და უბოძოთ საწყალის ამირაზაშვილის (3) სახლობასა, რომლისა შვილი აქა მყავს ბიჭად.

ღ~თი იყოს თქვენი მფარველი. —

ილიას, როცა მოვიდეს, უთხარით, რომ ტარანტასს უკეთებინებ, და მანამ მოვა, მზად იქმნება.—

თქვენი მორჩილი

გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

25 მარტს 1849.

თ ე მ ი რ ხ ა ნ შ უ რ ი თ

იაკინთეს სიყვარულით ვაკოცებ.

135. ᲛᲐᲜᲨᲘ

ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან! დიდიხანია რა ილიას წერილი არ მომსვლია, თუმცა მესმის რომ მთავარმართებელს მოსდევს აქეთ მხარეს, მაგრამ, მგონიაკი, რომ შეეძლო მანდაურის ამბების მოწერა. ერთხელ არ მახსოვს, რომ ჩემის წერილის პასუხი მოეწეროს; მეტადრე სანდრიკოს აღზრდისათვის სრულიად ვერა გავიგერა მაგისაგან, რას უპირებს? თქვენ გთხოვთ ძალუავ, რომ იაკინთესთან მოილაპარაკოთ ამაზედ და როგორც იყოს კარგი ოსტატი აღუჩინოთ, რომელსაც შეეძლოს რუსულისა და ფრანციცულის ენების სწავლა, და თუ შეიძლებოდეს, სპარსულისაცა, რომელიც ძალიან გამოადგება. ირწმუნეთ ძალუავ, რომ მე რაცკი შემიძლიან არას დავიშურებ, ოღონდაკი სანდრიკო აღიზარდოს ისე, როგორც მე მსურს. — თქვენი პეტერბურში წასვლა სრულებით არ იქნება, და მაგაზედ სულ ნუცა ჰფიქრობთ; მანდ ეძებეთ ოსტატი, თქვენ თვალწინ მოამზადეთ სანდრიკო ისე, რომ მიიღონ ანუ პრავოვედენიეში, ანუ არტილლერიის უჩილიშჩეში და ანუ შკოლაში ღვარდიის პოდპრაპორშიკებისა. ვინძლო ძალუავ, გული გაიმხნიო, და ამ საქმეს თავი შეუდო და როგორც დააბოლოებთ იაკინთესთან, შემატყობინოთ; ეგრეთვე ისიცა, როგორც ოსტატს დაიჭერთ წელიწადში.—

ჩემს პოლკში იუნკრად იყო იაგორას მიზუას შვილი, რომელიც გადმოიყვანეს აქედამ მენგრელის პოლკში; იმას, რადგანაც ფული არა ჰქონდა საგზაოდ, მე მივეც ოცდახუთი მანათი; გთხოვ ძალუავ იაგორ მიზოევს გამოართვათ ეს ფული, და უბოძოთ საწყალს ამირაზაშვილის სახლობასა. —

სანდრიკო ჩამიკოცნეთ. — მშვიდობით ძალუავ; ღ˙თი იყოს თქვენი მფარველი.

თქვენი მორჩილი გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

15 აპრილს 1849.
თემირხანშურით.

მამულების გაყოფა როგორ შეასრულეთ, მაცნობეთ

(მინაწერი მეოთხე გვერდზე):

მისს ბრწყინვალებას
კნეინას ქეთევანს ორბელიანისას
მოწყალეს ხელმწიფას
თ ბ ი ლ ი ს ს

136. ᲛᲐᲮᲐᲕᲔ

ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან! მოგვიახლოვდა დრო ჯარით განსვლისა მთაში; ამ თვის 7-ს უკანასკნელი კალონა გაემგზავრება შურითგან, და ვნახოთ, ღ˙თი როგორ შეგვეწევა წლეულსაცა. — ილიკო ჯერ არ დაბრუნებულა მთავარმართებლითგან, რომელსაცა თანგაჰყვა მეავე წულამდის, და სწორედ არკი ვიცი, მოვა აქ ჯარში, თუ წაჰყვება კნიაზ ვორონცოვსა პეტრებულს? (¹)

სანდრიკო ჩამიკოცნეთ. — ძალიან ვსწუხვარ, რომ საბრალოს მიხაკოს გვამი დაუმარხავთ კუკიასა და არა კუმისს სამების ეკკლესიაში. კუკია რა ჩვენი ადგილია, რა ჩვენი სასაფლაო არის? სწორედ მოგახსენოთ, მანდ რომ ვყოფილვიყავ, არაოდეს არ ვიქმოდი მაგის მანდა დასაფლაებასა.

ალექსანდრეს წერილი ილიკოსთანა აქ მივიღე. მაშინ როდესაც ილია წასულიყო, და როცა მოვა მაშინ მივცემ. — მაგრამ ერთი სიტყვა მეცკი მეთქმის მამულების გაყოფისათვის: რაც მამა ჩვენებს გადუწყვეტიათ, და რა პირობითაც გაყრილან, იმას ვერც ჩვენ წაუვალთ და ვერც სარდლიანნი (²). ამ შემთხვევაში ჰსჯობია, რომ უბრალო სუდიების კრუჩკები დაუტეონ და როგორც ჩვენთ მამებს უნდოდათ და დაუდვიათ პირობა, ისე გაიყონ ახლაც მამულები, და უბრალოდ დავა დარაბაზედ ხელი აიღონ. — ძალუა მანანა, ელენე, ელისაბედ, ბაბალე სიყუარულით მომიკითხე. —

ყაფლანს დიდს სალამს მოვახსენებ თავისის ქულფათით. იაკინთე სიყვარულით მომიკითხე.

თქვენი მორჩილი გ რ ი გ ო ლ ორ ბ ე ლ ი ა ნ ი.

3-ს ივნისს 1849 წელს
თ ე მ ი რ ხ ა ნ შ ურ ი თ.

არა, ერთი შემატყობინეთ, რა ფიქრი იყო კუკიის ეკკლესიის ამორჩევა დასაფლავებად მიხაკოს გვამისა? და ან ვის მოუვიდა ეს უკონო ფიქრი?

ძალუაჯან! გეთაყვანე, ერთი იფიქრეთ კარგად და უშოვნეთ შესაფერი ქმარი ჩემს დისწულს ბაბალეს, ესე იგი ეფემიას ქალსა. ჩემის მხრით შემიძლიან მივსცე ასი თუმანი თეთრი სიქა მანათი მზითვად. — აბა იმაზე დაელაპარაკეთ იმის დასა კატოსაცა.

137. ᲬᲐᲮᲬᲔ

23-ს ივლისს 1849

ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან!

. შუალამეა, და არა მაქუს დრო, რომ დაწერილებით მოგწერო აქაური ამბები, რომელნიცა უიმისოდაც არ არიან შენთვის სასიამონი. ილია (1). ივანე, ალექსანდრე თუმანოვი დიახ კარგად არიან, ეგრეთვე ლორისმელიქოვიცა (2). — ამ თვის 18-ს დიდი ომი გადვიხადე, და ღ˜თის შეწევნით, დიდროანნი სანგრები . . [და]უქციე ლეკებსა (3). — ძალუა . . . . ნუ ჯავრობს ჩემზედ; ხომ . . საკუთარი ძალუა არის . . .

(მინაწერი აშიაზე, მარცხნით):

ქეთევან! პირს გაკოცებ. გთხოვ ქეთევან მომიკითხო შე . . *)

138. ᲬᲐᲮᲬᲔ

ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან!

ღ˜თის მოწყალებით დავბრუნდი პახოდიდამ შურას მშვიდობიანად. ჭოხის ციხე ჩვენმა დიდმა ზარბაზნებმა დაანგრია საძირკვლამდის, და მტრის ჯარიდამ გაწყდნენ მრავალნი.

ილიკო წავიდა მთავარმართებელთან დ ო ნ ე ს ე ნ ი ი თ ა, და იქნება იქიდამ მოუხდეს წასვლა ხელმწიფესთანაც. ფერდის ტკივილი ისე აღარა

*) წერილი დაზიანებულია.

ჰქონდა, თუმცა სრულებითკი არ განთავისუფლებულიყო; არ ვიცი როგორ შეჰსძლებს ჩქარს სიარულსა პოვოზკითა ამ სიშორეს (1).

ამ წიგნს ვატან მთავარმართებლის შვილსა (2), რომელიცა მოეშურება თბილისსა; არ ვიცი რა გაუხდა ამას ეგ თბილისი.

ალექსანდრე თუმანისშვილი, ჩვენი ივანე, ამილახვარი და სხუანი, სულ მშვიდობიანად დაბრუნდნენ.

აქ მოველოდი დადიანსა (3) ეკატერინით (4) და ნინოთი (5), მაგრამ გუშინ იასონ ჭავჭავაძემ (6) მაცნობა წერილითა, რომ ისევ ვლადიკავკასზედ გადასულან, და ძალიან შევწუხდი. — ნეტავ მენახა ეგენი.

სანდრიკოს ვაკოცებ.

ალექსანდრეს დიდის სიყვარულით მოვიკითხავ, მაგის წიგნები სულ-მოსდიოდა ილიკოს და ვკითხულობდით დიდის სიამოვნებით.

მშვიდობით თქვენი მორჩილი გ რ ი გ ო ლ ორ ბ ე ლ ი ა ნ ი

2- სექდემბერს 1849
თ ე მ ი რ ხ ა ნ შ უ რ ი თ

(მეოთხე გვერდზე მიწერილი):

მისს ბრწყინვალებას
კნეინას ქეთევანს
ორბელიანისას

თ ბ ი ლ ი ს ს

ძალუავ მანანავ, ეს წიგნი არ წაიკითხო ჰაااა!

139. ბ ა ხ ბ ე

ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან! არა მახსოვს მოგწერე თუ არა, ილიკოს პეტრებულში მისვლა და ხილვა ხელმწიფისა? დიდის წყალობით მიეღია ხელმწიფესა, მაშინ როდესაც თვით ვორენნის მინისტრსაცა არა ჰქონია იმედი, რომ ილიკოს ღირსებოდა ხილვა მისი მგლოვიარებისაგამო ძმის სიკუდილისათვის. — ორჯელ უკოცნია ხელმწიფესა, დაუსვამს თავის სიახლოეს და ერთს საათამდის ულაპარაკნია, და მრავალი მადლობა გამოუცხადებია ერთგულებითის სამსახურისათვის და იქვე მიულოცნია პოლკოვნიკობა. — ილიკო მწერს ყოველსავე ამას, და ეგრეთვე ამასაც რომ ფული არა მაქვსო.

ალექსანდრეს დიდის სიყვარულით მოვიკითხავ და დიდს მადლობას წერილისათვის, რომელიცა მივიღე წარსრულს ფოშტაში. — ეხლა ვერ მოვასწარ პასუხის მოწერა, თორემ დიდის სიხარულით მოვართმევდი; არ უნდა დამემდუროს. —

სანდრიკო ჩამიკოცნეთ; დიდი ხანია არ მოუწერია ჩემთვის თავის ხელით. — ღ"თი იყოს თქვენი მფარველი.

თქვენი მორჩილი მოსამსახურე

გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი,

21-ს ოკდომბერს 1849 წელს
თ ე მ ი რ ხ ა ნ შ უ რ ი თ

ეფემიას და მელიტონის ამბავი მომწერეთ.

140. ილია ორბელიანისადმი

ჩემო უსაყვარლესო ძმაო ილიკო! შენმა წერილმა პეტრებულით წარმოგზავნილმა გამახარა გულით და ბედნიერ მყო სრულებით. გეღირსა ხელმწიფის ხილვა, აგრე ალლოს, და ასე გვარად, რომელიცა არა ყოველსა მიმსვლელსა აქედამ, ჰღირსებია. — მინდა ძალიან გულით გნახო და გამოგკითხო დაწვრილებით ყოველივე. —

მგონია ვიდრე ეს წიგნი მოახწევს თბილისსა, შენც მოსულიყო, მომივიდა ვარსკულავი (1) — რასაკურველია შეიტყობდი — მინდა ერთი ქირმალამის ხალათზედ დავიკერო და კნიაზ პოტემკინისავით (2) დიდ-კაცურად, ნებიერად, გავწვე დივანზე. —

ახლა ჩემო ილიკო, სიტყვა ეს არის: უნდა შემიტყო სარდლისაგან დავრჩები ერთი წელიწადი კიდევ პოლკის კამანდირად, თუ არა? — მაშ ერთი წელი, თუ არ იყოს, მაისამდის მაინც დამარჩინონ, რომ მაშინ კარგად, ფაქიზად, პირნათლად ჩავაბარო პოლკი, და მეცა დავინარჩუნო რამე, თორემ თუ ეხლავ, ამ ზამთარში მომიხდა ჩაბარება პოლკისა, მაშინ საქმე ვერაფრად მოვა. დიდი ანგარიში ამაში არის, რომ რაც მოსასვლელი ფული არის კომისიებიდამ, მარტამდის ვერ მივიღებთ და თუ იმ თვემდის მომიხდა ჩაბარება, მაშინ ეს ფულები ერთიანად ახალს პოლკოვის კამანდერს მიუვა ისე უბრალოდ, და მეკი დავრჩები ქუჩაში, რიყეზედ; და ეს ანგარიში ხუთას და ექუსას თუმანს, იქნება უმეტესსაც, შვრება. — აბა ეს სიტყვები კარგად გაიგე, ასწონე, და სთხოვე მთავარმართებელს რომ მაისამდის გამიშონ აქ და მერმე საცა უნდა წამიყვანონ. — ვინძლო ამის პასუხი საჩქაროდ მომწერო, რომ ჩემს თადარიკს შეუდგე. —

კნიაზ არლუთინსკის უჩვენე შენი წიგნი, დიდად იამა, და შორიდამ გეალერსება: „ეს მისწერეო, გ ა ს ა ჯ ა ვ რ ე ბ ლ ა დ, რომ ბევრი ტრაბახები იცის ილიამაო.

სანდრიკო ჩამიკოცნე; ძალუას სიყვარულით მოვიკითხავ, ეგრეთვე ჩემს საყვარელ ალექსანდრეს.

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

28-ს ოკდომბერს 1849.

თ ე მ ი რ ხ ა ნ შ ურ ი თ.

პრიკაზში გამოვგზავნე 500 სიქა მანათი ჩვენს ვალში; დანარჩენისა შემატყობინეთ.

141. ძეთევან ორბელიანისადმი

ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან! თქვენი წერილი მივიღე გუშინ ლ ე ტ უ ჩ ი ს პ ო შ ტ ი თ; ვმადლობ ღ"თსა თქვენის მშვიდობიანობისათვის, და გმადლობთ თქვენცა მოლოკვისათვის ხელმწიფის წყალობისა, რომ-ლისაცა ღირსი ვიქმენ მე.

ილია, მართალია, გამოსულა პეტრეგულიდამ 11 ოკტომბერს, მაგრამ წასულა ქალაქს ო რ ე ლ ს ა (1); ვერ მიმხვდარვარ რა საქმე აქუს იქა? — ბატონისშვილი მარიამ (2) სიმართლით ემდურის ილიასა, თუ მართლად არ მისულა თამარ ბატონისშვილის (3) ძმასთან (4), რომელიცა დიდად მწყა-ლობდა მე და დიდათაც უყვარდი მასა. მე არა მგონია, რომ ილიკო მა-გას იქმოდა, უთოოდ მიზეზი არის რამე.

ილიას გამოვუგზავნე ცხენი და არა დროშკა; ეს ცხენი არის დროშ-კის ცხენი, და ძალიან ჩინებული; მაგრამ რა გამოვიდა, ვიცი, მანდა ორს კვირაზედ წახდება; ჩვენი თაყლის მოვლა მე კარგად ვიცი; და სწორედაც მოგახსენოთ, არ მინდოდა გამოგზავნა, მაგრამ ილიკომ ძალიან მთხოვა, და მეც უარი ველარ უთხარ. — იმედი მაქუს რომ აქამომდის ის ცხენი მოგივიდოდათ. —

რა დაგემართათ, რა არის ეგოდენი ჩხუბი ალექსანდრესთან? მე თქვენ გაბრალებთ, თორემ მე იმის გულს კარგათ ვიცნობ; დიახ კეთილი კაცია, თუმცაკი გულფიცხი; და ამასთანა ისიც უნდა გახსოვდესთ, რომ ეგ ერთილა დაგვრჩენია მოხუცებული ძია; გმართებსთ რომ ყოველივე მოთ-მინებით მიიღოთ მაგისაგან.

კოსტანტინეს შვილისას (5) რატომ არასა მწერთ? თუ მანდ არის ჩემ მაგიერ მოიკითხეთ, და უთხარით სოსიკოსა, რომ ძალიან შესცდა, რომ აქ ჩემს პოლკში არ გადმოვიდა, სადაცა ყოველს წელიწადს ექმნებოდა შემთხვევა სამსახურში წინ წასვლისათვის; და მაგ პოლკში, ვიცი, თუმცა კარგი საზოგადოობაკი არის, მაგრამ ვერა გახდებარა. ჩვენი ყმაწვილები

მაშინ არიან კარგნი, როდესაც დაშორდებიან თფილისსა. — წიგნიც მოაწერინეთ ჩემთან.

სანდრიკო ჩამიკოცნეთ. — მშვიდობით

თქვენი მორჩილი გ რ ი გ ო ლ ორ ბ ე ლ ი ა ნ ი

11-ს ნოემბერს 1849.

თ ე მ ი რ ხ ა ნ შ უ რ ი თ.

ჩვენს დიდს სობოროს, შეძლებისამებრ, შევეწევი (6). ყაფლანს მოვიკითხავ ქულფათით.

ჩემ დედას ბაბალეს სიყვარულით მოვიკითხავ; ნუ მემდურის მოუწერლობისათვის; მაგისავით უსაქმოდ არა ვარ. მაგის საქმე — ერთი ქმარია; იმასაც, ვინ იცის, ვაივაგლახობით ორს დღეში ერთხელ ძლივს [. .] ჰხედავს.

ძალუა ილისაბედ ვიცი, დიდად გახარებული, დიდად გაფარფარებული, დიდად გამობრწყინვებული იქმნება; ივანე მალხაზიჩს (7) დაუახლოვდა; და რა საკურველია, რომ წიგნის მოწერისათვის აღარ ეცალოს?

142. ᲛᲐᲜᲐ

ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან! დიდი ხანია რა თქვენი ამბავი სრულებით არ ვიცი. მიკვირს, შვიდს დღეში როგორ ვერ მოიცლით რაოდენისამე ტრიქონის მოწერისათვის? ილიას ამბავიც ეგრეთვე ვერსაით ვჰსცან; ვისთან და ანუ სად იმყოფება, სად დადის? არ ვიცი. — სწორედ მოგახსენო, დიდი მოთმინება უნდა მქომდეს, რომ იმის დაუდევრობას და სიზარმაცეს გავუძლო.

დიდი ხანია რა ილიას გამოუგზავნე დროშკისათვის ულაყი, ჩინებული ცხენი, და აქამომდის ვერ შევიტყე მოგივიდათ თუ არა, და ანუ ხომ არ წაუხდენიათ გზაზედ? ის ცხენი ბუჭყიევმა (1) ახტიდამ გამოგზავნა თქვენთან ფარემუზას ხელით, რომელიცა ახლდა ჩემს ძმას ზაქარიას; მგონია თქვენც უნდა იცნობდეთ ამ კაცსა. მაცნობეთ, მოგივიდათ თუ არა ეს ცხენი?

წყეულს პრიკაზსა გაუგზავნე ორმოცდაათი თუმანი ჩვენს ვალში და ახლა კიდევ ითხოვს თითქმის ესოდენსვე.

ეფემიას ამბავი სრულებით არა ვიცი რა. — ამასწინად გთხოვე ძალუავ, რომ ეგეს ერთი კარგი სასიძო იშოვნოთ სადმე ბაბალესათვის (2),

რომლისათვი[სცა] გადმიდვია ასი თუმანი მზითვად. მეტი არ შემიძლიან, — კახეთში ანუ ქართლში მოსძებნეთ როგორმე ჩემო ძალუავ. —
სანდრიკო ჩამიკოცნე. — ღ˜თი იყოს თქვენი მფარველი.

თქვენი მორჩილი გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

9-ს დეკემბერს 1849.
თ ე მ ი რ ხ ა ნ შ უ რ ი თ.

143. ილია ორბელიანისადმი

დიდის სიხარულით მივიღე შენი წერილი, ჩემო საყვარელო ილიკო, და ვმადლობ ღმერთსა შენის მშვიდობიანად დაბრუნებისათვის. ძლივს მოხველ! არა, აროლის ქალაქი რა შენი გზა იყო? ასე მეგონა აქეთკენ გამომივლიდი და ძლიან გულითაც მოგელოდი, რომ გამომეკითხა წერილად შენი მგზავრობა, შენი პეტრებულში ცხოვრება და ველიკის კნიაზების ხილვა. — მაგისთანა მგზავრობა, იცოდე რომ, ჰააა, ერთი რამეთ ჰღირს! სუყველანი ჰსტყუიან, ვინც მაგ საზოგადოობაში არ ყოფილა, იმას სრულებით არ უხილავს პეტრებული, რომელშიაც არის მხოლოდ ერთი საზოგადოობა, დიდის ოჯახობისა, და რომლისაც კარი დიახ იშვიადისათვის გაიღება. პეტრებული იმ საზოგადოობაში არის, სხვა ფუჭზად! ეს დიდრონი სახლებია, ეს დიდრონი, განიერი ქუჩებია, სულ არაფერია, თუმცა კი სხვა ქალაქებში მზგავსსა ვერ იხილავ. —

როგორ მოგეწონა, ანუ, როგორ მოიყვანეს მანდა ჩემგან გამოგზავნილი დროშკის ცხენი? — მე მგონი მთელი ქალაქი მაგას შემზერის განკვირვებით.

მაგ წყეულს პრიკაზში კიდევ გამოვგზავნე დღეს ფოშტით 430 რუბლ. სიქა მანათი, ამასწინათაც 500, რომელიცა იქმს ჯამი 930. — ახლა, ჩემო ილიკო, შენ უნდა მიხვიდე და გამოართვა კვიტანცია და გამოიხსნა ჩვენი ყმა და მამული. თობაა, თობაა, რომ ვალის სახსენებელი უნდა გაწყდეს ჩვენთვის. — მაგრამ უნდაკი შენ მისცე რამდენიმე მანათი, ჩემის ანგარიშით, პრიკაზში, რადგანაც ვერ ვიანგარიშე რამდენია за просрочку. პრიკაზში მივსწერე რომ ილია მოგცემს დანარჩომსა მეთქი. —

აბა, ჩემო ილიკო, პირობაზე როგორა ხარ? ფრიბელიუზის კალასკა რომ დამპირდი, აბა სად არის? — ამ მოხუცებულობაში მაშ რით ვიარო? ამაზედ რას მეტყვი? ჰაა! თუ იტყვი, კურთხეული ზურაბ ყაფლანისშვილი (1) უფრო მოხუცებული, ლურჯის ცხენით დადიოდა. ეგ ხომ ჩემის სიტყვის პასუხი არ იქნება. — შენ იცი. —

ძალუა ნინოს (2) სიძე, კნიაზი მირსკი (3), მოვიდა დღეს ჩემთან. მიკვირს როგორ მომხდარა ეს საქმე? კნიაზ მირსკი უცხო, ჭკვიანი ყმაწვილი კაცია, და ძალიანაც მიხარის სოფიკოსათვის (4);

რა დაემართა მაგ მამუკას (5), რა არის მაგის ზასეტადლობა. რა უნდა ჰქმნას, ან რას მოელის? ფუ! —

ღენერალ გადლევსკი (6) წამოვიდა თბილისს Начальником Артиллер: Округа.

გუშინ დუბელტი (7) წავიდა პეტრებულს ოტპუსკში; შენგან გამოგზავნილი — პოსილკები მოუვიდა.

ივანე (8), ალექსანდრე (9) და ერმოლოვი (10) წავიდნენ გუშინ ჰილლის (11) გადლევსკის გასაცილებლად. — კნეინა მაიას (12) გამოეგზავნა კაცი ალექსანდრეს ზნეობის დასაზვერავად, ქეთევანის (13) რჩევითა. — ვაჲ, მე მთხოვოს, დ ერთიც საახალუხე გამომიგზავნოს, რომ სულ რჯული გავაგდებინო ალექსანდრეს ალაჩყალაში (14) გაგზავნითა! მიკვირს, კნეინა მაია რათ დამონებია აგრე ქეთევანსა, რომ თავის შვილის ამბავსაკკი მაგას ჰკითხავს? — ალექსანდრე ძალიან ემდურის ქეთევანსა „უთოოდ ის მიუტანდა ამბავსო“, ასე ამბობს ალექსანდრე. —

ჩემმაგიერ უთხარ ელენასა (15) და ბარბარეს ანდრეევსკისასა (16), რომ თქვენი ბარიათინსკი (17) ხიდქვეშთქო. მე ხალათებზედაც მიკერია ვარსკვლავები და ისკი არ ვიცი ვინა ბრძანდება? დიდის პატივისცემით მომიკითხე ერასტ სტეფანიჩი (18) და პატარა ვარანცოვი (19).

დიდის სიყვარულით მომიკითხე ნინა (20), ეკატირინე (21) და დავით(22) მჲსის მეუღლით (23), რომელსაცა ჯერ კი არ ვიცნობ. — ძალუა მანანა აღარა სწერს თავის შვილსა (24). — ჩვენი საზოგადო, უფროსი ძია ალექსანდრე (25) მომიკითხე დიდის გულით.

ძალუა და სანდრიკო ჩამიკოცნეთ. — ღ˜თი იყოს შენი მფარველი,

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

16-ს დეკემბერს 1849,
თ ე მ ი რ ხ ა ნ შ უ რ ი თ.

ალექსანდრე (26) თავის დასაც (27) ძალიან ემდურის; მე თუმცა მიმალავს, მაგრამკი ამბობს „ბარბარეც ქეთევანს აჰყოლიაო“. ილიკო, ერთი შემიტყე და? ლაზათია!

144. ᲛᲐᲜᲘ

ჩემო საყვარელო ძმაო ილიკო! დღეს დილით წამოვიდა აქედამ თბილისს კნიაზი მოსე ზახარიჩი, რომელსაცა ჰსთხოვე, რომ უშუამდგომელოს მთავარმართებელთან კაპიტანს დიაკონოვსა (1), თორემ ეს საბრალო ვაჟკაცი უმაწვილი კაცი სრულებით დაიღუპება და ვერც გამართლდება, თუმცაკი არის მართალი. აი მისი საქმე: — შარშან გერგებილში მოუვიდა ამას ჩხუბი კ[ა]პიტან ღრიღორეევსკისთან(2), რომელმანცა ამის მტრობით მისცა დ ა ნ ო ს ი, რომ დიაკონოვმა, რომელიც ჰკამანდობდა მეორე ღარნადერის

როტას 1844 და 1845, შეჰამა როტის ფულიო უმეტეს ორასის თუმნისა თეთრი ფული, — მოჴდა გამოძიება, და მართლად როტის წიგნებში სწორედ ისე გამოდის, — ამის გარდა ჩემის ძმის დროსაც ბევრის უწესოებისაგან როტის წიგნებში ამ დიაკონოვსვე დაედო ვალი ორმოცდაათ თუმნამდის, რომელიც გამოურიცხეს ჯამაგირიდამ და მისცეს როტასა. როტაცა სხვას ჩაბარეს ესე იგი იაკუბოვსკისა (3), როტამ პრეტენზია არ აჩვენა; ამანაც ერთს წელიწადს უკან ჩაბარა ისრე როტა კაპიტან ლრიღორეევსკისა და პრეტენზია არც მაშინ აჩვენეს; ინსპეკტორის სმოტრებშიაც არსად უჩვენებიათ. — ახლა იფიქრე, შეიძლებაა, რომ ორას ორმოცდაათამდის თუმანი ერთის როტიდამ შეიკამოს ორს წელიწადში და როტამ პრეტენზია არ აჩვენოს, და არცკი შეიმცნიოს ესოდენის ფულს შემა? — რუსის სალდათის ხასიათი შენც იცი, რომ ორი შაურისათვის ატსტავკამდის პრეტენზიას იტყვის; მაშასადამე რა ამბავია ესე? — სხვა არაფერი ამის მეტი, რომ საწყალი დიაკონოვი, რომელსაცა პასეკმა დაარქვა Герой, და ამასაც ჭკუაში ჩაუდგა ეს სიტყვა — ჰფიქრობდა, და ეგონა, რომ როტის კამანდობა არის მხოლოდ შტურმაზედ მისვლა; ამისგამო არას დასდევდა არც ფულის ანგარიშსა, და არც რიგზე როტის წიგნში ჩაწერასა არც შემოსავლისას, არც გასავლისას, გამოუცდელი, ოცდაორის წლის ყმაწვილი კაცი, ვაჟკაცობაზედ გაგიჟებული, ბატალიონნის კამანდირები დურაკები, რომელთაცა თავის დროსა არ შეუმოწმებიათ რიგიანად როტის წიგნები — ესენი არიან მიზეზები, რომლითაცა უნდა ახლა მიეცეს დიაკონოვი პოდსუდში, თუმცაკი ფული არ არის შეპმული ამისაგან, მაგრამ თავს ვერ გაიმართლებს და დაიღუპება; приход и расход არ უწერია რიგზე; ისე ზეპირად, ყაფლანურად, უძლევია ფული; ფელდფებელიც მკუდარია, არტელშიკიც მკუდარია; აბა რით გაიმართლებს თავსა? — კნიაზ მოსე ზახარიჩმა ესა ჰქმნას, რომ მთავარმართებელმა ასე დასაჯოს დიაკონოვი, რომ არ გაასალდათოს, რადგანაც სასარგებლო აფიცარია სამსახურისათვის, და მხოლოდ სიყმაწვილისა და გამოუცდელობისაგამო და ეგრეთვე დაუდევნელობით შეემთხვა ამ უბედურებასა. — ჩემის მიხედვით მაშინდელნი ბატალიონის კამანდირები უფრო დამნაშავენი არიან, რომელნიცა ხელს აწერდენ და არა ჰშინჯავდნენ როტის წიგნებსა. — დაჰსაჯონ, ოღონდ კი ნუ გაასალდათებენ.

ჩემო ილიკო! იფიქრე რამე სანდრიკოსათვის; ანუ როგორ ჰსწავლობს და რა იცის, მომწერე. ძალუას სიყვარულით მოვიკითხავ.

ღ̆თი იყოს შენი მფარველი. მშვიდობით

შენი ძმა გ რ ი ვ ო ლ ი

ნინო, ეკატირინა და დავით სიყუარულით მომიკითხე. — კნიაზ მოსე ზახარიჩს ვჰსთხოვე აქ დიაკონოვისათვის, ოღონდ შენ მანდ მოაგონე.—

23 დეკემბერი 1849.
თ ე მ ი რ ხ ა ნ შ უ რ ი თ

ერთი აქეთკენ წამოსულიყავ,
რომ რა კაზარმებს გაჩვენებდი.

1850

145. ილია ორბელიანისადმი

ჩემო საყვარელო ძმაო ილიკო! შენი წერილი ამ მინუტში მომიტანეს, რომელშიაც მწერ .თეატრში თამაშობასა. სწორედ გითხრა, ძალიან ვნანობ რომ ეგ პირველი ქართული კამედია ვერა ვნახე (1). ჩემო ილიკო გთხოვ გამომიგზავნო ეგ კ[ამედი]ა, რომელიცა არ წამიკითხავს. — ქეთევანის (2) ქება შევიტყე. და არ მიკვირს, ეგ ასეთი დედაკაცია, რომ რასაც მოინდომებს, შეუძლიან აღსრულებაცა; და ამასთანა ძნელიც არ იქნებოდა მაგისათვის ბებრის დედაკაცის წარმოდგენა. — აფიშკა (3) ჩემთვის გამოეგზავნა მთავარმართებელსა, რომლისათვისცა ამასთანავე ვწერ მადლობასა. ღ"თო, რა კაცია! და ანუ როგორ აგონდება იმ დიდროანს საქმეებში და ფიქრებში ამგვარი წვრილმანკი საქმეები, რომელნიცაკი უფრო უმეტეს გამოაჩენენ მის ყურადღებასა ჩვენდამი.

ამასწინად მოგწერე რომ დუბელტსა მოუვიდა შენგან გამოგზავნილი ამანათები სრულიად, და ამასთანა გთხოვე შემატყობინო, როგორ მოიყვანეს შენთან ცხენი სადროშკოდ, მაგრამ ჰსჩანს, რომ ჩემის წერილების პასუხი არაოდეს არ უნდა მომივიდეს.

შამხალს (4) მიულოცეთ Князя Тарковскаго (5), შეიქნა დიდი თ ო ი, ზურნითა, ჰანაიდედითა, თოფის სროლითა; ჩვენც ვიყავით დიდისყოფით მუნდრებითა. ახლა ამა მიზეზისგამო ლხინი გადიტანეს ყაზანიშჩში დ ა ლ ღ ა თ თ ა ნ (6), და დიდათ ლოთობენ. — შამხალი ირთამს ცოლად ჰუსუბ ბეგის (7) დასა, რომელიცა ჰყუანდა ცოლად მაჰმადმირზასა (8), ეს ქალი ამ პირობით გახდა ამის ცოლად, რომ შამხალმა უნდა გაუშვას თავის ცოლები; ახლა შამხალმა სულ ერთიანად გაყარა სამი ცოლი, რომელნიცა ამ ახლოხანში ერთიერთმანეთზედ შეირთო.

რა ვჰქნა, ჩემო ძმაო, დიდის სურვილით მინდა ხილვა შენი, მინდა მოსვლა თბილისში, მაგრამ ახლა არ შემიძლიან, მეტად ბევრი საქმეები მაქუს; მინდა პოლკი მოვამზადო სრულებით ჩასაბარებლად. ასე რომ მაშინვე უკრავ უგინებლად, უჯანჯლოდ მოვრჩე; ამასთანა ათას ორასი რეკრუტი მორეკეს ჩემს პოლკში, ამათი მომზადება, გასწავლა საზაფხულოდ ითხოვს ჩემს აქ ყოფნასა; ამის გარდა ათის დღით მანდ მოსვლა ვერ შემიძლიან; ვიცი მაგ წუეულის თბილისის ჯადოობა რაც არის; მანდედამ გამოსვლა მეტად ძნელი იქნება ჩემთვის. — ევდაკიმოვი თიოქმის მორჩა პოლკის ჩაბარებასა (9). —

სოფიკოს (10) გათხოება ძალიან მიამა, მეტად კარგი კაცი შეურთავს. რატომ არ მომწერე დაწვრილებით როგორ მოხდა ეს საქმე, და ანუ სად იყო ქორწილი?

ძალუა ქეთევან სიყვარულით მომიკითხე, ეგრეთვე სანდრიკო ჩამიკოცნე. ბიძია ალექსანდრე სიყვარულით მომიკითხე.

მშვიდობით, ღ'თი იყოს შენი მფარველი

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი

25-ს იანვარს 1850 წელს
თ ე მ ი რ ხ ა ნ შ უ რ ი თ,

ივანე (11), ალექსანდრე (12), კლავდია (13), დიახ კარგად არიან; მაგრამ ყოველდღე ამათი ჩხუბი და ყალმაყალი ილაჯი აღარ არის.

146. ვ ა ხ ვ ი

ჩემო საყვარელო ძმაო ილიკო! ამასწინად მოგწერე, რომ პრიკაზში გამოვგზავნე ფული, რომლითაცა შესრულდებოდა ჩვენი ვალი; ჩემის ანგარიშით აკლდებოდა რამდენიმე აბაზი, რომელსაცა შენ მისცემდი და ამით დავასრულებდით მაგ ოცის წლის დავიდარაბასა. — შემიტყე და მომწერე, რა არის ყმაწვილო, რომ ჩემის წერილის პასუხსა აროდეს არ მომწერ?

კოსტანტინეს შვილი სოსიკო (1) როგორი ყმაწვილი კაცია, და ან რატომ ამ პოლკებში სადმე არ გადმოდის, სადაცა ყოველწლივ შემთხვევა გამოაჩენს მაგას და მისცემს წარმატებასა სამსახურში, მით უფრო უმეტეს, რომ მაგან, როგორც მესმის, იცის კარგად სამხედრო სამსახური. გრუზინსკის პოლკში ვის რა უპოვნია? აბა შალიკოვსა (2) ჰკითხოს?

ვინძლო ქართული კამედია გამომიგზავნო.

ძალუა ქეთევან და სანდრიკო ჩამიკოცნე. — საკურველია ერთხელ არ მომწერე შენი ფიქრი მაგ ყმაწვილის გაზრდისათვის. — აქა იქ ჰკითხე,

შეიტყე, და ისე გადაწყვიტე, რომ დრო არ დაეკარგოს. — შენსგაზდას მომწერე ესეცა.

ღ˜თი იყოს შენი მფარველი, მშვიდობით

შენი გ რ ი გ ო ლ ი

28-ს იანვარს 1850.

შ ე ნ ი თ ℓ

კნეინა მაიას (3) გთხოვ დ ი დ ი, დიდი მადლობა განუცხადო წერილისათვის, და ულრმესი ჩემი პატივისცემა. — ეჰ იყო დრო, რომ ერთის მისის პატარა ბარათისათვის მილლიონს მივსცემდი; მაგრამ მილლიონი არა მქონდა.

(მინაწერი ერმოლოვის ხელით):

Душинька Илинька желаю тебе быть здоровым и прошу вас покорно немедленно исполнить то что я тебе писал в прошлом письме. — Прощай, будь здоров — Семену Воронцову (4) кланяйся —

Ермолов (5).

147. ᲛᲐᲜᲐᲕᲔ

ჩემო საყვარელო ძმაო ილიკო! კნიაზ არღუთინსკი დაბრუნდა რა აქ თბილისიდამ, მიამბო იმან, რომ მითომ მთავარმათებელს წარუდგენივარ მე ბრიგადნის კამანდირად პირველის ბრიგადისა 21 პეხოტნის დივიზიაში. ესრეთი მამობრივი მოწყალება მისი ჩვენზედ არ ვიცი, რით და ანუ როგორ გადავიხადოთ (1). — ახლავე მე ვამზადებ პოლკსა ჩაბარებისათვის; მაგრამ შენკი უნდა საჩქაროდ მაცნობო რომელს თვეში უნდა მოველოდე ამ ჩემს ახალს დანიშვნასა. ჩემი ანგარიშისათვის რა საკურველია ის უფრო კარგია, რაც დაგვიანდება; ეგებ აპრილამდის გააჩანჩალოს რომ ამ წლის რემონტის ფულმა მოასწროს; მაშინ სამას თუმნამდის თაფაუთსა იქს, და არ იქმნება ურიგო. —

შენიც მითხრა მითომ გრუზინსკის პოლკსა შენთვის ამზადებდენ. რატომ არასა მწერ? იმისი არ იყოს ივანე ამილახვარი (2) დაუჭერიათ ციხეში ფოშტის გატეხისაგამო და შენკი არასა მწერ. — ამისგარდა არცა პრიკაზის საქმე და არცა ცხენისა რამ მომწერე. —

ამისგარდა ერთი დაელაპარაკე ძალუა მანანას, 1) თავის შვილის ალექსანდრესათვის (3) რად ინახავს შენ ავრე წნილად, რატომ არ აძლევს სამსახურში, და რათ უკარგავს სწორე გზასა, როგორც ივანესა, რომელიცა ჯერ შეინახა შინ, მერე კანცელარიაში გაანწესა, და მერე გახადა, მოდნის ფრაკების ჩაცმითა, ლ ო მ ა დ. — 2) რისთვის იბარებს ეხლა ივანესა (4)

თბილისში, და ერთხელ რატომ დაწვრილებით და გარემოებით არ მოსწერს მიზეზსა, რომლისაგამო უძახის შინ? — ეხლა რომ წამოვიდეს, ხომ დაჰკარგავს ეკსპედიციასა, და იმათ ღირს ის მიზეზი, რომლისათვისაც უნდა ჩამოვიდეს? —

Предложи Сосико перейдти в один из здешних полков, право, он очень много выйграет по службе.

კნეინა მაიასა დიდი პატივისცემა განუცხადე ჩემ მაგიერ. —

ძალუა ქეთევან და სანდრიკო ჩამიკოცნე. — ჩემს დ ი დ ს ბიძია ალექსანდრეს სიყვარულით მოვიკითხავ.

დღეს წაბოვიდნენ აქედამ იასონ ჭავჭავაძე, ილიკო თარხნიშვილი და გიორგი ამილახვარის (5) შვილი.

ყაზიყუმუხიდამ დაიძახეს კიდევ ჰაიჰარაი! — მიდიან დღეს ბატალიონები, და თვით კნიაზ არღუთინსკიცა ღენერალ ევდაკიმოვითურთ (6). — ჩაჩანში შ ა ლ ი ს თ ა ნ (7) მომხდარა კარგი ომები მგონია ორჯელ, და მრავალს დახოცილს ამბობენ მტრისას. შამილა იქ დიდის ჯარით არის, სულთანიც იქ იმყოფება; ეს არ ვიცი ამ ყაზიყუმუხის მხარეს რა უნდა იყოს და ანუ ვინა? მგონია უ ნ ჯ უ ღ ა ტ ლ ი (8) შესულიყვნენ მურუდები. სწორედ გითხრა ამ თოვლში და სიცივეში არაფერი სეირნობა ექმნება ჩვენს ჯარსა; კნიაზ არღუთინსკიც ძალიან იუმუხვნება და ხვნეშის, მაგრამ მიდისკი, რა გაეწყობა. — მე და კოკუმი ჯერ აქ ვრჩებით შურის დედაბოძად. —

ქეთევან მამუკას ცოლი (9) მომიკითხე დიდის სიყვარულით; მაგის საყვარელი, გულის ეარდი, შ კ ა პ ი ჩ ი (10) აქ იმყოფება დროებით მშვიდობიანად. — ღ ̄თი იყოს შენი მფარველი. შენი გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი.

17 თებერვალს 1850. თემირხანშურით.

(უცნობი პირის (ერმოლოვის?) ხელით მიწერილი მესამე და მეოთხე გვერდის აშიაზე, ზემოთ):

Душинька Милинька будь здоров цалую тебя Милашка...

148. ძეთევან ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ა დ მ ი

ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან! თქვენი წერილი მარტის 11-ს მივიღე; ვჰშადლობ ღ ̄თსა თქვენის უვნებელობისათვის. — უბრალოდ მყვედრით მოუწერლობისათვის: მე ხშირად ვიწერები თითო წიგნსა, ხან თქვენთან, ხან ილიასთან, და ეს მგონია, ორივე ერთი იყოს.

ილიამ თუ შეასრულა მამულების გაყოფა, მართლად ღირსი იქნება, რომ ძეგლი აუშენონ ყაფლანისშვილებმა სახსოვრად მომავალთა საუკუნეთათვის. მართლად დიდი საქმეა და ღვაწლი. რკინის თავი უნდა ჰქონდეს, რომ გაუძლოს ეგოდენ ჩახჩახსა ნაირნაირ ხალხთანა. —

მართლად შეგიტყვიათ რომ ალეკსანდრე (1) ძალიან მეპორე შექმნილა; მაგრამ იმის ბრალი არ არის: ასეთი წიგნები მოსდის მშვენიერის ენატკბილის ქეთევანისაგან (2), რომ თვით ანგელოზს შეჰსცვლის გულითა; მეორეს მხრით ალექსანდრეს დაცა (3) არას აკლებს, და ღ˙თო შეგცოდე, კნეინა მაიაცკი (4) ზოგჯერ, ისე, მითომ არაფერი, უნებლიეთ უამბობს ჩამოშვებულ ლაბაბიანს შვილსა ზოგიერთების ამბავსა. მე, რასაკურველია, ძალიან ვუშლი ალექსანდრესა, ხშირადაც ვეჩხუბები ამგვარად ჭორების დაჩვევასა, მაგრამ ვერა გამიწყვიარა. ბრალიკი ქეთევანისა არის. — ღ˙თო დაგვიფარე გულტრედის ქეთევანისაგან და მის ლესულ ენისა.

ჩვენი საზოგადო ბიძია ალექსანდრე, და განსაკუთრებით ჩემი ბიძია (5) სად არის და ან როგორ ჰსუფევს, და ანუ რად დამივიწყა? —

გთხოვ ძალუავ მომწეროთ ივანე ამილახვრის შვილის საქმე როგორ არის, და ნუ რად დაუქერიათ?— ჩვენი იასე ანდრონიკოვი სად არის, მორჩა თუ არა თავის საქმეს? (6) —

მე მართლად დანაშაული მაქუს, რომ ბატონისშვილს (7) ერთხელ წერილი ვერ მოვართვი. — გეთაყვანეთ ძალუავ, ჩემმაგიერ ულრმესი, ქეშმარიტი, შვილობრივი პატივისცემა მოახსენეთ და ხელს კოცნა. — მომავალს ფოშტაში უთოოდ მოვწერ; ჰსთხოვეთ ჩემ მაგიერ, რომ თავის ლოცვაში ზოგჯერმე მომიგონოს.

სანდრიკო ჩამიკოცნეთ; იაკინთე სიყვარულით მომიკითხეთ. ღ˙თსა ვსთხოვ თქვენს მშვიდობით ხილვას.

თქვენი მორჩილი გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

მარტის 24-ს დღესა
1850 წელს

თ ე მ ი რ ხ ა ნ შ უ რ ი თ.

149. მ ა ხ ვ ე

ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან, გთხოვ ეს წერილი თქვენის ხელით, ჰააა თქვენის ხელით, წაულოთ და მიუტანოთ ბატონისშვილს მარიამს, კვირას დღეს (1). —

სანდრიკო ჩამიკოცნეთ; ბიძია ალექსანდრე მომიკითხეთ. — ამაზე მეტს ვერ მოგწერთ ამ ჟამად, და არცარა მაგდენი ჭორებია საამო თქვენთვის ამ შურაში.

თქვენი მორჩილი გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი.

30 მარტს 1850.

თ ე მ ი რ ხ ა ნ შ უ რ ი თ.

ძალუა ელისაბედმა (2) სრულიად დამივიწყა; მაგრამ ახლა ვინ მოაგონდება? — ახალი ღუბერნატორი (3) ღ˙თმა უცოცხლოს.

150. ილია ოტბელიანი სადმი

ჩემო საყვარელო ძმაო ილიკო! ვიცი არა გცალიან და არცა იქმნებოდი ქალაქში მამულების გაყოფის გამო, ამისთვის დიდი ხანია აღარა გწერ. — მართლად, დიდს საქმეს შეასრულებ თუ ღ'თი შეგეწია, და ვის მადლით მოვიდნენ ჭკუაზედ ჩვენი ბიძაშვილებიცა. მომავალს დროებში იტყვიან სომხითელები „ილია რომ მამულებს უყოფდა ყაფლანიანთაო, მე მაშინ ულვაშები არ ამომსლრდაო“.

აქაური ამბავი რა გითხრა? გაზაფხული დადგა; თოვლი აღარა ჰსჩანს; მზის სხივმა გაათბო მიწა და მთის ჭიანჭველები — ლეკები — გამორეკა გარეთ, და დააწყებინა მათ ქურდობა. — დიდროანი მათი ჯარი არსად არის ჯერ, მაგრამ პატარა პარტიები კი დაწრწიან მგლებსავით. — ამ ზამთარს დიდი ქება, დიდება დარჩათ ყაზიყუმუხის პატარა სოფლებსა, რომელთაცა დიდროანის ჯარით მურუდები მოუხდნენ სამჯერ და დამარცხებულნი დაბუნდნენ. ეს კარგი ნიშანია, რომელიცა გამოაჩენს, რომ ხალხის ჰაზრი მურუდებისათვის იცვლება ნელნელად,

ჩემი ახალი დანიშვნა ჩაპლიცის (1) მაგიერ როგორღაც დაიხლართა; მთავარმართებელიკი მწერს, რომ მალე გამოვაო (2). ამის მოლოდინებში ნელნელა ვამზადებ პოლკსა ჩაბარებისათვის, და კაზარმებზედ კიდევ მაინც ხელს არ ვიღებ; საძირკველი ჩავყარე ახალ კაზარმებისა. —

კნიაზ არღუთინსკი წავიდა შამხლის სოფლების სანახავად და იქიდამ პეტროვსკში; ამ მგზავრობაში მოუგვიანდება ოთხი ხუთი დღე. —

ამასწინად გთხოვე, რომ ეგებ როგორმე საბრალო ბრუსილოვი (3) შეარიგო თავის მამასა, რომელიცა უწყრება და სრულიად არასა ჰსწერს შვილსა, რომელიცა უცხო, ერთგული, ჭკვიანი აფიცარია, და დიახ კარგადაც ემსახურება; როტასაც ჰკამანდობს. — ეს საბრალო ძალიან ჰსწუხს, და მეხვეწება მამასთან შერიგებასა. — ეგებ როგორმე მოახერხო ჩემო ილიკო!

ძალუა ქეთევანს სიყვარულით მოვიკითხავ; სანდრიკო ჩამიკოცნე.—

დიდს ბიძიასა ალექსანდრეს მდაბლად მოვიკითხავ. ღ'თი იყოს შენი მფარველი.

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი.

ივანე (4) და კლავდია (5) დღეს გავლანძღე და გავრეკე გარეთ; ესენიც გამექცნენ.—

გედეონ ბუკუიევი წამოვიდა ცოლის შესართავად.

11-ს აპრილს 1850

თ ე მ ი რ ხ ა ნ შ უ რ ი თ

ილიკო, რატომ არ ურჩევ მანანასა, რომ ეგ სა....*) ალექსანდრე უბრალოდ რად უზის შინა და რატომ სამსახურში არ აძლევს; ბოლოს ხომ მაინც სამსახურია მაგისი გზა, და ტყუილად რათ ჰკარგავს დროსა?

*) წერილი დაზიანებულია.

(ერმოლოვის ხელით მინაწერი):

Душинька Илинька хотя ты и не стоишь того чтобы я об тебе вспоминал; но я слишком тебя люблю, а потому в каждом письме Григория приписываю тебе.

Прощай Илинька

Люблю тебя.

Ермолов.

კასოვიჩი (8) გთხოვს, რომ ეგებ ხელად სადმე მიპოვნო.....

151. ძეთევან ორბელიანისადმი

ჩემო საყვარელო ძალუაე ქეთევან! დიდი ხანია აღარ მომიწერია თქვენთან. პოლკის ჩაბარებამ, შურიდამ გამოსვლამ, მგზავრობამ, და ახლა აქ ჯარში მოსვლამ, დამაბრკოლეს აქამომდის (1). — ილიკო (2) ვნახე ჰუსუმბეგის სახლში ქურის სახანოს (3), მაგრამ რა გამოვიდა, მხოლოდ ერთი დღე ვიყავით ერთად, ასე რომ ვერაკი მოვილაპარაკეთ სწორედა.—

სამურის ხეობაში რუთულის ზემოთ ვდგევართ ჯარითა ციხის ასაშენებლად, სადაცა დავჰყოფ ორს თვეს მაინცა, თუ სხვა რამე უმძიმესი მიზეზი არ შეამოკლებს ჩემს აქ ყოფნის დროსა.

ალექსანდრე (4) აქა მყავს, ძალიან კარგად არის, მაგრამ კი ემდურის თავის დასა (5), რომ წიგნს აღარა მწერსო. — მეკი ვიცი, ამას ისე არა ჰსურს ბარბარეს წიგნი, როგორც ცნობა ქალაქის ჭორებისა, რომელსაც ძალიან შესჩვევია ამისი და, დედის მიხედვით. გთხოვთ კნეინა მაია და ბარბარე უმდაბლესად მომიკითხოთ. ერასტ სტეფანიჩიცა ვნახე მთავარმართებელთან; დიახ კარგად იყო, და ძალიანაც უხაროდა ქალაქიდამ გამოსვლა ასე გამოუცხადეთ ბარბარეს ჩემმაგიერ საიდუმლოდ, — ეგების ატიროთ. — ივანესაც ამ დღეებში მოველი შურიდამ.

როცა ქეთევან (6) ნახოთ, ჩემმაგიერ გთხოვთ გულითადი პატივისცემა და მოკითხვა განუცხადოთ და ამასთანავე დიდი მადლობა წერილისათვის, რომელიცა მე და ალექსანდრემ ერთად მივიღეთ. პასუხს ამ დღეებში მოვართმევ; მაგრამ დაარწმუნეკი, რომ ის საიდუმლოები, რომელიც მოეწერა ჩვენთვის, რა საკურველია ჩვენშივე დარჩება ისე, მითომც ზღვაში ქვა გადუგდია. — და თუ ვინიცობაა, როგორმე გამოცხადდა, მაინც ნუ ეშინიან ჩვენ ბარბარეს დავაბრალებთ; ისე გვაქუს პირობა შეკრული მე და ალექსანდრესა (7).

დიდიხანია ბიძია ალექსანდრეს წიგნი აღარ მომსვლია; როგორ არის და ანუ სადა? —

ყაფლან დიდის სიყუარულით მომიკითხე, და ასე უთხარით, რომ კარავი, რომელსაცა მთხოვს, აბა როგორ უნდა აქედამ გამოუგზავნო? —

გედეონ ბუკეევი დიდად გაბარებული ცოლის შერთვითა, დიდად ,ულვა-შებგაბზეკილი, შემომხვდა გზაზედ მშვიდობიანად. — ასე უთხარით ყოფლანს. —

სანდრიკო ჩამიკოცნეთ, და წიგნი მოაწერინეთ ჩემთან. — ელისაბედ და ბაბალე სიყვარულით მომიკითხეთ. —

ბატონისშვილს (8) მოერთო, თუ არა, ჩემი წიგნი? — ღ˙თი იყოს თქვენი მფარველი,

თქვენი მორჩილი გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

2-ს ივლისს 1850 წელს

ლ უ ჩ ე ქ ი თ (9).

წიგნი მომწერეთ Чрез Кубу в Гусарки (10);

152. ᲛᲐᲜᲘ

ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან! უეცრად მოდის აქედამ თბილისს ესტატე თარხნისშვილი (1), და ამაზე მეტი წიგნი ველარ მოვასწარ. — ივანე დღეს მოვიდა აქ, კნიაზ არღუთინსკის მოჰყვა თან, და ჩემთან დარჩება. ძალიან მიამა, რადგანაც ალექსანდრეს თუმანოვს ბატალიონი ჩავაბარე და გავისტუმრე მაღლა მთებში გზის გასაკეთებლად. — ასე უთხარით კნეინას მაიას (2) და ბაბალეს (3), რომ თუ საახალუხეს არ გამომიგზავნიან უფრო მაღლა ავგზავნი ალექსანდრეს.

მე ცოტად ავათ ვიყავ რამდენიმე დღე, მაგრამ ახლა ღ˙თით უკეთ შევიქენ. — რა ილია ვნახე, მას აქეთ აღარ მომსვლია მისი წერილი.

სანდრიკო ჩამიკოცნე. მშვიდობით

თქვენი მორჩილი გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

10-ს აგვისტოს. 1850

ლ უ ჩ ე ქ ი თ.

(წერილი უკონვერტოდ გაუგზავნია; მინაწერი მეოთხე გვერდზე):

მისს ბრწყინვალეებას

კნეინას ქეთევანს

ორბელიანისას

თ ბ ი ლ ი ს ს

153. ᲛᲐᲜᲘ

ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან!

ზაქარია ერისთავის (1) სიკეთილი ეხლა შევიტყე; აქამდის მიმალავდენ.—ოჰ, რა ძლიერ შემაწუხა ამ ამბავმა! საბრალო მოხუცი (2) მამა მი-

სი! აქამდის იმიტომ იცოცხლა, რომ უკანასკნელი იმედი თვისი დამარხოს თავის ხელით. საბრალო ელენე! (3) ამოიფხვრა ეგ ოჯახიცა!

თუ ილიკო მალე იყოს მოსასველელი, ეს წიგნი შეუნახეთ.—სანდრიკო ჩამიკოცნეთ.

მეც აქ ვაშენებ ციხესა, და მგონია, რომ ამ ორს კვირაზედ მოვრჩე.—ცოტად ავათაც ვიყავ, მაგრამ ყაფლანსავით პოპეიკას არ ვეხვეწებოდი: შენის ხელმწიფის მზესა მომარჩინე!

ჩემს მოწყალეს ხელმწიფას დედისდას მარიამ ბატონისშვილს უმდაბლესად ხელს კოცნას მოვახსენებ; იმედი მაქუს, რომ მეღირსოს ხილვა მისი ამ ზამთარს, თუ ღ˜თი შემეწია. ჩემს მოხუცებულს ძიას ალექსანდრეს სიყვარულით მოვიკითხავ.

მშვიდობით, ღ˜თმან მაღირსოს ხილვა თქვენი.

თქვენი მორჩილი გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

ძალუა ნინო (4) დიდის სიყვარულით და კიდევ დიდის სიყვარულით მომიკითხეთ. ეგრეთვე ჩემი საყვარელი და თამარ (5) და ძალუა ელისაბედ.—ბაბალე ქმართან არის ანანურში, თუ ქალაქში დარჩა?

1850 წელს 20 სეკდებრის

ლ უ ჩ ე ქ ი თ.

154. ილია ორბელიანისადმი

ჩემო საყვარელო ილიკო! მტრისა არაფერი ამბავი არა ისმისრა ახტაში; ყველგან მშვიდობიანობა არის. ვიღაც თათრები შემომხვდენ მომავალნი ლუჩექის მხრით და იმათ მითხრეს, რომ ისმოდაო მითომ დანიილბეგი ელისუში ჩასულიყოსო, მაგრამ ჯარები რომ ენახა დაუშლელიო, ისევ დაბრუნებულიყოო. სწორედ ამბავი ჯერ არ არის. ეხლავ მივალ ლუჩექს, სადაცა შუაღამისას მივახწევ, და ვნახოთ იქ რა დამხვდება. წუხელის ხაზრას (1) დავრჩი, რადგანაც, ვერ გავბედე ღამე უკანვოოდ სიარული და სიგიჟეც იქნებოდა.—

დამავიწყდა: დ უ ნ დ უ კ ო ვ ი (2) მ ო მ ა გ ო ნ დ ა. როცა ნახო მინკვიცი (3) შენ გაზდას ჰსთხოვე ჩემმაგიერ, რომ ი ბ რ ა ი მ ბ ე გ ი ს (4) შვილის შვილსა გამომირთოს 15 თუმანი თეთრი სიქა მანათი, რომელიცა ისესხა ჩემგან შარშან თ უ რ ჩ ი დ ა ღ ს ა (5) და ზედ დარჩა. ვექსილი არა მაქუს წერილის მეტი, და ან როგორ გამოვართმევდი იბრეიმბეგსა რასპისკასა.—

პატარა კნიაზი (6) სიყვარულით მომიკითხე, ეგრეთვე დუნდუკოვი, რომლის ანეგდოტი ბევრჯელ მაგონდება.

ღ˜თი იყოს შენი მფარველი.

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

15 ოკდომბერ 1850

ა ხ ტ ი თ.

155. ძეთევან ორბელიანისადმი

ჩემო საყვარელო ძალუაე ქეთევან! ილიკო ენახე გუსარკაში მთავარმართებელთან, და მასთან ერთად დავჰყავ ოთხი დღე ნასლედნიკის (1) მოლოდინებაში. იფიქრეთ ჩემი ბედი: ერთბაშად მოიტანეს ამბავი, რომ დიდი ჯარი ლეკისა წამოსულა ჭარისკენაო, შევჯეგ ცხენზედ და ორი დღე და ღამე ვაჭენე, ვიდრე მოველ ჯართან ლუჩექში; და ამა წყეულის ამბისგამო მოვაკლდი ნასლედნიკის ხილვასა, რომლისა წინაშე მთავარმართებელსა ჰსურდა განსაკუთრებით ჩემი წარდგენა. იქაც მოვსცდი და აქაც ვერ მოუსწარ, და დავრჩი, მელიტონის სიტყვისამებრ, ქუჩაში.

მაღე დავითხოვ ამ ჩემს ჯარსა და მეც წავალ გუსარკაში და იქიდამ შურას რამდენისამე დღით და მერე ზაქათალას, სადაცა მთავარმართებელი მნიშნავს ჭილაევის (2) მაგიერ. — სწორედ მოგახსენოთ დიდის მწუხარებით მივიღე ახალი ესე თანამდებობა; მაგრამ რა მექმნა, მთავარმართებელმა უარი აღარ მათქმევინა. — იქ მიმელის მე მოუსვენებლობა და წვალება; და ესრეთის ცხოვრებისაგან დიდიხანია რა მოვიღალე და მოვბეზრდი (3). —

საპერნის პოდპოლკოვნიკი ეუკოვი (4) წამოვიდა ჯარით აქედამ თბილისს; იმას გამოვატანე ზალრანიჩნის თეფშები, ზაქარიასაგან (5) ნასყიდნი. დიახ კარგი რამ არის, იმედი მაქუს, რომ კარგად და მთლად მოგიტანოს. — იმ ეუკოვმავე მირჩია სანდრიკოს მიბარება საპერნის აფიცართან, აქსენოვ (6), რომელიცა თურმე საუცხოოდ ასწავლის სოლომონ ბეგთაბეგოვის (7) დისწულთა. — აბა, ძალუაჯან, შეიტყევით, და კარგად გამოჰკითხეთ. მე აქ აქსენოვის ძმასა დაველაპარაკე ამ საქმეზედ, და იმანაც დიდის სიხარულით მომცა პირობა. — ეგ აქსენოვი ასე კარგად ასწავლის და ასე დაჭეშმარიტებით, რომ თუ ყმაწვილებმა პეტრებულში ეგზამენია ვერ დაიჭირეს, სასწავლო ფულებს არ ართმევს. —

ვინძლო, ძალუაჯან, ეს ზედმიწევნით შეიტყოთ ბეგთაბეგოვისაგან, და შემატყობინოთ. —

ნინიკა ბიჭი მომივიდა მეავე წყლიდამ; მგონია, ეხლა კარგად არის.

მშვიდობით; თამარ, ძალუა ნინა დიდის სიყვარულით მომიკითხე. სანდრიკო ჩამიკოცნე, და ბიძია ალექსანდრე მდაბლად მომიკითხეთ.

თქვენი მორჩილი გრიგოლი

ყაფლან თურმე ასე იბერებოდა და ასე იშიმებოდა, რომ ახალუხი ველარ ჰსწვდებოდა გულზედ ყარაულის უფროსობაში ნასლედნიკის მოსვლის დროსა (8).

20-ს ოკდომბერს 1850,

ლუჩექით.

(მინაწერი მეოთხე გვერდზე):

მის ბრწყინვალებას,

კნეინას ქეთევანს ორბელიანისას.

თბილისს.

156. ილია ორბელიანისადმი

ჩემო საყვარელო ილიკო! ამ წერილს მოგართმევს გუნუკელი (?) ჰაჯიხანჯან (1), მოხუცებული, ერთგული ჩვენისა მმართებლობისა, რომელიცა მოდის თბილისს თავის დარდების სათქმელად და ეგრეთვე ხალხის მდგომარეობისა. მართლად ყაჩაღებისაგან დიდს შიშშია, არა მარტო ეგე, მთლად ეს მხარე; მაგრამ ეგ მეტად გულდამწვარია, რადგანაც შარშან ტყვედ იყო და შვიდასი თუმანი დაათვლევინეს, და ეხლაც ძალიან ემუქრებიან.—

ყაჩაღებს რაც შემიძლიან ვაჭერინებ. თომას შვილი ანდრონიკოვი (2) ძალიან ბიჭი ყოფილა: ამ სამს დღეში თერთმეტი ყაჩაღი ხელშეკრული მომაყენა კარსა; მაგრამ ჯერ პირველთაგანნი ვერ ჩაგვიგდია ხელში, ესენი გადასულან მთას იქით; ზოგნი ერთნი ვინც დარჩომილან ვეძებთ დღე და ღამ. — ამათ ჯამაათებში ნეტავი ჩემი ქადაგება გაგაგონა; ვნახოთ რა გამოვა აქედამ, მაგრამ ეუმტკიცებკი, რომ ვინც აოხრებს თავის მამულსა და ჰხოცს თავის ძმებსა მუსულმანებსა, იმის სიკუდილი და სისხლი ჰალალია. მაშასადამე ყაჩაღები უნდა დახოცონ. შენ უნდა მომიმზადო მანდა ყაზახ ბორჩალოდამ (3) ასი ანუ ორასი ცხენოსანი, რომ სულ ბრე გაადინონ ყაჩაღებსა გაზაფხულზე. მაგრამ სოდერჟანიეს კარგს არ მისცემენ ხაზინიდამ და!

8-ს ამ თვისას წავალ ყვარელისაკენ(4) ლინიის სანახავად; და იქიდამ რომ დავბრუნდები, გამოვემგზავრები შენკენ.—ქაჩალი ივანე (5), ჩამომავლობით ლონენა, წამოვიდა დედის (6) გასახარებლად. ვნახოთ, რა დიდი ბედნიერება მიეცემა მაგის ნახვითა.

დღეს იყვნენ ჩემთან ბელაქნის (7) ჯამაათი; კიდევ ქადაგობა, კიდევ პარლამენტის რეჩები. ახრში ამაზედ დავაბოლოეთ, რომ ბელაქანში მივიდე და იმათი პურმარილი ვეჭამო. ახლა იქ სადილზე ანგლიურად, რა საკურველია, დიდი ორატორობა უნდა მოხდეს.—მშვიდობით, თუ ჩემი დროშკა ცხენებით არ მოგსვლია, მისწერე რევაზსა, რომ გამოგიგზავნოს. — ძალუას სიყვარულით მოვიკითხავ; სანდრიკო ჩამიკოცნეთ.

შენი ძმა გ რ ი გ ო ლ ი

6-ს დეკემბრს 1850
ზ ა ქ ა თ ლ ი თ (8).

157. მ ა ს ვ ე

ჩემო ილიკო! შენი ორი წერილი ზედიზედ მივიღე; სწორედ გითხრა, ძალიან გამიკვირდა за твою деятельность. პანჩენკოს (1) მე გამოვცვლი, და მის ადგილს დავაყენებ ბრუსილოვსა, რომელიც არის ნიჭიანი ყმაწვილი კაცი; მაგრამ მანამ გავიგებდე ზოგიერთს დაწვრილებით საქმეებსა, ბევრიც

დარჩომილი საქმეებია, რომლისაც თავი და ბოლო იცის მხოლოდ ამან, ამისგამო ამას შევინახავ იქამდის, ვიდრე მე ქალაქს ჩამოვიდე, და მაშინ წაბრძანდება.

ზემო მაჰალიდამ (1) ხალხი თითქმის სრულებით ჩამოხვეწილნი არიან, გარდა მოხუცებულთა; მაგრამ ეხლა ვერა ღონისძიებით ვერ შეიძლება ცნობა, თუ რაოდენნი რიცხვით კაცნი ანუ დედაკაცნი ჩამოსულან საქონლით, ანუ ისრე სალტად, რადგანაც ესენი არიან მოფენილნი თვით თბილისიდამ განჯასა, იორზე (2), მტკვარზე, სამუხში, ნუბასა და ვინ იცის სადა. ანგარიშით თქმა სრულებით არ შეიძლება, ამიტომ რომ შემოდგომაზედვე უნდა თვალყური დაეჭირათ აქაურს მმართებლობასა, რომელსაკა არ უქნია ესე. —

ნელნელად თავებს ვაკრეფინებ, და აქამდის გავაბედვინე ხალხსა, რომ თვითვე გამოაშკარებით მოაქუსთ ჩემთან თავები და ხელები ყაჩაღებისა; მაგრამ ჯერ ჭარელები კი (4) ვერ ჩამიგდია ხელში. ამათგან არიან ოთხნი ხუთნი აქ დარჩომილნი, რომელთაცა ვერ გადაასწრეს თოვლსა, და ამისგამო დარჩნენ აქ ზამთრივ; ეჰსდევ ამათ, მაგრამ ჯერ არ იქნა.

კუსურელს უსტა ემინსა (5) თან მოვიყვან. მთავარშართებელსა ჰსურს ამის ხილვა.

თომასშვილი ანდრონიკოვი, აქ უჩასტკოვის ზასედატელია, ძალიან ბიჭი ყოფილა, ბევრი ყაჩაღები დაიჭირა და დაახოცვინა.—

ძალუას სიყვარულით მოვიკითხავ. სანდრიკო ჩამიკოცნე.

შენი გრიგოლ ორბელიანი

19-ს დეკემბერს 1850.
ზაქათლით.

შენიშვნები

1 8 3 2

1

1. წერილის დასაწყისში დედოფლის სახელი არ არის მოხსენებული. 1831 — 1832 წლების დღიურში, რომელიც საქ. არქივის № 171-ში არის დაცული (ვრცლად ამ დღიურის შესახებ ნათქვამია შემდეგი წერილის შენიშვნებში) და რომლის ავტორი ორბელიანს მოსკოვსა და პეტერბურგში ყოფნისას უწარმოებია, რამდენიმე ალაგას აღნიშნულია შეხვედრა დედოფლებთან: მოსკოვში — საქართველოს დედოფალ მარიამთან, ხოლო პეტერბურგში — იმერეთის დედოფალ მარიამთან. რომელი დედოფალი უნდა იყოს ორბელიანის ადრესატი?

ორბელიანი წერს მოსკოვში ყოფნისას (1831 წლის 11 ოქტომბრის თარიღით) თავის დღიურში: „ვეახელ დედოფალს მარიამს, რომელიცა ბრძანდებოდა ავათ და იწვა ქვეშაგებში." აქ იგულისხმება საქართველოს დედოფალი მარიამი: ეს უკანასკნელი 1811 წლიდან ცხოვრობდა მოსკოვში. იმავე წლის 14 ნოემბერს კი გ. ორბელიანი, პეტერბურგში ჩასული, ყოფილა „...იმერეთის დედოფალ მარიამთან, რომელმანცა მისაყვედურა, რომ რატომ პირველად არ მიველ მასთან."

საკითხავია, რომელ ამათგანს უგზავნის პოეტი თავის ბარათს? შეთქმულთა საქმეში (№ 171), საიდანაც გ. ორბელიანის წერილია ამოღებული, დაცულია იმერეთის დედოფლის ბარათი ორბელიანისადმი, სადაც დედოფალი მადლობას უხდის გრიგოლს წერილისათვის. შესაძლოა, გ. ორბელიანი საქართველოს დედოფალსაც სწერდა ბარათებს, მაგრამ, როგორც ჩანს, უფრო ხშირი ბიმოწერა იმერეთის დედოფალთან ჰქონია (იხ. 1834 წლის წერილი) და თავის ოჯახის ამბებს დაწვრილებით აცნობებდა ხოლმე მას.

დედოფალი მარიამ, კაცია დადიანის ასული, იმერეთის უკანასკნელი მეფის სოლომონ 2-ის მეუღლე, ცხოვრობდა პეტერბურგში, სადაც თავს იყრიდენ საქართველოდან რუსეთში გადასახლებული ბატონიშვილები. გ. ორბელიანი მასთან საკმაოდ დაახლოებული ყოფილა. მარიამ დედოფალი გარდაიცვალა 1841 წელს პეტერბურგში.

ზემოთ გამოქვეყნებული წერილის დედანი (შავად, ბელნით ნაწერი) დაცულია საქ. არქივის საქმეში № 171. ამ კრებულში მოთავსებულია 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა (გ. ორბელიანის, ს. რაზმაძის, ალ. ორბელიანის, ს. დოდაშვილის და სხ.) მიმოწერა და სხვა მასალები. როგორც ცნობილია, შეთქმულება გასცა იასე ფალავანდიშვილმა 1832 წლის 9 დეკემბერს. გ. ორბელიანი ეარ ინ ტფილისში არ იმყოფებოდა. 1831 წელს ის კავკასიის აქეთა მხარეების სარდლის, პანკრატიეკ-ის ბრძანებით გაეგზავნა რუსეთში, პეტერბურგს (მოსკოვის გავლით) და იმავე წლის ნოემბრის ბოლო რიცხვებში ჩავიდა ქ. ნოვგოროდს, სადაც დაბანაკდა „საგანგებო ქვეითი ჯარის 'პოლკი". გ. ორბელიანი დააპატიმრეს 1833 წლის მარტის პირველ რიცხვებში და გადმოაგზავნეს საქართველოში. გ. ორბელიანი დედოფალს სწერს ქ. ნოვგოროდიდან: წერილის შინაარსის მიხედვით ირკვევა, რომ ის პირველი ბარათია დედოფლისადმი. ბარათი დაცულია გ. ავალიშვილისადმი გაგზავნილ წერილთან ერთად. ერთნაირია

ხელი და ქალალდი. ხოლო წერილი ავალიშვილისადმი (№ 2), როგორც ქვემოთ იქნება გამორკვეული, 1832 წლის აპრილშია დაწერილი. ამრიგად, ბარათი № 1-იც 1832 წლის აპრილის რიცხვებში უნდა იყოს დაწერილი.

2. „ჩემს ღენერალს". უნდა იგულისხმებოდეს გენერალ-ადიუტატი ნიკიტა პეტრეს ძე პანკრატიევი. 1831 წელს, პასკევიჩის კავკასიიდან წასვლის შემდეგ, პანკრატიევი დაინიშნა კავკასიის ჯარების დროებით სარდლად (1832 წლის აგვისტომდე. შემდეგ კავკასიას მართავდა ბარონი როზენი). გ. ორბელიანიც ამ „ღენერლის" ბრძანებით იყო გადაყვანილი „საგანგებო ქვეითი ჯარის პოლკში" (ი. შეუნარგია: ცხოვრება და ღვაწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა. ტფ. 1905).

3. „ჩემი ძმა". იგულისხმება ზაქარია ორბელიანი, რადგან ყველაზე უმცროსი, ილია 1832 წელს სამხედრო სამსახურში არ ითვლებოდა, ამ დროს ის ტფილისის გიმნაზიის მოწაფე იყო.

2

1. გ. ორბელიანის ეს წერილი, ყველა ნიშნების მიხედვით, მიმართული უნდა იყოს გიორგი ავალიშვილისადმი. ბარათი დაცულია საქ. არქივის № 171-ში, სადაც, სხვათაშორის ინახება გ. ავალოვის (ავალიშვილის) ორი წერილი გ. ორბელიანისადმი. ერთი ამათგანი წარმოადგენს პასუხს გრიგოლის ბარათისას. გ. ავალიშვილი სწერს გრ. ორბელიანს: „თქვენ მიერ ჩემდა მოწერილი წერილი აპრილის რიცხვით, მივიღე ამ თვის ე (-ს) რიცხვსა ჩემად შუებად, ლხინებად, და ამებად; რადგანაც ოკდომბრის იდ (-14) რიცხვით თქვენმა არა თუ ოდენ ვერ მხილველმან აქამომდე არამედ ვერლათუ ს. პეტერბურღს მცხოვრებთა მეფის ძეთა, და უკანასკნელ ვსმცან მეფის ძის თეიმურაზის მიერ თქვენი მისახ რაოდენგზისამე განმგზავრებაი თქუენი ნოვგოროდისადმი. — შენ უკეთურო! (მომიტევე ეხე ვითარად უბნობაი შენთან) მწერ განრჩევით და მკერმეტყველობით პეტერბურღს შინა ცხოვრებისათვის თქუენითსა და მიმომხილვასა მუნ და გარემოსთა შინა მისთა ღირს ხამსხოვართასა, და ვითარცა ვმხედავ წერილსა შინა შენსა, რეცა მეგოდიშებოდე, რომელ ღირსად აღწერაი მათი შეუძლებლად აღგჩენიყოს"; და სხ. (ჩასტ (-1832) წელსა ივ (-10) მაისსა მოსკოვით).

გ. ავალიშვილი (დაიბ. 1769 წ.) საკმაოდ ცნობილი პირია. იგი იყო ერთერთი ინიციატორი ქართული თეატრისა მე-18 საუკუნის მიწურულში. მის კალამს ეკუთვნის თარგმანები მთელი რიგი პიესებისა რუსულიდან (ს.ხ. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტორია, 2, გვ. 495—9). 1819-20 წლებში იმგზავრა აღმოსავლეთის „წმ. ადგილებში" და დასტოვა აღწერილობა თავისი მგზავრობისა, რომელსაც ეწოდება: „გზავრობაი თბილისით იერუსალიმისადმი..." (წ. კ. ს. № 450).

გ. ავალიშვილი იყო გარსევან ჭავჭავაძის ცოლის ძმა (პ. იოსელიანი, „ცხოვრება მეფე გიორგი მეცამეტისა", 1895, გვ. 104-5). მონაწილეობა მიიღო საქართველოს რუსეთთან შეერთების საქმეში (იქვე; განსაკ. გვ. 296). გარდ. მოსკოვს, გასული საუკუნის 40-ან წლებში.

გ. ორბელიანს გ. ავალიშვილი უნდა გაეცნო მოსკოვში 1831 წელს. თავის მოსკოვისეულ დღიურში (საქ. არქ. № 171) პოეტი აგვიწერს მოსკოვში ქართველ ბატონიშვილებთან შეხვედრას (დღიურის მეორე ნაწილი ეხება პეტერბურგში ჩასვლის პერიოდს). გ. ორბელიანს აღნიშნული აქვს გ. ავალიშვილთან შეხვედრაც. ის ერთგან წერს: „11-ს (1831 წლის 11 ოქტომბერს. ა. გ.) წაველ დონსკის მონასტერში ჩემის ნათლიის არქიმანდრიტის ათანაძის სანახავად, მაგრამ მწირველი იყო. მის დღეს ვეღარ ვიხილე. ეს ორი დღე ძალიან სიცივეები იყო. აქედამ წაველ კნიაზ ავალოვთან სადილით, რომლისა შემდეგ წაველით ორნივე ბატონიშვილს ოკროპირთან და იქიდამ ვეახელ დედოფალს მარიამს, რომელიცა ბრძანდებოდა ავათ და იწვა ქვეშაგებში."

13 ოქტომბერს „მიეელ ავალოვთან და დავრჩი მუნ ეს ღამე. — ლაპარაკი გუქონდა მეფე ირაკლიზე, ქართლის ცხოვრებაზე, ქართულს ლექსებზე, რომელიცა აქუსთ მრავალი და კარგი ნათქვამები დიმიტრი ორბელიანის მიერ“. —

2. გ. ორბელიანი დაწერილებით აღწერს თავის დღიურში მოსკოვისა და პეტერბურგის ძვირფას ადგილებს. „კადეტის კორპუსების“ აღწერა საკმაოდ ვრცელია. სანიმუშოდ: „გორნის კადეტსკის კორპუზი. ვასილევსკის კუნძულში ნევის კიდესა ზედა ჰსდგას 21-ის და 22-ის ლინიათ შუა და იპყრობს სივრცესა 6.400 კვადრატნის საჟენისა. ფრიად მშვენივრად არს აღგებული და უფრო შორით ეჩვენების დიდებულებითა. ეკატერინა მეორემ დააფუძნა ესე 1772 წელსა და უწოდა გორნის სასწავლებლად, ხოლო ალექსანდრე ხელმწიფემ უმეტეს განამშვენიერა და დაარქო გორნის კადეტის კორპუსად. და ა. შ..

3. „კუნცკამორა“. — გ. ორბელიანს ის თავის დღიურში არ აქვს აღწერილი. აღნიშნულია მხოლოდ სათაური: „სრულიადი აღწერა კუნცკამორისა“, რომლის შემდეგ ხარეზია დაშვებული. „კუნცკამორა — (უფრო სწორად: კუნსტკამერა) — მუზეუმი, რომელიც ააგებინა პეტრე პირველმა 1723-25 წლებში. ამ მუზეუმში თავმოყრილი იყო იშვიათი საგნები, ე. წ. „რარიტეტები“, რომელიც პეტრე პირველმა გამოიწერა ჭ. ამსტერდამიდან და ევროპის სხვა ქალაქებიდან. მე-18 საუკუნის 40-ან წლებში კუნსტკამერა დაიწვა და განახლებულ იქნა მხოლოდ 50-ან წლებში. გასული საუკუნის პირველი ნახევრის მიწურულს კი იქ მოთავსებულ იქნა სამეცნიერო აკადემიის ბიბლიოთეკა. ორბელიანის პეტერბურგში ყოფნის დროს კუნსტკამერა ჯერ კიდევ მუზეუმი იყო.

4. „ერმიტაჟი. — ტაძარი ესე არს აღშენებულ ეკატერინა მეორისა მიერ 1775 და შეწირულ ხელოვნებისადმი, და შეერთდების ზიმნის დეორეცს დაფარულითა გასავალითა; აქ ივიწყებდა თავისსა დიდებულებასა ეკატერინა და განისვენებდა შემდგომად მძიმეთ ხელმწიფობის შრომათა... მრავალნი ოთახნი აღავსო მხატვრობით; ჩინებულნი საწოლნი (ложи) რაფაელისა გადაახატვინა რომში და განუმზადა მათ ცალკე галлерея და დაარქო რაფაელის საწოლად (ложа). —.. ჩინებული კაბინეტი მონეთებისა და მედალთა განამრავლებს უფრო უმეტს სიმდიდრესა ამას. — აქ არის ფ-დ ძვირფასი ბიბლიოტეკა, რომელსაც შ-ა აწყვია თხზულებანი ფილოსოფოსთა დალამბერტისა, ვოლტერისა და დიდეროტისა“ (საქ. არქ. № 171. ორბელიანის დღიური).

5. მოსკოვის თეატრის შესახებ გრ. ორბელიანს შემდეგი აქვს აღნიშნული თავის დღიურში: „წავედით თეატრში, ხალხი არ იყო ისე მრავალ, ვითა უწინარეს. წარმოდგენა იყო ქალალდის მოთამაშის ცხოვრება, საუცხოოდ ითამაშეს, უფრო მაჩალოვმა, ისე რომ დავსწყველე ყოველი მოთამაშე. თეატრის შემდეგ წაველ ავალოვთან ეახშმად“.

6. „კაზანსკის სობორო. 15-ს ნოემბერს — 1831 წელს — პ-ლი ჰაზრი ამა დიდმშვენიერისა სობოროს აღშენებისა იყო პავლე ხელმწიფისა, რ—ლისა სიკვდილის შემდეგ 1801 წელსა განსვენებულმან ალექსანდრე იმპერატორმან თავისის ხელით დასდვა. საძირკველსა შ-ა პ-ლი ქვა, და შემდგომად ათისა წლისა შესრულდა 15 სექტემბერს 1811 წელს აკურთხა მიტროპოლიტმა ამბროსიმ“ (შემდეგ მიდის დაწერა-აღწ.)

7. გრ. ორბელიანი უთუოდ გულისხმობს ფარნაოზ ბატონიშვილს, რომლის შესახებ დღიურში შემდეგია აღნიშნული: „15-სა (ნოემბერს, ა. გ.) საღამოზე ვიყავ ფარნაოზ ბატონიშვილთან, სადაცა შ-დ სხუა და სხუათა უბნობათა დიმიტრი ბატონიშვილთან ლაპარაკი გუქონდა პ-ლთ მუზიკანტებზე: მოცარტზე, რომელმაცა დაწერა შექმნა სიკვდილისა და არს საკვირველი ნისი თხზულება ხაოხი და იქმნახ

ნათელი: დაბადებიდან. — ვებერზე, რ-ლიცა მოკუდა 38 წლისა. ამისი არს ფრეიშჩიცა, ფ-დ საქებელი მუზიკა, როსინზე, რომელმანცა ყმაწვილმა ოცის წლისამ დაწერა ხილვერხკის ცირულნიკი, და სხუანი მრავალნი უცხო მუზიკანი: ბერუბინზე, რომლის მწამს ერთი ღ-თი, ფ-დ საქებელ არს და უფრო დაევნო (?), და დაეფლა და აღსდგა დღესა ხაფლავით, არს ფ-დ საკურველი მუზიკა".

8. ზამთრის სასახლე. მეფის სამყოფელი ზამთრობით. მისი საკმაოდ ვრცელი აღწერა: იხ. გ. ორბელიანის დღიურში.

9. ხელმწიფე — იმპერატორი ნიკოლოზ 1.

10 ლრაფ: არაკჩეევი — ალექსეი ანდრიას-ძე არაკჩეევი (1769—1834), გრაფი, შემთხვევით დაწინაურებული მინისტრი პავლე პირველის იმპერატორობის დროს, რომლის სახელთან დაკავშირებულია მთელი ეპოქა პოლიციური დესპოტიისა და უხეში სამხედრო დიქტატურის („არაკჩეევშჩინა"). ალექსანდრე 1-ლმა ის საბოლოოდ გაიძეა სასახლიდან. პავლე პირველმა მას ადრე დიდძალი ქონება უბოძა, სხვათა შორის მამულებიც (კერძოდ გრუზინო იქ მობრუნდრე გლეხებით).

ბარათში აგრეთვე მოხსენებულია „ლოფმარშალი ლრაფი ტოლსტოი". იგულისხმება: პეტრე ალექ. ძე ტოლსტოი, ინფანტერიის გენერალი (1761 — 1844). ცნობილ: სამხედრო და პოლიტ. მოღვაწე პავლე 1 და ალექსანდრე 1 ეპოქისა.

1. გრიგოლ ორბელიანი გულისხმობს პეტერბურგში მცხოვრებ ერთერთ ბატონიშვილს. დანამდვილებით გამორკვევა წერილის ადრესატისა ძნელდება, რადგანაც ის ბატონიშვილები, რომელთაც შეეფერებოდათ მიმართვა „მეფის ასულო" (მარიამ, თეკლე, მაკრინე) 1832—1833 წლებში ტფილისში იმყოფებოდენ. გრ. ორბელიანს თავისი ბარათი ნოვგოროდში დაუწერია („აქაურს ამბავს მოიხსენებთ. დიდი ბალებია ნოვგოროდში") 1832 წელს, რადგან ის სწერს უცნობ პირს: „ბატონებს (ე. ი. ბატონიშვილებს, ა. გ.) დედაჩემი უმდაბლესად თაყვანისცემას მოახსენებსო" (აქ ორბელიანი გულისხმობს ხორეშანის წერილს, რომელიც მას ნოვგოროდში მიუღია), ხორეშანი კი 1833 წ. გარდაიცვალა.

რომ გრ. ორბელიანის ადრესატი ტფილისში არ იმყოფება ჩანს აგრეთვე შემდეგი დეტალიდან: 1. გრ. ორბელიანი აცნობებს მას თავისი ძმის, ზაქარიას ტფილისში ჩასვლას. 2. გრ. ორბელიანი 1831 წელს პეტერბურგში უქეიფოდ გამხდარა. თავის დღიურში ის აღნიშნავს, რომ ჩემს სანახავად მოდიოდენ ბატონიშვილებიო. ამ ბარათშიც განმეორებულია ეს ცნობა („როგორ არ მომაგონდეს ოხვრითა, მარამა ამპარტავნებითა, თუ ვითარ ბატონები თავმდაბლობით მობრძანდებოდენ ჩემ სანახავად. — რამდენჯერ დაფიქრებული გიმზერდითრა ვამბობდი ჩემს გულში:თქვენ ვინ? მე ვინ და ჩვენი ყოფა სად! — ").

ფაქტიურ და არსებით წყაროს ბარათის ადრესატის გამოსარკვევად ჩვენ ვერ მივაკვლიეთ. გაუგებარია მეფის რომელ ასულს გულისხმობს გრ. ორბელიანი (საფიქრებელია — გრ. ორბელიანს ეს ბარათი მიეწეროს თეკლე ბატონიშვილისათვის, მაგრამ ეს უკანასკნელი ხომ 1832 წელს ტფილისში იმყოფებოდა? გრ. ორბელიანი კი, როგორც აღნიშნული გვქონდა, სწერს პეტერბურგში მცხოვრებ ერთერთ ბატონიშვილს).

2. გრ. ორბელიანი ბარათს სწერს ქ. ნოვგოროდიდან.

3. ლენერალი — ნ. პ. პანკრატიევი (?)

4. ზაქარია — ზაქარია ორბელიანი, გრიგოლის ძმა. დაიბ. 1806 წელს. სამხ. სამსახური დაიწყო 1824 წელს (შევიდა ფეიერვერკერად ცხენ. არტილერიის № 8 როტაში).

1826 წელს გადაიყვანეს იმავე არტილერიის ლეიბ-გვარდიაში. 1828 წ. — მონაწილეობას იღებს ომში ოსმალთა წინააღმდეგ და არზრუმთან ბრძოლისთვის ებოძა ანას მე-4 საფ. ორდენი. 1831 წ. — მონაწილეობა მიიღო პოლონეთის ომში. 1833 წელს გადაიყვანეს კავ. გრენად. ბრიგადის პირველ ბატარეიაში. 1835—პორუჩიკი. 1838 წ.— შტ. კაპიტანის ხარისხი მიიღო. 1839 წელს ებრძვის მთიელებს. 1841 წ. — ჩრდილ. დაღისტანში მსახურობდა. 1842 წელს გადაიყვანეს ყოფ. სამურის ოლქში. სოფ. რიეასთან ბრძოლისათვის მიიღო მაღალი ჯილდო — გიორგის 4 საფ. ორდენი და პო

ს̆ის რაზმში სამსახურად, სადაც დროებით ვიქმენ გამწესებული.“ (ი მეუნ., „ცხოვრება“... გვ. 31-30. საისტ. საეთნ. 155).

3. მთავარმართებელი — გენერალ-ადიუტანტი ბარონი გ. ვ. როზენი (1788—1841). მართავდა კავკასიას 1831—1837 წლებში. მის მართებლობისას გამოაშკარავდა ცარიელი 32 წლის შეთქმულება. აღმოჩნდა ცუდი სტრატეგი და სარდალი მთიელებთან ომში. სამოქალაქო და სამხედრო მართებლობაში სისუსტის გამოჩენისათვის მოხსნილ იქნა კავკასიის მთავარმართებლის თანამდებობიდან და დაინიშნა სენატორად (ბიოგრ. მასალები: Акты, г. VIII. იხ. აგრეთვე: Биографический очерк Генерал-Адъютанта Барона Розена. Кавк. Календарь. 1868, გვ. 65—67).

4. გ. ორბელიანი „ყაზარმიდან“ გამოსვლის შემდეგ განწესებულ იქნა „ნევის საზღვაო პოლკში“, რომელსაც ვილნოს გუბერნიაში ჰქონდა სადგური. „კავკასიის ხაზიდან“ ის 1834 წელს გაეშურა ვილნოსკენ.

5. 1832 წლიდან (როზენის მთავარმართებლობის დროს) კავკასიის ჯარების კორპუსის შტაბის უფროსი იყო გენერალ-მაიორი ვლადიმერ დიმ.-ძე ვოლხოვსკი. ამ ვოლხოვსკიმ ჩამოართვა გ. ორბელიანს ჩვენება 1833 წელს, როდესაც ეს უკანასკნელი დაპატიმრებული ჩამოიყვანეს ტფილისში (Акты, т. VIII).

6. ვოლხოვსკი—ვ. დ. ვოლხოვსკი.

7. ოთარ — ოთარ ქობულიშვილი, კახეთის მდივანბეგის, დავითის შვილი, რომლის ქვრივს ბარბარე ქობულიშვილს (იხ. პ. იოსელიანი, ცხოვრება., გვ. 81) გრ. ორბელიანი რამდენიმე წლის განმავლობაში უხდიდა ვალს. ოთარ ქობულიშვილს ლექსებიც უწერია (იხ. ანთოლოგია, 2, გვ. 293 — 294.)

8. **შანშიევი** — ივანე შანშიევი, ორბელიანის ერთერთი მოვალე.

9. **ილია** — ილია ორბელიანი, მესამე. უმცროსი ძმა გრიგოლ ორბელიანისა (1814 — 1853). სწავლობდა ტფილისის გიმნაზიაში. 1834 წელს შევიდა სამხედრო სამსახურში (ჩარიცხულ იქნა ქართულ გრენადერის პოლკში უნტერ-ოფიცრად). 1841 წელს გადაყვანილ იქნა ტფილისის ეგერის პოლკში და იმავე წელს დაინიშნა მე-19 (შემდეგ — მე-21) ქვეითი დივიზიის უფროსის, გენ.-ლეიტენანტის ფეზეს ადიუტანტად. 1845 წელს ებოძა კაპიტანის ხარის., 1849 წელს — პოლკოვნიკი; 1951 წელს დაინიშნა კონსტანტინე ნიკოლოზის-ძის გრენადერის პოლკის კომანდირად. 1852 წ. მიიღო გენერალ-მაიორის ხარისხი.

ილია ორბელიანი იბრძოდა დაღისტანსა და ჩეჩნეთში მთიელთა წინააღმდეგ. მონაწილეობა მიიღო მთელ რიგ ექსპედიციებში. 1842 წელს ტყვედ ჩაუვარდა დაღისტნის იმამ შამილს და გაბოიხსნა გენ. ადიუტანტმა მ. ზ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა. 1853 წელს, გენ. ლეიტ-ის ვ. ი. ბებუთოვის (ბებუთაშვილის) ხელქვეით, იბრძოდა ოსმალთა წინააღმდეგ ბაშკადიკლართან, სადაც სასიკვდილოდ დაიჭრა (ნოკბერი). დაკრძალულია ქაშვეთის ეკლესიაში.

ილია ორბელიანი დაქორწინებული იყო გიორგი მე-12-ის ძის, ილია ბატონიშვილის ასულ ბარბარეზე. (ბიოგრაფიული მასალები: Акты, т. X. გვ. XXVIII. А. Зиссерман: Двадцать пять лет на Кавказе, 1879. СПБ, მე-2-ე ტომი. Дрансе: Пленницы Шамиля. ტფ. 1858 გვ. 52—56; „Кавказ“, 1853. № 93, წერილი: Геройская кончина (უფრო ვრცლად: გაზ. Русский Инвалид. 1854, № 1, 3, 4. არსებობს ცალკე ამონაბეჭდი ი. ორბელიანის სურათით). А. Дюма: Кавказ. ტფ. 1861).

ვ. ვ. როზენი

კავკასიის მთავარმართებელი 1831—1837 წ.წ.

5

1. 1832 წლის შეთქმულების საქმის გამოძიების შემდეგ გრ. ორბელიანი განაწესეს „კავკასიის ხაზზე". აქედან ის 1833 წლის მიწურულს გაგზავნეს ნევის საზღვაო პოლკში, რომელსაც ვილნოში ჰქონდა სადგური-ბინა (ი. მეუნ.., 27-28). ამრიგად წერილი თარიღდება: ის დაწერილიq 1834 წლის 2 აპრილს.

ყაზანის სტანიცა — მდებ. დონის მხარეში.

2. სტავროპოლი — ყოფ. საგუბერნიო ქალაქი. აგებულ იქნა 1785 წ.

3. დონი — მდინ., ერთვის აზოვის ზღვას (სათავე — ყოფ. ტულის გუბერნიაში აქვს, ე. წ. „ივანოზერო"-დან გამოდის).

4. აქსაი — იგულისხმება სტანიცა აკსაი, მდებარეობს ყოფ. ნოვოჩერკასკის მაზრაში (დონის მხარე), დონისა და მისი ერთი შტოს — აკსაის შესართავთან (ეს შტო მდინარეს სცილდება ყოფ. მელეხოვის სტანიცასთან და 86 ვერსტის შემდეგ კვლავ უერთდება. შესართავთან მდებარეობს მისივე სახელწოდების სტანიცა).

5. ნინიკა — გრ. ორბელიანის მოსამსახურე ნინიკა ბაქრაძე (იხ. საქ. არქივის № 174. გვ. 2. გრ. ორბელიანის მინაწერი: „ასსამოცი თუმანი თეთრი ფული გაუგზავნე ივან მინაიჩ მიზოვეს ნინიკას ბაქრაძეს ხელითა", „...გაუგზავნე ასი თუმანი ჩემის ბიქის ნინიკას ხელით" და სხვა.). ნინიკა ბაქრაძე გრ. ორბელიანს 40 წლის განმავლობაში ემსახურებოდა (რუსეთსა, დაღისტანსა და ტფილისში).

6. ეფემია — გრ. ორბელიანის და, მეუღლე მელიტონ ბარათაშვილისა და დედა ნიკოლოზ ბარათაშვილისა. გარდ. 1849 წ.

7. ყაფლან — ყაფლან ასლანის-ძე ორბელიანი, ცნობილი მემამულე, გრ. ორბელიანის ახლო მეგობარი და ნათესავი. პოეტი ხშირად სწერდა მას ბარათებს... ყაფლან ორბელიანი გარდაიცვალა 1878 წელს (იხ. „წერილები"-ს ტომი მე-3.)

8. მელიტონ — მელიტონ ბარათაშვილი, სიძე გრ. ორბელიანისა (გარდ. 1860 წ.). როგორც ჩანს მელიტონ ბარათაშვილი ხშირად სწერდა გრ. ორბელიანს ბარათებს (საქ. არქივის № 171-ში დაცულია მელიტონის წერილები გრიგოლისადმი).

მელიტონ ბარათაშვილი ყოფილა მყვირალა და ანჩხლი. ჰყოლია 14 შვილი — 8 ქალი და 6 ვაჟი, მაგრამ ნიკოსა და ოთხი ქალის გარდა დახოცილან (ნ. ბარათაშვილი— ლექსები... ტფილისი 1922. გვ. 242).

9. ილიკო — ილია ორბელიანი.

10. ვენდენი — ქალაქი ლიფლიანდიაში. აგებულ იქნა მე-18 საუკუნეში. მდებარეობს ამაღლებულ ადგილას, მდ. აა-ს სანაპიროებიდან 3 ნახევარ ვერსტის დაშორებით.

11. ანნა — ანა ორბელიანი.

12. მანანა — მანანა ორბელიანი (იხ. 11_1).

13. მამიდა ელიხაბედ—ელისაბედ ორბელიანისა სამარაგდონ ორბელიანის მეუღლე(?).

14. ელენე — ელენე ორბელიანი. შეჰდეგში პოლკ. ზ. ერისთავის მეუღლე.

15. მაიკოები — ორბელიანები (გრიგოლ ორბელიანის ახლო ნათესავები, რომელთა შესახებ, დაწერილებით თვითეულზე, იხ. შემდ. წლების ბარათებსა და კომენტარიებში).

16. „დედა" — გაუგებარია ვის გულისხმობს გრ. ორბელიანი. გრიგოლის დედა, ხორეშან, გარდაიცვალა 1833 წლის გაზაფხულს და მაშასადამე ის ნაგულისხმევი ვერ იქნება. გ. ორბელიანი ამ სახელით ზოგჯერ მიმართავს თავის ნათესავებს, ხანში შესულ მანდილოსნებს. თუ ვის გულისხმობს ამ შემთხვევაში — ძნელი გამოსარკვევია.

17. გეუა — გეუა ოჰანაშვილი, გრ. ორბელიანის მოურავი (იხ. 40-ანი წლების ბარათები).

18. გრიგოლ, ზაქარია და ილია ორბელიანებს ჰყავდათ ბევრი მოსამსახურე. გრ. ორბელანის მოსამსახურეთა შორის ცნობილი არიან: ნინიკა, კაკალა და სოლომონ.

6

1. ზაქარია — ზაქარია ორბელიანი.

2. გრიგოლ ორბელიანს მხედველობაში აქვს გასული საუკუნის 30-ან წლებში გამოცემული ბიოგრაფიული შრომები (რუსულად), სხვადასხვა მთავარსარდლებისა, გენერლებისა, გენერალისიმუსებისა და ფელდმარშალების შესახებ. მაგ. ალექსანდრე მაკედონელისა, ნაპოლეონისა, პოტიომკინისა, სუვოროვისა, რუმიანცევისა და სხ. შეს.). ასეთ „ცხოვრებათა" ვრცელ სიას მკითხველი ნახავს სოპიკოვის, გენადისა და სხვ. ბიბლიოგრ. საძიებლებში (რუსულად.).

3. ვალტერ სკოტი — ცნობილი ინგლისელი პოეტი და რომანისტი, წარმოშობით შოტლანდიელი (1771 — 1832). მისი ისტორიული რომანები განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა დას. ევროპასა და რუსეთში. სკოტის ნაწერებიდან უმთავრესად აღსანიშნავია შემდეგი რომანები: „Waverley", „Guy Mannering", „The antiquary", „Woodstok" და მრ. სხვ. ქართულად თარგმნილია მისი „აივენგო" (იხ. ჟურ. „მოამბე", 1-94. VII—XII და 1895, I—III).

4. ყაფლან — ყაფლან ორბელიანი.

5. ტატიკო (იგივე ტატო) — ნიკოლოზ ბარათაშვილი (1816 — 1845). შინაურობაში ნ. ბარათაშვილს ტატოს ეძახდენ.

როგორც ჩანს, ნ. ბარათაშვილს ახალგაზრდობაშივე ჰქონია მიმოწერა თავის ბიძასთან. ნ. ბარათაშვილის ერთი წერილი 1831 წლისა, რუსულად ნაწერი, დაცულია საქ. არქ. №171-ში (დაიბეჭდა. ჟურ. „ლიტ. მემკვიდრეობაში", № 1. 1935.)

6. რამაზ — რამაზ ანდრონიკაშვილი.

7. ვალკა (Валк, Walka) — ყოფ. სამაზრო ქალაქი ყოფ. ლიფლანდიის გუბერნიაში, რიგიდან 135 ვერსტის დაშორებით. მდებარეობს მდ. პიოდელზე. აგებულ იქნა 1334 წ.

8. ეფემია — ეფემია ბარათაშვილი.

9. მელიტონ — მელიტონ ბარათაშვილი.

7

1. რიღა (რიგა) — ქალაქი ყ. ლიფლანდიის გუბ., მდებარეობს მდ. დვინზე.

2. ვილნო — ყ. საგუბერნიო ქალაქი (პოლონეთი).

3. აბელ მიმბაში — ? (მინ-ათასი, ბაში — თავი, მეთაური).

4. იგულისხმება კავკასიის ჯარების კორპუსი. ზაქარია ორბელიანი გადაყვანილ იქნა კავკ. გრენად. პოლკში, არტილერიაში (იხ. კომენტ. № 3).

5. ინვალიდები — იგულისხმება რუსული გაზეთი: „Русский Инвалид", რომელიც ხშირად ათავსებდა ცნობებს კავკასიის ჯარების კორპუსში ახალი პირების დანიშვნისა თუ ოფიცრების ახალ თანამდებობაზე გადაყვანის შესახებ — 30-ან, 40-ან და 50-ან წლებში. დაარსებულ იქნა 1813 წელს პ. პ. პაზარიციუსის მიერ.

6. ჯოხაძეები — ორბელიანების ყმები. როგორც ჩანს, ვალის დასაფარავად ორბელიანებს თავისი ყმების ნაწილი გაუყიდნიათ.

7. ასლან — ასლან ორბელიანი, ყაფლანის მამა. გრიგოლ ორბელიანის ბიძა (?).

8. იაკობ — იაკობ ორბელიანი, გრ. ორბელიანის ნათესავი.

9. სამარაგდონ — სამარაგდონ ორბელიანი, მემამულე (გრიგოლ ორბელიანი მოიკითხავს აგრეთვე „ძალუებს" ასლან, იაკობ და სამარაგდონ ორბელიანების მეუღლეებს).

10. ბარონ ვრანგელ — იგულისხმება ბარონი კარლ ეგორის ძე ვრანგელი. დაიბ.

1794 წ. 1828 წ. — პოლონეთის ულანის პოლკის კომანდირი. მიიღო აქტიური მონაწილეობა პოლონეთის 1831 წლის აჯანყების ჩაქრობაში. 1831 წელს — გენერალ-მაიორი. 1835 წელს — ლეიბ გვარდიის დრაგ. პოლკის კომანდირი. 1856 წ. ინფანტერიის გენერალი. გარდ. 1874 წ. ეპიტეტი „ხტარიკი ვრანგელი“ მას თუ შეეფერებოდა, რადგან პოლკოვნიკი კარლ კარლოსის ვრანგელი, რომელმაც ვარშავაზე მიიტანა იერიში 1831 წელს, ამ დროისათვის (1834) ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო (დაიბადა 1800 წ.).

8

1. გ. ორბელიანს ეს ბარათი გაეგზავნია იმერეთის დედოფალ მარიამისთვის. ამას ადასტურებს ერთი საგულისხმო დეტალი: გ. ორბელიანს თავის პეტერბურგისეულ დღიურში (საქ. არქ. № 171) აღნიშნული აქვს შემდეგი: „15-სა (1831 წლის ნოემბერში ა. გ.) ბ-ლს საათზე წირვის შემდეგ წაველ კვლავ დედოფალთან;... მამა იონა გავიცან აქვე“. ზემოთ გამოქვეყნებულ ბარათის ბოლოს კი გ. ორბელიანი მოიკითხავს სწორედ ამ „მამა იონას“.

2. „მამა იონა“. — გ. ორბელიანი, იქვს გარეშეა, გულისხმობს იონა ხელაშვილს, რომელიც დედოფალთან და ბატონიშვილებთან დაახლოებული პირი იყო. ეს იონა, საკმაოდ განსწავლული პიროვნება და მწიგნობარი, დახმარებას უწევდა პეტერბურგში მოსწავლე ახალგაზრდობას. „მამა იონა“ იგულისხმება ხოლომონ დოდაშვილის „ლოგიკის“ მე-VI გვერდზე, სქოლიოში: „N. B. Издатель сего сочинения приятным долгом поставляет известить благосклонных читателей что в издании сего сочинения принимал деятельное участие Его преподобие Грузинский Иеромонах Иона“. (Курс философии, Часть первая. Логика. Сочинение Соломона Допаева-Магарскаго. СПБ. 1827).

იონა ხელაშვილი აღზრდილი იყო მეფე ერეკლე მე-2-ის სამეფო კარზე. ბერად აღიკვეცა ქვაბთა ხევის მონასტერში. პეტერბურგს გაჰყვა გადასახლებულ ბატონიშვილებს. სწავლობდა პეტერბურგის სას. აკადემიაში.

იონა ხელაშვილის საშუალებით ს. დოდაშვილი დაუახლოვდა პეტერბურგში მცხოვრებ ბატონიშვილებს და მისივე დახმარებით მეცადინეობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში (იხ. ზ. ჭ. სოლომონ დოდაშვილი. ტფ. 1895. გვ. 10—13).

იონა ხელაშვილი გარდ. 1837 წელს. პტბრგში (იხ. კ. კეკელიძე: ქართ. ლიტ. ისტორია, 1, გვ. 431—440).

9

1. 1835 წელს ზაქარია ორბელიანმა შეირთო ანჩისხატის დეკანოზის, დიმიტრი მესხიშვილის ასული ქეთევან (იხ. 1835 წლის წერილები და კომენტ.). მოლაპარაკება ზაქარია ორბელიანსა და მომავალი მეუღლის ოჯახს შორის, ფულისა და მზითვის შესახებ, ადრე დაწყებულა. გ. ორბელიანი ურჩევს ძმას თუ როგორ მოიქცეს. ბარათში გამოთქმულია საკმაოდ სკეპტიკური შეხედულება ქალისა და სიყვარულის შესახებ. ეს გასაგებია: უფრო ადრე თვითონ გ. ორბელიანს გაუცრუედა იმედი ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულ ნინოსადმი („შემდეგ. გრიბოედოვის მეუღლე) სიყვარულში.

2-3. — H... — იგულისხმება ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული ნინო, პოეტ. ალ. გრიბოედოვის ქვრივი. 1835 წლის 12 მარტის თარიღით ზაქარია სწერდა გრიგოლს „...გეტყვი სწორედ, რომ H. დაამწარა ჩემი სიცოცხლე. — ბიჭო! არა გრცხვენიან? რაკი მატყუებდი შენ ჩემზე მეტად გაუარებია და ჩემ წინ მალაყებს რათ თამაშობდი, ახლა შენ დაგრჩა ბურთი და მოედანი!“ (საისტ. საეთნ. საზ-ის Q 155-ვ. იხ. შემდეგი წლის ბარათების კომენტარიები). როგორც ირკვევა, ზაქარია ორბელიანს ჰქონია სურვილი ნინო გრიბოედოვის შერთვისა („ზაქარიას ამ წერილს საპასუხო ბარათი იხ. 1835 წლის ბარათებში. წერილი 4 ივნისის თარიღით).

ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვისა დაიბ. 1812 წლის 4 ნოემბერს. გარდ. 1857 წ 1 აგვისტოს.

10

1. ანტონ — ანტონ იაგორის-ძე ორბელიანი, გრიგოლის ახლო მეგობარი. ამ ანტონს ეძღვნება პოეტის ლექსი: „ანტონს“ (ლექსის ადრესატის ვინაობა დღემდე უცნობი იყო).

ანტონ ორბელიანი 1833 თუ 1834 წელს ქართულ მე-14 გრენადერთა პოლკში გადასულა. ეს იქიდანა ჩანს, რომ გრიგოლი მისი „ახალი პოლკის“ (ანტონის ახალ სამსახურში გადასვლაა ნაგულისხმევი) კომანდირად ასახელებს ხამუტსკის, რომელიც ქართ. მე-14 გრენადერთა პოლკის კომანდირად ითვლებოდა 1832-34 წლებში. რომ წერილი სწორედ 1834 წელს არის დაწერილი, ჩანს შემდეგიდან: 1834 წლის დასაწყისამდე ის არ დაიწერებოდა, რადგან ბარათი დაწერილია პოლონეთში ჩასვლის შემდეგ (გრ. ორბელიანი კი 1833 წლის მიწურულს გაემგზავრა კავკასიიდან), ხოლო 1835 წელს ანტონი უკვე ახალ სამსახურში შესულად ჩანს. დ. ყორლანაშვილი სწერს გრიგოლს 1835 წლის 17 თებერვლის თარიღით: „ანტონ მინგრელიაშია“...(Q 155 ; ავრეთვე — ხამუტსკი პოლკის კომანდირად არ ითვლებოდა უკვე 1835 წლის მიწურულში (იხ. Боевая летопись 14-го Гренадерского Грузинского Генерала Котляревского Полка. ტფილისი, 1900. დამატების გვ. 19).

ანტონ ორბელიანი ცოცხალი ყოფილა ჯერ კიდევ 1837 წელს (იხ. დ. ყორლანოვის წერილი გრ. ორბელიანისადმი Q 155 (ი); 40-50 წლების ბარათებში გრ. ორბელიანი მას არ ასახელებს. როგორც ჩანს გარდაცვლილა 1838—40 წწ.

2. ყაფლან — ყაფლან ორბელიანი.

3. გრ. ორბელიანი რამდენიმე ყორლანაშვილს ასახელებს თავის წერილებში. აქ უნდა იგულისხმებოდეს პოეტის ახლო მეგობარი დავით ყორლანაშვილი, რომელიც გრიგოლს ხშირად სწერდა ბარათებს რუსეთსა და დაღისტანში (დაწვრ. იხილე ბარათი 17 და შენიშვნ.)

4. ეკატერინოგრადი — ყოფ. საგ. ქალაქი. მდებარეობს მდ. მალკისა და თერგის შესართავთან. აგებულ იქნა 1786 წ. (ყოფ. თერგის ოლქი).

5. ზაქარია მოურავი („ზაქარია მოურავისეული ხმალი“) — გრ. ორბელიანის პაპა დედით. გ. ორ-ი ასე ახასიათებს მას: „ზაქარია ანდრონიკაშვილი, ქიზიყის მოურავი, დიდი ვაჟკაცი; ლეკნი ამას ეძახდენ „მიწის მგელად“ (იხ. ლექსები. გამ. ქართ. წიგნი, 1928. გვ. 168). — ერეკლე მეორის დროის მოღვაწე.

6. ნეიდღარტი — იგულისხმება გენერალ-ადიუტანტი ალ. ივ. ნეიდგარდტი (1784—1844), შემდეგში — ინფანტერიის გენერალი და კავკასიის ჯარების კორპუსის სარდალი. 1842—1844 წლებში. სამხედრო სამსახურში შევიდა 1798 წ. იბრძოდა 1812—14 წლების ცნობილ ომში ნაპოლეონის წინააღმდეგ. 1831 წელს მონაწილეობას იღებდა პოლონეთის აჯანყების ჩაქრობაში. 1834 წელს დაინიშნა 1-ი ქვეითი კორპუსის კომანდირად (ეს დატა ეთანხმება ორბელიანის წერილში აღნიშნულ ფაქტს: ნეიდგარდტი მოხსენებულია კორპუსის კომანდირად, რაიც წერილს ათარიღებს). 1841 წელს — ინფანტერიის გენერალი. 1842—1844 წლებში მართავდა კავკასიას (მასალები: Акты, ტომი IX. წინასიტყვობა ად. ბერჟესი. იხ. აგრეთვე ტომი XI, რომელიც ახასიათებს მის მოღვაწეობას კავკასიაში; Юбилейный Сборник к столетию присоединения Грузии к России. ტფილისი, 1901. გაზ. „კავკ-ხის“ დამატება, გვ. 27—29).

7. ბახკევიჩი — ივ. ფედ. პასკევიჩი, გრაფი (1782 — 1856). სამხ. სამსახურში შევიდა 1800 წ. მონაწილეობას იღებდა ნაპოლეონის წინააღმდეგ წარმოებულ ომში 1812—14 წ. (მონაწილე იყო პარიზის აღებისა); 1826 წელს — ინფანტერიის გენერალი. იმავე წელს დაინიშნა კავკასიის ჯარების კორპუსის სარდლად (მის დანიშვნას მოჰყვა ცნობილი გენერალის, ა. პ. ერმოლოვის გადადგომა). დაამარცხა სპარსელები 1826—1828 წ. წ

ცნობილ ომებში. 1829 წელს — კავკასიის ჯარების მთავარსარდალი. იმავე წელს ებოძა ფელდმარშალის ორდენი და გრაფის ტიტული. 1831 წელს გაიწვიეს პოლონეთში აჯანყების ჩასაქრობად (დავალების შესრულებისათვის ებოძა ვარშავის ბრწყინვალე თავადის ტიტული). გრ. ორბელიანი მონაწილეობას იღებდა პოლონეთში მიმდინარე სამხედრო ოპერაციაში და ამიტომ ბუნებრივია პასკევიჩის დასახელება. ჯარს სინჯავდა თვითონ ფელდმარშალი (ბიოგრაფიული ლიტერატურა პასკევიჩის შესახებ ძალზე დიდია. არსებობს ვრცელი ბიოგრაფიული ნაშრომი, შჩერბატოვის მიერ შედგენილი (მოსკოვი, 1889—1891); იხ. აგრეთვე Акты, ტომი მე-7). სამხედრო ისტორიკოსების აზრით, პასკევიჩი არ იყო დაჯილდოვებული ბუნებრივი სამხეკრო ნიჭით

8. ხამუტხეი — ქართ. მე-14 გრენად პოლკის კომანდირი 1832—1834 წ. წ.

9. ზაქარია — ზაქარია ორბელიანი.

10. ხარანდოვი — ივანე პავლეს-ძე სარანდოვი. ქართ. მე-4 გრენად. პოლკის ოფიცერი (იხ. Боев. летоп., დამატება, გვ. 19 და 24). 1846 წელს მიიღო პოლკოვნიკის ხარისხი.

11. ნ. ივ. ჩუბინხეი — იმავე პოლკის ოფიცერი (იქვე, გვ. 16).

12, 13, 14. — (ფედორი და დიმიტრი, ნიკოლოზ ანტონოსძე, პავლე ანდრიას-ძე).

უნდა იგულისხმებოდეს ანტონ ორბელიანის მეგობარი ოფიცრები მე-14 ქართ. გრენად. პოლკში (გრ. ორბელიანი ზემოთ მოიკითხავს სწორედ ამ პოლკის ოფიცრებს). მათი გვარის ზედმიწევნით გამორკვევა ძნელია, რადგან ორბელიანი ზოგიერთის მარტო სახელს ასახელებს. ზოგიერთი თუმცა მამის სახელითაც არის მოხსენებული, მაგრამ ეს კიდევ არ კმარა მათი ვინაობის გამოსარკვევად. აღნიშნული პოლკის ოფიცრების სახელსა (და მამის სახელს) ხშირად რამდენიმე, მსგავსი, შემცველი სახელები მოეპოვება სიაში (იხ. დამატება წიგნის Боевая летопись..)

11

1. მანანა — მანანა მირმანოზის ასული ერისთავ-ორბელიანისა (1808—1870).

მანანა ორბელიანის სალონში თავს იყრიდენ არისტოკრატიული წოდების წარმოშადგენელნი (იხ. გრ. ორბელიანის წერილი მანანასადმი 1846 წ. 18 თებ. თარიღით). დაახლოებული იყო კავკასიის მთავარმართებელ მ. ს. ვორონცოვთან (1844—1854 წლები). მანანა ლამაზი ქალი ყოფილა. (Зиссерман: 25 лет.. იხ. აგრეთვე ჩვენი წერილი: „ალექსანდრ ოთხელიანი", მნათობი, № 6-7, 1933).

2. გრ. ორბელიანი 1833 წლის მიწურულს გაემგზავრა „კავკასიის ხაზიდან" ნევის საზღვაო პოლკში. ის ერთი წლის შემდეგ სწერს მანანას. მაშასადამე ბარათი დაწერილია 1834 წლის მიწურულს..

3. მირზაჯანა — მირზაჯან მადათაშვილი, გ. ორბელიანის მეგობარი, მოქეიფე და ლხინის მოყვარული მოქალაქე. მეორე, ასეთივე მოქეიფე დავით ყორლანაშვილი სწერს გრიგოლს: „შენ მოგიწერია რომ საზანდარს ქორწილში ჩარგა დავაკვირვებინო და შენ მოგიგონო, როგორ არ იცი რომ ყოველს ჟამს ჩემის ფიქრიდამ განუშორებელი და დაუვიწყარი ხარ, არამც თუ საზანდართან და მათ სიმღერასთან, ღვდლების გალობაშიაც შენ მაგონდები. მაგრამ ამალამ ერთს კარგს ალაგსა ვართ და მე და მირზაჯანა შენის გულისათვის სულ ჩარგას ეაკვირვებინებთ გათენებამდინ;.. მე და მირზაჯანა ყოველთვის ერთათ ვართ, ყოველდღე გიგონებს, გაქებს და შენი დიდი სიყვარული აქვს რომ ლაზათიანი კაცი ხარ" (სისტ. საეთნ. 155 ბ. 1834 წლ.).

ამ მირზაჯანასადმი მიძღვნილი პოეტის საოხუნჯო ლექსი „მირზაჯანის ეპიტაფია (იხ. გ. ორბ., ლექსები, 1928. „ქართ. წიგნი"-ს გამ. გვ. 14. შენიშვნა გვ. 174—175)

4. მარია ივანოვნა — მარიამ ივანეს ასული ორბელიანისა. დიმიტრი ორბ.-ის მეუღლე. გარდ. 1866 წ.-ს.

5. უნდა იგულისხმებოდეს მანანას ასული ანახტახია (იგივე ტასო), რომელიც შემდეგ მითხოვდა ალ. ივ. გაგარინს (გაგარინი 1856 წელს დანიშნეს ქუთაისის გენერალ-

ვუბერნატორად, რომელიც მეორე წელს (1857) მოჰკლა სვანეთის მთავარმა მურზაყან-დადეშქელიანმა.

ბარათი შავად დაწერილ ავტოგრაფს წარმოადგენს. 1834 წლის დღემდე ცნობილ-ბარათებს შორის (გრ. ორბელიანის ცხოვრების ქრონოლოგიის მიხედვით) ის ყველაზე-გვიან არის დაწერილი.

1 8 3 5

12

1. გრ. ორბელიანს ამ წერილის გადათეთრებული პირიც იმერეთის დედოფალ-მარიამისათვის გაუგზავნია. როგორც წინა ბარათებიდანაც ჩანს, გრიგოლ ორბელიანი-თვისი ოჯახისა და კერძოდ ზაქარიას ამბავს ხშირად სწერდა საკუთრივ იმერეთის-დედოფალს.

ბარათი შავად არის ნაწერი. ორბელიანს ის ალაგ-ალაგ შეუსწორებია, ზოგი ფრაზა წაშლილია (ჩვენ ასეთი ფრაზები დაბეჭდილ ტექსტში ფრჩხილებში მოვაქციეთ). ის წაშლილი სტრიქონები, რომელიც ავტორს ახლით შეუცვლია, ჩვენ ტექსტის ვარიანტებში არ შეგვიტანია და არც შენიშვნებში მოგვყავს.

13

1. სალომე — სალომე ივანეს ასული ორბელიანი-ჭავჭავაძისა, პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლე, ლუარსაბ ორბელიანის და (Акты, ტ. VIII).

გრ. ორბელიანის საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ სალომე ხშირად სწერდა-ბარათებს გრ. ორბელიანს.

2. სალომე ჭავჭავაძეს ჰყავდა სამი ასული: ნინო (გრიბოედოვისა), ეკატერინე (შემდეგში სამეგრელოს დედოფალი) და სოფიო (ბარონესა ნიკოლაი) და ერთი ვაჟი — დავით. გ. ორბელიანი გულისხმობს სოფიოს, რომელიც 1834 წელს დაიბადა.

3. იგულისხმება ლექსი: „სალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ", რომელიც გ. ორბელიანს ვილნოში დაუწერია 1834 წელს, ხოლო სალომესთვის გაუგზავნია 1835 წ. (იხ. ლექსები. 1928. გვ. 30—31); ბეჟანა მკერვალი — ტფილისელი სომეხი.

4. სოფიკო — სოფიო ჭავჭავაძე, შემდეგში სენატორ, ბარონ ა. პ. ნიკოლაიხ მეუღლე (Словарь Кавказских деятелей, ტფ. 1890. გვ. 77)

5. სოფიკო — იგულისხმება სოფიო ორბელიანი, გრიგოლის საცოლე, რომელიც-შემდეგ გაჰყვა კაკვ. მთავარსამართველოს საბჭოს წევრს ნიკ. პავლეს-ძე ბეზაკს. ამ სოფიოს შესახებ სწერს მანანა ორბელიანი 1835 წელს გრიგოლს: „სასიამოვნო შენი სოფიკო აქ არის და ვნახე; კიდეც დაველაპარაკეთ მე და ეკატირინე შენზედ. ის უარს არ ამბობს. კიდეც შეეირთამო, ოღონდ ენახოო. აბა სადახარ ჩემო სიცოცხლე, რომ ერთ საათს ჯვარს გადაგწერდით და იქნებოდი ბედნიერი? — აბა ეხლა, ჩემო კურკავ ეცადე რომ მოხვიდე მალე, თორემ რვა თვეზედ წამოვლენ პეტერბურგში და დარჩები ცალიერი"... (Q 155 b).

6. ნინო — ჭავჭავაძე-გრიბოედოვისა.

7. კატინა — ეკატერინე ჭავჭავაძე, შემდეგში — სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის მეუღლე (1816—1882). ქმრის გარდაცვალების შემდეგ (1853) ის დაინიშნა სამეგრელოს გამგებლად (მართავდა 1857 წ-დე).

ეკატერინე დადიანი ლამაზი ქალი იყო. გრ. ორბელიანს სიკვდილამდე არ შეუწყვეტია მასთან მიმოწერა. მასვე უძღვნა თავისი ცნობილი ლექსი: „წინანდლის ვარდო.“

ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა დაკრძ. მარტვილის ჭონასტერში (დაწვრ. იხ. ბოროზდინი: სამეგრელო. სახელგამი. 1934.).

8. დავით — დავით ჭავჭავაძე, ალექსანდრე და სალომე ჭავჭავაძეების ძე. ცოლად ჰყავდა ილია ბატონიშვილის ასული ანა, ილია ორბელიანის ცოლის ბარბარეს და.

დ. ჭავჭავაძემ სამხ. სამსახური დაიწყო 1834 წ. 1847 წ.—კაპიტანი, 1854 წ. პოლკოვნიკი. 1861 წ. გენ.-მაიორის ხარისხი მიიღო. 1881 წ. გენ.-ლეიტენანტი. დაიბ. 1818 წ. გარდ. 1884 წ. 18 ნოემბერს (იხ. Русский биогр. словарь გვ. 12—13).

9. „ქნიაზი“ — იგულისხმება ალექსანდრე გარსევანის-ძე ჭავჭავაძე, სალომეს მეუღლე. ცნობილი ქართველი პოეტი (1787 — 1846).

წერილი შავად არის ნაწერი. ავტორის მიერ შესწორებული ფრაზები აქ არ მოგვყავს.

14

1. წერილის ადრესატის ვინაობის გამოსარკვევად საჭიროა შემდეგი ფაქტების დადგენა:

1. გრ. ორბელიანი ნინო გრიბოედოვს არ გულისხმობს, რადგან პოეტი ბარათის მიმღებს სწერს, რომ „პანსიონში მიგიცია შენი შვილიო“, ნინო გრიბოედოვს კი შვილი არ ჰყავდა (1829 წელს მას მკვდარი ბავშვი ეყოლა); 2. გრ. ორბელიანი სწერს კეკელას (ეკატერინე ჭავჭავაძეს) 10 ივნისის თარიღით: „ძალიან მიხარია, რომ გაიცანით ჩემი დედიდაშვილი ნინო“. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ ამ თავის „დედიდაშვილს“ სწერს ბარათს გრ. ორბელიანი, და აი რატომ: გრ. ორბელიანის დედა. ხორეშანი, ზაქარია ანდრონიკაშვილის ასული იყო, ხოლო წერილში ჩვენ გვხვდება ნიშნება იმის შესახებ, რომ ორბელიანის „უსაყვარლესი და ნინა“ ანდრონიკაშვილის ასული და ერისთავის (?) მეუღლე უდა ყოფილიყო. მაგ. ის ოხუნჯობით პიპოლ. ერისთავის ადრესატს: „ნახავ რაც შეიქნება შენი შვილი; მაგრამ თუ კი მიეხედავთ გვაროვნობას, მგონია კი რომ არ უნდა გამოვიდეს ფილოსოფოსი; ამიტომ, რომ ვინ ყოფილა ესრეთი ერისთავიანთში და ანუ ანდრონიკიანთში. — არ გაჯავრდე. გეხუმრები“. მაშასადამე „დედიდაშვილი ნინა“, — და „უსაყვარლესი... და ნინა“ ერთი და იგივე პირი — ნინო ანდრონიკაშვილი — უნდა იყოს. თუ რომელი ერისთავის ცოლი იყო იგი — გამოურკვეველია.

2. ივანე — ივანე ორბელიანი.

3. დავით — დავით ორბელიანი.

4. „დიდთავა ლეკი“ — ?

15

1. ზაქარია ორბელიანი 1835 წლის 12 მარტის თარიღით სწერს გრიგოლს: „ჩემმა ცოლმა გაკოცა. — ჩემი ღენერალი და ბატონის რძალი იყუნენ მამათ და დედათ. — ანჩხატის ეკლესიაში დავიწერე ჯუარი. — ჯერ არ გამომიყვანია შინ ჩემი ცოლი, ძალიან კარგი ტანადი და გრძნობიანი ქალი არის; მაგრამ თუალათაც მარილიანი არის“ (საისტ. საეთნ. მუზეუმის კოლექცია: Q 155 ბ). მეორე წერილშიც (რომელიც გრიგოლს 1835 წლის 10 მაისს მიუღია) ზაქარია შემდეგს სწერს თავის ძმას: „ეგონენ

უწინდელის ჩემის წიგნებისაგან იცოდე, რომ მე ცოლიანი შევიქენი, ათს თებერვალს დავიწერე ჯვარი ანჩხათის დეკანოზის ქალზე, ქეთევანზე, რომელიც არის, დამცინაო, ხუთასი თუმანი თეთრად აქუს სხუა და სხუა აფურჩუფურს გარდა, თუმცა დამცინიან, რომ აზნაურის ქალი შეირთეო; მარამა მე არა ეჯსწუხვარ, ძალიან კარგი ვაცნი არიან". (იქვე.)

როგორც თავის ალაგას გვქონდა აღნიშნული, ზაქარია ორბელიანმა ითხოვა ანჩისხატის დეკანოზის, დიმიტრი მესხიშვილის, ასული ქეთევან (1812—1895).

2. იასე — იასე ანდრონიკაშვილი (ზაქარია სწერს გრიგოლს: „იასე ანდრონიკოვი აქ იყო და მევაპრებოდა ჯოხაძეებზედ, მაგრამ ვერ მოვრიგდით. ის მაძლევდა 4. 300 руб. серебр. и прочи 50 0 .." და სხვ. (იქვე).

3. მელიტონ — მელიტონ ბარათაშვილი.

4. ეფემია — ეფემია ბარათაშვილი.

5. ბარონ როზინი — გ. ვ. როზენი, კავკასიის მთავარმართებელი.

6. ნიკოლაი ოსიბეიჩ — ნიკო იოსების-ძე ფალავანდიშვილი, ტფილისის გუბერნატორი (როზენის შემდეგ გრ. ორბელიანი ასახელებს „ნიკოლაი იოსეფიჩს", როგორც გავლენიან პირს. 1835 წელს ასეთი პირი იყო — ნიკო იოსების-ძე ფალავანდიშვილი. (შდრ. ბარათი № 26, შენიშვნა № 26-9); გარდ. 1855 წ. 24 მარტს.

7. მუხრან-ბატონი — ივანე მუხრან-ბატონი (იხ. წერილი 1836 წლის 28 ნოემბრის თარიღით და შენიშვნა).

8. მიტავი — მიტავა. ყოფ. საგ. ქალაქი კურლანდიაში. მდებარ. მდ. აა-ს პირად

9. „დედა" (?) — უნდა იგულისხმებოდეს გრ. ორბელიანის ახლო ნათესავი-ქალი (იხ. სათანადო შენიშვნა ზევით).

10. „პატარა ბიჭი" — იგულისხმება გრ. ორბ-ის მოსამსახურე — ნინიკა ბაქრაძე.

16

1. იგულისხმება ნევის საზღვაო პოლკი, სადაც გრ. ორბელიანი მსახურობდა.

17

1. დავით ყორღანაშვილი — ქართ. გრენად. პოლკის ოფიცერი, გრ. ორბელიანი:ან დაახლოებული პირი, რომელიც ხშირად სწერდა მას ბარათებს საქართველოდან. საქ. არქივის № 171 და საქ. მუზეუმის საისტ. საეთნ. № 155-ბ კოლექციებში დაცული: ამ ყორღანაშვილის ბარათები გრიგოლისადმი. 1834 წელს დ. ყორღანაშვილი „კარაბინერის პოლკში" გადასულა (იხ. საისტ. საეთნ. 155-ბ. წერილი 1834 წ. 25 იელისის თარიღით); იბრძოდა დაღისტანს. გარდ. 1848 წ. (იხ. ორბელიანის წერილი 1848 წლის 18 ოქტ. თარ.,)

რომ გრ. ორბელიანი სწორედ დავით ყარღანაშვილს სწერს ბარათს, ეს იმ ფაქტითაც მტკიცდება, რომ მოიკითხავს მირზაჯანას და გერასიმეს, რომელთა შესახებაც დავით ყორღანაშვილი აწვდიდა ცნობებს გრიგოლს. ერთერთ წერილში ყორღანაშვილი სწერს მას: „გერასიმა დაღისტანშია". ორბელიანიც თავის წერილში ეკითხება დავით ყორღ-ს: „...გერასიმას ამბავს რათ არ მწერ, დაღისტნიდამ ხომ არ დაბრუნებულა ჯერა?"!.. (იხ. ტექსტი).

გრ. ორბელიანი განსაკუთრებით აფასებდა თავის მეგობარს და მის „წიგნებს". ეს ჩანს იმ ლექსიდან, რომელიც გრიგოლს ტულაში დაუწერია 1831 წელს და ეძღვნება დ. ყორ<ღანაშვილ>ს:

შენი წიგნი ასე მატკბობს, მახარებს,
ვით ყიზილბაშს ყალიონი და ჰალვა!

ვამბობ! ნეტა ბედი როდის მაღირსებს
რომ შენს გრიგოლს, ჩემი დავით ეხილვა!

ტულით
სეკდებრის 26 დღესა,
1831 წელსა.

(იხ. პაელე ინგოროყვა: გრიგოლ ორბელიანის ახლად აღმოჩენილი ნაწერები. ეურ. „ქართული მწერლობა", 1928 წ. № 6-7. გვ. 261).

2. ივგორ სტეფანიჩ — იაგორ სტეფანეს-ძე ყორლანაშვილი. ვორონცოვის მართებლობისას მსახურობდა კავკასიის ჯარების გენერალურ შტაბში (შტაბის კაპიტანის ხარისხით) და მართავდა საინჟენერო განყოფილებას (იხ. Кавк. Календарь на 184 год, ტფ 845. გვ. 197).

3. გერახმა — გერ. ყორლანაშვილი. ოფიცერი. მსახურობდა დალისტანში.

4. შაშინკა. — როგორც წერილიდან ირკვევა „შაშინკა" დ. ყორლანაშვილის უმცროსი ძმა ყოფილა, რომელსაც ცოლი უთხოვია („შაშინკას და მის ცოლს, ჩემს რძალს სიყვარულით ჩაეპროშტავ... ეჰ, დავით!... ჩვენი უმცროსი ძმები დაქორწინდენ და ჩუენ კი რიყეზე დავრჩით". მართლაც: გრ. ორბელიანის უმცროსმა ძმამ, ზაქარიამ (1835 წელს შეირთო ცოლი).

5. ხოლომონ ეკიმოვი (აკიმოვი) — ოფიცერი. დ. ყორლანაშვილის ამხანაგი პოლკში.

შენიშ. — წერილი შავად არის ნაწერი. მეორე ფურცელი, რომელიც იწყება სტუეებით: „ეს ორი თვე არის..." ცალკეა მოთავსებული. პირველი ფურცლის თავისუფალ ადგილზე დარჩენილა შემდეგი წარწერა: „Эго Сиятельству милостивому государю Невского Морского полка, Гражд[а]нину Поручику Князю и Кавалеру Ольберциану (sic) в М. Биржи. წერილის ნახეეს, მი'ამართთან ერთად, ლუკის ბეეედიც შერჩენია.

როგორ ავხსნათ ტექსტის ასეთი ისტორია? ბარათის ნახეევარი, შავად ნაწერი, ატარებს მისი ავტორის მისამართს: ორბელიანი ხომ თავის თავს არ გაუგზავნიდა წერილს შავს? ესეც არ იყოს: გადაუკეცავთ წერილის ნახევარი და არა მთლიანად ბარათის ორივე ფურცელი.

როგორც ჩანს, გრ. ორბელიანის ბარათებს ხშირად ჩხრეკდენ და სინჯავდენ პოლკში. ამის შესახებ თვითონ გრ. ორბელიანი სწერს დ. ყორლანაშვილს: „ომედი მაჭუს, რომ შენს წიგნებს აღარ გასჩხრეკენ უწინდელსავით". მაგრამ თვითონ გრიგოლ ორბელიანის წერილი დავითისადმი მათ „გაუჩხრეკავთ" და ავტორისათვის დაუბრუნებიათ, დალუქული და დამწერის მისამართით (ალბათ გრ. ორბელიანის პოლკმა ადგილი მოიცალა, ხოლო შტაბი იქვე დარჩა). სხვაგვარი ახსნა ტექსტის ამ თავისებურებისა შეუძლებელია.

გრ. ორბელიანის ეს წერილი წარმოადგენს ყორლანაშვილის ბარათის პასუხს. ყორლანაშვილისაგან კი მას ბარათი „აღდგომა დღეს" (ე. ი. აპრილში) მიუღია. გრ. ორბელიანი უთუოდ იმაეე დღეებში დასწერდა ზემოთ გამოქვეყნებულ წერილს.

18

1. ელისაბედ — ელისაბედ ორბელიანისა.

2. ხელმწიფე — ნიკოლოზ I.

3. „მაიორი ბარათოვი" — მელიტონ ბარათაშვილი.

4. მურთუზალიშვილი. როგორც წერილიდან ჩანს, ეინმე მურთუზალიშვილი მელიტონ ბარათაშვილის ნაცნობი უნდა ყოფილიყო სამხედრო სამსახურში. მელიტონს ზასთან ჩხუბი მოსელია.

5. კატუა — ეკატერინე ჭავჭავაძე, ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული. სალომე — ალექსანდრე ჭავ-ძის მეუღლე;

გ. ორბელიანს მხედველობაში აქვს სამეგრელოს მთავრის, დავით დადიანის მეორე ეკატერინეს დანიშვნა. დავით დადიანმა იმავე წელს შეირთო ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული.

6. ძალუა — ქეთევან ორბელიანი, გრიგოლის რძალი და ზაქ. ორბ-ის მეუღლე.

გრ. ორბელიანი „ძალუებს" უწოდებდა აგრეთვე მანანა და ელისაბედ ორბელიანებს- „ბიძიებს" კი—ალექსანდრე და დავით ორბელიანებს.

შენიშვნა: გ. ორბელიანი თავის ბარათის დასაწყისში სწერს ზაქარიას: „შენი წერილი მარტის 12-ისა მივიღეო". ზაქარია ორბელიანის წერილი გრიგოლისადმი, 1835 წლის 12 მარტის თარიღით, დაცულია საისტ. საეთნ. საზ—ის Q155—a -ში. ადგილები ამ წერილიდან ჩვენ მოვიყვანეთ ზემოთ (იხ. 11 აპრილის წერილის კომენტარიები).

გ. ორბელიანის ეს წერილიც შავად არის ნაწერი. ზოგან ხელი გაურკვეველია. ავტორის მიერ წაშლილი სტრიქონები და ცალკე სიტყვები არ მოგვყავს.

19

1 გრ. ორბელიანის ამ ბარათის შავი წარმოადგენს სამი პირისადმი, სალომე ჭავჭავაძისა და მისი ორი ასულისადმი, მიწერილ ერთ მთლიან ბარათს. დედანში წერილები ერთმანეთს მისდევენ და ჩვენც არ გამოგვიყვია ისინი ცალ-ცალკე

ბარათი მელნით არის ნაწერი, ფოჩხილებში ჩასმული სტრიქონები კი ფანქრით. გაუშიფრავი ადგილები ცალიერი ფრჩხილებით არის აღნიშნული.

2. იგულისხმება ზაქარია ორბელიანი.

3. ნინო - ნინო გრიბოედოვისა.

4. დაუჯდომელი. — აკაფისტი. ლოცვათა კრებული.

5—6 დარეჯანა და თალალა — მოსამსახურეები ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახში (დარეჯანას იხსენიებს პოეტი ალ. გრიბოედოვი თავის წერილში ნინო ჭავჭავაძისადმი იხ. Полное собрание сочинений А. С. Грибоедова. ნ. პიკსანოვის რედ. პეტერბ. 1917. ტ. III. გვ. 245; შენიშვნ. გვ. 362)

7. კალიჩი—ყოფ. საგუბერნიო და სამაზრო ქალაქი (პოლონეთი). მდებარეობს მდ. პრესნაზე.

8. იგულისხმება შემდეგი ისტორიული ფაქტი: პოლონეთის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, 1833 წელს, რუსეთსა, ავსტრიასა და პრუსიას შორის მოხდა შეთანხმება, რომლის მიხედვით, ეს სახელმწიფოები ვალდებულნი იყვნენ ურთიერთს დახმარებოდენ პოლიტიკური კრიზისების დროს. ნიკოლოზ I-ის (გარდ. 1855 წ. 18 თებ.) მიზანი იყო ანტისამხედრო იმპერიალისტურ და ლიბერალურ მოძრაობათა აღკვეთა თავის კოლონიებში. პოლონეთის ახლო მდებარე ქვეყნებს კი შეეძლოთ დახმარება აღმოეჩინათ ამ მხრით იმპერატორისათვის. გრ. ორბელიანს მხედველობაში აქვს სწორედ ეს მოლაპარაკება. (P. Lacroix: Histoire de la vie et du régni de Nikolas I. პარიზი, 1864—75).

9. ბაგრატიონ-იმერეთინსკი — დიმიტრი გიორგის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკის (1800—1845). სამხედრო სამსახურში შევიდა 1811 წ. 1829 წელს მისცეს პოლკოვნიკის ხარისხი (მონ წილეობა მიიღო 1828—1829 წლების ომში ოსმალთა წინააღმდეგ). 1830 წელს დ ევალა პოლონეთში პოლკების რეზერვების ფორმირება. 1835 წ.—გენ.-მაიორი (იხ. Русский биогр. словарь, 1900. ტ. II. გვ. 400—401; Руский Инвалид, 1845 № 86)

10. ლენერალ-ლეიტენანტი ბარონ როზენი—იგულისხმება გენ.-ლეიტენანტი ბარონ რომან ფეოდორის-ძე როზენი (1782—1848). 1830 წელს დაინიშნა მე-21 ქვ. დივიზიის უფროსად კავკასიაში. არ უნდა აურიოთ მთავარმართებელ გ. როზენში (იხ. წერილი ტექსტიც).

ნინო ფავფაგაძე-ზრიზოედოვიხა

11. „ქნაზი“— ალექსანდრე ჭავჭავაძე.

12. თეკლე ბატონიშვილი— მეფე ერეკლეს ასული, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანების დედა (1776—1846). 1832 წ. შეთქმულების მონაწილე. გადასახლებული იყო რუსეთში, მაგრამ მოხუცებულობის გამო საქ-ში დაბრუნეს 1835 წ.

13. ერეხთავი—გიორგი იესე-ძე ერისთავი, ენფანტერიის გენერალი (1759—1864) მიღებული ჰქონდა ანდრიას პირველწოდებულის ორდენი. იბრძოდა პ.სკვიჩთან ერთად სპარსელების წინააღმდეგ 1827 წელს და დაჯილდოებულ იქნა ქ. თავრიზი. 1835 —სენატორი გარდ. ლრმად მოხუცი (იხ. Акты, VII—VIII; Путеводитель по кавказ. военно-истор. музею. 1913. გვ. 13).

14. „ოქვენი ქნაზი“— ალ. ჭავჭავაძე.

15. მამა ოინა—ოინა ხელაშვილი (იხ. ბარათი № 8 და შენიშვნები).

16. გრ. ორბელიანს ეხებველობაში ყავს თავისი და ეფემია, რომლისათვის მას გაუგზავნია ცნობილი ლექსი „ჩემს დას ეფემიას“. ამ ლექსში აღწერილია პოეტის „საპყრობილეში ყოფნა“ (იხ. ლექსები, 1928. გვ. 34—37.) „ჩემს დას ეფემიას“ დაწერილია 1834 წელს რიგაში. მ.შასადამე, წერილიც 1834 წელს უნდა იყოს დაწერილი. მაგრამ ეს ასე არაა. გრ. ორბელიანი ნიმდევნო წერილში ნინო გრიბოედოვს მადლობას უხდის „ზაქარიას ღაქორწინების მილოცვისათვის“, ზაქარია ორბელიანმა კი ქეთევან ნესხიშვილი შეირთო 1835 წლის თებერვალში. აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს დასკვნა: ორბელიანს ლექსი დაუწერია 1834 წლის მიწურულს, ხოლო სალამესათვის 1835 წელს გაუგზავნია.

17. ნინა—ნინო გრიბოედოვი... გრ. ორბელიანსა და ნინო გრიბოედოვს შორის ყოფილა მიწერმოწერა. ამ მიმოწერა ჩვენამდე არ მოღწეულა. დარჩენილი მხოლოდ ერთი წერილი ნინო გრიბოედოვისა გრიგოლისადმი, რომელიც მანანას წერილის მინაწერს წარმოადგენს და რომელსაც ზაქარიას შენიშვნაც აქვს დართული. აი ეს წერილიც:

„საყვარელო ძმაო გრიგოლ! ამ ციმბირიდან მეც მანანასთანა ვარ, დიახ ხშირათ გიგონებთ ს იამოვნებით. შენი განათლებული ძმისაგან ილაჯი არა გვაქვს, ხან დაგვიტკბება ხნ გვეჩხუბება. როდის იქნება შენ მოხვიდე სუყველანი ყაფლანთან. შენთან (sic) ესა ერთი თვე არის რაც ბებიაჩემი და მე აქა ვართ. დედა კატინათი და სოფიოთი წინანდალს არიან. ახ რა უგემურად ვატარებდთ დროს. ალარ არის სიცოცხლე. ამ ორიოდ დღეში ისევ წავალთ ჩვენ დედათ მონასტერში. რამდენჯერ მოგიგონებ ხოლმე ჩვენ [. . . . .] წასვლას, დაბრუნებას, შენ ძახილს მოვდივართ! შენ კი არავიცი გაბსოვარ თუ არა, ნშვიდობით ხაყვარელო ძმაო, გთხოვ შენის ლამაზის ლაპარაკით ხშირად გვასიამოვნო ხოლმე, რომელიც ყველაზ სასიამოვნოთ გვაქვს შენის წიგნის მოსელა მაგრამ ის უფრო უმჯობესი იქნება, რომ პირისპირ მალე გვეღირსოს შენი ნახვა

შენი ყოველივე ბედნიერების მოსურნე
ნინა ღრიბოედოვა.

(ლურჯი მელნით მინაწერი):

ეხლა მომიყიდა ეს წიგნი შტაბში შენთან გამოსაგზავნად შე კურკავ, მაშ რა არის თუ არ უყვარხარ და არ გიყვარს?—კარგი! ეხლა მივდივარ სასაუბროდ იმათთან.—

შენი ზაქარია ორბელიანი.
29 ივლის 1835
თბილისი. (საისტ. საეთნ. Q155)

მანანასა და ნ. გრიბოედოვის წერილი გრიგოლს მიწერილია 3 ოქტომბერს,

კურკახ ეძახდენ გრ. ორბელიანს, რომელიც დაბალი ტანისა ყოფილა.

18. გრიბოედოვი—ალ. სერ. გრიბოედოვი, რუსეთის ცნობილი მწერალი, ავტორი პიესისა: „ვაი ჭკუისაგან" (1795—1829). ნინო ჭავჭავაძის მეულლე.

19. მ.ნანა ორბელიანი თავის წერილებში სთხოვს გრიგოლ „წიგნი მოუარგმნეო" იგულისხმება პუშკინის პოემა „Руслан и Людмила", რომლის თარგმნაც მანანა ორბელიანმა დაავალა გრიგოლს.

20. გრ. ორბელიანი გულისხმობს ნინო გრიბოედოვის მცირეწლოვან დას—ხოფიოს (შემდეგში—ბარონესა ნიკოლაი).

21. როგორც ჩანს, გრ. ორბელიანი ამ ზედმეტ სახელს („კეკელა") უწოდებდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულს, ეკატერინეს (იხ. ბარათი სალომე ჭავჭ ვაძისადმი 23 მარტის თარიღით „...ეკატერინა, ანუ კატინა, არა კეკელა, არის მართლად შესაბრალისი, რომ კიდევ დარჩება დედამამის უსიყვარულოდ". ეკატერინე ჭავჭავაძე (დადიანს) ეძღვნება ლექსი „წინანდლის ვარდო", რომლის სამი ტაეპიც წერილის ეპიგრაფად მოყავს გრიგოლ ორბელიანს (მთლიანად ლექსი ბარათის ბოლოს ხელმეორედ არის მოყვანილი, იხ. ლექსები. 1928. „ქართ. წიგნის" გამოცემა).

22. ხოფიკო— სოფიო ორბელიანი-ბეზაკისა

23. „დედიდაშვილი ნინო" — (იხ. წერილი 11-აპრილის თარიღით და სათანადო შენიშვნა).

24. „გიჟი ბაიორი"—იგულისხმება ნევის საზღვაო პოლკის ერთერთი ოფიცერი.

25 და 26. (გრაფი კუტაისოვი და ნეუდანოვი) — გრ. ორბ-ის ნაცნობი ოფიცრები პოლკში.

შენიშვნა: სალომესადმი მიმართულ ბარათს თარიღად უზის 25 ივლისი. ხოლო მიმდევნო ბარათს (ნ. გრიბოედოვისადმი) 10 ივნისი. ეს იმით აიხსნება, რომ პირველი თარიღი ავტორს შემდეგ მელნით შეუსწორებია, ხოლო მეორე პირვანდელი სახით დაუტოვებია).

20

1. ხოფიკო—სოფიო ორბელიანი-ბეზაკისა (იხ. წერილი სალომესადმი 23 მარტის თარიღით და შენიშვნა).

წერილი შავად ნაწერ ავტოგრაფს წარმოადგენს.

21

1. გრ. ორბელიანის ეს ბარათი დაწერილი უნდა იყოს 1935 წლის ზაფხულში. წერილს ათარიღებს შემდეგი ფაქტები:

ზაქარია ორბელიანის წერილს გრიგოლისადმი—(1835 წლის 20 აპრილის თარიღით იხ. სიიტ. საეთ5. Q155 ხ), რომელიც გრიგოლს 10 მაისს მიუღია,—აქვს ილია ორბელიანის მინაწერი. ამ მინაწერში ილია უთვლის თავის ძმას:.... მივდივარ აფხაზეთში, ხადაცა ხდგას გრუზინსკაის პოლკი და ამის გამო ვერ მოგწერე საკუთარი წიგნი. მომიტევე, შვიდობით დამლოცე

შენი უმორჩილესი ძმა

ილია ორბელიანი"

გრ. ორბელიანი ამ მცირე მინაწერით არ დაკმაყოფილდებოდა. ის მართლაც უსაყვედურებს ძმას „წერილის დაძველებას" („არც ერთხელ არ მწერ შენს ცხოვრებასო"), გრ. ორბელიანი მისგან ვრცელ ბარათს მოითხოვს. მაშასადამე, გრ. ორბელიანის ეს წერილი 35 წლის 10 მისამდის ვერ დაიწერებოდა. უფრო მეტი: პოეტის წერილიდან ჩანს, რომ მას ზაქარიასგან მიუღია მეორე ბარათი, სადაც ილიას აფხაზეთში ყოფნა უნდა

ყოფილ ყო აღწერილი („ზაქარია მწერს, რომ მითომ თქუენ მოგზავლიათ ომი“ და სხ.)-მაშ. სადამე, გრ. ორბელიანს თავისი ბარათი დაუწერია ილიას აფხაზეთში ჩასვლისა და რამდენიმე თვის გასვლის შემდეგ ე. ი. ზაფხულის მიწურულს ან შემოდგომის პირველ რიცხვებში.

2. ილია ორბელიანი 1835 წელს მონაწილეობას იღებდა გენ.-მაიორ დიმ. დ. ახლესტიშევის ექსპედიციაში, რომელსაც დავალებული ჰქონდა აფხაზეთში გზების გაყვანა. ოში ახლესტიშევის რაზმს აფხაზებთან არ მოსვლია, მაგრამ ცალკეულ შეტაკებათა შემთხვევები მაინც იყო. ილია ორბელიანის მონაწილეობა აფხაზეთში მოქმედ ჯარის ნაწილებში აღნიშნული აქვს ადოლფ ბერეს (Акты, ტ. X. გვ. XXVIII).

ავტოგრაფი შავად ნაწერ ბარათს წარმოადგენს. გრ. ორბელიანს ის ალაგ-ალაგ შეესწორებია (მაგ. წერილის დასაწყისის პირველი ვარიანტი: „ჩემო საყვარელო ძმაო ილიკო! დიდიხანია მსურდა შენთან ცალკე მოწერა მაგრამ ხსვადახსვა მიზეზთა დამაბრკოლეს აქამდის და ესეც არის მიზეზად, რომ...“) ცალკეული სიტყვები, რომელიც გრ. ორბელიანს შესწორებით დაუწერია, აქ არ მოგვყავს: რაიმე რედაქციულ ინტერესს ისინი არ იწვევენ.

22

1. ანნა—ანა ორბელიანი, ლუარსაბ ორბელიანის მეუღლე. გრ. ორბელიანი სამძიმარს უცხადებს ანას ქმრის გარდაცვალების გამო.

ანა ორბელიანი ლამაზი ქალი ყოფილა. 1882 წელს გრ. ორბელიანი სწერდა ტასო ოგლობლინს ეკატერინე დადიანის გარდაცვალების გამო: „... ესრეთნი იყუნენ: ანნა, მანანა, მაია, ჩუენი ეკატერინა, ყაფლანის და, ნინა გრიბოედოვისა, მისი და სოფიო, ჩუენი მაიკო, ყოფლანის ელენე, მართა ერისთავისა და მრავალნი სხუანიც! აბა, ეხლა თვალი გადაავლე ჩუენს სახოგადოებას, ვინ არის ამათი მაგიერი.?—ჩემო ტასო, ბნელდება საქართველო!“

2. ლუარსაბ—ლუარსაბ ივანეს-ძე ორბელიანი. მაიორი. გარდ. 1835 წელს.

3 ავალიან—დავით ორბელიანი, ლუარსაბის ძმა და მანანა ორბ-ის მეუღლე. გარდ. 1830 წელს.

საქ. არქივის № 171-ში (კრებულის შედგენა ეკუთვნის 1831—33 წლებს) დაცულია ერთი წერილი დავით ორბელიანისა გრიგოლისადმი 1829 წლის 2 სექტემბრის თარიღით. წერილის დასასრულ, ცარიელ ადგილზე, გრ. ორბელიანს გვიან დაუწერია ლექსი:

„ორ გვამთა ტრფობა ჭეშმარიტი არ არს ამ სოფლად;
მაშ არ ღირს ტრფობა, რომ სიცოცხლე შევსწიროთ მსხვერპლად;
შენ ხარ ჰე დავით! ამა ჰაზრის დასამტკიცებლად
ტრფობით დამიწდი—და ვისთვისღა ხარ ძოსაგონებლად?
ვ-ა მეგობარს იდუმალად ცრემლთა მფრქვეველსა
[ ]*) როს მთვარე ჰფენდა შექს ნელსა,
მახსოვს ვით ჰგლეჯდენ, ობრეა, კვნესა გლახ შენსა გულსა
მახსოვს და ესტირი მეგობარსა, უდროდ გამქრალსა“.

გრ. ორბელიანის ბარათები ანა და მანანა ორბელიანებისადმი დაწერილია ილიასადმი მიმართულ ბარათთან ერთად. ბარათების დალაგებისას ვიცავთ 1835 წლის წერილების საერთო ქრონოლოგიურ რიგს. ბარათები შავად ნაწერ ავტოგრაფებს წარმოადგენს (იხ. ფურც. გვ. 98).

---

*) ხელი გაურკვეველია—ლექსი მკრალი ფანქრით არის ნაწერი.

24

1. კოვნო — ამჟამად ლიტვის სატახტო ქალაქი.

2. იგულისხმება ილია ორბელიანის სამხედრო სამსახური აფხაზეთში, დ. ახლესტი-შევთან.

3. დეიტრიხსი — უნდა იგულისხმებოდეს ევგ. ივ. დიტერიხსი მე-2, რომელიც 1834 წელს დანიშნა არტილერიის გარნიზონის უფროსად საქართველოში, ხოლო 1835 წელს მისცეს გენ.-მაიორის ხარისხი. ეს მით უფრო საეჭვოა, რომ გრ. ორბელიანს მისთვის გაუტანებია წერილი ილიასათვის გადასაცემად.

4. დინაბურღი — ციხე-ქალაქი ყოფ. ვიტებსკის გუბერნიაში (პოლონეთის); აგებ. 1582 წ. მდებარეობს მდინ. დვინზე. დინაბურღის ციხის განახლებას ხელმძღვანელობდა პირადად ნიკოლოზ I (დასრულდა 1832 წ 21 მაისს).

5. ალექსანდრე — ?

6. ვახილი ყორღანოვი — ოფიცერი. მსახურობდა დაღისტანში (იხ. წერილი № 29 და შენიშვნა).

7. ფელდმარშალი — ივ. ფედ. პასკევიჩი.

8. ლობანოვ-როხტოვსკი — ივანე დიმ. ლობანოვ-როსტოვსკი, გენერალ-ადიუტანტი, შემდეგში — ინფანტერიის გენერალი (1758—1839). 1808 წ დაინიშნა ყოფ. ლიფლანდიისა და კურლანდიის გუბერნიების მმართველ-გუბერნატორად. 1814 წელს — სახელმწიფო-საბჭოს წევრი.

9. მიხაკო — მიხაკო ქაიხოსროს-ძე ორბელიანი (ამ მიხაკოს ახსენებს გრიგოლ ორბელიანი 1846—7 წლებში გენ. ვ. ო. ბებუთოვის ადიუტანტად. ბებუთოვის ადიუტანტი დაღისტანში 1845—1846 წლებში იყო მიხეილ ქაიხოსროს-ძე... მიხეილ ორბელიანი გრიგოლის ძმის, ილიას, ახლო მეგობარი ყოფილა. შესაძლოა ისინი ერთად შევიდნენ სამხედრო სამსახურში. გარდ. 1846 წელს (იხ. ამ წლის ბარათები და შენ.).

გრ. ორბელიანის ეს ბარათი დაწერილია 1836 წელს, რადგან ილიას პირველი დაწინაურება სწორედ ამ წელს მოხდა — მას მისცეს პორჯჩიკის ხარისხი. ამას გარდა, გრ. ორბელიანი აცნობებს ილიას, რომ „ჩვენი ბატალიონი რჩება აჯა 30-ხ ამ თვეხას, რეკრუტებიხ გასაცილებლად დინაბურღამდეხო“, ხოლო ამავე წლის 28 ნოემბერს ის დინაბურღიდან სწერს ბარათს ილიას. ამ ბარათში მოხსენებულია აგრეთვე ილიას გადაყვანა „კოლეგანსკიხ პოლკში“, რაც 1836 წელს მოხდა. გრ. ორბელიანი იქვე სწერს ილიას, რომ წერილი მომწერე „ხოფელ ბირჟაშეო“, ხოლო 1836—1837 წ. წ. ზამთარი გრ. ორბელიანს ისევ ვილნოს გუბერნიაში გაუტარებია (იხ. წერილი 1837 წლის 14 იანვრის თარიღით, — სიტყვები: „ხვალ ისევ მივდივარ ბირჟაშე ესე იგი პოლკის შტაბში“).

25

1. მიხაკო — მიხეილ ქაიხ.-ძე ორბელიანი.

2. „კოლეგანსკიხ პოლკი“. 1836 წელს ილია ორბელიანი გადაიყვანეს „კოლეგანის ეგერის პოლკში“. იმავე წელს მისცეს მას პორუჩიკის ხარისხი; გრ. ორბელიანს მხედველობაში აქვს თავისი ძმის ეს დაწინაურება.

3. ალექსანდრე — ალექსანდრე ვახტანგის-ძე ორბელიანი (1802—1869), ქართველი მწერალი. 1832 წლის შეთქმულების ერთერთი მონაწილე (იხ. ალექსანდრე ვახტანგის-ძე ჯამბაკურ ორბელიანის ნაწერი. ტფ. 1879. ზ. ჭიჭინაძის გამოც., „ჩვენი ალექსანდრე“ „ალექსანდრე“ და გვიან კი — „ჩვენი ბიძია ალექსანდრე“ — ალექსადრე ორბელიანის ბიოგრაფიებს აღნიშნავს.

4. იგულისხმება ზაქარია ორბელიანის ერთადერთი ვაჟი—სანდრო ორბელიანი (იხ. 4`—56 წ. წ. ბარათები).

5. ეფემია—ეფემია ბარათაშვილი.

6. შამუკა—შამუკა (მაკარი) თომას-ძე ორბელიანი. პორუჩიკი ლეიბ გვარდიის პოლკისა და გვარდიის როტმისტრი. 32 წ. შეთქმულების მონაწილე, რომელიც ჩარიცხეს „კავკასიის ლინიის ყაზახთა პოლკში". შემდეგში ასრულებდა გუბერის მაზრის უფროსის თ ნამდებობას. ბოლოს მიიღო გენ.-მაიორის ხარისხი (დიმ. ყიფიანი: „მემუარები". ხ. ხუნდაძის ოედ. ტფ. 1930 გვ. 106. Акты, ტ. VIII. შეთქმულთა საქმე.)

7. ელენა—ელენე ორბელიანი-ერისთავისა, ზაქარია გიორგის-ძე ერისთავის მეუღლე.

8. ზაქარია ერისთავი (გიორგის-ძე)—კაპიტანი. შემდეგში—პოლკოვნიკი. მოკლეს ლეკებმა 1849 წელს (დაწვრილებით იხ. 1849—1850 წლების წერილებსა და კომენტარიებში.)

9. ივანე მუხრანსკი—ივანე კონსტანტინეს-ძე მუხრან-ბატონი, გენერალ-ლეიტენანტი; 1832—50 წლებში მონაწილეობას იღებდა ომში მთიელებთან, ხოლო 1854—1855 წ. —ოსმალეთთან ომში (იხ. ბოროზდინი: სამეგრელო. ტფ. 1934); უკანასკნელად ეწეოდა სოფლის მეურნეობის რაციონალურ როწესირიგებას, კერძოდ მეღვინეობის დარგში (ამხადებდა „შამპანიურს"). 70-ან წლებში—ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი.

10. ლევან დადიანი—სამეგრელოს მთავარი, გრიგოლ დადიანის ძე (იხ. ბოროზდინი, გვ. 4). სამეგრელოს მმართველობა ჩაბარა თავის უფროს შვილს დავითს 1842 წელს. გარდ. 1846 წელს (იხ. აგრეთვე: А.—П. Некрология Князя Левана Дадьяна. (Сб. газ. „Кавказ". 1847. გვ. 206—218).

ივანე მუხრან-ბატონს ცოლად ჰყავდა ლევანის ასული (დავითის და) ნინო (ბოროზდინი, გვ. 10; Словарь Кавказских деятелей. 1890. ეგ. 56).

1 8 3 7

26

1. გრ. ორბელიანმა 1835 წელს მოითხოვა შვებულება („ოტპუსკი"), მაგრამ მისთვის არ დაურთავთ ნება. ამის მიზეზს თვითონვე ასახელებს: თხოვნა შეუტანია „პორუჩიკობის" დროს, ხოლო 1836 წელს ის უკვე „შტაბის კაპიტანი" იყო. მოუთხოვიათ თხოვნის ხელახლა დაწერა, რასაც ჯამოუწვევია გრ. ორბელიანის ერთი წლით დარჩენა პოლკში. გრ. ორბელიანი საქართველოში დაბრუნდა 1837 წელს და შევიდა „ქართ. გრენად. პოლკში" (მეუნარგია, ცხოვრება..., გვ. 41.)

2. ელენე—ელენე ერისთავისა.

3. ბირეა (ბირეი)—სოფელი ვილნოს გუბერნიაში (იხ. წერილი 1835 წლის 11 აპრილის თარიღით ზაქ. ორბელიანისადმი).

4. ხელმწიფე—ნიკოლოზ I.

5. ილიკო—ილია ორბელიანი.

6. ძალუა—ქეთევან ორბელიანი (ზაქარიას ცოლი).

7. ყაფლან—ყაფლან ორბელიანი.

8. „კორპუსის ბარონი"— გ. ვ. როზენი, მთავარმართებელი (კავკასიას მართავდა 1837 წლის 30 სექტემბრამდე.)

9. ფალავანდოვი—ნიკო იოსების-ძე ფალავანდიშვილი, ტფილისის გენერალ-გუბერნატორი 1832—1838 წლებში. 1853 წელს—მეფის ნაცვალის მთავარსამართველოს საბჭოს წევრი გარდ. 1855 წ. (Акты, ტ. VIII—IX). 1832 წლის შეთქმულების გამცემლის, იასეს, ძმა (იხ. ზემოთ).

27

1. 1837 წელს გრ. ორბელიანი, რუსეთიდან დაბრუნდა საქართველოში და შეეიდა „ქართ. გრენადერების პოლკში" (1838 წლის 26 აგვისტო). ოთხი წლის განმავლობაში გრიგოლ ორბელიანი ამ პოლკის ოფიცრად ითვლებოდა. 1839 წელს ის იბრძოდა გენერალ-მაიორ სიმბორსკის რაზმში, რომელსაც დავალებული ჰქონდა დივერსიის მოხდენა შეკეს პროვინციიდან რუთულამდე (დაღისტანი). ამ წელს კავკასიის ჯარებს უნდა ჩაეტარებინათ ლაშქრობა ჩრდილოეთ და სამხრეთ დაღისტანში იმამი შამილის ძლიერებისა და გავლენის აღმოსაფხვრელად (იმპერატორის ბრძანებით უნდა აეღოთ იმამის რეზიდენცია ახულგო). ამ მიზნით მობილიზებულ იქნა რაზმები გენერლების—გრაბეს, რაევსკისა და სიმბორსკის მეთაურობით. ეს უკანასკნელი უფროსობდა მცირერიცხოვან რაზმს და წარმოადგენდა მაშველ ძალას. სიმბორსკის მოუხდა ბრძოლა მდინარე სამურის გასწვრივ მდებარე პროვინციებში (სამხრ. დაღისტანი). გრ. ორბელიანი მონაწილე იყო ამ ექსპედიციისა.

სიმბორსკის სამხედრო ოპერაციებმა მოსწყვიტა მთიელების საკმაოდ დიდი ნიწილი ომის შეაჯულ სცენას, რითაც გაუადვილა ბრძოლა მთავარი რაზმების მეთაურთ—რაევსკისა და გრაბეს (იხ. Очерк положения военных дел на Кавказе, с начала 1838 до конца 1842 года. Кавказский Сборник, 1877, ტ. II, გვ. 16—26; А. Юров: Три года на Кавказе, 1837—1839 Кавказский Сборник, ტ. VIII, 1884; ტ. IX, გვ. 1—155 1885; Акты, ტ. IX).

2. გეუა—ბეუა ოჰანაშვილი, ორბელიანების მოურავი.

3. ზაქარია—ზაქარია ორბელიანი.

4. აბრამა—ორბელიანების ერთერთი მოსამსახურე.

5. ლრაფი—გრაფი ოფეომანი (იხ. მიმდევნო ბარათი და შენიშვნები).

6. იეხე ანდრონიკაშვილი.—მემამულე და ოფიცერი, რომელსაც ორბელიანებისაგან ყმები შეუსყიდია... 1846 წელს იქსე ანდრონიკაშვილი კავკასიის ჯარების კორპუსში მსახურობდა. პოლკოვნიკი (იხ. Кавк. Календарь на 1847 г. ტფილისი, 1846. გვ. 220. შდრ: შენიშვნა № 15₃)

7. კაკალა—გრ. ორბელიანის მოსამსახურე. გარდაცვლილა 1865 წელს (იხ. გრ. ორბ. ბარათი ბაბალე საგინაშვილისადმი 1865 წ. 19 ოქტ. II ტომში).

8. ხიმბიარხკი—ანდრია მიხეილის-ძე სიმბორსკი, გენერალ-მაიორი. 1836 წლიდან მსახურობდა კავკასიის ჯარების კორპუსში. 1838 წელს იბრძოდა აფხაზეთში, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროებზე (ააგო ფორტი—„ალექსანდრია"). 1839 წელს მეთაურობდა რაზმს შეკეს პროვინციაში, რომელსაც დავალებული ჰქონდა მტრის ძალების შესუსტება და მთავარი რაზმებისთვის ხელისშეწყობა, ძლიერი იერიშებით ბრძოლის პერიფერიაში. მთავარი რაზმი კი ყუბიდან უტევდა მთიელებს (იხ. ზემოთ).

9. „კნიაზი"—ალექსანდრე ბავეპავაძე.

10. ხალიმე—ალ. ბავეპავაძის მეუღლე.

11. ნინა—ნინო გრიბოედოვისა.

12. ეკატერინა—ეკატერინე დადიანისა.

13. დავით დადიანი—სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი. გარდაიცვალა 1853 წელს.

14. გრიგოლ წერეთელი—პოლკოვნიკი (40-ან წლებში ცნობილია მხოლოდ ერთი სამხედრო პირი ამ სახელით).

15. ზაქარია—ზაქარია გიორგის-ძე ერისთავი. იხ. ზემოთ.

16. ანნა—ანა ორბელიანი.

17. მანანა—მანანა ორბელიანი.

18. ძალუა ნინო—ყაფლან ორბელიანის ცოლი? (წერილიდან ჩანს, რომ ვინმე ნინო მომკვდარა. ამ ცნობასთან დაკავშირებით გრ. ორბელიანი მიმდევნო ბარათში ყაფლანს ქვრივად იხსენიებს).

19. ყაფლან—ყაფლან ორბელიანი.

წერილის მეორე ფურცლის ნახევარი დახიანებულია. წერილის თარიღი (წელი) ჩვენ შიერ არის დადგენილი, რაც ეკვს არ იწვევს.

28

1. ნუხა—სამაზრო ქალაქი, ყოფ. ელისავეტოპოლის გუბერნ.

2. კონსტანტინე თარხანოვი—კონსტ. დავითის-ძე თარხნიშვილი, ასრულებდა ნუხისა და შემახიის მხარის უფროსის თანამდებობას. შემდეგში ბაკოს გუბერნატორი. პოლკოვნიკი.

3. ზაქარია—ზაქარია ორბელიანი.

4. ინვალიდი—გაზ. „Русский Инвалид".

5. ვალოვი—მე-14 ქართ. გრენად. პოლკის ოფიცერი.

6. გრენგაბერ (გრენგამერ)—იმავე პოლკის ოფიცერი (იხ. Боевая летопись 14-го Гренад. Груз. Ген. Котляр-го полка, დამატების გვ. 18).

7. ვაშკლევიჩი—იმავე პოლკის ოფიცერი. პრაპორ. (იქვე, 20).

8. ტიზენლაუზენ (ტიზენჰაუზენ)—ქართ. მე-14 გრენად. პოლკის ოფიცერი. 1837 წ.—პოდპოლკოვნიკი.

[ზემოთ ჩამოთვლილი ოფიცრები მოკლულ იქნენ 1839 წლის სამხედრო ოპერაციების დროს].

9. იგულისხმება ბრძოლები შეკეს პროვინციაში და სამურში.

10. სამარაღდონი—სამარაგდონ ორბელიანი.

11. ბაბალე—ბაბალე ორბელიანი-საგინაშვილისა, სამარაგდონის ასული და ალექსანდრე საგინაშვილის მეუღლე. მეგობრობდა გრიგოლ ორბელიანს. 60—90-ან წლებში გრ. ორბელიანი ხშირად სწერდა მას ბარათებს (იხ. „წერილები"-ს მე-3 ტომში).

12. ალექსანდრე საგინოვი (საგინაშვილი).—კაპიტანი. 1844—1850 წლებში მსახურობდა გენერალ. შტაბში, ტოპოგრაფების კორპუსში (Кавк. Календарь, 1845, გვ. 197). შემდეგში გენერალი.

13. რიხტერი—კონსტანტინე ბორისის-ძე რიხტერი, შემდეგში—პოლკოვნიკი (Кав. Календарь, 1846 წ. გვ. 206).

14. ორლოვი—ივ. ორლოვი (?) ოფიც. იბრძოდა დაღისტანში 50-ან წლებში (დაწვრ. იხ. II ტომში).

15. ვახილი ყორღანოვი (ყორღანაშვილი). წარმოშობით ტფილისელი სომეხი. ახლო ნათესავი უნდა ყოფილიყო დ. ყორღანაშვილისა. სამურის რაზმის ოფიცერი. იბრძოდა სამხრეთ დაღისტანში (იხ. წერილი 24 და შენიშვნა).

16. მთავარმართებელი.—იგულისხმება ევგ. ა. გოლოვინი, ინფანტერიის გენერალი (1782—1858). კავკასიას მართავდა 1837—1842 წლებში (მასვე ეკუთვნის ამ წლების ომების მიმოხილვა, რომელიც დაბეჭდილია ავტორის ხელმოუწერლად „კავკაზსკი სბორნიკ"-ის II ტომში).

გოლოვინის კავკასიაში მოღვაწეობის დახასიათებისათვის იხ. Акты, ტომი X.

17. გრაფი ოპერმანი—ა. კარლ.-ძე ოპერმანი I, გრაფი. სამხედრო სამსახური დაიწყო 1820 წ. მონაწილეობას იღებდა რუსეთ-სპარსეთის ომში. 1835 წელს დაინიშნა საქართველოს გრენადერების პოლკის უფროსად (ამ პოლკში მსახურობდა გრ. ორბელიანი). 1840 წელს მისცეს გენერალ-მაიორის ხარისხი (Акты VIII—IX იხ. აგრეთვე—Боев. Лет., 14-го Гр. Грен. Полка.).

18. დავით თარხანოვი (თარხნიშვილი)—პოლკოვნიკი. კოსტანტინე თარხნიშვილის მამა.

19. მელიტონ—მელიტონ ბარათაშვილი.

20. დავით ყორლანოვი—დავით ყორღანაშვილი.

21. იაგორ სტეფანიჩ—იაგორ სტეფანეს-ძე ყორღანაშვილი.

22. ალექსანდრე—ალექსანდრე ვახ.-ძე ორბელიანი.

23. პორუჩიკი მიხაკო—მიხეილ ქაიხოსროს-ძე ორბელიანი

24. გრაფი რონიკერი—საქ. გრენდ. პოლკის ოფიცერი (?).

25. ზაქარია—ზაქარია ორბელიანი.

26. დედოფალი დადიანისა—სამეგრელოს მთავრის, ლევან დადიანის (გარდ. 1846 წ.) მეუღლე.

27. მარიამ ბატონის რძალი—მარიამ მუხრან-ბატონი, გარდ. 1839 წ.

28. რამაზ ენდრონიკოვი (ანდრონიკაშვილი)—ოფიცერი, შემდეგში ვორონცოვის ერთ-ერთი ადიუტანტი (იხ. Кав. Календарь, 1845. გვ. 196).

29. დავით მუხრან-ბატონი.—(დაიბ. 1791—გაოდ. ?), ძმა იყო პოლკოვნიკ კონსტ. მუხრან-ბატონისა (იხ. თ. ყორღანია—ქრონიკები, II, 525).

1 8 4 2

29

1. 1841 წელს გრ. ორბელიანი მონაწილეობას იღებდა პოლკოვნიკ მოსე არღუთაშვილის (შემდეგში—გენერალ-ადიუტანტი) რაზმის მიერ გურიის აჯანყების (იხ. ქვეშ) ჩაქრობაში. გურია „დაწყნარეს“ იმავე წლის სექტემბერში. გურიიდან დაბრუნებული გრ. ორბელიანი, როგორც ჩანს, ქ. ქუთაისში ჩასულა ბატალიონთან ერთად (К. Сб., ტ. XIV. გვ. 301).

2. „კნიაზი ფალავანდოვი“— ნიკოლოზ იოსების-ძე ფალავანდიშვილი.

3. იესე—იესე ანდრონიკაშვილი, 1842 წელს იბრძოდა მთიელების წინააღმდეგ. ლეკების ხაზზე (კახეთის მხრით).

4. გრ. ორბელიანს მხედველობაში აქვს ცნობილი რიჭის ბრძოლა (1842 წლის მაისის 1. აული რიჭა მდებარეობს ყოფ. ქურისა და ყაზიყუმუხის სახანოებს (დაღ.) საზღვარზე). 1842 წლის მაისში აქ ოფიცრებმა—ზაქარია ორბელიანმა, ყორღანაშვილმა და მაღალაშვილმა სასტიკად დაამარცხეს მთიელები. ზაქარია ორბელიანს მისცეს პოდპოლკოვნიკის ხარისხი.

5. იგულისხმება საქართველოს გრენადერების პოლკი. ორი როტა ამ პოლკისა 1841 წ. ზამთარში დარჩა ქ. ქუთაისს, გურიის აშბოხების მონაწილეთა საპატიმროს მცველად. (К. Сбор., ტ. IV. გვ. 301). მთავარი რეზერვი კი გორში იყო დაბანაკებული.

6. იაკინთე — იაკინთე დიმიტრის-ძე მესხიშვილი, ზაქარია ორბელიანის მეუღლის, ქეთევანის ძმა. იაკინთეს გარდა ქეთევანს კიდევ ჰყოლია ორი ძმა (პლატონ, სარდიონ...)

7. „ხაბრალო ილიკო“— ილია ორბელიანი. გრიგოლ ორბელიანს მხედველობაში აქვს ილია ორბელიანის გატაცება მთიელების მიერ: 1842 წლის 20 მარტს ყაზიყუმუხში (დაღისტანი) ილია ორბელიანი და მასთან ერთად ორი ოფიცერი (პოლკ. სიმაკსაროვი და პრაპ. ანანოვი) ხელში ჩაუვარდათ შამილის ხელქვეითებს. ტყვეები მიჰგვარეს შამილს დარღოში (შამილის ყოფილი რეზიდენცია 1846—1858 წლებში, ჩეჩნეთში). ილია ორბელიანმა წვიმიან ღამით სცადა გაქცევა (ივნისის 22), მაგრამ გზაზე, სო-

ფელ მეხელტას (დაღისტანი) ახლო დაიკირეს და უკანვე მიჰგვარეს იმამს. ილიას გამოსყიდვის შესახებ შამილთან მოლაპარაკებას აწარმოებდენ გენერლები: **კლუკი - ფონ-კლუგენაუ** და **მ. არლუთინსკი-დოლგორუკოვი**. ბოლოს მიხანი მიღწეულ იქნა: ის გადაცვალა შამილმა რუსების მიერ გატაცებულ ქთიელ ტყვეებზე (იმამს დაუბრუნეს აგრეთვე ტყვე—ნაიბი **შაჰ-მინდარ-ჰაჯი**). ილია ორბელიანის ტყვეობიდან განთავისუფლება მოხდა იმავე წლის ნოემბრის 2?-ს.

ილია ორბელიანი შამილს დამწყვდეული ჰყავდა ღრმა ორმოში. იმამის მეუჯარას მასზე არ უმოქმედნია (იხ. ნ. ბარათაშვილის ცნობა ამ ფაქტის ირგვლივ. ლექსები... 1922, გვ. 97. უფრო ვრცლად: **Пленницы Шамиля, воспоминания Г-жи Дрансе**, ტფ. 1859, გვ. 52—56; **А. Дюма: Кавказ.** ტფ. 1961, გვ. 495—506; თვითონ ილია ორბელიანს აღწერილი აქვს თავის ტყვეობა: იხ. **Плен у Шахиля... Соч. Е. А. Вердеревскаго. СПБ. 1856.** დამატებაში, გვ. 22—42).

8. მინისტრი — სამხედრო მინისტრი **ა. ჩერნიშოვი. 1842** წელს იმპ. ნიკოლოზ I-მა კავკასიაში გამოაგზავნა სამხ. მინისტრი ჩერნიშოვი და „**სტატსსეკრეტარი**“ **პოზენი**. ამათ დავალებული ჰქონდათ შეემოწმებინათ კავკასიაში სამოქალაქო-ადმინისტრატიული რეფორმები, რომლებიც სენატორ **განის** მიერ შემუშავებული პროექტის მიხედვით ჩატარდა და რომლებიც სრულიად შეუფერებელი აღმოჩნდა ადგილობრივი პირობებისათვის. სენატორ **განის** პროექტი (1840 წ.) ვერ შეეგუა კავკასიის მრავალ ეროვნებიან ტომების ზნეჩვეულებათ და ამ მხარის ადმინისტრატიული დაყოფაც ვერ იყო კარგად გათვალისწინებული. რუსული კანონების მხამზარეულ ფორმებით გადმონერგვას უცხო ნიადაგზე, რომელიც ნაუცბათევი პროექტის მიხედვით ხორციელდებოდა, მოჰყვა ბოროტმოქმედთა რიცხვის სწრაფი ზრდა. ნიკოლოზ პირველის მოთხოვნით გადაწყდა განის პროექტის სისწორის ადგილობრივ შემოწმება. კავკასიაში გამოაგზავნეს ჩერნიშოვი და პოზენი. ამ უკანასკნელმა გულდასმით გამოიკვლია კავკასიის სამოქალაქო სისტემის ახალი „**რეფორმა**“ და თავისი დასკვნა წარუდგინა სენატს. განის პროექტი უკუგდებულ იქნა და საპირო შეიქნა სამოქალაქო მართველობის შეცვლა კავკასიაში (იხ. **ივანენკოს** ვრცელი და საინტერესო შრომა: **Гражданское управление Закавказьем.. Исторический очерк Составил В. Н. Иваненко. ტფ. 1901.** თავი XI, გვ. ?83—306; **Акты**, ტ. IX.).

9. ხომბორსკი—ანდრ. სიმბორსკი, გენერ.-მაიორი.

10 და 11. (ჩერნიშოვი, პოზენი. იხ. ზემოთ).

12. მთავარმართებელი—ე. ა. გოლოვინი.

13 და 14. კორლანოვი და **მალალოვი**—სამურის რაზმის ოფიცრები, რომლებიც იბრძოდენ რიკაში 184? წლის მაისში ზაქარია ორბელიანთან ერთად (იხ. ზემოთ კომენტ. 4).

15. გრ. ორბელიანი გულისხმობს გურიის გლეხობის აჯანყებას 1841 წელში (ივნისი—სექტემბერი). აჯანყების გამომწვევი მიზეზები იყო: ფულადი ბეგარის შემოღება, მებატონეებსა და ყმებს (გლეხებს) შორის ურთიერთობის ძალზე გამწვავება და ბოლოს ის რეფორმები, რომლებიც ახალი მმართველობის წესების მიხედვით (განის პროექტი) უნდა ჩატარებულიყო. აჯანყებულმა გლეხებმა ალყა შემოარტყეს ქ. ოზურგეთს, მაგრამ დამარცხდენ. რამდენიმე ასეული ოჯახი დაიფიცეს რუსეთის მმართველობის ერთგულებაზე, ბევრი გაოხგეს და ამბოხების მეთაურები დაიპატიმრეს. პატიმრები მოათავსეს ქ. ქუთაისის საპყრობილეში, ისინი გაუთავისუფლებიათ ჩერნიშოვის ბრძანებით (იხ. გ. ორბელიანის წერილის ტექსტი. წყაროები: **В. Чуднов: Восстание Гурийцев в 1841 году. Кавк. Сборник, ტ. XIV, გვ. 212—302. ტფ. 1890; დ. ყიფიანი: „მემუარები“ ს. ხუნდაძის რედ. ტფ. 1930 გვ. 24—26; Акты, ტ. IX)**

16. ივან ოსიბიჩ ყორლანოვი (ყორლანაშვილი)—უნდა იგულისხმებოდეს ოფიცერ იოსებ ყორლ-ის მამა ივ. იოს.-ძე ყორლანაშვილი. ზაქარია ორბელიანთან სამურში მსახურობდა სწორედ ყორლანაშვილი, რომელსაც გულისხმობს გრ. ორბელიანი („პირველ კრასავიცად გამოჩენილია **ივან ოსიბიჩის** კალი—ესეც **მიულოცე ოსიბს: ძმა მამაცი**,

და კრახვიცა“). იოსებ ყორლანაშვილს მიღებული ჰქონდა გენ.-მაიორის ხარ. გარდ., 1872 წ. („Кавказ“, 1872, № 27)

17. ქეთევან—ქეთევან ორბელიანი (ზაქარიას მეულ.,).

18. სანდრიკო—მისი ვაჟი, სანდრო ორბელიანი.

19 „კნიაზ არლუთინსკი“—მაიორი, შემდეგში—გენერალ-ადუტანტი (იხ. 11 ივნისის წერილი და კომენტ.).

წერილი ოდნავ დაზიანებულია. მარჯვნივ, ნაპირებზე აკლია ასოები (ჩასმული გვაქვს ფრჩხილებში). სიტყვების აღდგენა მოხერხდა ფრაზის კონტექსტის საშუალებით. ამასთანავე: მოხეულია ბარათის მეორე ნახევარი, რომელიც, შესაძლოა, გრ. ორბელიანის წარწერებს შეიცავდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 1842—3 წლების ბარათები ჩვენ მიერ არის დათარიღებული (წლების თარ. მხრით).

30

1. კაზლაინოვი—გრიგ. ფედ. კოზლიანინოვი. 1834 წელს დანიშნეს კავკასიის ჯარების კორპუსში არტილერიის გენერალ მაიორის ჩინით. 1842 წელს მისცეს გენერალ-ლეიტენანტის ხარისხი.

2. „კნიაზ მიხე ზახარიჩი“—მოსე ზაქარიას-ძე არლუთინსკი-დოლგორუკოვი.

ქვემოთ გრ. ორბელიანი აღნიშნავს მის გამარჯვებას. იგულისხმება შემდეგი ისტორიული ფაქტი: იმამი შამილი 1842 წლის 25 მაისს მრავალრიცხოვანი ჯარით (15 ათასი მეომრით) დაეცა ყაზიყუმუხის სახანოს (დაღისტანი) და ალყა შემოარტყა არლუთინსკის რაზმს, რომელიც ყუმუხში იყო დაბანაკებული. არლუთინსკი სამი ბატალიონით, 4 ზარბაზნით და 1160 მილიციელით შეეგება შამილს ქიულიულში, მდინარე ყოისუსთან. შამილმა ორი მხრიდან შეუტია მას, ძაგრამ ძლეულ იქნა: მან დასტოვა ყაზიყუმუხის სახანო (С. Эсадзе: Штурм Гуниба и пленение Шамиля. ტფ. 1909. გვ. 124—25; Акты, IX). ზაქარია იბრძოდა არლუთინსკის რაზმში.

3. ფრჩხილებში ჩასმული ადგილი წერილისა დაწერილია დ. ყორლანაშვილის მიერ.

4. 1842 წელს გრ. ორბელიანი დაინიშნა საქ. გრენადერების პოლკის ერთერთი ბატალიონის კომანდირად. ის ბატალიონთან ერთად ქ. ალექსანდროპოლში გამგზავრებელა.

5. ილიკო—ილია ორბელიანი (იხ. პირველი წერილის კომენტ.). აქ იგულისხმება ის მოლაპარაკება, რომელიც წარმოებდა შამილთან ილიას ტყვეობიდან გამოხსნაზე. შამილმა მოითხოვა, 1839 წელს აულ ახულგოს აღებისას აგვისტოში, რუსებისათვის ამანათად მიცემული თავისი მცირეწლოვანი ვაჟი — ჯემალ-ედინი. ასეთი გაცვლა არ მოხერხდა და იმამი დასჯერდა რუსების 30 ტყვე-მთიელს. ჯემალ-ედინი კი მან დაიბრუნა 1855 წელს.

6. იასე—იასე ანდრონიკაშვილი.

7. მთავარმართებელი—ეგვ. ალ. გოლოვინი. ინფანტერიის გენერალი (1782—1858). კავკასიას მართავდა 1838—42 წლებში.

8. კლუკი—ფრანც კარლის-ძე კლუკი-ფონ-კლუგენაუ (1791—1851). სამხ. სამს. დაიწყო 1818 წ. და მას შემდეგ, 1845 წლამდე, მსახურობდა კავკასიაში; იბრძოდა უმთავრესად დაღისტანში. 1839 წელს—მე-21 ქვეითი დივიზიის მე-2 ბრიგადის კომანდირი; ამავე წელს დანიშნეს ჯარების სარდლად ჩრდილოეთ დაღისტანში. 1844 წ.—გენერალ-ლეიტენანტი. 1845 წელს უფროსობდა მე-19 ქვეითი დივიზიას (გენ. ფეზეს ნაცვლად). კლუკი-ფონ-კლუგენაუს სახელს ხშირად ვხვდებით კავკასიის ომის ისტორიაში (იხ. Генерал-лейтенант Клюки-фон-Клугенау. Очерк военных событий на Кавказе 1818-1850 гг. ჟურ. „Русская Старина“, 1874. ტ. XI. 1875. ტ. XII. 1876. ტ. XV, XVI; Акты, IX-X. К. Сбор., ტ. I—VIII).

9. მინისტრი—სამხ. მინისტრი ჩერნიშოვი.

10. „ლენერალი ერიხთავი"—გიორგი იესეს-ძე ერისთავი, ინფანტერიის გენერალი (1759—1864), სენატორი.

11. 1840 წელს გრ. ორბელიანი იბრძოდა ოსეთში, „ამშვიდებდა" ამბოხებას კიშილისა და მალლად-ლეთის გარშემო სოფლებში. ამ დამსახურებისათვის მას მოუვიდა სტანისლავის მედალი.

12. გრ. ორბელიანი გულისხმობს თავის მონაწილეობას გურიის აჯანყების ჩაქრობის საქმეში 1841 წ.

13. შამილი—ჩეჩნეთისა და დაღისტნის იმამი შამილი; დაიბადა 1798 წელს აულ გიმრში (ყოისუბუ, დაღისტანი). შვილი ავარიელ უზდენის (მოკალაქე) დენგაუ მაჰმადისა და ავარიელი ბეგის ქალის ბახუ მეყედასი. მიიღო კარგი განათლება არაბულ ენაზე; მუსლიმანთა დოგმატიკური შრომები გააცნეს ჯემალ-ედინ ყაზიყუმიხელმა და ყაზი-მოლამ (დაღისტნის პირველმა იმამმა, რომელიც იმავე დროს მისი მეგობარიც ყოფილა ახალგაზრდობიდანვე). როცა დაღისტანში დაიწყო ახალი მოძრაობა, კავკასიური მურიდიზმის სახელით ცნობილი, შამილი იბრძოდა ამ მოძრაობის პირველ ხელმძღვანელთან, ყაზი-მოლასთან ერთად. 1832 წელს ის იცავდა გიმრს, სადაც მოკლეს პირველი იმამი და თვითონ შამილიც მძიმედ დაჭრეს.

გიმრის აღების შემდეგ იმამის პოსტი უნდა დაეკავებია შამილს, მაგრამ, ამ უკანასკნელის ავადმყოფობის გამო, ეს არ მოხდა. იმამად მთიელებმა აირჩიეს ჰამზად-ბეგი გოცატლელი, რომელმაც მალე მიიწვია შამილი და სთხოვა დახმარება.

იმამის უფლებებს დაღისტანში ანგარიშს არ უწევდა ავარიის ძველი არისტოკრატია—ხუნძახის ხანები. ჰამზად-ბეგმა შამილის დახმარებით ალყა შემოარტყა ხუნძახს, აიღო ის და ხანების მთელი დინასტია ამოსწყვიტა. იმამი მოკმედებდა შამილის უშუალო კარნახით.

1834 წელს მეორე იმამი ჰამზად-ბეგიც მოკლეს შეთქმულებმა, რომელთაც მეთაურობდენ ხუნძახელი ბეგები (ძმები)—ჰაჯი-მურადი და ოხმანი. იმავე წელს იმამად არჩეულ იქნა შამილი (1834 წ. სექტ.).

იმამად არჩევის დღიდან იწყება შამილის 25 წლიანი დიქტატურის ისტორია დაღისტანში.

შამილმა დროებით რეზიდენციად აირჩია ჰშილტა (ყოისუბუ). დაიწყო ენერგიული მოკმედება თავისი ძლიერების განმტკიცებისა და მურიდიზმის გავრცელების მიზნით. კავკასიის მხედრობასა და მთიელებს შორის დაიწყო ბრძოლა, რომელმაც სამოციან წლებამდე გასტანა.

1839 წელს გენ. გრაბემ აიღო შამილის რეზიდენცია ახულგო, რომელიც კავკასიის ჯარს ძვირად დაუჯდა. შამილმა მოახერხა გაქცევა.

ახულგოს ექსპედიციას რამე თვალსაჩინო შედეგი არ გამოუღია. შამილმა თავის ახალ რეზიდენციად აირჩია აული დარღო (ჩიქერია, ჩეჩნეთი).

1843 წელს მოხდა დიდი ამბოხება მთელს ჩეჩნეთსა და დაღისტანში. მთიელებმა დაიბრუნეს რუსების მიერ წართმეული თვალსაჩინო სტრატეგიული პუნქტები, მრავალ უამაგრებელ ციხეებსა და აულებში ამოსწყვიტეს რუსის ჯარის ბატალიონები.

1845 წელს მ. ვორონცოვმა აიღო დარღო, რომელიც კავკასიის ჯარს რამდენიმე გენერლისა, მრავალი ოფიცრისა და სამი ათასამდე ჯარისკაცის სიცოცხლედ დაუჯდა. უკან დახევის დროს თვითონ მთავარმართებელი ძლივს გადურჩა სიკვდილს. მისი მცირერიცხოვანი და ქანცმილეული რაზმი იხსნა გენ. ფრეიტაგმა.

შამილმა ახალ რეზიდენციად აირჩია დარღო-ვედენი (ჩეჩნეთი). 14 წლის განმავლობაში ეს აული ითვლებოდა მრისხანე იმამის მიუდგომელ რეზიდენციად.

1857 წელს გრ. ორბელიანმა აიღო ძველი და ახალი ბურთუნაი (სალათავია), უაღრესად მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტები შამილისა იმამის ძლიერება ეცემოდა.

1859 წლის 1 აპრილს გენ. ნ. ევდოკიმოვმა აიღო შამილის რეზიდენცია—ვედენო. შამილი გაიქცა დაღისტანში და თავი შეაფარა მთა გუნიბს (ანდალალი, ცენტრ. დაღისტანი). 25 ავგისტოს კავკასიის ჯარების სარდალმა ბარიატინსკიმ აიღო გუნიბი. შამილი დაატყვევეს. 1870 წლამდე ექს-იმამი ცხოვრობდა ქ. კალუგაში, უკანასკნელად კი მას დართეს ნება მეკაში გამგზავრებისა. გარდაიცვალა იქვე 1871 წლის 4 თებერვალს (შამილზე არსებობს საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა. დაწ. იხ. „ბიბლიოგრაფია“-ში. საერთო მიმოხილვები: М. Чичагова: Шамиль на Кавказе и в России. Биогр. очерк, СПБ. 1889. Гаджи-Али: Сказание очевидца о Шамиле. Сб. свед. о Кавк. горцах, вып. VII. 1873; С. Эсадзе: Штурм Гуниба и пленение Шамиля. ტფილისი, 1909. А Рукевский: Шамиль. Биор. очерк იხ. Кавказский Ка ендарь, 1851, გვ. 1—75; ზაბეზად ტაბირ ყარახელის შრომა: ხაბი ამამი. იხ. Сборник материалов для опис. местн. и племен Кавказа, вып. 45. Махач-Кала, 1926; Разсказ очевидца о Шамиле и его современниках (შამილის სიძის, აბდულ-რაზიმის კარნახით ჩაწერილი), იხ. Сбор. мат..., вып. XXXII, ტფ. 1903. отд. I. стр. 10—24; Акты, ტ. ტ. VIII, IX, X, XI, XII; Кавказский Сборник, ტ. ტ. I—XXX. Wagner (Fr): Schamyl, als Feldherr, Sultan und Prophet und der Kaukasus. Leipzig 1854 (ინგლისური თარგმანი—London, 1854); Warner. Schamyl, le Prophète du Caucase. Paris, 1854 (იტალიური თარგმანი—Firenze, 1855); ივ. ხატაშვილი: დაღესტანის იმამები და შამილი („მოგზაური“. 1903. № 1, 2, 7, 8); ალ. ფრონელი: „მთის არწივი შამილი“, თბილისი. 1914. და მრ. სხვ. (დაწერილებით იხილე: „ბიბლიოგრაფია“—გრ. ორბ-ის „წერილებ“-ს მეორე ტომში).

31

1. **მოხე ზახარიაძე**—ვოსე ზაქარიას-ძე არღუთინსკი-დოლგორუკოვი, (1797—1855); სწავლობდა ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელში. სამხედრო სამსახური დაიწყო 1817 წელს. 1827 წელს გადაყვანილ იქნა საქ. გრენადერთა პოლკში. 1832 წ.—პოლკოვნიკი. 1842 წელს მისცეს მაიორის ხარ., იბრძოდა დაღისტანში, სამურის ოლქში. 1844 წელს სარდლობდა ჯარებს სამხრეთ დაღისტანში, ყუბისა და დერბენდის მაზრებში. 1845 წელს მიიღო გენერალ-ლეიტენანტის ხარ., 1847 წელს—ჯარების სარდალი და საგოჟალაქო ნაწილის მმართველი კასპიის მხარეში. 1848 წელს გერგებილის აღებისათვის ებოძა გენერალ-ადიუტანტის ხარ., გარდ. 1855 წლის 20 თებერვალს ქ. ტფილისში. დასაფლ. სანაინის მონასტერში. (Акты, VIII, IX, X; Кавк. Сборник, I—XV ტ.ტ., Н. Бера(ева?) Краткий очерк служебной деятельности Генерал-ад'ютанта, Генерал-лейтенанта Князя Мойсея Захарьевича Аргутинскаго-Долгорукова. Кавк. Календарь на 1856 год. ტფ. 1855. გვ. 565—594. А. Зиссерман: 25 лет на Кавказе“, 2 ტომი. 1879).

2. **გრ. ორბელიანი** გულისხმობს არღუთინსკის გამარჯვებას ყაზიყუმუხში, ქიულიულთან, 1842 წლის მაისში (იხ. წინა ბარათი და კომენტ.,).

3. **მთავარმართებელი**—ევგ. ალ. გოლოვინი.

4. **კლუკი**—ფ. კლუკი-ფონ-კლუგენაუ.

5. **ბეზობრაზოვი**—სერგ. დიმ. ბეზობრაზოვი, გენერალ-მაიორი. დაიბ. 1801 წ. 1835 წ. დანიშნეს ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის კომანდირად. 1842 წელს—კავკასიის მარჯვენა ფლანგის უფროსი და კავალერიის ხელმძღვ. გარდ. 1870 წ. პეტერბ-ში (Акты, IX, X).

6. **ჩილაევი**—იგულისხმება ბორის გაბრიელის-ძე ჭილაშვილი (და არა მისი ძმა—სერგი); 1840 წ.—ქართ. გრენად. პოლკის კომანდირი. 1848 წელს მიიღო გენ.-ლეიტენანტის ხარისხი და ჭარბელაქნისა და მთელი ლეკეთის ხაზის უფროსის თანამდებობა. იბრძოდა დაღისტანშიც.

7. **კოცებუ**—პავ. ევსტ. კოცებუ 2, გენერალ-მაიორი, კავკასიის ჯარების კორპუსის შტაბის უფროსი. 1845 წელს დანიშნულ იქნა კორპუსის გენერალური შტაბის უფროსად.

ილო გენ.-ლეიტენანტის ხარ., 1847 წ.—გენ.-ადიუტანტი. მონაწილეობას იღებდა მთიელებთან ბრძოლაში. 1859 წ.—ინფანტერიის გენერალი. 1863 წ.—სახელმწიფო საბჭოს წევრი. 1874 წელს მსახურობდა ვარშავაში (გენერალ-გუბერნატორი და ჯარების სარდალი). ებოძა გრაფის წოდება. გარ. 1884 წ. ქ. რეველში (Акты, IX, X, XI).

8. ვლადიკავკაზი—საოლქო ქალაქი. ამჟამად—ქ. ორჯონიკიძე.

9. „მეკვე წყალზე"—იგულისხმება ქ. კისლოვოდსკი.

10. „ჩემი ძმა"—ილია ორბელიანი, იმჟამად შამილის ტყვე.

11. როგორც აღნიშნული გვქონდა, ილია ორბელიანის გამოხსნის საქმეში მონაწილეობას იღებდა მ. არლუთინსკიც. ილია ორბელიანი გამოსყიდულ იქნა 1842 წლის ნოემბერში.

12. დიმიტრი კუზმიჩი—დიმიტრი კუზმას-ძე ასეევი (იხ. წერილი 1843 წლის 29 აგვისტოს თარიღით და კომენტარიები).

13. ზალიკანი—პოლკოვნიკი, ყოფ. „ვარშავის პოლკის" კომანდირი.

32

1. ზაქარია ორბელიანს პოლკოვნიკის ხარისხი მისცეს აულ რიგაში მთიელებზე გამარჯვებისათვის (იხ. 20 მაისის წერილი და კომენტ.).

2. თემირხანშურა — ყოფ. თემირხანშურის საოლქო ქალაქი (თემირხან—თემურლენგი, შურა—ტბა, პლატო). აგებულ იქნა 1832 წელს. 1834 წლიდან თემურ-ხანშურაში მოთავსებული იყო აპშერონის პოლკის ბინა; მრავალი წელი გაატარეს აქ გენერლებმა—კლუკი-ფონ-კლუგენაუმ, მ. არლუთინსკი-დოლგორუკოვმა, გრ. ორბელიანმა, ბარონ ერანგელმა და სხვა. კასპიის მხარეთა ჯარების სარდლის სამყოფელი მთელი 60 წლის მანძილზე. ამჟამად დაღისტნის ერთერთი კულტურული ცენტრი, რომელსაც ეწოდა დაღისტნელ რევოლუციონერის, ბუინაკხის სახელი (ქ. ბუინაკსი). მდებარეობს მახაჩკალადან (ყოფ. პეტროვსკი) 56 კილომეტრის დაშორებით (ამ ქალაქებს აერთებს რკინიგზა).

3. ლრაბე—პავ. ქრისტ. გრაბე I, გენერალ-ლეიტენანტი (1787—1875); 1839 წელს დანიშნულ იქნა ჯარების სარდლად კავკასიის ხაზზე. 1839 წელს იბრძოდა დაღისტანში. აილო შამილის პირველი გამაგრებული რეზიდენცია ახულგო, რისთვისაც ებოძა გენერალ-ადიუტანტის ხარისხი. 1842 წელს, მთელი რიგი დამარცხებების გამო იჩქერიის ტყეში (ჩეჩნეთი) მოიხსნა თანამდებობიდან.

4. გრ. ორბელიანს მხედველობაში აქვს გენერალ გრაბეს სამხედრო ექსპედიციები ჩეჩნეთში. მას განსაზღვრული ჰქონდა აეღო შამილის მეორე რეზიდენცია—დარგო. 30 მაისს 10 ათასი ჯარისკაცით ის დაიძრა ანდიისკენ იჩქერიის ტყით. გაუვალ და ულრან ტყეებში მთიელებმა ამოსწყვიტეს რამდენიმე ათასი ჯარისკაცი (შამილის მურიდებსა და მთიელებს მეთაურობდა ცნობილი ნაიბი შუაიბ-მოლა). სასტიკად დამარცხებულმა გრაბემ 22 ივნისს დაიხია უკან იმავე გზით, რომელიც გაიარა. გრაბეს დახვევით ისარგებლეს მთიელებმა და ალყა შემოარტყეს რაზმს. მთელი ტყე დაიფარა დახოცილ ჯარისკაცებით, ჰაერი გააყრუა დაჭრილთა კვნესამ (Акты, IX; С. Эсадзе: Штурм Гуниба и пленение Шамиля, გვ. 125—126).

5. დიმიტრი ერეხთვიშვილი (დიმიტრი ერისთავი)—ოფიცერი. იბრძოდა 1842 წ. გრაბეს ცნობილი ექსპედიციების დროს დაღისტანში მთიელების წინააღმდეგ.

6. მამაცაშვი (მამაცაშვილი)—კონსტანტინე ქრისტეფორეს-ძე მამაცაშვილი (?). მამაცაშვილი მართლაც იბრძოდა დაღისტანში მთიელთა წინააღმდეგ 40-ან წლებში. შემდეგში—გენერალი (იხ. პოტოს წერილი მის შესახებ, მოამბე, 1897, XI).

7. ეახე—იასე ანდრონიკაშვილი, რომელიც 1844 წელს ებრძოდა ჭარ-ბელაქანში მთიელებს (იხ. წინა კომენტ.).

8. ელიხან ხულთანი—ელისუს სულთანი დანიელ, რუსის გენერალი. 1844 წლამდე მართავდა ელისუს და ებრძოდა შამილს. 1844-ს მოუხდა უკმაყოფილება ჭარბელაქნის მმართველ—გენ. შვარცთან. უღალატა მაშინდელ მართველობას და მიემხრო შამილს. იმამმა ის კარგად მიიღო და დანიშნა უფროს ნაიბად. მას შემდეგ დანიელ-სულთანი 15 წლის განმავლობაში ებრძოდა რუსეთის ჯარებს. მის რეზიდენციად ითვლებოდა აული ირიბი (დაღისტ.).

მიუხედავად იმისა, რომ დანიელ-ბეგი ნათესაურ კავშირში იმყოფებოდა შამილთან (დანიელის ასული კარიმატი ცოლად ჰყავდა შამილის ვაჟს—ყაზი-მაჰმადს) იმამი მაინც არ ენდობოდა მას. მართლაც: 1859 წელს, როცა შამილის უკანასკნელ თავშესაფარს (გუნიბი) ალყა შემოარტყეს, დანიელ-ბეგმა უღალატა შამილს და გამოცხადდა სარდლის (ა. ბარიატინსკი) ბანაკში. ამ საქციელის გასამართლებლად შემდეგ დანიელ ბეგმა გაზ. „კავკაზში" დაბეჭდა წერილი, სადაც უარყოფდა მასზე გავრცელებულ ცილისწამებებს (იხ. გაზ. „Кавказ", 1861, № 8.).

დანიელ-ბეგს ცოლად ჰყავდა მეხთულის ყოფ. გამგებელის ახმედ-ხანისა და ნოხ-ბიქეს ასული ბაბა-ბიქე (Акты, ტ. III. გვ. 226). (მასალები: Акты, IX, X, XI, XII (გვ. V); Кавк. Сборник, V—XVIII; Гаджи-Али: Сказание о Шамиле. Сб. свед. о Кавк. Горцах, вып. VII, გვ. 56. იქვე: И. Линевич-ის წერილი: Бившее Елисуйское султанство (გვ. 1—54. გაზ. იხ. გვ. 42—54).

1859 წელს დანიელ-სულთანი გადასახლდა ოსმალეთში, სადაც გარდ. 1870 წ.

ელიხუ—მდებარეობს ყოფ. ზაქათალის ოლქში. ელიუსუს სახანო შეიცავდა სივრცეს კავკასიის ქედიდან (წახურის მიდამოები) ვიდრე მდ. ყაფიჩაისა და ალაზნის სანაპიროებამდე (იქვე, VII. გვ. 1).

9. მინიხტრი—სამხ. მინისტრი ა. ი. ჩერნიშოვი (1785—1857). პოზენი—მიხეილ ივანეს-ძე პოზენი, „სტატსსეკრეტარი," რევიზიისათვის ჩამოსული ამიერკავკასიაში 1842 წ (იხ. წინა ბარ., და კომ.).

10. ღოლოვინი—ეგზ. ალ. გოლოვინი, კავკ. მთავარმართებელი. 1842 წლის ოქტომბერში მის ნაცვლად დანიშნულ იქნა გენ.-ადიუტანტი ა. ი. ნეიდგარდტი (Акты. ტ. IX).

11. გეუა—გეუა ოჭანაშვილი, ორბელიანების მოურავი.

12. „შტაბის ნაჩალნიკი"—პავ. ე. კოცებუ I.

13. გერგერი—მდებ. ყოფ. ალექსანდროპ. მაზრაში.

14. მამუკა—მამუკა (მაკარ) თომას-ძე ორბელიანი.

15. გიორგი საგინოვი (საგინაშვილი)—სამურის რაზმის ოფიცერი. მსახურობდა ზაქარია ორბელიანთან ერთად ყოფ. სამურის ოლქში. იბრძოდა დაღისტანში 1843—4 წლებში (რაზმის უფროსი იყო მ. ზ. არღუთინსკი).

16. ყორღანოვი—იოსებ ყორღანაშვილი. 1844 წლის ბარათებში გრ. ორბელიანი გ. საგინაშვილთან ერთად მოიკითხავს იოსებს (ყორღანაშვილს), რომელიც სამურში მსახურობდა.

1 8 4 3

33

1. უუბა—მაზრის ქალაქი (ყოფ. ბაქოს გუბერნ.).

2. ხაზრა—დაბა ყოფ. ყუბის მაზრაში.

3. ახტა (ახტი)—გამაგრებული სოფელი აღმოს. დაღისტანში, ყოფ. სამურის ოლქში. ზაქარია ახტაში იმყოფებოდა მ. არღუთინსკისთან.

4. კაკალა (იხ. კომენტ. 27.).

გრ. ორბელიანი 1842 წელს ავარიის მიწებს იცავდა შამილის ჯარებისაგან. ენერ-გიულმა მოქმედებამ და ადმინისტრატიულმა ნიჭმა ის ჩქარა დააწინაურა სამხედრო-ასპარეზზე და 1843 წელს დანიშნულ იქნა ავარიის მმართველად, ან როგორც თავის-თავს უწოდებდა—„ავარიის ხანად". გრ. ორბელიანი ყუბის მაზრისა და ყოფ. სამურის-ოლქის გავლით ჩასულა ავარიაში 1843 წლის 2 ივნისს.

34

1. თემირხანშურა—(იხ. კომენტ. 37).

2. რეინკამპფ—პავ. იაკობის-ძე რენენკამფი, გენერალ-ლეიტენანტი. იბრძოდა რუსეთ-სპარსეთის ომში 1827 წ. და ოსმალთა წინააღმდეგ 1828 წ. 1829 წელს მისცეს გენ.-მაიორის ხარ., ებრძოდა მთიელებს დაღისტანში 1843—4 წ.წ. (Акты, IX; Кавк. Сборник VI, VII.).

3. ზალიკანი—(იხ. ბარათი 31 და შენიშვნები).

4. არლოვი—გრ. ორბელიანი უთუოდ გულისხმობს ივანე ალექსანდრეს-ძე ორლოვს. ქ. ყუბის მაზრის უფროსის თანაშემწე (იხ. Кавк. Календарь 1846. გვ. 197).

5. იბრაიმ ბეგ—იბრეიმ-ბეგი. შვილი მეხთულის სახანოს გამგებლის ახმედ ხანისა (გარდ. 1843 წელს) და ნოხ-ბიქესი (იხ. ნოხ-ბიქეს წერილი, Акты, ტ. XI. გვ. 709). ოფიცერი 1856—1859 წ.წ. მართავდა მეხთულის სახანოს (Е. Козубский: Памятная книжка Даг. областн. თემირხ.-შურა, 1895. გვ. 9). გარდ. 1868 წელს (იხ. Мехтулинские ханы; Сб. свед. о Кавк. горцах, вып. II. გვ. 17).

6. ჯაფარყული ალა—ჯაფარ-ყული-ალა ბაკიხანოვი, 1830 წ. პოდპორუჩიკი. 1839. წ-უფროსობდა მუსლიმანთა ცხენოსანთა პოლკს. 1840 წ. მიიღო კაპიტნის ხარ., 1843.—როტმისტრი. 1844 წელს მისცეს გენ.-მაიორის ხარ.

7. უსუფ-ბეგ (ალუსუფ-ბეგი)—მთიელი ოფიცერი. იბრძოდა დაღისტანში. 1832 წელს—პრაპ. 1852 წ.—გენ.-მაიორი. 1859 წ. მართავდა ქურის (დაღ.) სახანოს (კოზუბსკი. გვ. 11). გარ. 1878 წ. 72 წლისა.

8. ლევანი—ლევან მელიქიშვილი (იხ. შემდეგი წლის ბარათ. და კომენტ.).

9. ტატო—ნ. ბარათაშვილი.

10. ელენე—ელენე ორბელიანი-ერისთავისა.

11. ეკატერინე—ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა.

12 ქეთევან—ქეთევან ორბელიანი.

13. სანდრიკო—სანდრო ორბელიანი (ზაქარიას ვაჟი).

14-15 (ეფემია, მელიტონ)—ბარათაშვილები.

16. კლუკი—ფ. კლუკი-ფონ-კლუგენაუ.

17. ავარია—დაღისტნელ ლეკების ტომის მხარე (იხ. შემდეგი ბარათის კომენტ.).

18. ახმედ-ხანის ძმა.—იგულისხმება ახმედ-ხანი მეხთულელის ძმა ალისულთან, რომელიც იყო პრეტენდენტი ავარიის გამგებლის პოსტისა. შემდეგში პოლკოვნიკი (იხ. Сбор. свед... II. 17).

19. ხულთანეთთა—ავარიელი ხანების ჩამომავალი. დაიბ. 1818 წელს. დაქორწინებული იყო ტარკის შამხალ (თავად) აბუ მუსელიმ-ხანზე (ბერეე). ის შემდეგ გაყრია ქმარს. და მოუთხოვია ქონების ნაწილი.

სალთანეთა გარდ. 1845 წ. (იხ. Мехтулинские ханы, Сб. свед. о Кавк. горцах вып. II, 1868.).

20. შამხალი—ტარკის (დაღისტანი) შამხალი აბუ მუსულიმ-ხანი; რუსის გენერალი. 1856 წელს მიიღო გენ.-ლეიტენანტის ხარისხი. საშამხალოს მმართველი 1836—1860 წ.წ. გარდ. 1870 წ. (იხ. Шамхалы Тарковские. Сб. свед. о Кавк. горцах, вып. I, 1868. IV, 8—80).

21. „ცოლი ახმედ-ხანიხაც“—მეხთულის გამგეპლის ახმედ-ხანის ქვრივი ნოხ-ბიჭე. (იხ. კომენტ. 38).

22. ალექსანდრე—ალექსანდრე ორბელიანი.

23. იაკობ—იაკობ ორბელიანი.

24. კონსტანტინე—კონსტანტინე მამუკას-ძე ორბელიანი.

25. ხოლომონ და ალექსანდრე ონიკოვები—„ქართ. მილიციის“ ოფიცრები (ძმები). იბრძოდენ დაღისტანში 1844—45 წ.წ.

35

1. ხუნძახი—მთავარი სოფელი ავარიაში (დაღისტანი); ყოფილი რეზიდენცია ავარიის ხანებისა. ამჟამად—რაიონული ცენტრი.

როგორც აღნიშნული გვქონდა, გრ. ორბელიანი დანიშნული იყო ავარიის მმართველად. როგორც მისი წერილიდან ჩანს, ავარიელნი უკმაყოფილონი დარჩენილან ქართველის „ავარიის ხანად“ დანიშვნით—ეს უკანასკნელი დაპყრობით პოლიტიკის გამტარებელი იყო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლ მთიელებში. ამიტომაც რუსი სამხედრო ისტორიკოსები ერთხმად აღიარებენ მისი, როგორც ავარიის მმართველის, ღირსებებს. **Н. А. Окольничий: Перечень последних военных событии в Дагестане (1843 г.)** იხ. **Военный Сборник, 1859. I—VI.** განსაკ. ტ. **VI,** განყ. **II** გვ. 10-11-1? და შემდეგ; **А. Юров: 1843 год на Кавказе,** იხ. **Кавк. Сборник,** ტ. **VI.** გვ. 40 დამატება).

გრ. ორბელიანს ავარიაში უნდა ემსახურნა 1843 წ. 14 სექტემბრამდე, რადგან ჩეჩნეთისა და დაღისტნის დიდმა ამბოხებამ (აგვ.-სექტ.) აიძულა რუსები, რათა შიდა დაღისტნის გამაგრებული პუნქტები დაეტოვებინათ (იხ. წერილი არღუთინსკისადმი 29 აგვისტოს თარიღით და კომენტ.).

2. აბრამა—გრ. ორბელიანის მსახური და მოურავი.

3. ალი სულთან—ახმედ-ხან მეხთულელის ძმა (იხ. ზემოთ).

4. ავარია—მდებარეობს ჩრდილ. დაღისტანში ყოისუბუს, გუმბეთისა, ანდისა, უნკრატლისა, ანდალალისა და მეხთულის სახანოს მიწებს შორის. დაღ-ის უძლიერესი ტომის მხარე. მცხოვრებნი ლაპარაკობენ დამოუკიდებელ, ავარიულ, ენაზე. (**А. Берже: Материалы для описания Нагорного Дагестана, К. Кал., на 1859 г. 262—275**).

5. ყაფლან—ყაფლან ორბელიანი.

6. ფ. კლუკი-ფონ-კლუგენაუს ცოლად ჰყავდა ანნა ეფიმის ასული ვინოგრადსკაია.

7. ჭურაჩაი—მდებ. ყოფ. ლენკორანის მაზრაში (ბაქოს გუბ.).

8. ვეხელიცკი—პოდპ. ვეხელიცკი. იბრძოდა დაღისტანში მთიელების წინააღმდეგ. ტყვედ ჩაუვარდა შამილს 1843 წლის 29 აგვისტოს, აულ უნცუქულის შტურმისას (**Юров... Кав. ...б., VI,** გვ. 57. **Чичагова, Шамиль... 1889.** გვ. 67—68). ვეხელიცკი 10 ოფიცერთან ერთად შამილმა მოაკვლევინა 1845 წ. დარგოს აღების წინა დღეებში.

9. შემახია (შემახა)—მაზრის ქალაქი (ყოფ. ბაქოს გუბ.).

10. კონსტანტინე—კონსტანტინე დავითის-ძე თარხნიშვილი.

11. ყუბა—(იხ. ზემოთ 33_1).

12. აქიმოვი—სოლომონ აკიმოვი? (იხ. ბარათი 17 და კომენტ.).

13. კარაევი—ოფიცერი (?).

14. ორლოვი—ივანე ალექსანდრეს-ძე ორლოვი, ქ. ყუბის მაზრის უფროსის თანაშემწე (?) (იხ. К. Кал., 1846. გვ. 197) თუ ოფიცერი პ. ორლოვი, რომელიც 50-ან წლებში დაღ-ში იბრძოდა?

15. რენანკამფი—პავ. იაკ.-ძე რენენკამფი.

16. ებრეიმ ბეგი — (იხ. ამავე წლის 22 აპრილის წერილი და კომენტარიები).

17. „აბასყულიხ ძმა" — გრ. ორბელიანი გულისხმობს აბას-ყული-აღა ბაკიხანოვის ძმას.

18. ზალივკინი (იხ. 31_{13}).

19. ლუსარი — დასასვენებელი, ყოფ. ყუბის მაზრაში, ბატალპაშინის მხარე (პავი-ლოვი).

20. ხაზრა — (იხ. წინა ბარათ. და კომ.).

21. ზაქარია — ზაქარია ორბელიანი.

22. კაკალა — (იხ. კომენტ. 27_7).

23. დერბენდი — ქალაქი_სამხ. დაღისტ.-ში, კასპიის ზღვის სანაპირ.

24. ბუტყიევი — გედეონ ივანეს-ძე ბუტყიაშვილი, „საქართველოს ლინეის" ბატალ-კაპიტანი. შემდეგში — პოლკოვნიკი.

ილია ორბელიანმა შეირთო არა ბუტყიევის და, არამედ ილია ბატონიშვილის ასუ-ლი ბარბარე (რომელიც 1854 წელს ტყვედ წაიყვანეს ლეკებმა წინანდალიდან. გამოსყი-დულ იქნა 1855 წ. აპრილში).

25. ამალათბეგი — ცნობილი კავკასიელი მთიელი-მეამბოხე. ებრძოდა რუსის ჯარებს XIX საუკ. 20-ან წლებში. ახმედ-ხანი ავარიელის კარნახით მოკლა პოლკოვნიკი ვერხოვსკი, რომელიც ყოფ. საშამხალოს მართავდა. ამალათ-ბეგი იყო პრეტენდენტი შამხალის პოსტისა. გარდ. 1822 წ. (ჩამოვარდა კლდიდან). ცნობილია მარლინსკის (ბეს-ტუჟევის) რომანი „ამალათბეგი".

26. სულთანეთასა და აბუ მუსელიმ-ხანის ურთიერთობის შესახებ იხ. ბარათი 22 აპრილის თარიღით და კომენტარიები.

27—28. აბელ და მარზაალა — ოფიცრები (?).

29. ნეხტორი — (?)

0. აღლინკოვი — მინი მაკარის-ძე აგლინცოვი. ოფიცერი; 1845—46 წლებში მსახუ-რობდა კავკ. ჯარ. კორპუსში.

31. „პრაპორჩიკი ებრეიმ" — მთიელი ოფიცერი. აულ ბოხიდან (ანდალალი).

32. ბელაქანი — იგულისხმება ავარიის მოსახღვრე ყოისუბუს აული ბალაქანი. არახტაუ — მთა ავარიაში; იქვეა ამავე სახელწოდების პლატო — მაღლობი.

33. ხიუხი (სივუხი) — აული ავარიაში.

34. ჰაჯიმურად (ჰაჯი-მურადი). შამილის ნაიბი. დაიბ. ავარიაში 1814 წ. იზრდე-ბოდა ავარიელი ხანების სასახლეში. 1834 წელს იბრძოდა გიმრში, იმამ ყაზი-მოლას წინააღმდეგ, სადაც გამოიჩინა დიდი სიმამაცე. ხუნძახის ხანების ამოწყვეტის შემდეგ (1834) დროებით მართავდა ავარიას. სარგებლობდა დიდი პოპულარობით მთიელებში, რო-გორც შეუპოვარი მებრძოლი და მხედარი. ითვლებოდა რუსების ოფიცრად და ებრძოდა დაღისტანის მესამე იმამს — შამილს. როცა ავარიის მმართველად დანიშნეს ახმედ-ხანი მეხთულელი, ჰაჯი-მურადი ავარიის უბრალო მოქალაქედ დარჩა და სარგებლობდა რუსების ჯარების უფროსის, კლუგენაუს, ყურადღებით, რამაც გამოიწვია შური და მტრობა ახმედ-ხანის მხრით. მან დაიბეზღა ჰაჯი-მურადი კლუგენაუსთან (დასწამა ორ-გულობა და შამილთან საიდუმლო კავშირში ყოფნა). კლუგენაუმ გაიწვია ჰაჯი-მურადი თემირხანშურაში. 1840 წლის 10 ნოემბერს ის ბორკილებგაყრილი გამოიყვანეს ხუნძა-ხიდან, მაგრამ გზაზე მოახერხა გაქცევა (გადაეშვა სახარელ ხევში, სადაც ფეხი იღრძოლ) გამოცხადდა შამილთან დარღოში და იმამმა ის თავის ნაიბად დანიშნა, ხოლო შემდეგ მთელი ავარია ჩააბარა. ჰაჯი-მურადმა აანჯაყა ავარია რუსების წინააღმდეგ და ეს მხარე მოაქცია იმამის გავლენის ქვეშ. 40—50 წლებში ჰაჯი-მურადი ითვლებოდა შამი-ლის უმამაცეს ნაიბად, რამაც გამოიწვია შამილის ნაიბების ფარული მტრობა ჰაჯი-მუ-რადისადმი. 1851 წელს შამილმა მას დაავალა ტაბასარანის (დაღ.) მცხოვრებთა აჯან-ყება, მაგრამ ის სასტიკად დაამარცხა მ. არღუთინსკიმ და განდევნა ტაბასარანიდან.

შამილმა ჩამოართვა მას ნაიბობა, რასაც მოჰყვა მტრობა იმამსა და მამაც ნაიბს შორის. ჰაჯი-მურადი ბოლოს იძულებული გახდა დაღისტანი დაეტოვებია. ის გამოცხადდა ვოზდვიჟენსკოეში (ჩეჩნეთის სანაპირო ციხე-სიმაგრე) იქაურ ჯარების უფროსთან. იმავე წლის დეკემბერში ის ჩამოვიდა ტფილისს და გამოცხადდა ვორონცოვთან.

1852 წელს ჰაჯი-მურადმა კვლავ სცადა გაქცევა მთებში, მაგრამ მოკლულ იქნა მდევრების მიერ სოფ. ბელიაჯიკის (ყოფ. ნუხის მაზრა) ახლოლოდ (Акты, VIII—IX, X; В. Потто: Гаджи-Мурат. Биогр. очерк; Воен. Сборник, 1870, № 11, გვ. 159—187; Хаджи-Мурат (Мемуары). Махач-кала, 1927. ლ. ტოლსტოი: ჰაჯი-მურადი. სახელგ. 1928 А. Зиссерман: 25 лет на Кавказе. 2 ტ.; აკ. გაწერელია: გრ. ორბელიანი და ჰაჯი-მურადი. „ლიტ. მემკვიდრეობა", № 1. 1935. Кавк. Сборник, I—X, XXXI. დაწვრ. იხ. „ბიბლიოგრაფია").

35. **ყაზიოვი**—შამილის ნაიბი. ყაზიოვის რეზიდენციად ითვლებოდა აული ყარახი ყოფ. დარღის მხარე. И. П. Линевич: Карта горских народов, подвластных Шамилю, იხ. Сбор. Свед. о Кавк. горцах, вып., VI. გვ. 4. ტფ. 1872).

36. **ღალვაცდებირა** (ღალვაც-დებირ)—შამილის ნაიბი. ჰაჯი-მურადის ცნობით, ღალვაც-დებირი აულ კარატაში ცხოვრობდა (იხ. В. Потто: Хаджи-Мурат, Военный Сборник, 1870, № 11. გვ. 189);

37. **ყიბიტ-მაჰმად**—შამილის ერთ-ერთი ცნობილი ნაიბი, იმამის პოსტის პრეტენდენტი, დაიბ. აულ ტილიტლში. მიიღო განათლება არაბულ ენაზე. რამდენიმე ათეული წელი ებრძოდა რუსის ჯარებს. 1855 წელს საიდუმლო მიმოწერა გამართა გრ. ორბელიანთან, მაგრამ შამილის მუქარამ შეაშინა. დიდი პოპულარობით სარგებლობდა დაღისტელთა შორის, როგორც მუსლიმანი-ფანატიკოსი მეცნიერი და შესანიშნავი სტრატეგი (წყაროები):

Книга Асари—Дагестан (Исторические сведения о Дагестане). Составил Мирза Гасан-Эфенди. იხ. Сборник Материалов, выпуск 46, Махач-Кала, 1929, გვ. 140 (შეიცავს ბიოგრაფიულ ცნობებს ყიბიტ-მაჰმადზე); დაუჯერებელ ცნობებს გადმოგვცემს ი. რუმიანცევი თავის წიგნში: Проповедники мюридизма. СПб 1878; იხ. აგრეთვე: Е. Вейденбаум: Путеводитель по Кавказу, ტფილისი, 1888. გვ. 170; Акты, IX—X—XI—XII; Кавк. Сборник, IV . . . XVIII).

ყიბიტ-მაჰმადი (იგივე კიბიტ-მაგომა) განსაკუთრებით აქტიურად იბრძოდა 1843 წ. გუნიბის აღების წინ (1859 წელი) მან ულალატა შამილს—გაადარცვინა ქარავანი, რომლითაც იმამის განძეულობა და წიგნები მიჰქონდათ გუნიბისაკენ, აულ ტელეტლში დაატყვევა ჯემალ-ედინი ყაზიუმუხელი (შამილის მრჩეველი და მურიდიზმის ცნობილი ქადაგი) და ახლან-ყადი წუდახარელი. ბოლოს თვითონაც გამოცხადდა ბ. ბარიატინსკიხთან.

ყიბიტ-მაჰმადი პირადად შეხვედრია ცნობილ ქართველ არქეოლოგს და ისტორიკოსს ბ. იოსელიანს 1861 წელს ტელეტლში (იხ. ბ. იოსელიანის Путевые записки по Дагестану в 1861 году, ტფ. 1862, გვ. 71; „მნათობი" № 6—7, 1933, გვ. 281). 1863 წელს ყიბიტ-მაჰმადი ოსმალეთში გადასახლებულა. ტფილისში პირადად შეხვედრია გრ. ორბელიანს.

38. **აბდულ რახმან დიბირ**—აბდულ-რახმან-დიბირ ყარახელი, შამილის ნაიბი (იხ. Эсадзе: Штурм Гуниба... გვ. 77; Акты, IX, X).

39. **მანანა**—მანანა ორბელიანი (ტახიკო—მანანას ქალი, შემდეგში—გაგარინისა).

40. **ივანე**—ივანე ორბელიანი (მანანას ვაჟი).

41. (იგივე).

42. **დავით სარდალი**—დავით ორბელიანი, ერეკლე მეორის სიძე და სარდალი, ასპინძის გმირი (1737—1796); ირანულიდან თარგმნა პოემა „ყარამანიანი".

43. **ელენე**—ელენე ერისთავისა.

შამილის ნაიბები

1. მაჰმად-ამინი. 2. დანიელ-ბეგი. 3. მაჰმად-ყადი, 4. ტალგიკ არლუნელი. 5. იდილ ვედენოელი. 6. დუბა. 7. ჰაშად. 8. ბატუკო შატოელი. 9. ესკი ხულხულაელი. 10. სა-დუ მიჩიკელი. 11. მირზა-ჰაზიაო (შამილის ბარათების დამტარებელი).

44. „ორსავ მარიამს“—გრ. ორბელიანი უნდა გულისხმობდეს მარიამ ივანეს ასულ ორბელიანს (დიმიტრი თომას-ძე ორბელიანის მეუღლე, შემდეგში—კავკასიის მთავარმართებელ ა. ბარიატინსკის სიდედრი) და მარიამ ბატონის რძალს (?).

45 იაკობ—იაკობ ორბელიანი, გრიგოლის ნათესავი.

46. ძალუა ნინო—ნინო ორბელიანი (იაკობის ცოლი).

47. ალექსანდრე - ალექსანდრე ორბელიანი.

48. ალექსანდრე —ალექსანდრე საგინაშვილი.

49. ბაბალე—ბაბალე ორბელიანი-საგინაშვილისა.

50. ელისაბედ—ელისაბედ ორბელიანისა.

51. ზაქარია—ზაქ. ორბელიანი.

52. ლევან—ლევან ივანეს-ძე მელიქიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიძაშანაგიზგიმნაზიიდან, შემდეგში—კავალერიის გენერალი (1816—1892). 1843 წელს ლ. მელიქიშვილი შტაბის კაპიტანი იყო. 1848 წელს ბრიფო პოდპოლკოვნიკის ხარ., და დანიშნულ იქნა კორდონის ხაზის მარცხენა ფლანგის უფროსად. 1858 წელს—ამ ხაზზე მოქმედ ჯარების სარდალი. მონაწილეობას იღებდა გუნიბის აღებაში 1859 წელს (ებოძა გენ.-ლეიტენანტის ხარ.,). 1861 წელს—გენერალ-ადიუტანტი და დაღისტანში დაბანაკებულ ჯარების სარდალი. 1869 წ.—კავალერიის გენერალი. 1877 წელს ჩააკრო ახალი ავანყება დაღისტანში. 1880 წ.—მთავარმართებელის მოადგილე. მიღებული ჰქონდა სხვადასხვა ხარისხის ორდენები. 1882 წელს—სახელმწიფო საბჭოს წევრი. 1883 წელს უბოძეს ანდრია პირველწოდებულის ორდენი (Алекс., X, XI, XII). დასაფ. მთაწმინდაში.

53. ტატო—ნიკ. ბარათაშვილი.

54—55. (მელიტონ-ეფემია) ბარათაშვილები.

56—57. (კატო და ბაბალე) ბარათაშვილები (ნიკოს დები).

58. მთავარმართებელი — 1842—1844 წლებში კავკასიის მთავარმართებელი იყო ალ. ივ. ნეიდგარდტი.

59. იაგორ სტეფანიჩ—იაგორ სტეფანეს-ძე ყორლანაშვილი.

60. გერასიმე—გერასიმე ყორლანაშვილი.

61. ანდრია—ორბელიანების მოსამსახურე (?).

62. ალექსანდრე—ალექსანდრე ბაბაიევაძე.

63. ხალომე—სალომე ბაბაიევაძე.

64. დავით—დავით ალექსანდრეს-ძე ბაბაიევაძე.

36

1. კლუკი—კლუკი-ფონ-კლუგენაუ.

2. პასსეკი—დიმიტრ ვასილის-ძე პასეკი, გენერალ-მაიორი. იბრძოდა დაღისტანში მთიელების წინააღმდეგ. 1841 წელს აიღო აული ცელმესი, რომელსაც იცავდა ჰაჯი-მურადი. 1843 წელს—რაზმის კომანდირი ავარიაში. მოკლეს მთიელებმა ცნობილი „დარგოს ექსპედიციის“ დროს (1845 წ.). მასალები: Н. Горчаков: Экспедиция в Дарго (1845 г.). Кавк. Сборник, т. II; В. А. Геймана 1845 год. К. Сб., ტ. III.

3. ბარახთოუ—არაკტაუ. მთა ავარიაში.

4. კიხა[ ]ტლი—კონხიდატლი? (აუ[illegible]ის სახელწოდების აღდგენა ვერ მოხერხდა).

5. ანსატლ (ანსალტა)—ავარიელ ტომის აული ტეხნუცალში (მთიანი დაღისტანი).

6. დარგო (იგივე დარგო)—გამაგრ. აული ირჩერიაში (ჩეჩნეთი). შამილის რეზიდენცი, 1840—1845 წლებში. მდებარეობს მდ. აკსაის მარჯხენა ნიკარეს.

7. ანდი. უპირავს მდ. ანდიის ყოისუს მარცხენა სანაპიროები ვიდრე გუმბეთამდე. დაღისტნის ერთ-ერთი უძლიერესი ტომის მბრძ. ანდში სოფლები გაშენებულია მიუდგომელ კლდეების ტერასებზე. მთავარი სოფელია—ანდი (იხ. А. Берже—Краткий обзор

17. გრ. ორბელიანი. წერილები.

горских племен на Кавказе, ტფ. 1859, გვ. 40—41). აიღო მ. ს. ვორონცოვმა 1845 წელს.

8. „ხანის ხალი"—გრ. ორბელიანი ჯულისხმობს ხუნძახის ბატონების სასახლეს. ავარიის უკანასკნელი მართველი იყო ომბრაიმ ხანი მეხთულელი (ნოხ-ბიქეს ვაჟი), რომელ საც ჩამოერთვა ეს პოსტი 1853 წელს და სახანოც გაუქმდა. აკარიის ხანების სასახლე ხუნძახში იყო აგებული.

9. ანდელები—ანდელი მთიელები. მეხელტა—აული ავარიელ ტომისა.

10. კარტა. მთავარი აული ამავე სახელწოდების ტომისა დაღისტანში შამილის ვაჟის, ნაიბ ყაბი-მაჰმადის რეზიდენცია. იქ არის დამარხული შამილის უფროსი ვაჟი—ჯამალ-ედინი, რომელიც 1859 წელს გარდაიცვალა.

11. ტინდი (ტიდი, ტინდი-ბოღოს)—მთავარი აული ავარიელ ტომისა, ტინდელების.

12. ყარახლელები—დაღისტნელი ტომი, ავარიელები.

13. ყელელები—?

14. მოსე ზახარიჩი—მ. ზ. არღუთინსკი.

15. გოგოტლ—აული ავარიაში.

37

1. „ქვეშელების ხაქმე"—?

2. ბუთრა—სოფელი დარღელ მთიელთა ტომისა. შედიოდა აყუშაში.

3. ამ ცნობას ადასტურებს შამილის ბიოგრაფებისა და სამხედრო ისტორიკოსების მიმოხილვები. მაჰმად ტაჰირ ყარახელიხ ცნობით უხცუქულაში (დაღ.) ცხოვრობდა მკვდელი ჯიბრაილ. ის გამგზავრებულა მექაში იმამის ნებართვით. დაბრუნებისას აუგია პატარა ქარხანა, რკინის სადნობი. შამილის მფარველობით და დახმარებით. მას უცდია ზარბაზნის ჩამოსხმა. პირველი ზარბაზანი გამსკდარა პირველსავე გასროლისას. მეორე და მესამე კი გამძლე და კარგი გამოსულა... რკინას მთიელები შოულობდენ სხვადასხვა აულებში, აშილტაში, ახულგოს მიდამოებში და იყენებდენ რუსების მიერ დატოვებულ ზარბაზნების ნამსხვრევებსაც (Сборник мат. для опис. местн. и племен Кавказа вып. 45. გვ. 143. Махач-Кала, 1926—წერილი: სამი იმამი). ჯიბრაილ უნცუქულელი მოუკლავთ 1847 წელს (იხ. К. Сбор., VI. გვ. 548—9).

4. ჭუხი (ჭოხი, ჩოხი)—გამაგრებული აული ანდალალში (ამჟ. გუნიბის რაიონში შედის). შამილის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტი დაღისტანში, რომლის მიმართ მრავალჯერ იქნა მიტანილი იერიში რუსის მხედრობის მიერ.

5. ჰინყა აჯია—ინყო-ჰაჯი, შამილის ნაიბი. მის რეზიდენციად ითვლებოდა აული ჭოხი, რომელსაც ის მედგრად იცავდა მრავალი წლის განმავლობაში. სამხედრო ისტორიკოსების გადმოცემით ინყო-ჰაჯი ყრუ ყოფილა (Акты, X—XI; Кавк. Сбор. IV—XV.). ამ ცნობას ადასტურებს ჰაჯი-მურადიც, თავის ჩვენებაში მ. ლორის-მელიქოვისადმი (იხ. ავტორეთვე: Асари—Дагестан..., გვ. 141).

6. რუღოჯაბი (რუგჯაბ)—აული გუნიბის რაიონში (ანდალალი, ცენტრ. დაღისტანი).

7. ანდალალი—მდებარეობს შუა (ცენტ.) დაღისტანში, მდ. ყარა ყოისუსა და ავარიის ყოისუს შორის. კავკასიური ომის დროს ანდალალში გამაგრებული აულები იყო ჩოხი (ჭოხი) და გუნიბი (მწვერვალი, მთა). ანდალალები გამოირჩეოდენ თავიანთი წარმოებითა და სხვ. (Берже: Краткий обзор... გვ. 41. Неверовский: Кр. взгляд на Сев. и Средний Дагестан. СПб. 1847, გვ. 10). მცხოვრებთა რიცხვი ანდალალის აულებში, 1847 წლამდე, 25 ათასს აღწევდა.

8. ყუიადა—ავარელთა ტომი, რომელიც ცხოვრობს მდინარე ავარიის ყოისუს ანაპიროების მახლობლად (А. Берже: Кр. Обзор.., ტფ. 1858, გვ. 42). მთავარი სოფელი—ყუიადა (კუიადა).

9. გრ. ორბელიანს მხედველობაში აქვს რუსეთის სამხედრო პოლიტიკა დაღისტანში: ჩეჩნეთსა და დაღისტანში დაბანაკებულ ჯარებს უნდა გაემაგრებინათ და შეენარჩუნებინათ დაკავებული პუნქტები, მაგრამ სისტემატურად წინსვლისა და შეტევის საშუალებას ისინი ეოკლებული იყვნენ. ამ უკანასკნელს მიმართავდენ მხოლოდ მთავარმართებლის ნებართვით ან მისი მეთაურობით.

10. მოსე ზახარიჩი—მ. არლუთინსკი-დოლგორუკოვი.

11. დიმიტრი კუზმიჩი—დიმიტრი კუზმას-ძე ასეევი.

38

1 და 2 (იხ. კომენტ. 35 და 27).

3. მურუდი (მურიდი)—არაბ. ნიშნავს ჭეშმარიტების მაძიებელს,—კავკასიური მურიდიზმის ძიმდევარნი, რომელთაც მეთაურობდენ ყახი-მოლა, ჰამზად-ბეგი და შამილი. მურიდები იყვნენ იმამის უახლოესი თანამებრძოლნი და ბრძოლის დროს ხელმძღვანელობდენ მთიელების აჯანყებულ მასებს. მურიდიზმი, როგორც რელიგიურ-ნაციონალური მოძრაობა, ბატონობდა დაღისტანსა და ჩეჩნეთში 60-ან წლებამდე (შამილის დატყვევებამდე).

4. ზილლუ (ძილოი, ზილო, ზილოდირალ)—აული (სოფელი) ანდში (Материалы... გვ. 28 [1]).

5. ჯამალადინი—ჯემალ-ედინი ყაზიყუმუხელი; მურიდიზმის ერთ-ერთი ცნობილი მამამთავარი, მუსლიმანური სქოლასტიკის მცოდნე და მთიელებში მეცნიერად ცნობილი ფანატიკოსი; შამილის უახლოესი მრჩეველი და ნათესავი (ჯემალ-ედინის ასული, ზაიდეთი, ცოლად ყავდა შამილს) (Е. Вейденбаум—Путеводитель по Кавказу, ტფ. 1888, გვ. 159; Чичагова—Шамиль... გვ. 14. Вердеревский: Плен у Шамиля. 1858).

ჯემალ-ედინი ცხოვრობდა შამილთან ერთად ერლოში. ის გაიქცა ყაზიყუმუხიდან ასლანხანთან უთანხმოების გამო (ასლან-ხანი იყო ყაზიყუმუხის მმართველი 30-ან წლებში). (წყაროები: Асари—Дагестан..., გვ. 137; მისი ვაჟის, აბდულ რაჰმანის მოგონებანი, იხ. „Кавказ", 1862, № 72—76. აგრეთვე: მეორე ვაჟის, აბდულ რაჰმანის მოგონებანი—Сбор. матер.., вып. XXII). ჯემალ-ედინ ყაზიყუმუხელის შრომა ტარიკატის შესახებ სათაურით „აბდულ მარზია" დაიბეჭდა რუსულად (იხ. Сбор. сведения о Кавк. горцах, 1869, II 1—22).

6. ქითაბი—არაბ. წიგნი. იგულისხმება ყურანი.

7. ეს საინტერესო ცნობა, ჰაჯი-მურადისა და გრ. ორბელიანის მოლაპარაკების შესახებ, მოითხოვს შემდეგს განმარტებას. ჰაჯი-მურადი შამილს მიემხრო 1840 წლის ნოემბერში. მას შემდეგ, ათი წლის განმავლობაში, ჰაჯი-მურადი იმამის ბრძანებებს წარბშეუხრელად ასრულებდა. ამიტომაც საეჭვოა ჰაჯი-მურადს განეზრახა შამილის ღალატი 1843 წელს, როცა შუა დაღისტანში ჯერ კიდევ სარდლობდა ჯარებს გენერალი ფ. კლუკი-ფონ-კლუგენაუ, რომლის ბრძანებითაც ის გაბაწრული გამოიყვანეს ავარიიდან. ჰაჯი-მურადმა უარი განუცხადა კლუგენაუს, – თავისი გაქცევის შემდეგ,—დაბრუნებაზე (ამ მოლაპარაკების ისტორიის შესახებ იხ. А. Юров: 1840, 1841 и 1842-й год на Кавказе, Кавк. Сборник, т. х. გვ. 361—368; Хаджи-Мурат. Мемуары, М.-Кала, 1926). როგორც ჩანს, ჰაჯი-მურადი დიპლომატიურად ატყუებდა გრ. ორბელიანს და ეს უკანასკნელიც მიხვედრილი იყო ჭკვიანი ნაიბის მანევრებს.

ხარდალი—მთავარმართებელი ბ. ნეიდგარდტი.

8. კლუკი—ფ. კლუკი-ფონ-კლუგენაუ.

9 ანსალტი (ანსალტა—იხ. კომენტ. 36).

10. გრ. ორბელიანის დედა, ხორეშანი, იყო მეფე ერეკლეს ქალის, ელენეს, ასული (ი. მეუნარგია, ცხოვრება და ღვაწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა. 1905. გვ. 3).

11 ავარიის ყოფილი მმართველის **ახმედ-ხანი მეხთულელის** ქვრივი **ნოხ-ბიქე** ცხოვრობდა მეხთულის სახანოს (დაღისტ.,) მთავარ სოფელ **ჯუნგუთაში**. 1846 წელს გაიტაცა ჰაჯი-მურადმა და გამოსყიდულ იქნა 1847 წლის მარტში (იხ. 1816—7 წლების ბარათები და კომენტ.); როგორც აღნიშნული გვქონდა, ჰაჯი-მურადსა და ახმედ-ხანს შორის არსებობდა მტრული ურთიერთობა. ნაიბმა ვერ მოკლა ახმედ-ხანი და შური იძია მის ქვრივზე (იხ. წინა კომენტ.).

ჯუნგუთაი—მთავარი სოფელი მეხთულის სახანოში (დაღისტ.). ყოფილი რეზიდენცია მეხთულის ხანებისა.

12. **ყაზანიჯი**—სოფელი ყოფ. ტარკის საშამხალოში ამჟამად ქ. ბუინაკსის (ყოფ. თემირ-ხან-შურა) რაიონში შედის.

13. **პასხეკი** (იხ. კომენტ. 35).

14. **შამხალი**—შამხალ-ტარკის (აღმოს.-სამხ. დაღისტანი) მიწების მფლობელი და მმართველი **აბუ მუსელიმ-ხანი**, შემდეგში გენერალ-ადიუტანტი (იხ. წინა კომენტ.), შამხალები ეკუთვნოდენ არისტოკრატიულ წოდებას (Акты, IX, X, XI; А. Берже: Краткий обзор... გვ. 43).

15. შამხალსა და ნოხ-ბიქეს შორის არსებობდა დავა სხვადასხვა უფლებებზე—საშამხალოსა და მეხთულის სახანოს მიწებს მოსაზღვრე მდებარეობა უჭირავთ.

16. **ჰიმამი** (არაბ.—იმამ)—სასულიერო და სამხედრო (სამოქალაქო) მეთაური მთიელებისა. იმამებად იწოდებოდენ იმ მუსლიმან მისტიკოსთა მოწაფეები და მიმდევრები, რომლებიც ჰქადაგებდენ **ტარიკატს** (ღმერთის შეცნობის გზები). (იხ. Вейданбаум: Пут. по Кавказу, გვ. 158). ყაზი-მოლამ, ჰამზად-ბეგმა და შამილმა გააფართოვეს იმამის უფლებები—ისინი დაღისტნის ფაქტიურ სულთნებად იქცნენ.

17. **ასლან-ყადი**—ასლან-ყადი წუდახარელი, შამილის მიმდევარი, რომელიც მეთაურობდა წუდახარის ამბოხებულ მცხოვრებთ რუსების წინააღმდეგ 1843—1844 წლებში. მურიდიზმის ცნობილი ქადაგი.

ასლან-ყადი წუდახარელის სურათი დაბეჭდილი აქვს გ. გაგარინს თავის ცნობილ ალბომში (იხ. Le Caucase pittoresque dessine d'apres nature. Paris. 1847—1849).

ყადიები ჩვეულებრივ სასულიერო და ადმინისტრაციულ ფუნქციებს ასრულებდენ, მათ აულის მცხოვრებნი ირჩევდენ.

18. **ყულიული** [ნსახური—სამსახ.].

19. **დავით სარდალი**—ერეკლე II-ის მთავარსარდალი დავით ორბელიანი (იხ. ზემოთ); ასპინძის გმირი, რომელსაც გრ. ორბელიანი ასე ახასიათებს: „დავით სარდალი ორბელიანი, განთქმული ვაჟკაცობითა და სარდლობით. ეს იყო მიზეზი დიდის გამარჯვებისა ახატ-ხანზე ერევანთან და ასპინძის ომშიც ოსმალ-ლეკებზე" (ლექსები. 1928. გვ. 168).

20. 1843 წელს ხაქარია ორბელიანი მსახურობდა სამურის ოლქში (დაღ.), მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვთან.

21. **ალუში** (აღყოშა, აჰყოშა, აკუშა, აყუშა)—დარღის ტომისა (ცენტრ. დაღისტანი) და მისი მთავარი სოფლის სახელწოდებაა. დიდი აული. ცნობილი იყო მაუდის წარმოებით (Берже: Ко. обз., გვ. 44; კოზუბსკი, გვ. 250—251). აკუშა-ს ეტიმოლოგიისათვის: აკუ—უფროსი, მთავარი; ში—ადგილი, სოფელი (კოზუბსკი, გვ. 251. შდრ. Мр. и НК. Цебенко: Дагестан. Москва—М.-Кала. 1929, გვ. 176).

22. **ყაზიყუმუხი**—კასპიის ახლო მდებარე მხარე, მოქცეულია დარგის, ქურისა, ყაითაღისა და სიურგის მიწების საზღვრებს შორის (ბერჟე, Op. cit., 44)

23. შამილი საერთოდ ფრთხილად იქცეოდა, ის წინასწარ არ ამხელდა თავის ნამდვილ განზრახვას, ავრცელებდა ერთმანეთის საწინააღმდეგო ხმებს მომავალი ლაშქრობის შესახებ. 1843 წელსაც ავარიაში დაირხა ხმა შამილის აყუშისა და ყაზიყუმუხისაკენ გალაშქრების მხადების შესახებ, რაც მართალი არ გამოდგა: შამილი აგვისტოში დაეცა უნცუქულს და არა აყუშას (А. Юров, Кавк. Сборник, VI, გვ 50—57).

24. **მოხე ზახარიჩი** - მ. ზ. არღუთ.-დოლგორუკოვი.

25. **რუღჯაბი**—იგივე რუღჯა, რუღოჯაბი (იხ. კომენტ. 37).

26. **ანდიის ყოისუ**—მდინარე ანდიის ყოისუ ორი შტოსაგან შედგება. პირველი მოდინარეობს მთა ბორბალოდან (თუშეთი), მეორე—დიდოეთიდან. ეს შტოები შემდეგ ერთდებიან. ანდიის ყოისუ გაივლის ანდს და ერთვის ავარიის ყოისუს. ეს უკანასკნელი მდ. სულაკის შენაკადს წარმოადგენს. სულაკი ერთვის კასპიის ზღვას.

27. (იხ. კომენტ. 30).

28. **ილია** – ილ. ორბელიანი.

29. **ქულ ფათი** – ჯალაბობა (პირდაპირი მნიშვნ.: სახლობა—სახლი/ოთახი).

39

1. გრ. ორბელიანის ეს ფრაზა, ჩვენის ფიქრით, წარმოადგენს ბგერების ხელოვნურ შერჩევას ავარიული საუბრის შთაბეჭდილების გადმოსაცემად, პაროდიულ ეფექტის გამოწვევის მიზნით. გრ. ორბელიანი ზოგჯერ მიმართავს ამ ხერხს.

2. ნ. **ბარათაშვილი**, როგორც ჩანს, გრ. ორბელიანის ამ სიტყვებს გულისხმობს როცა თავის ბიძას სწერს (1843 წ. 21 აგვისტ): „**ხაყვარელო ძმაო გრიგოლ, არა, უკაცრავად, მთავარო ავარიოხაო, ემირ ავარო, ატტილახ ტახტზედ მჯდომარეო!**".. (იხ. ლექსები, ტფ. 1922. გვ. 103).

3. 1841 – 4 წლებში კლუგენაუ სარდლობდა დაღისტანში მომქმედ ჯარებს. მისი შტაბის ბინა ქ. თემირხანშურაში იყო.

4. **ევდაკიმოვი**—ნიკ. ივ. ევდოკიმოვი, პოლკოვნიკი. შემდეგში ინფანტერიის გენერალი (1804—1873). სამხედრო სამსახური დაიწყო 1821 წელს. 1831 წელს იბრძოდა აულ გიმრთან, ყახი-მოლას წინააღმდეგ, სადაც ტყვიით დასჭრეს (ტყვია მოხვდა სახეზე—მარჯვენა თვალის ახლოს. ამის გამო მთიელები მას „**ხამთვალახ**" („უჩგიოს") ეძახდენ. 1842—3 წლებში—პოდპოლკოვნიკი და პოლკოვნიკი აპშერონის პოლკისა. 1850 წელს დანიშნულ იქნა კავკასიის ხაზის მარჯვენა ფლანგის უფროსად და მე-19 ქვეითი დივიზიის მე-2 ბრიგადის კომანდირად. 1855 წელს ევდოკიმოვს ებოძა გენერალ-ლეიტენანტის ხარისხი. 1858 წელს ჩაატარა უაღრესად მნიშვნელოვანი სამხედრო ექსპედიციები ჩეჩნეთში. 1859 წლის აპრილში აიღო შამილის რეზიდენცია—ვედენო, რისთვისაც ებოძა გიორგის მე-3 საფ. ორდენი, გენერალ-ადიუტანტის ხარისხი და გრაფის ტიტული. მონაწილეობას იღებდა იმავე წელს გუნიბის აღებაში. 1860 წ. - ყუბის მაზრის უფროსი. გარდ. 1873 წ. 23 მაისს (Акты, IX, X, XI, XII; Кавк. Сбор. II—XVIII; მოგონებანი ნ. ევდოკიმოვზე გაბნეულია სხვადასხვა ჟურნალებში).

5. **კიკუნა** (კიკუნი) – აული ანდალალში.

6. **არღუთაშვილი**—მ. ზ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი. მ. არღუთინსკი ტფილისელი სომეხი იყო და არღუთაშვილად იწოდებოდა ქართულ წრეებში (როგორც ბებუთოვი – ბებუთაშვილად, თუმანოვი—თუმანიშვილად და სხ.).

7. **პახსეკი**—დ. პასეკი (იხ. კომენტ. 35).

8. **უხუმბეგი**—**ბუსუფ-ბეგი** ყარანაელი (იხ. 22 აპრ. ბარათი და შენიშვნ.).

9—10. **ხულთანეთა, ნოხ-ბიჭე** (იხ. წინა ბარ. შენიშვნები).

11. **ტატო** – ნ. ბარათაშვილი.

12. **ლევან** – ლევან მელიქიშვილი.

13. **ძალუა ქეთევან**—ქეთევან ორბელიანი (ზაქარიას მეუღლე).

14. **ხანდრიკო**—სანდრო ორბელიანი (ზაქ. ვაჟი).

15. **იაკობ**—იაკობ ორბელიანი.

16. **ნინო**—ნინო ორბ-ი, იაკობის მეუღლე.

17. **ყაფლან**—ყაფ. ორბელიანი.

18. კონსტანტინე—კონსტანტინე მამუკას-ძე ორბელიანი (?).

19. ალექსანდრე—ალექსანდრე ორბელიანი.

20. აბრამა—ორბ. მოსამსახურე.

21. გრიგოლ, ზაქარია და ილია ორბელიანები მრავალი წლის განმავლობაში იხდიდენ ვალს, რომელიც მათ დედის სიკვდილის შემდეგ დარჩათ. როგორც ჩანს, მათ ყოველწლიურად შეკონდათ ფული სახელმწიფო სალაროში. ვალის შესახებ გრ. ორბელიანი უფრო ვრცლად სწერდა 1833 წლის 11 სექტემბერს ზაქარიას (იხ. ბარათი 4).

40

1. რეინკამფი—პავ. იაკ. რენენკამფი (იხ. ზემოთ).

2. თათბუთრელები.—თათბუთრა (ანუ ჩერბილი) მდებარეობს ანდიის ყოისუს მარცხენა მხარეს. დაღისტნელ ლეკების ტომის სახელია.

3. (იხ. კომენტ. 30).

4. ახვერდი მაჰმადი—შამილის ერთ-ერთი საუკეთესო ნაიბი. იბრძოდა ახულგოსთან 1839 წელს. უმამაცესი მეომარი და შამილის ერთგული თანამებრძოლი, რომელმაც 1840 წელს ააჯანყა ჩეჩნეთი რუსების წინააღმდეგ. ძალით გადაასახლა სანაპირო აულები შიდა ჩეჩნეთში. იმავე წელს დაეცა ქ. მოზდოკს, საიდანაც გაიტაცა სომეხ ულუხანიანის ასული და მიჰგვარა შამილს (იმამმა შემდეგ ის ცოლად შეირთო და უწოდა შუანეთა).

ა. ბერეეს ცნობით, ახვერდი-მაჰმადი დაუკრიათ 1842 წელს აულ წორხე დაცემისას და იმავე წელს გარდაცვლილა (იხ. Чечня и Чеченцы. ტფილისი, 1859, გვ. 111; იხ. აგრეთვე Кавк. Сбор., ტ. VII, გვ. 216). ნამდვილად კი ახვერდი მაჰმადი დასჭრეს 1843 წელს ხევსურებმა, როცა ის მოულოდნელად დაეცა სოფ. შატილს მრავალრიცხოვანი მთიელებით (იხ. ვეიდენბაუმის Пут. по Кавказу, გვ. 170—171; შდრ. А. Зиссерман: Поездка в Шатиль, იხ. Сборчик газ. „Кавказ", ტფილისი, 1847. გვ. 90). შატილში მიღებულ ჭრილობისაგან ახვერდი მაჰმადი იმავე წლის 18 ივნისს გარდაიცვალა (Акты, ტ. IX გვ. 897).

ახვერდი მაჰმადი ყოფილა შვილი ტყვე—პროზილიტ მუსლიმანისა (იხ. Сборник материалов для опис. местн. и племен Кавказа, вып. 45. მახაჩკალა, 1926. გვ. 92. შენიშვნა.,). მაჰმად ტაჰირ ყარახელიხ შრომა „ხამი ომამი" იძლევა საინტერესო ცნობებს ახვერდი მაჰმადის შესახებ (იხ. დასახ. კრებული. აგრეთვე—Кавк. Сбор. I—XII ტ. ტ.).

5. მთავარმართებელი—ა. ი. ნეიდგარდტი.

6. ხიმბორსკი—ა. სიმბორსკი. გენერ.

7. კაბიოვი—?

8. გიორგი ერისთავი—ცნობილი გენერალი და სენატორი.

9. მამაცოვი—იოსებ ქრისტეფორეს-ძე მამაცაშვილი, „კოლეგიის სეკრეტარი" და გორის მაზრის მოსამართლე (Кавк. Календарь, 1846. გვ. 195). გრ. ორბელიანის ცნობით იოსებ მამაცაშვილი „სუდიად" დაუნიშნავთ 1842 წელს (ნახე ტექსტი).

10. მარიამ—მარიამ ორბელიანი (დიმ. ორბელიანის მეუღლე).

11. ქეთევან—ქეთევან ორბელიანი.

12. ბარბარე—ბარბარე ერისთავი, კონა ერისთავის მეუღლე (?).

13. კონა—კონა ერისთავი. მანანა ორბ-ის ძმა. თავისი დროისათვის ცნობილი მედოლე. (იხ. С. О. Кишмишев: Тифлис сороковых годов. ტფ. 1894, გვ. 10).

14. ალექსანდრე ხაგინოვის ცოლი—იგულისხმება ბარბარე ორბელიანი-საგინაშვილისა.

15. იაკობის ცოლი—იგულისხმება იაკობ ორბელიანის მეულლე ნინო.

16. ბაკლანა - ბაკლანა ორბელიანი (იგივე: ალ. გ. ორბელიანი).

17. ქურახი—ქურის სახანოს სოფელი, რეზიდენცია ქურის ხანებისა.

18. ახტა—(იხ. კომენტ. 33_3). ზაქარია ორბელიანი მსახურობდა ახტაში, ხოლო 1844—47 წლებში მართავდა სამურის ოლქს (იხ. შენიშვნა 3_3).

41

1. გილლარი (გილარ)—სოფელი ყოფ. ქურის სახანოში. გამაგრებული პუნქტი. ცნობილი იყო კუსტარული წარმოებით.

2. იგულისხმება ახმედ-ხანი ავარიელი. დაიბადა 1834 წელს. ხუნძახელი ხანების ჩამომავალი, აბე ნუნცალ-ხანის (მოჰკლეს 1834 წ.) ვაჟი. იმჟამად მცირეწლოვანი.

3. ობოდა—სოფელი ავარიაში.

4. გრ. ორბელიანს მხედველობაში აქვს მ. არლუთინსკის მიერ შამილის დამარცხება ყახიყუმეხში 1842 წლის მაისში (იხ. 1842 წლის ბარათები და კომენტ.).

5. ყუაადა—(იხ. კომენტ. 37).

6. ყოროდა (ყოროდა)—ავარიელ ტომის სოფელი. მდებ. ავარიის ყოისუს მახლ., საკეპრო პუნქტი შამილის დროს..

7. ახვახი—მთავარი სოფელი ამავე სახელწოდების ავარიელ ტომისა. ცუნტა-ახვახი და რათლუ-ახვახი მდებ. ავარიის ყოისუსა და ანდიის ყოისუს მახლ. (ბერჟე, Кр. Обз, გვ. 42).

8. ღალღაელები (ღალღაი, ღილღო, ღლიღვო)—ჩეჩნელთა ერთი ტომი, ქისტების მახლობლად მცხოვრები (ბერჟე, Op. cit., 33), მდ. ასის სათავეებთან ბინადრობენ (იქვე). ღლიღვოსთან იბრძოდა პოლკ. ზოლოტარევი, როცა ახვერდი მაჰმადი დაეცა შატილს. შამილის ნაიბი ალბათ ღლიღვოში გარდაიცვალა. გრ. ორბელიანისათვის უცნობი ყოფილა ამ ტომის ვინაობა და ახვერდი-მაჰმადის სიკვდილის ნამდვილი მიზეზი.

9 შობოტა (იგივე შოტოტა)—აული ავარიაში.

10. რეინკამფი—პ. ი. რენენკამფი.

11. [„ლაზუთჩიკები"—(რუს.) მსტოვრები, ჯაშუშები].

12. ჩაჩანი (ჩეჩნეთი)—მდებ: ჩრდ. კავკასიის სამხრ. აღმოსავლეთით. ჩრდილოეთით სახლვრავს ყოფ. თერგის ოლქი და დაღისტანი. აღმოსავლეთით—დაღისტანი, სამხრეთით—საქართველო, დასავლეთით—ინგუშეთი. ამჟამად—ავტონომიური რესპუბლიკა (ისტორ.-გეოგრ. შრომა: А. Берже: Чечня и Чеченцы, ტფილისი, 1859).

13 „ანდრიიდამაც"—იგულისხმება სოფ. ანდრეევო, სადგ. ენეზპანაიას მახლობლად (ჩეჩნეთი).

14. დიმიტრი კუზმიჩი—დიმიტრი კუზმას-ძე ასეევი.

15 ვრონკინი - კაპიტანი ვრონკინი. 1844 წელს დაიკრა ყაყაშურასთან ბრძოლის დროს (იხ. შემდეგი წლის ბარათები და წერ.).

42

1. მუთავაქალლულელ ქინიაზ ხან ორბელიან ემირ ავარ—[მოსავი ლეთისა (მუთავაქილულაჰი) თავადი ორბელიანი-ხანი, ემირი ავარიისაა].

2. ორბელიანები ცხოვრობდენ გარეუბანში, ტფილისს. თავისი ლექსის „ზამბაზი-ს ერთი ტაეპის—„არც დღეს გავალ გარეთ უბანს"..—უკანასკნელ სიტყვებს გრ. ორბელიანი ასეთ შენიშვნას უკეთებს: „ხადაცა ცხოვრობდნენ ორბელიანნი". ლექსები. 1928 გვ. 163).

3. 1841—1842 წ.წ. ილია ორბელიანი მსახურობდა ტფილისის ეგერის პოლკში და ითვლებოდა გენ. ფეხეს ადიუტანტად. 1842 წელს მან მონაწილეობა მიიღო აულ გერგებილისა, გიმრისა და ჯოხის „დაკავებაში“. აგრეთვე სალათავიაში მიმდინარე სამარ ოპერაციებში. 1843 წელს ილია ორბელიანი სამხედრო სამსახურში არ ითვლებოდა და მხოლოდ 1844 წელს დაინიშნა კავკ. ჯარების კორპუსში, არმიის ხაზით.

4. მთავარმართებელი — ა. ნეიდგარდტი.

5. ჯარი—სოფელი ყოფ. ზაქათალის ოლქში.

6. ყიზლარი — ქ. ყიზლარი (მდებ. ყოფ. თერგის ოლქში. ნახე რუკა).

7. მეტლი (უნდა იგულისხმებოდეს მიატლი, სალათავიის სოფელი. სალათავიას უკირავს დაღისტნის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი. ბერჟე, Материалы, 276, 280)

8. მან სანი ნოჭარიამ, მან სანი აშპაბიამ [თურქ. ყანიყუმ. მე თქვენი ნოქერი ვარ, მე თქვენი მეგობარი ვარ].

9. ტონუხი—სოფ. ავარიაში (დაღ.). იგივე: ტანუს.

10. მოკოხი (მოჩოხ)—აული ავარიაში.

11. ოკლო (იგივე ოიკ-ლო, ოჩლობ)—სოფ. ავარიაში.

12. ნაიბები. ნაიბები შამილის დიქტატურის დროს ათასეულის მეთაურნი იყვნენ და ებარათ სანაიბო, რომლის მმართველებადაც ისინი ითვლებოდენ. ომის დროს ნაიბებს გამოჰყავდათ ჯარი, დაახლოვებით ათასამდე კაცი. ნაიბებს ზოგჯერ იმამის ნებადაურთველადაც შეეძლოთ რომელიმე მეზობელ ტომზე თავდასხმა (თუ ახლო მდებარე სოფლები რუსეთის ქვეშევრდომნი იყვნენ). ნადაელის უმეტესი ნაწილი ეგზავნებოდა იმამს.

ნაიბები ატარებდენ ლურჯ ჩალმას და ცხოვრობდენ საკუთარ რეზიდენციებში., შამილის ნაიბებს შორის, რომელთა რიცხვი 20-ს აღწევდა გასული საუკ-ის 50-ან წლებში, ყველაზე ცნობილი იყვნენ: ახვერდი მაჰმადი, შუაიბ-მოლა, ჰაჯი-მურადი, ყიბიტ-მაჰმადი. დანიელ-სულთანი, ომარ-დებირ სალთელი, გოიტემირ, ტოლგიკ და ყაზი-მაჰმად (შვილი შამილისა). (იხ. წესდება ნაიბის მოვალეობათა შესახებ: Низам Шамиля. Сборник сведений о Кавк. горцах. ტფილისი, III, ნაწ. 1. გვ. 1—18).

13. შვაიბ მოლა (შუაიბ-მოლა)—შამილის ნაიბი, ჩეჩნელი. ახვერდი მაჰმადის სიკვდილის შემდეგ იმამმა ის დანიშნა უფროს ნაიბად ჩეჩნეთში. გმირულად იბრძოდა ჯერ კიდევ გრაბეს ექსპედიციის დროს. 1842 წელს, იჩქერიის ტყეში. ფანატიკოსი მურიდი. მოუკლავთ სისხლის აღების ნიადაგზე 1844 წელს აულ წინთერთან (ჩეჩნ.) (იხ. Кавказский сборник, ტ. VII, გვ. 216).

14. [გრ. ორბელიანისა და ჰაჯი-მურადის „მოლაპარაკების“ შესახებ იხ. ზემოთ].

15. კოდა—(სოფელი ქართლში. ტფილისის რაიონი).

16. დანიელ სულთანი—(იგივე დანიელ-სულთანი, დანიელ ბეგი, სულთახი).

17. ყაფლანი—ყაფლან ასლანის-ძე ორბელიანი.

18. ინშაჰლლა—[არაბ. ღმერთმა ინებოს].

19. დავითნი—იგულ. დავითის ფსალმუნები.

20. ტატო—ნ. ბარათ-ი.

21. ვანო—ივანე ორბელიანი, მანანას ‘ვაჟი.

22. იაგორ სტეფანიჩი—ი. ს. ყორღანაშვილი.

23. გერასიმა—გერ. ყორღანაშვილი.

24. იბრეიმა—ჰოხელი იბრეიმ, პრაპ.

25. შამხალი—აბუ მუსელიმ-ხანი.

26. იგულისხმება ის დავა, რომელიც სულთანეთასა და აბუ მუსელიმ-ხანს შორის არსებობდა.

27. ხულთან-ახმედ-ხანის ქალი—როგორც აღნიშნული გვქონდა სულთანეთა, აბუ შუსელიმ-ხანის ცოლი (შემდეგ გაყრილი) ხუნძახელი ხანების ჩამომავალი იყო. მამამისი, ხულთან-ახმედ-ხანი ავარიელი იყო უფროსი შვილი მეხთულელ ხანის ალი-ხულთანისა (მეხთულის ხანების დინასტია წარმოადგენდა ავარიელ ხანების უმცროს შტოს). ახმედ ხანმა ავარიის მფლობელობას მიაღწია უმახან ავარიელის ქვრივის—გიხალის დახმარებით. მისი ცოლი იყო პახუ-ბიქე (მოჰკლეს 1834 წ.), რომლისგანაც ჰყავდა მას სულთანეთა.

28. უუტყაშინსკი—ისმაილ ნასურლის-ძე კუტკაშინსკი. 1847 წელს ის პოლკოვნიკის ჩინით მსახურობდა კავკასიის ჯარების კორპუსში. გრიგოლ ორბელიანი, როგორც კონტექსტიდან ჩანს, ლაპარაკობს „უუტყაშინსკის ცოლზე", როგორც ქმრისაგან გაყრილზე.

29. ჯუნგუთაი (იხ. შენ. 38_{11}).

30, 31, 32 (ბარათაშვილები).

33. ხოლომონ ონიკოვი (იხ. ბარათი 34 და კომენტარ.).

34. ალექსანდრე—ალექსანდრე ონიკოვი (იხ. ბარ. 34).

35. კოსტანტინე—კონსტანტინე მამ.-ძე ორბელიანი.

36. ალექსანდრე—ალექსანდრე ორბელიანი.

43

1. როგორც ჩანს, ვალის დასაფარავად ორბელიანებს თავიანთი მამულის ნაწილი გაუყიდიათ.

2. ილხი—ცხენის სახელია (? .

3. ბეშ მანათ და ფულ ვერდი (თურქ.)—ხუთი მანეთი ფული მომეც.

4. ჰუწათლი (გოცატლ, გოწათლი)—აული ავარიაში.

5. ივან პავლოვიჩ (?)—გვარი გამოურკვეველი რჩება. გრ. ორბელიანი ალბათ გულისხმობს ს. ორბელიანთან მყოფ ერთ-ერთ ოფიცერს. ს. ორბ-ი კი 1843 წელს სამურში მსახურობდა მ. არღუთაშვილთან.

44

1. „ყაფლანიხშვილი"—გრ. ორბელიანს მხედველობაში აქვს თავისი გვარის ჰერალდიკა. ორბელიანები დიდი ყაფლან ორბელიანის ჩამომავალნი იყვნენ.

2. მთავარმართებელი.—ა. ი. ნეიდგარდტი.

45

1. ავარიიხ ყოიხუ—მდინარე ავარიის ყოისუ გამოდის კავკასიის მთავარი ქედიდან და სოფ. აშილტას (დაღისტანი) მახლობლად უერთდება ანდიის ყოისუს.

2. ზირანა (ზირიანი)—სოფელი ყოისუბუში, ავარიის ყოისუს მახლობლად.

3. თალაყორი—მთა ავარიაში.

4. შურა—თემი ავარიაში.

46

1. უნცუკული—„უნცუკული ყოისუბუს ერთერთი დიდი სოფელია. ის მდებარეობს ყოისუბუს სამფლობელოს ბოლოს, ავარიის ყოისუსაგან ერთი ვერსტის დაშორებით. უნცუკულის მცხოვრებნი მთიელებს შორის განიქმულნი არიან თავიანთი წარმოებით: მათი ყალიონების ოსტატები საუკეთესოებად ითვლებიან კავკასიაში" (ბერეკე, Матер., გვ. 283).

ყოისუბუ მდებარეობს ანდიის ყოისუსა და ავარიის ყოისუს შესართავთან, გუმბეთ-სა და ავარიას შორის. ყოისუბუს აულები წარმოადგენდენ შამილის მურიდების თავშე-საფარს. 1843 წელს უნცუკული მიემხრო შამილს (Берже, Кр. Обзор.., გვ. 41).

2—3. ხარაჯი და ბეტლეტა—აულები ყოისუბუში (ბერჟე, Матер..., 283—4).

4. გიმრი—აული გიმრი ძევს უნცუკულიდან 4 ვერსტის დაშორებით, ავარიის ყოი-სუს მარჯვნივ, ღრმა ხეობაში. აქ დაიბადენ ყაზი-მოლა და შამილი. მურიდიზმის სამ-შობლო.

გიმრი აიღო 1832 წელს რუსის ჯარმა. აულის აღებისას მოკლულ იქნა იმამი ყაზი-მოლა.

გიმრი ყოისუბუში შემავალი სოფელია.

5. გრ. ორბელიანის ეს ცნობა ეხება კავკასიური ომის უმნიშვნელოვანეს მომენტს. სახელდობრ: იმამი შამილი 1843 წლის აგვისტოს მიწურულს დაიძრა სალათავიისაკენ.. დილიმის (აული სალათავიაში) და გუმბეთის გავლით მიადგა ყოისუბუს. 27 აგვისტოს. მან ალყა შემოარტყა ყოისუბუს მთავარ სოფელს—უნცუკულს. იმამთან ერთად მოვიდენ მისი ცნობილი ნაიბები: ყიბიტ-მაჰმადი და ჰაჯი-მურადი. შამილის ჯარი 10 ათასი მთიელისაგან შედგებოდა.

უნცუკულს იცავდა პოდპოლკ. ვესელიცკი. მიუხედავათ რუსის ბატალიონების თავ-განწირული ბრძოლისა, შამილმა აიღო უნცუკული 29 აგვისტოს და აულის მცველი გარ-ნიზონი ამოწყვიტა. უნცუკულიდან ის დაიძრა ავარიის გამაგრებულ პუნქტებისაკენ. გასაოცარი სისწრაფით მოქმედებდა იმამის ჯარი. მთელი ავარია შიშმა ძოიცვა. მან ზედიზედ აიღო ყოისუბუს აულები: ბალაქანი, ხარაჯი, ირგანაი და დაემუქრა ავარიას. ჰაჯი-მურადის ენერგიულმა მოქმედებამ ავარიის დაპყრობას შეუწყო ხელი და მალე ხუნ-ძახიც აღმოჩნდა ბლოკადის მდგომარეობაში. ხუნძახის მცხოვრებთა და რუსი მხედრო-ბის განწირული მდგომარეობა სასწრაფოდ აცნობეს ნეიდგარდტს, რომელმაც მ. არღუ-თინსკის დაავალა დაძრულიყო ხუნძახისაკენ, ხოლო გენ. შვარცსა და დანიელ-ბეგს (ელი-სუს მმართველს)—კავკასიონის ქედის გადავლის შემდეგ დასცემოდენ შუა დაღისტანს. 14 სექტემბერს არღუთინსკის რაზმი შეუერთდა კლუგენაუს რაზმს და ამგვარად ხუნძახის გარნიზონი გადარჩენილ იქნა თითქმის აუცილებელი განადგურებისაგან. გრ. ორბელიანი. კლუგენაუსთან იმყოფებოდა უაღრესად კრიტიკულ მომენტში.

შამილის მიერ უნცუკულის აღებასა და ავარიის დაპყრობას მოჰყვა დიდი ამბოხება დაღისტანსა და ჩეჩნეთში. 1843 წელი ითვლება შამილის ძლიერების აპოგეის ხანად.

ხუნძახიდან კლუგენაუს რაზმი ჩავიდა თემირხანშურაში (გზაზე დიდი სიძნელეებისა. და დაბრკოლებების გადალახვით). გზა მას გაუხსნა სამურის რაზმმა მოსე არღუთინსკი-დოლგორუკოვის მეთაურობით, რომელიც 14 სექტემბერს შეუერთდა კლუგენაუს რაზმს. (მთლიანი მიმოხილვისათვის: А. Юров: 1843 год на Кавказе, Кавказский Сборник, ტ. VI. გვ. 1—219. დამატება: 1—40. ეფროვის წერილი შეიცავს საინტერესო ცნობებს გრ. ორბელიანის სამხედრო ოპერაციების შესახებ 1843 წელს. იხ. აგრეთვე: Акты, ტ. IX. ა. ბერჟეს წინასიტყვაობა და ოფიციალური ჩვენებანი გენერლებისა... Н. А. Окольничий: Перечень последних военных событий в Дагестане. Военный Сборник, 1859 ტ.ტ. I—VI).

6. კლუკი—კლუგენაუ.

7. ყოროდა—ავარიელთა სოფელი. ცნობილი იყო ბაზრით შამილის დროს.

8—9. [ყუთადა—როლჯაბი (რუღოჯაბი)]. იხ. კომენტ. 37.

10. „ზახარი დიმიტრიჩ"—ზაქარია ორბელიანი. როგორც ჩანს, დ. ასეევს (იხ. ქვე-მოთ) გრ. ორბელიანის ეს წერილი არღუთინსკის ბრძანებით გაუგზავნია ზაქარია ორბე-ლიანისათვის, რადგან ეს უკანასკნელი არღუთინსკის რაზმის ოფიცერი იყო და ალბათ თავის ბატალიონით თამაური რაზმიდან დაშორებული იქნებოდა (არღუთინსკი ყაზიყუ-მუხში იდგა). მას ავალებენ სასწრაფოდ მოსვლას არღუთინსკისთან, ხუნძახისაკენ წასას-ვლელად... კავკასიური ომების ისტორიისათვის გრ. ორბელიანის ეს წერილი უაღრე-

სად მნიშვნელოვანი დოკუმენტია ბარათი გადმოგვცემს იმ სულიერ ვითარებას, რომელშიაც იმყოფებოდენ ხუნძახში გამომწყვდეული გენერლები: კლუკი-ფონ-კლუგენაუ და გრ. ორბელიანი (კლუგენაუ თუმცა რამდენჯერმე გავიდა ხუნძახიდან, მაგრამ იძულებული გახდა უკანვე დაბრუნებულიყო).

11. დ. ახეევი — დიმიტრი კუზმას-ძე ასეევი.

ზაქარიასადმი გაგზავნილ ბარათებში გრ. ორბელიანი ხშირად მოიკითხავს „დიმიტრი კუზმიჩს". 50-ან წლების კავკასიის სამხედრო მოღვაწეთა შორის ცნობილია დიმიტრი კუზმა.ს-ძე ახეევი, რომელიც 1853—1858 წლებში აპშერონის პოლკის კომანდირის თანამდებობას ასრულებდა (იხ. Богуславский: История Апшеронскаго полка, ტ. II, 1897), 1858 წელს—დერბენდის გუბერნატორი. 60-ან წლებში კი ბაკოს გუბერნატორის თანამდებობის ამსრულებელი (იხ. Кавк. Календарь, ტფ. 1858. გვ. 459). როგორც ჩანს უფრო ადრე (1842—1843 წ.წ.) ის მსახურობდა არღუთინსკისთან საძურში. 1845 წ. კი ასეევი ითვლებოდა სამეგ. ეგერთა პოლკის ოფიცრად (პოდპოლკ. ხარისხით). სხვა ასეევი ჩვენ არ შეგვხვედრია კავკასიის სამხ. მოღვაწეთა სახელებს შორის. ცხადია, გრ. ორბელიანი გულისხმობს დ. კ. ახეევს, როდესაც ზაქარიას ავალებს „დიმიტრი კუზმიჩ"-სათვის სალამის გადაცემას. გრ. ორბელიანის წერილის რუსული მინაწერი ეკუთვნის სწორედ „დ. ახეევ"-ს, რომელიც არღუთინსკისთან ყოფილა. ზ. ორბელიანიც ამ უკანასკნელთან მსახურობდა სამურში.

1857 წელს დ. კ. ასეევი იბრძოდა სალათავიაში გრ. ორბელიანის (მაშინ კასპიის მხარეთა მმართველი) ხელქვეით (იხ. Богусл., Ист. Апш. полка, II, 233).

12. ყუმუხი—მთავარი სოფელი ყაზიყუმუხში.

1844

47

1. ახმედხანის ცოლი — ნოხ-ბიქე.

2. ჯუნგუთაელები—ყოფ. მეხთულის სახანოს მთავარი სოფლის—ჯუნგუთაის მცხოვრებნი.

3. 1844 წელს გრიგოლ ორბელიანი დაინიშნა ყოფ. მეხთულის სახანოს მმართველად (იხ. Кавказский Сборник, ტ. VI. გვ. 40) და ამ პოსტს 4 წელიწადი შერჩა (იხ. 1848—1849 წ. წ. ბარათები და კომენტ.); გრ. ორბელიანის რეზიდენციად ითვლებოდა ს. ჯუნგუთაი, სადაც ცხოვრობდა ახმედ-ხანის ქვრივი—ნოხ-ბიქე. გრ. ორბელიანის გამგებლობაში შედიოდა აგრეთვე საშამალო. ამიტომაც გასაგებია შამხალ ახუ მუხელიმ-ხანიხა და გრიგოლ ორბელიანის „ქეფრი" ურთიერთობა (იხ. ბარათის ტექსტი).

გრიგოლ ორბელიანი 1844 წელს ხშირად ჩადიოდა თემირხანშურაში, სადაც ჯარების შტაბს ჰქონდა ბინა.

4. კლუგენაუს ხუნძახიდან გამოსვლის შემდეგ დროებით მოხერხდა თემირხანშურასა და ხუნძახს შორის პირდაპირი კავშირის გაბმა, გზებზე ჯარის ბატალიონების დაბანაკებით. პოდპოლკოვნიკ პასეკს დაეცალა ხუნძახის დაცვა. შამილის ენერგიულმა მოქმედებამ, აულ გერგებილის აღებამ და რუსის ჯარის ბატალიონების დახვევამ ავარიის შუაგულიდან ხუნძახი კვლავ საშიშ მდგომარეობაში ჩააყენა. თემირხანშურაში ბოლოს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ავარიის ჯარებისგან დაცლის შესახებ და პასეკს ებრძანა ხუნძახის დატოვება. ამ ბრძანების შესრულება მოითხოვდა დიდი დაბრკოლებების გადალახვას: ავარიაში ყველა გზები დაკერილი იყო უკან დახევისათვის.

პასეკის რაზმის მოქმედებისათვის თვალყურის დევნება შამილმა დაავალა ჰაჯი-მურადს. ბოლოს პასეკი დაიძრა ხუნძახიდან, აული გააოხრა და ციხე-სიმაგრეები მოშალა. 6 ნოემბერს მან დაიწყო თავისი ცოობილი „უკან დახევა". სოფელ ხირიანში (ყოისუბუ) პასეკის რაზმს ალყა შემოარტყა ჰაჯი-მურადმა და აულ ბალაქანში (ყოისუბუ) გასავლელი გზა გადაუკრა. ბლოკადამ ერთ თვეს გასტანა და მიუხედავად აუტანელი პირობებისა, რომელშიაც ჯარისკაცები იმყოფებოდნენ (ძლიერი ყინვა, სურსათ-სანოვაგის უქონლობა), პასეკის რაზმი მაინც ვერ იქნა ძლეული. ჰაჯი-მურადმა შესთავაზა პასეკს გასასვლელი გზა, თუ კი რაზმი სოფელს დასტოვებდა. ნაიბის ეს მანევრი პასეკმა კარგად შეაფასა: მან მოითხოვა სწორედ ჰაჯი-მურადი ან ყიბიტ-მაჰმადი, თავის მხრით კი შამილს ჰპირდებოდა გრ. ორბელიანს, რომელიც თემირხან-შურიდან უნდა გამგზავრებულიყო ინჭეთან. ამ წინასწარი პირობის შესრულება აუცილებელი იყო, რომ ჰაჯი-მურადი ხეობაში არ დასცემოდა რაზმს, რომელსაც სრული განადგურება მოელოდა. ეს წინასწარი პირობა არ იქნა დაკმაყოფილებული და პასეკმა გადასწყვიტა თავის დაცვა. ბოლოს მიღებული იქნა ცნობა გენ. ფრეიტაგის რაზმის მოახლოებისა. რომელმაც გზაზე აულ ყარანიშთან დაამარცხა შამილი და მიუახლოვდა ხირიანს. პასეკის რაზმი გადურჩა დაღუპვას.

ასეთი „უკან დახევისა" და ხირიანში თავის დაცვისათვის პასეკს მისცეს პოლკოვნიკის ხარისხი (შემდეგ გენ. მაიორის ხარ.), ხოლო ჯარისკაცებს—სხვადასხვა საჩუქრები. (იუროვი, Кавк. Сборник, VI, გვ, 189—198)—იუროვს დაწერილებით აქვს აღწერილი პასეკის რაზმის დახევის ეპიზოდები.. Окольничий: Перечень.... Акты, ტ. IX).

5. ახლან ყადი—წუდახარელი.

6. წუდახარი—დარღის ტომის მხარე და სახელწოდება ამ მხარის მთავარი სოფლისა, მდებ. მდ. ყაზიყუმუხის ყოისუს მახლ., 1877 წელს დაანგრიეს და გადაიტანეს $1^1/_2$ ვერსტის დაშორებით ძველი ადგილიდან.

7. ჰუხუმ ბეგი (იგივე ჯუსუფ-ბეგი).

8. ჰარუმა—ჰარუმ ბეგი.

9. იხ. ზემოთ (4); პასეკის „Донесение" დაბეჭდილია „აქტები"-ს მე-9 ტომში (№ 679). ამონაწერები მოყავს ხ. ეხაძესაც (Штурм Гуниба... გვ. 142—145; აგრეთვე Кавк. Сборник, ტ. I: Отступление из Хунзаха Пассека).

(1844 წლის ბარათები (გარდა ერთისა) ჩვენ დავთარიღეთ წლების მხრით. ჩვენი დათარიღების სისწორე არავითარ ეჭვს არ სტოვებს. მათი თანმიმდევრობა ნათელი გახდება ყოველი დაკვირვებული მკითხველისათვის: ბარათებს ათარიღებს უწინარეს ყოვლისა ქრონოლოგია იმ ისტორიული ფაქტებისა, რომელსაც გ. ორბელიანი გადმოგვცემს თავის წერილებში).

48

1. ერიხთვის შვილი—ზაქარია გიორგის-ძე ერისთავი.

2. „ანდრეევსკიხთან"—ციხე-სიმაგრე ანდრეევსკოე, მდებ. მდ. სულაკზე—ჩეჩნეთისა, და სალათავიისა (დაღისტანი) საზღვარზე, სოფ. ჩერქეის მახლობლად. აგებ. 1841 წ.

3. ყარაყაითალი იყოფა ორად: ქვემო და ზემო ყარაყაითალად. ქვემო ყარაყაითალი მდებარეობს კ. დეობენდის ჩრდილოეთით, კასპიის ზღვის სანაპიროთა მახლობლად. ზემო ყარაყაითალი კი მდებ. აყოშასა და ყოფ. ყაზიყუმუხისა და ქურის სახანოებს შორის. აღმოსავლეთით მას საზღვრავს ტაბასარანი (ბერეე: Кр. Обзор... გვ 43).

4. მთავარმართებელი—ა. ნეიდგარდტი. 1844 წლის აპრილში ნეიდგარდტი ჩავიდა დაღისტანს და ხელმძღვანელობდა სამხედრო ოპერაციებს.

5. ლლებოვი—მიხეილ პავლეს-ძე გლებოვი, ლეიბ-გვარდიის როტმისტრი. გლებოვი მ. ს. ვორონცოვის ადიუტანტების სიაში გვხვდება (К. Кал. ტფ. 1846. გვ. 217).

6. „ანიაზი"—იგულისხმება მოსე ზაქარიას-ძე არღუთინსკი-დოლგორუკოვი, რომელთანაც ზაქარია ორბელიანი მსახურობდა სამურში.

7. იგულისხმება გურკოსა და ფრეიტაგის რაზმების სამხედრო ოპერაციები დაღისტანში (1844 წ.)

8. ოსეს—იოსებ ყორლანაშვილი.

49

1. „ანიაზი ბებუთოვი"—ვასილ იოსების-ძე ბებუთოვი (ბებუთაშვილი), ინფანტერიის გენერალი (1791—1858). სამხედრო სამსახურში შევიდა 1809 წელს. იბრძოდა სხვადასხვა ექსპედიციების დროს (ტორმასოვისა და ერმოლოვის მთავარმართებლობისას). 1819—1820 წლებში ებრძოდა მთიელებს დაღისტანში. 1828 წელს მისცეს გენ.-მაიორის ხარ., 1829—30 წ. წ.—ოსმალებს ებრძვის ახალციხეში. იმავე წლებში დაინიშნა ნახიჩევანისა და ერევნის გუბერნიების მმართველად. 1844 წელს გენ.-ლეიტენანტი ბებუთოვი დაინიშნა ჩრდილოეთ და მთიან დაღისტნის ჯარების ხარდლად. ამ პოსტს ის შერჩა 1847 წლამდე. 1849—1853 წ. წ. ამ.-კავკასიის სამოქალაქო ნაწილის სამმართველოს უფროსი. 1853 წელს ბებუთოვი სარდლობდა ჯარების კორპუსს კავკასიისა და ოსმალეთის სახღვრებზე; ამ წლის 19 ნოემბერს მან დაამარცხა ოსმალთა 33 ათასიანი კორპუსი ბაშკა-დიკლართთან, ხოლო 1854 წ. 24 იელისს კი 60 ათასი ჯარისკაცისაგან შემდგარი ოსმალთა კორპუსი კიურეკ-დართან. 1855 წელს ბებუთოვი კვლავ მართავს კავკასიის სამოქ. ნაწილს. გარდ. 1858 წ. მარტში (Акты, IX, X, XI; Биографический очерк.. იხ. Кавк. Календарь на 1875 год. ტფ. 1874, გვ. I—VII;).

2. ჩერქეი—აული სალათავიაში (დაღ.).

3. შურა—თემირხანშურა.

4. პეტროვსკი—მდებ. კასპიის ზღვის პირად. დაღისტნის კულტურულ-ადმინისტრატიული ცენტრი. ამჟამად—ქ. მახაჩკალა.

5. ჩირაღი—დიდი აული ყაზიყუმუხში, ხოზერეკსა და რიბას შორის.

აღუთინსკიმ ჯარი ამ აულში 29 აპრილს ჩააყენა. გრ. ორბელიანს მხედველობაში აქვს სამურის რაზმის სამხედრო ოპერაციები დიღისტანში (იხ. შენ. 50).

6. დანიელ ბეგი 1844 წლის ივნისამდე ჯერ კიდევ ითვლებოდა რუსის გენერლად და ელისუს მმართველად. 4 ივნისს კი მან მეჩეთში საჯაროდ გამოაცხადა თავისი განზრახვა შამილის მხარეზე გადასვლისა და ერთგულების ფიცი დასდო. გენ. შვარცმა დაამარცხა დანიელ ბეგის მიერ აჯანყებული ელისუს სოფლები და ექს-სულთანი დაღისტანში გაიქცა. შამილმა ის კარგად მიიღო და დანიშნა თავის ნაიბად. მის რეზიდენციად ითვლებოდა აული ირიბი (ტლესსერეხში, დაღისტანი) (იხ. იუროვი, ესაძე; Акты, IX).

7. ყარახი—ჩრდილო დაღისტანში მცხ. ლეკების სახოგადოება, რომელიც რამდენიმე სოფელს ითვლის. უკირავს ყარა-ყოისუს სახაპიროები.

8. ტელეტლი (ტელეტლი, ტილიტლი)—დიდი აული ანდალალის მახლობლად, ცენტ. დაღისტანში. ხაიბ ყიბიტ-მაჰმადის ყოფილი რეზიდენცია (ტელეტლის სურათი დაბეჭდილი აქვს გაგარინს თავის Le Caucase pittoresque-ში).

გრიგოლ ორბელიანს მხედველობაში აქვს სამურის რაზმის სამხედრო ოპერაციები დაღისტანში. არღუთინსკის განზრახვა ჰქონდა აედო აული ტელეტლი. ის დაიძრა ყაზიყუმუხიდან და სექტემბერში მიაღწია ტელეტლს. გზაზე აღებულ იქნა ყველა მნიშვნელოვანი პუნქტები და 17 სექტემბერს ჯარი იდგა ყიბიტ-მაჰმადის მიუდგომელი რეზიდენციის პირისპირ. არღუთინსკის ჯარმა დაუშინა ზარბაზნის ტყვიები აულს, მაგრამ მისი აღება არ მოხერხდა ცუდი კლიმატური პირობების გამო (Кавказский Сборник, VI. გვ. 277—280).

9. ხოლოტლო (გოლოტლ)—აული თლეურუთლში (ავარია), ამჟამად შედის ხუნძახის კანტონში.

10. გრიგოლ ორბელიანს მხედველობაში აქვს გენერალ ლიდერსის მიერ აყუშის „დაწყნარება" 1844 წლის აპრილში; ლიდერსის ლაშქრობაში მონაწილეობას ილებდა თვითონ მაიორი ჯრ. ორბელიანიც. აულ ყადართან (საშამხალო) მას გზაზე 1500 ცხვარი მოუტაცნია (იხ. Кавк. Сборник, ტ. VII, გვ. 195: „Окончив рекогносцировку, Князь Орбелиани возвратился к отряду, захватив по пути до 1500 голов баранты"). მრავალი ასეთი „დამსხვრებისათვის" გრიგოლ ორბელიანი მოელოდა „წარდგენას" (დაწინაურებას). მას მისცეს პოლკოვნიკის ხარ.

11. დუმჩი დალ (?) ტურჩიდალ (?)—მთა დალისტანში. დაჰყურებს ანდალალის სოფელ ბოხს.

50

1. მაჰმად ყადი — მაჰმად-ყადი აყუშელი. აყუშის ამბოხების მეთაური 1843 წელს. ფანატიკოსი მურიდი. იბრძოდა ყიბიტ-მაჰმადთან ერთად 1843—1844 წ. წ.

2. ყანაშურა (ყაყა-შერა, კაკა-შურა) — აული მეხთულაში; სოფელში მოსახლეობენ ყუმიხები.

3 გრ. ორბელიანს მხედველობაში აქვს შემდეგი ისტორიული ფაქტი; 1844 წლის 3 ივნისს გენ.-მაიორმა პასეკმა ყაყა-შურასთან დაამარცხა შამილის ნაიბის ყიბიტ-მაჰმადისა, მაჰმად-ყადი აყუშელისა და ასლან-ყადი წუდახარელის მთიელთა მრავალრიცხოვანი „ჯარი". რამდენიმე ბატალიონით პასეკმა შესძლო 27 ათასი მთიელისაგან შემდგარი ჯარის რკალის გარღვევა, რის შემდგომ თვითონვე გამოუდგა გაქცეულ მტერს. გამარჯვებულებმა ხელთ იგდეს 23 ბაირაღი, ხოლო საომარი ველი 250-დე დახოცილი მურიდისა და მთიელის გვამებით იყო მოფენილი. რუსებმა დაჰკარგეს 104 ჯარისკაცი, 9 უახბი და 35 ოფიცერი სხვადასხვა ჩინისა.

4. კაპიტანი ვრონკინი ყაყა-შურასთან ბრძოლის დროს უფროსობდა აშერონის პოლკის ოთხ როტას. გამოიჩინა სიმამაცე, მაგრამ მძიმედ დაიჭრა. გრ. ორბელიანი დაწვრილებით გადმოგვცემს ამ ფაქტს (შდრ. იუროვი: Кав. Сбор., VII, 200; ესაძე, Штурм Гуниба...).

5. ნეიდგარდტი — მთავარმართებელი ა. ნეიდგარდტი 1844 წელს დალისტანში იმყოფებოდა და თვითონ ხელმძღვანელობდა სამხედრო ოპერაციებს.

6. „ანდრეევიხკენ"— იგულისხმება ანდრეევსკოე (იხ. კომენტ. 48).

7. ხუბარა — აული სალათავიაში (ბერეე).

8. სალათაუ – (სალათავია. იხ. წინა ბარათების კომენტარიები).

გრ. ორბელიანის მიერ ნაჩვენები მარშრუტი ჯარების მოქმედებისა ზედმიწევნით შეეფერება 1844 წლის სამხედრო-ისტორიულ მიმოხილვებს (იხ. Акты, IX. А. Юров: 1844 год на Кавказе, Кавказский Сборник, VII, გვ. 157 – 372).

9. ყაფჩუღაი – უუმიხების აული ყოფ. საშამხალოში. მდებარეობს მახაჩკალა (ყოფ. პეტროვსკ)-ბუინაკს (ყოფ. თემირხანშურა) რკინიგზის ხაზზე.

10. შამხალ ანგიურთ (შამხალ-იანგი-იურთ)—სოფელი ყოფ. საშამხალოში, მდ. სულაკის ბახლობლად, სადგ. ყახი-ურთის ახლოს.

51

1. ზაკარია ერიხთოვი — (იხ. წინა წლის ბარათები და კომენტარიები).

2. ოთარ თარხნიშვილი — ოფიცერი. მსახ. კავკ. ჯარების კორპუსში.

3. ზარაფოვი — ოფიცერი (?).

4. ილია — იგულისხმება ილია ორბელიანი.

5. ბაკლანა — ბაკლან ორბელიანი.

6. დავით ჭავჭავაძე — დავით ალექსანდრეს-ძე ჭავჭავაძე.

7. ლევან მელიქოვი — ლევან ივანეს-ძე მელიქოვი.

გრ. ორბელიანის მიერ ამ პირებთან ერთად დასახელებულია ის ადგილები, სადაც ბსენებული ოფიცრები მსახურობდენ. 1844 წელს ისინი ჩასულან თემირხანშურაში, დაღისტანს მიმდინარე ბრძოლებში მონაწილეობის მისაღებად.

9. მთავარმართებელი — ა. ი. ნეიდგარდტი.

10. ლიდერსი — ალ. ნიკ. ლიდერსი 1, გენერალ-ადუტანტი (1790—1874). 1844 წ. სარდლობდა ჯარებს ჩრდ. და შუა დაღისტანში. 1845 წელს მონაწილეობა მიიღო ცნობილ „დარღოს ექსპედიციაში" (ვორონცოვის მიერ შამილის რეზიდენციის აღებაში).

11. ლუკო — ვლად. ოს. გურკო, ინფანტერიის გენერალი (1795—1852). 1844 წელს იბრძოდა დაღისტანსა და ჩეჩნეთში. ააგო ციხე-სიმაგრე—ვოზდვიჟენსკოე (1844 წ.), რომელიც მრავალი წლის განმავლობაში წარმოადგენდა ძლიერ საფარს ჩეჩნეთის სანაპირო ხახზე. 1845 წელს გურკო ითვლებოდა კავკასიის ჯარების მთავარი შტაბის უფროსად და მონაწილეობა მიიღო დარგოს ექსპედიციაში (აქტები, IX. X.).

12. ბურთუნაი — აული სალათავიაში (1857 წელს გამაგრებული ბურთუნაი აიღო გრ. ორბელიანმა. იხ. 1857 წლის ბარათები და კომენტ.).

13. ფრეიტაგი — რობერტ კარლ. ფრეიტაგი, გენ.-ადიუტანტი (1805—1851). 1840 წ. დაინიშნა ქურის ქვეითი პოლკის კომანდირად. 1843 წელს იბრძოდა დაღისტანში. 1844 წ. დაინიშნა მე-20 ქვეითი დივიზიის უფროსად. 1845 წელს, ცნობილ „დარღოს ექსპედიციის" დროს, გენ. ფრეიტაგმა იხსნა მ. ვორონცოვის მცირერიცხოვანი რაზმი, ოომელიც გარშემორტყმული იყო შამილის მურიდებით.

14. ზირანა (ზირიანი) იხ. კომენტ. 45_2.

15. ხულთანი — დანიელ-ბეგი, ელისუს ეკს-სულთანი.

16. ილია თარხნიშვილი — ოფიცერი, იბრძოდა დაღისტანს 1844—1845 წ. წ.

17. პლატონ აჩიევი (ჩაჩაშვილი)—ოფიცერი (?).

18. ხიმშრი — იგულისხმება დიმიტრი მესხიშვილი, ზაქარია ორბელიანის ცოლის, ქეთევანის, მამა (ანჩისხატის დეკანოზი).

19. ლევან — ლევან მელიქიშვილი.

20. ალეინიჩი — დარღოს მმართველი. მაიორი. გარდ. 1845 წ. (იხ. შემდეგი წლის ბარათები და კომენტ.).

8—21. ბ. ხაგინაშვილი — მიხეილ დიმიტრის-ძე საგინაშვილი. 1845 წელს — მაიორი. საქ. გრენად. პოლკის ოფიცერი. იხ. Кавк. Календарь, ტფ 1846, გვ. 221; ალ. საგინაშვილის ძმა.

22. ალექსანდრე ბატონიშვილის შვილი ირაკლი—ირაკლი ბატონიშვილი, ერეკლე II ძის, ალექსანდრეს, შვილი (მეფე გიორგი XII-ის ძმის წული). დაიბ. 1827 წ. ქ. ერევანში. სწავლობდა რუსეთში, სამხედრო სასწავლებელში. მცირე ხანი დაჰყო დაღისტანს. ცხოვრობდა ტფილისში. გარდ. 1882 წ. 27 აპრილს (იხ. სახსოვარი ბატონიშვილის ალექსანდრეს-ძის ირაკლის გარდაცვალებაზე. ტფ. 1892).

52

1. როგორც ჩანს, ნოხ-ბიქეს ვაჟს, იბრეიმ-ხანსა და ელისუს ყოფილ მმართველს შორის დავა არსებულა. ამ დავის მიზეზი აუხსნელი რჩება.

2. ყაზანიშჩი — იგივე ყაზანიეჯი, კაზანიშჩე (იხ. შენ. 38_{12})

გრ. ორბელიანი 1844 წელს იმყოფებოდა გენ. ლიდერსის რაზმში, რომლის ნაწილი ყაზანიშჩთან დაბანაკებულა (დაწვრ. იხ. ბარათი 53).

53

1. 1844 წელს ილია ორბელიანი იბრძოდა ჩეჩნეთსა და დაღისტანში (გერგებილთან)_ გრ. ორბელიანს მხედველობაში აქვს ილია ორბელიანის ჩეჩნეთში ყოფნის პერიოდი.

2. იაგორ ავდეიჩ მანუელოვი—ოფიცერი (?), მანუილოვი, ორბელიანის ბარათის მიხედვით, ალბათ ქ. ყიზლარში მსახურობდა (იხ. ბარათის ტექსტი).

3. ჩერქვიხი (იგივე — ჩერქეი, ჩირქეი) — სოფელი სულაკის პირას (ევგენიევსკოეს მახლობლად. 1844 წლის აგვისტოში ჩირქეისთან მართლაც იდგა სამი ბატალიონი (იხ. Кавказский Сборник, ტ. VII, გვ. 267. იუროვიხ წერილში: 1844-й год на Кавказе).

4. ყაზანაი [იგივე – ყაზანიში].

5. ყადარი — სოფელი ყოფ. საშამხალოში. ამჟამად ბეინაკსის (ყოფ. თემირხანშურა) რაიონში შედის.

6. დადიანი — გრ. ლევანის-ძე დადიანი. პოდპოლკოვნიკი. შემდეგში გენერალ-ლეიტენანტი. მონაწილე იყო შამილის დატყვევებისა გუნიბში 1859 წელს.

7. გურიელი — გიორგი გურიელი, „ქართ. მილიციის“ ოფიცერი. იბრძოდა დაღისტანსა და ჩეჩნეთში 1844—1845 წ. წ. მონაწილეობა მიიღო „დარღოს ექსპედიციაში“ 1845 წელს. 1853 წელს, რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს, ერ. გურიელი იცავდა მოსაზღვრე პოსტებს. მოკლულ იქნა თურქების მიერ „ნიკოლოზის პოსტზე“ დაცემისას იმავე წელს.

8. ლევან — ლევან მელიქიშვილი („ქართ. მილიციის“ უფროსი 1844 წელს, ჩეჩნეთში მიმდინარე სამხ. ოპერაციების დროს).

9. ხულალი — მდ. სულაკი სოფ. ჩირ-იურთთან დაბლობის გავლით უერთდება კასპიის ზღვას (Неверовский: Краткий взгляд на Сев. и Сред. Дагестан. СПб. 1847. გვ. 6).

10. გერასიმე — გერასიმე ყორღანაშვილი (?).

11. „კნიაზ დიმიტრი“ — დიმიტრი თომას-ძე ორბელიანი (იხ. კომენტ. 61_{11}) იბრძოდა დაღისტანში 1842– 1845 წ. წ.

12. მენდი — (?).

13. იაკობა (აკოფა)—მთიელების ტყვე. როგორც გრ. ორბელიანის ბარათებიდან ჩანს, მთიელებს ტყვედ წაუყვანიათ ვინმე იაკობა (აკოფა). 58 ბარათში ორბელიანი სწერს „აკოფა ჭირყატშია“-ო. ჭირყატი ანუ ჩირკატი (ჩერკატ)—გუმბეთის სოფელია. 1844 წელს გუმბეთი ბადამდგარი იყო. უნდა ვიფარაუდოთ, რომ გლეხი აკოფა ამ მხარის ლეკებს წაუყვანიათ ტყვედ (შესაძლოა ყაყაშურასთან ბრძოლის დროს ან მოგზაურობის დროს).

54

1. „მილიცია“ — იგულისხმება ქართული მილიცია, რომელიც უმთავრესად კახეთის ხახს იცავდა ლეკების თავდასხმისაგან.

2. როგორც აღნიშნული გვკონდა, 1844 წელს ილია ორბელიანი იბრძოდა დაღისტანსა და ჩეჩნეთში. აგვისტო-სექტემბრის თვეებში ის ჩეჩნეთში იმყოფებოდა.

3. შალიკოვი—სვიმონ იოსების-ძე შალიკაშვილი. ქართ. გრენადერთა პოლკის ოფიცერი 1830—1850 წ. წ. 1850—1854 წლებში მსახურობდა ყოფ. ზაქათალის ოლქში და იცავდა კახეთ-ჭარ-ბელაქნის მხარეს მოთარეშე ლეკებისაგან (დაწვრ. იხ. მე-2 ტომში).

4. ყაზიურთი (ყაზიურთ)—ციხე-სიმაგრე ყოფ. ყუმიხის ოლქში მდ. სულაკის ნაპირას (დაღისტანი).

5. ჩერვლონა—სტანიცა ყოფ. თერგის ოლქში. სადგური, რომელთანაც რკინისგზით შეერთებულია ქ. ყიზლარი.

6. ოზენი— ყოფილი მცირე სტრატეგიული პუნქტი თემირხანშურის ოლქში.

7. ალაჩყალა – აული ყოფ. საშამხალოში (დაღისტანი).

8. „ანიაზი დიმიტრი“ — (იხ. შენიშვნა 53_{11})

9 შამილის მიერ დანიელ-ბეგის ნაიბად დანიშვნის შესახებ იხ. კომენტ. 4^{0}.

55

1. მთავარმართებელი—ა. ი. ნეიდგარდტი.

2. „თბილ წყალზე“ (Горячеводская)—მდებარ. ყოფ. თერგის ოლქში, ქ. პიატიგორსკის რაიონში.

3. ვანო—ივანე ორბელიანი (მანანას ეაჟი). გრ. ორბელიანი უსაყვედურებს ივანე ორბელიანს შინ უქმად ჯდომისთვის (შემდეგში (1846—1848) ივანე ორბელიანი მსახურობდა დაღისტანში, გრ. ორბელიანთან).

4. წულ-ხარისა და აყუშის „დაწყნარება“ მოხდა სწორედ 1844 წელს (К. Сб., VII).

5. [წერილი დახიანებულია და თვის რიცხვი არ ჩანს. მაგრამ შინაარსის მიხედვით და წინა ბარათისა და ამ წერილის შედარებიდან ირკვევა, რომ ეს ბარათიც 19 ან 20 აგვისტოს უნდა იყოს დაწერილი. 27 აგვისტოს ბარათში ზ ქარია ორბელიანი უკვე პოლკოვნიკად იხსენიება და ქეთევანსაც განსხვავებული სიტყვებით მიმართავს გრიგოლ ორბელიანი: იხ. წერილი 27 აგვისტოს თარიღით: „პოლკოვნიკის ცოლო ძალუავ“... და სხვ.].

6. ერმოლოვი — კლავდი „ერმოლოვი, ცნობილი გენერლის, ა. პ. ერმოლოვის უკანონო შვილი. რაღდენიმე წელი მსახურობდა დაღისტანში გრ. ორბელიანთან. დაახლოვებული ყოფილა ილია ორბელიანთანაც. ოფიცერი (დაწერილებით იხ. მე-2 ტომში).

56

1. „ინვალიდი“—გაზ. „Русский Инвалид“. ცნობა ზ. ორბელიანისათვის პოლკოვნიკის ხარისხის მიცემის შესახებ ამ გაზეთში ყოფილა დაბეჭდილი. ნ. ბარათაშვილი სწერს ზაქარიას: „მომალოცავს პოლკოვნიკობას! შენი წაგნი რომ მომივიდა, იმის მეორე დღეს ინვალიდებში ეწერა“ (ლექსები... 1922, გვ. 112).

2 შვარცი—გრიგ. ეფ. შვარცი მე-?, გენერალ-ლეიტენანტი (1790—?). 1844 წელს დანიშნა ჯარების სარდლად და სამოქალაქო ნაწილის მმართველად ჰარ-ბელაქნისა და ლეკეთის ხაზზე. აიღო დანიელ-ბეგის (ელისუს სულთნის) რეზიდენცია—ელისუ, „დაამშვიდა“ აჯანყებული სოფლები და განდევნა დანიელ-ბეგის ჯარები (1844). 1843—4 წლებში კავკასიის ქედიდან უტევდა მთიელებს. 1847 წელს მოხსნეს სამსახურიდან ფულის გაფლანგვის გამო (Акты, IX, X; К. Сб. VII—X).

3. გუმბეთი—მდებარეობს ანდიის ყოისუს მარცხნით, სალათავიის მოსაზღვრე ტომის (ავარიელთა) მხარე. დასავლეთით მისი მოსაზღვრეა ანდი და ლეკების წერილი ტომების მხარე. სამხრეთ-აღმოსავლეთით კი—აჭარია და ყოისუბუ.

4. კოვალევსკი—პეტრე პეტრეს-ძე კოვალევსკი. 1843 წელს დანიშნა მე-20 არტ ბრიგადის კომანდირად. იბრძოდა ჩრდილ. დაღისტანში. 1846 წელს დანიშნეს კავკ. ხაზის მარჯვენა ფლანგის უფროსად. 1847 წელს—მე-19 ქვეითი დივიზიის მე-2 ბრიგადის კომანდ.

5. აუხი—ჩეჩნელი ტომების მხარე. შეიცავს მდ. იარიკ-სუს, იამან-სუსა და აკტაშის სათავეების მიდამოებს. 1840 წლამდე აუხში ითვლებოდა 17-დე სოფელი (იხ Берже: Чечня и Чеченцы, ტფ 1859. გვ. 3, 32). აუხის მიდამოები სალათავიის ტერიტორიას უახლოვდება.

6. დარღი (დარგი)—მდებარეობს ანდალალისა, ყარა-ყაითაღისა და ყაზიყუმუხის საზღვრებს შორის (მდ. ყარა ყოისუსა და ყაზიყუმუხის ყოისუს სანაპიროებს შორის) 844 წელს დარგის მცხოვრებთა „დასაწყნარებლად“ გაიგზავნა გენერალი გურკო რომელმაც ეს დავალება კარგად შეასრულა (Акты, IX, К. Сб., VII). მას შემდეგ დარღის ნაწილს მართავდენ რუსის გენერლები (Берже: Кр. Обзор., 43).

7. 1844 წელს პასეკი დაინიშნა აპშერონის პოლკის უფროსად (იხ. Апшеронская Памятка, გვ. 316).

8. შალიკოვი—სეიმონ შალიკაშვილი.

9. ჭილაევი—სერგი გაბრიელის-ძე ჭილაშვილი. იბრძოდა დაღისტანს. 1844 წელს ვიიღო პოლკოვნიკის ხარისხი. 1849 წელს მსახურობდა კავკ. ჯარების მთავარ შტაბში. 1850 წ.—ასრულებდა შემახიის მაზრის უფროსის თანამდებობას. მონაწილეობა მიიღო მთიელების წინააღმდეგ ჩატარებულ მრავალ ბრძოლაში დაღისტანს.

10. ალალარ ბეგი (ალალარ-ბეგი)—ყაზიყუმუხის მმართველი 1850 წლიდან. მთიელების მრავალჯერ დამარცხებისათვის მისცეს გენ.-მაიორის ხარისხი. მკაცრი მთიელი. 50-ან წლებში ალალარ-ბეგის სახელი დიდი პოპულარობით სარგებლობდა დაღისტანში. გარდაიცვალა 1858 წელს (დაწვრ. იხ. მე-2 ტომის ბარათებსა. და კომენტარიებში).

11. რულოკა (რულოუკა)—აული ანდალალში (იგივე რულოკაბ).

12. ხურჭი (სურხაჩი, სურკ)—აული ზემო ყაითაღში (დაღისტანი).

(გრ. ორბელიანის მიერ წერილში დასახელებული ოფიცრები იბრძოდენ დაღისტანში 1844 წელს მთიელებთან შეტაკების ასპარეზი იყო ზემოთ ჩამოთვლილი სოფლებიც).

13. ყაფჩულაი—აული ყოფ. საშამხალოში (იხ. კომენტ. 50).

57

1. 1844 წელს ხაკარია ორბელიანს მისცეს პოლკოვნიკის ხარ. (ხ. ორბელიანი იბრძოდა სამურის რაზმში მ. არლუთინსკის მეთაურობით). ეპიზოდებს მისი ბრძოლებიდან გადმოქცევს ა. ოფროვი (იხ. Кавк. Сборник, ტ. VII).

2. გრ. ორბელიანი გულისხმობს ალექსანდრე საგინაშვილის დაბალ სამხედრო ხარისხს (ის კაპიტანი იყო) ზაკარიას პოლკოვნიკობასთან შედარებით.

3. 1844 წელს მ. არლუთინსკის ებოძა პირველი საფეხურის წმ. ანნას ორდენი და სხვა საჩუქრები დაღისტანში ჩატარებული ბრძოლებისათვის (ს. დიუკეკთან და მარლისთან დაამარცხა ლეკები, ალყა შემოარტყა ყიბიტ-მაჰმადის რეზიდენციას—ტელეტლს და სხვ.. Акты, IX. გვ. XVI). იმავე წელს დაინიშნა იგი აღმოსავლეთ დაღისტანში ბოქმედ ჯარების სარდლად.

4. ჭირყატი (ჩირკატ)—აული გუმბეთში, აშილტას მახლობლად.

5. გრ. ორბელიანს მხედველობაში აქვს ეკატერინეს (მელიტონ ბარათაშვილის ქალი) დაქორწინება რევაზ ერისთავზე, რომლის შესახებაც ნ. ბარათაშვილი (ეკატერინეს ძმა) 1844 წლის 23 მაისის თარიღით სწერდა გრიგოლს: „ვიცი გიამება, კატო დავნიშნეთ რ.<ევაზ> ე.<რისთავ>ზედ. რუსულად არის ნათქვამი (იქნება ქართულადაც იყოს და მე კი არ ვიცი) суженного конем не об'едешь. ქორწილი საპატრეპავლობლოდ გვეგონება. იქნება არც კი იცოდე, როდის არის ეს დღე,—ექვს კვირა უკან, то-есть: 29 июня“ (იხ. ლექსები... 1922. გვ. 111). ეკატერინესა და რევაზ ერისთავის ქორწილი ბარათაშვილს კარგად აქვს აღწერილი ბარათში ზაკარია ორბელიანისადმი (იქვე, გვ. 112—115).

6. ხარაგეოვი—(იხ. კომენტ. 68_{18}). ოფიცერი ქართ. მილიციისა.

7. ივან კარლიჩი—ივან კარ. დრეპერი, ექიმი (იხ. ბარათაშვილი, ლექსები.. - გვ. 116 164; ნ. ბარათაშვილიც გრ. ორბელიანივით ოხუნჯობს: „ივან კარლიჩი გარ. დაიცვალა—სალომე კარგი ქვრივი დარჩა“, და სხ. (იქვე გვ. 116. წერილი ხ. ორბელიანისადმი).

58

1. ხოლრატლი—მთავარი სოფელი ანდალალში.

სოლრატლში (სოგრატლ, სუგრატლ, სუგუ=ხუ ღულ) ცხოვრობდა ყადია. რომელიც დიდი უფლებებით სარგებლობდა ანდალალში... ამ სოფელზე მიიტანა იერიში ცნობილმა დამპყრობმა—ნადირ-შაჰმა... აქ ცხოვრობდა ჯემალ-ეფენდი ყახიყუმუხელი. რომელმაც ანდალალის აულს დაღისტნის სამარყანდის მნიშვნელობა მისცა (იხ. Кавк. Сборник, ტ. 12. გვ. 261—262).

2. ობრაიმ დადა (ობრაჰიმ-დადა)—ცენტრალური ამაღლებული ფართობი სალათავიში (იხ. ბერეე, Материалы... К. Кал., ტფ. 1858. გვ. 277; შდრ. გაზ. „Кавказ". 1858. № 1. წერილი „Салатавия". ამავე წლის „კავკაზში" დაბეჭდილია კორესპონდენციები კოსტომარევსკეხა სალათავიის შესახებ. დაწვრ. იხ. მე-2 ტომში, გრ. ორბელიანის მიერ 1857 წელს სალათაეიის აღებასთან დაკავშირებით).

59

1. სტიშინსკი—სიმონ გრ. სტიშინსკი. გენერალური შტაბის წევრი—ადიუტანტი პოდპოლკოვნიკი. გრ. ორბელიანი ასახელებს გენ. შტაბში მოსამსახურე ოფიცრებს, რომელთაც შეეძლოთ დახმარების გაწევა ხ. ორბელიანისათვის პოლკის ჩაბარების საქმეში.

2. ბიბიკოვი—დიმიტრი სერ. ბიბიკოვი, პოდპოლკოვნიკი. მსახურობდა კავკასიის ჯარების გენერალურ შტაბში. 1846 წელს—პოლკოვნიკის ხარისხით ირიცხებოდა იმავე შტაბში (К. Кал., ტფ. 1846, გვ. 218). მოკლულ იქნა 1847 წ. სალტის აღებისას (К. Сб. VI. გვ. 162).

3. ჭავჭავაძე—უნდა იგულისხმებოდეს ივანეს-ძე ჭავჭავაძე, ქართ. გრენად. პოლკის ოფიცერი, რომელსაც გრ. ორბელიანი ხშირად ასახელებს თავის ბარათებში. ან შესაძლოა გრ. ორბელიანს მხედველობაში ჰყავდეს ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომელსაც საკმაო ავტორიტეტი ჰქონდა ოფიციალურ წრეებში.

4. ერისთავი—უნდა იგულისხმებოდეს ალექსანდრე ზურაბის-ძე ერისთავი, რომელიც კავკასიის ჯარების კორპუსში მსახურობდა (გრ. ორბელიანი ასახელებს ყველა იმათ. რომელთაც უშუალო კავშირი ჰქონდათ გენ. შტაბთან და ტფილისში იმყოფებოდენ). ან: გიორგი იესეს-ძე ერისთავი?

5. ჩილაეეი—რომელი: ბორის გაბრიელის-ძე თუ სერგო გაბრ. ჭილაშვილი? შესაძლოა გრ. ორბელიანი გულისხმობდეს ბორის გაბრ. ჭილაშვილს, რომელიც უფრო დაწინაურებული იყო სამხედრო ასპარეზზე (იხ. წინაბარათების კომენტ.).

6. კაზლაინოვი—გრიგ. ფედ. კოზლიანინოვი, გენ.-ლეიტენანტი (იხ. კომენტ. 38).

7. უნდა იგულისხმებოდეს პავ. ივან. კოცებუ მე-2, რომელიც 1844 წელს კავკასიის ჯარების კორპუსის შტაბის უფროსად ითვლებოდა.

8. ონიკოვი—სოლომონ ონიკოვი

9. შალიკოვი—სვიმონ შალიკაშვილი.

10. „ჩვენი დიხწული"—ნიკ. ბარათაშვილი.

60

1. პალტინინი—მიხ. პეტ. პოლტინინი. გენერალ-მაიორი. მონაწილე იყო ერმოლოვისა და პასკევიჩის სამხედრო ოპერაციებისა: 1844 წელს—მე-20 ქვეითი დივიზიის 1 ბრიგადის კომანდირი. 1851 წელს მისცეს გენ.-ლეიტენანტის ხარ. იბრძოდა დაღისტანში.

2. „ენიაზი ჭავჭავაძე“—იასონ ივ. ჭავჭავაძე (?) თუ ალექს. ჭავჭ-ძე (?).

3. ერეხთავი—ალ. ხ. ერისთავი (?).

4. მთავარმართებელი—ა. ნიიდგარდტი.

5. ძალუა—ქეთევან ორბელიანი.

6. კატინა—ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა.

7. ნინო—ნინო გრიბოედოვისა (1814 წელს ნინო ჭავჭავაძე ოდესაში ჩასულ.-

5. ბარათაშვილი სწერს გრიგოლს (1844 წ. 23 მ.ისს): „ახალი ამბავი ანუ ეორი ხომ გი-ეუარს: ამ ხელად ეს არის, რომ ნ. ალექსანდროვნა ოდესაში მიდის 9 ივნიხს. შენ მანდ გაეგავრდი.“ გრ. ორბელიანს მხედველობაში აქვს ნინო გრიბოედოვის დაბრუნება ოდეს-ოიდან).

8. ბებუთოვის ცოლი—მარიამ სოლომონის ასული არლუთინსკი-ბებუთოვისა (ვასილ იოსების-ძე ბებუთოვის მეუღლე). ბებუთოვები იდგნენ მანანა ორბელიანის ახლში.

მარიამ სოლ. არლ.-ბებუთოვისა გარდ. 1871 წელს (იხ. საქართველოს სიძველენი. ტ. 3. გვ. XXVI. ბებუთოვების გენეოლოგ. ქარგა).

9. ჩაღგირეი (ივანე ჩახკერი).—იგულისხმება მდ. არგუნის მახლობლად მდებ. სოფ-ლის ჩაღგერის (ჩერნენთის სანაპირო) მიდამოები.

10. ეხტატე—ესტატე მაჩაბელი, ოფიცერი (იხ. კომენტ. 78_{13}).

11. ჯამბაზეგი—ჯამოვ-ბეგი, მთიელი ოფიცერი. 1838 წლიდან მართავდა ყარაყაითაღა, ჰიილო გენ.-მაიორის ხარ., ებრძოდა ჰაჯი-მურადის რაზმებს 1850—1851 წლებში. გრ. ორბელიანი ხშირად ახასიათებს მას, როგორც ხნდალ ოფიცერს (იხ. აგრეთვე К. Сб. VIII—IX—X).

12. შამხალი—აბუ მუსელიმ-ხანი.

13. ახმედ-ხანის ცოლი—ახმედ-ხანის ქვრივი ნოხ-ბიკე.

61

1. ბუინაღი (ულუ ბუინაკი, დიდი ბუინაკი)—ყუმიხების სოფელი ყოფილ საშამხა-ლოში. პირველი რუსიდენციაა შამხალებისა (ყუმუხში ჯადასახლებამდე).

2. შაჰვალი—აბუ მუსელიმ-ხანის ძმა შაჰ-ვალი ცხოვრობდა ბუინაღში (თვითონ სო-ფელიც მის საკუთრებას წარმოადგენდა). 1851 წლის ივლისში ბუინაღს დაეცა ნაიბი ჰაჯი-მურადი, რომელმაც შაჰ-ვალი იქვე მოჰკლა, ხოლო ერთერთი მისი ცოლი ტყვედ გაიტაცა. გრ. ორბელიანი შაჰ-ვალს პირადად იცნობდა.

1844 წელს შაჰ-ვალს ცოლად შეურთავს მისივე ძმის, აბუ მუსელიმ-ხანის, ცოლად 5. ყოფილ-სულთანეთა.

3. შალიკოვი—სვიმონ შალიკაშვილი.

4. ონიკოვი—სოლომონ ონიკაშვილი.

5. კარატა—(იხ. კომენტ. 36_{10}).

6. 1844 წლის დეკემბერში ა. ნიიდგარდტის ნაცვლად კავკასიაში ჯარების სარდლად და მეფის ნაცვლის თანამდებობის ამსრულებლად დაინიშნა გენერ.-ადიუტანტი მ. ს. ვო-რონცოვი და არა ლერცენშვეიბ (=დანილა ალ. გერშტენკვეიბ, ინფანტერიის გენერალი (1790—1849), რომელიც 1845 წლიდან მართავდა ნოვოროსიისკის გუბერნიას, იქედან ვორონცოვის წასვლის შემდეგ. იხ. Военн. Энцикл., 1912, ტ. VII, გვ. გვ. 402—303). გრ. ორბელიანს მხედველობაში აქვს ეს ცვლილება კავკასიის მართებლობაში.

7. გრიგოლ შანშიეკი—ივანე შანშიევის ძმა.

8. მარშალი—დიმიტრი თომას-ძე ორბელიანი (1797—1868) ტფ. თავად-აზნაურობის წინამძღოლი. გენერალ-მაიორი. 1856 წელს მისცეს გენ.-ლეიტენანტის ხარისხი. შემდეგში-ა. ი. ბარიატინსკის (კავკასიის მთავარმართებლის) სიმამრი. 1842—1845 წლებში იბრ-

ოდა ჩეჩნეთსა და დაღისტანში (ბიოგრ. მასალები: А. Дюма: Кавказ, 1861. გვ. 445, Русский биогр. словарь, გვ. 278).

1845

62

1. ვახილი ოხეებიჩ —ვ. ო. ბებუთოვი.

2. ძალუა—ქ. ორობელიანი

3. (მთავარმართებელი). 1845 წლის იანვარში ახალი მთავარმართებელი მ. ს. ვორონ-ცოვი ჯერ კიდევ არ იყო ჩამოსული კავკასიაში. ორბელიანს თავისი თხოვნა გაუგზავნია კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიაში, მაგრამ ბარათში კონკრეტულად რომელიმე მთავარმართებელი არ იგულისხმება: ნეიდგარდტი წასული იყო კავკასიიდან, ხოლო ვო-რონცოვი 1845 წლის 25 მარტს ჩამოვიდა ტფილისს (იხ. М. Щербинин: Биография Ген.-фельдмаршала Князя Михаила Семеновича Воронцова. СПб. 1858. გვ. 219)

4. იგულისხმება ორბელიანების მოვალის, ივანე შანშიაშვილის, მეუღლე (გრიგოლ შანშიევი ძმა იყო ივანე შან-ისა).

5. არაკანი—მდებარეობს ავარიის ყოისუდან 5 ვერსტის დაშორებით, ჰინდალალში (ავარია). მთავარი სოფელი ამავე სახელწოდების თემისა.

63

1. ნახჩევანი—მაზრის ქალაქი, ყოფ. ერევნის გუბერნიაში.

2. 1844 წელს ნ. ბარათაშვილი ლევან მელიქიშვილს გაჰყვა ნახჩევანში. მაშასადამე. შესაძლოა მკითხველმა გრ. ორბელიანის წერილიც აღნიშნულ წელს დაწერილად მიიჩ-ნიოს. მაგრამ ნ. ბარათაშვილი 1844 წლის მაისში ჯერ კიდევ ტფილისში იმყოფებოდა (იხ. მისი წერილები 1844 წლისა, ლექსები.. 1922). როგორც ჩანს, ბარათაშვილი შე-მოდგომის დღეებში წასულა ნახჩევანს. პოეტი მაზრის უფროსის თანაშემწის თანამდებობ-ას ასრულებდა 1845 წლამდე. ნ. ბარათაშვილი დაბრუნებულა ტფილისში ლევან მე-ლიქიშვილთან ერთად (იქვე, გვ. XXXV). ამიტომაც გასაგებია, თუ გრიგოლ ორბელიანი 1845 წლის იანვაში სწერდა ზაქარიას ბარათაშვილის ნახჩევანში გამგზავრების შესახებ.

3. წუდახარის „დაწყნარების" შემდეგ ასლან-ყადი წუდახარელი ჩეჩნეთში ჩავიდა. კადაც ის ხელმეორედ დამარცხდა.

64

1. 1845 წლის იანვრის პირველ რიცხვებში დაიწყო ხელახალი მღელვარება შიდა დაღისტანში. შ.ამილმა ანდალალის სოფელ ჭოხს მოსთხოვა თავისი უფლების აღიარება. ამ მიზნით მან გაგზავნა ნაიბი ინყო-ჰაჯი, რომელმაც მოლაპარაკება გამართა სოფლის მცხოვრებლებთან. ,მალე ჭოხთან გამოჩენადდენ იმამის სხვა ნაიბებიც: ჰაჯი-მურადი, �აბიტ-ჰაჰმადი, რუსეთის მოღალატე, ეჭს-სულთანი დანიელი და სოფრატელელი ჰაჰმად-ყადი. ამ ხანებში დაღისტანში არ იმყოფებოდა არლუთინსკი და დახავლეთ დაღისტანში მოქ-მედ ჯარებს სარდლობდა მეხთულის სახანოს გამგეველი, პოლკოვნიკი გრიგოლ ორბე-ლიანი (წერილის ავტორი). პირველი ენობის მიღებისთანავე, მან ჭოხის დასაცავად გაგ-ზავნა დარგის მმართველი მაიორი ოლენიჩი და ყაზიუმუხის მილიციის უფროსი აღალარ-

ბუგი. ოლენინის შეხვდა ყიბიტ-მაჰმადის 10 ათასი მთიელისგან შემდგარ ჯარს ჭოხიდან აჯვი ვერსტის დაშორებით. დანიელ-ბეგმაც 3000 მთიელი გაგზავნა შესაგებებლად.

ოლენინის რაზმის მიახლოვების ცნობით იმედმიცემულმა ჭოხელებმა ხანჯლებით გაიჟეს შურიდები, მაგრამ შამილის ნაიბების ძალების მოზღვავების გამო აული კლავ შიშმა მოიცვა. 24 თებერვალს გრ. ორბელიანმა მიიღო ცნობა ოლენინისგან იმის შესახებ, რომ ატრის შეკავება ძნელდებოდა (მთიელების რ-ცხვი 15 ათას აღწევდა). ორბელიანმა სასწრაფოდ გაგზავნა ჭოხის მისაშველებლად სამურის რაზმი და სხვა პოლკების ბატალიონები. ოლენინს კი აცნობა ჭოხი დაეცვათ მაშველი რაზმების მისვლამდე. ჭოხის ბრძოლის შემდეგი ეპიზოდები მოთხრობილი აქვს თვითონ ორბელიანს (იხ. მიმდევნო წერილი. აგრეთვე: А. Ржевуский: 1845 год на Кавказе, Кавк. Сборник, ტ. VI. გვ. 254—257; Акты, X)

2. ხოჯალ მაკი—სოფელი ყოფ. მეხთულის სახანოში.

65

1. აბდულ-რახმან-ხანი —ყაზიყუმუხის მმართველი აბდულ-რახმან-ბეკი. მაიორი (Кавк. Сборник, VI, 259). გარდ. 1848 წელს (იხ. Казикумухские и киюринские ханы.— Сб. свед. о кавк. горцах, вып. II. გვ 45. ტფ. 1869.)

2. თურჩდალ (თურჩ-დალ)—იხ. კომენტ. 49_{11}.

3. ნიზამი —კოდექსი, ნაიბების უფლებებისა და სხვა ადმინისტრატიულ ღონისძიებათა შესახებ, გამოცემული იმამის მიერ (იხ. Низам Шамилия (Материал для истории Дагестана), Сборник свед. о кавк. горцах, 1870, III отд. 1, 1—18);

4. „ჩვენი ყადია"—აყუშელი ყადი მაჰმადი, რუსების მომხრე, რომელიც რამდენჯერმე შეებრძოლა მურიდებს და არ შეუშვა ისინი აყუშაში.

5. მაჰმად-ყადი—მაჰმად-ყადი აყუშელი. იბრძოდა 1844—1845 წლებში შამილის ნაიბებთან ერთად. ფანატიკოსი მურიდი.

6. ხამეხთულო—ყოფ. მეხთულის სახანო (დაღ.). მოსაზღვრეა ყოისუბუსა, ყაზიყუმუხა ანდალალის.

7. კუდაშევი—მიხ. ფედ. კუდაშევი, გენ.-მაიორი, მე-20 ქვეითი დივიზიის 1 ბრიგ. კომანდირი. გარდ. 1847 წელს.

8. ოღლი—სოფელი მეხთულაში.

9. ყულიცმა (ყულეცმა)—სოფელი მეხთულაში.

10. ლევაში—სოფელია აყუშაში (კოზუბსკი, 254—5).

11. ხალტა (სალთი)—გამაგრებული სოფელი (აული) ანდალალში. აღებულ იქნა 1847 წლის ნოემბერში (იხ. 1847 წ. ბარათები და კომენტ.).

12. ჭუდალი—სოფელი ანდალალში. ამ სოფლის მცხოვრებნი შამილმა გადაასახლა ბოთებში. 1860 წელს გადასახლებულთა ნაწილი დაებრუნდა აულს.

13—14. (ჯიბრაილბეგ და აბდულლაბეგ)—სამურის რაზმის ოფიცრები. ყაზიყუმუხელები.

15. ზუხუმ—ზუხუმ-ყადი აყუშელი, რუსების მოკავშირე. ცნობილი იყო აგრეთვე მეორე ზუხუმ, ოთხმოცდაათი წლის აყუშელი ყადი, რომელიც ტყვედ ყავდა წაყვანილი შამილს და რომელიც აქტიურობას იჩენდა შამილისათვის სასარგებლო აგიტაციაში 1846 წელს, ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ (იხ. К. Сб. ტ. XIV. К. Обзор событии на Кавказе в 1846 году, გვ. 535: Первые семена заговора брошены были, как говорят, всеми уважаемым в народе девяностолетним стариком Зухумом, которого, не следует смешивать с преданным нам акушинским кадием Зухумом. Старик Зухум был в плену у Шамиля... Возвратившись из плена, Зухум начал проповедывать мюридизм." და სხვა). ამრიგად, აზრი გრ. ორბელიანის სიტყვებისა:

„ყადის მაგიერ დავსვით ზუხუმ. ეს ყადია არ გეგონოს—სხვა ზუხუმ არის—დიდის თოხუმის კაცი“—გასაგები ხდება.

16. შარიათი (არაბ. სწორი, მართალი გზა)—ერთ-ერთი მხარე ისლამიზმისა, რომელიც ასწავლის რელიგიურ მსახურების კანონების დაცვას. შარიათი შეიცავს აგრეთვე საშოქალაქო ცხოვრების წესებს და ყურანის საფუძველზე გამომუშავებულ კანონებს, წარმოადგენს მუსლიმანური სამართლის სისტემას. შარიათის მიმდევრებს უწოდებენ—ულემებს, მუფტიებს და მოლებს. შარიათი განსაკუთრებული სიძლიერით გავრცელდა ფაღისტანში შამილის დიქტატურის პერიოდში და მიიღო თავისებური სახე (იხ. Ханыков: О мюридах и мюридизме, „Кавказ“, 1847, № 15; Сулеиман-Эфенди: Описание поступков Шамиля, противных мусульманскому шариту... „Кавказ“, 1847, № 5; Вейденбаум: Путеводитель по Кавказу. ტფ. 1893. გვ. 158—159. წერილში: Мюридизм и Кавказская война: რუნოვსკის, კაზემ-ბეგის და სხვ. შრომები).

17. ბაბან ყადი - აყუშელი ყადი.

18. (გრ. ორბელიანი ეკითხება ხაქარიას „ტატო ხომ არ მოხულა?“: იგულისხმება ნ. ბარათაშვილის დაბრუნება ნახიჩევანიდან).

66

1. პოლკოვნიკის ხარისხის მიღების შემდეგ ხ. ორბელიანს უნდა ჩაებარებია რომელიმე პოლკი დივიზიისა. 1816 წლამდე მისთვის პოლკის კომანდირის თანამდებობა არ მიუცია.

2. ყაფლანის სიტყვებს—„ზურაბიანნი წავიდნენ წინ“—გრ. ორბელიანი ხშირად იმეორებს. ფრაზის ახრი შემდეგში მდგომარეობს: ხაქარია, ილია და გრ. ორბელიანების მამას ერქვა ზურაბი. ხურაბის შვილების დაწინაურება სამხედრო ასპარეზზე ყაფლან ორბელიანს აღუნიშნავს ზემოთ მოყვანილი სიტყვებით.

3. უნდა ვიეარაუდოთ, რომ ხ. ორბელიანს ჰპირდებოდენ საქართველოს გრენად. პოლკს, რომელშიაც სვიმონ შალიკაშვილი მსახურობდა. 1846 წლიდან ამ პოლკის ახალი კომანდირი იყო ალ. ოხ. დებუ (პოლკოვნიკი), რაც შეეხება ხაქარიას, მას მხოლოდ 1846 წლის ივლისში ჩააბარეს ეაშერონის პოლკი. დაგვიანების მიზეზი იყო შემდეგი: ბასეკის სიკვდილის შემდეგ (1845 წლის ივლისი. იხ. კომენტ 70₁) ეაშერონის პოლკის კომანდირის თანამდებობას 1846 წლის ივლისამდე ასრულებდა პოლკ. მიხ. კონტ. კოვალევსკი. ხ. ორბელიანი დაინიშნა კოვალევსკის ადგილზე 1846 წლის 1 ივლისს (იხ. (Богуславский: Ист. Апш. Полка, ტ. II. გვ. 174—175; 1892).

4 1845 წელს ილია ორბელიანი მსახურობდა განჯაში (ყოფ. ელისავეტოპოლი). იმავე წელს მონაწილეობა მიიღო დარღოს ექსპედიციაში.

67

1. ლრაფი ვორონცოვი—მიხეილ სიმონის-ძე ვორონცოვი. მეფისნაცვალი კავკასიაში. გენერალ-ფელდმარშალი (1782—1856).

მ. ს. ვორონცოვი ჯერ კიდევ 1803 წელს ჩამოვიდა საქართველოში და მონაწილეობა მიიღო პაველ ციციშვილის (მაშინდელი მთავარმართებლის) სამხედრო ოპერაციებსა და დიპლომატიურ საქმიანობაში (გაგზავნილი იყო იმერეთის მეფე სოლომონთან საგანგებო მინდობილობით). 1810 წელს ვორონცოვი ითვლებოდა პოლკის კომანდირად და ებრძოდა ოსმალებს. 1812 წელს იბრძოდა ცნობილ ბოროდინოს ომში. 1815 წელს ებოძა გენ.-ადიუტანტის ხარისხი და სამი წელი გაატარა საფრანგეთში, ნაპოლეონის ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში. 1823 წელს ვორონცოვი დანიშნულ იქნა ნოვოროსიისკის გენერალ-გუბერნატორად. ამ პოსტს ის შერჩა 1844 წლამდე, ამ ხნის გან-

ბალობაში მას ებოძა ინფანტერიის გენერლის ხარ. და მონაწილეობა მიიღო ვარნის აღებაში 1828 წ.

1843—4 წლის ამბებმა კავკასიაში იმპერატორი ნიკოლოზ I აიძულა კავკასიის მმართველად დანიშნა გამოცდილი ადმინისტრატორი და სარდალი. ასეთად მან ვორონცოვი ირჩია და „უმაღლესი რესკრიპტის“ ძალით 1844 წლის დეკემბერში კავკასიაში მეფის მოადგილისა და ჯარების სარდლის თანამდებობის ასრულება დაევალა ვორონცოვს, რომელიც ტფილისში ჩამოვიდა 1845 წლის 25 მარტს.

ვორონცოვი კავკასიას თითქმის ათი წელიწადი მ ართავდა. მისი ადმინისტრაციული და სამხედრო პოლიტიკა მიმართული იყო კავკასიაში თვითმპყრობელურ სამხედრო იმპერიალიზმისა და სავაჭრო კაპიტალის აღორძინებისათვის მტკიცე სარბიელის შექმნისაკენ.

1845 წლის ივნისში მ. ვორონცოვის სარდლობით დაღისტანში დაბანაკებული ჯარები დაიძრენ იმამ შამილის რეზიდენცია დარგოსაკენ, რომლის აღება იმპერატორმა პირადად ვორონცოვს დაავალა. 6 იგლისს იმამის რეზიდენცია აღებულ იქნა, რომელიც კავკასიის მხედრობას 3 ათასამდე ჯარისკაცისა და 3 გენერლის სიცოცხლედ დაუჯდა. ბაუვალ და ულრან ტყეებში მთიელების ტყვიამ შეიწირა ვორონცოვის ბატალიონების ოთხქმის 90%. უკან დახევამ კი თვითონ ვორონცოვის სიცოცხლესაც შეუქნა საფრთხე: სარდალი ტყვედ ჩაუვარდებოდათ მურიდებს გენ. ფრეიტაგის რაზმი რომ არ მიშველებოდა

„დარგოს ექსპედიცია“ ითვლება კავკასიური ომის სისხლიანი ეპიზოდების შემცველ სამხედრო აქტად. მ. ს. ვორონცოვი იძულებული გახდა დაბრუნებოდა ა. ბ. ერმოლოვის ხახტაბან, რომელიც სტრატეგიული პუნქტების სისტემატურ დაკავებასა და მნიშვნელოვანი ადგილების თანდათანობით დაპყრობას ითვალისწინებდა. იერიშის ერთბაშად მიტანის ცდებმა ნაყოფი არ გამოიღო.

1853 წლამდე, ვორონცოვის მმართველობის პერიოდში, აღებულ იქნა მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტები დაღისტანში: ხალტი (1847), გერგებილი (1848) და სხ., 1853 წელს დაიწყო ცნობილი რუსეთ-ოსმალეთის ომი. მ. ვორონცოვი ამ ხანებში უკვე ფიზიკურად დაუძლურებული იყო. მან ითხოვა კავკასიის მთავარმართველის მოვალეობისაგან განთავისუფლება და 1854 წელს წავიდა კავკასიიდან. გარდაიცვალა 1856 წლის 6 ნოემბერს.

კავკასიაში სამხედრო-ადმინისტრაციული მოღვაწეობისთვის ვორონცოვს მიღებული ჰქონდა „ბრწყინვალე თავადის“ ტიტული და ფელდმაშარლის ოქრდენი. მიუხედავად თანამედროვეების გადაპარბებული პანეგირიკებისა და მეფის წყალობისა, ამჟამად ნათელი ხდება ვორონცოვის სამხედრო მოღვაწეობის საეჭვო ღირსებები და მისი ადმინისტრაციული პოლიტიკის ნამდვილი მიზანი (მასალები: М. С. Щербинин: Биография Генерал-фельдмаршала Князя Михаила Семеновича Воронцова. Санкт-Петербург. 1858. Акты, ტ. X. მ. ს. ვორონცოვის შესახებ არსებობს საკმაოდ ვრცელი ბიოგრაფიული ლიტერატურა).

2. ბასლოვი—მიხეილ დიმიტრის-ძე მასლოვი, ვორონცოვის ადიუტანტი, როტმისტრი.

3. გრ. ორბელიანს მხედველობაში აქვს დაღისტნის ჯარების მზადება დარღოს ექსპედიციისათვის. 23 მაისს ვორონცოვი ჯერ კიდევ არ იყო დაძრული იმამის რეზიდენციისაკენ.

4. გრ. ორბელიანი სწერს შტაბში შეტანილ თხოვნაზე, რომელშიაც ის მოითხოვდა 1843 წელს ავარიაში დაკარგულ ქონების ანაზღაურებას.

5. ალექსანდრე - ალექსანდრე ბუკყიაშვილი (?), ალექსანდრე ონიკაშვილი (?) თუ ალექ. ერისთავი (?).

6. ზეზეი-ულლი-ხანი. გადმოცემათა მიხედვით ყოფ. მეხთულის სახანოს დამაარსებელი ყოფილა ყაზიყუმუხელ ხანების სასახლის ერთი წევრი—ზეზეი. ამ ხანის სახელისაგან

წარმომდგარა თეიმორ სახანოს სახელწოდება—მეხთულა (დაწერ. იხ. Мехтулинские ханы, Сб. сведд. о Кавказских горцах, вып. II, отд. IV, гг. 1—2; 1869).

7. კარატელები—სოფ. კარატის მცხოვრებნი (იხ. კომენტ. 36).

68

1. კონსტანტინე—კონსტანტინე დავითის-ძე თარხნიშვილი.

2. ნამესტნიკი—მ. ს. ვორონცოვი

3. ყოიხუ—იგულისხმება მდ. ანდიის ყოისუ.

4. ვნეზაპნი—ციხე-სიმაგრე. ვნეზაპნაია მდებარ. ყოფ. თერგის ოლქში, ჩეჩნეთის საბაპირო სადგური.

5. ტაშკიჩუ—მდებ. ყოფ. ხასავ-იურიის თემში (ყოფ. თერგის ოლქი). იგივე—აქხაი (ბერეჟე, პაგიროვი).

6. ჯარები დარგოსაკენ მართლაც 1845 წლის 31 მაისს დაიძრენ.

7. დიმიტრი მარშალი—დიმიტრი თომას-ძე ორბელიანი (იხ. კომენტ. 61_{11}).

8. დავით დადიანი—სამეგრელოს მთავარი დავით ლევანის-ძე დადიანი (გარდ. 1853 წ.)

9. მიხეილ შარვაშიძე—მიხ. გიორგისძ-ე შარვაშიძე აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი. მონაწილეობას იღებდა ომებში მთიელებისა და ოსმალთა წინააღმდეგ. 1845 წელებოძა გენერალ-ლეიტენანტის ხარ.

[რომ ორბელიანის ბარათი დაწერილია სწორედ 1845 წელს, ეს მათემატიკური სიზუსტით მტკიცდება: 1. კონსტანტინე თარხნიშვილი 1845 წელს დაინიშნა ყუბის მაზრის მმართველად. ამასვე აღნიშნავს გრ. ორბელიანიც („შენი ყუბაში მოხვლა შეეიტყუ ლ-თმან უმეტეს ხარისხზედ აღგიყვანოს"; 2. ვოროცოვი დარგოსაკენ დაიძრა 1845 წელს იმ მარშრუტით, რომელიც გრ. ორბელიანს აქვს ბარათში ნაჩვენები. ყველა ისტორიული ფაქტები აბსოლუტური სისწორით ეთანხმებიან წერილში გადმოცემულ ცნობებს].

10. ეკატერინე—ეკატერინე პავლავაძე-დადიანისა.

11. ნინა—ნინო გრიბოედოვისა.

12. ელენე—ელენე ორბელიანი-ერისთავისა.

13. ელიზბარ ერისთავი—ელიზბარ შაშეს-ძე ერისთავი; 1832 წლის შეთქმულები ეოთ-ერთი მონაწილე. მონაწილეობა მიიღო ომში მთიელთა წინააღმდეგ.

14. შალვა—?

15. შამახა (შემახა)—ყოფ. საგუბერნიო ქალაქი (ადერბაიჯანში).

16. ხტეფანე ამიროვი—იმყოფებოდა მ. აღურთინსკისთან სამსახურში.

17. რატიშვილი ოსხეს—(იხ. ტექსტი). მსახურობდა დაღისტანში.

18. ხოლომონ ხარაჯოვი—სოლომონ დავითის-ძე სარაჯიშვილი, ცნობილი კომერსანტის დ. ს. სარაჯიშვილის ბიძა (იხ. Б. С. Эсадзе: Летопись Грузии, ტფ. 1913, I გვ. 251).

19 და 20. ყარამან არღუთინსკი და აბუნდიევი—ტფილისელი კომერსანტები (?).

69

1. გრ. ორბელიანს ეს ბარათი გაუგზავნია ორი ოფიცრისათვის: ილია [თარხნიშვილისა] და ზაქარია ერისთავისადმი. ეს ირკვევა შემდეგი ფაქტების გათვალისწინებით: 1. 1844 წლის 23 ივნისის ბარათში (იხ. 5.) გრ. ორბელიანი აუწერს ზაქარიას მასთან (თემირხანშურაში) ოფიცრების—ზაქარია ერისთავის (გარდ. 1849 წ.), იორამ

თარხნიშვილის, ზარაფოვის, ლევან მელიქიშვილის, დავით ჭავჭავაძის, ილია თარხნიშვილისა და სხვების - ჩასვლას. მათთან ერთად გრ. ორბელიანთან მისულა ირაკლი ბატონიშვილიც. ამ წერილშიაც გრ. ორბელიანი ასახელებს— ზაქარია ერისთავს, „კნიაზ ილიას“ (უეჭველია იგულისხმება—ილია თარხნიშვილი) და ლევან [მელიქიშვილს]. 2. 1845 წელს ეს ოფიცრები იმყოფებოდენ ჩეჩნეთში და მონაწილეობა მიიღეს დარგოს ექსპედიციაში (ივნის-ივლისის თვეებში). გრ. ორბელიანიც სწერს ზაქარია ერისთავს „ბეშის ანგარიშით ეხლა უნდა იყვნეთ ჩაჩანშიო“. 3. გრ. ორბელიანი სწერს მასვე: „ირაკლი, თუ თქვენთან ჯარში იყოს. მომიკითხე სიყვარულით“-ო. ცხადია — იგულისხმება ირაკლი ბატონიშვილი, რომელიც ზემოხსენებულ ოფიცრებთან ერთად ყოფილა. გრ. ორბელიანთან 1844 წლის ივნისს (იხ. ბარ. 51).

ამ ფაქტების გათვალისწინებით ირკვევა გრ. ორბელიანის ამ ბარათის ნამდვილი ადრესატები: ილია თარხნიშვილი და მაიორი ზაქარია გიორგიხ-ძე ერისთავი.—მათ შესახებ იხ. ბარათი № 51 და კომენტარიები.

2. ანტონ კათალიკოზი—ცნობილი მწერალი, არქაისტი (17:9—1788). ანტონი იყო ვახტანგ მეექვსის ძმის იესეს შვილი. 1740 წელს დანიშნეს მიტროპოლიტად. კათოლიკოსად აკურთხეს 1744 წელს. მიიღო კათოლიკობა, რის გამოც საეკლესიო კრებამ ის გადააყენა 1755 წელს (ანტონის წინააღმდეგ მოქმედი სასულიერო წრეების სულის ჩამდგმელი იყო ცნობილი ზაქარია გაბაშვილი). 1756 წელს, დანაშაულის აღიარების შემდეგ, ანტონი რუსეთს გაემგზავრა და მეორე წელს ვლადიმირის ეპარქიის მთავარ-ეპისკოპოსად იქნა დანიშნული. ერეკლე მეორემ ის საქართველოში გამოიწვია 1761 წელს და კათოლიკოსობა დაუბრუნა. 1772 წელს მიემგზავრება რუსეთის დიპლომატიური მინდობილობით. საქართველოში დაბრუნების შემდეგ სიკვდილამდე ასრულებდა კათალიკოსის მოვალეობას.

ანტონ კათოლიკოსის კალამს ეკუთვნის მრავალრიცხოვანი შრომები, ორიგინალური და ნათარგმნი, უმთავრესად სჭოლასტიკურ-დოგმატიკური ხასიათისა. მისი ერთად ერთი ლიტერატურული ნაშრომია „წყობილსიტყუაობა“ (ტფ. 1853, პლატონ იოსელიანის გამოცემა).

3. იხ. „წყობილსიტყუაობა“, § 602. თვის რუსთაველისა:

> შოთა ბრძენ-იყო სიბრძნის მოყვარე ფრიად,
> ფილოსოფოსი, მეტყველი სპარსთა ენის,
> თუ-სამ ჰსწადოდა, ღუთის-მეტყველიცა მაღალ,
> უცხო საკვირველ პიიტიკოს მესტიხე
> მაგრამ ამაოდ, დაჰშრუა საწუხ არს ესე.

4. ზაქარია—ზაქარია ორბელიანი. ამ უკანასკნელის ბარათი ილია თარხნიშვილისადმი გრიგოლ ორბელიანს გადაუცია მ. ს. ვორონცოვის ადიუტანტ მასლოვისათვის. უნდა ვიფიქროთ, რომ მასლოვი მიაწვდიდა ზაქ. ორბელიანს ბარათს (რომლის შესახებაც გრ. ორბელიანი სწერს თავის პირველ ადრესატს— ილია თარხნიშვილს).

5. „გოლიათი ლევან“—ლევან მელიქიშვილი.

6. „კნიაზი დიმიტრი“—დიმიტრი თომას-ძე ორბელიანი (იხ. კომენტ. 61_{13}).

7. გაბაევი—ზაქარია სოლომონის-ძე გაბაშვილი (?), მაიორი (იხ. Кавк. Календарь, 1846, გვ. 220).

8. ირაკლი—ირაკლი ბატონიშვილი.

9. ალექსანდრე—ალ. გრ. ორბელიანი (?).

10. ილია—ილია თარხნიშვილი.

11. მამუკა—მამუკა (მაკარ) ორბელიანი [მამუკა ორბელიანმა მიიღო პოდპოლკოვნიკის ხარისხი 1845 წელს].

1. 1845 წლის ივლისში მ. ს. ვორონცოვის სარდლობით აიღეს იმამის რეზიდენცია დარგო. როგორც აღნიშნული გვქონდა, ეს ექსპედიცია რუსის ჯარს რამდენიმე ათასი ჯარისკაცის სიცოცხლედ დაუჯდა. მოკლედ, ამ ისტორიული ფაქტის შესახებ.

31 მაისს ვორონცოვი ჩავიდა ვნეზაპნოეში, სადაც დაბანაკებული იყო ჩეჩნეთის რაზმი (Чеченский отряд). 3 ივნისს სარდალი დაიძრა დარგოსაკენ ხალათავიის გზით. მათ უბრძოლველად დაიკავეს ძველი ბურთუნაი, უაღრესად მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი სალათაკიაში და განაგრძეს გზა. ვორონცოვს ახლდა: პოლკები აპშერონის, ლიტვის, ყიტომირის, ლიუბლინის, ყაბარდოელთა და ქურის. ქართული ქვეითი „დრუჟინა", „ქართული მილიცია" (ლევან მელიქიშვილის მეთაურობით) დ. ოსეთის მილ.

გუშეეთში ვორონცოვის ჯარს ბრძოლა მოუხდა მთა ანჩიმეერთან, რომელიც დაიკავ. გრაფ ბენკენდორფმა. ამის შემდეგ ვორონცოვი დაიძრა ანდიხაკენ. ეს მხარე შამილ. მიეტოვებია და სოფლები ხანძრისათვის მიეცა. რუსის ჯარს გზაზე შემოაკლდა სურსათი და საკვები, ბაზდა ეკონომიის დაცვა. 6 ივლისს ვორონცოვი თავისი ჯარით იდგა დარგოს პირდაპირ მდებარე მთის მწვერვალზე. საკირო იყო ღრმა და ტყიანი ხევის გავლა, რომელიც დარგოსა და რუსის ჯარების მიერ დაკავებულ მწვერვალებს ჰყოფდა ერთმანეთისაგან. ტყე გავლეს ბრძოლით და ვორონცოვმა მიაღწია იმამის რეზიდენციას, რომელიც ცეცხლის ალში იყო გახვეული (შამილმა ის წინასწარ ხანძარს მისცა).

მაგრამ თავისთავად რეზიდენციის აღებას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. იმამს შეეძლო ბინად დაღისტანის ან ჩეჩნეთის სხვა რომელიმე აული აერჩია. იმამი სულით არ დაცემულა: ის თავისი მორალური უპირატესობის საჩვენებლად, რუსის ჯარის თვალწინ მარშით ატარებდა ემიგრანტი-რუსი სოლდატებისგან შედგენილ ბატალიონს. მალე მთიელების მასამ ალყა შემოარტყა ვორონცოვის რაზმს. დაბრუნება გავლილი გზით—შეუძლებელი და სირცხვილიც იყო.

დაჭანცული, მშიერი ბატალიონები იდგნენ დარგოში და ელოდენ სანოვაგეს. რომელსაც უნდა გამოევლო ტყე და შერთვოდა ვორონცოვის რაზმს. მაგრამ ხევი და იჩქერიის ტყე მთიელებს ეკავათ. გზის გასაწმენდად გაგზავნილ იქნა პოლკ პასეკი აპშერონის პოლკის ბრიგადით, რომელსაც მიჰყვა ვორონცოვის რაზმის ავანგარდიც. ულრან ტყეში რუსის ბატალიონებს გარშემოერტყა მთიელების ურიცხვი მასა და რამდენიმე ათასი რუსის სოლდათი სიცოცხლეს გაპოესალმა. აქ დაიღუპნენ პასეკი და გენ. ვიქტოროვი.

ამ კატასტროფის შემდეგ ვორონცოვი 12 ივლისს დაიძრა პირდაპირი მიმართულებით გერზელ-აულისაკენ (ჩეჩნეთი). შამილის რაზმებმა გზა გადაუჭრეს რაზმს. ჯარისკაცები დიდის გაჭირვებით იკაფავდენ გზას. ბოლოს წინსვლა შეუძლებელი მეიქნა: ვორონცოვისათვის ნათელი გახდა მოსალოდნელი კატასტროფა. გადაწყვიტეს დაეცადათ გენ. ფრეიტაგის რაზმისათვის, რომელიც მათ დასახმარებლად მოეშურებოდა გროზნიდან. ვორონცოვის ქანცმილეული, დაჭრილებით სავსე და მშიერი რაზმი შეჩერდა მდ. არგუნთან, სოფ. შაუხალ-ბერდის ახლოს. 19 ივლისს ფრეიტაგის რაზმი გაჩნდა და ვორონცოვი და მისი ჯარისკაცები გადარჩენ დაღუპვას (დარღოს ექსპედიციის შესახებ არსებობს საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა (იხ. „ბიბლიოგრაფია" II ტომში. მთავარი წყაროები: Акты, ტ. X; Н. Горчаков: Експедиция в Дарго 1845 г). К. Сб., ტ. II; 1845 год, Воспоминания В. А. Геймана, К. Сб., ტ. III; А. Ржевуский: 1845 год на Кавказе, К. Сб., ტომი VI; ესაძის, პოტოსა და ზისეოფანის შრომები და მრ. სხვ.)

2. ანდრეევსკი—ერასტი სტეფანეს-ძე ანდრეევსკი, მედიცინის დოქტორი. 1837 წელს დაინიშნა ვორონცოვთან დივიზიის ექიმად. 1845 წელს ჩამოყვა მას კავკასიაში და გაყვა დარგოს ექსპედიციის დროს ჩეჩნეთსა და დაღისტანში. 1847 წელს დროებით მართავდა საექიმო ნაწილს კავკასიაში. იმყოფებოდა ჯარში სალთის აღებისას (დაღისტანში). 1854 წელს დაინიშნა სამედიცინო საბჭოს წევრად. ცოლად ყავდა ბარბარე თემანიშვილი.

3. გურკო—ვლად. ოს. გურკო, ჯარების შტაბის უფროსი (იხ. კომენტ. 51_{11}). მონაწილეობა მიიღო დარგოს ექსპ-ში.

4. როგორც აღნიშნული გვქონდა, ილია ორბელიანი იმყოფებოდა ვორონცოვთან დარგოს აღებისას. სხვადასხვა ისტორიული ცნობების თანახმად, ვორონცოვს მართლაც შეყვარებია ილია ორბელიანი. დარგოდან და ხევის მძიმე წუთებში ის ოღრმე ამშვიდებდა სარდალს. ამის შესახებ სწერს დაღისტნელი ისტორიკოსი ტაჰირ ყარახელიც, რომელიც გადმოგვცემს საინტერესო ეპიზოდებს ვორონცოვისა და „ქართველ ილიას“ ურთიერთობიდან (ნ. Сборник матер. для оп. мест. и племен Кавказа, 1926. Махач-Кала. წერილი „ხამი იმამი“, გვ. 170—171).

5. კირკი—სოფელი ყოფ. ჭურის სახანოში.

6. არაკანი მართლაც მიემხრო რუსებს 1845 წელს.

7. ხიდატლი—სოფელი ცენტ. დაღისტანში; ამჟამად შედის გუნიბის რაიონში. წინათ შედიოდა კოხ-ის საზოგადოების აულთა რიცხვში.

8. გუნიბი—მთა-აული ანდალალში (მთიანი დაღისტანი). აქ შეიპყრეს შამილი 1859 წლის 25 აგვისტოს. ამჟამად—რაიონული ცენტრი.

9 თურკიდაღი—იხ. შენ. 49_{11}.

10. ხარდალი—მ. ს. ვორონცოვი.

71

1. მიხაკო—მიხეილ ქაიხოსროს-ძე ორბელიანი (ვ. ო. ბებუთოვის ადიუტანტი).

2. ნიკოლოზ ბარათაშვილი 1845 წლის 9 ოქტომბერს გარდაიცვალა ჭ. განჯაში. ოგორც ჩანს, გრ. ორბელიანისათვის დისწულის სიკვდილი გვიან უცნობებიათ (მისი ანდმყოფობის ამბავი კი მას ადრე მისვლია). გრ. ორბელიანს ამ წერილის პასუხად ილიასგან მისულია ბ:რათი, რომელიც ნიკ. ბარათაშვილის გარდაცვალებას ეხება (წერილის თარიღი: 1845 წ. 29 ნოემბერი): „ამ საწყლების მელიტონის დ: იმის ცოლ-შვილის ყურებისათვის ვეღარ გამიძლია; გულს ცეცხლი მეკიდება, ვგიჟდები და ეღარა მესმის რა; ჩვენი სიცოცხლე ტატო გარდაცვალა განჯას და იფიქრე ჩვენი ცხოვრება.—ნეტავი შენა, რომ მელიტონს და ეფემიას არა ხეუავ! შენი ჭირიმე ჭრიგოლ ჯან! ეაე ამბავი ქრისტიანებრივი მოთმინებით მიიღე და ნუ შეიწუხებ მაგ ავათმყოფობაში ოავსა.—“ (საქ. არქ. № 1. ტფ. ფონდი).

1846

72

1. ნინა—ნინო გრიბოედოვისა.

2—3. ივანე ორბელიანი, მანანას უფროსი ვაჟი.

4. ბახეევიჩი—იხ. კომენტ. 10_7.

5. ტახიკო - ანასტასია ორბელიანი, მანანას ქალი.

6. ელენე—ელენე ერისთავისა.

7. მარიამი—მარიამ ივანეს ასული ორბელიანისა (?). დიმიტრი თომას-ძე ორბელიანის მეუღლე.

73

1. მთავარმართებელი — მ. ს. ვორონცოვი (გრ. ორბელიანის 1845—54 წლების ბარათებში მოხსენებული: „სარდალი"—„მთავარმართებელი"—„ნამეხტნიკი"—„გრაფი"—ყველგან მ. ს. ვორონცოვის პიროვნებას აღნიშნავს).

2. ყაბართო (ყაბარდო)—იყოფა ორად: პატარა და დიდ ყაბარდოდ. პატარა ყაბარდო მდებარეობს კავკასიის ქედის დაფენებაზე მდ. ყუბანისა, მალყისა და თერგს შორის. მცირე ყაბარდო შეიცავს სივრცეს მდ. თერგის მარჯვენით და ქ. მოზდოკის საზრვეთით (იხ. რეკა; Берже: Кр. обзор. . გვ. 17—18).

3. თერგი.—მდინარე. გამოდის მთა ყაზბეგიდან. ერთვის კასპიის ზღვას.

4. 1846 წლის აპრილში შამილის ჯარი დაეცა ყაბარდოს, მაგრამ ვერა გააწყო რა. გრ. ორბელიანს მზედველობაში აქვს ეს ფაქტი (დაწვრ. იხ. ბარათი 74 და შენიშვნები).

5. მიხეილ ორბელიანი გარდაიცვალა 1846 წლის აპრილში, დაღისტანს.

6. ქაიხოსრო — ქაიხოსრო ორბელიანი, მიხეილის მამა.

7. 1846 წელს ილია ორბელიანი ასრულებდა ელისავეტოპოლის (განჯის) მაზრის უფროსის თანამდებობას. „ენერგიული მართებლობისათვის" მას მ. ს. ვორონცოვის ნდობა და მადლობა დაუმსახურებია.

8. კავალევსკი — მიხ. კონსტ. კოვალევსკი, პოლკ., აპშერონის პოლკის კომანდირი 1845—1846 წლებში (Богуславский, ტ. II).

9. 1846 წლის 1 ივლისს ზაქარია ორბელიანს მისცეს აპშერონის პოლკის კომანდირის თანამდებობა; ამ პოსტს ის გარდაცვალებამდე (1847) შერჩა.

10. ელიზავეტოპოლი — ქ. განჯა.

11. გახაროვი — აპშერონის პოლკის ოფიცერი (იხ. ბარათი 81 და 90).

12. ხაფონოვი — სტეფანე ვასილის-ძე საფონოვი. 1846 წელს ასრულებდა მეფის ნაცვალის სამოქალაქო კანცელარიის დირექტორის თანამდებობას (Кавказский Календарь, ტფილისი, 1846. გვ. 178).

74

1. ოღლი — სოფელი მეხთულაში (ბერეე, კოხუბსკი).

2. 1846 წელს ყაფლან ორბელიანი მსახურობდა ტფილისის მაზრის სამმართველოში. სამმართველოს სისტემის მიხედვით მაზრის ცალკე ნაწილებს თავისი მმართველები („ეზაატკოვოე ხასედატელი") ჰყავდათ. ყაფლან ორბელიანი მართავდა ბორჩალოს (К. Кал., 1846. გვ. 183).

3. 1846 წლის აპრილში შამილმა განიზრახა ყაბარდოს აღება. მას მოფიქრებული ჰქონდა გრანდიოზული გეგმა საქართველოს მოწყვეტისა სამხედრო გზიდან. შამილის განზრახვა დროზე გაიგეს და გენ. ფოეიტაგისა და გურკოს ენერგიული მოქმედების წყალობით შამილის მრავალრიცხოვანი ჯარი დამარცხებულ იქნა საომარი მოქმედების დასაწყისშივე. მიუხედავად ამისა, სამხედრო ისტორიკოსების აზრით, შამილის გეგმა დიდი დაკვირვებით იყო შემუშავებული, რაიც დაღისტან-ჩეჩნეთის იმამის იშვიათ სამხედრო ტალანტს მოწმობდა (ესაძე). ეს გეგმა ითვალისწინებდა რუსეთისა და ამიერკავკასიის შემაერთებელ კომუნიკაციური ხაზის გაწყვეტას (მიმოხილვები: Н. Горчаков: Вторжение Шамиля в Кабарду в 1846 году. Кавк. Сборник, ტ. IV. გვ. 19—39. Акты-

ტ X; К. Обзор событий на Кавказе в 1846 году (გაგრძელების V თავი). К. Сборник, ტ. XVI. გვ. 310—327).

შამილის „აბარდოზე დაცემის ოპერაციები სწარმოებდა 13—25 აპრილის დღეებში, ხოლო მისის მ. ს. ვორონცოვი დაღისტანში იმყოფებოდა (მომავალი საომარი დიეერსიებისა და მთელი რიგი პუნქტების გამაგრებისათვის საერთო ხელმძღვანელობის გასაწევად).

4. კნეინა ვორონცოვი — ელისაბედ ქსაველრის ასული . ვორონცოვისა. მეფის ნაცვალის მეუღლე.

5. არკაზი (არკას — სოფელი მეხთულაში.

6. მიჯაბა (მიჯაბ, მიკაბ) — სოფელი მეხთულაში

7. გერგებილი — გამაგრებული სოფელი ცენტრ. დაღისტანში (ანდალალი). ყარა-ყოისუსა და ყაზიყუმუხის ყოისუს შესართავთან.

8. 1846 წლის დასაკყისში ჩეჩნეთში სწარმოებდა სამზადისი საომარი ექსპედიციებისათვის.

9. კიკო ტულაევი — ილია ორბელიანის მეგობარი — ოფიცერი (?).

75

1. ღოლბლატი — ექიმი გოლემბლატ. მსახურობდა დაღისტანში (იხ. ბარათის ტექსტი).

2. შჩერბინინი — მიხ. პაკ. შჩერბინინი. მსახურობდა ვორონცოვთან ნოვოროსიისკში. 1846 წელს დაინიშნა მთავარმართებლის საიდუმლო კანცელარიის მმართველად. ამ თანამდებობას ასრულებდა 1848 წლამდე. 1851 წელს დანიშნულ იქნა მთავარმართებლის კანცელარიის დირექტორად. ამ თანამდებობას შერჩა 1854 წლამდე (კავკასიიდან მ. ს. ვორონცოვის წასვლამდე). მანვე გამოსცა ვორონცოვის ბიოგრაფია.

3. ახტრახანი — ყოფ. საგუბერნიო ქალაქი (რუსეთი).

76

1. ყოიხუბუ —დაღისტნელ ტომის, ავარიელთა, მხარე. აღმოსავლეთით მას სახლვრავს საშამახლო და მეხთულა, ჩრდილოეთით — გუმბეთი (რომლისგანაც მას ანდიის ყოისუ გამოყოფს), დასავლეთით — ავარია და გუმბეთი, ხოლო სამხრეთ-ით — ისევ მეხთულა (ბერეე, Материалы..., 282).

2. გუმბეთს ჩრდილოეთით სახლვრავს ჯალდარი—მეერის ქედი, დასავლეთით—ანდიისა და დაღისტნის სხვა წვრილი თემები. სამხრეთ-აღმოსავლეთით — ავარია, ყოისუბუ და საშამხალო (Op. cit., 281).

3. ეშკარტი — სოფელი საშამხალოში; ამჟამად ბუინაკსის (ყოფ. თემირხანშურა) რაიონში შედის.

4. ბარბარე ოთარიხ ცოლი — ბარბარე ქობულიშვილი (იხ. ბარათი და კომენტ. 4).

77

1. ქოჩევი — (ქოკევი?) — მდებ. ყოფ. სიღნაღის მაზრაში.

2. 1846 წელს ილია ორბელიანს მისცეს მაიორის ხარისხი. ამ დროს გრ. ორბელიანი პოლკოვნიკი იყო.

3. ხულეიმან ხანი - სულეიმან-ხან შირვანელი, ოფიცერი (იხ. Кав. Календарь. ტფ. 1846. გვ. 221).

4. ევგენიევსკის ცი ე—(იხ. კომენტ. 48_3).

5. ყოისუ — იგულისხმება ანდიის ყოისუ (მდინარე) იხ. კომენტ. და ბარათი 38_{29}.

6. ჩერქეთ ჯამალა—შამილის მომხრე სალათავიაში. ულალატა იმამს 1857 წელს. (იხ. II ტომში).

7. მაიორი ბუკეევი — გედეონ ივანე-ძე ბეკეიაშვილი.

8. ტენცლერუხი (ტლესერუხი) — ლეკების ტომის მხარე (დაღისტანი), უკირავს მდ. ყარა ყოისუს სათავეების მიდამოები (ნაწე რუქა).

9. აიმაკი —სოფელი მეხთულაში.

გრ. ორბელიანს მხედველობაში აქვს მ. ზ. არღუთინსკის სამხედრო ექსპედიციები ტლესერუხში, 1846 წლის ივლისში. არღუთინსკიმ მიაღწია დანიელ-ბეგის რეზიდენციას — ირიბს. მაგრამ მისი აღება ვერ მოხერხდა მთიელთა ძალების მოზღვავების გამო. (იხ. К. Сб. XIV, გვ. 486—498).

10. ანდრონიკოვი ივანე — ივანე მალხაზის-ძე ანდრონიკაშვილი. გენერალ-მაიორი (1798—1868), იმერეთის მეფის, სოლომონ II დის შვილი, რომელიც დედასთან ერთად ჩავიდა პეტერბურგს 1812 წელს და სამხედრო სამსახურში შევიდა 1818 წელს. 1826—9 წლებში ის იბრძოდა სპარსელებისა და თურქების წინააღმდეგ კავკასიაში. 1829 წელს მიიღო პოლკოვნიკის ხარისხი. 1830—48 წ. წ. — ებრძოდა მთიელებს დაღისტანში. 1849 წელს დაინიშნა ტფილისის გუბერნიის სამხედრო გუბერნატორად. ამ თანამდებობაზე ყოფნისას მოუსწრო რუსეთ-ოსმალეთის ომმა (1853—6). ამ ომში ი. ანდრონიკაშვილმა რამდენიმე გამარჯვებას მიაღწია. 1853 წლის 14 ნოემბერს მან 5 ათასი ჯარისკაცისაგან შემდგარი რაზმით გაანადგურა თურქეთის 30 ათას. კორპუსი ახალციხესთან, ხოლო 1854 წლის 4 ივნისს დაამარცხა თურქთა სარდლის ხელიმ ფაშას არმია მდ. ჭოროხთან. 1858 წელს ებრძა კავალერიის გენერლის ხარ., გარდაიცვალა იმავე წელს ქ. ტფილისში.

Биографический очерк Генерала от Кавалерии Князя Ивана Малхазовича Андроникова 1-го, К. Кал., ტფ. 1875, I—VI).

11. დიმიტრი ონიკოვი — საქ. გრენ. პოლკის ოფიცერი. გრ. ორბელიანის მეგობარი და თავის დროისათვის საკმაოდ ცნობილი მოქეიფე (იხ. დ. ყორლანაშვილის წერილები გრ. ორბელიანისადმი. საქ. საეთნ. მუზ. 155-ბ). გრ. ორბელიანს აგრეთვე აქვს ლექსი სათაურით: „დიმიტრი ონიკაშვილის დარდები“ (იხ. ლექსები, 1928, გვ. 57).

12. ალექსანდრე — ალექსანდრე ონიკაშვილი (?). დ. ონიკ-ის ძმა, მსახურობდა დაღისტანში.

78

1. ქუთიშა — სოფელი აყუშაში.

2. ლავაში — (იხ. 65_{10}).

3. ყოროდა — (იხ. კომენტ. 41).

4. ტაბასარანი—სეხრეთ დაღისტნის ნაწილი. უკავია სიერცე ყარაყაითაღსა და ჭურის მიწებს შორის. იყოფა ორად — ქვემო და ზემო ტაბასარანად. 50 წლებში ტაბასარანის სოფლები მურიდების თავშესაფარი იყო.

5. ბაშლი — აული ტაბასარანში.

6. გუბდენი — სოფელი საშამხალოში.

7. მუხა ბელაქნელი — შამილის ნაიბი. იბრძოდა დაღისტანში 1840—50 წლებში და კერძოდ ქეთიშის ბრძოლაში 1846 წელს.

8. „ჩვენი ოტრიადი“ — იგულისხმება „დაღისტნის რაზმი“, რომელსაც მეთაურობდა ვ. ო. ბებუთოვი.

9. ულლუაი (ულლუ-აია, ხოლალ-აია, აია-კუნტ) — სოფელი აყუშაში.

10. ყაყამაკი (ყაყა-მახი, კაკა-მახი) — სოფელი აყუშაში.

11. კუდაშევი — მიხეილ ფედ. კუდაშევი, გენერალ-მაიორი.

12 ზაკარია — ზაკარია ორბელიანი (აპშერონის პოლკის კომანდირი).

13. მაჩაბელი — ესტატე მაჩაბელი, შტაბის კაპიტანი. ქუთაისის ბრძოლის დროს მეთაურობდა დრაგუნთა დივიზიონის მე-2 ესკადრონს (დივიზიონს კი მეთაურობდა გრ. ორბელიანი).

14. ყულიბეგ მთა — მდებარეობს დაღისტანში, აულ. გერგებილის მახლობლად.

15. ფეზე — კარპ. კარ. ფეზე (გარდ. 1848). 1836—1842 წლებში იბრძოდა დაღისტანსა და ჩეჩნეთში. გენერ.-ლეიტენანტი.

16. გრ. ორბელიანის მიერ აღწერილი ბრძოლა „ავკასიური ომების ერთერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდია. ყაბარდოს უშედეგო გალაშკრების შემდეგ ოქტომბერში შამილი დაეცა აულ წუდაპარს და აყუშას. ჩრდილოეთ დაღისტანში ამ დროს ჯარებს სარდლობდა ვ. ო. ბებუთოვი, რომელსაც დაღისტნის აულები სასწრაფო დახმარებას სთხოვდენ. ბებუთაშვილმა გაამაგრა ს. ჯუნგუთაი (მეხუულის სახანოს მთავარი სტრატეგიული პუნქტი, გრ. ორბელიანის რეზიდენცია) და თვითონ ჯარებით დაიძრა მთისაკენ (დრაგუნთა ორ დივიზიონს მეთაურობდა გრიგოლ ორბელიანი). მათ გზაზე აიღეს მურიდების მიერ დაკავებული აული აიმაკი და რაზმი მიუახლოვდა აულ ლეგაზს შამილმა დაიხია უკან და გამაგრდა აულ ქუთაიშაში. მიუხედავად იმისა, რომ მთიელების ჯარი მრავალრიცხოვანი იყო, ბებუთოვმა გადასწყვიტა სოფელზე იერიშით მისვლა. ქუთიშას, სხვა ნაიბებთან ერთად, იცავდა ჰაჯი-მურადიც.

ცხარე ბრძოლის შემდეგ, 15 ოქტომბერს აული ქუთიშა აღებული იქნა. სოფელში პირველად შეიჭრენ დრაგუნთა დივიზიონის სოლდათები, რომელთაც მეთაურობდა გრ. ორბელიანი. შამილის ჯარი დაფრთხა და ორბელიანმა მას ს. ხოჯალ-მაქამდი გასდია. სადაც პირისპირ შეხვდა ჰაჯი-მურადს. „მტერი“ ძლეულ იქნა.

ქუთიშას ბრძოლის სხვა დეტალებს აღწერს თვითონ ორბელიანი (მასალები: Кавк Сборник, ტ. XIV, გვ. 530—541; Акты, X; ესაძე—Штурм Гуниба... 173—176; და სხვ ქუთიშას ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა ზ. ორბელიანიც აპშერონის პოლკის 1 და 2 ბატალიონებით (იხ. Апшеронская Памятка, 353—362; აგრეთვე: Ист. Апшер. полка, ტ. 2).

17. აბრამა — ორბელიანეპის მოურავი (?).

18. აჩლოი — სოფ. ყოფ. თერგის ოლქში, ქ. გროზნის მახლაში.

79

1. შაქელი ოსება—როგორც ბარათიდან ჩანს, ვინმე შაქელი ოსება დამკვრელი და მომღერალი ყოფილა.

80

1. უზდენი—უბრალო მოქალაქე (ავარიელ მთიელების წოდების სახელია).

2. ნინო—ნინო გრიბოედოვისა.

3. დანიელ-ბეგს ცოლად ჰყავდა ახმედ-ხანისა და ნოხ-ბიქეს ასული—ბაბა-ბიქე (ბერეე).

4. 1846 წლის 13 დეკემბერს, ღამის ორ საათზე, სოფელ ჯუნგუთაში შეიპარა ჰაჯი-მურადი 500 მურიდით. აულის შესავალთან მან მოჰკლა მცველები და გაემართა ახმედ-ხანის ქვრივის სასახლისაკენ. მურიდებმა მოახერხეს შეპარვა ნოხ-ბიქეს ოთახში და მოიტაცეს თვითონ ნოხ-ბიქე. ყოველივე ეს მოხდა უჩვეულო სიფრთხილით. აულში ერთი ძახილიც არავის სმენია.

როცა ჰაჯი-მურადი სოფლიდან გავიდა, შეშინებულმა მცველებმა განგაში ასტეხეს. გრიგოლ ორბელიანი „შალის სერთუკის“ ამარა გამოუდგა ჰაჯი-მურადს აშშერონის ერთი ბატალიონით, მაგრამ გვიანლა იყო: ნაიბს საკმაოდ დიდი მანძილი გაევლო (იხ. Кавк Сборник, ტ. XIV გვ. 552—3; Акты, X; Хаджи-Мурад. (მემუარები) Махач-Кала, გვ. 26—28).

მ. ს. ვორონცოვის ცნობით, ჰაჯი-მურადისათვის ნოხ-ბიქეს მოხერხებულად გატაცებისას დახმარება გაუწევია ხანის ქერიფის მოსამსახურე ქალს—ფატმას; ამ უკანასკნელს გაუტარებია მურიდები სასახლეში ნოხ-ბიქეს ოთახამდე (Акты, X. 443).

როგორც ზემოდაც გვქონდა აღნიშნული, ნოხ-ბიქეს ქმარი, ახმედ-ხანი მეზთულელი მართავდა ავარიას 1840—2 წლებში. ის მტრობდა ჰაჯი-მურადს და მისი დაბეზღებით კლუგენაუმ ბორკილებგაყრილი გამოაყვანინა ხუნძახიდან მამაცი მთიელი, რომელმაც მოახერხა გაქცევა. ჰაჯი-მურადი ეძებდა შემთხვევას შურისძიებისათვის, მაგრამ ახმედ-ხანის სიცოცხლეში თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანა მან ვერ შესძლო.

ნოხ-ბიქე ტყვეობიდან გამოიხსნეს 1847 წელს.

5. ჭობაჩი (ჭუბაჩი)—დიდი აული სამხ. დაღისტანში, უძველესი სოფელი, ცნობილი რკინეულობის დამუშავებით (იხ. Н. Б. Бакланов: Златокузнецы Дагестана. О кустарях-металистах селения Кубачи. М 1926; Проф. А. С. Башкиров: Скульптурные памятники Дагест. аула Кубачи. 1926).

6. მაიკო—ქაიხოსრო ორბელიანის მეუღლე, დედა მიზეილ ქაიხ. ორბელიანისა.

81

1. ახვერდიმაჰმადიხ მამა—უნდა იგულისხმებოდეს შამილის ცნობილი ნაიბის, ახვერდი-მაჰმადიხ (მოჰკ. 1843 წ.) მამა (ახვერდი-მაჰმადი ხუნძახელი იყო).

2. ტყვეების გადაცვლისა თუ დასჯის საკითხს შამილი ჩვეულებრივ უბუცესთა კრებაზე, („დივან“) სწყვეტდა.

3. ირაკლიხანი—იგულისხმება: ერეკლე II.

4. ამ აულებთან იბრძოდა ჰაჯი-მურადი 1844—46 წლებში. როგორც წინა ბარათის კომენტარიებში აღნიშნეთ, 1846 წელს გრ. ორბელიანი პირისპირ ებრძოდა ჰაჯი-მურადს ს. ხოჯალ-მაჭში.

5. მაიორი—იგულისხმება მაიორი ვასილიევი, რომელიც დროებით მართავდა მეხთულის სახანოს გრ. ორბელიანის შემდეგ, 1847 წელს. წერილში მოხსენებულ მიზეზების გამო გრ. ორბელიანი 1846 წელს დაღისტანში დარჩა (ვასილიევის შესახებ იხ. В. Потто: Генерал-Ад'ютант Иван Давидович Лазарев. ტფ. 1900. გვ. 89).

6. „ნეთეიქ ალლა იაზლანდი“ (თურქ).—რას იხამ, ღვთის ნიერ ასეა დაწერილი [=განჩინებული].

1847

82

1. ქაიხოსრო—ქაიხოსრო ორბელიანი.

2. ალექსანდრე ხაგინოვი—(საგინაშვილი) 1847 წელს კავკასიის ჯარების შტაბში მსახურობდა ტფილისს.

3. „ილლუსტრაცია“—ყოველკვირეული გაზეთი „Иллюстрация“. გამოდიოდა 1845 წ. მარტიდან 1848 წლამდე. მისი თანამშრომლები იყვნენ: ე. ვერდერევსკი, ფ. ხოლოგუბი და სხვები, რომელნიც შემდეგ კავკასიაში მოღვაწეობდნენ.

4. მანანახშვილი—იგულისხმება ივანე ორბელიანი.

5. ოცდაათი ოფიცერი—გრ. ორბელიანს მხედველობაში აქვს შემდეგი ისტორიული ფაქტი: 1843 წელს, ჩეჩნეთისა და დაღისტნის დიდი ამბოხების დროს, შამილს ტყვედ რაუვარდა რუსის ოფიცრები, რომელნიც არ გამოუსყიდიათ. ისინი შამილმა დაახოცინა 1845 წელს, დარღოს აღების წინ.

6. ინუოჰაჯი (იგივე ჰინყა აჯია)—შამილის ნაიბი. იხ. კომენტ. 37).

7. ინყო ჰაჯი მართლაც დაეცა ყახიყუმუხს 1847 წლის 5 იანვარს, მაგრამ ვერაფერი გააწყო. ის დაამარცხა აყუმელმა ახამ, რომელიც მთიელთა მილიციას მეთაურობდა. ინყოჰაჯიმ 30 კაცი დაჰკარგა (იხ. Кавк. Сборник, ტ. VI გვ. 497. შდრ. ბარათში გადმოცემული ცნობები).

8. ალექსანდრე—ალექსანდრე ორბელიანი.

9. ყაფლან ორბელიანი 1846 წელს მსახურობდა ბორჩალოში ამ მხარის მმართველის თანამდებობაზე (К. Кал., 1846. გვ. 183).

83

1. კოსტანტილე—კონსტანტინე ორბელიანი. გრ. ორბელიანის ნათესავი, მემამულე.

2—4. იგულისხმება სუსიკო კონსტანტინეს-ძე ორბელიანი, ოფიცერი. მსახურობდა დაღისტანს. დაწერ. იხ. II ტომში. გარდ. 1881 წ. (შდრ. ბარათი 141).

3. ბაკლანა—ბაკლანა ზედმეტი სახელი იყო ალექსანდრე გიორგის-ძე ორბელიანისა.

5. კნიინა ბებუთოვიხა—მარიამ სოლომონის ასული ბებუთოვისა.

6. ელიხანედ—ელ. ორბ...

84

1. მიატლი - სოფელი სალათავიაში. მდებარეობს მდ. სულაკის პირას.

2. ხულაკი—მდინ. (დაღისტანი), ერთვის კასპიის ზღვას (დაწერ.: Неверовский, 6).

3. თარკო (ტარკი, თარკი, თარკუ,—გუ)—სოფელი საშამბალოში, შამბალების რეზიდენცია. ტარკში მოსახლეობენ მთიელი ებრაელებიც.

4. თალგინის ტაე—მდებარ. დაღისტანში (იხ. ტექსტი).

5. არქაზი (იხ. კომენტ. 75).

6. შიხშაბეგი—აპშერონის პოლკის ოფიცერი.

7. გახპაროვი—აპშერონის პოლკის ოფიცერი.

8. ღრაფი სტარეინსკი—ოფიც. მსახურობდა დაღისტანში.

9. შენშრეკი—მთა ყოისუბუში.

10. არაკანი—ყოისუბუს სოფელია.

11. ჰაჯიომარის ძმა—როგორც ბარათიდან ჩანს, ვინმე ჭოხელი ჰაჯი-ომარის ძმა, აპშ. პოლკის ოფიცერი, დაჭრილა აბაქართან შეტაკების დროს.

12. ვარშავა—პოლონეთის დედაქალაქი.

13. აბაქარ-დიბირის დამარცხებამ და ტყვეების ხელში ჩაგდებამ ნოხ-ბიქეს დახსნა დააჩქარა—1847 წლის მარტში ნოხ-ბიქე გამოსყიდულ იქნა. რაც შეეხება აბაქარ-დიბირის დაცემას თარკუზე და მის დამარცხებას, გრ. ორბელიანი ამ ისტორიულ ეპიზოდს საკუთარ სწორად გადმოგვცემს (იხ. Кавказский Сборник, ტ. VI. გვ. 493—495). არ ორის გადაჯარებული ორბელიანის კვენნაც (იხ. Н. А. Волконский: Трехлетие в Дагестане. 1847 год. Кавк. Сборник, ტ. VI, გვ. 494: „По следам князя Орбелиани бежали из Дженгутая два баталиона. Но перерезать дорогу не удалось: когда мехтулинский правитель (გრ. ორბელიანი, ა. გ.) подошел к урочищу Араканы,

Дибир уже скрывался в ущелии. Долго не думая, князь Орбелиани помчался с своею конницею в догонку отважному наибу, настиг партию и ударил в шашки. Это была атака вполне молодецкая, каторую князь Воронцов особенно расхвалил в приказе по корпусу от 1-го февраля...» შემდეგ მიდის ტყვეებისა და ნადავლის აღწერა, რომელსაც მცირეოდენი განსხვავებით შეიცავს გრ. ორბელიანის ბარათიც.

14. გერგებილის აღების საპიროებას 1847 წელს ვორონცოვიც გრძნობდა. იმავე წლის მაისში ვ. ო. ბებუთოვი დაიძრა კიდეც გერგებილისაკენ. ის მიუახლოვდა აულს, მაგრამ იერიშისათვის ხელსაყრელი პირობების უქონლობის გამო, უკანვე გამობრუნდა (Кавк. Сборник, ტ. VI, გვ. 512—514). ვერც ვორონცოვმა აიღო ის 1847 წელს. გერგებილი აიღეს 1848 წ. (იხ. შემდეგი წლის ბარათები).

15. კავკასიის ჯარების მთავარი შტაბის უფროსად 1846—1847 წლებში ითვლებოდა გენერალ-მაიორი ვოლფი.

16. იგულისხმება ილია ორბელიანი.

17. ჩვენი ვანო—ივანე ორბელიანი.

18. 1847 წლის გაზაფხულზე შამილმა თავის საომარ მოქმედების არენად უმთავრესად ჩეჩნეთი გაიხადა, თუმცა განსაკუთრებული სიფხიზლით ადევნებდა თვალს დაღისტანში მიმდინარე სამხედრო ოპერაციებსაც.

85

1. კოსტანტინე—კონსტანტინე ორბელიანი (იხ. კომენტ. 83).

2. იგულისხმება ილია ბატონიშვილის ასული ანა, ფრეილინა, რომელიც ცოლად შეირთო დავით ალექსანდრეს-ძე ჭავჭავაძემ 1847 წელს (ილია ბატონიშვილი, გიორგი XII ძე, გარდ. 1855 წელს).

3. დავით—დავით ალ. ჭავჭავაძე.

4. ნინო—ნინო გრიბოედოვისა.

5. 1846 წელს ეკატერინე დადიანს ეყოლა ვაჟი—ნიკო.

6. ხარაჯოვი—სოლომონ სარაჯიშვილი (?).

7. დიმიტრი—დიმიტრი ონიკაშვილი (?) თუ დიმ. თომ. ორბელიანი (?).

8. კატო—მელიტონ ბარათაშვილის ასული (გრიგოლის დისწული). რევაზ ეოისთავის მეუღლე.

86

1. გრ. ორბელიანს მხედველობაში აქვს მ. ს. ვორონცოვის ის ბრძანება კორპუსის მიმართ, რომელშიაც მთავარმართებელი მადლობას უცხადებდა მას აბაჭარ-დიბირის დამარცხებისათვის.

2. იგულისხმება მთიელთა და რუსის ბატალიონის შეტაკებები 1847 წლის დასაწყისს, ჩეჩნეთში.

3. აბდულლა ეფენდი—სახელწოდება ჩეჩნეთის აულისა, მდებ. იჩკერიაში.

4. ხოცატლი (გოცატლი)—სოფელი ავარიაში.

5. ბუგლენი (ბუგულენ, ბუგლენ)—სოფელია საშამხალოში (დაღ.).

6. ყაყაშურა - (იხ. შენ. 50).

7. დორგელი (დურგელი)—სოფელი მეხთულაში.

8. ოსხებ თათელაშვილი—ორბელიანების ყმა (?). გრ. ორბელიანი მას ახსენებს თავის მოსამსახურეებთან (ეკალასთან და სხვ. ერთად).

9. ბირზავკან—იხ. კომენტ. 11.

10. კენდერგინსკი—მაიორი. მსახურობდა დაღისტანში. 1849 წელს აპშერონის პოლკის ოფ., 1851 წ.—პოლკოვნიკი. 1853 წელს გადაიყვანეს „საქ. ლინეის" № 14 ბატალიონში (იხ. Богуславский, ტ. II 206, 225. ტ. III. 76).

87

1. ხულთანი—დანიელ ბეგი.

როგორც აღნიშნული გვქონდა, დანიელ-ბეგს ცოლად ჰყავდა ნოხ-ბიქეს ასული ბახაბიქე (იხ. Акты, III, 226). 1846 წელს ჰაჯი-მურადმა გაიტაცა ნოხ-ბიქე ii. ჯუნგუთაიდან (იხ. ბარათი და შენიშვ. 80). ხანის ქვრივის ტყვეობიდან დასახსნელად გრ. ორბელიანი მოლაპარაკებას აწარმოებდა ჰაჯი-მურადთან. დანიელ-ბეგი, როგორც ნოხ-ბიქეს სიძე, ძალზე ნაწყენი იყო ავარიის ხანის საქციელით, რამაც მათ შორის მტრული ურთიერთობა დაჰბადა. როგორც 1851 წლის ბარათების კომენტარიებში (II ტომში) გვექნება აღნიშნული, ეს მტრობა იყო ერთერთი მიზეზი ჰაჯი-მურადის განდევნისა დაღისტნიდან. აქ განდევნას მოჰყვა შამილის შესანიშნავი ნაიბის ტრაგიკული სიკვდილი.

ნოხ-ბიქესა და დანიელ-ბეგის ბარათები გრ. ორბელიანისადმი უცნობია.

88

1. იგულისხმება ნოხ-ბიქე.
2. ვ. ო. ბებუთოვი.
3. ნადირ-შაჰი—ცნობილი ირანელი დამპყრობი (1688—1747).
4. ალექსანდრე საგინაშვილს 1847 წელს მისცეს მაიორის ხარისხი.
5. გრ. ორბელიანი სწერს ქეთევანს: „ზაქარიამ გამომიგზავნა ილიას წიგნი და თქვენიცა". მაშასადამე, წერილის დაწერის დღეს (8 მარტს) ზ. ორბელიანი გრიგოლთან ეერიკნებოდა. ჩანს, ბარათი გრ. ორბელიანს გაუგზავნია თავისი ძმისთვის თემირხანშურაში, სადაც ზ. ორბ-ს ეს აბზაცი დაუწერია ბარათის ბოლოს.

89

1. იგულისხმება მანანა ორბელიანის ვაჟები: ივანე და ალექსანდრე ორბელიანები.

90

1. გრიგოლ შადინოვი—ტფილისელი ვაჭარი და სახლების მეპატრონე. დაახლოებული იყო ორბელიანებთან, კერძოდ ილია ორბელიანთან.
2. ჯავათხანი—ყოფ. განჯის სახანოს გამგებელი. მოკლულ იქნა პ. ციციშვილის მიერ განჯის აღებისას 1804 წლის 2 იანვარს.

გრ. ორბელიანი მოიხსენებს ჯავათხანს იმიტომ, რომ ილ. ორბელიანი 1846 წ. განჯის მაზრის უფროსი იყო („ვინ უნდა ჰქმნას ჯავათხანიჰ"-ო).

3. ეხტიტე მაჩაბელი—ქუთაისის ბრძოლის მონაწილე. 1846 წ. ვირტემ. დრაგუნთა პოლკის ოფიცერი (იხ. კომენტ. 78₁₂).
4. ობუხოვი—პოლკოვნიკი ობუხოვი, პრინც ვირტემბერგსკის დრაგუნთა პოლკის კომანდირი (იხ. Кавк. Календарь, 1846. გვ 224. ამ წლის კალენდარში ობუხოვი პოდპოლკოვნიკად არის მოხსენებული).
5. ჯომარდიძე—აპშერონის პოლკის ოფიცერი. 1846 წელს მონაწილეობა მიიღო ქუთაისს ბრძოლაში, რისთვისაც ებოძა კაპიტნის ხარისხი.

91

1. კატუა—ეკატერინე ბარათაშვილი, ნიკო ბარ-ის და.
2. თამარი—იაკობ ორბელიანის ასული (იხ. II ტომში).
3. ალ. საგინაშვილს 1847 წელს მისცეს მაიორის ხარისხი.
4. მაიკო—მაიკო ორბელიანისა (ქაიხ. ორბ- ის მეუღლე).
5. მიხაკო—მიხ. ქაიხ. ორბ-ი. გარდაცვლილი.

92

1. ზაქარია ორბელიანი გარდაიცვალა ს. ხოჯალმაკში ხოლერით 1847 წლის 11 ივნისს (იხ. Апшеронская Памятка, გვ. 365—6: „Здесь умерло в наших баталионах от холеры 153 человека, а 11-го июня кончил свою жизнь от этой-же болезни и командир полка, князь Захарий Дмитриевич Орбелиани. Вместо него командиром полка назначили полковника князя Григория Дмитриевича Орбелиани, родного брата покойнаго командира"). ბარათი დაწერილი უნდა იყოს 16—20 ივნისის დღეებში.

(შენიშვნა: ქაშუეთის ეკლესიაში ს. ორბელიანის საფლავის წარწერა შეცდომას შეიცავს: „აქ განისვენებს გვამი პოლკოვნიკის თავადის ზაქარია ზურაბის-ძის ჯამბაკურ ორბელიანისა დაბადებული 1806 წ. გარდაცვალებული 1845 (?) იანვრის 11 დღესა (?)").

აშერონელი სოლდათი ასე ახასიათებს ზაქარიას პიროვნებას: „В 1846 году прибыл к нам новый командир полка, князь Захарий Дмитриевич Орбелиани. Хороший был человек, царство ему небесное! Не долго только довелось ему покомандовать полком нашим: в 1847 году умер от холеры. Человек он был еще не старый, как говорится, в самом соку, в бою храбрый и распорядительный.„ (Апш. Пам., 352—3. შდრ. Богуславский: Ист. Апш. полка, ტ. II გვ. 174—175).

93

1. დიბირ მაჰმადა—ემსახურებოდა გრ. ორბელიანს დაღისტანში. ოცი წელიწადი გაუტარებია მას თავის უფროსთან (იხ. გრ. ორბელიანის ბარათი დ. ჯორჯაძისადმი 1865 წ. 9 ივნისის თარიღით. საისტ.-საეთნ. № 155 ა).

2. ივანე—ივანე ორბელიანი.

3. 1847 წლის აგვისტოს ილია ორბელიანი იმყოფებოდა ქ. ს. ვორონცოვთან დაღისტანში. ვორონცოვის რაზმი იდგა გამაგრებულ ხალთის პირდაპირ, ანდალალში. ილია ორბელიანი უფროსობდა აშერონის ქვეითი პოლკის ბატალიონებს (Кав. Сборник, VI გვ. 601). სალთი აიღეს სექტემბერში. აგვისტოში კი ებრძოდენ მთიელებს, რომელნიც სალთის მიდამოებს იცავდენ.

4. ხლიანკო—ახლო მეგობარი ყოფილა გრ. ორბელიანისა (იხ. ბარათის ტექსტი). როგორც ჩანს, იგი პასუხისგებაში მიუციათ სოფელ სალიანის „აკლებისათვის" (იქვე).

5. ხალიანი—სოფელი ყოფილ ჩილეს მაჰალში, ქალურის სახანოში (მაჰალი—რამდენიმე გაერთიანებული სოფლის საერთო სასელწოდებაა (Козубский; Памятная книжка... 1845. გვ. 338). შეიძლება იგულისხმებოდეს ხალიანი—ადმინისტრ. ცენტრი ყოფ. ჯევადის მახრისა, მტკვრის პირას, ადერბაიჯანში.

6. (სალთის აღების შესახებ. იხ. ბარათი 96 და შენიშვნ.).

7. პოტოცკი—ალბერტ იგნატ. პოტოცკი, პოდპოლკოვნიკი. საქ. გრენად. პოლკის ოფიცერი. მონაწილეობას იღებდა სალთის აღებაში.

8. ჯაფარ-ყული-ალა—ჯაფარ-ყული-ალა ბაკიხანოვი.

9. ივანე—ივანე დ. ორბელიანი.

10. როგორც ალნიშნული გვქონდა, 1847 წლის მაისში ვ. ო. ბებუთოვი დაიძრა გერგებილისაკენ, მაგრამ იერიშით სოფელზე მისვლა ვერ ;ბებედა. იმავე წლის 4 ივნისს ვორონცოვმა სცადა ამ აულის შტურმით აღება: ჯარები შეესივნენ ბამაგრებულ სოფელს, მაგრამ იერიშს დიდი მსხვერპლი მოჰყვა. რამდენიმე ასეული ჯარისკაცი დაიღუპა აულის პირველ ქობებთანვე. მთიელები თავგანწირვით იბრძოდენ. მათ მოეწყოთ ორმოები ამფითეატრის მსგავს აულის პირველ საფეხურებზე და ფეხის მიკარებისთანავე ჯარისკაცები უგზო-უკვლოდ იკარგებოდენ. ამასთანავე რუსის ჯარისკაცებს მოედო ხოლერა. ვორონცოვი იძულებული გახდა უკანვე გაბრუნებულიყო (იხ. Н. А. Волконский: Трехлетие в Дагестане. 1847 год. Осада Гергебиля и взятие Салты. Кавк. Сборник, ტ. VI, გვ. 529—538. ჯერგებილთან 600-დე ჯარისკაცი და მრავალი ოფიცერი დაიღუპა). სალთის აღების (14 სექტ.) შემდეგ განზრახული იყო კვლავ ჯერგებილისაკენ წასვლა, მაგრამ დიდმა მსხვერპლმა სალთის აღებისას შეუძლებელი გახადა მიზნის სისრულეში მოყვანის ცდა. გრ. ორბელიანი გულახსმობს საომარ ექსპედიციას, რომელიც არ ჩაეარებულა.

94

1. ბიბანოვი—პოდპოლკ. ბიბანოვი; სალთის აღების დროს უფროსობდა ვარშავის პოლკის ბატალიონს. მოხვდა მთიელებისგან ნასროლი ქვა. გარდ. 22 აგვისტოს ღამით (მისი ტრაგიკ. სიკვდილის აღწერა იხ. Волк., Op. cit., К. Сб., VI, 586—599).

95

1. ალექსანდრე—ალექსანდრე ვახ.-ძე ორბელიანი.

96

2. სალთი აიღეს 1847 წლის სექტემბერში. გამაგრებულ აულს ალყა შემოარტყეს და ჯარები 52 დღის განმავლობაში იდგნენ მთიელთა ციხე-სიმაგრის ირგვლივ. სოფელს იცავდენ შამილის საუკეთესო ნაიბები: ომარ-დებირი და მურთუზალი (ყიბიტ მაჰმადის ძმა), ჰაჯი-მურადისა და ყიბიტ-მაჰმადის საერთო მეთაურობით. აულიდან დაშორებით საომარ მოქმედებას თვალს ადევნებდა თვითონ იმამი შამილი.

მიუხედავად მთიელთა თავგანწირული ბრძოლისა, სალთი ;ალებულ იქნა 14 სექტემბერს. რუსის ჯარმა ამ დღეს დაჰკარგა 10 ოფიცერი და 238 სალდათი. დაკრილთა რიცხვი გაცილებით მეტი იყო (К. Сб., VI, 661).

სალთის აღებამ შამილზე ცუდად იმოქმედა. მან დატუქსა ნაიბი ყიბიტ-მაჰმადი, რომლის ძმა, მურთუზალი, ნაიბ ომარ-დებირთან ერთად ხელმძღვანელობდა აულში მომწყვდეულ მთიელთა გარნიზონს. საერთოდ სალთის აღებისას ორივე მხარე ძალზე დახარალდა. მთელი ექსპედიციის განმავლობაში რუსებმა დაჰკარგეს 100 ოფიცერი და 2000-დე ჯარისკაცი (Путеводитель по Кавк. военно-историческому музею. 1913. გვ. 54—55). გრ. ორბელიანი, როგორც რუსის გენერალი, სალთის აღებას ;ამარჯვებად სთვლიდა.

97

1. ჯუდალი—(იხ. კომენტ. № 65_{13}).
2. კოღორი (კოჰორი, Kerep)—აული ანდალალში.
3. ეუპპა—სოფელი (აული) წუდახარში (დარღი).
4. ღრაფი ღაიდენი — გენ. შტაბის კაპიტანი. დაიკრა სალთის აღებისას (იხ. К. Сб., VI. გვ. 630—632).
5. გლებოვი—მ. ს. ვორონცოვის ადიუტანტი, როტმისტრი. სალთის აღებისას უფროსობდა დაღისტნის პოლკის მეორე ბატალიონს. მოჰკლეს 28 ივლისს, ღამით (К. Сб., VI. 555—556).
6. მამუკა—მამუკა ორბელიანი.
7. ქეთევან—ქეთევან ორბელიანი, სენატორ გიორგი ერისთავის ასული, მამუკას მეულლე (1806—1897).

98

1. კხიონწი—მღვდელი.
2. ზაქარიას გვამი გრიგოლ ორბელიანმა გაგზავნა ტფილისში 1847 წელს. ის დაკრძალავთ ქაშუეთის ეკლესიაში.
3. პატარა ვორონცოვი—(იხ. კომენტ. 146_1).
4. ივანე—ივანე ორბელიანი.

99

1. აყოშა—(იგივე-აკუშა, აყუშა, აჰყოშა).
2. მიცხის მაჰალი—აერთებს რამდენიმე სახოგადოებას (აულს). შეიცავს ყოფ. ყახიყუმუხის სახანოს (დაღისტანი) მიწებს (კოხუბსკი, 282—283).
3. 1847 წელს შიდა დაღისტანში გახშირდა ავახაკობა (იხ. К. Сб., VI).
4. გეუა ოჰანაშვილი—ორბელიანების მოსამსახურე—მოურავი.
5. ტახიკო—ანსატასია ორბელიანი, ივანეს და (მანანას ქალი, შემდეგში—გაგარინისა).

100

1. უნეუეთი (უნეუგატლი)—ლეკების სოფელი მიცხის მაჰალში (კოხუბსკი, გვ. 284).

101

1. ეაკოვსკი—აშერონის პოლკის ოფიცერი. მსახურობდა ორბელიანთან დაღისტანში.
2. ხარდალი — იგულისხმება ჰ. დ. ციციშვილი (1754—1806), კავკასიის მთავარმართებელი. სარდლობდა კავკ. ჯარებს 1802—1806 წ. წ. მოჰკლეს ბანჯაში მუხანათურად 1806 წლის 8 თებერვალს. განჯის ხანმა, აბას-ყულიმ მისი თავი ირანის შაჰს გაუგზავნა. ციციშვილის გვამი ბაქოდან გადმოასვენა 1812 წელს მარკიზ პაულუჩიმ. დაკრძალულია სიონში, მონასტრის მარჯვენა კედელთან.
3. ხ. ორბელიანი დაკრძალეს ქაშუეთის ეკლესიაში და არა სიონში.

102

1. მაიორი კუტუზოვი—მაიორი გოლენიშჩევ-კუტუზოვი. მსახურობდა აშერონის პოლკში 1847—1848 წ. წ. (Богуславский, ტ. III. გვ. 75).

2. ვორონცოვკა—სოფელი ყოფ. ბორჩალოს მაზრაში

3. თამამშოვი—გაბრიელ თამამშოვი. 40—50-ან წლებში თამამშოვებს დიდი ვაჭრობა ჰქონდათ გაჩაღებული კავკასიისა და რუსეთის სხვადასხვა ადგილებში. თამამშოვებს ეკუთვნოდათ დიდი ქარვასლა ტფილისში, რომელიც ვორონცოვის ინიციატივით ააგეს მათ.

4. 1846 წლის ზამთარში ყოფ. ელისავეტოპოლის მაზრაში გაერცელდა ავადმყოფობა, რომლის წინააღმდეგ ენერგიული მოქმედებისათვის ილია ორბელიანს, როგორც მაზრისს უფროსს, მადლობა გამოუცხადა. ხ. ორბელიანი სწერდა 1846 წლის 11 მარტის თარიღით კონსტანტინე თარხნიშვილს (შემახიის მაზრის უფროსს): „დასამშვიდებლად განჯიხა, გაგზავნეს ჩემიჯ ძმა ილია, რომელმაც დიდად იხაჯმა ახე, რომ ხულ ახწყვეტა იქ რაზმიინაკნი, ხოლო ნუხისა—გრიგოლ მუხრანსკი (მ), რომლისაცა ჯერ არა შემიტყვია რა. ილიამ ძალიან გამოიღო ხელი" (იხ. საქ. მუზეუმის $\frac{10.908}{НД}$); გრ. ორბელიანს მხედველობაში აქვს ეს ისტორიული ფაქტი, როცა თავის ძმას სწერს: „რად წახვედი ასე მალე განჯას, კიდევ ხომ არ ახტყდენ ავაზაკნი?"-ო.

103

1. ყაზიურთი—სადგური მდ. სულაკის მახლობლად, ყუმიხში (ყოფ. თერგის ოლქში) (ნახე რუკა).

2. ერფელი—ყუმიხების სოფელი, ამჟ. ბუინაკსის რაიონში შედის. მდებარეობს ბუინაკსიდან 10 ვერსტის დაშორებით, ყარანაის ქედის დაფენებზე, აღმოსავლეთით (Э. Г. Вейденбаум: Материалы для ист.-геогр. словаря Кавказа, вып. I, გვ. 9. ტფ. 1894)

3 ფიტინლოფი—ვას. ივანეს-ძე ფიტინგოფი. კაპიტანი. მსახურობდა დაღისტანში 50 -იან წლებში. 1850—1852 წ. წ.—ქართ. არტ. გარნიზონის კომანდირი.

4. ათათ—(ჰაჯათ) არაბ.-ირან.—ეზო, გადასახადი ადგილი.

5. გენ. სიმბორსკის საქმის (?) შესახებ დაწვრილებითი ცნობები არ შენახულა. გამოურკვეველია, რომელი „10 ათასი" მანეთის შესახებ ლაპარაკობს გრ. ორბელიანი.

104

1. ივანე—ივანე ორბელიანი.

1848

105

1. 1847 წელს გრ. ორბელიანმა ჩაიბარა აპშერონის პოლკი, რომლის შტაბს თემირხანშურაში (ახლანდელი ბუინაკსი) ჰქონდა ბინა. მეუთულის სახანოს გამგებლად კი დაინიშნა დ. ლაზარევი.

2. რაევსკი—ალ. ივ. რაევსკი, ტფ. სათავადაზნაურო გიმნაზიის „პოპეჩიტელი" (Кавк. Кал., ტფ. 1849. გვ. 548).

3. ლაკ—მასწავლებელი პანსიონში (?).

4. ხემენოვი—პაველ ალ. სემენოვი, პოლკოვნიკი. კავკ. გრენად საარტილ. ბრიგადის 1 ბატარეის კომანდირი (Кавк. Кал., 1846, გვ. 236).

106

1. ივანე — იუანე ორბელიანი (მანანას ვაჟი).
2. ევხტატე მაჩაბლის (იხ. წინა ბარ., და კომ.). ხელი ზოგან გაურკვეველია.

107

1. ილია ორბელიანი 1847 წელს განჯაში მსახურობდა.

108

1. ისაკ თუმანოვი - ისაკ შიოს-ძე თუმანიშვილი, კაპიტანი. მსახურობდა კავკ. ჯარების გენერ. შტაბში (К. Кал., 1846. გვ. 219). ახლო მეგობარი გრ. ორბელიანისა და ნიკ. ბარათაშვილისა. 1860 წ. — პოლკოვნიკი.
2. „ბრიგადნის კომანდირი" — 1848 წელს 20 კვ. დივიზიის 1 ბრიგადის კომანდირი იყო. გენ.-მაიორი ანდ. პეტ. პლაცბეგ-კოკუში. 1 ბრიგადაში შედიოდა აპშერონისა და დაღისტნის პოლკები (იხ. К. Кал., ტფ. 1848, გვ. 75).
3. „შტაბის ნაჩალნიკი" — გენ.-მაიორი პავ. ევხტ. კოცებუ, კავკ. ჯარების მთავარი შტაბის უფროსი.
4. იუხუპოვ — ?
5. კოკუში — ა. პ. პლაც-ბეგ-კოკუში.

109

1. 1848 წლის იანვარსა და თებერვალში ჩეჩნეთში ტყეების გაკაფვა ხელმძღვანელობდა გენ.-ლეიტენანტი ფრეიტაგი. გზის გაყვანისას სანაპირო აულები ღებულობდენ რუსეთის კეკეშევრდომობას.
2. შიოევი — იგულისხმება გრიგოლ მელიქზადეს-ძე შიოევი (შიოშვილი), პრაპორ მსახურობდა „სახელმწიფო ქონების პალატაში" (Кавк. Календарь, ტფ. 1845. გვ. 181) როგორც ჩანს, 1847 წელს ის გრ. ორბელიანთან ჩასულა დაღისტანში.
3. მელიქზადა — გრ. შიოშვილის მამა.
4. ყუბელი მუხუმბეგი (?) - უნდა იგულისხმებოდეს ახალგაზრდა მთიელი, რადგან იუსუფ-ბეგი მეხთულელი 1848 წელს პოლკოვნიკი იყო.

111

1. ადალარების ხაკმე (?) — უნდა იგულისხმებოდეს დავა ყაზიყუმუხის ხანებს შორის ქონების განაწილების ირგვლივ.

116

1. ჩირიურთი — მდებარეობს მდ. სულაკის ნაპირას (კოზუბსკი, 402—403). [1848 წელს ვ. ვორონცოვი ხელმძღვანელობდა სანხედრო ოპერაციებს ჩეჩნეთში].
2. ალექსანდრე მუხრანსკი (მუხრანბატონი) — შტ.-კაპიტანი. იბრძოდა 1848 წლის ივნის-ივლისში გერგებილთან. უფროსობდა არტილერიის ნაწილს (К. Сб., VII, 528).
3. თუმანოვი — ალექსანდრე თუმანიშვილი.
4. ლორის მელიქოვი — მიხეილ ტარიელის-ძე ლორის-მელიქოვი, ლეიბ-გვარდიის გროდ. გუსარ. პოლკის როტმისტრი. შემდეგში — გამოჩენილი გენერალი და სახელმწიფო მოღვაწე. მსახურობდა დაღისტანში (დაწვრ. იხ. III ტომის კომენტარიებში).

5. ოიხებ ეორლანოვი იბრძოდა გერგებილთან 1848 წ. 1850—1852 წ წ. ნაახურობდა ქ. ნუხაში. მან მოაკვლევინა მდევრებს ჰაჯი-მურადი 1852 წელს. შემდეგში—გენერალ-მაიორი (ვრცლად ნეკროლოგში, „Кавказъ", 1872, № 27); გარდ. 1872 წ. 18 თებერვალს, 59 წლისა.

6. ამილახვარი—ივანე ამილახვარი (?) (იხ. შენიშვნა № 147 ₁).

7. ჰამადანი—ხპარსეთის ქალაქი.

8. შადინოვი—(იხ. კომენტარ. 90 ₁).

117

1. დეღიდაშვილი ნინა—იხ. შენიშვნა 14 ₁.

119

1. ყოიხუ—მდინარე, ყახიყუმუხის ყოისუ.

2. როგორც წინა წლის ბარათებიდან და კომენტარიებიდანაც გაიგებდა მკითხველი 1847 წელს გერგებილის აღება ვერ მოხერხდა. აუცილებელი იყო ამ სტრატეგიული პუნქტის მოშლა, რაიც 48 წელს შესძლო მ. ხ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა.

16 ივნისს ჯარები უკვე დაბანაკებული იყო გერგებილთან. აულს ალყა შემოარტყეს სამი მხრით. გრ. ორბელიანმა, რომელიც აპშერონის პოლკს უფროსობდა, 23—24 ივნისს აიღო აულის წინ მდებარე ბაღები. ამის შემდეგ დაიწყო მხადება იერიშისათვის. მ. ხ. არღუთინსკისა და გრ. ორბელიანს გარდა, გერგებილთან იბრძოდენ: პოლკოვნიკები—ბარიატინსკი (შემ.ედგში კავკასიის მთავარმართებელი), ევდოკიმოვი (ვედენოს ამღები 1859 წ.) და სხვ. გერგებილს იცავდენ:—ყიბიტ-მაჰმად, ჰაჯი-მურად, მუსა ბალაქნელი (ბალაქანი ყოისუბუს სოფელია) და გერგებილის ნაიბი ჰუსეინ.

6 ივლისს აული გერგებილი განადგურებულ იქნა არტილერიის ცეცხლით. აულის მცველებმა ღამით სცადეს გაპარვა. მრავალი მთიელი მოჰკლეს მზვერავებმა. თითქოს შეუვალი, გამაგრებული აული დაანგრიეს (დაწვრ. იხ. Н. А. Волконский: Трехлетие в Дагестане. 1848-й год. Взятие Гергебиля и героическая защита укрепления Ахты. Кавк. Сборник, ტ. VII. გვ. გვ. 481—536; Акты, ტ. X; Апшеронская Памятка გვ. 357—371).

3. მიხაკო—მიხეილ სუმბათაშვილი, ოფიცერი. შვილი მელანია სუმბათაშვილისა (იხ ბარათი 120).

4. ხოხიკო—ს. ქ. ორბელიანი.

120

1. ნინო—ნინო გრიბოედოვისა (?).

121

1. გერგებილში ჯარები შეეიდნენ იერიშის მეორე დღეს, ე. ი. 7 ივლისს.

2 თარხანოვი—ალექსანდრე თარხნიშვილი.

122

1. როგორც აღნიშნული გვქონდა, 1848 წლის ხაფხულსა და შემოდგომაზე მ. ს. ვორონცოვი ჩეჩნეთში იმყოფებოდა.

2. ახ.ედ-ხანი—ახმედ-ხანი მეხთულელი, ავარიის მმართველი 1842 წლამდე.

3. ბრუმმერი—ედუარდ ვლად. ბრიმერი. გენ.-ლეიტენანტი. უფროსობდა კავკ. ჯარების არტილერიას. იბრძოდა გერგებილთან 1848 წელს. 1869 წელს დაინიშნა ოდესის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსის თანაშემწედ. გარდ. 1874 წ.

4. ფეზე—კ. კ. ფეზე. გენ.-ლეიტენანტი. იბრძოდა დაღისტანში 1836—1842 წლებში. 1842 წელს ფეზემ პირველად აიღო აულები—გერგებილი, ჭოხი, კოჰორი, გიმრი. 1843 წლის დიდმა ამბოხებამ კი ეს სტრატეგიული პუნქტები შამილს უკანვე დაუბრუნა.

5. მუხა ბელაქნელი (ბალაქნელი)—შამილის ნაიბი, სხვა ნაიბებთან ერთად იცავდა გერგებილს 1848 წელს.

6. ევდოკიმოვი—ნ. ი. ევდოკიმოვი (დაღისტნის ქვეითი პოლკის კომანდირი 1848 წელს).

7. უუდუხიხ მთა—მდებარეობს დაღისტანში.

8. კიკუნი (კიკუნი)—აული ანდალალში.

9. მუსეინ—შამილის ნაიბი. მეთაურობდა აულში მომწყვეტულ მთიელების გარნიზონს (1848 წელს). მოუკლავთ იქვე (იხ. ბარათის ტექსტი).

10. ალექსანდრე მუხრანბატონი—მართავდა ბატარეას გერგებილზე შტურმის დროს მემატიანეს ცნობით, ის მართლაც კარგად ასრულებდა თავის მოვალეობას (იხ. Кавк. Сборник, VII, 528).

123

1. ურუს მარილანი—აული ჩეჩნეთში. ამე. ქ. გროზნის რაიონში შედის.

2. გერგებილის აღებისათვის მ. ზ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს ებოძა გენერალ-ადიუტანტის ხარისხი.

3. ხიღრატი (სოგრატლ)—იხ. კომენტ. 58₁.

4. ილია ორბელიანი მონაწილე იყო ანდალალის გამაგრებულ სოფელ ხალთის აღებისა 1847 წელს. გზად მას უნდა გაევლო სოგრატლთან.

5. ალექსანდრე—ალექსანდრე ვახ. ორბელიანი (?).

124

1. რუთული—მთავარი სოფელი ამავე სახელწოდების თემისა დაღისტანში, მდ. სამურის მახლობლად (კოზუბსკი, 380—381).

2. ახტი—გამაგრებული სოფელი სამურში (სამურის რაიონის შტაბს ბინა ჰქონდა ახტში). სამხრ. დაღისტანი.

3. მურთუზალი—შამილის ნაიბი, ყიბიტ-მაჰმადის ძმა.

4. ჰაჯიოვი (ჰაჯი-იავ)—შამილის ნაიბი, ყარახელი (Линевич: Карта горских народов, подвластных Шамилю, Сб. свед. о Кавк. горцах, VI, გვ. 4; 187?). ჰაჯიიავ მართლაც ითვლებოდა შამილის საუკეთესო არტილერისტად. ამიტომ უწოდებს მას გრ. ორბელიანი თობჩიბაშს.

5. სამური—მდინარეა სამხრ. დაღისტანში.

6. „ტიფლისკოე უკრეპლენიე"—ეს სახელი ეწოდებოდა ახტის მახლობლად აგებულ ციხე-სიმაგრეს (К. Сб., VII, 563), რომელიც 1848 წლის 15 სექტემბერს აიღეს მთიელებმა და შიგ მდგარი გარნიზონი ამოსწყვიტეს (იქვე).

7. ბუხოლც—პეტრე ვახ. ბუხალეი (?). ანიკულაკის პრისტავი (К. Кален., ტფ. 1846. გვ. 204).

8. ლაზარევი—ივ. დავ. ლაზარევი, სამურის რაიონის ოფიცერი, კაპიტანი (1820—1879); 1850 წლიდან მართავდა მეხთულის სახანოს. მონაწილეობა მიიღო სალთის, გერგებილისა და სხვა გამაგრებულ სოფლების აღებაში. 1853 წ.—ყოფ. დარლის ოლქის მმართველი

(შეხვეულის გამგებელი ეპოლტის შეთავსებით). მოლაპარაკებას აწარმოებდა შამილთან გენერალ 1859 წელს, როცა იმამი დანებდა ბარიატინსკის (ამ წელს მას მისცეს გენ.-მაიორის ხარ.) 1860—1867 წ.წ. მანძილზე ივ. დ. ლაზარევს ეკირა მთელი რიგი საპასუხისმგებლო პოსტებისა (იხ. Генерал-Ад'ютант Иван Давидович Лазарев. Составил В. Потто. ტფ. 1900. ეს ნაშრომი შეიცავს საინტერესო მასალებს გრ. ორბელიანის ბიოგრაფიისათვისაც).

1848 წელს ლაზარევი მონაწილეობას იღებდა ახტის მთიელების ალყისაგან განთავისუფლებაში (პოტტო, 75—80).

9. გრ. ორბელიანის მიერ აღწერილი ბრძოლა კავკასიური ომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდია:

1848 წლის სექტემბერში შამილმა ალყა შემოარტყა ახტის ციხე-სიმაგრეს, რომელსაც იცავდა ხუთასი კაცისაგან შემდგარი გარნიზონი პოლკ. როტის მეთაურობით. მ. ზ. არლუთინსკი სასწრაფოდ დაიძრა ახტისაკენ, რომელიც 13 სექტემბრიდან გარშემორტყმული იყო მურიდებით. მთიელებს მეთაურობდენ შამილის ნაბები, თვითონ შამილისა და დანიელ-ბეგის მეთვალყურეობის ქვეშ.

ახტის გარნიზონმა არლუთინსკის მისვლამდე ძლივს გაუძლო მთიელების მოხლვევებულ მასას—მრავალი ოფიცერი მოკლეს, ხოლო გარნიზონი განახევრებული იყო. 22 სექტემბერს არლუთინსკი უკვე ახტის ციხე-სიმაგრესთან იდგა. მან შტურმისათვის გაგზავნა აპშერონისა და შირვანის პოლკების ბატალიონები. მთიელები ძლეულ იქნენ და შამილმა მოხსნა ალყა (დაწვრ. იხ. ბარათში და აგრეთვე: Акты, X; Кавк. Сбор., VII 555—593; Апш Пам., გვ. 372—376). გრ. ორბელიანი მონაწილე იყო ზემოთ აღწერილი ბრძოლისა. 1848 წლის სამხედრო ექსპედიციებს შორის ახტის სიმაგრის განადგურებისაგან გადარჩენა უკანასკნელი მნიშვნელოვანი აქტი იყო.

125

1. ჭერგებილის ბაღების ალებისთვის გრ. ორბელიანს 1848 წლის მიწურულს მიუვიდა გენ.-მაიორის ხარისხი. ეს წარმატება პოლკის კომანდირის თანამდებობის ნაცვლად დივიზიის რომელიმე ბრიგადის ჩაბარებასაც გულისხმობდა.

2. დავით ყორლანოვი (ყორლანაშვილი) გრ. ორბელიანის ძველი მეგობარი იყო (იხ. ბარათი 17 და კომენტ.) გარდ. 1848 წ.

127

1. ფალავანდოვი—ნიკ. იოს. ფალავანდიშვილი.
2. იგულისხმება ალ. საგინაშვილი.

128

1 ხოლომონ ყორლანოვი—როგორც ჩანს, სოლომონ ყორლანაშვილი დაღისტანში მსახურობდა (იხ. ბარათის ტექსტი). ნათესავი უნდა ყოფილიყო დავით და იოსებ ყორლანაშვილებისა. ოფიცერი (?).

2. ალექსანდრე—ალექსანდრე საგინაშვილი.

3. მაიკო—მაიკო ორბელიანი (?) (ქაიხოსრო ორბელიანის მეუღლე).

129

1. ლამაზოვი—აპშერონის პოლკის ოფიცერი. გარიცხეს პოლკიდან 1855 წელს, კომანდირისათვის შეურაცყოფის მიყენების გამო (Богуславский, ტ. III, გვ. 75).

1849

130

1. ივანალი—გენერალი (1848 წელს გრ. ორბელიანს მისცეს გენ.-მაიორის ხარისხი. იხ. შენიშვნა 124).

2 გადლევსკი—კირილე ოს. გოდლევსკი, პოლკოვნიკი. გრენად. არტილერიის მე-3 ბატარ. კომანდირი. 1848 წელს გერგებილის აღებაში მიიღო მონაწილეობა. იმავე წელს ებოძა გენ.-მაიორის ხარისხი.

3. ჯაფარ-ული ალა—ჯაფარ-ყული-ალა ბაკიხანოვი. პოლკოვნიკი.

131

1. შამხალი—იგულისხმება შამხალის მმართველი �ბუ მუსელიმ-ხ.ნი.

132

1. მაიკო—მაიკო ორბელიანისა (?).

133

1. ივანე ანდრონიკოვი—ივ. მალხ. ანდრონიკაშვილი (გრ. ორბელიანი ოხუნჯობით სწერს ქეთევან ორბელიანს ანდრონიკაშვილის მიერ ელისაბედ ორბელიანის „ღანიშვნის" შესახებ).

2. გაუვებარია, რომელი „საქმის დაბოლოვების" შესახებ სწერს გრ. ორბელიანი თავის რძალს. შესაძლოა გულისხმობდეს მამულების გაყოფას, რაზედაც ხშირად მიუთითებს თავის ბარათებში.

134

1. გენ.-მაიორის ხარისხის მიღების შემდეგ გრ. ორბელიანი მოელოდა დაწინაურებას სამსახურში. 1850 წელს მან „ჩაბარა" აპშერონის პოლკი და დაინიშნა მე-20 დივიზიის 1 ბრიგადის კომანდირად (Богуславский, ტ. II, გვ. 193).

2. ივაგორ მიზუასშვილი (მირზოევი)—[აპშერონის პოლკის იუნკერი (იხ. ბარათი 135). 1849 წელს გადაუყვანიათ მეგრ. პოლკში. იქვე].

3. ამირაზაშვილი—ორბელიანების ყმა (?).

136

1. 1849 წელს ილია ორბელიანი გაემგზავრა რუსეთს. მან პირადად ინახულა იმპერატორი ნიკოლოზ I. დაეწერა ი. ორბელიანის ბარათი გრიგოლისადმი (იხ. საისტ.-საეთნ.-Q 155/b), სადაც ის თავის ძმას აუწერს პეტერბურგში ჩასვლას და იმპერატორთან შეხვედრას.

2. ხარდლიანნი—უნდა იგულისხმებოდეს ორბელიანების ის შტო, რომელიც დავით ორბელიანის (ერეკლეს სარდლის) ჩამომავალი იყო.

137

1. ილია—ილია თარხნიშვილი.

2. ლორიხმელიქოვი—მ. ტ. ლორის-მელიქოვი.

3. 1849 წ. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის მეთაურობით ალყა შემოარტყეს გამაგრებულ აულს ანდალალაში—ჭოხს. 23 ივნისს არღუთინსკი უკვე იდგა მახლობელ მთა თურჩიდაღზე. ადგილმდებარეობის დაზვერვის შემდეგ ის დაიძრა აულისაკენ, რომელსაც იცავდნენ ბაიბები—ბაჯი-მურადი და მურთუზ-ალი (ყიბიტ-მაჰმადის ძმა). ჭოხი ძალიან გაემაგრებინათ და მაღალი ბალავანი მას თითქოს მიუდგომელ ციხე-სიმაგრედ ხდიდა. 1 ივლისს ჭოხთან გამოცხადდა თვითონ შამილი. 9 ივლისს დაიწყო წინასწარი შეტევები. გრ. ორბელიანის მიერ აღნიშნული ეპიზოდი 18 ივლისს მოხდა: შუალამით გრ. ორბელიანმა იერიში მოიტანა აულზე მარჯვენა მხრიდან და ხელჩართულ ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა (К. Сб., VIII, გვ. 277). გამარჯვების ნიშნად მას დარჩა ერთი ბაირაღი, მრავალი ბარაღი და სხვადასხვა ტანსაცმელი. მთიელებმა მოასწრეს მოკლულთა გვამების წაღება.

11—23 აგვისტოს დღეებში ჭოხს დაუშინეს ყუმბარები. დაანგრიეს აულის კედლები და ბალავანი ბოლოს, საერთო შტურმის დაწყების წინ, არღუთინსკიმ სწრაფად მოხსნა ალყა. ჯარების დახევამ საერთო გაუგებრობა გამოიწვია, ხოლო არღუთინსკი თავისი ოპერატეგიის გასამართლებლად მიუთითებდა შემდეგ გარემოებაზე: აულის აღების შემდეგ საჭირო იქნებოდა ჭოხის ირგვლივ მდებარე მთიანი ადგილების აღებაც, რასაც ახალი მსხვერპლი მოჰყვებოდა (პუნქტები შამილის ჯარებს ეკავათ). გარდა ამისა, გარნიზონის დატოვება დანგრეულ აულში არ იქნებოდა მიზანშეწონილი... ამ მოსაზრების გამო არღუთინსკის იერიში არ მიუტანია აულზე.

გრ. ორბელიანი მონაწილე იყო ამ მნიშვნელოვანი სამხედრო ექსპედიციისა (Н. Волконский: Трехлетие в Дагестане. 1849-й год. Осада укрепления Чох. Кавк Сборник, ტ. VIII. გვ. 241—305, Акты, ტ. X. და სხ.).

138

1. 1849 წელს ილია ორბელიანი ჩავიდა პეტერბურგს, სადაც ინახულა იმპერატორი ნიკოლოზ I, რომელმაც ის კარგად მიიღო (იხ. ილიას ბარათები გრიგოლთან 1849 წლისა (ისტ.-საეთნ. Q. 155/b).

2. მთავარმართებლის შვილი—იგულისხმება სიმ. მიხ. ვორონცოვი, კაპიტანი (ნახე შენიშვნა 146_5).

3. დადიანი—დავით დადიანი.

4. ეკატერინე—ეკატ. დადიანისა.

5. ნინო—ნინო გრიბოედოვისა.

6. იოსონ ჭავჭავაძე (იხ. კომენტ. 59_3).

140

1. პოხზე ყუმბარების დაშენის წინ თხრილების დაკავებისათვის გრ. ორბელიანს ებოძა 1-ი საფეხურის სტანისლავის ორდენი (Акты, X. გვ. XXVIII. ბერეე).

2. „კნიაზ პატემკინი"—გრიგ. ალ. პოტიომკინი, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე ეკატერინეს პერიოდისა, ფელდმარშალი (1739—1791). თავის დროს მოიპოვა მსოფლიო სახელი. ბიოგრაფიული მასალები პოტიომკინზე მრავლად მოიპოვება რუსულ ენაზე.

141

1. ორელ (Орел)—ყოფ. საგუბერნიო ქალაქი რუსეთში. მდ. ორლიკისა და ოკუს შესართავიან.

2. ბატონიშვილი მარიამ—მარიამ ისაკის ასული ბატონიშვილი (?). ალექსანდრე ბატონიშვილის მეუღლე. გარდ. 60-ან წლებში.

შეიძლება იგულისხმებოდეს მარიამ ბატონიშვილი-ანდრონიკაშვილისა, სოლომონ II-ის და, დედა გენ. ივ. მ. ანდრონიკაშვილისა. გარდ. 60-ან წლებში.

3. თამარ ბატონიშვილი—თამარ იულონის ასული ბატონიშვილი, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, რომელიც დატოვებულ იქნა ტფილისში და რამდენიმე წლის განმავლობაში პოლიციისა ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა.

4. თამარ ბატონიშვილის ძმა—იგულისხმება დიმიტრი იულონის-ძე ბატონიშვილი, 32 წლის შეთქმულების მონაწილე. გაგზავნილი იყო სმოლენსკში სასჯელის მოსახდელად. შემდეგ ცხოვრობდა პეტერბურგში.

5. კოსტანტინეს შვილი—სოსიკო ორბელიანი.

6. უნდა იგულისხმებოდეს ქაშუეთის ეკლესია.

7. ივანე მალხაზიჩ—ივ. მალხ. ანდრონიკაშვილი.

142

1. ბუკუიევი—იგულისხმება ივანე ბორისის-ძე ბუკუიაშვილი, რომელიც რიტთან ერთად იცავდა ახტის სიმაგრეს 1849 წელს და რისთვისაც ებოძა კაპიტნის სარ., გარდ. 1890 წელს 77 წლისა (იხ. В. Потто: Фамилия Бучкиевых в столетнем служении ея России. ტფ. 1901. გვ. 2—3; ივანე ბუკუიაშვილი იყო ძმა გედეონ ბუკუ-ისა. იქვე). რომ გრ. ორბელიანი უთუოდ გულისხმობს ივ. ბუკუიაშვილს, ჩანს იქიდან, რომ „ბუკუიევს" მისთვის ცხენი „ახტიდან" გაუგზავნია. 1849 წელს კი ახტაში მსახურობდა სწორედ ივანე ბორისის-ძე ბუკუიაშვილი (იხ. დასახ. თხზ.).

2. ბაბალე—ბაბალე მელიტონის ასული ბარათაშვილი. შემდეგში—ვეზირიშვილის მეუღლე (იხ. ნ. ბარათაშვილი—ლექსები. გვ. 242. ტფ. 1922).

143

1. ზურაბ ყაფლანიშვილი—გრ. ორბელიანი გულისხმობს თავის მამას, ხურაბ (იგივე დიმიტრი) ორბელიანს.

2. ძალუა ნინო—იაკობ ორბელიანის მეუღლე.

3. მირსკი—დიმიტრი ივანეს-ძე სვიატოპოლ-მირსკი, მ. ს. ვორონცოვის ადიუტანტი. შემდეგში—გენერალ-ადიუტანტი (დაწერ. იხ. III ტომში).

4. სოფიკო—სოფიო იაკობის ასული ორბელიანი-მირსკისა. დაიბ. 1821 წ. 1 დეკ. გარდ. 1850 წლის 14 ივნისს (სოფიო ორბელიანი ცოლად ჰყოლდა დიმიტრი ივ. სვიატოპოლ-მირსკის. იხ. Зиссерман: 25 лет на Кавказе, ч. I, зз. 182).

5. მამუკა—მამუკა (მაკარ) ორბელიანი.

6. ვადლევსკი—(იხ. შენიშვნა 130).

7. დუბელტი—აპშერონის პოლკის ოფიცერი. 1849 წელს ებრძა მაიორის ხარ. (იხ. Ист. Апшер. полка, ტ. II, 206). 1851 წელს პოდპოლკოვნიკი (იქვე, 225).

8. ივანე—ივანე ორბელიანი (მანანას კაჟი).

9. ალექსანდრე—ალექსანდრე თუმანიშვილი.

10. ერმოლოვი - კლავდი ერმოლოვი [ა. პ. ერმოლოვის უკანონო შვილი, რომელიც ჯრ. ორბელიანთან მსახურობდა დაღისტანში].

11. ჰელლი (იგივე გელლი, ჰელლი) - სოფელი საშამხალოში.

12. მაია—იგულისხმება გრიგოლ თუმანიშვილის (ალექსანდრე თუმ-ის მამა) მეუღლე—მაია თუმანიშვილისა.

13. ქეთევან - ქეთევან ორბელიანისა (გრიგოლის რძალი).

14. ალაჩაალა (იხ. კომენტ. 54₄)

15. ელენე—ელენე ერისთავისა (ზაქ. ერისთა-ის მეუღლე).

16. ბარბარე ანდრეევსკიხა—ბარბარე თუმანიშვილი-ანდრეევსკისა, მ. ს. ვორონცოვის კარის ექიმის, ერასტი სტეფანეს-ძე ანდრეევსკის, მეუღლე.

მ. ვორონცოვის კავკასიიდან წასვლის შემდეგ ბარბარე თუმანიშვილი გაჰყვა თავის ქმარს და ოდესაში ცხოვრობდა. მათ შესახებ ცნობებს გადმოგვცემს აკაკი წერეთელი (იხ. „ჩემი თავგადასავალი", თხზულებანი, ტ. I, სახელგამი, 1930. გვ. 61—65).

17. ბარიათინსკი—ალექსანდრე ივანეს-ძე ბარიატინსკი, ჩერნიშევის პოლკის კომანდირი და ფლიგელ-ადიუტანტი, შემდეგში-კავკასიის მთავარმართებელი და ფელდმარშალი (1815—1879); კავკასიაში სამხედრო სამსახური დაიწყო 1835 წელს. მონაწილეობა მიიღო მრავალ შეტაკებაში მთიელებთან (იბრძოდა უმთავრესად ჩეჩნეთში). 1850 წელს დანიშნა კავკ. მარცხ. ფლანგის უფროსად. 1853 წ.—გენერალ-ადიუტანტი და კავკ. ჯარების მთავარი შტაბის უფროსი. მურავიოვის მთავარმართებლობისას (1855) ბარიატინსკი კავკასიაში არ იმყოფებოდა. 1856 წელს ა. ბარიატინსკი დანიშნულ იქნა კავკასიის ჯარების სარდლისა და მეფისნაცვლის თანამდებობაზე. მისი გამგებლობის დროს მოხდა დაღისტნისა და ჩეჩნეთის სრული დაპყრობა. 1859 წლის 25 აგვისტოს მან დაატყვევა შამილი გუნიბში. 1862 წლიდან ბარიატინსკი კავკასიაში არ იმყოფებოდა. გარდ. ფენეკაში 1879 წელს.

ა. ი. ბარიატინსკის ცოლად ჰყავდა დიმიტრი თომას-ძე ორბელიანის ასული ელისაბედი (ბიოგრ. მასალა: А. Зиссерман: Фельдмаршал Князь Александр Иванович Барятинский (1815—1879. 3 ტომი. მოსკ. 1890; Акты, ტ. IX, X, XI, XII; დაწვრ. იხ. „ბიბლიოგრაფია" „წერილები"-ს მე-2 ტომში).

18. ერასტ სტეფანიჩი—ერასტი სტეფ. ანდრეევსკი.

19. პატარა ვარანცოვი—(იხ. კომენტ. 146₄)

20. ნინა—ნინო გრიბოედოვისა.

21. ეკატერინე—ეკატ. დადიანისა.

22. დავითი—დავით ჭავჭავაძე.

23. ანა—ანა ბატონიშვილი-ჭავჭავაძისა.

24. იგულისხმება ივანე ორბელიანი.

25. ალექსანდრე.—ალექსანდრე ვახტანგის-ძე ორბელიანი (1801—1869).

26. ალექსანდრე—ალექსანდრე თუმანიშვილი.

27. იგულისხმება ბარბარე თუმანიშვილი-ანდრეევსკისა.

144

1. დიაკონოვი—აპშერონის პოლკის ოფიცერი, კაპიტანი (Богуславский, ტ. II გვ. 181)

2. ლრიღორეევსკი (გრეგორეევსკი)—აპშ. პოლკის ოფიცერი, კაპიტანი (იქვე).

3. ბაკუბოვსკი—აპშერ. პოლკის ოფ., პრაპორ. (იქვე).

145

1. 1850 წლის 2 იანვარს, ტფილისის გიმნაზიის დარბაზში, დაიდგა გ. ერისთავის კომედია „გაყრა“ (იხ. გ. ერისთავის თხზულება. 1884. გვ. XL—XLI). ამ წარმოდგენის აფიშა დაბეჭდილი აქვს იონა მეუნარგიას (იქვე; იხ. აგრეთვე—Акты, ტ. X. გვ. 915). პიესის მთავარ როლებს ასრულებდენ: ილია ორბელიანი („ანდუყაფარ“), ო. ერისთავი („პავლე“), დ. ყიფიანი („ივანე“), ბ. გ. ანდრეევსკისა, თუმანიშვილის ასული („ანინა მაკრინე“), ა. ორბელიანისა („ანიანა ნინო“), ქეთევან გ. ორბელიანისა („თათელა“), ავტორი პიესისა, გ. ერისთავი („მიკირტუმ გასპარიჩ“) და სხვები (იქვე).

2. ქეთევანი—ქეთევან ორბელიანი, სენატორ გიორგი ერისთავის ასული. გ. წერეთელი სწერდა: „მართლაც გ. ერისთავი (ავტორი პიესისა, ა. გ.) ამ საქმეს თავს ვერ გამოაბამდა, გონება-განათლებული და ჭკუა დამჯდარი ანანია ქეთევან ორბელიანისა, დიდი გიორგი ერისთავის ასული რომ არ გასჩენოდა მფარველ ანგელოზად“ (იხ. მისი წერილი „ორმოცდასამი წელი ქართულის თეატრისა“, ჟ. „კვალი“, 1893, № 2. გვ. 13). იმავე გ. წერეთლის ცნობით, ქართული თეატრის დაარსებისა და, საერთოდ, წარმოდგენების გამართვის წინააღმდეგნი ყოფილან მარიამ ბატონიშვილი, პლატონ იოსელიანი და სხვ. (იქვე, გვ. 11). ქეთევანს კი მიუმხრია ანასტასია ოგლობეიო და ან. გაგარინისა (ორბელიანები). რაც შეეხება პლატონ იოსელიანს, როგორც ჩანს, ის შემდეგ დათმობაზე წასულა: მეორე პიესის, „დავა“-ს, წარმოდგენისას თვითონ ასრულებდა „ონოფრეს“ როლს (იხ. ჩვენი გამოკვლევა—„პლატონ იოსელიანი“, მნათობი, 1933. № 6—7, გვ. 278).

3. აფიშკა—როგორც აღნიშნული გუკონდა „გაყრა“-ს პირველი წარმოდგენის აფიშა დაბეჭდა იონა მეუნარგიამ 1884 წ. (იხ. ზემოთ).

4. შამხალი—საშამხალოს (დაღისტ.) მმართველი, პოლკოვნიკი აბუ მუსელიმ-ხანი.

5. 1850 წელს აბუ მუსელიმ-ხანს ებოძა „ტარკის თავადის“ წოდება (დაწერ. იხ. Шамхалы Тарковские, Сб. свед. о Кавк. горцах, вып. I. ტფ. 1868. გვ. 65).

6. დალლათი—მდებარ. ყოფ. საშამხალოში. მთის სახელწ.

7. ბუხუბ ბეგი—[იგივე—ბუსუფ-ბეგი (?)].

8. მაჰმად მირზა—მაჰმად-მირზა მეხთულელი. 1840 წელს მართავდა ავარიას. გარდაიცვალა იმავე წელს.

9. 1849 წლამდე პოლკოვნიკი ნიკ. ივ. ევდოკიმოვი უფროსობდა „დაღისტნის ქვეითი პოლკს“. იმავე წლის მიწურულს ის დაინიშნა მე-20 ქვეითი დივიზიის I ბრიგადის კომანდირად და ებოძა გენ.-მაიორის ხარისხი. 1850 წელს კი მისი თანამდებობა ჩაანაცვლა გრ. ორბელიანს (იხ. კომენტ. 134). ევდოკიმოვს მისცეს მე-19 დივიზიის მე-2 ბრიგადის კომანდირის თანამდებობა).

10. ხოფიკო—იგულისხმება სოფიო ბარათაშვილი (მელიტონ ბარ-ის ასული), რომელიც 1850 წელს მისთხოვდა სუმბათაშვილს.

11. ივანე—ივანე ორბელიანი.

12. ალექსანდრე—ალექსანდრე თუმანიშვილი.

13. კლავდია—კლავდი ერმოლოვი.

146

1. ხოხიკო—ს. კ. ორბელიანი.

2. შალიკოვი—სევიმონ შალიკაშვილი.

3. მაია—მაია თუმანიშვილისა (გიორგი თუმ-ის მეუღლე, ბარბარე ანდრეევსკის დედა)

4. ხიმონ ვორონცოვი—მთავარმართებელ მ. ს. ვორონცოვის ვაჟი (1823—1882). სწავლობდა ლიცეიში. 1842 წელს მისცეს პორუჩიკის ხარ., 1848 წელს მონაწილეობა მიიღო გერგებილის აღებაში. დაინიშნა ფლიგელ-ადიუტანტად. 1848 წელს იბრძოდა ჩეჩნეთში. 1849 წელს მიიღო კაპიტნის ხარისხი. 1850 წ.—პოლკოვნიკი (შდრ. შენიშვნა 138_2).

5. ერმოლოვი—კლავდი ალ. ერმოლოვი.

147

1. როგორც აღნიშნული გვქონდა, 1950 წელს გრ. ორბელიანს მისცეს მე-21 ქვეითი დივიზიის 1 ბრიგადის კომანდირის თანამდებობა.

2. ივანე ამილახვარი—ივ. გიკის-ძე ამილახვარი (1822—1905). 1850 წლის მარტს ჩაირიცხა ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში; 1857 წ.—ამავე პოლკის კომანდ. რამდენიმე წელს მსახურებდა ჩეჩნეთში (დაწვრ. იხ. В. Потто: Иван Гивич Амилахвари, ტფ 1900). შემდეგში—გენერალი.

3. ალექსანდრე—ალექსანდრე დავ. ორბელიანი, მანანას უმცროსი ვაჟი [გრ. ორბელიანი სთხოვდა მანანას—სამხედრო სამსახურში შეეყვანა თავისი მეორე ვაჟი. ალექსანდრე ორბელიანი შემდეგში მსახურობდა ჩეჩნეთში].

4. ივანე—ივანე ორბელიანი (ალექსანდრეს უფროსი ძმა).

5. გიორგი ამილახვარის შვილი—მსახურობდა ქალაქის სამმართველოში (იხ. К. Кал. 1850, გვ. 12).

6. 1850 წლის დასაწყისში შამილის ჯარები დაეცნენ ყაზიყუმუხს. თვითონ შამილი იქ ივნისში გამოცხადდა, მაგრამ არლუთინსკი-დოლგორუკოვმა აიძულა მთიელები უკანვე გაბრუნებულიყვნენ და საომარ მოქმედებაზე ხელი აეღოთ.

7. შალი—დიდი სოფელია ჩეჩნეთში.

[1850 წლის იანვარ-თებერვალში გენ. ნესტეროვის რაზმი ტყეს ჭაფავდა ამ სოფლის ახლოს. რაზმს ბრძოლა მოუხდა შამილის ჯარებთან. იხ. Щербинин: Биография М. С. Воронцова, 279].

8. უნჯულატლი (იგივე უნკუგატლი. იხ. კომ. 100_1).

9. ქეთევან მამუკას ცოლი—ქეთევან ორბელიანი, სენატორ გ. ი. ერისთავის ასული მამუკა ორბელ-ის მეუღლე (იხ. შენიშვნა 145_2).

10. შკაპიჩი—(?)

148

1. ალექსანდრე—ალექსანდრე თუმანიშვილი.

2. ქეთევან—ქეთევან ერისთავი-ორბელიანისა.

3. იგულისხმება ბარბარე თუმანიშვილი-ანდრეევსკისა.

4. მაია—მაია თუმ.

5. ალექსანდრე —ალ. ვახ. ორბელიანი.

6. —?

7 ბატონიშვილი—მარიამ ბატონიშვილი.

149

1. 1849 წლის ბარათი გრ. ორბელიანისა, მარიამ ბატონიშვილისადმი მიწერილი, ჩვენ ვერ ვიპოვეთ

2. ძალუა ელიზაბედ—ელისაბედ ორბელიანისა.

3 ახალი ლუბერნატორი—იგულისხმება ივანე მალხაზის-ძე ანდრონიკაშვილი, რომელიც 1849—1853 წლებში ტფილისის გუბერნატორის თანამდებობას ასრულებდა (იხ. კომენტ. 77_{10}).

150

1. ჩაპლიცი—იუსტინე ადამის-ძე ჩაპლიცი, მე-21 ქვეითი დივიზიის 1 ბრიგადის კომანდირი (К. Кал., ტფ. 1849. გვ. 66).

2. იგულისხმება გრ. ორბელიანის დანიშვნა ახალ პოსტზე.1850 წლის 29 მარტს ალშერონის პოლკის უფროსად დაინიშნა პოლკოვნიკი ნიკ. ხიმ. კაშინსკი, რომელმაც პოლკი ჩაიბარა 4 მაისს (იხ. Ист. Апшер. полка, II, გვ. 204). გრ. ორბელიანი კი დაინიშნა მე-20 დივიზიის 1 ბრიგადის კომანდირად (იქვე, 204).

3. ბრუსილოვი—ნიკ. ალ. ბრუსილოვი, საქ. ლინეის ბატარ. მე-3 ბრიგადის კომანდირი (К. Кал. 1847), თუ გენ.-მაიორი ალ. ნიკ. ბრუსილოვი (?). ესუკა ნასკნელი გენერ. შტაბში მსახურობდა (К. Кал., 1850 წ.).

4. ივანე—ივ. ორბელიანი.

5. კლავდია—კლ. ერმოლოვი.

6. კოხოვიჩი—გრ. ფედ. კოსოვიჩი (?), იასაული (К. Кал, 1850, გვ. 106).

151

1. 1850 წლის ზაფხულში გრ. ორბელიანი ჩავიდა სამხრეთ დაღისტანში, ყოფ. სამურის ოლქში. სამურში იმყოფებოდა თვითონ მ. ს. ვორონცოვი, რომელმაც ინახულა სამეშაოები სოფელ ლუჩეკთან ასაგებ ციხე-სიმაგრისა.

2. ილიკო—ილია ორბ.

3. ჭურიხ ხახანო (ნახე შენ. 65₆)

4. ალექსანდრე—ალ. თუმანიშვილი.

5. იგულისხმება ბარბარე თუმანიშვილი-ანდრეევსკისა.

6. ქეთევან—ქეთევან ერისთავი-ორბელიანისა.

7. გაუგებარია რომელ საიდუმლოებას გულისხმობს გრ. ორბელიანი. აქ ჩვეულებრივ ქალების ჭორებზე თუ არის ლაპარაკი.

8. ბატონიშვილი—მარიამ ბატონიშვილი.

9. ლუჩეკი—სოფელია ყოფ. სამურის ოლქში.

10. გუსარკი (გუსარი)—სოფელია ყოფ. ბაქოს გუბერნიაში.

152

1. ესტატე თარხნიშვილი—ესტატე დიმ. თარხნიშილი, 1850 წ.—გენ.-მაიორი (Кавк Кал., 1850, გვ. 773).

2. მაია—მაია თუმანიშვილისა.

3. ბაბალე—ბარბარე თუმ.-ანდრეევსკისა (მაიას ასული).

153

1. ზაქარია ერისთავი—ცნობილი გენერლისა და სენატორის, გიორგი ერისთავის-ძე. 1850 წელს ზაქ. ერისთავი ასრულებდა ქარ-ბელაქნის მაზრის უფროსის თანამდებობას. ამ თანამდებობიდან ის მოხსნა ივლისში ლეკეთ-კახეთის ხაზის უფროსის მოვალეობათა დროებით ამსრულებელმა გენ. ბელგარდმა. შეურაცყოფილი ზაქ. ერისთავი გაემართა ტფილისისაკენ, მაგრამ სადგურ მეღანლომდე (მდ. ალაზნის ნაპირას მდებარეობს) მას თავს დაესხნენ ყაჩაღები და მოჰკლეს .ერისთავის საშინლად დასახიჩრებული გვამი დაიბრუნეს ამალის წევრებმა და ოფიცრებმა.

თავის დროზე ზაქ. ერისთავის სიკვდილმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მკვლელობის გამომწვევ მიზეზად სთვლიდენ მის წინააღმდეგ მიმართულ ინტრიგებს

ვორონცოვმა კავკასიიდან გადაიყვანა ბელგარდი და საქმის გამოძიებაც დაიწყო. ზიხერმანიხ ახრით, ხაქ. ერისთავის მკვლელობაში მის ხელქვეით ოფიცრებს წილ არ ედოთ და ყაჩაღების თავდასხმა შემთხვევითი ყოფილა (დაწვრ. იხ. А. Зиссерман 25 лет на Кавказе, ч. I, გვ. გვ. 379—395; აკრეთვე: Експедиция 1850-го года на Лезгинской линии. К. Сб., ტ. VII, გვ. 641—643).

1. იგულისხმება გიორგი იესეს-ძე ერისთავი (1759—1854).
3. ელენე—ელენე ერისთავი, ხაქ. ერ., მეუღლე.
4. ძალუა ნინო—ნინო ორბელიანი (იაკობის ცოლი).
5. თამარ—(იხ. შენიშვნა 91_3).

154

1. ხაზრა—(იხ. შენიშვნა 33_3).

2. დუნდუკოვი—ალ. მიხ. დონდუკოვ-კორსაკოვი, გუსართა პოლკ. როტმისტრი (1820—1890). 1850 წელს მისცეს პოლკოვ. ხარისხი. 1852 წელს გადაიყვანეს ნიეგორ-დრაგ. პოლკში. შემდეგში (1882 წ.) კავკასიის მთავარმართებელი. დაწვრილებით იხ. მე-3 ტომის შენიშვნები). იბრძოდა ჩეჩნეთში.

3. მინკვიცი—იული თედ. მინკვიცი, კავლერიის გენ.-მაიორი; მსახ. გენ.-შტაბში (К. Кал., 1849, გვ. 64)

4. იბრეიმ-ბეგი—იბრეიმ-ბეგი მეხთულელი.

5. თურჩი დაღი—(იხ. კომენტ. № 49_{11}).

6. პატარა კნიაზი—სიმ. მიხ. ვორონცოვი.

155

1. ნასლედნიკი—იგულისხმება ალექსანდრე II, მაშინ ტახტის მემკვიდრე, რომელიც 1850 წლის სექტემბერში ჩამოვიდა კავკასიაში. ალექსანდრე ნიკოლოზის-ძეს. მ. ს. ვორონ-ცოვთან თანხლების დროს (26 ოქტომბერს) მოუხდა შეტაკება მთიელებთან ჩეჩნეთში, მდ. როშნასა და ვალერიკთან (რუსის რაზმი ურუსმართანიდან აჩლოისკენ მიემართებოდა)

გრ. ორბელიანი ტახტის მემკვიდრეს 1850 წელს პირადად არ შეხვედრია. ამის მიზეზს თვითვე ასახელებს (იხ. ბარათის ტექსტი).

2. 1850 წლის შემოდგომაზე გრ. ორბელიანი დაინიშნა ჭარ-ბელაქნის გამგებლად და ლეკეთის ხაზზე დაბანაკებულ ჯარების უფროსად. ეს თანამდებობა გრ. ორბელიანის დანიშვნამდე ეკავა ბორიხ გაბრიელიხ-ძე ჭილაშვილს.

3. გრ. ორბელიანი ზაქათალაში ჩავიდა 1850 წლის 20 ნოემბერს (იხ. Кавк. Сбор., ტ. VII. გვ. 647).

4. ჟუკოვი—საპერთა პოდპოლკოვნიკი (იხ. ტექსტი).

5. გრ. ორბელიანი გულისხმობს თავის გარდაცვლილ ძმას—ზაქარიას.

6. აქსენოვი—ნიკ. ანდრ. აქსენოვი (?). მსახურობდა სტავროპოლში. მოხელე. (К. Кал., 1850. გვ. 113).

7. ხოლომონ ბეგთაბეგოვი—სოლომონ ივანეს-ძე ბეგთაბეგიშვილი. ლეიბ-გვარდიის მე-2 არტ. პოლკოვნიკი (К. Кал., 1846. გვ. 220).

8. ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე ტფილისში ჩავიდა 1850 წლის 25 სექტემბერს.

156

1. 50-ან წლებში საერთოდ ჭარ-ბელაქანში გავრცელებული იყო ყაჩაღობა: კავკასიის ქედიდან ჩამოდიოდენ ლეკები, რომლებიც აწიოკებდენ რუსების ქვეშევრდომ მუსლიმანთა სოფლებს და მიჰყავდათ ტყვეები. გრ. ორბელიანს მხედველობაში აქვს ერთერთი

სეთი შემთხვევა: „მართებლობის ერთგული“ ჰაჯიხანჯან ყაჩაღებს ტყვედ წაუყვანიათ რომელიც, ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ, ტფილისში ჩასულა. გრ. ორბელიანი სთხოვს თავის ძმას ამ ჰაჯიხანჯანისათვის დახმარების გაწევას.

ჰაჯიხანჯანს შემდეგნაირად ახასიათებს გრ. ორბელიანი თავის წერილში დიმ. ჯორჯაძისადმი, 1878 წ. 15 სექტ. თარიღით: „ჩემს ზაქათალაში ყოფნის დროს იყო გუინუკს ბეგი, ჰაჯიხანჯან მოხუცებული და გამოჩენილი ჩუენის მარადებლობის ერთგულებითა და დიდად პატიოსანი. შამილმა დიდის მეცადინეობით ძლივს ჩაიგდო ტყვედ და ათასის თუნნის მიცემით განთავისუფლა ბეგი“ (სისტ. საეთნ. № Q 155/a იხ. მესამე ტომი). ჰაჯიხანჯან გარდაცვლილა 80-ან წლებში.

2. ანდრონიკოვი (თომას-ძე) (იხ. მიმდევნო ბარათის ბოლო აბზაცი: „თომასშვილი ანდრონიკოვი აქ უჩასტკოვის ხასედატელია, ძალიან ბიჭი ყოფილა, ბევრი ყაჩაღები დაიჭირა და დაახოცვინა“). ოფიცერი (К. Сб., ტ. VI).

3. ბორჩალო—შედიოდა ყოფ. ტფილისის გუბერნიაში. ყოფ. ბორჩალოს მაზრას უკირავს მიდამოები მდინ. ხრამის გასწვრივ.

4. ყვარელი—სოფელია კახეთში.

5. ქაჩალი ივანე—ივანე ორბელიანი.

6. იგულისხმება მანანა ორბელიანი.

7. ბელაქანი—ერთ-ერთი ძლიერი სოფელი ყოფ. ჭარ-ბელაქნის ოლქში (ამ მხარეს უკირავს კავკასიის მთავარი ქედის სამხრეთი ნაწილი).

8. ზაქათალა—მისიავე სახელწოდებისუ ოლქის (იგივე—ჭარ-ბელაქნის ოლქის) მთავარი ქალაქი.

157

1. პანჩენკო—კირილე პანფილის-ძე პანჩენკო. ტფ. ეგ. პოლკის შტ.-კაპიტანი, ჭარ-ბელაქნის მმართველების (ჯერ—ჭილაშვილის, ხოლო შემდეგ—გრ. ორბელიანის) ადიუტანტი 50-ან წლებში (იხ. Кав. Календарь, ტფ. 1849. გვ. 28).

2. ზემო მაჰალი—აერთებს ჭარელების რამდენიმე სოფელს, რომელიც ჭარ-ბელაქნის ოლქში შედიოდა. მდებ. კავკ. ქედის დასავლეთით.

3. ოარი—მდინარეა კახეთში.

4. ჭარელები—ყოფ. ზაქათალის ოლქში შემავალ ლეკების ძლიერი სოფლის, ჭარის მცხოვრებნი.

5. კუხურელი უხტა ემინი—?

დამატებითი შენიშვნები

I. ტექსტისათვის

გრ. ორბელიანის „წერილები“ სამ ტომად გამოვა. პირველ ტომში დაიბეჭდა 1832—1850 წლების ბარათები (ადრინდელი ხანის წერილებს ჩვენამდე არ მოუღწეია).

მეორე ტომში დაიბეჭდება 1851—1859 წლების ბარათები. ორივე ეს ტომი ახასიათებს გრ. ორბელიანის სამხედრო მოღვაწეობის პერიოდს.

მესამე ტომში დაიბეჭდება 1860—1883 წლების (სამოქალაქო პერიოდის) ბარათები. ამ ტომის გამოქვეყნებით დასრულდება გრ. ორბელიანის ქართული წერილების ხრული კრებულის გამოცემა.

თვითეულ ტომს დაერთვის შესაფერი კრიტიკული აპარატი (კომენტარიები, სურათები, რუკები, საძიებლები და სხვ.). მეორე ტომში დაიბეჭდება კავკასიურ ომზე არსებული ლიტერატურის შედარებით სრული „ბიბლიოგრაფია“, ხოლო მესამე ტომში— „გრ. ორბელიანის ცხოვრების ქრონოლოგიური კანვა“ და „გრ. ორბელიანზე არსებული ბიოგრაფიული მასალების საძიებელი“. მესამე ტომში დაიბეჭდება აგრეთვე დამატება: „გამორჩენილი-დაუთარიღებელი წერილები“.

ქართული წერილების გამოცემის შემდეგ ვფიქრობთ დავბეჭდოთ ამ სერიის გაგრძელებანი: ტომი მეოთხე და მეხუთე—გრ. ორბელიანის დღიურები (ქართულ ენაზე) და ოფიციალური და კერძო წერილები (რუსულ ენაზე). ამ გამოცემის გეგმა არ ითვალისწინებს გრ. ორბელიანის პოეტურ მემკვიდრეობას (ლექსებსა და პროზაულ ეპისტოლეებს).

აქ წარმოვადგენთ გრ. ორბელიანის არქივის მოკლე აღწერილობას.

1. ხაისტორიო-საეთნოგრაფიო ხაზოგადოების № Q 155/a.

ეს კრებული წარმოადგენს გრ. ორბელიანის ქარული ბარათების ყველაზე სრულ კოლექციას. აქ დაცულია მწერლის პირადი წერილები 1833—1882 წლებისა. ბარათების დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი 1846—1882 წ. წ. კოლექციები. კრებულში არ შესულა 1834, 1836, 1838, 1840, 1841 და 1842 წლების ბარათები. 1844 და 1845 წლების წერილებიდან ორ-ორი ბარათი დარჩენილა.

ბარათები მელნით ნაწერ ავტოგრაფებს წარმოადგენს. მხოლოდ 1835 წლისა და ნაწილობრივ 1873, 1874, 1877, 1878—81 წლების წერილები შენახულა შავების სახით; ამათგან ზოგი ფანქრით არის ნაწერი.

ბარათების ადრესატებია: ზაქარია, ილია, მანანა, ქეთევან, ელისაბედ და ყაფლან ორბელიანები, ალექსანდრე და ბარბარე საგინაშვილები, ტასო ჩერქეზიშვილისა, ეკატერინე დადიანისა, მ. პოლუთინსკი-დოლგორუკოვი, დ. ჯორჯაძე, მ. ლორის-მელიქოვი და მრ. სხვ.

ორბელიანის ბარათების ეს კოლექცია წარმოადგენს ჩვენი გამოცემის ძირითად მასალას. აქედან ამოღებულ ბარათების № №-ებს არ ვუჩვენებთ.

2. ხაისტორიო-საეთნოგრაფიო ხაზ-ის № 155/b.

ამ კრებულში დაცულია გრ. ორბელიანის სამხედრო და სამოქალაქო პერიოდის სამსახურის საქმეები 1831—1837, 1862, 1864, 1866 და 1872 წლებისა; ილია, ზაქარია

და მანანა ორბელიანების, ნინო გრიბოედოვის, დავით ყორღანაშვილისა და ფენომ პირთა კერძო წერილები გრ. ორბელიანისადმი. კრებულის ძირითად ნაწილს შეადგენს ფანქრითა და მელნით ნაწერი შავები გრ. ორბელიანის რუსული ბარათებისა. თარიღების მიხედვით ეს ბარათები ეკუთვნის 1849, 1863 და 1865—1882 წლებს. წერილების მიმდინარეობენ: მიხ. ტარ. ლორის-მელიქოვი, ბარონი ა. ნიკოლაი, მიხ. პ. კულებიაკინი, ა. ი. ბარიატინსკი, დ. ფილოსოფოვი, ნიკო დიმ. ჭავჭავაძე, ანა ეფემის ასული კლუკი-ფონ-კლუგენაუ (ფრანც კარლ. კლუკი-ფონ-კლუგენაუს ქვრივი), ბულატოვი, ა. ი. დუნდუკოვ-კორსაკოვი, დ. სვიატოპოლ-მირსკი, ნ. ივ. ბარანოვსკი, კონ. ივ. ორლოვსკი, კირ. ოსგადლევსკი, ბარბარე ორბელიანისა (ილია ორბ-ის ქვრივი) და სხვ. იქვე დაცული კავკასიის მოღვაწეების (მაგ. ა. ბარიატინსკის, ა. ნიკოლაის და სხვების) ბარათები გრ. ორბელიანისადმი.

ამ კრებულში გრ. ორბელიანის ქართული წერილების სამ ტომში დასაბეჭდი მასალა არ მოიპოვება. სამაგიეროდ კრებულს დიდი მნიშვნელობა აქვს, გრ. ორბელიანის ზოგიერთი ქართული წერილის დასათარიღებლად.

ნინო გრიბოედოვის ბარათი, რომელიც კომენტარიებშია დაბეჭდილი, ამოღებულია ამ კრებულიდან.

3. წერ.-კითხ. ხაზოგადოების № 1632.

ამ კრებულში, რომელიც ერთს კონვერტს წარმოადგენს, მოთავსებულია გრ. ორბელიანის ოთხი ბარათი ალექსანდრე ვახ.-ძე ორბელიანისადმი (ერთი 1867 წ. და სამი 1869 წლისა). იქვეა დაცული ნინო ორბელიანისა და დ. მუხრან-ბატონის წერილები. ალ. ორბელიანისადმი.

გრ. ორბელიანის ოთხივე ბარათი დაიბეჭდება III ტომში.

4. წერ.-კითხ. ხაზოგადოების № 2660.

ეს კოლექცია წარმოადგენს გრ. ორბელიანის ბარათების მოზრდილ კრებულს. კრებულში დაცულია:

23 წერილი ბაბალე საგინაშვილისადმი 1852—1855, 1857—1858 და 1860 წლებისა.

13 ბარათი ალექსანდრე საგინაშვილისადმი 1855, 1858, 1860, 1868, 1873, 1878 და 1880—1881 წლებისა.

4 წერილი ელ.ისაბედ ორბელიანისადმი 1853, 1872 და 1878 წ. წ. და ერთიც დაუთარიღებელი.

15 წერილი ყაფლან ორბელიანისადმი 1855—1586, 1589, 1860, 1871, 1877 წლებისა და 5 დაუთარიღებელი ბარათი. სულ 20 წერილი.

4 წერილი ილია ჭავჭავაძისადმი 1873, 1878—9 წლებისა.

4 დაუთარ. წერილი ალექსანდრე საგინაშვილისადმი.

20 დაუთარ. წერილი ბაბალე საგინაშვილისადმი.

სულ კრებულში მოთავსებულია 99 წერილი. გარდა ერთისა ყველა მელნით არის ნაწერი.

ბარათები დაიბეჭდება II და III ტომში უკლებლივ.

5. ხეხტ.-ხაეთნ. ხაზ-ის № 2768.

წარმოადგენს გრ. ორბელიანის 1835—6 წ. წ. დღიურს. ეს დღიური აადვილებს გრ. ორბელიანის 1835-6 წ. წ. ბარათების დათარიღებას.

6. ხაეხტ.-ხაზ-ის № 2839.

შეიცავს გრ. ორბ-ის რუსული ბარათების შავებს. ყველა წერილი მიმართულია ბარბარე ორბელიანისადმი და ფანქრით არის ნაწერი. კრებული შეიცავს 129 გვერდს. ცხადია, ეს ბარათები ორბელიანის ქართული წერილების სამ ტომეულში ვერ შევა.

კრებულს აქვს წარწერა: Письма Князя Григория Дмитриевича Орбелиани к Варваре Ильиничне Орбелиани.

7. ხაჭ. არქივის № 171.

ეს „საქმე" შეიცავს 1832 წელ გრ. ორბელიანისათვის ჩამორთმეულ მასალებს, რომელიც შენახულა სოლომონ დოდაშვილის, სოლომონ რაზმაძისა და ალექსანდრე ორბელიანის მასალებთან ერთად. კრებულში დაცულია გრ. ორბელიანის ბარათების შავები 1832 წლისა. ბარათების ადრესატებია: იმერეთის დედოფალი მარიამ და გიორგი ავალიშვილი. აქვეა დაცული გრ. ორბელიანის პეტერბურგისეული დღიური 1831 წლისა.

საჭ. არქივის № 171 პირველად აღწერა პ. ინგოროყვამ (იხ მისი: „გრ. ორბელიანის ახლად აღმოჩენილი ნაწერები", ჟურ. ქართ. მწერლობა, 1928, № 6—7. გვ. გვ. 237—8), პირველ ტომში დაიბეჭდა ამ კრებულიდან ამოღებული 3 ბარათი (№№ 1, 2, 3)

8. ხაჭ. არქივის № 173.

მთელი კოლექცია შეიცავს წერილებს მ. ხ. ალიუთინსკი-დოლგორუკოვისა, ანტონ, ზაქარია, ილია და ტასო ორბელიანებისადმი. არც ერთს ბარათს წლის აღმნიშვნელი რიცხვი არ უზის. კრებულში დაცულია გრ. ორბელიანისადმი მიწერილი ბარათებიც, გვიანი დროის საქმეები და სხვადასხვა სიები. სულ 115 წერილი და 14 პატარა საქმე. კრებული შეიცავს 205 გვერდს.

ამ კრებულიდან პირველ ტომში შევიდა ბარათები, რომელნიც ჩვენ დავთარიღეთ: №№ 5, 6, 7, 9, 10, 14, 16, 17, 20, 24, 25, 27, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 47, 48, 49, 50, 51, 52, 54, 55, 57, 58, 59, 61, 62, 66; 67, 69, 71, 87, 92, 94, 96, 131.

ეს კოლექცია ავსებს 1842—5 წლებს.

ბარათების დანარჩენი, მცირე ნაწილი, შევა მეორე და მესამე ტომსა და დამატებაში: „გამორჩენილი და დაუთარიღებელი წერილები", რომელიც III ტომში დაიბეჭდება.

ბარათები მელნით არის ნაწერი და არცერთი შავს არ წარმოადგენს.

9. ხაჭ. არქივის № 174.

ამ კრებულში მოთავსებულია გრ. ორბელიანის ოფიციალური წერილები კავკასიის მოღვაწეებისადმი. კრებულს აქვს წარწერა: Письма Князя Григория Дмитриевича Орбелиани к государственным людям. წერილები რუსულად დაწერილ სუფთა შავებს წარმოადგენს. ადრესატებია: ვორონცოვი, რეადი, ბარიატინსკი, ნიკოლაი, ალრ.-დოლგორუკოვი, ევდოკიმოვი, შამილი, კრუზენშტერნი, კაუფმანი, შჩერბინინი, სტაროსელსკი, ლაზარევი, მილუტინი და სხვ. ბარათები ეკუთვნის 1850—1880 წლებს.

ამ კოლექციაში დაცულია გრ. ორბელიანის 4 ქართული ბარათი. 2 წერილი მიმართულია ეკატერინე დადიანისადმი და დათარიღებულია 1853 და 1856 წლებით, ერთი ვ. ო. ბებუთოვისადმი 1852 წლისა და ერთიც გ. მუხრან-ბატონისადმი 1882 წლისა. კრებული-„დავთრის" ცალკე ფურცლებზე გრ. ორბელიანს დაუწერია თავისი შენიშვნები.

ქართული წერილები შევა მეორე და მესამე ტომში.

10. ხაჭ. არქივის № 175.

კოლექცია შეიცავს ეპისტოლეების მსგავსს წერილებს ქართულ და რუსულ ენებზე. წერილები წარმოადგენს შავებს, სულ—42 პარათს. ნაწილი ფანქრით ნაწერი, ნაწილი კი —მელნით. ეს კოლექცია საკმაოდ დიდი მოცულობის წიგნის 100 გვერდის მასალას შეიცავს. ბარათები 1870—1882 წლებით არის დათარიღებული. წერილების ადრესატებია: ბარიატინსკი, კურალოვსკი, ირაკლი ბატონიშვილი, დ. ფურცელაძე, ტასო ოგლობერო, ნიკო ჭავჭავაძე, ეკატერინე დადიანისა, დ. ჯოოჯაძე, ბარბარე ორბელიანი. ტიმერმანი, სტაროსელსკი, მანანა ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, ივანე ორბელიანი, ვასილ მაჩაბელი, გიორგი ორბელიანი, არჩილ ჭავჭავაძე. დიმ. სვიატ.-მირსკი, ნესტორ წერეთელი, დ. ჭავჭავაძე, მ. ლორის-მელიქოვი და სხვ. ქართული ბარათები შევა III ტომში უკლებლივ.

ამ კრებულში დაცულია აგრეთვე ერთი ბარათი (ქართული) მღვდელ იოანე სავანელისადმი 1853 წლისა (შევა II ტომში), ერთიც (ქართული) მარიამ ერისთავისადმი 1864 წლისა (შევა III ტომში), ბარათი ვინმე სანდროსადმი (ორბელიანი?) 1852 წლისა

რუსულად), ერთი წერილი გორიდან 1839 წლისა (რუსული) და უთარიღო ქართული ბარათი ზ. ორბელიანისადმი (შევა III ტომის „დამატება"-ში).

ეს ბარათები მელნით არის ნაწერი და შავებს არ წარმოადგენს.

კრებული მთლიანად 104 ბარათს (126 ფურცელს) შეიცავს.

ერთი ქართული ბარათი ამ კრებულიდან (1845 წლისა) შევიდა პირველ ტომში (იხ. 63).

11. ხაქ არქივის № 177.

კრებულში დაცულია უცნობი ავტორის ლექსი „ქართველი ძეგლის წინ", გამოცანების პასუხი, პატარა სიები, 2 ქართული ბარათი გრ. ორბელიანისა (?) ვინმე „დავით დიმიტრიჩისადმი" (შევა III ტომის „დამატება"-ში), მისივე 16 წერილი სვიმონ შალიკაშვილისადმი ქართულად (რომელნიც ჩვენ დავთარიღეთ 1851—1855 წლებით) და ერთი ბარათი რევაზისადმი (ანდრონიკაშვილი?). იქვეა დაცული ერთი ბარათი დავით ალექსანდრეს-ძე ჭავჭავაძისა სვიმონ შალიკაშვილისადმი.

კრებულში სულ 22 ნომერია და 35 გვერდი. ბარათები მელნით არის ნაწერი და შავებს არ წარმოადგენს. გრ. ორბელიანის მდივნის, დიმიტრი ჯორჯაძის ხელით არის დაწერილი პოეტის ბარათები სვიმონ შალიკაშვილისადმი—ერთი 17 ივლისისა და ორი 1853 წ. 3 აპრილისა და 1855 წლის 6 ივლისის თარიღებით. გრ. ორბელიანს ამ ბარათებში მხოლოდ ხელისმოწერა (ზოგჯერ უკანასკნელი აბზაცები ან Post-scriptum) ეკუთვნის.

12. ხაქ. მუზეუმის ხხვადასხვა № №-ი.

დაცულია ცალკე ბარათების სახით და მელნით ნაწერ ავტოგრაფებს წარმოადგენს. შევა II და III ტომში. ეს კოლექცია მეცირერიცხოვანია (9 ბარათით ამოიწურება). პირველ ტომში მხოლოდ ერთი ბარათი (ხაქ. მუზ. $\frac{9819}{ქ—ჰ}$) შევიდა (იხ. 68).

13. ხამეგრელოს მუზეუმში (ქ. ზუგდიდში) დაცული მასალები.

წარმოადგენს გრ. ორბელიანის ცნობილი ბიოგრაფიის, იონა მეუნარგიას არქივს. ჩვენ ეს არქივი გავარჩიეთ 1933 წელს და ის მასალები, რომლებიც უშუალოდ ეხება გრ. ორბელიანს, ცალკე დავალაგეთ. აქ დაცულია რამდენიმე ბარათი გრ. ორბელიანისა (ქართულ და რუსულ ენებზე), დ. ყიფიანისა, ყაფლან ორბელიანისა, პლატონ იოსელიანისა და სხ. გრ. ორბელიანის რუსული ბარათები სხვა პირის მიერ მელნით გადაწერილი შავებს წარმოადგენს, ქართული წერილები კი მელნით ნაწერ ავტოგრაფებს. არქივში აღმოჩნდა აგრეთვე იონა მეუნარგიას მონოგრაფიის „ცხოვრება და ღვაწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა" (ტფილისი, 1905) გაგრძელება.

სამწუხაროდ, ზუგდიდში ყოფნის დროს ჩვენ ვერ მოვასწარით გრ. ორბელიანის ქართული ბარათების ასლების გადმოღება. მასალა ჩვენ მივიღეთ მუზეუმის დირექტორისაგან მაშინ, როცა პირველი ტომის ბარათები სისტემაში მოყვანილი და დასაბეჭდად იყო გამზადებული. მასალის ქართული ნაწილი დაიჩეჭდება III ტომის „დამატებაში".

ასეთია მოკლედ გრ. ორბელიანის არქივის მოცულობა. ცხადია, აქ არ შესულა მისი პოეტური მემკვიდრეობისა და „შეთქმულთა საქმეებში" აღმოჩენილი მასალების დახასიათება (გრ. ორბელიანის ლექსები რამდენჯერმე გამოიცა, ხოლო ლენინგრადიდან ჩამოტანილი „1832 წლის შეთქმულების საქმეებში" დაცულ მასალების აღწერა იხ. პ. ინგოროყვას დასახელებულ წერილში „ქართ. ნწერლობა", 1928, № 6—7).

როგორც ვხედავთ, გრ. ორბელიანის არქივი საკმაოდ მდიდარია; ჩვენამდე მოღწეულა პოეტის ბარათების მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი კოლექციები. მიუხედავად ამისა, როგორც მკითხველიც შენიშნავს, ჩვენამდე არ მოღწეულა ბევრი ბარათი პოეტისა. უპირველეს ყოვლისა, არ დარჩენილა პოეტის ყრმობის პერიოდის ბარათები, აგრეთვე წერილები 1833, 1837, 1838—1841 წლებისა (გამონაკლისს

წარმოადგენს თითო-ოროლა ბარათი). უცნობია გრ. ორბელიანის მიმოწერა პეტერბურგს მცხოვრებ ბატონიშვილებთან და სხვ. დაკარგულა ზოგიერთი ბარათი, რომელიც ი. მეუნარგიას მონოგრაფიაში და ნ. ბარათაშვილის თხუზულებათა 1922 წლის გამოცემაში დაიბეჭდა (ყოველ შემთხვევაში ჩვენ ისინი ვერ აღმოვაჩინეთ). დაწვრილებით მათ შესახებ :ხ. III ტომის დამატებაში: „გამორჩენილი და დაუთარიღებელი წერილები".

ტექსტის გამოქვეყნებასთან დაკავშირებული იყო ბარათების ორთოგრაფიისა და მართლწერის საკითხები.

გრ. ორბელიანი თავის წერილებში იცავს ძველს ორთოგრაფიასა და მართლწერას (ბარათების როგორც ქართულს ნაწილში, ისე რუსულ აბზაცებსა და სტრიქონებშიც). წმინდა რედაქციული და ტექნიკური მიზეზების გამო ჩვენ ზოგიერთი ცვლილება შევიტანეთ დასაბეჭდად გამზადებულ ტექსტში. შესწორებისათვის საფუძველს იძლეოდა ბარათების ზოგიერთი თავისებურებანი. ამ თავისებურებათაგან დავასახელებთ უმთავრესს: მერყეობა ორთოგრაფიული ნიშნებისა და ცალკე სიტყვების ფორმებისა. აი მაგალითებიც:

ჩუქენნი=ჩუქენნი=ჩუენნი=ჩვენნი.

(ასევე მხოლოობითშიც. უბრალგუს ხმარება ქუდით და უქუდოთ).

ხიკუდილი=ხიკუდილი=ხიკვდილი.

თუხი=თავისი.

მაგრამ=მარამ=მარამა.

ანბავი=ამბავი.

პეტერბუღი=პეტერბურღი=პეტრებუღი.

ჩემა=ჩემმა და სხვ.

ჩვენი შესწორება ეხება მხოლოდ ორთოგრაფიას: უარვყავით ძველი ნიშნები მაგრამ სიტყვების სხვადასხვა, ავტორისეული წაკითხვა, უცვლელად დავტოვეთ

გრ. ორბელიანი, როგორც აღვნიშნეთ, არ იცავს ძველს ორთოგრაფიას მკაცრად ბარათებში ამ მხრით დიდი მერყეობაა და შესწორებისათვის საფუძველიც გაგვაჩნდა. მაგრამ არის შემთხვევა, რომელსაც ორბელიანი არსად არ ღალატობს არქაისტის კანონს, კერძოდ „ჳ"-ის ხმარებისას თანდებულში-„თვის" (მაგ. სიტყვებში: „ქეთევანისათჳს", „ჩვენთჳს", „მურიდებისათჳს", „ამისათჳს" და სხვ.). არ მოიპოვება შემთხვევა, რომ ორბელიანი ღალატობდეს ამ კანონს. ჩვენ თითქოს უნდა დაგვეცვა ეს თავისებურება მწერლის ბარათებისა, მაგრამ რადგანაც საერთოდ უარვყავით ძველი ორთოგრაფიული ნიშნები, გამონაკლისი არც ამ შემთხვევაში დაგვიშვია. დავტოვეთ მხოლოდ იოტი (ი), რადგანაც ამ ნიშანს ზოგიერთი თანამედროვე მწერალიც ხმარობს.

რაც შეეხება ბარათების რუსულ აბზაცებსა და სტრიქონებს, აქ გასწორებულია როგორც ორთოგრაფია, ისე ზოგჯერ მართლწერაც, თუმცა დაცულია გრ. ორბელიანის რუსული მართლწერის ზოგიერთი თავისებურებაც, მაგ. ზმნისა და აქსესუარის შერწყმით ხმარება. ეს თავისებურება გრ. ორბელიანის ბარათების ქართულს ნაწილსაც ახასიათებს (ნ. ფორმები „მაგრამკი", „თუმცაკი" და სხვ. აქ მეტწილად მსახური სიტყვებია ერთად ნახმარი).

პუნქტუაციას ვასწორებდით იმ შემთხვევაში, როცა სასვენი ნიშნების უქონლობა აზრის გაგებას აძნელებდა.

ამრიგად, გრ. ორბელიანის ბარათების ბეჭდვითი ტექსტი, მიუხედავად მცირეოდენი რედაქციული ცვლილებისა, წარმოგვიდგენს ავტოგრაფების სრულ სურათს. მკითხველს ამ შენიშვნების მიხედვით შეუძლია გაითვალისწინოს ის ორთოგრაფიული არქაიზმიც, რომლის დაცვა ამ გამოცემაში ჩვენ ზედმეტად მივიჩნიეთ.

ის ასოები, რომელიც შავი კორპუსით არის აწყობილი, ბარათებში ავტორის მიერ ხუცური ასომთავრულით არის დაწერილი.

ხაზგასმა ყველგან გრ. ორბელიანისაა, მხოლოდ ხელმოწერა პოეტისა დავბეჭდეთ დაყოფით.

II. კომენტარიებისათვის

ბარათების ტექსტსა და შენიშვნებს შორის რომ დაგვეცვა პროპორცია, ჩვენ იძულებული გავხდით ზოგიერთი პირის ბიოგრაფია მოკლედ გადმოგვეცა. მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ პირველი ტომის კომენტარიები ნაწილობრივ მეორე ტომისათვისაც არის გათვალისწინებული: ჩვენ გვერდს ვუხვევთ ბარათების სამივე ტომისათვის შედარებით უმნიშვნელო პირეების ვრცელ დახასიათებას, მაგრამ პირველ ტომში პოეტის მიერ ერთხელ მოხსენებულ ზოგიერთი პირის (მაგ. ა. ბარ.ატინსკის) ბიოგრაფიას კი შედარებით ვრცლად გადმოვცემთ. ეს იმიტომ, რომ მეორე ტომში ამ პირების სახელები ხშირად იხსენიება, ხოლო ჩვენ მათ ბიოგრაფიას იქ ხელმეორედ აღარ დაგუბრუნდებით. ამით აიხსნება აგრეთვე ისიც, რომ ჩვენ შედარებით ვრცლად გადმოვეცით შამილის საუკეთესო ნაიბების ბიოგრაფიები, რომელთა ცნობა I და II ტომის მკითხველებისათვის აუცილებელია.

გეოგრაფიული ადგილების ახსნა-განმარტებისას მხედველობაშია მიღებული იმ დროინდელი ტერიტორიული დაყოფანი. წერილების ისტორიული ფონისათვის ესეც აუცილებელი იყო.

თვეების რიცხვები ყველგან ნაჩვენებია ძველი სტილით.

ერთი და იმავე პირის სახელების ხშირი განმეორება შენიშვნებში გამოწვეულია იმით, რომ ჩვენ ვშიშობთ მკითხველმა არ აურიოს სხვადასხვა პირები ერთი სახელის ქვეშ (მაგ. ორბელიანები: ალექსანდრე ვახ.-ძე, ალექსანდრე გიორ.-ძე, ალექსანდრე დავ.-ძე, თუმანიშვილი ალექსანდრე და ა. შ.).

ჩვენ შეეცადეთ დეტალებით არ დაგვეტვირთა კომენტარიები და თვითეული პიროვნების ვინაობის გადმოცემის დასასაბუთებლად ყველგან არ გვიჩვენებია წყაროები. რომ ამას გამოვდევნებოდით, კომენტარიები ძალზე გაიზრდებოდა. მაშინ უკლებლივ უნდა დაგვესახლებინა ბიბლიოგრაფიული წყაროები, მაგ. ყოველი აულის შესახებ არსებული ლიტერატურა და სხვ. ჩვენ ვარჩიეთ II ტომს დავურთოთ ვრცელი „ბიბლიოგრაფია", სადაც დაწვრილებით იქნება წარმოდგენილი კავკასიური ომისა, გეოგრაფიისა, ცალკე ეპიზოდებისა და პიროვნებათა შესახებ არსებული ლიტერატურა ქართულ, რუსულ და ევროპულ ენებზე.

შეცდომები, რომლებიც შესაძლებელია ჩვენ გაგვეპარა შენიშვნებში, გამოსწორებული იქნება მეორე ტომში, სპეციალური შენიშვნის დართვით. ეს დამოკიდებული იქნება იმ ინტერესზე, რომელსაც გამოიჩენს ჩვენი მეცნიერული საზოგადოებრივობა ამ წიგნის მიმართ. ჩვენ არ მოგვეძებნება ბიო-ბიბლიოგრაფიული საძიებლები და არ არსებობს ერთი ბროშურაც კი, რომელიც აადვილებდეს გასული საუკუნის პირველი ნახევრის სამოქალაქო მოღვაწეთა ბიოგრაფიის თუნდაც ზოგად ხაზებში აღდგენას. მკითხველმა თავისთავად უნდა წარმოიდგინოს, თუ რა სიძნელეთა დაძლევა იყო საჭირო, რომ შენიშვნები დამაკმაყოფილებელი გამოსულიყო.

კომენტარიები არ დასჭირდა შემდეგ ბარათებს: 23, 110, 112—115, 118, 126, 135;

სურათების სია:

1. გრიგოლ ორბელიანი.
   სურათის ორიგინალი დაცულია მწერალთა მთაწმინდის მუზეუმში.
2. ილია ორბელიანი (გვ. 13).
   ამოღებულია ბროშურიდან: Геройская кончина Генерал-майора Князя Ильи Дмитриевича Орбелиани (ცალკე ამონაბეჭდი გაზეთიდან: „Русский Инвалид", 1846. № 1, 3, 4).
3. გოლოვინი (გვ. 53).
   იხ. Акты, ტ. IX.
4. ნეიდგარდი (გვ. 89).
   იხ. Акты, ტ. IX. იხ. აგრეთვე Кавказский Календарь на 1870 г. ტფილისი, 1869 წ.
5. ფ. კ. კლუკი-ფონ-კლუგენაუ (გვ. 65).
   ამოღებულია წიგნიდან: Апшеронская Памятка, 1894. გვ. 180.
6. ვ. ზ. არლუთინსკი-დოლგორუკოვი (გვ. 57)
   იხ. Кавк. Календарь на 1856 г. ტფ. 1855 წ.
7. შამილი (84 და 85 გვ. შორის).
   ამოღებულია ბ. ეხაძის წიგნიდან: Штурм Гуниба и пленение Шамиля ტფილისი, 1909. გვ. 88 და შემდ.
8. ვ. ს. ვორონცოვი (გვ. 113).
   სურათი გადმოგვცა მოქ. ა. გაბუნიამ.
9. მანანა ორბელიანი (გვ. 39)
   აკვარელი. ორიგინალი ეკუთვნის საქ. ხელოვნების მუზეუმს.
10. ქუთაისის ომი (გვ. 131).
    ამოღებულია ვ. პოტოს წიგნიდან: История 44-го драгунскаго нижегор..... полка. СПб., 1894, ტ. V, გვ. 44 შემდგ.
11. ჰაჯი-მურადი (გვ. 135).
    ორიგინალი დაცულია დაღისტნის მუზეუმში (ქ. მახაჩკალაში). იხ. Дагестанский музей. Каталог худ. отдела. Махач-Кала, 1925. გვ. 16. ტიმ-ის ეს ლიტოგრაფიული სურათი დაბეჭდილია (მკრთალად) წიგნში: Гулла и Казанбий Хаджи-Мурат: Хаджи-Мурат. Мемуары, Махач-Кала, 1927. გვ. 5. ეს სურათი გადმოვაღებინეთ ამ წიგნიდან მხატვარს და ამრიგად ორიგინალიდან ოდნავ დაშორებულია.
    (ჰაჯი-მურადის მეორე სურათი, მხატ. გაგარინის მიერ შესრულებული (იხ. მისი Le Caucase pittoresque... Paris, 1847—1849), დაიბეჭდება II ტომში.
12. აული გერგებილი (გვ. 181).
    იხ. Кавк. Календарь на 1850 г. ტფ. 1849 წ.
13. როზენი (გვ. 223).
    იხ. Акты, ტ. VIII. აგრეთვე Кавк. Календарь на 1869 г. ტფილისი 1868 წ.
14. შამილის ნაიბები (გვ. 255).
    ამოღებულია პოტოს წიგნიდან: История 44-го драг... полка, СПб., 1895. ტ. VIII. გვ. 34-ის შემდგ.
15. ნინო ბავშვაძე-გრიბოედოვისა (გვ. 235).
    (საკმაოდ გაფრცელებული სურათი).

ს ა რ ჩ ე ვ ი:

კოტე ბოკრდელაძე: ბრიგოლ ორბელიანის წერილები [წინასიტყვაობა] V

აკ. გაწერელია: ბრიგოლ ორბელიანის წერილები, რომელიც ბიოგრაფიული მასალა . . XV

წ ე რ ი ლ ე ბ ი:

1. მარიამ დედოფლისადმი [1832 წ. აპრილი?] . . 3
2. გიორგი ავალიშვილისადმი [„ აპრილი] . . 3—4
3. . . . . ბატონიშვილისადმი (?) [„ იელისი?] . . 5—6
4. ზაქარია ორბელიანისადმი [1833 წ. 11 სექტემბ.] 9—10
5. მ ა ს ვ ე [1834 წ. 2 აპრილი] . . . . . 11—12
6. ილია ორბელიანისადმი [„ 16 მაისი] . . . . . 12—15
7. ზაქარია ორბელიანისადმი [„ 22 მაისი] . . . . . 15—16
8. მარიამ დედოფლისადმი [„ ?] 17
9. ზაქარია ორბელიანისადმი [„ 20 ივლისი] . . . . . 17—19
10. ანტონ ორბელიანისადმი [„ ?] . . . 19—20
11. მანანა ორბელიანისადმი [„ ?] 21—22
12. მარიამ დედოფლისადმი [1835 წ. 12 იანვარი] . . 23—24
13. სალომე ჭავჭავაძისადმი [„ 23 მარტი] . 24—25
14. ნინო ანდრონ.—ერისთავისადმი (?) [„ 11 აპრილი] . . 26—27
15. ზაქარია ორბელიანისადმი [„ 11 აპრილი] . 27—28
16. მარიამ დედოფლისადმი [„ 25 აპრილი] 29
17. დავით ყორღანაშვილისადმი [„] . . . . . 29—30
18. ზაქარია ორბელიანისადმი [„ 4 ივნისი] . . 31—32
19. სალომე ჭავჭავაძისადმი [„ 25 ივლისი] . 32—35
20. მარიამ დედოფლისადმი [„ 16 აგვისტო] . 35—36
21. ილია ორბელიანისადმი [„ ?] . . 36—37
22. ანა ორბელიანისადმი [„ ?] . 37—38
23. მანანა ორბელიანისადმი [„] . . . 38
24. ილია ორბელიანისადმი [1836 წ. 16 სექტემბერი] . . 41—42
25. მ ა ს ვ ე [„ 28 ნოემბერი] . . . 42—43
26. ზაქარია ორბელიანისადმი [1837 წ. 14 იანვარი] . . . 44—47
27. ილია ორბელიანისადმი [1839 წ. 11 მარტი] . . . . . 48—49
28. მ ა ს ვ ე [„ 23 დეკემბერი] . . . 49—51
29. ზაქარია ორბელიანისადმი [1842 წ. 20 მაისი] . 52—55
30. მ ა ს ვ ე [„ 11 ივნისი] . 55—59

31. მოსე არლუთინსკი-დოლგორუკოვისადმი	1842 წ.	11 ივნისი	59—60
32. ზაქარია ორბელიანისადმი	„	4 ივლისი	60—62
33. მ ა ს ვ ე	1843 წ.	20 აპრილი	63
34. ილია ორბელიანისადმი	„	22 აპრილი	63—64
35. მ ა ს ვ ე	„	6 მაისი	64—69
36. ზაქარია ორბელიანისადმი	„	6 მაისი	69—70
37. მ ა ს ვ ე	„	12 მაისი	70—71
38. მ ა ს ვ ე	„	3 ივნისი	71—73
39. ილია ორბელიანისადმი	„	18 ივნისი	73—75
40. ზაქარია ორბელიანისადმი	„	14 ივლისი	75—76
41. მ. არლუთ.-დოლგორუკოვისადმი	„	14 ივლისი	76—78
42. ილია ორბელიანისადმი	„	„	79—81
43. ზაქარია ორბელიანისადმი	„	12 აგვისტო	81—83
44. ილია ორბელიანისადმი	„	28 აგვისტო	83—84
45. ზაქარია ორბელიანისადმი	„	28 აგვისტო	84—85
46. მ. არლუთ.-დოლგორუკოვისადმი	„	29 აგვისტო	85—86
47. ზაქარია ორბელიანისადმი	1844 წ.	23 მარტი	87—88
48. მ ა ს ვ ე	„	4 მაისი	88—91
49. მ ა ს ვ ე	„	1 ივნისი	91—92
50. მ ა ს ვ ე	„	8 ივნისი	92—93
51. მ ა ს ვ ე	„	23 ივნისი	93—94
52. მ ა ს ვ ე	„	8 ივლისი	94
53. ილია ორბელიანისადმი	„	6 აგვიტო	94—95
54. მ ა ს ვ ე	„	19 აგვისტო	96—97
55. ქეთევან ორბელიანისადმი	„	აგვისტო	97—98
56. ზაქარია ორბელიანისადმი	„	26 აგვისტო	98—99
57. ქეთევან ორბელიანისადმი	„	27 აგვისტო	99—100
58. ილია ორბელიანისადმი	„	8 სექტემბერი	100—101
59. ზაქარია ორბელიანისადმი	„	8 ოქტომბერი	101—102
60. მ ა ს ვ ე	„	4 დეკემბერი	102—103
61. მ ა ს ვ ე	„	24 დეკემბერი	103—104
62. მ ა ს ვ ე	1845 წ.	7 იანვარი	105—106
63. მ ა ს ვ ე	„	19 იანვარი	106—107
64. მ ა ს ვ ე	„	22 თებერვალი	107
65. ილია ორბელიანისადმი	„	11 მარტი	107—109
66. ზაქარია ორბელიანისადმი	„	18 მარტი	109—110
67. მ ა ს ვ ე	„	23 მაისი	110—111
68. კონსტანტინე თარხნიშვილისადმი	„	18 მაისი	111—115
69. ილია თარხნ-სა და ზაქ. ერისთ-დმი	„	25 მაისი	115—116
70. ილია ორბელიანისადმი	„	6 აგვისტო	116—117
71. მ ა ს ვ ე	„	12 ნოემბერი	118
72. მანანა ორბელიანისადმი	1846 წ.	18 თებერვალი	119—121
73. ზაქარია ორბელიანისადმი	„	29 აპრილი	121—122
74. ილია ორბელიანისადმი	„	27 მაისი	122—124
75. ზაქარია ორბელიანისადმი	„	1 ივნისი	124—126
76. ილია ორბელიანისადმი		1 ივლისი	126—127
77. მ ა ს ვ ე		29 ივლისი	127—128
78. მ ა ს ვ ე		25 ოქტომბერი	128—133

79.	მ ა ს ვ ე	1846 წ.	3 დეკემბერი	133—134
80.	ქეთევან ორბელიანისადმი	„	29 დეკემბერი	134—137
81	ილია ორბელიანისადმი	„	29 დეკემბერი	138—139
82.	მ ა ს ვ ე	1847 წ.	13 იანვარი	140—141
83.	ქეთევან ორბელიანისადმი	„	13 იანვარი	142—143
84.	ილია ორბელიანისადმი		20 იანვარი	143—145
85.	ქეთევან ორბელიანისადმი	„	10 თებერვალი	145—146
86.	ზაქარია ორბელიანისადმი	„	27 თებერვალი	146—148
87.	მ ა ს ვ ე	„	8 მარტი	148
88.	ქეთევან ორბელიანისადმი	„	8 მარტი	149
89.	ილია ორბელიანისადმი	„	31 მარტი	149—150
90.	მ ა ს ვ ე	„	10 აპრილი	150—151
91.	ქეთევან ორბელიანისადმი	„	28 აპრილი	151—152
92.	მ ა ს ვ ე	„	16 (20) ივნისი?	153
93.	ილია ორბელიანისადმი	„	22 აგვისტო	153—154
94.	მ ა ს ვ ე	„	25 აგვისტო	154
95.	ქეთევან ორბელიანისადმი		8 სექტემბერი	155
96.	ილია ორბელიანისადმი		16 სექტემბერი	155—156
97.	ქეთევან ორბელიანისადმი		22 სექტემბერი	156
98.	ილია ორბელიანისადმი		19 ოქტომბერი	157
99	მ ა ს ვ ე		20 ნოემბერი	157—158
100.	მ ა ს ვ ე		1 დეკემბერი	158—159
101.	ქეთევან ორბელიანისადმი		9 დეკემბერი	159—161
102.	ილია ორბელიანისადმი	„	9 დეკემბერი	161—162
103.	მ ა ს ვ ე	„	22 დეკემბერი	162—164
104.	ქეთევან ორბელიანისადმი	„	22 დეკემბერი	164
105.	ილია ორბელიანისადმი	1848 წ.	3 იანვარი	165—167
106.	მ ა ს ვ ე	„	5 იანვარი	167
107.	ქეთევან ორბელიანისადმი	„	12 იანვარი	168
108.	ილია ორბელიანისადმი	„	9 თებერვალი	168—169
109.	მ ა ს ვ ე	„	24 თებერვალი	170
110.	ქეთევან ორბელიანისადმი	„	15 მარტი	170—171
111.	მ ა ს ვ ე	„	29 მარტი	171—172
112.	მ ა ს ვ ე		5 აპრილი	172
113.	მ ა ს ვ ე		12 აპრილი	172
114.	მ ა ს ვ ე		19 აპრილი	173
115.	მ ა ს ვ ე		26 აპრილი	173
116.	ილია ორბელიანისადმი		17 მაისი	173—174
117.	ქეთევან ორბელიანისადმი		17 მაისი	174
118.	მ ა ს ვ ე	„	31 მაისი	175
119.	მ ა ს ვ ე	„	13 ივნისი	175—176
120.	მ ა ს ვ ე	„	3 ივლისი	176
121.	მ ა ს ვ ე	„	7 ივლისი	179
122.	ილია ორბელიანისადმი	„	21 ივლისი	179—180
123.	მ ა ს ვ ე	„	16 აგვისტო	183—184
124.	მ ა ს ვ ე	„	25 სექტემბერი	184—185
125.	მ ა ს ვ ე	„	18 ოქტომბერი	185—186
126.	ქეთევან ორბელიანისადმი	„	29 ნოემბერი	186

127.	მ ა ს ვ ე	1848 წ.	22 ნოემბერი	187
128.	მ ა ს ვ ე	„	21 დეკემბერი	187—188
129.	მ ა ს ვ ე	„	28 დეკემბერი	188
130.	ილია ორბელიანისადმი	1849 წ.	3 იანვარი	189
131.	მ ა ს ვ ე		21 თებერვალი	189—190
132.	ქეთევან ორბელიანისადმი		7 მარტი	190
133.	მ ა ს ვ ე		14 მარტი	190—191
134.	მ ა ს ვ ე		25 მარტი	191—192
135.	მ ა ს ვ ე		15 აპრილი	192—193
136.	მ ა ს ვ ე		3 ივნისი	193—194
137.	მ ა ს ვ ე	„	23 ივლისი	194
138.	მ ა ს ვ ე	„	2 სექტემბერი	194—195
139.	მ ა ს ვ ე	„	21 ოქტომბერი	195—196
140.	ილია ორბელიანისადმი	„	28 ოქტომბერი	196—197
141.	ქეთევან ორბელიანისადმი	„	11 ნოემბერი	197—198
142.	მ ა ს ვ ე	„	9 დეკემბერი	198—199
143.	ილია ორბელიანისადმი	„	16 დეკემბერი	199—200
144.	მ ა ს ვ ე	„	23 დეკემბერი	200—201
145.	ილია ორბელიანისადმი	1850 წ.	25 იანვარი	202—203
146.	მ ა ს ვ ე		28 იანვარი	203—204
147.	მ ა ს ვ ე	„	17 თებერვალი	204—205
148.	ქეთევან ორბელიანისადმი	„	24 მარტი	205—206
149.	მ ა ს ვ ე	„	30 მარტი	206
150.	ილია ორბელიანისადმი	„	11 აპრილი	207—208
151.	ქეთევან ორბელიანისადმი	„	2 ივლისი	208
152.	მ ა ს ვ ე	„	10 აგვისტო	209
153.	მ ა ს ვ ე	„	20 სექტემბერი	209
154.	ილია ორბელიანისადმი	„	15 ოქტომბერი	210
155.	ქეთევან ორბელიანისადმი	„	20 ოქტომბერი	211
156.	ილია ორბელიანისადმი	„	6 დეკემბერი	212
157.	მ ა ს ვ ე	„	19 დეკემბერი	212

შენიშვნები 215

დამატებითი შენიშვნები:

1. ტექსტისათვის . . . 310
2. კომენტარიებისათვის 315

სურათების სია . . 316